

K 216.113  
3

ՀԱՅԿԵՐԱՆ  
ՆԱԽԱՐԱՐՈՒՄ



ՀԱՆՐ  
ՅԱԹՔՅՈՒՄՅՈ

ԵՂՁՈ

ՔՅՐԵՆՆԵՆՈ





საქართველოს სსრ მწერალთა კავშირთან არსებული  
მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის  
მთავარი სარედაქციო კოლეჯია




გამომცემლობა „საგვთა საქართველო“  
თბილისი — 1982



ბაღყე

მამულისა



გაბა

ქველსა



„ჩემი დალესტანი“ ცნობილი პოეტის რასულ გამზათოვის პირველი პროზაული ნაწარმოებია. წიგნში ავტორი ეხება მრავალ ცხოვრებისეულ თუ ლიტერატურულ საჭირბოროტო საკითხს, წერს მისთვის დამახასიათებელი მახვილგონიერულობით, მსუბუქი იუმორით.

მწერალი დიდი სიყვარულით აღწერს თავისი ხალხის წარსულსა და აწმყოს, მათ ადამ-წესებს, უხეად იყენებს ხალხურ სიბრძნეს: ანდაზებს, თქმულებებს, გამოჩენილ თანამემამულეთა ნაკვესებს, ცოცხალი და ხატოვანი ენით გადმოგვცემს სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობით მიღებულ შთაბეჭდილებებს.

თ ა რ გ მ ა

თამარ ჩიჯავაძემ

ლექსების თარგმანი  
 ზოთა ნოზნიანიძისა

Г 70303 — 177 375 — 82  
 М 601 (08) — 82

© ქართული თარგმანი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1982





მგზავრო, თუკი არ დამილოცავ ჰერს და,  
პურმარილს,  
ფუი, შენს ნამუსს და შენს კაცობას  
და თუკი ჩემგან მოუღებენი წავა  
სტუმარი,  
ფუი, ჩემს ნამუსს და ჩემს კაცობას!

წარწერა აქვანზე

თუ წარსულს დამბანას ესერი,  
მომავალი ზარბაზნით გაგებასუხება.

თქვა აბუთალიბმა

**წინასიტყვაობის მაგიერ, საერთოდ,  
წინასიტყვაობის გავმ**

გაღვიძებისთანავე გველნაკბენივით ნუ  
წამოხტები ლოგინიდან, ჯერ იმაზე იფიქ-  
რე, რაც დაგესიზმრა.

ჩემი აზრით, თვით ალლაჰიც კი სანამ თავის ახლობლებს რაიმე თავ-  
შესაქცევ ამბავს მოუთხრობს, ან მორიგ ზნეობრივ მოძღვრებას წარ-  
მოთქვამს, ჯერ გააბოლებს, აუჩქარებლად გაიზმორება და ჩაფიქრდება.

თვითმფრინავი, სანამ აფრინდება, დიდხანს ხმაურობს, ბეტონის  
ასაფრენი ბილიკით მთელ აეროდრომს შემოატარებენ, გუგუნი მატუ-  
ლობს, თვითმფრინავი გაირბენს და მხოლოდ შემდეგ აიჭრება ცაში.

შვეულმფრენს გარბენა არ სჭირდება, მაგრამ ისიც დიდხანს ხმა-  
ურობს, გუგუნებს და სანამ მიწას მოსწყდებოდეს, დგანდგარებს.

მხოლოდ მთის არწივი აიჭრება კლდიდან დაუხანებლად ცის სიღურ-  
ჯეში, ლალად ნავარდობს, უფრო და უფრო მალლა მიიწევს და ბოლოს  
წერტილად იქცევა.

კარგ წიგნსაც ასეთი დასაწყისი უნდა ჰქონდეს, გრძელი შენიშვნე-  
ბისა და მოსაწყენი წინასიტყვაობის გარეშე. ხარი რომ ჩაგირბენს,  
რქებში თუ არ სტაცე ხელი, კულში ველარ მისწვდები და ვერ გააჩერებ.

აგერ მომღერალმა აიღო ხელში ფანდური. ვიცი, მომღერალს კარგი  
ხმა აქვს, მაშ რატომღა აჩხაკუნებს ფანდურზე ასე დიდხანს და უაზროდ,

სანამ სიმღერას დაიწყებდეს? ამასვე ვიტყვი მოხსენებაზე, კონცერტს წინ რომ უძღვის ან სპექტაკლისწინა ლექციაზე, დამქანცველ ჰკუთის სწავლებაზე, რომლითაც სიმამრი უმასპინძლებდა სიძეს, ნაცვლად ამისა, ფიცხლად სუფრასთან მიიწვიოს და ღვინით აუესოს თასი.

ერთხელ მიურიდები თავს აწონებდნენ ერთმანეთს თავიანთი ხმლებით. ნახეთ, რა ნაწრთობი რვალიაო, ნახეთ, ყურანის საუცხოო ლექსები ზედ რომ ამოუტეფრავთო. მიურიდებში ჰაჯი-მურატიც ერია თურმე — დიდი შამილის ნაიბი. მან ასე მიმართა მიურიდებს:

— ამ ჰადრის ჩრდილში რატომ კამათობთ, აი, ხვალ ბრძოლა იქნება, იქ გამოჩნდება, რომელი ხმალია უკეთესი.

დ ა მ ა ი ნ ც, ჩემი აზრით ალლაჰი აუჩქარებლად გააბოლებს ხოლმე, სანამ მოყოლას დაიწყებდეს.

დ ა მ ა ი ნ ც, ჩემს მთებში ერთი ჩვეულებაა—მხედარი ქობის ზღურბლს რომ გადააბიჯებს, უმაღლვე როდი ამხედრდება უნაგირზე. ჯერ აულიდან უნდა გაიყვანოს ცხენი. ეს ალბათ იმისთვისაა საჭირო, რომ ერთხელ კიდევ ჩაუფიქრდეს, რას სტოვებს უკან და რა მოელის წინ. რაც არ უნდა ეჩქარებოდეს, აღვირში ჩაჰკიდებს ცხენს ხელს და ღინჯად, დაფიქრებული გაატარებს მთელს აულში. მერე უზანგებს არც შეეხება, ისე შეფრინდება უნაგირზე. კეხზე გადაიხრება და გზაზე ავარდნილ მტვრის კორიანტელში გაუჩინარდება.

და მეც, სანამ ჩემი წიგნის უნაგირზე ავმხედრდებოდე, ღინჯად ვფიქრობ, აღვირით მიმყავს ცხენი და მეც გვერდით მივდე. ვფიქრობ, სიტყვას ვწონი.

სიტყვის წარმოთქმა მარტო ენაბრვეილ კაცს როდი უჭირს, მისთვისაც ძნელია, ვინც ფრიალ შესაფერისს, მარგსა და ფრიალ ბრძნულ სიტყვას ეძებს. სიბრძნით ვერ გაგაოცებთ, მაგრამ ენაბრვეილიც არა ვარ. სიტყვას ვეძებ და მიტომ ებორძიკობ.

ა ბ უ თ ა ლ ი ბ მ ა თ ქ ვ ა: წიგნის წინასიტყვაობა ეს ის წველია, ცრუმორწმუნე მთიელ ქალს რომ უჭირავს კბილებით, როცა ქმრის ტყაბუქს საკერებელს ადებს. წველი რომ არ დაიკავოს კბილებით, მაშინ ხომ რწმენის მიხედვით ტყაბუქი სუღარად გადაიქცევა.

ეს ე ც ა ბ უ თ ა ლ ი ბ მ ა თ ქ ვ ა: მე იმ ადამიანს ეგავარ, სიბნელეში რომ დაეხეტება და შესასვლელ კარს ეძებს, ან იმ ადამიანს, კარს ხელი რომ მოუფათურა, მაგრამ ჯერ კიდევ არ იცის, შეიძლება თუ არა, ღირს თუ არა შესვლა. კაკ-კუქ, კაკ-კუქ, — აკაკუნებს იგი.

† ეი, მასპინძელო, ხორცის მოხარშვას თუ აპირებ, ადგომის დროა.

— ეი, მასპინძელო, ქუმელის დანაყვას თუ აპირებ, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, იძინე, საჩქარო არაფერია.

— ეი, მასპინძელო, ბუზას დალევას თუ აპირებ, მეზობლის დამახება არ დაგავიწყდეს.

კატ-ქუტ, კატ-ქუტ.

— მაშ შემოვიდე, თუ უჩემოდაც იოლად წახვალთ?

ადამიანს ორი წელი სჭირდება ლაპარაკის სასწავლად, სამოცი წელი კი იმისათვის, რომ ენაზე კბილის დაჭერა ისწავლოს.

მე არც ორი წლისა ვარ და არც სამოცის. შუა გზაზე ვარ, მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც მეორე მიჯნასთან უფრო ახლოს ვარ, რადგანაც ჯერ კიდევ წარმოუთქმელი სიტყვა ყველა ნათქვამზე უფრო ძვირფასია ჩემთვის.

ჯერ კიდევ დაუწერელი ჩემი წიგნი ყველა დაწერილ წიგნს მიჩვენია. იგი ყველაზე ძვირფასი, ყველაზე სანუკუარი და საქნელოა.

ახალი წიგნი ეს ჩემთვის ჯერ დაულახავი ხეობაა, მაგრამ ახლა გადაიხსნა ხეობა და დაბინდული შორეთისაკენ უნდა გამიტყუოს. ახალი წიგნი ის ცხენია, მე რომ არასოდეს შემიკაზმავს, ხანჯალია, ჯერ ქარქაშიდან რომ არ ამომიწვდია.

მთიელები ამბობენ. „ტყუილუბრალოდ ნუ ამოზიდავ ხანჯალს ქარქაშიდან, მაგრამ თუ იშიშვლებ, მაშინვე დაკარი! დაკარი ისე, რომ ცხენიც და კაციც ერთად გააპო“.

თქვენ მართალი ხართ, მთიელებო!

და მაინც, სანამ ხანჯალს იშიშვლებდე, დარწმუნებული უნდა იყო, რომ ის პირბასრია.

ჩემო წიგნო, შენ დიდი ხანია ჩემში სახლობ, შენ იმ ქალს ჰგავხარ, იმ სატროფს, რომელსაც შორიდან უცქერ, ვისზეც ოცნებობ და არასოდეს არ შეხებიხარ, ზოგჯერ სულ ახლოს მდგარა, ხელის გაწოდებაც კმაროდა, მაგრამ ვერ გამებედა, მრცხვენოდა, ეწითლდებოდი და უკან ვიხევდი.

ახლა კი მორჩა, გადავწყვიტე, გაბედულად მივუახლოვდე და ხელი ჩავვიდო, მორცხვ შეუყვარებულს მსურს გულოვან გამოცდილ კაცად ვიქცე. ცხენი შევეკაზმე და სამჯერ გადავუჭირე მათრახი, მოხდეს, რაც მოსახდენია.

და მაინც, ჯერ ქალაღის ოთხკუთხა ნაკუწზე დავასორსალებ ჩვენებურ თუთუნს, პაპიროსს დინჯად ვახვევ, შეხვევა თუ ასეთი სიამეა, მაშინ მოწვევა რაღა იქნება!

ჩემო წიგნო, სანამ შენს წერას დავიწყებდე, მინდა იმაზე ვილაპარაკო, თუ როგორ მომწიფდი ჩემში, როგორ გამოგიძებნე სათაური, რატომ გწერ და რა მიზნები მაქვს ცხოვრებაში.

სტუმრები სამზარეულოში შემყავს, სადაც ცხვარს ქნიათ ასო-ასოდ, სადაც სისხლის, თბილი ხორცისა და ცხვრის ტყავის სუნი გცემს და არა მწვადისა.

მეგობრებს კი ჩემს სანუკვარ სამუშაო ოთახში მივუძღვები, სადაც ჩემი ხელნაწერებია და გადაქექვის ნებასაც ვაძლევ.

თუ მცა მამაჩემი ასე ამბობდა: სხვისი ნაწერების ქაქ-  
ვა სხვის ჯიბეში ხელის ფათურსა ჰგავსო.

მამაჩემმა ესეც თქვა: წინასიტყვაობა მხარბეჭიან კაცს  
ჰგავს, თავზე დიდი ბოხოხი რომ ჰხურავს თეატრში და წინ მეფარება.  
ამას კიდევ რა უშავს, წყნარად თუ ზის და არ ცმუკავს. ასეთი კაცი,  
მე რომ მაყურებელი ვარ, თავს მაბეზრებს და ბოლოს მალიზიანებს  
კიდევ.

უბის წიგნაკი დან. ხშირად მიხდება ხოლმე პოეტურ საღა-  
მოებზე გამოსვლა მოსკოვსა და რუსეთის სხვა ქალაქებში, დარბაზში  
მსხდომთ არ ესმით ხუნძური ენა, ჯერ დიდის ვაი-ვაგლახით, როგორც  
იქნება, თავს გავაცნობ მსმენელებს, თან ლაპარაკში კილოს ვუქცევ-  
შემდეგ ჩემი მეგობარი რუსი პოეტები კითხულობენ ჩემი ლექსების  
თარგმანებს, მაგრამ ვიდრე კითხვას დაიწყებდნენ, ჩვეულებისამებრ,  
მთხოვენ ერთი ლექსი მაინც წავიკითხო მშობლიურ ენაზე: „ჩვენ ხუნ-  
ძური ენის მუსიკა გვინდა მოვისმინოთ, ლექსის მუსიკა“. მეც კითხუ-  
ლობ და ეს კითხვა ჩემი მსმენელებისათვის სხვა არაფერია, თუ არა  
ფანდურის ჩხაკუნი სიმღერის დაწყებამდე.

განა წიგნის წინასიტყვაობაც ასე არაა?

უბის წიგნაკი დან. მოსკოვში რომ ვსწავლობდი, მამამ ფული  
გამომიგზავნა ზამთრის პალტოს საყიდლად. საუბედუროდ, ფული შემო-  
მხარჯა და პალტო ვერ ვიყიდე. ზამთრის არდადეგებზე დალესტანში  
ძველი პალტოთი დაებრუნდი, ზაფხულში მოსკოვს რომ მივემგზავრე-  
ბოდი, ეს პალტო მეცვა.

შინ თავის მართლებას მოვეყვი, რა არ მივკიბ-მოვკიბე, რა არ მოვნ-  
მახე. მეტისმეტად რომ გადავაჰარბე, მამამ შემაწყვეტინა:

— გეყოფა, რასულ, ორი კითხვა მინდა მოგცე.

— მკითხე.

— პალტო იყიდე?

— არ მიყიდია.

— ფული დახარჯე?

— დავხარჯე.

— ახლა ყველაფერი გასაგებია. რაში გკირდება სიტყვების რაზა-  
რუხი, ამდენს რას მიედ-მოედები ანდა ამხელა წინასიტყვაობა რისთვის  
დაგჭირდა, როცა ორი სიტყვით შეიძლებოდა გეთქვა.

და მაინც: ბავშვი დაიბადება თუ არა, მაშინვე როდი ლაპარა-  
კობს, სანამ სიტყვას იტყოდეს, რაღაცას თავისთვის ტიკტიკებს, ისიც  
ხდება, რომ ბავშვს რაღაც სტკივა და ტირის, დედა რომ დედაა, ისიც  
ვერ მიუხვდება ზოგჯერ სატკივარს თავის პირმშოს.

განა პოეტის სული ბავშვის სულს არა ჰგავს?

მამაჩემი ამბობდა: როდესაც მთიდან ჩამოლაღულ ცხვარს



მოელიან, ჯერ წინამძღოლი ვაცის რქებს დალანდავენ ხოლმე, შემდეგ თვითონ ვაცს და ბოლოს მთელ ფარასაო.

როდესაც საქორწინო თუ სამგლოვიარო პროცესიას ელოდებიან, პირველი მაცნე გამოჩნდებაო. როდესაც აულში მაცნეს მოელიან, ჯერ მტვრის კორიანტელი, შემდეგ ცხენი, ბოლოს კი მხედარი ჩანსო.

როცა მონადირის დაბრუნებას ელიან, წინ მისი ძაღლი გამოჩნდება ხოლმე.

## იმის გამო, თუ როგორ გაჩნდა ეს წიგნი და სად იწერებოდა

პატარებიც ხედავენ ხოლმე დიდ სიზმრებს.

წარწერა აკევანზე

იარაღი, რომელიც შეიძლება მხოლოდ ერთხელ დაგვირდეს, მთელი სიცოცხლის მანძილზე თან უნდა ატარო; ლექსი, მთელი სიცოცხლის მანძილზე რომ უნდა იმეორო, ერთხელ იწერება.

აყვავებულ აულს გაზაფხულის ფრთოსანი თავს დაჰფარუტებდა, დასასვენებელ ადგილს ეჭებდა, ქოხის სახურავი დაინახა, ფართო, გლუვი და სუფთა, სახურავზე — საზეპელი შენიშნა. ცისკიდური დაადგო და საზეპელზე დაფრინდა, დავისვენებო. მკვირცხლმა მთიელმა ქალმა შეიპყრო ჩიტი და ქოხში შეიყვანა. ჩიტმა რომ დაინახა, კარგად მეპყრობიანო, იქიდან ფეხი არ მოუცვლია. საცხოვრებლად დარჩა. გამჭვარტლულ ღირვებ ნალი იყო მიჭედილი და ზედ ბუდე გაიკეთა.

ჩემი წიგნიც ასე არაა?

რამდენჯერ მომიხილავს ჩემი პოეტური ცისკიდურიდან პროზის დაბლობი, მიძებნია, სად დავმჯდარიყავი დასასვენებლად...

არა, თვითმფრინავი უფრო მომიდგება, ის თვითმფრინავი, აეროდრომზე რომ უნდა დაეშვას. აი უკვე წრეს ვარტყამ დასაფრენად, მაგრამ აეროდრომი არ მიღებს უამინდობის გამო. წრეს ჩავშლი და კვლავ სწორ ხაზს გავჭიმავ ლაქვარდში. მივფრინავ მაღლა, ნანატრი მიწა ძირს რჩება... ეს არაერთხელ განმეორებულა.

ალბათ, არ მიწერია მყარ ბეტონზე გარბენა — ვფიქრობდი მე, მაშასადამე, მუხლჩაუხრელად უნდა ვიარო მიწაზე. თვალები ჩემი შეუსვენებლად უნდა დაეჭებდეს უცნობ ადგილებს პლანეტაზე, ხოლო გული ჩემი დაუღალავად თხზავდეს ახალ სიმღერებს.

მე იმ გუთნისდენდას ვგავარ, თვალს რომ ვერ მოსწყვეტს ლტოლვილი ღრუბლის ფთილასა და ცაზე გამწკრივებულ წეროებს, და როცა გამოერკვევა, გაათკეცებული ძალით კვლავ გუთნის ტარს ჩაეჭიდება. ასე ვუბრუნდებოდი ხოლმე შუა გზაზე მიტოვებულ პოემას.

ლიახ, ჩემი პოეზია, რამდენადაც არ უნდა ვადარო ცისკიდურს, ჩემთვის მუდამ ყანა იყო, ჩემი სახნავი და ჭაბანწყვეტა, პროზა არ მიცდია.

და აი, ერთხელ მივიღე პაკეტი. პაკეტში ერთი ჩემთვის მეტად პატივსაცემი ჟურნალის რედაქტორის წერილი იღო. სხვათა შორის, იმ რედაქტორსაც პატივს ვცემ. რედაქტორი ასე იწყებდა წერილს: „პატივცემულო რასულ“. მოკლედ სრული ურთიერთპატივისცემია.

როცა წერილი გავხსენი, მომეჩვენა, კამეჩის ტყავი მეჭირა ხელში, მთიელები ქოხის სახურავზე რომ ფენენ გასაშრობად. ამ მყვირალა წერილის ფურცლებიც არაფრით არ ჩამოუვარდებოდა კამეჩის გამხმარ ტყავს, ოთხად რომ დაკეცავენ სახლში შესატანად. ოღონდ ეს იყო, კამეჩის ტყავის მძაფრი სუნი არ მილიტირებდა ცხვირში. წერილს არაფრის სუნი არ ჰქონდა.

აი, რას მწერდა რედაქტორი: „ჩვენმა რედაქციამ გადაწყვიტა, უახლოეს ნომრებში გამოაქვეყნოს მასალები დალესტნის მიღწევებზე, მის კეთილ საქმეებზე, შრომითს დღეებზე. გინდა უბრალო მშრომელებზე გვიამბე, მათ იმედებზე, გინდა შენი მთიანი მხარის ნათელ, ხვალინდელ დღეზე, მის საუკუნოვან ტრადიციებზე, ძირითადად კი მის წარმატებულ დღევანდლობაზე. ასეთ მასალას შენზე უკეთესად ვინ დაწერს. ჟანრის არჩევანი შენთვის მოგვიჩინდა, სულ ერთია, მოთხრობა იქნება, სტატია, ნარკვევი თუ რიგი ჩანახატებისა. მასალის მოცულობა 9-10 სამანქანო გვერდს არ უნდა აღემატებოდეს, ვადა 20-25 დღე. ვიმედოვნებთ და წინასწარ გიხდით მადლობას“.

წინათ ქალიშვილს ისე გაათხოვებდნენ, თანხმობას არც ეკითხებოდნენ. უბრალოდ, როგორც ახლა იტყვიან, ფაქტის წინაშე აღმოჩნდებოდა, ეტყოდნენ, ყველაფერი გადაწყვეტილიაო და მორჩა. მაგრამ ვაჟი-შვილის დაქორწინებას ვერაფერს გაბედავდა მისივე თანხმობის გარეშე, მარტო ერთ გიდატლიელს გაუბედავს თურმე, მაგრამ პატივცემული რედაქტორი ხომ გიდატლიელი არ ყოფილა? ჩემს დაუკითხავად კი გადაწყვიტა ყველაფერი... აბა მე როგორ გავბედავდი ცხრა გვერდზე დამეტია ჩემი დალესტნის აკარგი და ისიც ოც დღეში?

ბრაზიანად მოვისროლე შეურაცხმყოფელი წერილი. გავიდა ხანი, ტელეფონი ისე გაბმით აწკრიალდა, თითქოს კვერცხისმღებელი ქათამი აკაკანდაო. ცხადია, ჟურნალის რედაქციიდან რეკავდნენ.

— გამარჯობა, რასულ! მიიღე ჩვენი წერილი?

— მივიღე.

— მერე სადაა მასალა?

— ჰო, საქმეები... სულ არ მცალია.

— რას ამბობ, რასულ! მაგაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ჩვენი ჟურნალის ტირაჟი ხომ თითქმის მილიონია. ამ ჟურნალს საზღვარგარეთაც

კითხულობენ. თუ მართლა დაკავებული ხარ, მაშინ ჩვენ გამოგიგზავნიან კაცს. ორიოდე აზრი ან დეტალი მიუგდე, დანარჩენს თვითონ გააკეთებს, წაიკითხავ, კორექტურას გაუყეთებ და შენს გვარს მოაწერ, ჩვენთვის გვარია მთავარი.

— დე, ძვალი არ შერჩეს მთელი იმ ადამიანს, ვისაც სტუმარი არ ახარებს, პირდაპირეჯილი, შუბლშეჭმუხნული ვინც შეხედება სტუმარს, მის ოჯახს აღარც უფროსი ელირსოს, მრჩეველ-დამრიგებელი და არც უმცროსი, მორჩილი და გამგონე, — ასეთია ჩვენი სტუმართმოყვარეობა, მაგრამ ღვთის გულისათვის, სალიხანოვს! ნუ გამომიგზავნით. უიმისო-დაც ავაწყობ ჩემს დაირას. ქოთანს მე თვითონ მოვებამ ყურს.

ასე დამთავრდა ჩვენი მოლაპარაკება. ვასალამ ვაქალამ!<sup>2</sup> ერთი თვის შემდეგ შევბულება ავიღე და მშობლიურ აულ ცადაში გავემგზავრე.

ცადა! სამოცდაათი თბილი კერა, მალალი მთის კრიალა ცისკენ აბოლქველი სამოცდაათი ცისფერი ბოლი. თეთრი ქოხები შავ მიწაზე! აულის წინ გადაჭიმული მწვანე მინდვრები. უკან ქარაფები ამართულა, რუხი ფრიალოები, თითქოს ბავშვებს მოუყრიათ თავი ბანზე მეორე ეზოში გაჩაღებული ქორწილის საყურებლად.

ცადაში რომ ჩავედი, ის წერილი გამახსენდა, მამამ რომ გამომიგზავნა, როცა პირველად ნახა მოსკოვი; ძნელად მიხედებოდი, როდის ხუმრობდა და როდის ამბობდა სიმართლეს, გაოცებული კი იყო მოსკოვით.

„როგორც ჩანს აქ, მოსკოვში, ცეცხლს არ ანთებენ კერიაში საკმლის მოსამზადებლად, არც ქალები დამინახავს საღმე, წივას რომ ატყეპებდნენ სახლის კედლებს და არც სახურავებზე აგრაგნილი კვამლი, აბუთალიბის დიდ ბოხოსს რომ მაგონებს ხოლმე. არც ბანის სატყეპნისათვის მომიკრავს თვალი. არა მგონია, მოსკოველები თივას ახმობდნენ სახურავებზე. ჰოდა, თივას თუ არ ახმობენ, მაშ ძროხებს რაღას აკმევენ? ქალი არ შემხვედრია, ბალახი ან ფიჩხი მიჰქონდეს, არც ერთხელ არ მსმენია ზურნის ჭყვიტინი თუ დოლის ბრახუნი. კაცი იფიქრებს, რომ აქაური ჭაბუკები ქალს არ თხოულობენ და ქორწილს არ იხდიან. რამდენი არ ვიარე ამ უცნაური ქალაქის ქუჩებში და ერთ ცხვარსაც კი ვერსად წავაწყდი. საკითხავია, რას კლავენ მოსკოველები, სტუმარი ზღურბლს რომ ვადმოაბიჯებს, ცხვრის დაკვლით თუ არა, აბა რით უნდა აღნიშნო ყონალის მოსვლა? არა, ასეთი ცხოვრება არ მეხარებება, ისევ ჩემი აული ცადა მირჩევნია. იქ რამდენსაც მინდა, იმდენ ხინკალს მივირთმევე, თან ჩემს დედაკაცს ნიორს ჩავარევიანებ ჩემს გემოზე“...

სხვა ბევრი „ნაკლოვანებანიც“ შენიშნა მამაჩემმა მოსკოვში თავის

<sup>1</sup> როცა ხუნძებს უნდათ თქვან, საქმე კარგადააო, ამბობენ „სალიხანოვის დაირსაეითააო“.

<sup>2</sup> ღმერთმა მშვილობა მოგცეს.

აულთან შედარებით. ცხადია მისი განცვიფრება — სახლებზე წივა არ არის ატყეპილიო, ხუმრობა იყო და სხვა არაფერი, მაგრამ ის კი აღარ იყო ხუმრობა, თავისი პატარა აული რომ ამჯობინა დიდ ქალაქს. უყვარდა თავისი ცადა და მას მთელი პლანეტის დედაქალაქებში არ გაცვლიდა.

ჩემო ძვირფასო ცადა! აი, დაგიბრუნდი იმ უზარმაზარი სამყაროდან, რომელშიც ამდენი „ნაკლოვანება“ ნახა მამაჩემმა. შემოვიარე ეს ქვეყანა და მრავალი საოცრება ვნახე. თვალები ამიჭრელა ამოდენა სილამაზემ. ერთი საუცხოო ტაძრიდან მეორისაკენ ილტვოდა მზერა, ხან ერთ უტურფეს სახეს ჰვრეტდა, ხან მეორეს, მაგრამ ერთი რამ ვიცოდი, რა მშვენიერი სანახაობაც არ უნდა ყოფილიყო, ზვალ კიდევ უკეთესს ვნახავდი... სამყარო, ხომ ხედავ, უსასრულოა.

დე, მაპატიონ ინდოეთის პაგოდებმა, ეგვიპტის პირამიდებმა და იტალიის ბაზილიკებმა, მაპატიონ ამერიკის ავტოსტრადებმა, პარიზის ბულვარებმა, ინგლისის პარკებმა და შვეიცარიის მთებმა, მაპატიონ პოლონელმა, იაპონელმა და რომაელმა ქალებმა — თუშცა ვტკბებოდი თქვენით, გული მაინც მშვიდად ცემდა; ხანდახან ოდნავ თუ ამიჩქროლდებოდა, ისე კი არა, რომ ყელი გამშრობოდა და თავბრუ დამხვეოდა.

ახლა კი, როცა კლდეების ფერხთით შეყუყუული სამოცდაათი ქოხი დავლანდე, რატომ შემიქანდა მკერდში გული ისე ძალუმად, რომ ნექნებში გამიარა მწველმა ტკივილმა, თვალთ დამიბნელდა, თავბრუ რად დამეხვა, თითქოს მთვრალი ვიყო ან ავადმყოფი?

ნუთუ დაღესტნის პატარა აული ვენეციაზე, ქაიროსა ან კალკუტაზე უფრო მშვენიერია? ნუთუ ბილიკზე მიმავალი ზურგზე ფიჩხმოკიდებული ავარიელი ქალი უფრო მშვენიერია, ვიდრე მაღალ-მაღალი ოქროსფერთმიანი სკანდინავიელი?

ცადა! დავებეტები შენს მინდვრებში და დილის ცივი ცვარი მისუსხავს დამაშვრალ ფეხებს. მთის ნაკადულები რაა, წყაროს წყალს ვისხურებ პირზე. იტყვიან, თუ დალევია, ბარემ წყაროს წყალი დალიეო. და კიდევ იცით, რას იტყვიან — მამაჩემისაგან გამიგონია — მამაკაცი სიცოცხლეში მხოლოდ ორჯერ იჩოქებს ხოლმე: ერთხელ, როცა წყურვილი უნდა მოიკლას წყაროს წყლით და მეორედ — როცა ყვავილის მოწყვეტა სურსო. შენ წყარო ხარ ჩემი, ცადა, მუხლებზე ვიჩოქებ და მხურვალე ბაგეებით გეწაფები.

ქვას დავინახავ და ზედ თითქოს გამჭვირვალე ჩრდილია ჩემი. ეს მე ვარ, ისეთი. როგორიც ვიყავი ოცდაათი წლის წინათ. ვზივარ ქვაზე, ცხვარს ვმწყემსავ. დაგლეჯილი ბოხოხი მახურავს, გრძელი ჯოხი მიჭირავს, ფეხები მტვერში ამომგანგვლია.

ბილიკს დავინახავ და ზედ თითქოს გამჭვირვალე ჩრდილია ჩემი,

ესეც მე ვარ, ისეთი, როგორიც ოცდაათი წლის წინათ ვიყავი, მეზობელ აულში მივეშურები საქმეზე, ალბათ მამამ თუ გამაგზავნა.

ყოველ ნაბიჯზე საკუთარ თავს ვხედავ, საკუთარ ბავშვობას, ჩემს გაზაფხულს, წვიმებს, ყვავილებს, ფოთოლცვენას.

ტანთ ვიხდი და შხეფებდად დატრქვეულ ჩანჩქერის ქვეშ ვდგები. ქიმიდან ქიმზე ასხლეტილი ნაკადი ცხრაჯერ იმსხვრევა ქარაფებზე, და მეთედ ჩემს მხრებზე, ხელებზე, თავზე. პარიზის სასტუმრო „მეფის სასახლის“ შხაპი პლასტმასის ერთი საცოდავი სათამაშოა ჩემს გრილ ჩანჩქერებთან შედარებით.

მთის წყაროს ტოტი ქვებში მოიპარება... გახურებულ ლოდებს შორის მოქცეული წყალი მთელი დღე თბება. ლონდონის სასტუმრო „მეტროპოლის“ მოციხფრო აბაზანა ერთი საცოდავი თეფშია ჩემი მთის აბაზანებთან შედარებით.

ღიახ, მე მიყვარს დიდ ქალაქებში ფეხით ხეტიალი. მაგრამ საკმარისია ხუთ-ექვსჯერ შორს გავისეირნო, ქალაქი უკვე ნაცნობი მეჩვენება და თანდათან მინელდება ქუჩებში უსასრულოდ ხეტიალის სურვილი.

მაგრამ, აი, მეთასედ ჩაფუვლი ჩემი აულის შუკებს და მაინც ვერ ვძლები, სიარული არ მბეზრდება.

ამჯერად მოუნახულებელი ოჯახი არ დამიტოვებია. თუკი სადმე კერიში ცეცხლი უნთიათ, თუკი სადმე ღველფი იფერფლება, ანდა უკვე დიდი ხნის ჩანავლული ნაცარია, ყველგან დავხარე თეთრი ფერფლით შეფრქვეული თავი.

დაეყურებდი აკვნებს, რომლებშიც მომავალი მთიელი ვაჟაკები და ქალები იწვნენ. ზოგი აკვანი ჯერ კიდევ თბილია, თუმცა უკვე დაცარიელებულა, ზოგში კი მხოლოდ გაცივებული პაწაწინა საბნები და ბალიშები აწყვია.

ასე მეგონა, ყოველ აკვანში მე ვიწექი. და ყველაფერი აწი უნდა გამევლო: მთის ბილიკებიც, რუსეთის ფართო გზებიც, შორეული ქვეყნების ავტოსტრადებიცა და აეროდრომებიც.

ვარწევდი აკვნებს, ნანას ვუმღეროდი და ბავშვები მშვიდად იძინებდნენ.

ცადას სასაფლაოზე ვიხეტიალე, ძველ საფლავებზე ბალახი ბიბინებდა. გვერდით ახლად გათხრილი სამარეები იყო.

მდუმარედ ვიჯექი სატირალში და მხიარულად ვცეკვავდი ქორწილებში. ბევრი ისეთი სიტყვა და ამბავი მოვისმინე, აქამდე რომ არ მომესმინა. ბევრი ისეთი რამ გამახსენდა, რაც აღრე ვიცოდი და დამვიწყებოდა.

ახალს საკუთარი თვალით ვხედავდი, ძველს კი ვისმენდი, ვიხსენებ-

დი და ჩემი ფიქრები ნაირფერი ძაფებით ირთვებოდა უშველებელ თითისტარზე.

ოცნებაში უკვე წარმოვიდგინე ის ნაირფერი ხალიჩა, ამ ძაფებით რომ მოიქსოვებოდა.

ჯერ კიდევ გუშინ ჩიტუნების ბუდეს ვარბევდი და ტოლ ბიჭებთან მქონდა ერთი გაწამაწია, მაგრამ მოვიდა სიყვარული და უცაბედად სიღარბაისღე მომანიჭა, ბრძენად მაქცია. ჯერ კიდევ გუშინ ვამაყობდი სიღარბაისლით, ჩემზე ამბობდნენ, ჭეშმარიტად ბრძენი კაცია, მაგრამ მოვიდა სიყვარული და ისევ ისე ამაყება და ბავშვად მაქცია.

ჰო, მე დაუშთავრებელი მაქვს პოემა სიყვარულზე — ქალვაჟიანი, კაცი — მე ვარ, ხოლო მთავარი გმირი ქალი — ჩემი სიყვარულია. როგორმე უნდა დავამთავრო! მაგრამ ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს შემაშფოთებელი სასწრაფო დებეშა მიმეღოს, ყველაფერი უნდა მივატოვო და აეროდრომისკენ გავეშურო.

ხ ა ნ ა ს ე ც ხ დ ე ბ ა : მთიელი ქალი აღრე დილით ცეცხლს გააჩაღებს კერიანზე, წუხანდელი ნასუფრალი უნდა შეათბოს, იმდენია, რომ მთელ ოჯახს ეყოფა. მაგრამ აი კარის ზღურბლზე მოულოდნელად სტუმარი გამოჩნდება, ცეცხლიდან გუშინდელი კერძიანი ქვაბი უნდა გადმოდგას და ახალი საკმლის მომზადებას შეუდგეს.

ა ნ კ ი დ ე ვ : ქორწილში ახალგაზრდები ნეფეს მოუხსნდებიან, მათ თანატოლსა და ამხანაგს, მაგრამ უცებ წამოდგომა მოუწყვეთ, შემოსწრებულ უფროსებს ადგილი უნდა დაუთმონ.

ა ნ დ ა : სასტუმრო ოთახში უხუცესთა თავშეყრილობაა. იქვე ბავშვები თამაშობენ. უცბად ბავშვებს ოთახიდან ისტუმრებენ, რადგანაც უხუცესნი ბჭობას აპირებენ.

ხანდახან მონადირე მგონია თავი, მეთევზე, მხედარი, ჩანაფიქრს გავედევნები, შევიპყრობ, შევკაზმავ და დეზსა ვკრავ. ხანდახან კი თავი ირემი, ორაგული, ცხენი მგონია და პირიქით, ჩანაფიქრი, აზრები, გრძნობები მომდევნ, შემიპყრობენ, ამკაზმავენ და თავის ჭკუაზე მატარებენ.

დიახ, აზრები და გრძნობები ისე გეწვევა, როგორც მთაში დაუპატიჟებელი სტუმარი და როგორც სტუმარს, ვერსად დაემალეები, ვერ გაექცევი.

ჩვენთან მთაში არ არსებობს დიდი და პატარა, ღირსეული და უღირსი სტუმარი. ყველაზე უბრალო სტუმარიც კი პატივსაცემია ჩვენთვის — თუ იგი სტუმარია. ყველაზე პატარა სტუმარსაც კი უფრო მეტ პატივს სცემენ, ვიდრე თავად უხუცეს მასპინძელს. არც კი ვეკითხებით,

სადაურია, ვეგებებით, ოთახში შევეუძღვებით და ყველაზე უკეთეს ადგილს მივუჩინებ ცეცხლის პირას ბალიშებზე.

მთაში სტუმარი მუდამ მოულოდნელად დაგადგება თავს, მაგრამ ვერასოდეს გენახავს დაბნეულს, რადგან სტუმარს მუდამ გულით ველით, ყოველდღე, ყოველ საათსა და ყოველ წუთში.

მთების სტუმარივით მეწვია ამ წიგნის ჩანაფიქრი.

ხ დ ე ბ ა ხ ო ლ მ ე, უქმად ჯდომა მოგწყინდება და კედლიდან ჩამოიღებ ფანდურს, მოსინჯავ აწყობილია თუ არა და აჩხაკუნებ, მოულოდნელად სიმღერა მოგეძალება და ჩხაკუნი მელოდიად გადაიქცევა, იღვრება მონარნარე ხმები და შენც მღერი, ვერც კი ამჩნევ, რომ ღამე გადასულა და განთიადი დგება.

ხ ა ნ კ ი ა ს ე ხ დ ე ბ ა: წვრილმან საქმეზე გადაირბენს ჭაბუკი მგზობელ აულში, ხოლო იქიდან უნაგირზე შემოსმული ცოლით ბრუნდება.

ძვირფასო რედაქტორო! მე შეგასრულებ, რაც მომწერეთ, მალე დავწერ წიგნს დალესტანზე, მაგრამ უნდა მაპატიოთ, თქვენ მიერ დანიშნულ ვადაში, ალბათ, ვერ ჩავეტევი, ვინ იცის, რამდენი ბილიკის გავლა მომიხდეს, ჩვენთან კი, მთაში, ყველა ბილიკი ძალიან ვიწრო და დაკლაკნილია.

ჩემი მთები იღუმალებით გამობრწყინდება შორეთში, იტყვი — გაუჩარხავი აღმასებიაო. ხოლო ჩემს ტაიჭს უსასრულო სარბიელი აქვს და თქვენ მიერ მინიშნებულ ვიწროებში ლალად ვერ ინავარდებს.

ვერც ჩემს დალესტანს შევახვევ თქვენს ცხრა-ათ ფურცელში. არ შემიძლია დავწერო „მასალები მიღწევებზე, კეთილ საქმეებზე, შრომითს დღეებზე, უბრალო მშრომელებზე, მათ მიღწევებზე, მათს იმედებზე, მთიანი მხარის ნათელ ზვალინდელ დღეზე, მის საუკუნოვან ტრადიციებზე, ძირითადად კი მის წარმტაც დღევანდელობაზე“.

ჩემს პაწაწინა კალამს არ ძალუძს ასეთ დატვირთვას გაუძლოს. კალმის წვერზე დაკიდებული მეღნის წვეთი მდორე მდინარეებს, მქუხარე მთის ნაკადებს, ქვეყნისა და ადამიანების ბედს ვერ დაიტევს.

დიდი ფრინველი—სისხლჭარბიც არის.

პატარა ჩიტს — ცოტა სისხლღ აქვს.

ყველა ჩიტს — თავისი ნაწილი სისხლი რგებია.

ა მ ბ ო ბ ე ნ: გადაგდებული კურკა შემთხვევით ირემს თავზე დაეცა და საუცხოო რქები ამოუფიდაო.

ა მ ბ ო ბ ე ნ: ალი რომ არ ყოფილიყო ქვეყანაზე, არც ომარი გაჩნდებოდაო, ღამე რომ არ არსებუდიყო, დილას რა გაათენებდა.



ამ ბო ბ ე ნ :

- არწივო, სად იშვი?
- ვიწრო ხეობაში.
- არწივო, საით მიფრინავ?
- უკიდევანო ცისაქენ.



## ამ წიგნის დედამაზრისა და სათაურის გამო

ზარისთვის საამუტრია, თუკი ზეიმი გეხარა,  
მაგრამ თვლემს მასში, იცოდეთ, ომის ბუკი და ნალარა.

წარწერა ზარზე

მას სასთუმალთან სატეგარი უღვეს ფხიანს  
და მამამისის გმირობაზე უმღერის ღედა.  
მას მამა ჰყავდა მამაცი და სამართლიანი,  
ყრმაც მამის სახელს ატარებს ზედალ.

წარწერა აკვანზე

მთიელი ორ რამეს უნდა გაუფრთხილდეს: თავის ბოხობსა და  
სახელს. ბოხობს ის არ შებღალავს, ვისაც მხრებზე თავი ადგას. სახელს  
ის არ შეარცხვენს, ვისაც გულში ცეცხლი უნთია.

ჩვენი ვიწრო ქოხის ჭერს ნატყვიარევი ახლაც აჩნია, მამაჩემის  
მეგობრები ჭერში ისროდნენ დამბაჩებს — ახლომახლო მთებში დაბუ-  
დებულ არწივებისათვის უნდა ემცნოთ ვაჟის დაბადება, დალესტანს კი-  
დევე ერთი არწივი შეემატათ.

ცხადია, სროლითა და ტყვიით ვაჟიშვილი არ გაჩნდება, მაგრამ  
ყოველთვის უნდა მოგეძეებოდეს ტყვია, ვაჟის დაბადება რომ აღნიშნო.

მე რომ დავბადებულვარ, ძეობაზე მამაჩემის მეგობარს ორჯერ მი-  
უხლია ტყვია ჭერისა და იატაკისათვის.

ღედა მიამბობდა, როგორ დამარჭევს სახელი. ოჯახში მესამე ვაჟი  
ვიყავი. ერთი გოგონა ჰყავდათ — ჩემი და, მაგრამ ჩვენ ვაჟკაცებზე  
ვლაპარაკობთ.

უფროსი ვაჟის სახელი ჯერ კიდევ მის დაბადებამდე იცოდა მთელმა  
აულმა, ადათის მიხედვით განსვენებული პაპაჩემის სახელი უნდა ეტა-  
რებინა. ეს ყველას ახსოვდა აულში და ამბობდნენ: გამზათოვების ოჯახ-  
ში მალე მუჰამედი გაჩნდება.

პაპაჩემის ეზოში არც ერთ ოთხფეხს არ გაუჭაჭანებია, თუ არა ძა-  
ლსა და კატას. საბანი ალბათ არასოდეს ხურებია პაპაჩემს, საცვალი  
რა იყო, არ იცოდა, ქვეყნად ვერც ერთი ექიმი ვერ დაიტრაბახებდა,  
რომ მუჰამედი გაესინჯოს, მის ყელში ჩაეხედოს, ღრმად ან მყოვრად



ესუნთქებინოს და, საერთოდ, მისი ტანხალვათობა ეხილოს. არც მისი დაბადების თუ გარდაცვალების ზუსტი თარიღი იცოდა ვინმემ აულში. მამაჩემის განსაქიქებლად შეთითხნილ ერთ განცხადებას თუ დაუუჭვრებთ, პაპა მუჰამედს ცოტაოდენი არაბულიც უნდა სცოდნოდა. სწორედ მისი სახელი დაარქვა მამაჩემმა თავის სიყრმის შვილს, ჩემს უფროს ძმას.

მამაჩემს ბიძა ჰყავდა, რომელიც ჩემი მეორე ძმის დაბადებამდე ცოტა აღრე მოკვდა, ბიძას ახილჩი ერქვა.

— ხედავთ, ახილჩი აღსდგა! — განიხარებდნენ აულის მკვიდრნი, როცა ჩვენს სახლში მეორე ბიჭი დაიბადა, — აღსდგა ჩვენი ახილჩი, სასიკეთო ყოფილიყოს და არა ავის მაუწყებელი მათი ღარიბული ქოხის ბანზე ყვავის დაჯდომა, ისეთი ღირსეული კაცი დამდგარიყოს, მისი სეხნია რომ იყო.

ჩემი დაბადების უამმა რომ მოაწია, მამაჩემს არც ნათესავეებში და არც მეგობრებში არავინ ეგულუბოდა ახლად გარდაცვლილი, ან უცხო მხარეში გადახვეწილი და პატივდებული, რომ მისი სახელი პატივით მეტარებინა. მე რომ დავიბადე, მამაჩემს ძეობაზე აულის დარბაისელნი დაუწყვევია. დინჯად და ისე ღირსეულად დაუკავებიათ თავიანთი ადგილები, თითქოს მთელი ქვეყნის ბედი უნდა გადაწყვიტონო. ბალხარელი შექოთნების ნახელავი გაბლენძილი დოქები გვერდით მოედგათ. დოქებში, ცხადია, ქაფიანი ბუზა იყო. მხოლოდ ყველაზე უხუცესს, თოვლივით თეთრი თმა-წვერი რომ ეფინა, არ ეკავა დოქი.

მეორე ოთახიდან დედა გამოვიდა: სწორედ იმ ბერიკაცის მკლავებში ჩამაგორა დედაჩემმა. ვფართხალბდი მოხუცის ხელებში, დედაჩემი კი ასე მიმართავდა მოხუცს:

— შენ ჩემს ქორწილში ხან ფანდური გექირა, ხან დაირა და ზედ დამღეროდი. ყურს ელამუნებოდა შენი სიმღერები. ახლა რას იმღერებ, როცა ჩემი ყრმა გიპყრია ხელთ?

— ო, დედაკაცო! სიმღერით შენ უმღერებ აკვნის რწვევისას, მერე დაე ჩიტებმა და მდინარეებმა უმღერონ, ხმლებმა და ტყეებმა, ბოლოს — გულისსწორმა უმღეროს ყველაზე საამოდ.

— მაშ სახელი დაარქვი. დაე, მე, დედამ, მთელმა აულმა, მთელმა დაღესტანმა გავიგონოთ სახელი, რომელსაც შენ ახლა წარმოთქვამ.

მოხუცმა ქოხის ჭერამდე ამწია და წარმოთქვა:

— გოგონას სახელი ვარსკვლავის ციმციმს ან ყვავილის სინაზეს უნდა ჰგავდეს. ვაეკაცის სახელში კი ხმლების წკრიალი და წიგნების სიბრძნე უნდა იყოს ხორცშესხმული. ბევრი სახელი წამიკითხავს წიგნებში, ბევრი სახელი მსმენია ხმლების წკრიალში, ჩემი წიგნები და ჩემი ხმლები ახლა ერთ სახელს ჩამჩურჩულებენ — რ ა ს უ ლ.

ის უხუცესი, წინასწარმეტყველს რომ ჰგავდა, დაიხარა ჩემს ყურთან

საქართველოს  
საბჭოთაო

და ხმამაღლა ჩამძახა: რასულ. შემდეგ მეორე ყურთან დაიხარა და ისევ ჩამძახა: რასულ! მერე ატირებული დედას ჩამაბარა და ყველას გასაგონად თქვა:

— აი, ესეც რასული!

ქოხში შემოკრებილებმაც დუმილით დაადასტურეს ჩემი სახელი. უფროსებმა ძირამდე დაცლილი დოკები გადმოაპირქვევეს. თითოეულმა მათგანმა ულვაშზე ხელი გადაისვა და ხმა ჩაიწმინდა.

ორ რამეს უნდა გაუფრთხილდეს ყველა მთიელი: ბოხოხს და სახელს. მძიმეა ნამუსის ქუდი, ასევე სახელიც. როგორც ჩანს, ბევრის მნახველმა ჭალარა მთიელმა, მრავალი წიგნი რომ გადაუჩხრეკია, ჩემს სახელში აზრი ჩააქსოვა.

რასული არაბულად „მოციქულს“ ნიშნავს, ან უფრო სწორად „წარმომადგენელს“. თუ ასეა, მაშინ მე ვისი „მოციქული“ ვარ, ვისი წარმომადგენელი?

უბის წიგნაკიდან. ბელგია. მსოფლიო პოეტების შეკრების მონაწილე ვარ, —სხვადასხვა ეროვნებისა და სხვადასხვა ქვეყნების პოეტებს მოუყრიათ თავი. ვინც გამოვიდა, ყველა თავის ხალხზე, მის კულტურაზე, მის პოეზიასა და ბედზე ლაპარაკობდა. ასეთი წარმომადგენლებიც იყვნენ: უნგრელი — ლონდონიდან, ესტონელი — პარიზიდან, პოლონელი — სან-ფრანცისკოდან. რას იზამთ, ბედმა გადაისროლა ისინი უცხო ქვეყნებში, მთებისა და ზღვის იქით, მშობლიურ მიწიდან შორს.

ყველაზე მეტად ერთი პოეტის გამოსვლამ გამაოცა:

— ბატონებო, თქვენ სხვადასხვა ქვეყნიდან შეიკრიბეთ აქ, თქვენ სხვადასხვა ერის წარმომადგენლები ხართ. მხოლოდ მე არა ვარ არც ერთი ხალხის, არც ერთი ქვეყნის წარმომადგენელი. მე ყველა ერის, ყველა ქვეყნის წარმომადგენელი ვარ, პოეზიის წარმომადგენელი, დიახ, მე პოეზია ვარ. მზე ვარ, პლანეტას რომ ანათებს, წვიმა ვარ, დედამიწას რომ რწყავს და თავის, ეროვნებაზე არ ფიქრობს. ხე ვარ, ერთნაირად რომ ჰყვავის დედამიწის სხვადასხვა კუთხეში.

ეს თქვა და ტრიბუნიდან ჩავიდა. ბევრი ტაშს უკრავდა. მე კი ფიქრობდი: ის მართალია. ცხადია, ჩვენ, პოეტები, მთელ სამყაროზე ვაგებთ პასუხს, მაგრამ ვისაც თავისი მთები არ უყვარს, მთელი პლანეტის წარმომადგენელიც ვერ იქნება. მე, მას სახლ-კარიდან აყრილ კაცს ვამსგავსებ, უცხო მხარის ქალი რომ შეუერთავს და სიდედრს დედას ეძახის. სიდედრების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ დედა ერთადერთია.

როცა გეკითხებიან ვინა ხარო, შეიძლება საბუთი წარუდგინო — პასპორტი, სადაც ყველა ძირითადი მონაცემია. ერს რომ ჩაჰკითხოთ ვინაობა, საბუთივით წარმოგიდგენთ თავის მეცნიერს, მწერალს, მხატვარს, კომპოზიტორს, პოლიტიკურ მოღვაწეს, მხედართმთავარს.



თითოეულმა ადამიანმა სიყრმიდანვე უნდა იცოდეს — ამქვეყნად იმიტომ მოვიდა, რომ თავისი ხალხის წარმომადგენელი გახდეს, მზად უნდა იყოს ამ როლის შესასრულებლად.

ადამიანს სახელს არქმევენ, ბოხოხსა და იარაღს აძლევენ, აკვიდნენ ასწავლიან მშობლიურ სიმღერებს.

რომელ მხარეშიც არ უნდა გადამაგდოს ბედმა, ყველგან იმ მიწის, იმ მთებისა და იმ აულის წარმომადგენლად ვთვლი თავს, სადაც ცხენის შეკაზმვა ვისწავლე. ყველგან ჩემი დაღესტნის სპეციალური კორესპონდენტი გახლავარ.

ჩემს დაღესტანში კი ვბრუნდები, როგორც ზოგადსაკაცობრიო კულტურის კორესპონდენტი, როგორც მთელი ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს წარმომადგენელი.

ო, როგორ მსურდა სხვა ქვეყნებისთვის მეჩვენებინა ჩემი მხარის კარგიც და ავიც-საესე ხურჩინი ზურგზე მეკიდა, მაგრამ ვერაფრით მოეხსენი თავი. ასევე მსურდა ჩემი ქვეყნისთვის სრულად მომეთხოო სხვათა საქმენი. მაიმე ზანდუკი მხარზე შევიდგი, მაგრამ ვერა და ვეღარ გავხსენი.

დავსხდებით ჩვენი ქოხის დატკეპნილ ბანზე და თანასოფლელები გამოშკითხავენ:

- ხომ არ შეხვედრიხარ შორეულ ქვეყნებში ჩვენებურ კაცს?
- არის სხვაგან ჩვენნაირი მთები?
- ხომ არ მოგეწყინა უცხო მხარეში, ჩვენი აული ხომ არ გახსენდებოდა?
- იციან იმ უცხო მხარეში რაიმე ჩვენზე? იციან, რომ ჩვენ ვცხოვრობთ დედამიწაზე?

მე ვბასუხობ:

— ისინი საიდან უნდა გვიცნობდნენ, როდესაც ჯერჯერობით ჩვენ თვითონ არ ვიცნობთ საკუთარ თავს ისე, როგორც საჭიროა. ჩვენ ერთი მილიონი ვართ, დაღესტნის მთების ქვის მუჭში მოქცეულნი.

— მოდი და შენც უამბე ჩვენზე. საუკუნეების მანძილზე წერდნენ ჩვენს ისტორიას ხანჯლები და ხმლები. ხალხის ენაზე გადაიტანე ეს ნაწერები. ეს შენ უნდა გააკეთო, ცადაში შობილმა. ისეთ რჩეულ რემად შეკრიბე შენი აზრები, სადაც ყველა ბედაური იქნება. ყველა ერთმანეთზე უკეთესი. გაუშვი ეს რემა სუფთა ფურცლებზე, საბალახოდ... დაე, აზრებმა ისე იწყონ ქენება ფურცლებზე, როგორც დამფრთხალმა ცხენებმა ან ჯიხვების ჯოგმა.

ნუ დამალავ შენს აზრებს, დამალავ და დაგავიწყდება. ასე ავიწყ-

დება ხოლმე ძუნწს, სად გადამალა ფული და კიდევ კარგავს თავისი სიძუნწის გამო.

და ნურც უთავებოლოდ დაფანტავ საკუთარ აზრებს. ძვირფასი ინსტრუმენტი ბავშვს არ უნდა მისცე სათამაშოდ, ბავშვი ან გატეხავს და ან დაკარგავს, ან ხელს გაიჭრის.

შენს ცხენს შენზე უკეთესად ვერაინ აულებს ალღოს.

ი გ ა ვ ი მ ა მ ა ჩ ე მ ი ს ბ ი ლ ი კ შ ე. ჩვენს პატარა აულ ცადა-დან დიდ აულ ხუნძახამდე სამინქანო გზა გადის. ხუნძახი რაიონული ცენტრია. მამაჩემი ხუნძახში ყოველთვის თავისი ბილიკით დადიოდა. მან აირჩია ეს ბილიკი, მან გაკვერა, ამ ბილიკზე დადიოდა ყოველ დილას და ყოველ საღამოს.

იმ ბილიკზე მამა საოცარ ყვავილებს პოულობდა ხოლმე და კიდევ უფრო საოცარ თაიგულს ჰკრავდა.

ზამთარში ბილიკის მარცხენა და მარჯვენა მხარეს ადამიანების, ცხენებისა და მხედრების პატარა ქანდაკებებს აკეთებდა თოვლისაგან. მერე ცადასა და ხუნძახის მცხოვრებნი მოდიოდნენ და ტკბებოდნენ ამ ქანდაკებებით.

დიდი ხანია გახმა და დაქკნა ის თაიგულები, დიდი ხანია დადნა თოვლის ქანდაკებები, მაგრამ დალესტნის ყვავილები, მთიელთა სახეები მამაჩემის ლექსებში ცოცხლობენ.

ერთხელ, როცა ყმაწვილი ვიყავი და მამა ცოცხალი მყავდა, ხუნძახში წასვლა მომიხდა. შარავზიდან გადავუხვიე, მამაჩემის ბილიკს უნდა დავდგომოდი. მოხუცმა მთიელმა დამინახა, შემაჩერა და მითხრა:

— მამაშენის ბილიკი მამაშენს დაანებე, საკუთარი ბილიკი ეძებე. დავუჭერე მოხუც მთიელს და ახალი გზის საქმენელად წავედი. გრძელი, დაკლავნილი სავალი ჰქონია ჩემს სიმღერას, მაგრამ მე მაინც ამ გზას მიეყვები და ყვავილებს ვკრეფ ჩემი თაიგულისათვის.

ამავე ბილიკზე დამებადა ამ წიგნის ჩანაფიქრი.

ჩანაფიქრი — ეს იგივე ჩასახვაა, ოღონდ დიდხანს უნდა ატარო და ტანჯვით უნდა შობო, წიგნი უნდა დაწერო.

სახელის შერჩევა ბავშვის დაბადებამდეც შეიძლება, მაგრამ აბა რა დავარქვა ჩემს წიგნს? ყვავილებს ხომ არ მოვტაცო მისი სახელი, ანდა ვარსკვლავებს? იქნებ სხვა ბრძნულ წიგნებში ამომეკითხა?

არა, ჩემს ცხენს სხვის უნაგირს არ დავადგამ, გარედან მიკოსებული სახელი შერქმეული, ზედმეტი სახელი იქნება და არა ნამდვილი.

ეს ასეა, მაგრამ სათაურს თუ ეძებ, შენს წიგნში ჩაქსოვილი შინაარსიდან უნდა გამოხვიდე, ამასთან შენ მიერ დასახული მიზნიდან. ბოხოხი უნდა მოირგო თავზე და არა პირიქით. სიმის სიგრძე ფანდურის სიგრძით განისაზღვრება.

ჩემი აული, ჩემი მთები, ჩემი დალესტანი, — აი, ჩემი ფიქრების.

ჩემი გრძნობებისა და მისწრაფებების ბუდე. ამ ბუდიდან ავფრინდი, როგორც დაფრთიანებული ბარტყი, ბუდიდან დამყვა ყველა სიმღერა. დალესტანი — ჩემი კერა, დალესტანი — ჩემი აკვანი.

მაშ რაღა საჭიროა ბევრი ფიქრი? მთაში ვაჟიშვილს ყველაზე უფრო ხშირად პაპის სახელს არქმევენ. წიგნი შენი პირმშო იქნება, შენ კი — შვილი დალესტანისა. მაშ დაერქვას წიგნს „დალესტანი“ და განა შეიძლება ამაზე უფრო შესაფერისი, უფრო მშვენიერი და სწორი სახელი?

ქვეყანას, რომელიც ელჩითაა წარმოდგენილი, მანქანაზე მიმაგრებული ღროშით ცნობენ. ჩემი წიგნი — ჩემი ქვეყანაა, სათაური — ღროშაა.

როცა კაცი წერს, მისი აზრები ყოველ ფურცელზე, ყოველ სტრიქონში ებრძვიან ერთმანეთს თითოეული სიტყვისათვის. აი, ჩემი აზრებიც ერთერთს ერკინებიან სათაურისათვის, როგორც მინისტრები, დღის წესრიგის განხილვისას რომ მოპყვებიან კინკლაობას რომელიმე საერთაშორისო სხდომაზე.

ამგვარად, ერთმა მინისტრმა წინადადება შემოიტანა, წიგნს დაერქვას „დალესტანი“. მეორე მინისტრს არ მოეწონა. წინ ქალაღდები გაიშალა და წარმოთქვა:

— ეს არ მოხდება, არ ვარგა, როგორ შეიძლება მთელი ქვეყნის სახელი დაერქვას ერთ პატარა წიგნს? ბავშვს მამის ბოხოსს არ დაახურავენ, — ჩაიმაღება.

— რატომაც არა? — პროტესტს აცხადებს მინისტრი, რომელმაც წინადადება შეიტანა, — როდესაც მთვარე ცაზე მიცურავს და ზღვისათუ მდინარის წყნარ ზედაპირზე აირეკლება, იმ ანარეკლსაც მთვარეს ვეძახით. ნუთუ ამ ანარეკლისთვის რაიმე სხვა სახელის მოგონებაა საჭირო. მართალია, ზღაპარში ერთხელ მეღამ მგელს მთვარის ანარეკლი დაანახვა, დაარწმუნა ლეგჩოხა, ქონის ნაჭერიო და ჭკუამოკლე მგელი წყალში გადაახტუნა, მაგრამ მეღა ხომ მატყუარა და ცბიერია.

— არ გამოდგება, არ ვარგა, — ჯიუტობს მეორე მინისტრი, — დალესტანი, უპირველეს ყოვლისა, გეოგრაფიული ცნებაა, მთები, მდინარეები, ხეობები, ნაკადულები, ზღვებიც გეოგრაფიული ცნებებია, როცა დალესტანს ახსენებენ, უპირველეს ყოვლისა, გეოგრაფიულ რუკას ვხედავო.

— ო, არა! — ვერევი მე, — ჩემი გული დალესტანითაა აღვსილი, მაგრამ იგი გეოგრაფიული რუკა არ არის. ჩემს დალესტანს, საერთოდ, არა აქვს არც გეოგრაფიული და არც სხვა რაიმე საზღვრები. ჩემი დალესტანი საუკუნიდან საუკუნეში არ გადადის თანამიმდევრული და წყნარი დინებით. ჩემი წიგნი, თუკი დაწვირე, დალესტანზე დაწერილ სახელმძღვანელოს არ დაემსგავსება. გადავადგილებ საუკუნეებს და შემდეგ ისტო-

ჩიული მოვლენების დედაარსს. ბალხის დედაარსს ავიღებთ, თავად ამ სიტყვის დედაარსს — „დალესტანი“.

თითქოს დალესტანი ერთადერთი და განუყოფელი უნდა იყოს ყველა დალესტნელისთვის და მაინც ყოველ მათგანს თავისი დალესტანი აქვს. მეც ჩემი საკუთარი დალესტანი მაქვს, რომელსაც მხოლოდ მე ვხედავ და მხოლოდ მე ვიცნობ. ის, რაც დალესტანში მინახავს, რაც განმიცდია, რაც ყველა დალესტნელს განუცდია — ჩემს წინამორბედს, თუ თანამედროვეს, ის სიმღერები და მდინარეები, ანდაზები და კლდეები, არწივები და ცხენის ნალები, მთის ბილიკები და მთაში გაეარდნილი ექოც ჩემშივე ძერწავდა ჩემს დალესტანს.

უ ბ ი ს წ ი გ ნ ა კ ი დ ა ნ . კისლოვოდსკი. პალატაში ორნი ვართ, მე და ერთი უზბეკი. მზის ამოსვლის და მზის ჩასვლის დროს ფანჯრიდან იალბუზის ორივე მწვერვალს ვხედავთ.

ეს ორი მწვერვალი, შამილის ორი უშიშარი მიუჩიის, ორი მეგობრის პრილობებით დაფარულ გაპარსულ თავებს ჰგავს, — გავიფიქრე მე. იმავე წუთში ჩემი მეზობელი მეუბნება:

— ეს ორთავიანი მთა ბუხარელ ჰალარა მოხუცს მაგონებს, ორი ლანგარი ფლაეი რომ მიჰქონდა, მაგრამ უცბად შეჩერდა და სული განაბა მის წინ გადაშლილი ხეობით მოხიბლულმა.

უ ბ ი ს წ ი გ ნ ა კ ი დ ა ნ . კალკუტაში დიდი რაბინდრანათ თავორის სახლში მის მიერვე დახატული ფრინველი ვნახე. ასეთი ფრინველი დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება და არც არასოდეს ყოფილა. ის თავორის სულში დაიბადა, იქ ცოცხლობდა, იგი მისი ფანტაზიის ნაყოფია. მაგრამ, ცხადია, თავორს რომ არასოდეს ენახა ნამდვილი ფრინველები, მაშინ ვერც თავისი გასაოცარი ფრინველის სახეს შექმნიდა.

მეც მყავს ასეთი საოცარი ფრინველი — ჩემი დალესტანი. ამიტომ, სათაური უფრო ზუსტი რომ იყოს, წიგნს „ჩემი დალესტანი“ უნდა დავარქვა. მისთვის კი არა, რომ იგი ჩემი საკუთრებაა, არამედ მისთვის, რომ ჩემი წარმოდგენა დალესტანზე განსხვავდება ყველასაგან.

მას გადაწყვეტილია: „ჩემი დალესტანი“, — ასეთი წარწერა ექნება ყდაზე.

რამდენიმე წამს მინისტრთა სხდომაზე სიჩუმე სუფევდა. არავინ დაობდა. მაგრამ უცებ მესამე მინისტრი, აქამდე რომ დუმდა, ახლა წამოდგა და ტრიბუნისაკენ გაემართა.

— ჩემი დალესტანი, ჩემი მთები, ჩემი მდინარეები. რა უჭირს, კარგია. საერთო საცხოვრებელში ცხოვრება მხოლოდ ახალგაზრდობაში, სტუდენტობის პერიოდში გარგებს, შემდეგში კაცს თავისი კუთხე უნდა ჰქონდეს, ის კი არა და ბინაც. „ჩემი კერა“ — ამის თქმა ცოტას ნიშნავს, კერიაზე ცეცხლი უნდა ენთოს. „ჩემი აკვანი“ — ესეც არაფერია, აკვანში ბავშვი უნდა იწვეს. „ჩემი დალესტანი“ — ამის თქმაც ადვილია.

ამ სიტყვებში იდგა უნდა იყოს — დაღესტნის ბედი, მისი დღევანდელი დღე. თავისი სიბრძნით განთქმულია დაღესტნელი პოეტი სულეიმან სტალსკი. მას ესმოდა ის, რისი თქმაც მე ახლა მინდა. აი მისი სიტყვები: „მე ლეკეთის, დაღესტნისა და კავკასიის პოეტი კი არა ვარ, სწავლეთა პოეტი ვარ. მე ჩემი უზარმაზარი ქვეყნის ბატონ-პატრონი ვარ“. აი, რას ამბობდა ჭაღარათმთიანი ბრძენი სულეიმანი. შენ კი დაგიყენია: ჩემი აული, ჩემი მთები, ჩემი დაღესტანი. კაცი იფიქრებს, თითქოს შენთვის დაღესტნით იწყება და დაღესტნით მთავრდება ქვეყნიერება. მაგრამ განა კრემლი ქვეყნიერების დასაწყისი არ არის? აი, ამას ვერ ეხედავ შენს სათაურში. შენ გულის ყაფაში შექმენი და შიგ გულის ჩადება კი დაგავიწყდა. თვალები შექმენი და მათი აზრით გაციცკროვნება დაგავიწყდა. უსიცოცხლო თვალები ყურძნის მარცვალსა ჰგავს.

ისროლა რა ტრიბუნიდან ნათელი შედარება, მესამე მინისტრი ზვიადად წავიდა თავისი ადგილისაკენ. ილლიაში ქაღალდები ამოეჩარა, ქაღალდებზე ციტატები იყო ამოწერილი სქელი და ძალზე სერიოზული წიგნებიდან. დამსწრეთ კი ისეთი თვალთ გადახედა, თითქოს მისი სიტყვების შემდეგ მათ სათქმელი არა დარჩათ რა. ისე როგორც აღარავისა აქვს სათქმელი მოსამართლის განაჩენის შემდეგ.

მაგრამ, აი, ტრიბუნაზე სხდომის კიდევ ერთი მონაწილე ავარდა. ცოცხალი, მხიარული და თითქოს სხეებზე უფრო ახალგაზრდაც იყო. მან ლექსით დაიწყო თავისი სიტყვა და არა ისე, როგორც სხვები იწყებდნენ:

მჯდომარე კაცზე ხომ ვერ იტყვი: იგი კოჭლია,  
ან მძინარეზე — უნაკლოა იგი თუ არა,  
მხნე ან ძაბუნი ხომ ჭამისას არ გამოჩნდება,  
და არც ღუმელში — გულმართალი ან მატყუარა.

— აი, რა მინდა ვთქვა, — განაგრძო მან. — ცხადია, კარგია, როცა იდგა გაქვს, მით უმეტეს ისეთი იდგა, რომელზეც წინა ორატორი ლაპარაკობდა. მაგრამ მეტისმეტად იდეური ამხანაგებიც ხომ არსებობენ. ასეთებისაგან თვითონ იდეას მხოლოდ ზიანი აღგება. მე გავახსენებთ ვინმე მიხეილს აულ ი ტ ლ ი დ ა ნ...

რადგანაც სხდომაზე რეგლამენტი არ იყო დაწესებული, ორატორმა თითქოს სხვათა შორის გვიამბო თავისი მიხეილის ამბავი.

ხუნძახის პარტიის რაიკომში მეჭინიბედ მუშაობდა ვინმე მიხეილ გრიგოლის ძე ჰუსეინოვი. სინამდვილეში ის სრულებითაც არ იყო მიხეილი, მუჰამედი ერქვა. სამოქალაქო ომის დროს სადღაც გადახვეწილა და მშობლიურ მხარეში მუჰამედად კი არა, მიშად დაბრუნდა. შეუცვლია თავისი დაღესტნური სახელი. ახლად გამოცხადებულ მიშას ასე უთხრა მოხუცმა მამამ:

— შავები ჩაიცვას შენზე დედაშენმა! თუმცა მუჰამედი მე დაგარქია.



მაგრამ ის ახლა შენი სახელია და უფლება გაქვს, როგორც გინდა ისე მოიქცე. მაგრამ ვინ მოგცა ჩემი შეხების უფლება? ვინ მოგცა უფლება, ჰასანი გრიგოლად რომ შეცვალე? მე შენი მამა ვარ და ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ! მე ჰასანად მოგვედები!

სამოქალაქო ომის მონაწილე უდრეკი აღმოჩნდა. იგი მიხეილ გრიგოლის ძედ დარჩა და ამ სახელით მუშაობდა ხუნძახის პარტიის რაიკომის მეჯინიბედ.

ერთხელ ჩვენმა მასწავლებელმა ჰაჯიმ საყვედური მიიღო იმისთვის, რომ მისი გარე ბიძაშვილის ნათესავი თავადი იყო, ჰაჯის კი ეს ანექტაში არ ჰქონდა აღნიშნული.

თავჩაქინდრული ბრუნდებოდა ჰაჯი შინ, აულ ბატლაიჩში და თან პარტიული სასჯელი მოჰქონდა. გზაზე რაიკომის მეჯინიბე მიხეილ გრიგოლის ძე წამოეწია, საუბარი დაიწყო. ჰაჯიმ თავისი უბედურება შესჩივლა.

— საყვედური ცოტაა შენთვის, პარტიიდან უნდა გაერიცხე, აბა როგორი პარტიული ხარ, როგორი კომუნისტი! ნამდვილი კომუნისტი თვითონ დაწერდა განცხადებას და გაგზავნიდა, სადაც საჭირო იყო. გარე ბიძაშვილი კი არა, თუგინდა ღვიძლი ძმა ყოფილიყო, ან მშობელი მამა...

მასწავლებელმა თავი ასწია, მიხეილს შეხედა და უთხრა:

— ეტყობა, ტყუილად არ გთვლიან ზეიდუურად, გაოცებული ვარ, ამდენ ხანს როგორ ვერ შესძელი დალესტინის მთების გასწორება. სწორი ადგილი „უფრო იდეურია“ და უფრო მარტივიც, ვიდრე ქვეიანი ციცაბო მთა, მაგრამ შენისთანებთან ლაპარაკიც არ ღირს.

ჰაჯიმ გზიდან ბილიკზე გადაუხვია, თუმცა ორივე ერთ აულში მიდიოდა.

— სად მიდიხარ? — გაუკვირდა მიხეილ გრიგოლის ძეს.

— სადაც არ უნდა მივდიოდე, შენი თანამგზავრი ვერ ვიქნები.

— კი მაგრამ, მე კომუნიზმში მივდივარ და შენ თუ საწინააღმდეგო მხარეს გინდა წასვლა...

— კომუნიზმშიც კი არ მინდა შენთან ერთად შესვლა. ვნახოთ, ვინ უფრო ადრე მივა კომუნიზმამდე.

ან კიდევ: იდუის კიდევ ერთმა ასეთმა ქომამმა განცხადება გაგზავნა რაიკომში: „ძალდატანებისა და ფიზიკური ზემოქმედების მიუხედავადაც კი ჩემი ცოლი არასაკმარისი გულმოდგინებით კითხულობს „სკკპ(ბ) ისტორიის მოკლე კურსს“. ვთხოვ რაიკომს, იმოქმედოს ჩემს ცოლზე მისი იდეური აღზრდის მიზნით“.

ან კიდევ: ერთხელ დალესტინის მწერალთა კავშირის კარზე ასეთი მკაცრი განცხადება გაჩნდა: „ღრმა თეორიული მომზადების გარეშე ამ კარში შესვლის უფლება არა გაქვს“.



სახელგანთქმული პოეტი აბუთალიბ გაფუროვი რაღაც საქმეზე მწერალთა კავშირში მიდიოდა, მაგრამ ეს გაფრთხილება რომ დაინახა, უკან გამობრუნდა.

ა ნ: მახანყალაში, მრავალეროვან ქალაქში, არის სხვადასხვა სასაფლაო: მართლმადიდებელთა, მუსლიმანთა, ებრაელთა... ერთი ზედმიწევნით იდეური ამხანაგი რესპუბლიკური აქტივის სხდომაზე გამოვიდა:

— ჩვენ ყოველდღიურად დაუღალავად ვიბრძვით ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის და ამავე დროს ამდენი სხვადასხვანაირი სასაფლაო გვაქვს. დროა დავაარსოთ ერთი საერთო სასაფლაო. მის სახელზეც შეიძლება ვიფიქროთ, ვთქვათ ასე დავარქვათ: „ერთი ოჯახის შვილები“. და საერთოდ... მაგალითად ჩემი მშობლები მორწმუნენი იყვნენ, ლოცულობდნენ. როგორ შემიძლია მე, 1937 წლიდან პარტიის წევრს, სასაფლაოზე მათ გვერდით წოლა? არა, დიდი ხანია დროა დავაარსოთ ჩვენს ქალაქში ახალი სასაფლაო, უფრო მაღალ იდეურ დონეზე.

ის უბედური ცოტა ხნის წინათ მომკვდარა, ისე რომ ახალ სასაფლაოს ვერ მოესწრო.

— აი, მეც ამას ვამბობ, — ხმას აუწია მინისტრმა და განაგრძო, — წიგნის სათაური ქუდივითაა, მაგრამ რომელი უფრო მნიშვნელოვანია, ქუდი თუ თავი? ახლა მოგიყვებით, როგორ დასდევდა სამი მონადირე მგელს დასაჭერად.

ჰქონდა თუ არა მონადირეს თავი? სამმა მონადირემ გაიგო, სოფლის ახლოს, ხეობაში, მგელი იმალებაო. გადაწყვიტეს მოეკლათ. ხალხში ბევრნაირად ჰყვებიან, როგორ დასდევდნენ მონადირეები მგელს დასაჭერად, ჩემს მეხსიერებას კი ბავშვობიდან ამგვარად შემორჩა:

მგელი გაუსხლტა მონადირეებს და გამოქვაბულში შექვრა. გამოქვაბულს მხოლოდ ერთი შესასვლელი ჰქონდა და ისიც ისეთი ვიწრო, რომ თავი შეეტეოდა და მხრები ვერა. მონადირეები ქვას ამოფეარნენ, თოფები შესასვლელს დაუმიზნეს და დაელოდნენ, როდის გამოქვრებოდა მგელი. მაგრამ მგელი არც ისეთი სულელი იყო და მოთმინებით ელოდა. ესე იგი, წააგებდა ის, ვისაც უფრო ადრე მოსწყინდებოდა ჯდომა და ლოდინი.

ერთ-ერთ მონადირეს მობეზრდა ამდენი ლოდინი. გადაწყვიტა, როგორმე შემძვრალიყო გამოქვაბულში და მგელი გამოეგდო. მიუახლოვდა ხვრელს-და თავი შეყო. მონადირეები დიდხანს უთვალთვალებდნენ ამხანაგს და უკვირდით, ან წინ რად არ მიიწევს, ან ამდენ ხანს გამოქვაბულში თავი რას შეუტრგიაო. მოსწყინდათ ლოდინი, გამოათრიეს ამხანაგი და რას ხედავენ — თავი აღარ ჰქონდა.

დაიწყეს მარჩიელობა, ჰქონდა თუ არა თავი მონადირეს, სანამ გა-

მოქცეაბულში შეძერებოდა. ერთი ამბობდა, მგონი ჰქონდაო, მეორე ამბობდა — მგონი არაო.

უთავო ტანი აულში მოიტანეს და მოყვნენ, რაც მოხდა. ერთმა მოხუცმა თქვა: რაკი მონადირე მგელთან შემძერალა გამოქცეაბულში, გამოდის, რომ თავი დაბადებითე არ ჰქონია... ამის გამოსარკვევად მონადირის დაქვრივებულ ცოლს მიაკითხეს.

— რა ვიცი ჰქონდა თუ არა თავი? ეს კი მახსოვს, ყოველ წელიწადს ახალ ბოხოხს აკერინებდაო.

იდეა საქმეში უნდა ჩანდეს და არა სიტყვებში. ის თვითონ წიგნის შინაარსიდან უნდა გამოსჭვიოდეს, ყდიდან კი არ უნდა ყვიროდეს. ბოლოში სათქმელი სიტყვა თავში კი არ უნდა სთქვა.

ახალდაბადებულს ხშირად თილისმას ჰკიდებენ ხოლმე გულზე, რათა იოლი ცხოვრება ექნეს, არ იავადყოფოს და დარდი და მწუხარება რაა, არ იცოდეს. მოდით, ნუ დავიწყებთ განსჯას, მართლა შევლის თუ არა რაიმეს თილისმა. ის კი ცნობილია, რომ თილისმას ტანსაცმლის შიგნით ატარებენ და არა ქვეყნის დასანახად.

ყველა წიგნში უნდა იყოს ასეთი თილისმა, რომელიც ავტორმა იცის, რომელსაც მკითხველები ხედებიან, ოღონდ სამოსელს ქვეშ არის დამალული.

ან და: როდესაც ურბეჩს აკეთებენ, შიგ ცოტა თაფლს უმატებენ ხოლმე. თაფლი დნება ტკბილსა და სურნელოვან სასმელში. მაგრამ მას ვერც თვალთ დაინახავ და ვერც ხელით შეეხები.

ან და: ბომბეიში ერთი წალკოტია, არასოდეს რომ არ ჰქნება და არც ხმება, თუმცა გარშემო გვალვა და ზვატია. თურმე ბალის ქვეშ თვალისთვის უჩინარი ტბაა და მაცოცხლებელ წვენს აწვდის ხეებს.

იდეა ის წყალი როდია, ზათქით რომ მოჰქუხს ქვებზე და შხეფებს ისერის, არამედ ის წყალია, უხილავად რომ ლამავს ნიადაგს, მცენარეების ფესვებს კვებავს.

— ეს რას ნიშნავს! — ფეხზე წამოხტა და ხელისგული მაგიდას დაარტყა მინისტრმა, წიგნებსა და ციტატებში რომ იყო ჩაფლული. — გამოდის, რომ არავითარი სხვაობა არ ყოფილა, რითი იქნება შემკული ქუდი, — თეთრი ჩალმით, წითელი ლენტით თუ ხუთქიმიანი ვარსკვლავით. თქვენის აზრით, სულ ერთი ყოფილა, რას ატარებს კაცი მკერდზე, წითელ ორდენს თუ შავ ჯვარს, ოღონდ გული ჰქონდეს კეთილი, არა? ადამიანი ტანუსელ პასანასავით ერთდამიამვე დროს გონოქში — მასწავლებელიც, გინიხტლში — კომსორგიც და ხუნძახში მოლაც არ უნდა იყოს. ეს წიგნსაც ეხება. არა, არა და არა. იდეა დროშაა და მისი თვალთაგან დაფარვა საჭირო არაა. იგი მალლა უნდა ავწიოთ და ისე უნდა ვატაროთ, რომ ყველამ დაინახოს და ყველა მას გამოჰყვეს.

— ოჰო! ცოლის ღალატი არ ასცდეს, ვინც შენს სიტყვებს ეურ-

ჩოს, — ისევე ჩაერია საუბარში უმრწემესი მინისტრი, — მაგრამ შენ ისე გინდა, დროშა ცალკე იყოს და იმ დროშის მხილველი ხალხი — ცალკე. ანუ იღვას დაშორებული იყოს ადამიანების სულსა და გულს. შენ რომ სხვადასხვა ურემზე სვამ მათ. მერე და ეს ურემები სხვადასხვა გზით რომ წავიდნენ? შენ ამბობ, ადამიანი უბრალოდ საბჭოთა ადამიანი უნდა იყოს და არა ავარიელი და დაღესტნელი, მაგრამ, აი, მე ავარიელი ვარ, დაღესტნის შვილი და ამავე დროს სსრკ მოქალაქე. განა ეს ცნებები ერთმანეთს გამოირიცხავს?

როგორც ცნობილია, დედამიწა კრემლიდან იწყება. ამას მეც ვეთანხმები. მაგრამ ჩემთვის ქვეყანა საკუთარი ოჯახით, ჩემი ქოხის ზღურბლით და ჩემი აულითაც იწყება. კრემლი და აული, კომუნისმის იდეები და სამშობლოს გრძნობა, — ფრინველის ორი ფრთა, ჩემი ფანდურის ორი სიმი.

— მაგრამ რატომ უნდა ვიკოქლოთ ცალი ფეხით? მაშინ წიგნისთვის მეორე სათაურიც უნდა მოვიფიქროთ, მისი შინაგანი არსის გამომხატველი.

სად არ ვეძებდი მას. ინდოეთში ვმოგზაურობდი და დაღესტანზე ვფიქრობდი. ამ ქვეყნის უძველეს კულტურაში, მის ფილოსოფიაში რალაც იღუმალი გამოძახილი მესმოდა. ჩემი დაღესტნის ხმა კი ჩემთვის სავსებით რეალურია, ის ხომ შორს ისმის მთელ დედამიწაზე. იყო დრო, როცა სიტყვა „დაღესტანს“ მხოლოდ დაცარიელებული ხეობები და კლდეები ეხმაურებოდნენ. ახლა ეს სიტყვა მთელ მსოფლიოს ესმის და მილიონთა გულებში პოულობს გამოძახილს.

დაღესტანზე ვფიქრობდი ნეპალის ბუდას ტაძრებშიც, სადაც ოცდაორი მკურნავი წყარო მოედინება. მაგრამ ნეპალი ჯერ კიდევ დაუწახანაგებელი აღმასია და მას ჩემს დაღესტანს ვერ შევადარებდი, რადგან დაღესტნის აღმასს უკვე არა ერთი მინა გაუჭრია.

აფრიკაშიც ვფიქრობდი დაღესტანზე. აფრიკამ ქარქაშიდან ოდნავ ამოზიდული ხმალი გამასხენა. სხვა ქვეყნებშიც: კანადაში, ინგლისში, ესპანეთში, ეგვიპტეში და იაპონიაშიც დაღესტანზე ვფიქრობდი, მათ შორის განსხვავებასა და მსგავსებას ვეძებდი.

და, აი, ერთხელ, იუგოსლავიაში მოგზაურობის დროს ადრიატიკის ზღვის ნაპირას მდებარე გასაოცარ ქალაქ დუბროვნიკში მოვხვდი. ამ ქალაქში ქუჩები და სახლები ხეობებსა და კლდეებს ჰგავს. გრანიტოვან ქარაფებზე უამრავი ქიმი და მოედანია. სახლში შესასვლელი ხშირად კლდეში გამოკვეთილ გამოქვაბულის შესასვლელს ჰგავს. მაგრამ გვერდით თანამედროვე სახლებია აღმართული, შუა საუკუნეების თუ უფრო შორეულ წარსულის მომიჯნავედ.

მთელ ქალაქს ჩვენი დერბენდივით გალავანი არტყია. ამ გალავანზე მოვფოფხავდი. ვიწრო ოღრო-ჩოღრო ქუჩებს ავყვები, ქვის კიბეებით გალავნის გასწვრივ თანაბრად დაშორებული ქვის კოშკებია ჩაშენებული. ყოველ კოშკში ორი სათოფურია დატანებული ორი მკაცრი თვალივით. ეს კოშკები იმამის მიურიდებს ჰგავს, უცვლელად და უღალატოდ რომ ასრულებენ მოვალეობას.

გალავანზე აფოფხებულმა სათოფურიდან გახედვა დაეპირე. მაშინვე მოვახერხებდი, მაგრამ ტურისტები მოზღვავებულიყვნენ და სათოფურთან ახლოს ვერ მივედი. შორიდან კი სათოფურში მხოლოდ რაღაც ცისფერ პატარ-პატარა ნაკუწებს ვარჩევდი. ეს ნაკუწები სათოფურის ოდენა იყო, თვითონ სათოფური ხელისგულის ოდენა.

როცა სათოფურამდე მივაღწიე და სახე ახლოს მივიტანე, გავოცდი, იანვრის მზის ქვეშ ალივლივებული უზარმაზარი ზღვა დავინახე, — იგი ლბილი იყო, მაინც ხომ ადრიატიკის ზღვაა, სამხრეთის ზღვა; ამასთან მკაცრიც, რადგან იანვარი იდგა. ზღვა ცისფერი კი არ იყო, გარდამავალ ფერებში ლიცლიცებდა, კბოდეებს ახეთქებდა ტალღებს. ზარბაზნის გრიალით იმსხვრეოდა ტალღა და ისევ უკან მიგორავდა. ზღვაზე გემები დაცურავდა. თითოეული მათგანი ჩვენი აულისოდენა იყო.

სწორედ იმ დროს, ტურისტების ზურგს უკან რომ ვიდექი და ფეხისწვერებზე ვიწეოდი, — ვცდილობდი ამ უზარმაზარი სამყაროსათვის შემეხედა, როცა ფანჯარას მივუახლოვდი და გავიხედე, ისევ დაღესტანი გამახსენდა.

ისიც ხომ მუდამ უკან იდგა და თავის ჯერს ელოდა, ისიც ხომ ფეხისწვერებზე იწევედა, მასაც წინ გასულ ბედნიერთა ფართო ზურგები ეფარებოდა. ახლა კი თითქოს თვითონაც ციხესიმაგრეთა კედლის პატარა ფანჯრიდან დაინახა მთელი სამყარო. ახლა თვითონ შეერწყა ამ ვეებერთელა სამყაროს. და თავისი ზნე-ჩვეულებანი, სიმღერები და ღირსება წილად შეიტანა.

სხვადასხვა დროის პოეტები ათასნაირ სახეებს ეძებდნენ, რათა ხორცი შეესხათ მათს სულში აღბეჭდილი სახეებისთვის. სევდიანმა მომღერალმა მაჰმუდმა დაღესტნის ხალხებზე თქვა: ისინი მთის წყაროებს ჰგვანან, დღენიადაგ ერთ ნაკადად შეერთებისკენ რომ ისწრაფვიან, მაგრამ ვერ ახერხებენ და თითოეული ისევ თავისი გზით მიედინება. ისიც თქვა, დაღესტნის ხალხები რაღაცით ვიწრო ხეობის ყვავილებს მაგონებენ, ერთმანეთისკენ რომ იხრებიან, და მაინც ვერ გადახვევიან ერთმანეთს. მაგრამ განა ახლა დაღესტნის ხალხები ერთ მთის ნაკადად არ არიან შეერთებული? განა ერთ თაიგულად არ არიან შეკრული?

ბ ა ტ ი რ ა ი მ თ ქ ვ ა : ბნელ კუთხეში მიგდებულ გლეხკაცის გაცვეთილ ტყავუქს ჰგავს მთის ხეობაში შეყუებული დაღესტანიო.

მამაჩემმა დალესტნის ისტორია რომ წაიკითხა, ყანწს შეადარა იგი, ხელიდან ხელში რომ აწედიან ლოთები ერთმანეთს ქეიფის დროს.

მე რაღას შეგადარო, ჩემო დალესტანო? როგორი სახე უნდა მთქმე ძებნო, რომ ჩემი ფიქრები გამოეხატო შენს ბედ-იღბალზე და შენს ისტორიაზე? შეიძლება შემდეგში უკეთესი და უფრო ღირსეული სიტყვები ვიპოვო, დღეს კი ვამბობ: „უზარმაზარი მსოფლიო ოკეანის გადასახედი სარკმელი ხარ“.

აი, იმ წიგნის მეორე სათაური, ამხანაგო მინისტრებო, რომლის დაწერასაც ვაპირებ. გასაგებია, ასე შეიძლება თქვეან თავის-თავზე სხვა ქვეყნებმაც, ჩემი დალესტნის მეზობლებმა. მერე რა, დე, ჰყავდეს დალესტანს სეხნიები.

ამრიგად, აჰა ბოხოხიცი — „ჩემი დალესტანი“ და აჰა ვარსკვლავი ამ ბოხოხზე — „მსოფლიო ოკეანის გადასახედი სარკმელი“.

მოემართე ჩემი ორსიმიანი ფანდური, რაკი უნდა დავუყრა. უკვე ძაფიც ავაგე ნემსზე, რაკი კერვას ვაპირებ.

ჩემმა მინისტრებმა დაადასტურეს წიგნის სათაური, როგორც რომელიმე საერთაშორისო სხდომაზე ადასტურებენ მინისტრები დღის წესრიგს.

ხ დ ე ბ ა ხ ო ლ მ ე: ორი ძმა მშვიდობიანად მგზავრობს ერთი ცხენით. ასეც ხდება: ერთ ჯიგიტს ორი ცხენი მიჰყავს ერთი აღვირით წყლის დასალევად.

ა ბ უ თ ა ლ ი ბ მ ა თ ქ ე ა: ერთმა ისეთი ქუდი იყიდა, ლევ ტოლსტოი რომ იხურავდა, მაგრამ ისეთი თავი სადღა იყიდოს?

ა მ ბ ო ბ ე ნ: სახელი კარგი ჰქვია, მაგრამ საქმე ისაა, როგორი ადამიანი გაიზრდებო.

## ამ წიგნის ფორმის გამო, როგორ უნდა დაიწეროს იგი

ქარქაშში მძინარე განგდება ხანჯალი  
შინ მქლომი ვაჟაკი გახდება ლაჩარი.

წ ა რ წ ე რ ა ხ ა ნ ჯ ა ლ ზ ე .

ძაფი კი ავაგე ნემსზე, მაგრამ, რომ  
არ ვიცი, როგორი ახალუხი შევიყვრო,  
სიმი კი მოეჭიმე, მაგრამ, რომ არ ვიცი,  
რა დავამღერო?

კარგადაა დაქედილი ჩემი დაუდგრომელი ერთგული ცხენი. თვი-  
თონ გაუუსინჯე ყველა ფეხი და ნალების სიმაგრე შეეუმოწმე. შევკაზმე

და მოსართავი ისე მოვუჭირე, თითს ვერ დაატან, მარჯვედაა ცხენი შეკაზმული.

ადვირი მოხუცმა მომცა ხელში, იგი რალაკით მამაჩემს მაგონებს, პატარა მკვირცხლთვალეებიანმა გოგონამ მათრახი გამომიწოდა. მეზობელი ქოხიდან განზრახ გამოვიდა ჩემს შესახვედრად წყლით სავსე დოქით მთიელი ქალი და გზა დამილოცა. ბედნიერ მგზავრობას გისურვებ, ბახარჩი, — ლოცვას მაწევდა ყველა, ქვეითად რომ ჩავატარე ცხენი მთელს აულში. აულის ბოლოში ახალგაზრდა მთიელმა ქალმა ფანჯარაზე ანთებული ლამპა შემოდგა. აი, რა მითხრა ამით:

— არ დაგავიწყდეს ეს ფანჯარა, არ დაივიწყო ეს შუქი. იგი არ ჩაქრება, სანამ უკან არ დაბრუნდები, შორეულ გზებზე გაგინათებს ღამეებსა და წლებს. ხოლო როცა მოგზაურობით დაქანცული მშობლიურ აულს მოუახლოვდები, ეს შუქი შემოგანათებს პირველად თვალებში. დაიმახსოვრე ეს ფანჯარა.

უკან მოვიხედავ, ერთხელ კიდევ რომ შევევლო თვალი მშობლიურ აულს, ბანზე დედაჩემს ვხედავ. წელში გამართული დგას, მარტომ-მარტო. თანდათან პატარავდება და ბრტყელი ბანის ჰორიზონტალურ ხაზებზე ვერტიკალურ ჯოხად მოჩანს. გზის კიდევ ერთი მოსახვევი და მთამ გადახერგა ჩემი აული. უკან ვიხედები და მთის გარდა ვეღარაფერს ვხედავ.

წინაც მთაა, მაგრამ ვიცი, მთის იქით უზარმაზარი სამყაროა, სხვა აულებია, დიდი ქალაქები, ოკეანეები, სადგურები, აეროდრომები და წიგნები.

ისმის ცხენის ფლოქვების თქარათქური მშობლიური დალესტნის ქვიან გზებზე. მალლა ცაა, არშიად რომ შემოვლებია მთის მწვერვალებში. ის ხან მზითაა გაჩახახებულნი და ხან ვარსკვლავებით მოთესილი, ხან ღრუბლებით იხუნძლება და მიწას წვიმით რწყავს.

დადექ, პაიტ, ცხენო ჩემო,  
დადექ, საით იქიარი,  
ხელებს ვიქნეს დედასავეთ  
მოწყენილი კიშკარი.  
— აჩუ, გასწი, ცხენო ჩემო,  
უკან ნუ იხედები,  
მიგელიან სხვა სოფლები,  
სხვა გზები და ქედები.

საით მივდივარ? როგორ ავირჩიო სწორი გზა? როგორ დავწერო ახალი წიგნი?

უბის წიგნაკიდან. ახლა დალესტანში ახალგაზრდები ეროვნულ ტანსაცმელს არ ატარებენ. შარვლებით, კოსტუმებით, ტენისუ-

რებითა და პალსტუხიანი პერანგებით დადიან, როგორც მოსკოვში, თბილისში, ტაშკენტში, ღუშამბესა და მინსკში.

ეროვნულ ტანსაცმელს ახლა მხოლოდ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მსახიობები იცვამენ. ასეთ ტანსაცმელში გამოწყობილ ადამიანს ქორწილში თუ შეხვდება კაცი. ზოგჯერ დაღესტნური ტანსაცმელი თუ დასკირდება ვინმეს, მეგობრებს ან ნაცნობებს სთხოვს, ან კიდევ გამჭირავებელი პუნქტიდან მოაქვს, საკუთარი არა აქვს. ერთი სიტყვით, ეროვნული ტანსაცმელი იკარგება, რომ არა ვთქვათ, უკვე დაიკარგაო.

მაგრამ საქმე ისაა, ზოგიერთ პოეტს ლექსის ეროვნული ფორმაც ეკარგება და ამით ამაყოფს კიდევ.

მეც ევროპული კოსტიუმი მაცვია, არც მე დავდივარ მამაჩემის ჩოხით, მაგრამ მე ჩემს ლექსებს უსახო კოსტუმს არ ჩავაცვამ. მინდა, ჩემი ლექსები დაღესტნის ეროვნულ სამოსელს ატარებდეს.

მე რა ვარ! რამდენიმე ათეული წელი უნდა ვიცოცხლო. ეს წლები იმ პერიოდს დაემთხვა, როცა ყველას შარვლები, მაღალყელიანი ფეხსაცმელები და პიჯაკები აცვიათ. ლექსებს თავისი სიცოცხლე აქვთ, დაბადებისა და სიკვდილის საკუთარი დრო. ჩემს ლექსებზე არაფერს ვამბობ. იქნებ მათ ჩემზე დიდხანს ვერ იცოცხლონ.

მოსკოვში ბებერი მუხა ვნახე. ამბობენ, ივანე მრისხანემ დაარგო. მაშასადამე, სანამ იგი ტანს აიყრიდა, ხალხი ჯერ ბოიარული ტანსაცმლით დადიოდა, შემდეგ კამზოლებითა და შებუდრული პარიკებით, შემდეგ ცილინდრებითა და შავი ფრაკებით. მერე ბუდიონოვკებითა და ტყავის ქურთუკებით, შემდეგ უბრალო პიჯაკებით და ფართო შარვლებით. მერე კი შარვლებით... მუხა კი თითქოს ასე ეუბნებოდა ხალხს: ემანდ ძირს იფუსფუსეთ, რამდენიც გენებოთ, ახალ-ახალი ტანსაცმელი იცვით, თუ სხვა საქმე არა გაქვთ. მე ჩემი დანიშნულება მაქვს — დავიჭირო მზის სხივები და მაგარ მერქნად გარდავქმნა, რკობადაც, საიდანაც ასეთივე ღონიერი ხეები აღმოცენდება.

მთაში ამბობენ, ტანსაცმელი კაცად აქცევს ადამიანს, ცხენი კი მამაცადო. ეს ანდაზა ლამაზად ჟღერს, მაგრამ სამართლიანად არ მიმაჩნია, გმირი მაინცდამაინც ვეფხის ტყავში არ იბადება, ფოლადის აბჯარქვეშ ხშირად ლაჩრის გულიც ძვერს ხოლმე.

რ ა მ ე თ უ: არა ერთხელ მომიფხანია ქინჩი, ლამაზი საზამთროს გული თეთრი და უგემური რომ გამომდგარა.

რ ა მ ე თ უ: ერთმა უნცუკულიელმა შეყვარებული ნაბადში გაახვია და ისე მოიტაცა, მაგრამ ნაბადი რომ გახსნა, თავისი შეყვარებულის უკბილო ბეზია შერჩა ხელთ.

რ ა მ ე თ უ: აბუთალიზმა მიამბო, როგორ მიიწვიეს ერთხელ შორეულ აულში ქორწილზე, — იქ ზურნა უკრავდა, მშვენიერი ქორწილი იყო, აულის წინ მინდორზე სამი დღე ჰყვიტინებდა ზურნა, ხარხარებ-



და დოლი, კენესოდა ვიოლინო, იფხრიწებოდა გარმონი და წკრიალვბ-  
და სიმღერა, როგორც დაღესტანში იტყვიან: „დამ-დამიც“ იყო და „ჩამ-  
ჩამიც“. ესე იგი, კარგი სიმღერებიც იყო და კარგი სატყელოც. მთელი  
აული მოსულყო ქორწილში და დიდთან-პატარაანად ყველა ცეკვავდა.

ქორწილის მესამე დღეს შულტამ თამადის დავალებით ხმამაღლა  
გამოაცხადა, ახლა წრეში საცეკვაოდ ნეფე-პატარაძალი გამოვავ. ნეფეს  
ყველა ხედავდა ამ სამი დღის განმავლობაში, პატარაძალს კი ფატი  
ჰქონდა სახე დამალული, სამი დღე უყურებდა აბუთალიბი მის მორ-  
თულ-მოკაზმულობას. სამოსის სიჭრელე კავკასიური პოეზიის ანთო-  
ლოგიის ფერადოვან ყდას აგონებდა.

როცა პატარაძალი ადგა და საცეკვაოდ წრეში გავიდა, აბუთალიბი  
ცოტა არ იყოს, შეაერთო მისმა კომპლექციამ. დედოფალს მხოლოდ  
„გოსლიტიზდატის“ მიერ გამოცემულ ყირგიზულ ებოსს „მანასს“ თუ  
შეადარებდით, ისეთი ძონძროხა იყო. პატარაძალი რიდეს მოსახსნელად  
მოემზადა, ყველა გაისუსა, აბუთალიბმაც განაბა სული. აი, პატარაძალ-  
მა მოიხადა თავსაფარი და დადგა წუთი, რომელსაც სამ დღეს ელოდე-  
ბოდნენ.

დედოფლის ერთი თვალი ხუნძახისაკენ იყურებოდა, მეორე კი —  
ბოტლიხისკენ. თვალებს შუა, რომლებსაც გულმოსულად შეექციათ  
ერთმანეთისთვის ზურგი, უგერგილოდ გახიდულიყო ძალიან გრძელი  
ცხვირი...

დაღონდა აბუთალიბი. აღარც ზურნის დაკერა შეეძლო და აღარც  
ჰამის თავი ჰქონდა. დატოვა ქორწილი და წავიდა.

მე მგონი აბუთალიბმა ცოტა გააზვიადა ეს ამბავი.

და მაინც: კარგი გაფორმება ცუდ წიგნს ვერ იხსნის. წიგნის  
სწორი შეფასებისათვის საჭიროა მასაც ავხადოთ ჩადრი.

რამეთუ იყო წელიწადი, როცა სათანადო სიმაღლეზე, „მთელი  
სიმწვავით“ დადგა მთიელი ქალის მდგომარეობის საკითხი, მამაკაცის  
დამოკიდებულება მისადმი.

იმ წელიწადს ქმარს სიტყვის შებრუნება არ შეეძლო ცოლისთვის.  
ჩვეულებრივი ოჯახური წაკამათებისათვისაც კი ქმარს რაიკომში იბა-  
რებდნენ და საყვედური გამოჰქონდათ. უკმაყოფილო რომ არაეინ ყო-  
ფილიყო, პირველად რაიკომის აპარატის ყველა თანამშრომელს გა-  
მოუტანეს საყვედური. იმ წელიწადს მალ-მალე იწვევდნენ მთიელ  
ქალთა ყრილობებს, სადაც იმდენი სიტყვა იხარჯებოდა, რამდენიც  
ერთად აღებულ ყველა ყრილობაზე არ დახარჯულა.

იმ წელიწადს საკვირაო ბაზარზე ერთი ზონზროხა ქალი გამოჩნდა.  
ეს ქალი სხვადასხვა აკრძალული საქონლით ვაჭრობდა. მილიციელი  
ვერაფერს უბედავდა, რათა არ შეებღალა მთიელი ქალის დამოუკი-



დებლობა და თანასწორუფლებიანობა. მესამე კვლავ მჭიდროდ  
გააფრთხილა მოვაჭრე ქალი, მეხუთე კვირას კი, მ. ხუციშვილს მისი  
დენიათ და, მისი მილიციაში წაყვანა გადაწყვიტა.

გზაში ყველა მილიციელზე უთითებდა, უკვირდა  
დამოუკიდებელი, მონობიდან გათავისუფლებული ქალის დაქვრათ

ბაზრის ჯგუფთაში ვაჭარი ქალის კარგად დათვლიერება ძნელი  
იყო, ახლა კი ზოგიერთმა დეტალმა მილიციელის ყურადღება მიიპყრო.  
მაგალითად ბოლოკაბის ქვეშ ვეებერთელა ჩექმები გამოჩნდა. „ეს რა-  
ლაც უცხო ჩიტი უნდა იყოსო“, — გაიფიქრა მილიციელმა და ქალს  
პირსაბურავი მოაგლიჯა, მილიციელს ბრგვე მამაკაცის გადმოკარკლული  
თვალები შეეფეთა. კლდეზე ამოსული ასკილის ბუჩქივით ეკიდა ულ-  
ვაშები.

ზოგიერთი მხატვარი, რომელსაც არც ნიჭი აქვს, არც მოთმინება  
და არც სიამაყე, თავის საქონლის გასასაღებლად სხვის ტანსაცმელში  
ეწყობა და ცდილობს ფორმის ბრწყინვალეობით დათაროს აზრის უძლუ-  
რება.

მაგრამ ბოხოხის გვერდზე მოგდება რას გიშველის, კუჭი თუ ცა-  
რიელი გაქვს.

ასევე, წიწილასაც ვერ დაკლავ ხის ხანჯლით, რაც არ უნდა  
ლამაზი იყოს იგი, ასეთი ხანჯლით მხოლოდ წვიმის ძაფს თუ გადაჭრი.

ასევე, თოჯინების დაქორწინებით ბავშვები არ იბადებიან.

ასევე, როცა ბიჭს წინდაცვეთას უპირებენ, ბატის ფრთას აჩვენ-  
ებენ, მაგრამ ამას მხოლოდ მოსატყუებლად სჩადიან. ბატის ფრთით  
წინდაცვეთას ვერ მოახერხებ, ამისათვის ბასრი დანაა საჭირო.

მაგრამ მკითხველები ბავშვები არ არიან, რომ მოვატყუილოთ და  
დავამშვიდოთ, არც მე ვარ მსახიობი, ქარქაშით მუყაოს ხანჯალი ვატა-  
რო, თუნდაც ქარქაში ნამდვილი იყოს და მოოქრულიც.

ცხადია, ქარქაშიც საჭიროა, — უიმისოდ ხანჯალი დაიქანგება,  
ისიც კარგია, როცა ქარქაში ლამაზია;

ცხადია, როცა ჯიგიტი ძვირფასი ნადავლით ბრუნდებოდა თა-  
რეშიდან, ცოლი აბრეშუმის საბურავს ახვევდა ცხენს კისერზე;

ცხადია, ჩლუნგი ენა ყველაზე უფრო მახვილი აზრისათვის იგი-  
ვეა, რაც მგელი კრავისათვის.

ცხადია, საუკეთესო ურემიც კი დაინჯღრევა ცუდ გზაზე და შე-  
იძლება უფსკრულშიც კი გადაიჩეხოს.

ცხადია, ცხენის ზურგს სახედრის უნაგირი ვერ დაამშვენებს,  
არც სახედარს მოუხდება ფიცხი ბედაურის მოსართავი.

ახლა მოგიყვებით არაკს ერთ ბალყარელზე და მის ჯაგლაგზე.

არაკი ბალყარელსა და მის ჯაგლაგზე. ერთმა ბალ-

ყარელმა თავისი ჯაგლაგი ცხენი ქოთნებით, დოქებით, ლამბაქებით დატვირთა და აულეებში სავაჭროდ გაემგზავრა.

ავარიელთა აულში ამ დღეს დოლი იყო. ფიცხი ჯიგიტები კიდევ უფრო ფიცხ ბედაურებზე ამხედრებულ იყვნენ. ჯიგიტებიც სახელგანთქმული იყვნენ და ცხენებიც. ჯიგიტები ტანადი და ლამაზები იყვნენ, მათი ცხენები კიდევ უფრო ლამაზები და მოყვანილები, ჯიგიტთა თვალებიდან სიმამაცე და აზარტი გამოკრთოდა, ბედაურთა თვალებში მოუთმენლობა კვესავდა.

მხედრები უკვე მწყობრში დგებოდნენ, მოედანზე მშვიდად რომ შემოვიდა ბალყარელი თავისი ჯაგლაგით. ბალყარელი თვლემდა. მის ცხენს კი თითქოს სიარულში ჩასძინებოდა. ახალგაზრდა ჯიგიტებმა სიცილი დააყარეს ბალყარელს.

— მოდი, შემოგვიერთდი.

— მოდი, შენს ჯაგლაგსაც ბედაურებში ჩაეწერთ.

— ვითომ რითაა შენი ცხენი ჩვენს ბედაურებზე ნაკლები?

— წამოდი, წამოდი, თორემ ვინ აკრეფს ჩვენი ცხენების ავარდნილ ნალებს?

დაცინვის საბასუხოდ ბალყარელმა აუჩქარებლად ჩამოხსნა ქოთნები, დოქები და ლამბაქები, მშვიდად დააწყო ერთად ნივთები, მშვიდად შეჭდა ცხენზე და ჯიგიტებთან დაიკავა ადგილი.

ბედაურები ფლოქეებით მიწას თხრიდნენ, ყალყზე დგებოდნენ, ბალყარელის ცხენს კი თავი ჩაეჩინდრა და თვლემდა.

და აი დაიწყო დოლიც. გრიგალივით გაიჭრნენ ფიცხი ცხენები, ავარდა მტვრის კორიანტელი და ამ კორიანტელში სულ ბოლოს ბალყარელის ცხენიც გაეხვია. დამთავრდა ერთი წრე, მეორე, მესამე, ყველა ამჩნედა, რომ ცხენები დაწყდნენ, ზურგზე ბული ასდიოდათ, ნაფერთალებად სცვიოდა ქაფი გახურებულ მტკერში. ბედაურებს ფეხები ეკვეთებოდათ. ჭენებას უკლეს. ამაოდ შოლტავდნენ მათრახებით, ამაოდ ურტყამდნენ ჯიგიტები ფერდებში ქუსლებს. ვერავითარი ძალა ვერ აიძულებდა მათ ფეხი აეჩქარებინათ, მხოლოდ ბალყარელის ჯაგლაგი მირბოდა ძველებურად, არც ნელა მიდიოდა და არც კისერს იმტვრევდა, ჯერ ჩამორჩენილ ცხენებს დაეწია, შემდეგ მეწინაეებს გაუსწორდა, და ბოლოს, მეათე წრეზე იმათაც გაასწრო.

ბალყარელის თავჩაქინდრულ ჯაგლაგს საპრიზო ხელსახოცი შემოახვიეს ყელზე. პატრონმა მშვიდად მიიყვანა ცხენი ქოთნებთან, დატვირთა და გზა განაგრძო.

დოდზე უფრო ხშირად ლიტერატურაში ხდება ხოლმე მსგავსი ამბები.

უბის წიგნაკიდან. ადვილად დაწერილი ლექსები ძნელად იკითხება, ხოლო ძნელად დაწერილი ლექსები ადვილად. ფორმა და



შინაარსი ისევია, როგორც ადამიანი და ტანსაცმელი. თუ ადამიანი კარგია, ჭკვიანი და კეთილშობილი, რატომ არ უნდა ატაროს შესაფერისი ტანსაცმელი, თუ ადამიანს ლამაზი სახე აქვს, რატომ აზრებენ არ უნდა ჰქონდეს ლამაზი.

ძალიან ხშირად ქალები ლამაზები არიან, მაგრამ ჰკუამოკლენი. ხშირად ძალიან ჭკვიანი ქალი ულამაზოა. ასევეა ხელოვნების ნაწარმოებებიც.

არიან ისეთი ბედნიერი ქალები, გარეგნობითაც რომ ბრწყინავენ და გონებითაც. იგივე შეიძლება ითქვას ნამდვილად ნიჭიერი პოეტების წიგნებზეც.

ერთმა მაალიელმა თქვა: „როგორც კი გამოჩნდება უღელტეხილზე ჩვენს აულში მომავალი კაცი, მაშინვე მივხედები, კარგი ადამიანია ის, თუ ცუდი“.

ერთმა ყუბაჩელმა თქვა: „ოქრო თუ ვერცხლი თავისთავად არაფერია, ოსტატს უნდა ჰქონდეს ოქროს ხელი“.

კარგ ლექსს ლამაზი სიტყვები არა სჭირია სულაც, თიხისგან გამოძერწილა ულამაზესი სურა.

წარწერა დოქზე.

ამ ქვეყანაზე თხუთმეტი ათას დღეზე მეტი ვიცხოვრე. რა გზებზე არ ვიარე. ათასობით ადამიანს შევხვდი, შთაბეჭდილებები ისევე უხვია, როგორც მთის ნაკადულები გაზაფხულისას, მაგრამ როგორ შეეკრა ისინი წიგნად? წიგნის დაწერა იგივეა, რაც ველზე განიერი და ღრმა კალაპოტის გაჭრა. მაგრამ ეს ამოცანის მხოლოდ ნახევარია. მთის ყველა ნაკადული უნდა შეერთდეს და ამ კალაპოტით უნდა განაგრძოს დინება. როგორ შევძლო ეს? კიდევ რა არის საჭირო ცხოვრების ცოდნის გარდა? ლიტერატურის თეორია? მაგრამ ლექსის წერაზე ფიქრს კი არ უნდა გადაყვე. ლექსი უნდა დაწერო.

უნდა მოგახსენოთ, რომ არც ერთი ლიტერატურული სკოლით და მიმდინარეობით არ ვარ გატაცებული. მე მყავს საყვარელი მწერლები, მხატვრები, ოსტატები.

უბის წიგნაკიდან. ლიტერატურულ ინსტიტუტში ერთ ავარიელს გამოცდაზე ჰკითხეს: რა განსხვავებაა რეალიზმსა და რომანტიზმს შორისო. როგორც ჩანს, ავარიელს ამ თემაზე არ ჰქონდა წიგნები წაკითხული, პასუხი კი უნდა გაეცა. ავარიელმა მოიფიქრა და ასე უპასუხა პროფესორს: რეალიზმია, როდესაც არწივს არწივს უწოდებ, რომანტიზმი — როდესაც მამალს უწოდებ არწივსო.

პროფესორმა გაიცინა და საგანი ჩაუთვალა ჩემს თანამემამულეს.

რაც შემეხება მე. მუდამ ვცდილობ ცხენს ცხენი ვუწოდო, ვირს — ვირი, მამალს — მამალი და კაცს — კაცი.

ადამიანს საკუთარი კერა უნდა ჰქონდეს, თვითონ რომ დაანთოს ცეცხლი. სხვის ცხენზე ამხედრებული კაცი ადრე თუ გვიან პატრონს დაუბრუნებს ცხენს. სხვათა აზრებით აღკაზმვა რას გარგებს, სჯობს ჰქონდეს საკუთარი აზრი.

გავბედავ და ლიტერატურას ფანდურს შევადარებ, მწერლებს კი სიმებს, თითოეულ სიმს თავისი ხმა აქვს. თავისი ქლერადობა, მაგრამ ერთად აკორდს ქმნიან.

ავარიულ ფანდურს მხოლოდ ორი სიმი სჭირდება, მამაჩემზე ამბობდნენ, ავარიული ლიტერატურის ფანდურზე მესამე სიმი გაქიმაო.

ნეტა მეც მივალწიო სხვებისაგან განსხვავებულ ქლერადობას. ნეტა მეც კიდევ ერთ სიმად მივემატო ჩვენს უძველეს ავარიულ ინსტრუმენტს.

არ მინდა, იმ მონადირეს მივბაძო, ბაზარზე რომ იყიდის ირემს და შინ თავს იწონებს, თავად მოვკალიო.

ან და ასეც ხდება ხოლმე, ხმა გავარდება, ერთ ხეობაში მონადირემ უზარმაზარი ჯიხვი მოკლაო და აი ყველა მონადირე იმ ბედნიერი ხეობისკენ გარბის. მაგრამ ახლა იგივე მონადირე ვეებერთელა დათვის მოკლავს და მონადირეების ჯგროც იქით გარბის. ამასობაში იმ მონადირეს ვეფხვის კვალი აუღია... ვინ არის ნამდვილი მონადირე, ვინც თვითონ ეძებს ნადირს, თუ ვინც სხვას მისდევს უკან? ასეთებს სხვისი ხაფანგიდან ნადავლის გამოხსნისაც არ შერცხვებათ.

ისინი ზოგიერთ მწერლებს მაგონებენ. ისე როდი შეიძლება, როგორც ერთი ჩემი ნაცნობი მოიქცა. მას შემდეგ, რაც კორნეი ივანეს ძე ჩუკოვსკი გაიცნო, ისე გამედიდურდა, აბუთალიბს ვითომდა ველარც ცნობდა.

ზღვამდე მიღწეულმა ნაკადულმა, თვალუწვდენელი ლურჯი სივრცე რომ იხილა და ამ დიად სილურჯეს შეუერთდა, არ უნდა დაივიწყოს მაღალი მთის წყარო, საიდანაც იწყება მისი სავალი დედამიწაზე. არც ის ქვიანი, ვიწრო, ოღრო-ჩოღრო და დაკლაკნილი გზა უნდა დაივიწყოს, მას რომ გადაულახავს.

ღიახ, მე მთის ნაკადული ვარ, მიყვარს ჩემი სათავე, ჩემი წყარო, ჩემი ქვიანი კალაპოტი, მიყვარს ის ჩაბინდული ხეობები, ჩემი წყალი რომ მოედინება. ის კლდეები, ვერცხლისფერ ჩანჩქერებად რომ ვეკიდები. ის წყნარი და მდორე ადგილები, სადაც ჩემი წყალი სიღრმეს იძენს და ახლომდებარე მთებსა და ვარსკვლავიან ცას ირეკლავს.

იმას არ ვამბობ, მხოლოდ ხეობები მეყოფოდამეთქი. მივედინები — ესე იგი, მიზანი მაქვს, მხოლოდ წინაგრძნობა კი არა მაქვს. ვიცი და ვხედავ ზღვის უსაზღვროებას. მე ავარიელი პოეტი ვარ. მაგრამ

ვეგრძნობ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას არა მარტო ავარიტანის, არა მარტო მთელი დაღესტნის, არა მარტო ჩემი ქვეყნის, არმედ მთელი პლანეტის წინაშე. მეოცე საუკუნეა, სხვანაირად ცხოვრება არ შეიძლება.

მ ი ა მ ბ ე ს: ჩემი დაბადებიდან ცოტა ხნის შემდეგ მამა იძულებული ყოფილა დროებით სამუშაოდ გადასულიყო აულ არადერისში. მამაჩემის ცბენს უნაგირზე ორი საგზაო გულა, ორი ხურჯინი ჰქონია გადაკიდებული. ერთში მთელი ჩვენი საშინაო ხარახურა ყოფილა: ტანსაცმელი, ფქვილის ნარჩენი, ქუმელი, ქონი და წიგნები. მეორე გულიდან მე მქონია თავი ამოყოფილი.

მგზავრობის დროს დედაჩემი ავად გამხდარა. აულში ერთი საწყალი მარტოხელა ქალი უპოვიათ, რომელსაც ცოტა ხნის წინ მოკვდომოდა ბავშვი. ამ არადერისელმა მაწოვა ძუძუ. ის გახდა ჩემი ძიძა და ჩემი მეორე დედა.

ამგვარად, ორი ქალია ქვეყანაზე, რომლებთანაც ვალში ვარ. რამდენ ხანსაც არ უნდა ვიცოცხლო, რაც არ უნდა გავაკეთო ამ ქალებისთვის, რაც არ უნდა მოვიმოქმედო მათი გულისთვის, ვერასოდეს ვერ გადავიხდი ამ ვალს. შვილი ვერასდროს გადაიხდის მშობლების ამავს.

ამ ორი ქალიდან ერთი ჩემი დედაა, რომელმაც მშობა, მან პირველმა დამირწია აკვანი და ნანა მიმღერა. მეორეც ჩემი დედაა, მაშინ მაწოვა ძუძუ, როცა სასიკვდილოდ ვიყავი განწირული. თბილი სიცოცხლე ჩამიღვარა სხეულში და სიკვდილის ეიწრო ბილიკიდან სიცოცხლის ფართო გზისკენ გადავუხვიე.

ორი დედა ჰყავს ჩემს ხალხსაც, ჩემს პატარა ქვეყანასაც და ჩემს თითოეულ წიგნს.

პირველი დედა მშობლიური დაღესტანია. აქ დავიბადე, აქ გავიგონე პირველად მშობლიური სიტყვა, აქ ავიდგი ენა და ძვალსა და რბილში გამიჯდა იგი. აქ მოვისმინე მშობლიური სიმღერები, აქ ვიმღერე პირველი სიმღერა. აქ გავუსინჯე პირველად გემო წყალსა და პურს. ბავშვობაში წვეტიან ქვებზე ფოფხვის დროს დაგლეჯილ ხელ-ფეხს მიკურნავდა მშობლიური მიწის წყალი და ბალახი. მთიელები ამბობენ, არ არსებობს ისეთი სენი, რომლის განმკურნებელი ბალახიც ჩვენს მთებში არ მოიძებნებოდესო.

ჩემი მეორე დედა დიდი რუსეთია. ჩემი მეორე დედა მოსკოვია. მან გამზარდა, დამაფრთიანა, ფართო გზაზე გამომიყვანა. თვალუწვდენელი პორიზონტები, მთელი სამყარო დამანახვა. ორივესაგან დიდად ვარ დავალეებული. მაჰმუდი და პუშკინი — ეს ორი პორტრეტი, ეს ორი ხალიჩა ჰკიდია ჩემი სახლის კედელზე.

პეტერბურგის თეთრი ლამეების სიგრილით გაქლენთილ ბლოკის ტომებში ავარიის მალალმთიანი მდელოების არა ერთი ცეცხლოვანი ყვავილი იყო დანთქმულს.

ორი დედა — როგორც ორი ფრთა, როგორც ორი ხელი, ორი ტვალი, ორი სიმღერა. ორი დედა მეალერსებოდა, ყურსაც ორივე მიწვედა, თუ საჭირო იყო. ორი დედა ჭიმავედა სიმებს ფანდურზე. თითო-თითო სიმს. მათ ამიტაცეს მაღლა, ჩემს აულზე მაღლა, მათი მხრებიდან დავინახე ჭვეყნიერება. როგორც არწივემა არ იცის ფრენის დროს, რომელი ფრთა უფრო საჭირო და ძვირფასია, ასევე არ ვიცი, რომელი დედა უფრო ძვირფასია ჩემთვის.

წინათ მთიელები ყველა დაავადებას მხოლოდ ბალახითა და წყლით მკურნალობდნენ. ექიმბაშების სჯეროდათ. თუმცა ისეთი ექიმბაშებიც ყოფილან, რომლებსაც დღესაც იხსენიებს ხალხი. ეს ექიმბაშები თავის ტკივილის მოსარჩენად შავ ცხვარს აკვლევინებდნენ.

ყველა ავარიელმა იცის, შავი ცხვრის ხორცი უფრო სურნელოვანი და გემრიელია, ვიდრე თეთრისა ან რუხის. ავადმყოფს ექიმბაში ორთქლიან ტყავს ახვევდა თავზე და აიძულებდა ასე მჯდარიყო. ხორცი კი შინ მიჰქონდა.

ასეთ ექიმბაშებზე ნუ ვილაპარაკებთ. მაგრამ ნამდვილად იყვნენ კარგი მკურნალებიც და კარგი ხალხურე წამლებიც გვქონდა.

ერთხელ მამაჩემი მოსკოვში იწვა კრემლის საავადმყოფოში. დალესტნის ბალახი და წყალი გაიხსენა და ვაჟიშვილებს სთხოვა, ბუცხრაკის ქედის პატარა წყაროს წყალი მოეტანათ. მამის სიტყვა შვილებისათვის კანონია. წავიდნენ დალესტანში, ბუცხრაკის ქედზე აფოფხდნენ, იპოვეს წყარო და წყალი წამოიღეს კრემლის საავადმყოფოში მწოლიარე ავარიელი პოეტისათვის. მამამ დალია წყალი და თითქოს შვება იგრძნო. მორჩა კიდევ, მაგრამ არ იცოდა, რომ სწორედ იმ დღეს დაუწყეს ახალი საზღვარგარეთული წამლების შესახაულება.

იქნებ მარტო მსოფლიო სამედიცინო მეცნიერების მიერ შექმნილ წამლებს არ განუკურნავს მამაჩემი, იქნებ არც მარტო ავარიულ წყალს, ჩვენს ხალხურ წამალს ეშველა, მაგრამ ორივემ ერთად კი ჯანი დაუბრუნა.

სწორედ ასე უნდა იყოს ლიტერატურაშიც. მისი სათავე — მშობლიური მიწა, მშობელი ხალხი, მშობლიური ენაა. მაგრამ დღეს თითოეული ჰემმარიტი მწერლის შემეცნება სცილდება ვიწრო ეროვნულობის საზღვრებს: დღეს ზოგადსაკაცობრიო, ზოგადადამიანური აღლევებს მის გულსა და გონებას:

გზაზე მიდის მოგზაური,  
ზურგით მიაქვს საგზალი,  
გთხოვ, დამიგდო, მგზავრო, ყური,  
აქაურ წესს გასწავლი.

სადაც მიხვალ, დამიჯერე,  
მივიღებენ ხალსით,  
ყანწს მოგაწვდის მასპინძელი  
და პურს დიასახლისი.



გზაზე მიდის მოგზაური  
მომაპყარი, მგზავრო, ყური,  
იარაღში ჩამჭდარი,  
რად გქირდება აბჯარი?

სიყვარულით დაგხვდებიან  
სტუმარს გულით საფიცარს,  
გზად თუ მტრები დაგხვდებიან,  
მასპინძელი დაგიცაეს.

გზაზე მიდის მოგზაური,  
მილილინებს სიმღერებს,  
მომაპყარი, მგზავრო, ყური,  
მთები ფიქრებს გიმხელენ.

სიმღერაზე კარგი რაა?  
ჰოდა ერთსაც გასწავლი:  
მთაში მხოლოდ სიმღერაა  
იარაღიც, საგზაოც.

ამგვარად, ექიმს თუ შევადარებთ მწერალს, მაშინ მან როგორც უძველესი ხალხური საშუალებების, ისე უახლესი მსოფლიო მიღწევების გამოყენება უნდა შეძლოს.

თუ მწერალს ქვეითად მოგზაურს შევადარებთ, მაშინ მან, უცხო ხალხის სტუმარმა, გულში უნდა შეინახოს მშობლიური სიმღერები, მაგრამ იმ სიმღერებსაც უნდა გამოუძებნოს ადგილი, მასპინძლები რომ იმღერებენ.

ერთნი აცილებენ და მეორენი ხვდებიან. სიმღერით კი ყველგან მღერიან.

როცა ჩვენს აულებში პირველი ლექტორები და მომხსენებლები გამოჩნდნენ, ქალები ლექტორებისაკენ ზურგშექცევით სხდებოდნენ და სახეს მალავდნენ. ხოლო ლექციის შემდეგ მომღერალი რომ გამოვიდოდა, ცრურწმენას არ დაგიდევდნენ და სიმღერის სიყვარულით პირს იბრუნებდნენ. ის კი არადა, ჩადრის ახდის უფლებაც ეძლეოდათ.

არ არის დღე, არ არის წუთი, ის სიმღერა რომ არ ცოცხლობდეს, ის სიმღერა რომ არ ჟღერდეს ჩემში, რომელსაც დედა მიმღეროდა აკვანთან. ეს სიმღერაა ყველა ჩემი სიმღერის აკვანი. იგი ხან ბალიშია, დაღლილი თავი რომ მიდევს ზედ და ხან ცხენი, აქეთ-იქით რომ დამაქრო-



ლებს. იგი წყაროა, მწყურვალი რომ ვეწაფები ხოლმე, კერაა რომ მათ-  
ბობს და იმ სითბოთი ვცოცხლობ.

ჩვენ ნაირ-ნაირი ანკეტების შევსებას ვართ შეჩვეული. ვინ მოსთე-  
ლის, რამდენი შემთხვევა და არც ერთ ანკეტაში არ შევხვედრივარ კითხ-  
ვას, მიყვარს თუ არა ჩემი სამშობლო. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თით-  
ქოს, ასეთი სიყვარული არ არსებობდეს.

მეორე მხრივ, ბევრს არაფერს ნიშნავს იმის დაწერა „სსრკ მოქალა-  
ქე“ — უნდა იყო ისეთი მოქალაქე, არაფერს ნიშნავს „სკკპ წევრის“  
დაწერა — ნამდვილად უნდა იყო პარტიის წევრი. „მშობლიური ენა —  
ავარიული“ არც ეს ნიშნავს რამეს, ეს ენა ნამდვილად მშობლიური  
უნდა იყოს, უნდა გვეყოს ვაჟაკობა, არ ვულაატოთ მას.

ჩამოდით ჩემთან, მესტუმრეთ თქვენი სიმღერებით! — მოდით, რო-  
გორც ძმები და დები, ყველას მიგიღებთ, ყველასთვის იქნება ადგილი  
ჩემს გულში.

ძველად მთიელი უნაგირზე შემოსმულ სხვა ეროვნების ქალს თუ მო-  
იყვანდა ხუნძახში, მოხუცი მთიელები არ უწონებდნენ საქციელს და  
საყვედურობდნენ. ახლა მოხუციც შეგუებულია ამას და ახალგაზრდაც.  
ავარიელის ქორწინება ნებისმიერი ეროვნების ქალთან სასირცხვოდ  
აღარ ითვლება. მხოლოდ ერთ ქორწინებას ჰკიცხავენ ხოლმე — უსიყ-  
ვარულო ქორწინებას.

ეს ხომ ასეა, — რაც უფრო მრავალფეროვანია ყვავილები, მით  
უფრო ლამაზია მათგან შეკრული თაიგული. რაც უფრო მეტი ვარსკე-  
ლავია ცაზე, მით უფრო ნათელია ზეცა. ცისარტყელაც მითომაა ლა-  
მაზი, რომ ყველა მიწიერ ფერს შეიცავს.

აფრიკაში ერთი საოცარი, არაჩვეულებრივი ყვავილი ვნახე. ყვა-  
ვილის თითოეულ ფურცელს თავისი ფერი, თავისი სურნელი და სახე-  
ლი აქვს. ერთი სიტყვით, ღეროზე შესანიშნავი მზა თაიგულია ამოზრ-  
დილი, მაგრამ ეს მაინც ერთი ყვავილია.

მე მინდა, ჩემი ავარიული წიგნი ზღაპრულ აფრიკულ ყვავილს  
ჰგავდეს. დაე ყველამ ჰპოვოს მასში ის, რაც მისთვის ახლობელი და  
მშობლიურია.

წინ მიწყვიტა ყველაფერი, რამაც ეს წიგნი უნდა შექმნას. როგორც  
კარგ ყუბაჩელ ოსტატს, მეც ყველაფერი ხელთა მაქვს, იმას ვერცხლი,  
ოქრო, მჭრელი ხელსაწყოები, ჩაქუჩები, თეგები, შანთები და ნახა-  
ტები აქვს, მე კი — მშობლიური ენა, ცხოვრების გამოცდილება, ადა-  
მიანების პორტრეტები, ხასიათები, სიმღერის მელოდოები, ისტორიის  
გრძნობა, სამართლიანობის გრძნობა, სიყვარული, მშობლიური ბუნე-  
ბა, მამაჩემის ხსოვნა, ჩემი ხალხის წარსული და მომავალი. ოქროს  
ზოდი ჩემს ხელთაა, მაგრამ მაქვს თუ არა ოქროს ხელი? მეყოფა ნიჭი  
და ოსტატობა? როგორ მოვიქცე, რომ ათრთოლებულ პატარა ჩიტი-

ვით გადმოგცემ ხელში ჩემი სიმღერა, რომ ისე დაუკითხავად და გაუფრთხილებლად აგვისოთ გული, როგორც სიყვარული გვიცებს ხოლმე.

ხელახლა ვარჩევ ყველაფერს, რაც ხელთა მაქვს, რაც ჩემს სამუშაო მაგიდაზეა.

ამ ბოზენ, დე ცოლი გაქცევს იმ ჯიგიტს, ვისაც ცხენი არა ჰყავსო.

კიდევ ამ ბოზენ, დე ცოლი გაქცევს იმ ჯიგიტსაც, ვისაც უნავირი ან მათრახი არ მოეძებნებაო ცხენისათვის.

ამ ბოზენ, ნუ ეცდები არწივის თივით გამოკვებას და ხორციტ სახედრისასო.

ამ ბოზენ, ლამაზი სახლიც დაინგრევა, თუ მყარი კედლები არა აქვსო.

ამ ბოზენ, ქათამს დაუსიზმრა, თითქოს არწივი იყო, კლდიდან გადაფრინდა და ფრთები მოიმტვრიაო.

ესიზმრა ნაკადულს, თითქოს დიდი მდინარე იყო. ქვიშაზე გაიშალა და უმაღვე დაშრა.

## 355

აკენიდან ჩვილის ტირილი და ღუღუნე ისმის,  
რას ჰირვეულობს? ერთი სიტყვაც არ გვესმის მისი,  
მაგრამ დრო მოვა და ქვეყანას ეტყვის პირადად,  
ვინ არის იგი, ქვეყანაზე რად დაიბადა.

წარწერა აკვანზე.

პოეტი სამყაროს შექმნამდე ასი წლით  
აღრე დაიბადა. კაცი, რომელმაც ენა არ  
იციის და ლექსების წერას გადაწყვეტს,  
შეშლილს ჰგავს, აქაფებულ მდინარეში  
რომ გადახტა და ცურვა არ იცის.

ზოგიერთები იმიტომ კი არ ლაპარაკობენ, რომ მნიშვნელოვანი  
აზრები აწუხებთ, არამედ იმიტომ, რომ ენა ექაგებათ, ზოგიერთები  
იმიტომ კი არ წერენ ლექსებს, რომ გულში დიდი გრძნობები აღარ ეტე-  
ვათ, არამედ იმიტომ, რომ... ძნელი სათქმელია, რამ დააწყებინათ ლექ-  
სების წერა, მათი ლექსების ეღერადობა ტომარაში ჩაყრილი ხმელი  
კაკლების ჩხრიალსა ჰგავს.

ამ ადამიანებს არ უნდათ დაინახონ, რა ხდება ქვეყანაზე. არ უნდათ  
მოისმინონ და გაიგონ, როგორი თანხმეირებით, როგორი სიმღერებითა  
და მელოდებით არის აღვსილი სამყარო.

საკითხავია, რისთვის აქვს ადამიანს თვალები, ყურები და ენა? ან რატომ აქვს ორი თვალი, ორი ყური და მხოლოდ ერთი ენა? სანამ ენის წვერი რომელიმე სიტყვას წარმოთქვიმს, ორმა თვალმა უნდა დაინახოს და ორმა ყურმა უნდა მოისმინოს.

ენას გაცდენილი სიტყვა მთის ხვეული ბილიკიდან დაბლობისაკენ დაშვებულ ცხენს ჰგავს. საკითხავია, შეიძლება კი ისეთი სიტყვის თქმა, გულიდან რომ არ მოდის?

არ არსებობს უბრალო სიტყვა. ის ან წყევლაა ან დალოცვა, ან სილამაზე, ან ტკივილი, ან ქუჩკვი ან ყვავილი, ან სიცრუე, ან სიმართლე და ან სიბნელე.

ამბობენ, სიტყვა იყო პირველად,  
იშეა ქვეყანა და არსებობს დღემდე ურყევად,  
რა სიტყვა იყო ასე უცხო და საკვირველი,  
ფიცი? ბრძანება? ლოცვა-კურთხევა?

ბოროტისაგან რომ დავიცვათ ქვეყნის მშენებმა,  
მოგვეციოთ სიტყვა, სიტყვა საჭირო.  
დე იყოს ფიცი, თუნდა ლოცვა, თუნდ შეჩვენება,  
ოღონდ ქვეყანა გადავარჩინოთ.

ერთი ამხანაგი მეუბნებოდა, ჩემი სიტყვის უფროსი მე ვარ, მინდა გავტეხავ და მინდა არაო. შეიძლება იმ ამხანაგს ეს არ ენებს, მაგრამ მწერალი თავისი სიტყვის ნამდვილი პატრონი უნდა იყოს, თავისი ფიცისა და წყევლის ერთი და იმავე მიზეზის გამო ორჯერ არ უნდა დაიფიცოს. და საერთოდ, ჩემის აზრით, ვინც ხშირად იფიცება, მატყუარაა.

თუ ეს წიგნი ნოხს ჰგავს, ეს იმიტომ, რომ ხუნძური ენის ნაირფერი ძაფებისაგან ვქსოვ; თუ ცხვრის ტყავის ქურქს ჰგავს, ეს იმიტომ, რომ ხუნძური ენის მაგარი ძაფებით ვაგვირისტებ.

ამბობენ, ძველად, დიდი ხნის წინათ, აგარიულ ენაში ძალზე ცოტა სიტყვა იყო. ცნებები: „თავისუფლება“, „სიცოცხლე“, „სიამაღაცე“, „მეგობრობა“, „სიკეთე“ ან ერთი და იმავე სიტყვით გამოიხატებოდა. ან ისეთი სიტყვებით, რომლებიც ძლიერ ჰგავდნენ ერთმანეთს ქლერადობით ან შინაარსით. დაე ილაპარაკონ, რომ ლარიბია ჩვენი პატარა ერის ენა. მე ჩემს ენაზე ვიტყვი ყველაფერს, რაც მომინდება. ჩემი გრძნობებისა და აზრების გამოსახატავად სხვა ენა არ მჭირდება.

დალესტანში ლაკების მცირე ტომი ცხოვრობს, ლაკურ ენაზე ორმოცდაათი ათასამდე კაცი ლაპარაკობს. ზუსტად დათვლა ძნელია, რადგანაც ზოგიერთმა ბავშვმა ჯერ ლაპარაკი არ იცის, ისეთებიც არიან. მამების ენა რომ დავიწყნათ.

ცოტანი არიან ლაკები, მაგრამ ასეა თუ ისე, დედამიწის რომელ

კუთხეში არ შეხვდებით მათ, ქვიანი მიწა და სიღარიბე აბრუნებდათ ეხეტიალათ. ყველანი შესანიშნავი ხელოსნები იყვნენ: ხარბები, ოქრომჭედლები, მკალავები, ზოგიერთნი კი მოხეტიალე მჭამლეობა დალესტანში ასე იტყვიან ხოლმე: ფრთხილად გავერთხილეთ, რომ შეგინდან ლაკი ამოხტებაო.

უცხო მხარეს მიმავალ შვილს ასე აბარებდა ლაკი დედა: „ქალაქურ თეფშიდან ფაფას რომ შექამ, ნახე, ფსკერზე ჩვენებური კაცი არ იყოს დამალული“.

და აი რას გვიამბობენ: ერთ დიდ ქალაქში, არ ვიცი, ლენინგრადსა თუ მოსკოვში, ლაკი დაეხეტებოდა, უცბად დალესტანურ ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი დაინახა. მშობლიურმა სიომ დაპბერა, ლაპარაკი მოუნდა მასთან. მიიბრინა თანამემამულესთან და თავის ენაზე დაელაპარაკა. თანამემამულემ ვერაფერი გაუგო და თავა გააქნია. ლაკმა ყუმუხურ ენაზე სცადა ლაპარაკი, თათურზე, შემდეგ ლეკურზე... დალესტანელმა ვერც ერთ ენაზე ვერ აუბა მხარი. იძულებული გახდნენ, ისევ რუსულისთვის მიემართათ. გამოირკვა, რომ ლაკი ხუნძს გადაპყროდა. ხუნძმა ლანძღვა დაუწყო თანამოსაუბრეს.

— რა დალესტანელი ხარ, სადაური ჩემი თანამემამულე, ავარიული ენა თუ არ იცი. დალესტანელი კი არა და უტვინო აქლემი ყოფილხარ.

ამ კამათში მე ჩემი თვისტომის მხარეს ვერ დავიჭერ. რას ერჩოდა საწყალ ლაკს, რასაკვირველია, შეიძლება იცოდეს ავარიული ენა, მაგრამ შეიძლება არ იცოდეს იგი. რაც მთავარია, ლაკმა მშობლიური ენა იცოდა. გარდა ამისა, კიდევ რამდენიმე ენა, რომლებიც ავარიელისთვის უცნობი იყო.

ერთხელ აბუთალიბი მოსკოვში იყო სტუმრად. ქუჩაში გამვლელს ჰკითხა, ბაზარი სად არისო. გამვლელი ინგლისელი გამოდგა. ეს არც გასაკვირია, მოსკოვის ქუჩებში უამრავი უცხოელი მიდი-მოდის.

ინგლისელმა ვერ გაუგო აბუთალიბს და ინგლისურად ჰკითხა, რა გინდაო. შემდეგ ფრანგულად ჰკითხა, მერე ესპანურად, შეიძლება სხვა ენებიც გამოიყენა.

აბუთალიბი კი ჯერ რუსულად უხსნიდა, შემდეგ ლეკურად, შემდეგ ლაკურად, შემდეგ ყუმუხურად. თანამოსაუბრეებმა ვერაფერი გაუგეს ერთმანეთს, ისე დაშორდნენ. ერთი ძალიან კულტურული დალესტანელი, ორი ღერი ინგლისური რომ იცოდა, შემდეგში ასე არიგებდა აბუთალიბს:

— აი, ხედავ, რას ნიშნავს კულტურა, უფრო კულტურული რომ ყოფილიყავი, ინგლისელთან ლაპარაკს შეიძლებდი, გასაგებია?

— გასაგებია, — უბასუხა აბუთალიბმა. — მაგრამ რატომ მაინც-დამაინც ინგლისელი უნდა ითვლებოდეს კულტურულად. იმანაც ხომ არ იცოდა ის ენები, რომლებზეც მე ვლაპარაკობდი.

ჩემთვის ხალხთა ენები იგივეა, რაც ვარსკვლავები ცაზე. არ ვისურვებდი, ყველა ვარსკვლავი ერთ ვეებერთელა ვარსკვლავად ქცეულიყო და ცის ნახევარი დაეთარა. მაშ მზე რაღად არსებობს! მაგრამ დაე, ვარსკვლავებმაც ანათონ! დაე, ყოველ ადამიანს თავისი ვარსკვლავი ჰქონდეს!

მე მიყვარს ჩემი ვარსკვლავი — ჩემი მშობლიური ავარიული ენა. მჯერა იმ გეოლოგებისა, რომლებიც ამბობენ, პატარა მთაშიც შეიძლება ბევრი ოქროს აღმოჩენაო.

— ალლაჰმა წაართვას შენს შვილებს მშობელი დედის ენა, — ასე დაწყევლა ერთმა ქალმა მეორე.

წყევლის გამო. როდესაც პოემა „მთიელ ქალს“ ვწერდი, ერთ ადგილას პოემის გმირი ავი ქალისთვის წყევლა უნდა მეთქმევიწინებინა. მითხრეს, ერთ-ერთ შორეულ აულში ხნიერი დედაკაცი ცხოვრობს, წყევლა-კრულვაში ვერც ერთი ქალი ვერ ჯობნისო. მაშინვე გავემგზავრე ამ საოცარი ქალის მოსაძებნად.

გახაფხულის ერთ მცინარ დილას, როდესაც წყევლა-კრულვა კი არა, სიმღერა და სიხარული გინდა, მინიშნებული სახლის ზღურბლს გადაეაბიჯე და გულლიად ვუთხარი მოხუცს, რისთვისაც ვიყავი მისულისი. შენი ყველაზე საშინელი წყევლა მინდა მოვისმინო, ჩავიწერ და პოემაში გამოვიყენებ-მეთქი.

— ენამც გაგზამობოდეს, შეყვარებულის სახელიც დაგვიწყნოდეს, უკუღმა სმენოდეთ შენი წალმა ნათქვამი, როცა ვინმეს დანაბარებს მიუტან. შორეულ მოგზაურობიდან დაბრუნებულს მშობლიური აული-სათვის საღმის თქმა დაგვიწყნოდეს, ქარმა ისისინოს შენს უკბილო პირში, როცა ბებერი იქნები... შე ტურის ნაშიერო, განა სიცილი შემიძლია (ღმერთმა მოგაკლოს შენ ეს სიხარული), როცა არაფერი მახარებს? როგორ შეგითხზა წყევლა, თუკი არავის გავუბრაზებდივარ, თუკი არავინ შეურაცხყო? აქედან მომწყდი და მეორედ აღარ მოხვიდე ასეთი სულელური თხოვნით.

— გამადლობთ, კეთილო ქალო, — ვუთხარი და გავეცალე.

მივდიოდდი და ვფიქრობდი: „თუ ყოველგვარი გამბრაზების გარეშე დაუხანებლად ასეთი ვირტუოზული წყევლა დამაწია, მართლა რომ ვინმემ გააბრაზოს, ნეტა მაშინ რაღას იზამს-მეთქი“.

ვფიქრობ, ოდესმე ვინმე დაღესტნელი ფოლკლორისტთაგანი თავს მოუყრის და წიგნად გამოსცემს მთიულურ წყევლებს, მაშინ ყველასთვის საჩინო იქნება, რაოდენი საზრიანობა და დახელოვნება, რაოდენი ფანტაზია ჰქონია მთიელს, რაოდენი გამომსახველობა ჩვენს ენას.

ყოველ აულს თავისი წყევლა აქვს. უფროთხილდით წყევლა-კრულვათა ცეცხლით მდაგველ რისხვას! არის წყევლა, უხილავი ხლართით ხელ-ფეხის დაბორკვას რომ გიქადის, მეორე წყევლა კუბოში ჩაწვი-

ნით გემუქრება, მესამე წყევლა — შენსავე თეფშზე დაგაყრევინებს  
ორთავ თვალს, მეოთხე — წვეტიან ქვებზე ყირწი-ყურწით ახტუნავებს  
შენს თვალებს და ხრამში ჩაჩეხავს.

ყველაზე საშინელ წყევლად მთაში თვალების დაწყევლა ითვლება, ეს  
არის წყევლა წყევლათა შორის. მაგრამ იმაზე უარესი წყევლაც არ-  
სებობს. ერთ აულში ორი ქალის ჩხუბს შევესწარი:

— დაე, ნურასდროს მოუვლინოს ალაჰმა შენს შვილებს ძე კაცისა,  
ვინც მათ მშობლიურ ენას შეასწავლიდა.

— დაე, ნურასოდეს მოუვლინოს ალაჰმა ძე ხორციელი, ვისაც  
ეგენი მშობლიურ ენას შეასწავლიდნენ.

აი, ასეთი საშინელი წყევლაც არსებობს. მაგრამ ყოველგვარი  
წყევლის გარეშეც აკლდება პატივისცემა მთაში იმას, ვინც მშობლიურ  
ენას არ სცემს პატივს. მთიელი დედა შვილის ლექსებს არ წაიკითხავს,  
თუ დამახინჯებული ენითაა დაწერილი.

უ ბ ი ს წ ი გ ნ ა კ ი დ ა ნ . ერთხელ პარიზში დაღესტნელ მხატვარს  
შევხვდი. რევოლუციის შემდეგ იტალიაში გაქცეულა. იქაური ქალი  
შეურთავს და სამშობლოში აღარ დაბრუნებულა. მთის კანონებს შეჩ-  
ვეული დაღესტნელი ძნელად ეგუებოდა ახალ სამშობლოს. მოგზაურობ-  
და, სხვადასხვა ქვეყნების ბრწყინვალე ქალაქებში ჩერდებოდა, მაგრამ  
სადაც არ უნდა წასულიყო, განუყრელად თან სდევდა სამშობლოს  
სევდა. მინდოდა, მენახა ფერებში გაცოცხლებული იგი სევდა და  
ვთხოვე, ეჩვენებინა თავისი სურათები.

ერთ-ერთ სურათს ასეთი სათაურბც კი ჰქონდა „სამშობლოს სევ-  
და“. სურათზე იტალიელი ქალია დახატული (სწორედ ის იტალიელი  
ქალი, მან რომ ცოლად შეირთო...). იგი ძველ ავარიულ ტანსაცმელშია  
გამოწყობილი, მთის წყაროსთან დგას და ხელში სახელგანთქმულ გო-  
ცატლიელ ოსტატთა ნაჭედი ვერცხლის სურა უჭირავს. მთის კალთაზე  
ნალვლიანად აბუზულა ქვითნაგები ავარიული აული, კიდევ უფრო ნა-  
ღვლიანად აბუზულან აულის თავზე წამომდგარი მთები. მთების  
მწვერვალებს ნისლი შემოხვევია.

— ნისლი მთების ცრემლია, — თქვა მხატვარმა. — როცა ნისლი  
ფერდობებს შემოეხვევა, კლდეების ნაოჭებზე კამკამა წვეთები მოგო-  
რავს. ნისლი — ეს მე ვარ.

მეორე სურათზე ჩიტი დავინახე, ეკლიანი კვრინჩხის ბუჩქზე შემო-  
მჯდარა, ბუჩქი შიშველ ქვებს შორის ამოზრდილა. ჩიტი გალობს, ქო-  
ხის ფანჯრიდან კი ნალვლიანი მთიელი ქალი იყურება. მხატვარმა შე-  
მატყო, რომ დავინტერესდი და ამიხსნა:

— ეს ძველი ხუნძური ლეგენდის მოტივების მიხედვითაა.

— რომელი ლეგენდის?

— ჩიტი გალიაში ჩასვეს. ტყვეობაში მყოფი ჩიტი დღე და ღამე ერთ-

სა და იმავეს გაიძახოდა: სამშობლო, სამშობლო, სამშობლო, სამშობლო. ზუსტად ისე, როგორც მე გავიძახი ამ წლების მანძილზე. ჩიტის პატრონმა იფიქრა: ნეტა რა სამშობლო აქვს ასეთი, ან სად არის ეს სამშობლო, ალბათ რაღაც უმშვენიერესი აყვავებული ქვეყანა იქნება, სადაც სამოთხის ხეები და სამოთხის ფრინველებიაო. მოდი, გავუშვებ ჩიტს და ვნახავ, საით წავა, იქნებ ამ საუცხოო ქვეყნის გზა მაჩვენოსო. და გააღო ოქროს გალიის კარები. ჩიტი გამოფრთხილდა და ათიოდე ნაბიჯის დაშორებით შიშველ ქვებში ამოსულ კვრინჩხის ბუჩქზე დაჯდა. ბუჩქის ტოტებში ბუდე ჰქონოდა. მეც ასევე გალიის ჭანჭრიდან გავცქერი ჩემს სამშობლოს, — დაამთავრა მხატვარმა.

— რატომ არ გინდათ სამშობლოში დაბრუნება?

— გვიანაა. თავის დროზე მშობლიური მიწიდან ახალგაზრდა და ცხელი გული წამოვიღე და განა შემიძლია ახლა მას მხოლოდ ბებერი ძვლები დავუბრუნო?

პარიზიდან რომ დავებრუნდი, მხატვრის ნათესაეები მოვძებნე. ჩემდა გასაოცრად დედაც ცოცხალი ჰყოლია. ნაღვლიანად ისმენდნენ ჩემს წაამბობს თავმოყრილი ნათესაეები თავიანთ ვაჟზე, სამშობლო რომ მიატოვა და სხვა ქვეყანაზე გაცვალა. მაგრამ თითქოს ყველაფერი აპატიეს, უხაროდათ, ცოცხალი რომ იყო. უცებ დედამისმა მკითხა:

— ხუნძურად ლაპარაკობდით?

— არა, თარჯიმნის საშუალებით, — მე — რუსულად, შენი ვაჟი კი — ფრანგულად.

დედამ შავი ლეჩაქი ჩამოიფარა სახეზე. ასე იფარავენ ხოლმე დიაცები სახეს, შვილის სიკვდილს რომ ვაიგებენ. სახლის სახურავზე წვიმა ხმაურობდა. ჩვენ ხუნძახში ვისხედით. ვინ იცის, იქნებ დედამიწის მეორე ბოლოში, პარიზშიც, უსმენდა წვიმის შხაპუნს დალესტნის უძლები შვილი. დიდი ხნის დუმილის შემდეგ დედამ თქვა:

— შემცდარხარ, რასულ, ჩემი ბიჭი დიდი ხანია მოკვდა. ის ჩემი შვილი არ ყოფილა. ჩემი ბიჭი ვერ დაივიწყებდა ენას, რომელიც მე, ხუნძმა დედამ, ვასწავლე.

მოგონება. ერთ დროს ხუნძურ თეატრში ვმუშაობდი. დეკორაციებით, კოსტიუმებითა და ბუტაფორიებით დატვირთულები (მთელ ჩვენს თეატრალურ ხარახურას ვირებით დავათრევედით, მაგრამ არტიტებსაც საკმარისი ბარგი-ბარხანა გვრჩებოდა სათრეველად) აულიდან აულში დავეხეტებოდით და მთიელებს დრამატულ ხელოვნებას ვაზიარებდით. ხშირად ვიგონებ ხოლმე თეატრში გატარებულ წელიწადს.

ზოგიერთ სპექტაკლში უმნიშვნელო როლები მქონდა, მაგრამ უმეტესად სუფლიორის ჯიხურში ვიჯექი. ახალგაზრდა პოეტს ყველა როლზე უფრო სუფლიორის როლი მომწონდა, მსახიობების



თამაში მეორეხარისხოვნად მეჩვენებოდა, მიმიკა, ეესტები და მოძრაობები აუცილებლად არ მიმაჩნდა. ასევე მეორეხარისხოვნად ვთვლიდი კოსტიუმებს, გრიმსა და დეკორაციას. ყველაზე დიდ მნიშვნელობას სიტყვას ვანიჭებდი. ექვიანად ვუთვალთვალე მსახიობებს სიტყვა არ გადაესხვაფერებინათ, სწორად წარმოეთქვათ, თუ რომელიმე მსახიობი გამოტოვებდა ან დაამახინჯებდა სიტყვას, თავს გამოეყოფდი ჭიხურიდან და მთელი დარბაზის გასაგონად, სწორად წარმოვთქვამდი ზოლმე.

დიახ, ტექსტი და სიტყვა ჩემთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც სიტყვას კოსტიუმისა და გრიმის გარეშეც შეუძლია სიცოცხლე. მაყურებელი კოსტიუმისა და გრიმის გარეშეც მიხედება მის აზრს.

მახსენდება ერთი კურიოზი. მაშინ სპექტაკლ „მთიელებს“ ვუჩვენებდით. ეს ხუნძების შორეულ წარსულს შეეხება. როგორც ყოველთვის, ახლაც სუფლიორი ვიყავი. პიესის გმირი აიგაზი მთაში იმალება, კაცის სისხლი აწევს და შურისგებას გაქცევია. აი, ღამით აულში ჩადის შეყვარებულთან შესახვედრად. ქალი სთხოვს, სასწრაფოდ ისევ მთაში დაბრუნდი, თორემ მოგლავენო. აიგაზი (ამ როლს მსახიობი მაგაევი ასრულებდა) ნაბლით იფარავს შეყვარებულს წვიმისაგან, სიყვარულს ეფიცება, თავის ტანჯვაზე მოუთხრობს.

სწორედ ამ დროს მოხდა მოულოდნელი რამ. სცენაზე მაგაევის ცოლი შემოვარდა და გაცეცხლებული ეცა ქმარს, როგორ თუ ვიღაც ქალს სიყვარულს უხსნიო. მაგაევი დასტაცა ხელი ცოლს და კულისებში გაათრია, რათა აეხსნა რაში იყო საქმე. ეგონა, მაშინვე დაბრუნდებოდა და სპექტაკლს განაგრძობდა, მაგრამ ცოლი ჩაებლაუჭა და სცენაზე აღარ გაუშვა. შეყვარებული ქალი მარტოდმარტო იდგა სცენის შუაგულში. სპექტაკლი შეფერხდა.

მე ჭიხურში ვიჯექი, ცხადია, უკოსტიუმოდ და უგრიმოდ, შარვალსა და ვალედილ თეთრ პერანგში. ფეხზე მგონი, ჩუსტი მეცვა. ასეთ მდგომარეობაში მაგაევის შეცვლას ვერ შევძლებდი, მაგრამ რადგანაც ჩემთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სიტყვა იყო და არა კოსტიუმი, ჭიხურიდან გამოვვარდი და სხაპასხუპით მივახალე საბრალო შეყვარებულს აიგაზი-მაგაევის სათქმელი.

ვერ გეტყვით, კმაყოფილი იყო თუ არა მაყურებელი, შეიძლება დრამა მათთვის კომედიად იქცა, მაგრამ მე კმაყოფილი ვიყავი. პიესის შინაარსი ხომ ვაიგეს, არც ერთი სიტყვა არ გამოგვრჩენია, ეს კი ჩემთვის მთავარი იყო.

მახსოვს, ამავე თეატრთან ერთად პირველად ჩავედი ცნობილ აულ გუნებში, ყველამ იცის, რომ პოეტი პოეტისთვის ყონალია, თუგინდ ისინი ერთმანეთს არ იცნობდნენ. გუნებში სწორედ ერთი პოეტი

ცხოვრობდა, მსმენოდა მასზე, ნახვით კი არასოდეს მენახა. სტუმრად მოვხვდი ამ პოეტთან და გასტროლების დღეები იქ გავატარე.

კეთილმა ოჯახმა ისე კარგად მიმიღო, უხერხულადაც კი ვგრძნობდი თავს, არ ვიცოდი, რა მექნა. განსაკუთრებით პოეტის დედის ალერსი და სიკეთე დამამახსოვრდა.

გამოთხოვებისას სიტყვები აღარ მყოფნიდა მადლობის გამოსახატავად. ისე მოხდა, ოთახში მარტო პოეტის დედა იყო. ვიცოდი, დედისთვის ყველაზე უფრო სასიხარულო შვილის ქებაა და მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვხედავდი, რა შესაძლებლობათა პატრონიც ვახლდათ გუნბელი პოეტი, დედამის მაინც შეევუქე იგი. ვუთხარი, თქვენი შვილი ძალზე მოწინავე პოეტია, ყოველთვის საჭირობოროტო საკითხებზე წერს-მეთქი.

— შეიძლება მოწინავეა, — ნაღვლიანად შემაწყვეტინა დედამ, — მაგრამ ნიჭი არა აქვს. შეიძლება მისი ლექსები საჭირობოროტო საკითხებს ეხება, მაგრამ მე მოწყენას მგვრის. არ ვიცი, რატომ ზღუდა ასე, რასულ. როცა პირველ სიტყვებს წარმოთქვამდა ჩემი შვილი, გამოუთქმელ სიხარულს ვგრძნობდი, თუმცა მისი ტიტინის არა გამეგებოდა. ახლა კი, როდესაც ლაპარაკი კი არა, ლექსების წერაც ისწავლა, მოწყენილობა მეუფლება. ამბობენ, ქალს ჭკუა კალთაში აქვს, სანამ ზის ჭკუაც მასთანაა, ადგება და ჭკუა იატაკზე გაუგორდებაო. ჩემი ბიჭიც ასეა: სანამ სასადილო მაგიდასთან ზის, ნორმალურად ლაპარაკობს, მის მოსმენას რა სჯობია, მაგრამ სასადილო მაგიდიდან საწერ მაგიდამდე ყველა უბრალო და კარგი სიტყვა ეკარგება, მხოლოდ ნაძალადევი, უღიმღამო და მოსაწყენი სიტყვებიღა რჩება.

ვისხენებ ამ შემთხვევას და ალლაჰსა ვთხოვ, არ დამიკარგოს ჩემი ენა. ჩემი სურვილია, ისე ვწერო, რომ ჩემი ლექსები, ჩემი ეს წიგნი და ყველაფერი, რასაც დავწერ, გასაგები და ძვირფასი იყოს დედისთვისაც, დისთვისაც და ყველა მთიელისთვის, ყოველი კაცისთვის, ვისაც ხელში ჩაუვარდება ჩემი წიგნი. არ მინდა მოწყენილობა მოგვკაროვისმეს, მინდა სიხარული მოვუტანო ყველას. ენის დამახინჯება ჩემთვის ყველაზე უფრო საშინელი რამეა.

უ ბ ის წ ი გ ნ ა კ ი დ ა ნ . ალი ალიევი, შესანიშნავი მოქიდავე, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, ჩემი მეზობელია მახაჩყალაში. ერთხელ სტამბოლში ორთაბრძოლა ჰქონდა თურქეთის უძლიერეს მოქიდავესთან. თურქი მართლაც ღონიერი და მოქნილი იყო, მაგრამ ჩემმა მეზობელმა თოკის შეკრულასავით მოისროლა ხალიჩაზე. თურქი წამოდგა და ჩვენებური წყველა ჩაიბურტყუნა. ალიევის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, ხუნძური რომ გაიგონა, კიდევ უფრო დიდი იყო თურქის გაოცება, გამარჯვებულმა ალიევმაც ხუნძურად რომ მიუგო: „გინება რა შუაშია, ჩვენებურო, სპორტი სპორტია“.

ყველაზე მეტად კი მსაჯები და მაყურებლები გაოცდნენ, როცა ორი მოქიდავე მოულოდნელად გადაეხვია ერთმანეთს, თითქოს დიდი ხნის დაკარგულმა ძმებმა ერთმანეთი იპოვესო.

თურქი წარმოშობით ხუნძი ყოფილა, მისი ოჯახი შამილის დატყვევების შემდეგ გადასახლებულა თურქეთში. მოქიდავეები ახლაც მეგობრებზევით ხვდებიან ერთმანეთს, შემთხვევა თუ მიეცათ.

მამაჩემის მოგონება. 1934 წელს მამაჩემი მოსკოვში ჩავიდა ორდენის მისაღებად. ეს იმ დროს დიდი მოვლენა იყო. ორდენსაც ორდენით მკერდდამშვენებული დაბრუნდა, მთელი ჯამაათი შეეხვეწა, ეამბნა მოსკოვზე, კრემლზე, მიხეილ ივანეს ძე კალინინზე, რომელიც მაშინ ყველა ორდენს პირადად გადასცემდა. ისიც ეაჭბნა, ყველაზე მეტად რა დაამახსოვრდა.

მამაჩემი ყველაფერს თანმიმდევრობით ჰყვებოდა:

— მთავარი ისაა, რომ მიხეილ ივანეს ძე კალინინმა ჩემი სახელი რუსულად კი არ წარმოთქვა, ხუნძურად. ცადასა ხამსათი მიწოდა და არა უბრალოდ გამზათ ცადასა.

აულის უხუცესნი გაოცებულნი იყვნენ და თავს აქნევდნენ მოწონების ნიშნად.

— აი, ხედავთ? — თქვა მამამ. — როცა ეს ჩემგან გესმით და მაინც გსიამოვნებთ, მე რალა მომივიდოდა, კრემლში რომ მოვისმინე იგივე სიტყვები თვითონ მიხეილ კალინინისაგან. გულწრფელად გეტყვით, ისე გამიხარდა, რომ ორდენიც კი დამავიწყდა.

მამაჩემის გრძნობა ჩემთვის სავსებით ნათელია.

რამდენიმე წლის წინათ პოლონეთში ვიყავი საბჭოთა მწერლების დელეგაციის შემადგენლობაში. ერთხელ კრაკოვის სასტუმროში კარზე მომიკაკუნეს. კარი გავაღე. უცნობმა კაცმა სუფთა ხუნძურ ენაზე მკითხა:

— აქ ცხოვრობს გამზათილ რასული?

დავიბენი, თანაც გამიხარდა.

— ალლაჰმა გადააჩინოს მამაშენის სახლი დაწვასა და დანგრევას, საიდან გაჩნდი ხუნძი კრაკოვში?

კინალამ გადავეხვიე სტუმარს, ნომერში შევიყვანე და მთელი დღე ვილაპარაკეთ.

სტუმარი, ხუნძი არ იყო. იგი პოლონელი სწავლული გამოდგა, დაღესტური ენითა და ლიტერატურით დაინტერესებული. ხუნძური ენა პირველად საკონცენტრაციო ბანაკში მოესმინა ორი ტყვე ხუნძისაგან. ენა მოსწონებოდა, უფრო მეტად კი თვითონ ავარიელები. პოლონელს ჩვენი ენის შესწავლა დაუწყია. შემდეგში ერთი ხუნძი მომკვდარა, მეორეს კი გაუძლია ტყვეობისთვის, საბჭოთა არმიას გაუთავისუფლებია და დღესაც ცოცხალია.

ჩვენ მხოლოდ ხუნძურად ვლაპარაკობდით. ეს ჩემთვის უცნაური იყო. სტუმარი დაღესტანში დავპატიე.

ღიახ, იმ დღეს ორივენი ხუნძურად ვლაპარაკობდით, ჩვენს მეტყველებაში დიდი სხვაობა იყო. იგი ისე ლაპარაკობდა, როგორც მეცნიერს შეეფერება, ძალზე სუფთა, ძალზე სწორი, იმდენად სწორი ხუნძურით, რომ თითქმის გულს არ ხვდებოდა, უფრო მეტად გრამატიკაზე ფიქრობდა და არა მეტყველების ფერადოვნებაზე, ფრაზის სქემასა და კონსტრუქციასზე და არა თითოეული სიტყვის ცოცხალ არსზე.

მე კი ისეთი წიგნი მინდა დაწვერო, სადაც გრამატიკას კი არ დაექვემდებარება ენა, პირიქით, ენას დაექვემდებარება გრამატიკა.

სხვაგვარად რომ ვთქვა: გრამატიკას მოგზაურს შევადარებ, ფეხით რომ მიდიოდა გზაზე, ლიტერატურას კი—ჯორზე ამხედრებულ მგზავრს. ფეხოსანი შეეხვეწა, მეც ჯორით წამიყვანეო, შემოისვა მგზავრმა ფეხოსანი უკან. ფეხოსანმა ნელ-ნელა იწია უნაგირისკენ. იწია და ბოლოს აყვირდა: ჯორიც ჩემია და საპალნეცო.

ჩემო მშობლიურთო ხუნძურო ენავ! შენა ხარ ჩემი სიმდიდრე და განძი. წამალი ხარ, ყოველ სენთაგან მკურნავი. ადამიანი თუ მუნჯი დაიბადება და გული მომღერლისა გამოჰყვება, სჯობს სულ არ დაიბადოს. გული სავსე მაქვს სიმღერით და ხმაც მომდევს. ეს ხმა შენა ხარ, მშობლიურთო ხუნძურო ენავ, შენ გამიყვანე პატარა ბიჭვივით ხელჩაკიდებული აულიდან უზარმაზარ სამყაროში, ხალხში. შენ მიმიყვანე გოლიათთან, დიადი რუსული ენა რომ ჰქვია. ისიც მშობლიური გახდ ჩემთვის. მეორე ხელში ჩამკიდა ხელი და მსოფლიოს ქვეყნები შემომატარა. ისევე ვუმაღლი ამ ენას, როგორც ჩემს არადერიხელ ძიძას, მაგრამ მაინც კარგად ვიცი, რომ მშობელი დედა მყავს.

რამეთუ შეიძლება მეზობელთან მიხვიდე და ასანთი სთხოვო კერიაზე ცეცხლის დასანთებად. მაგრამ იმ ასანთისთვის, გულში ცეცხლს რომ დააგზნებს, მეგობარს ვერ მიაღვები.

ენა სხვადასხვა შეიძლება ჰქონდეთ ადამიანებს, ოღონდ ერთმანეთის უნდა ესმოდეთ — გული გულს უნდა სცნობდეს. ჩემმა ზოგიერთმა მეგობარმა მიატოვა მშობლიური აული და დიდ ქალაქებში წავიდა საცხოვრებლად. ეს არცთუ დიდი უბედურებაა. ბარტყებიც დაფრთიანებამდე სხედან ბუდეში. მაგრამ იმათზე რაღა ვთქვათ, დიდ ქალაქში მცხოვრები ზოგიერთი ჩემი მეგობარი სხვა ენაზე რომ წერს. ცხადია, ეს მათი საქმეა და მე ჰკუას არ ვასწავლი, მაგრამ ისინი მაინც იმ ადამიანებს მაგონებენ, რომლებსაც ორი კურდღლის დაჭერა უნდათ ერთდროულად.

ველაპარაკე იმ საცოდავებს და მივხვდი, ენა, რომელზედაც ისინი წერენ, აღარც ხუნძურია და აღარც რუსული. იგი იმ ტყეს მოგაგონებს, სადაც დაუდევარი ტყისმჭრელები დაპარბაშებენ.

დიახ, მე ვნახე ხალხი, ვისთვისაც მშობლიური ენა პატარა და ლარბია, ვინც უფრო დიდი და მდიდარი ენის საძებნელად გაემგზავრა, მაგრამ ისე დაემართათ, როგორც ერთ თხას ხუნძურ ზღაპარში: თხამ ტყეს მიაშურა — მგლის კუდი ამომივაო, კუდისა რა მოგახსენოთ და ურქებოდ კი დაბრუნდა.

ანდა, შინაურ ბატებს გვანან, ცურვაც რომ შეუძლიათ და ყურყუმელაობაც, მაგრამ თევზებს მაინც ვერ ედრებიან, ცოტ-ცოტა ფრენაც შეუძლიათ, მაგრამ გარეულ ფრინველებთან ვერ მივლენ, მცირეოდენი სიმღერაც ეხერხებათ, მაგრამ ბულბულები არ არიან. ნიადაგ ხელგამოუვალნი არიან.

— როგორაა საქმე? — ვკითხე ერთხელ აბუთალიბს.

— არა უშავს. არც მგლებში ვწერივარ და არც კურდღლებში, არც აქეთა ვარ და არც იქით. — აბუთალიბი გაჩუმდა და შემდეგ დაუმატა, — ყველაზე ცუდი დღე მაშინ ადგას მწერალს, როცა შუაშია გაჩხერილი, ის ან მგელი უნდა იყოს, კურდღელს წესს რომ აუგებს, ან კურდღელი, მგელს რომ დაუძვრება.

უბის წიგნაკიდან. ერთხელ მამაჩემთან ყმაწვილები მოვიდნენ მეზობელი აულიდან და მოუყვენენ, როგორ გალახეს ვიღაც მომღერალი.

— რატომ გალახეთ? — ჰკითხა მამამ.

— სიმღერის დროს იგრიხებოდა. განგებ ახველებდა, სიტყვებს ასხვაფერებდა, ხან კიოდა, ხან ძალღვივით ყეფდა, სიმღერა გააფუჭა და ჩვენც მივბეგვეთ.

— რით სცემდით?

— ზოგი ქამრით და ზოგი მუშტით.

— მათრახიც უნდა გვხმარათ, ერთი ეს მითხარით, სად ურტყამდით?

— უფრო მეტად რბილ ნაწილებში, მაგრამ ხანდახან კისერშიაც ხვდებოდა.

— კი მაგრამ, ყველაზე უფრო დამნაშავე ხომ მისი თავი იყო.

მოგონება. რა იქნება კიდევ ერთი პატარა ამბავი მოგიყვით, მით უმეტეს, რახან გავიხსენე? მახაჩყალაში ერთი ხუნძი მომღერალია, სახელს არ დავასახელებ, თვითონ მაინც მიხვდება, ჩვენთვის კი სულ ერთია მისი ვინაობა. ეს მომღერალი ხშირად მოდიოდა ხოლმე მამაჩემთან და სთხოვდა, სიტყვები დაეწერა მის მელოდიაზე. მამა ყაბულს იყო, ეთანხმებოდა და სიმღერებიც იქმნებოდა.

ერთხელ ჩაის ვსვამდი, რადიომ გამოაცხადა, ცნობილი მომღერალი ცადასა გამზათის ლექსს იმღერებსო. ყველანი სმენად ვიქცეით, მამაც უსმენდა, რაც უფრო დიდხანს ვუსმენდით, მით უფრო გვიკვირდა — ისე მღეროდა, არც ერთი სიტყვის გარჩევა არ შეიძლებოდა, რაღაც ამოძახილი ისმოდა მხოლოდ. იმ მამალივით ყლაპავდა სიტყვებს, ჯერ

საენკი რომ მიფანტ-მოფანტა და ახლა მარცვალ-მარცვალ ამწავლა.  
შეხვედრისას მამამ ჰკითხა, ჩემს სიტყვებს ასე უდიერად რატომ  
ექცევით.

— იმიტომ, რომ სხვამ არ გაიგოს და არ დაიმახსოვროსო, სხვა  
მომღერლებსაც რომ დაამახსოვრდეთ მთაში, ვაითუ იმღერონ, ეს სიმ-  
ღერა კი ჩემს მეტმა არავინ უნდა იცოდესო.

გავიდა ხანი, მამაჩემმა მეგობრები შეკრიბა, მათ შორის ის მომღე-  
რალიც იყო. წვეულების ბოლოს მამამ კედლიდან სიმებდაწვეტილი  
კუმუზი ჩამოიღო და ცალ, ისიც მოშვებულ სიმზე აჩხაკუნებდა, თან  
დაამღერა. მელოდია იმ მომღერლის მიერ იყო მოგონილი. სიტყვებს  
შკაფიოდ წარმოთქვამდა, მაგრამ მოშლილ ინსტრუმენტზე შესრულე-  
ბული მელოდია არაფერს აღარ ჰგავდა. მომღერალი შეცბუნდა, ამბობ-  
და ჩემი სიმღერის შესრულება მოშლილსა და დამტვრეულ კუმუზზე  
არ შეიძლება, ასეთი კუმუზი მელოდიის სილამაზეს ვერ გადმოსცემსო.  
მამამ მშვიდად უპასუხა:

— მე განგებ ვუკრავ და ვმღერი ასე, რათა სხვები ვერ ჩახვდნენ  
და არ დაიმახსოვრონ შენი მელოდია. თუკი ის სიმღერა ვარგა, სიტყვებს  
რომ ვერ გაარჩევს კაცი, მაშინ იმ სიმღერამ რა დააშავა, მუსიკის ვარ-  
ჩევა რომ არ შეიძლება?

ათ ენაზე წერენ დალესტნელები თავიანთ ნაწარმოებებს, ცხრა ენა-  
ზე გამოცემენ. მაგრამ რა დღეში არიან ისინი, მეათე ენაზე რომ წე-  
რენ? ან რა ენაა ეს მეათე ენა?

მეათე ენაზე ის წერს, ვინც უკვე მოასწრო მშობლიური ენის და-  
ვიწყება, — ხუნძური იქნება ეს, ლაკური თუ ტატების ენა, მაგრამ  
სხვა ენაც რომ ვერ უსწავლია, მოკლედ, არც აქეთ არიან და არც  
იქით.

ვინ გიშლის, წერე სხვა ენაზე, თუკი ის მშობლიურ ენაზე უკეთე-  
სად იცი. ან არადა მშობლიურზე წერე, თუ სხვა ენა არ იცი, მეათე  
ენაზე ნურასოდეს დაწერ.

დიახ, მე მეათე ენის მტერი ვარ. ენა ძველი უნდა იყოს, ათასწლო-  
ვანი, მხოლოდ მაშინ გამოგადგება.

ცხადია, ენა იცვლება, ამაზე კამათს არ დავიწყებ. ხეც ფოთლებს  
იცვლის ყოველ წელიწადს. ძველი ფოთლები თავის დროს მოსჭამს და  
ცვივა. სამაგიეროდ, ახალი ფოთლები იზრდება, მაგრამ ხე რჩება. წლი-  
თიწლობით უფრო და უფრო იფურჩქნება, იტოტება, ძლიერდება და  
ნაყოფს ისხამს.

მე ჩემს სიმღერებს მოგიძღვნი, ჩემს წიგნებს, ჩემი პატარა, მაგ-  
რამ უძველესი ხუნძური ენის ნაყოფს მოგართმევთ.

წუხელ მესიზმრა ჩემი სიკვდილი:  
სულსა და სხეულს ჰქონდათ კიდილი,  
დადესტინის ველზე ჩემად ვკვდებოდი  
მკერდნატყვიარი და ფერმიხდილი.

ხევზე კვამლივით მიდის ნისლევი,  
ვით აწეწილი ფიქრები მგოსნის  
და სანამ მიწად გადავიქცევი,  
მშობლიურ მიწას ვეხვევი, ვკოცნი.

ამ უღვთო სიკვდილს არეინ ესწრება  
უჭირისუფლოდ და მარტო ვკვდები  
მხოლოდ არწივის ჩრდილი მეცემა  
და მიწას ჩხვერენ ირმები რქებით.

ვინ დაიტირებს ჩემს სიყმაწვილეს,  
თავზე არ მადგას დედა მშობელი,  
არც მეგობარი, სულის ნაწილი,  
და არც ასული, მიყვარს რომელიც.

აჰა, მეწვია მარადი ღამე  
და მაჯისცემა მთლად გამინელდა,  
უცებ ბილიკმა გაიღო ჩქამი  
და საუბარი მესმა მთიელთა.

მიზაასობდა გზად ორი მთვრალი,  
ბაზრობაზე თუ ლხინში ნამყოფი,  
და ერთობოდნენ ვიღაცა აღის  
ოინბაზობით თუ ეშმაკობით.

უეტრად შეების ცრემლმა დამნამა  
და მესალბუნა ის საუბარი,  
ის ხმა შეიქნა ჩემი მალამო  
და ერთადერთი ჩემი მკურნალი.

დაე, ჰკურნავდეს ადამის მოდგმის  
ღმერთს რა ენებიც გაუჩენია,  
თუ ჩემი ენა ხვალ უნდა მოკვდეს,  
მე რომ დღეს მოვკვდე, ის მირჩენია.

ენაა ჩემთვის წმინდა ემბაზი,  
ჩემი სიცოცხლე და ჩემი ღმერთი,  
თუმცა არ გრგვინავს ასამბლეაზე,  
მიინც ყველაზე დიდია ჩემთვის.





ნუთუ თარგმანში უნდა ვიკითხო  
 მაჰმუდის ლექსი სისხლით ნაწერი?  
 დალესტნელთ შორის მე დაფრჩი ვითომ  
 მათი მგოსანი უკანასკნელი?

მიყვარს ჩემი მთა, მიყვარს მსოფლიოც,  
 მაგრამ პროეტად რახან მოვედი, —  
 ქვეყნიერებას უნდა მოვფინო  
 საგალობელი დიდ საბჭოეთის.

მისთვის მზადა მაქვს დაფნის ტოტები,  
 მადლობის ლექსი, მადლობის ტაში,  
 მისი გულისთვის ყველგან მოკვდები,  
 მაგრამ დამმარხეთ, ჩემს დალესტანში.

რათა საფლავზე შთამომავლობამ  
 წიხლი არა ჰკრას პოეტის წარსულს  
 და ჩემს ენაზე მითხრას მადლობა  
 ცადას ნაშიერს, გამზათოვ რასულს.

უ ბ ი ს წ ი გ ნ ა კ ი დ ა ნ . ქაბუკ მთიელს მშობლები თანხმობას არ აძლევდნენ, რუს ქალიშვილზე დაქორწინებულიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ქალს გაგიყვებით ჰყვარებია თავისი ხუნძი. გავიხედოთ, ქაბუკს წერილი მოსდის სატრფოსაგან წმინდა ხუნძურად დაწერილი სასიძომ ბარათი მაშინვე მშობლებთან გაარბენინა. მშობლები საკუთარ თვალს არ უჯერებდნენ და იქვე, სანამ ამ უჩვეულო წერილს ხელში ატრიალებდნენ, დასტური მისცეს ვაჟს იმ ქალის მოყვანაზე.

უ ბ ი ს წ ი გ ნ ა კ ი დ ა ნ . ენა მწერლისათვის იგივეა, რაც მოსავალი გლეხისათვის. ურიცხვი მარცვალია თითოეულ თავთავში, თავთავიც იმდენია, რომ ვერ დათვლი, მაგრამ თუ გლეხი გულხელდაკრფილი დაუწყებს ცქერას მოსავალს, ბოლოს და ბოლოს ერთ მარცვალსაც ველარ აიღებს. ყანა უნდა მოიმკას, მარცვალი განიავდეს, მაგრამ ეს კიდევ არაა ყველაფერი. სარეველასაგან უნდა გაიწმინდოს, დაიფქვას, ცომი მოიზილოს, მაგრამ, რაც მთავარია, ერთი რამ უნდა გვახსოვდეს, — რაც უნდა გშიოდეს, მარცვლის მთელი მარაგი არ დახარჯოს საუკეთესო მარცვალს გლეხი სათესლედ ინახავს.

ენაზე მომუშავე მწერალი ყველაზე მეტად გლეხსა ჰგავს.

ა მ ბ ო ბ ე ნ : ბავშვებმა ხე მოჭრეს. ხეზე კაჭკაჭი ცხოვრობდა და ბუდე დაუნგრისო.

- ხევ, რატომ მოგჭრეს?
- იმიტომ, რომ უენო ვარ.
- კაჭკაჭო; რატომ დაგინგრის ბუდე?
- იმიტომ, რომ ბევრს ვჭარტალებდი.



ამბობენ: სიტყვა წვიმასავითააო: პირველად დიდი სიკეთეა. მეორედ კარგია, მესამედ ასატანია, მეოთხედ კი — უბედურების მომტანია.

თ ე მ ა

ნუ შეამტვრევ კარს — იგი ვასატებითაც აღვილად იღება.

წარწერა კარზე.

ნუ იტყვი: „მომეცით თემა“, თქვით: „მომეცით თვალები“.

რჩევა ახალგაზრდა მწერალს.

„ძვირფასო ამხანაგებო, დიდი სურვილი მაქვს ვწერო, მაგრამ არ ვიცი, რაზე. მომეცით რაიმე საჭირობოროტო თემა და შესანიშნავ წიგნს დავწერ“.

არაერთგზის მიუმართავთ ახალგაზრდებს მსგავსი თხოვნით მწერალთა კავშირისათვის, ჟურნალისა თუ გაზეთის რედაქციებისათვის, უშუალოდ მწერლისათვის. მეც ვლებულობ ასეთ წერილებს. მამაჩემიც ლებულობდა, თავს გადააქნევდა ხოლმე და იტყოდა:

— ყმაწვილს ცოლის თხოვნა განუზრახავს, მაგრამ ვაი, რომ არ იცის, ვინ ითხოვოს. არც ერთი ქალიშვილი არა ჰყავს ნიშანში ამოღებული, არ იცის, ვის მიუგზავნოს მაჰანკლები.

მთგონება. ერთხელ დაღესტნის მწერალთა კავშირში აბუთალიბის წერილი მოვიდა. პოეტი შემოქმედებით მივლინებას თხოულობდა მთის შორეულ აულებში. გამგებობის სხდომაზე აბუთალიბს ჰკითხეს, მაინც რას დაგვიწერ ან რა თემაზეო. მხცოვანი პოეტი გაბრაზდა.

— განა მონადირემ იცის, რას გადაეყრება: კურდღელს, ბატს, მგელს თუ წითელ მელას? განა მებრძოლმა იცის წინასწარ, რა გმირობას ჩაიდენს ბრძოლაში?

იმ სხდომას მეც ვესწრებოდი. აბუთალიბის სიტყვები გულში ჩამრჩა.

ყოველთვის მაცოცხლებს ხოლმე ის ადამიანები, თავს რომ აბეზრებენ მწერალს თხოვნით, გვიამბეთ თქვენს შემოქმედებით გეგმებზე! ცხადია, მუშაობის საერთო გეზი მწერალს მოფიქრებული აქვს. მაგრამ ალბათ რომანის, ან ტრილოგიის დაგეგმვა თუ შეიძლება, თორემ ლექსები... ლექსი ისე მოულოდნელად მოდის, როგორც საჩუქარი რამ. პოეტის შეურნეობა მკაცრ გეგმებს არ ემორჩილება, არც შეიძლება დაგეგმო: დღეს ათ საათზე შემეყვარდება ქალიშვილი, რომელიც ქუ-

ჩაში შემხედება, ან ხვალ საღამოს ხუთი საათისათვის შემძულდება ეილაცა ნაძირალა.

ლექსები ყვავილნარში მოშენებულ ყვავილებს როდი ჰგავს, — იქ ყველაფერი თვალწინაა და ძებნა არ სჭირდება. ლექსები მინდვრის ყვავილებს ჰგავს, ალბური ველის ყვავილებს, სადაც თითოეული ნაბიჯი კიდევ უფრო ლამაზ ყვავილს გვპირდება.

გრძნობები მუსიკას ბადებს, მუსიკა — გრძნობებს. რომელს მივანიჭოთ პირველობა? დღემდე გადაუჭრელია საკითხი — კვერცი გაჩნდა პირველად თუ ქათამი? ზუსტად ასევეა, მწერალი ქმნის თემას თუ თემა მწერალს? თემა — ეს მწერლის მთელი სამყაროა. თვითონ მწერალია. თემის გარეშე მწერალი არ არსებობს. თითოეულ მწერალს საკუთარი თემა აქვს.

აზრი და გრძნობები ფრინველებია, თემა კი — ცა; აზრი და გრძნობები — ირემია, თემა კი — ტყე; აზრი და გრძნობები — ქურციკია, თემა კი — მთები; აზრი და გრძნობები — გზებია, თემა კი — ის ქალაქი, სადაც გზებს მივყავართ, სადაც გზები თავს იყრის.

ჩემი თემა — სამშობლოა. მე არ მჭირდება მისი ძებნა და ამორჩევა. ჩვენ კი არ ვირჩევთ სამშობლოს, თვითონ სამშობლომ ამოგვიჩინა თავდაპირველად: არწივი ცას ვერ შეეღევა, ჭიხვი — მთას, კალმახი — ჩქარსა და ანკარა მდინარეს, თვითმფრინავი — აეროდრომს, ასევე მწერალი უსამშობლოდ წარმოუდგენელია.

ქათმებში ზოზინით მობაჯბაჯე არწივი უკვე არწივი აღარაა. კოლმეურნეობის ფარაში გარეული ჭიხვი ჭიხვი არაა. აქვარიუმის კალმახი კალმახი არაა. მუზეუმში დადგმული თვითმფრინავი თვითმფრინავი არაა.

და არც ბულბული ბულბულობს გალობის გარეშე.

ისევე თემის გამო. ბავშვობიდან ერთი სურათია ჩემთვის ძვირფასი. როცა მამისეული სახლის პატარა სარკმელს გამოვალბდი, იმწამსვე აულის ფერხთით სუფრასავით გაშლილი მწვანე პლატო მეცემოდა თვალში. ყოველი მხრიდან კლდეები შემოგარვიან. კლდეებზე ბილიკები დაკლაკნილან, ბავშვობაში გველებს რომ მაგონებდნენ, გამოქვაბულთა ხერელებს კი მხეცების ხახას ვამსგავსებდი. მთების უკან კიდევ მთები მოჩანს. მრგვალი, ჩამუქებული და აქლემის ზურგივით ბანჯგვლიანი მთები.

ახლა ვიცი, სადღაც შვეიცარიაში თუ ნეაპოლში უფრო ლამაზი ადგილებიცაა, მაგრამ სადაც არ უნდა წავიდე, რა სილამაზეც არ უნდა ვიხილო, ჩვენი სახლის ჩარჩოში მომწყვდეულ ბავშვობისდროინდელ შორეულ სურათს რომ არ შევადარო არ იქნება. და მის წინ მსოფლიოს ყველა მშვენება ფერმკრთალდება. ჩემი აული და მისი შემოგარენი რომ არ მეგულებოდეს და ჩემს მეხსიერებაში რომ არ ცოცხლობდეს.

მამინ მთელი სამყარო ჩემთვის უგულო, გულგმობილი მკვლარ იქ-  
ნებოდა. პირი იქნებოდა, მაგრამ უნო, თვალები იქნებოდა; — აღონდ  
უგუვებო, მიტოვებული ჩიტის ბუდე იქნებოდა.

ეს სულაც არ ნიშნავს, თითქოს თემას ჩემი აულისა და ქონის გარე  
ჩარჩოებში ვაქცევდე, თითქოს ჩემი სახუკვარი თემის გარშემო მთელ  
გალავანს ვაველებდე.

არის ისეთი მინდორი, სადაც სახნისით მიწის სქელ ბელტს გადააწ-  
ვენენ და ბელტის ქვეშ რბილი მიწა გამოჩნდება. ისეთი მინდორიც  
არის, სადაც სახნისით მიწის თხელ ფენას აიღებ და ქვეშ სიბი ქვები  
ამოჩრჩია. ისეთი მინდორიც — სადაც დაუხვნელადაც ქვებია ამოჩხ-  
ვერილი. ასეთი მინდორის ხენასა და დამუშავებას არ ვაპირებ, რად-  
განაც ვიცი, ხევერიელ მოსავალს მაინც ვერ მოვიწვევ.

მშობლიური მიწისადმი ჩემი სიყვარული იმ ცხენივით როდი მინ-  
და დავაბა თუ დავბორკო, გვარიანად რომ გაისარჯა და ახლა მწვანე  
გაშლილ მინდორზე ბალახობს. ცხენს აღვირს ვხსნი და გახვითქულ  
კისერზე ვუთათუნებ ხელს: წადი, იბალახე და ძალა მოიკრიბე. სამ-  
შობლოს სიყვარულში თითქოს კეთილიცა ვარ და მშვიდიც, ვით მობა-  
ლახე უბელო ცხენი.

არ მინდა სამყაროს მთელი მოვლენები ჩემს ქოხში, ჩემს აულში,  
ჩემს დალესტანში და მშობელი მიწის ტრფიალში ვეძებო, პირიქით,  
სამშობლოს გრძნობას სამყაროს ყველა მოვლენაში, მის ყოველ კუნ-  
ჭულში ვპოულობ. და ამ ვაგებით ჩემი თემა — მთელი სამყა-  
როა.

მახსოვს, შორეულ ზღაპრულ სანტ-იაგოში მამლის ყივილმა გამად-  
ვიძა. რამდენიმე წამს თავი პატარა სიბით ნაგებ აულში მეგონა. ასე  
იქცა სანტ-იაგოს მამლები ჩემს თემად.

იაპონიაში, კიდევ უფრო ზღაპრულ ქალაქ კამაკურაში, სილამაზის  
დედოფლის არჩევას დავესწარი. იაპონელმა ლამაზმანებმა რიგრიგო-  
ბით ჩაიარეს. ჩემდა უნებურად ავარიის მთებში დარჩენილ ჩემს სუ-  
ლის ერთას ვადარებდი მათ და ვერც ერთში ვერ ვპოულობდი იმას,  
რაც ჩემს დედოფალშია, ასე რომ, იაპონელი ლამაზმანები და თავად  
იაპონელი სილამაზის დედოფალიც ჩემი თემა გახდა.

ნეპალში, როცა ბუდას ტაძრების, მეფის სასახლეების, ყოველი  
დაავადების განმკურნავე, ყოველი ბოროტისა და ჯადოს განმადგებელი  
ოცდორი წყაროს ჭვრეტით ვიჯერე გული, კატამანდის ციცაბო მწვერ-  
ვალებს ავუყევი. იმ მთებმა ჩემი დალესტანი გამახსენა და გულმა მეტი  
სითბო იგრძნო, ვიდრე დიდებული სასახლეებისა და ტაძრების ხილვი-  
სას. უბრალო მთები უფრო ძვირფასი აღმოჩნდა ჩემთვის, ვიდრე გა-  
საოცარი არქიტექტურული ნაგებობანი და გავიფიქრე, ჯადოქრული  
წყაროები კი არა, ეს მთები განდევნის-მეთქი ყველა დაავადებასა და

ბოროტებას. ამრიგად, ბუდას ტაძრები და ნებალის მთებიც ჩემი თემს გახდა.

ინდოეთის დიდი და ხმაურიანი ქალაქების შემდეგ კალკუტის ახლოს მდებარე პატარა სოფელში მიმიყვანეს, ფართო კალოზე ჩაშლილ ოჭროს ძნებზე ხარები უვლიდნენ წრეს. ვერც ერთი თეატრი, ვერც ერთი მუზეუმი ვერ მიანიჭებდა იმდენ სიხარულს ჩემს გულს, რაც ამ ხანტმა ხარებმა მიანიჭეს, საკუთარი ფლოქვებით რომ ხლეწდნენ და ლეწავდნენ პურის ძნებს. თითქოს მშობლიური აული და ბავშვობა მოვიარე. ასე რომ, კალკუტის ახლომდებარე პატარა სოფელიც ჩემს თემად იქცა.

ვ ნ ა ხ ე: ინდონეზიის მთებში ჩვენებურად უკრავდნენ დოღს, ნიუ-იორკის ქუჩებში ჩოხიანი კავკასიელი მიდი-მოდოდა; სტამბოლსა და პარიზში სევდიანი მთიელები ცხოვრობდნენ, ყველაზე უბედური ხალხი, თავისივე მიზეზით გაძევებული სამშობლოდან, ლონდონის გამოფენაზე დემონსტრირებული იყო ბალხარელების ნახელავი, სახელგანთქმული მექოთნეების კერამიკა. ვენეციაში მაყურებლებს აოცებდნენ ლაკელი ბაგირზე მოსიარულენი, ლაკეთის აულ ცოვკარადან. პიტსბურგში ბუკინისტთან შამილზე დაწერილ წიგნს წავაწყდი.

ყოველი მხრიდან, სადაც არ უნდა წავსულიყავი, ძაფები იყო გაბმული დაღესტნისაკენ.

გაუჭირდება მებრძოლს, თუ რამდენიმე ხმლიანი კაცი დაესხა თავს ერთდროულად. ერთს და იმავე დროს ხომ ვერ დაიფარავს ზურგსაც და მკერდსაც. მაგრამ კლდე თუ დაინახა ზურგის მისაყრდნობად, მერე თვითონ იცის თავისი საქმე. მოხერხებული და მძლე მებრძოლი ორსა თუ სამ მომზღღურსაც დაამარცხებს, თუკი ზურგით კლდეს მიენდობა.

ასეთი კლდეა ჩემთვის დაღესტანი. იგი მშველის ყველა მძიმე განსაცდელის ქამს.

მოვზაურებს იმ ქვეყნის სიმღერები მოაქვთ სამშობლოში; სადაც ყოფილან, მარტო მე მჭირს უბედურება: სადაც არ უნდა წავიდე, ყოველი მხრიდან დაღესტანზე მომაქვს სიმღერები. ყოველი ახალი ლექსით თითქოს ახლებურად ვხედავ, ახლებურად მესმის, ახლებურად მიყვარს ჩემი დაღესტანი. ამოუწურავია და უკიდევანო ჩემთვის მშობლიური დაღესტანი.

უ ბ ი ს წ ი გ ნ ა კ ი დ ა ნ:

— არწივო, რას შენატრის შენი ყველაზე უფრო საყვარელი სიმღერა?

— ციცაბო მთებს.

— თოლია, რას შეტრფის შენი ყველაზე უფრო საყვარელი სიმღერა?

— ლურჯ ზღვას.

— ყვავო, რას შეხმატებილებია შენი უსაყვარლესი სიმღერა?

— ბრძოლის ველზე მიტოვებულ უპატრონო გვამებს, ჩემი კერძო რომ გახდება.

ლიტერატურასაც თავისი ფრინველები ჰყავს: არწივები და ფიქვანები, ლიები, ერთნი მთებს უმღერიან, მეორენი — ზღვას. თითოეულს თავისი სამშობლო აქვს, თავისი თემა, მაგრამ ყვავებიც არიან, იმათ ყველაზე მეტად საკუთარი თავი უყვართ.

როდესაც ყვავი ველზე დაცემულს თვალებს უკორტნის, მისთვის ერთია, გმირის თვალები იქნება თუ ლაჩრისა. მე ვიცნობ ლიტერატორებს, რომლებიც დღეს იმ საქმეს ადგანან, რაც დღესაა მომგებიანი, ხვალ კი ხეალისას მოჰკიდებენ ხელს.

ი ს ე ე თ ე მ ი ს გ ა მ ო . თემა — განძეულიანი სკივრია, სიტყვა — ამ სკივრის გასაღები. მაგრამ სკივრში გადანახული განძის გამგებელი შენ უნდა იყო და არა სხვა.

ზოგიერთი ლიტერატორი ერთი თემიდან მეორეზე ხტება და ვერც ერთის დამუშავებას ვერ ასწრებს. ახლიან სკივრს სახურავს, ზევიდან დაწყობილ ნაპრებს ამოაქოთებენ და ხელათ სხვაზე გადავლენ. სკივრის პატრონი კი ფრთხილად ამოალაგებდა ნივთებს და სკივრის ძირში ჩამალულ ზარდახშას იპოვიდა.

კაცი, რომელიც ერთ თემაზე ვერ ჩერდება, მთაში ცნობილ მრავალცოლიან დალაგოლოვს ჰგავს. დალაგოლოვმა ოცდაორჯერ მოახერხა დაქორწინება, მაგრამ საბოლოოდ უცოლო დარჩა.

მაგრამ არც ერთადერთ კანონიერ ცოლს შეიძლება თემა შეეცადართო, არც ერთადერთ შეიღს და არც დედას, რომელიც ქვეყანაზე ერთადერთია. არ შეიძლება ვთქვათ: ეს ჩემი თემაა, ნურავინ შეეხებაო.

თემა ჩემია, მაგრამ სხვებისათვისაც მისაწვდომია. მახსოვს, როგორ აგინებდა ერთი მწერალი მეორეს. „ვინ მოგცა უფლება, — ეუბნებოდა იგი, — რომ ირჩი! კაზაკზე წერ? ხომ იცი, ეს ჩემი თემაა, ირჩი კაზაკზე შე ვწერ. ეს აშკარა ქურდობაა“, — და ისე ლელავდა, თითქოს ავერ ახლა შეყვარებული მოსტაცესო.

პასუხიც მთიელის საკადრისი იყო:

— იმაში ის ხდება, ვისაც უფრო ფიცხი და ბასრი ხმალი აქვს. სავატარძლო იმას კი არ ეკუთვნის, ვინც მას შუამავლები გაუგზავნა, არამედ იმას, ვინც იგი ცოლად მოიყვანა. ირჩიზე თემა იმისი იყოს, ვინც უკეთესად დაწერს.

სხვადასხვა მწერალს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეუძლია ერთი და იმავე თემის დამუშავება. ლიტერატურაში კოლმეურნეობების არსებობა არ შეიძლება. თითოეულ მწერალს თავისი მინდორი აქვს, თავისი ხნული.

<sup>1</sup> ირჩი კაზაკი — გასული საუკუნის ყუმუზი პოეტი. ყუმუზური ლიტერატურის ფუძემდებელი.

დალესტნელ მწერალთა ყრილობაზე დიდი კამათი იყო. ერთმა ორატორმა თქვა:

— რატომ უნდა წერდნენ დალესტნელები სხვა ქვეყნებზე და სხვა ადამიანებზე? დაე, ესპანეთზე ესპანელმა წეროს, იაპონიაზე კი იაპონელმა. ურალის ინდუსტრიაზე ურალელმა მწერლებმა წერონ. ჩიტს თუ ბალში ბუდე აქვს, განა სხვა ბალში გაფრინდება საუკიკიკოდ? განა ღირს, ქვიანი მთებიდან ბარში ეზიდებოდე მიწას კაცი, როცა იქ ისედაც საუცხოო ნოყიერი მიწაა? დუმას რაღა კარაქის მოსმა სჭირდება შესაწვავად?

ყრილობას სტუმარი ესწრებოდა სხვა რესპუბლიკიდან. მან ასე უპასუხა ორატორს:

— ნადირს ბუნავი აქვს, ისე როგორც ჩიტს ბუდე, მაგრამ მზე ყველა ნადირს უნათებს, წვიმა კი ყველა ხეს ასველებს, ცისარტყელა ყველასათვის ერთნაირად ლივლივებს. ელეა მაღალ მთებშიც ანათებს და ღრმა ხეობებშიც. შესანიშნავი ფლავი კეთდება უცხო ქვეყნებიდან მოტანილი ბრინჯისაგან. მეც შორიდან ჩამოვედი თქვენს ყრილობაზე. ჩამოვედი მხოლოდ მოსალოცად. ახლა კი ვგრძნობ, შეშიყვარდა თქვენი მთები, თქვენი ზღვა, კეთილშობილი მამაკაცები და ღირსეული ლამაზი ქალები. თქვენზე თუ დაეწერ რაიმეს, თანამემამულენი მაღლობას მეტყვიან. არც ის იქნება საზიანო, თქვენც რომ დაწეროთ ჩემს ქვეყანაზე. მწერლის არჩევანი ისევე თავისუფალია, როგორც სიყვარულშია ხოლმე. განა სიყვარული ნებართვას თხოულობს, რომ ვინმეს გულში ჩასახლდეს?

ყრილობა ტაშს უკრავდა სტუმარს, მისი სიტყვები ისრებივით მახვილი იყო და მსჭვალავი. ფიქრები არ მასვენებდა, თუმცა ყველაფერზე ვეთანხმებოდი და ტაშს ვუკრავდი.

კარგია სხვა ქვეყნებზე და სხვა ხალხზე წერა. მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც შენს თემას მტკიცედ დაეუფლები.

ჩემი პატარა დალესტანი და ჩემი უსაზღვრო სამყარო, ეს ორი წყარო, რომ გაივიაკებს, და ერთმანეთს ერწყმის. ორი კურცხალი, დაწვებზე ორთავ თვალიდან ჩამოგორებული, მაგრამ ერთი დარდითა და სიხარულით ნაშობი.

ჩამომეკიდა ცალ-ცალკე დაწვზე  
ორი პაწია, უმწეო ცრემლი,  
როგორც ნაღდი და უმცდარი მაცენ  
სიხარულის და წუხილის ჩემის.

უსუსურია ალბათ ცალ-ცალკე  
და თუ ერთმანეთს გადაესკენება,  
ქუხილით მთა-ბარს ააცახცახებს,  
და დაიღვრება წვიმად, ლექსებად.



ჩემი პატარა დაღესტანი და ჩემი უკიდევანო სამყარო. ჩემი სი-  
ცოცხლე, ჩემი სიმფონია, ჩემი წიგნი, აი, ჩემი თემა.

არწივი, რომელიც მაღალი კლდეებიდან გაშლილ ველებზე  
გადინავარდებს, ცუდი არწივია. და ის არწივიც ცუდია, გაშლილ-  
ვებს რომ ვერ გადმოლახავს და მაღალ ქარაფებს ვერ მოაშურებს.

მაგრამ არწივს რა უჭირს, იგი არწივად დაბადებულია და რომც უნ-  
დოდეს, ვერც თოლიად გადაიქცევა და ვერც ყვავად. მწერლისთვის  
კი ძნელია არწივობა. თუ თან არ დაჰყოლია ამ კეთილშობილი და ვაე-  
კაცური ფრინველის თვისებები. აულში ჩამოსული სტუმარი ბანიდან  
ასული კვამლის სუნზე არჩევს, რომელ ქოხს ეწვიოს. ერთიდან მკადის  
სუნი გამოდის, მეორიდან — მოხარული ცხვრის ხორცისა.

ხანდახან სასიძოც ქერქეტა გოგოს ამჯობინებს ხოლმე ჰკვიან ქა-  
ლიშვილს, აქაო და ჯიბესქელიაო.

ისეთი მწერლებიც არიან, რომლებსთვისაც სულ ერთია, რაზე ან  
რომელ ქვეყანაზე დაწერენ. ისინი ქორვაჭრებს ჰგვანან, რომლებსაც  
ჰგონიათ, რაც უფრო შორს წავლენ, უფრო ძვირად გაჰყიდიან საქონ-  
ელს.

ისინი ვინმე პარხალშესაც მაგონებენ, მშობლიურ აულში საქმრო  
რომ არ ეგულებოდა და მეზობელ აულებში ეძებდა. ბოლოს კი, ძნე-  
ლი მისახვედრი არაა, შინაბერად დარჩა.

ისევე თემის გამო. ერთ მშვენიერ დღეს პირველად დავტოვე  
მშობლიური ქოხი და გზას დავადექი. დედამ ფანჯარაზე ანთებული  
ლამპა შემოდგა. მივდიოდი. მოვიხედავდი და ისევ გზას ვაგრძელებდი.  
მშობლიური შუქის ციმციმი კი მაინც მიძლოდა ბურუსსა და სიბნე-  
ლეში.

სარკმლიდან გამომკრთალი შუქი მრავალ წელიწადს მინათებდა,  
ვიდრე აღმა-დაღმა ვეხეტებოდი. როდესაც შინ დავბრუნდი და იმ ფა-  
ნჯრიდან გავიხედე გარეთ, უსაზღვრო სამყარო დავინახე, მთელი ცხოვ-  
რების მანძილზე რომ შემომივლია.

ვინ მისცემს მწერალს თემას? უფრო ადვილია, თავი, თვალები,  
ყურები ან გული მისცე. ის მწერალი, ვინც თემის შერჩევისას სიყვა-  
რულს ან სიძულვილს კი არ დაჰყვება, არამედ სუნს, უფრო ზუსტად  
კი ყნოსვას, თავისი დროის პირმშოც ვერ გახდება. ისინი დროის კი  
არა, მხოლოდ დღევანდელი დღის შვილები არიან. და კიდევ — ყრუ  
პატარძალს ჰგვანან.

ყრუ პატარძლის არაკი. ერთ აულში თურმე ყრუ ქალიშ-  
ვილი ცხოვრობდა. მეორე აულში მცხოვრებმა ბიჭმა მისი სიყრუისა  
არა იცოდა რა და შუამავლები გაუგზავნა. საქმე მოგვარდა და ქორწი-  
ლი დაინიშნა. ზღვა ხალხმა მოიყარა თავი. პატარძალს არ უნდოდა მისი  
სიყრუე შეეტყობთ და თავის დობილს სთხოვა გვერდიდან არ მოშორე-

ბოდა. თუ მხიარულ, სასაცილო ამბავს მოჰყვებოდნენ, დობილს მარცხენა მხარზე უნდა ეჩქმითა. თუ ნაღვლიან მწუხარე ამბავს მოჰყვებოდნენ — მარჯვენაზე.

თვითონ პატარძლისათვის ქორწილზე ლაპარაკი სრულებითაც არ არის სავალდებულო, პირიქით, უკეთესია, ხმას თუ არ ამოიღებს. ამიტომ კარგა ხანს ყველაფერი რიგზე მიდიოდა. პატარძალი იცინოდა, როცა სიცილი იყო საჭირო და მოიწყენდა, როცა ყველანი მოიწყენდნენ ხოლმე.

მაგრამ დობილს დაავიწყდა პირობა და ყველაფერი აურია. მარცხენა მხარზე ჩქმეტის ნაცვლად მარჯვენაზე ჩქმეტდა და პირიქით. პატარძალს მაშინ აუტყდებოდა კისკისი, როცა სიჩუმე ჩამოვარდებოდა, ნაღვლიანი და ფიქრის მომგვრელი. ხოლო კვენსასა და ოხვრას მაშინ მოჰყვებოდა, როდესაც ირგვლივ მხიარულობდნენ და ლალობდნენ.

საქმრო პატარძალს თვალს არ აშორებდა, სულ აკვირდებოდა, იფიქრა, უთუოდ ჰკუაზე მწყურალად არისო და მაშინვე იმ გზას გაუყენა, რომლითაც მოიყვანა.

ასევე ნამდვილ მწერალსაც ყრუ პატარძალივით არ უნდა სჭირდებოდეს ჩქმეტა ხან მარცხნივ და ხან მარჯვნივ. მხოლოდ საკუთარმა გულის ტკივილმა, საკუთარმა სიხარულმა უნდა ააღებინოს ხელში კალამი: იგი იმიტომ კი არ იცინის, რომ სხვები იცინიან, იმიტომ კი არ წუხს, რომ სხვები წუხან. არა, მან თვითონ უნდა მისცეს ქორწილს შნო და ლაზათი. მის სიცილზე ყველა მხიარულობდეს და ყველას გული მოეწყვას, როდესაც იგი გულის სატკივარს ამოთქვამს.

ვინც არ მეთანხმება და დღემდე ფიქრობს კარნახით წერა სჯობიაო, დაე, მისთვის გაკვეთილი იყოს ის ამბავი, მე რომ გადაამხდა.

მ ო გ ო ნ ე ბ ა. მაშინ დაწყებითი სკოლის მეორე კლასის მოსწავლე ვიყავი, ხუნძახში ვსწავლობდი. მერხზე ერთი ლურჯთვალა გოგო მომისევს. რუსი მასწავლებლის ქალიშვილი ნინა. ძალიან მომწონდა ის გოგო, მაგრამ ვერაფრის თქმას ვერ ვუბედავდი. ბოლოს წერილის მიწერა გადავწყვიტე. ეს არც ისე ადვილი იყო, რადგანაც იმ დროს არც ერთი სიტყვის დაწერა არ შემეძლო რუსულად. ამხანაგს გავუშხილე ხეაშიადი. იმან რაღაც გაუგებარი რუსული სიტყვები მიკარნახა და მეც, რუსული ასოებით დავწერე. მეგონა იმ ულამაზეს სიტყვებს ვწერდი სიყვარულზე, ნინასთვის რომ ვაპირებდი მეთქვა. აკანკალებული ხელით გავუწოდე წერილი გოგონას. იმანაც აკანკალებული ხელებით გახსნა და უცბად გაწითლდა, კლასიდან გავარდა და ჩემთან დაჯდომა აღარ ისურვა. თურმე მთელი ჩემი წერილი თავხედური, უშვერი და უწმაწური სიტყვების რაზარუხი იყო.

ერთი შემთხვევაც მახსენდება. უკვე ლიტერატურის ინსტიტუტში ვსწავლობდი, ნინა კი — ლენინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტ-

ში. ერთხელ დეკემბერში წინამ სტუმრად მიმიწვია. ვიცოდი, მისი დაბადების დღე იყო. ცხადია, საჩუქრებზე ვიზრუნე, მაგრამ ყველაზე უკეთესი საჩუქარი მისდამი მიძღვნილი ლექსი იქნებოდა, ხამაძლა წავიკითხავდი და შემდეგ საზეიმო ვითარებაში გადავცემდი.

ავდექი და დავწერე მისალოცი ლექსი, ჩემი თანაკურსელი დავიყოლიე (ისიც პოეტი იყო) და რუსულად ვათარგმნინე. მთელი დამე თარგმნას მოანდომა. როცა წამიკითხა, ლექსი ველარ ვიცანი. სანტიმენტალური გულახდილობაც ჩანდა და საბედისწერო გახელებაც. მაგრამ ეს არ იყო ჩემი გულის ნაღები, წინასათვის რომ უნდა მეთქვა.

ახლა ასე ადვილად ვერავინ გამაცურებდა, უკვე გაქეპილი ვიყავი. — კარგი. ეს ლექსი შენს შეყვარებულს წაუკითხე დაბადების დღეზე, ეს ჩემი კი არა, შენი ლექსია.

ისევე თემის გამო. თემა მძინარე თევზივით როდი ტივტივებს გულალმა წყლის ზედაპირზე. იგი სიღრმეშია, ჩქერში. სცადე და ამოიყვანე შორევიდან თუ ჩანჩქერიდან. განა ერთი და იგივე ფასი აქვს მძიმე და ხანგრძლივი შრომით ნაშოვნ ფულსა და ქვაფენილებზე შემთხვევით ნაპოვნს?

მთიელები ამბობენ, ნადირს კი დაიქერ, მაგრამ ყველა კურდღელი და ტურა იქნება, ჯობია ერთი დაიქირო და ისიც მეღა. აბა, რა იცი, სად გადააწყდები მეღიას. განა უსათუოდ ყველაზე შორეულ ხეობაში უნდა ბუდობდეს ყველაზე უკეთესი ნადირი?

ერთი მონადირე მთელი მისი სიცოცხლე მოშავო-რუხი მეღიის დაქვრახე ოცნებობდა. მთელი მისი სიცოცხლე ტყე-ღრეში დაეხეტებოდა. სიბერეში გაუჭირდა სანადიროდ შორს სიარული და მახლობელ ხეობაში დაიწყო ნადირობა, იქვე ქოხის ახლოს, და აი, მოშავო-რუხ მზეთუნახავს გადაეყარა.

— სად იმალებოდი აქამდე, მთელი სიცოცხლე გეძებდი.

— მე მთელი სიცოცხლე ამ ხეობაში ვცხოვრობ, — უპასუხა მეღამ. — განა არ იცი, შეიძლება მთელი სიცოცხლე ნადირობას შესწირო, ნადირის ხელში ჩასაგდებად კი ერთი დღე, ერთი წამია საჭირო.

ღიახ, მწერალსაც ერთი დღე აქვს, დღე, როდესაც თავის თავს აღმოაჩენს. თავის მთავარ თემას მიაგნებს. ამ თემას მწერალმა შემდეგში აღარ უნდა უღალატოს. თუ უღალატა, ისე დაემართება, როგორც ერთ ჩემს ნაცნობს დაემართა.

ახლა კი ჩემი ნაცნობის პიესის გამო. ერთმა დაღესტნელმა მწერალმა პიესა დაწერა საკოლმეურნეო ცხოვრებაზე. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ თემა მნიშვნელოვანი იყო, თეატრმა პიესა მაინც არ მიიღო. უარი უთხარეს — პიესა არ მოგვწონსო. სხვისი რა მოგახსენოთ და დრამატურგისათვის ასეთი მიზეზი შეუტრაცხყოფელია. ისიც ადგა და წერილი გაგზავნა, სადაც საჭირო იყო. მაშინვე კომისია

შედგა საკითხის შესასწავლად და სათანადო ზომების მისაღებად. პიესის შინაარსი ასეთი იყო: ორი ბრიგადა მხიარულ სიმღერებს მღერის და ერთმანეთს ეჯიბრება ხორბლის უხვი მოსავლის აღებაში. ასეთი შინაარსი კომისიისათვის ხელსაყრელი იყო და პიესის საქმეც გაიჩარხებოდა, ერთ გარემოებას რომ არ შეეშალა ხელი. იმ დროისათვის მიღებული იყო გადაწყვეტილება, ყუმუხის მინდვრებზე ხორბლის ნაცვლად ბამბა დაეთესათ (ეს მხიარული ბრიგადები კი სწორედ ამ მინდვრებზე იღებდნენ მოსავალს). ამ პირობებში ხორბლის აღებაზე დაწერილი პიესის დადგმა არაფრით არ შეიძლებოდა. მწერალი ისევ ჩაუჯდა პიესას. ბამბის აყვავებამდე ყველაფერი მზად იყო. ისევ დაიწყეს თეატრში პიესის კითხვა. სანამ კითხვას დაამთავრებდნენ, კიდევ ახალი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. გადაწყვეტილებაში ნათქვამი იყო, ყუმუხის მიწაზე ბამბა ხორბალზე უფრო ნაკლებ მომგებიანია და ამიტომ ჯობია, სიმინდი დაითესოსო.

შრომისმოყვარე დრამატურგმა ისევ მოჰკიდა ხელი პიესის გადაკეთებას. არ ვიცი, რით დამთავრდებოდა საქმე, მაგრამ თეატრი დაიწვა. ჩემი ნაცნობი გააბრაზა თავისმა უიღბლობამ და პიესა აბოზოქრებულ მდინარეში გადააგდო.

მოდით, კიდევ ერთ პიესაზე მოგიყვებით. ერთმა რუსმა ლიტერატორმა დაწერა „დაუღეგარნი“ — ასე ერქვა პიესას. ეს პიესა უკვე ბამბა-ხორბლეულს კი არა, „მეთევზეობას“ ეძღვნებოდა. თუმცა „მეთევზეობასაც“... არა, აი მისი შინაარსი: ზოგჯერ ცდილობენ ხოლმე მამაპაპისეული აულებიდან მთიელები აპყარონ და ზღვის პირას, დაბლობში ჩაასახლონ. ამ რთული პრობლემის განხილვას აქ არ მოგყვებით. მხოლოდ აღვნიშნავთ, დასაბამიდან ცხერის მოვლა-პატრონობას შეჩვეული მთიელები, დაბლობში ზოგჯერ მეთევზეობას იწყებენ. რითი სჯობია ცუდი მეთევზე გარგ მეცხვარეს — არც ამის გარკვევაა მაინცდამაინც ადვილი, მაგრამ პიესაში სწორედ იმაზე იყო ლაპარაკი, როგორ გადაიქცნენ კასპიის ზღვის მეთევზეებად შორეული აულებიდან ჩამოსახლებული მთიელები.

პიესის მოქმედი გმირები ხუნძები იყვნენ, ამიტომ დრამატურგმა თავისი ახალი ნაწარმოები ხუნძურ თეატრს წარუდგინა განსახილველად. თეატრმა პიესა დაიწუნა.

რა უნდა ექნა დრამატურგს? სხვა მის ადგილას, ალბათ დაიბნეოდა და სულიერად დაეცემოდა. მაგრამ ზოგჯერ ჭადრაკის პარტიის შიგ ხდება ხოლმე ასე: შავები შევიწროებული და კუთხეში მიმწყვდეულნი არიან, გზა არსაით აქვთ, ამოსუნთქვაც არ შეუძლიათ, მაგრამ უცბად ცხენით აკეთებენ სვლას. ძალიან მოულოდნელი და უბრალო სვლაა. მთელი პარტიაც მოულოდნელად იცვლება. ახლა უკვე თეთ-



რებო უნდა გადავიდნენ დაცვაზე. თავს უნდა უშველონ, სანამ გვიან არ არის.

ასეთივე მარტივი სვლა გააკეთა მაშინ პიესის ავტორმა. ყველა ხუნძური სახელი ყუმუხურად შეცვალა და პიესა ყუმუხურ თეატრს წარუდგინა. მაგრამ ცხენით სვლამაც ვერ უშველა საქმეს. ყუმუხურმა თეატრმა უარი თქვა მეცხვარეების მეთევზეებად გადაქცევის ინსცენირებაზე.

დრამატურგმა პატრონის კარზე შიმშილისაგან ფერღებჩაცვენილი ძალღივით კარდაკარ საწინწალოდ გაუშვა თავისი პიესა. ძალღმა ბევრი უცხო ეზო შემოირბინა, მაგრამ ძვალსაც რომ ვერ მიაგნო?

რამდენიმე წლის შემდეგ დრამატურგი მოსკოვს გაემგზავრა სასწავლებლად. უმაღლეს ლიტერატურულ კურსებზე, და აი მახაჩყალამდე ხმამ მოაღწია, მისი მეთევზეები ბოშებად იქცნენ და პიესამ ბოშათა თეატრი „რომენი“ დააინტერესაო. როგორც იქნა, იშოვა ქმარი კოჭლმა სასძლომ, თუმცა არც ეს ქორწინება გამომდგარა ხანგრძლივი...

აი, ორი ნაცნობი მწერლის პიესა გაეაკრიტიკე ერთდროულად. ახლა რომ ტრობუნაზე ვმდგარიყავი, მწერალთა კრებაზე, სიტყვას შემაწყვეტინებდნენ ყვირილით: საკუთარ თავზე ილაპარაკე, თვითკრიტიკა გვინდა!

საკუთარ თავზე რა ვილაპარაკო? ბედნიერი ვიქნებოდი. მხოლოდ ისეთი ცოდვებისათვის დავსჯილიყავი, ახლა რომ ვიამბეთ, მაგრამ მე ისეთი ცოდვა მაწევს კისერზე, მასთან ყველა „მებამბეთა“ თუ „მეთევზეთა“ შეცოდებანი საბავშვო გასართობია. ახალგაზრდობაში ისეთი ნაბიჯი მაქვს გადადგმული, გახსენებაც შიშძიმს.

შემდეგში დიდხანს მაგინებდნენ მეგობრები და ეს ჩემი სასჯელი იყო, მაგრამ ყველაზე უფრო დიდ სასჯელს მე თვითონ ვატარებ ჩემში და ვერავე ვერასოდეს ვერ დამსჯის უფრო სასტიკად.

მ ა მ ა მ ე უ ბ ნ ე ბ ო დ ა: თუ უღირს, სამარცხვინო საქციელს ჩაიდენ, რამდენიც არ უნდა ილოცო, წამხდარ საქმეს ველარ გამოასწორებო.

მ ა მ ა ა მ ა ს ა ც მ ე უ ბ ნ ე ბ ო დ ა: ვინც წლების შემდეგ მოინანიებს სამარცხვინო საქციელს, იმ ადამიანს ჰგავს, ძველი, რეფორმადელი ფულთ რომ აპირებს ვალის გადახდასო.

სრული სიმართლეა, მეც ვიცი, ჩხუბი რომ მოთავდება, მერე მუშტების ქნევა გვიანია. მაგრამ მკითხველი რა იცი, არ მოგწერს, ანდა არ შეგახსენებს, ქრილობას კვლავ არ გაგახსნის. თითქოს კენჭებს ესროდეს ჩემს ფანჯარას, თითქოს მეძახის:

— გამოიხედე, დაგვენახე. რასულ გამზათოვ! გვიამბე შენს მკითხველებს, რატომ და როგორ მოხდა ეს ყოველივე.

— რა უნდა ვიამბოთ?

— აი, რა, — ათას ცხრაას ორმოცდათორმეტ წელს შენი ლექსებით ჩრდილი მიაყენე შამილს, ათას ცხრაას სამოცდაერთში კი ქება-დიდება შეასხი. ორივე შემთხვევაში რასულ გამზათოვი აწერდა ხელს; გვინდა გავიგოთ, ეს ერთი და იგივე რასულია, თუ სხვადასხვა, ან რომელ რასულს დავუჭეროთ?

ეს არის საკითხავი. დაისრულ სხეულს შეიძლება უშველო, მაგრამ დაისრულ გულს რაღა ეშველება?

სიმაართლე ვითხრათ, მე დროის ჩრდილი ვიყავი. ჰოდა, როგორც ჯიხიციან, ჩრდილიც ისეთი აქვს. ოფიციალურად ცნობილზე გახდა, შამილი ინგლისისა და თურქეთის აგენტი იყო და, რაც მთავარია, მიზნად ისახავდა ხალხებს შორის მტრული განწყობილების ჩამოგდებასო. მეც მაშინ დავწერე ჩვენი შამილის მამხილებელი ლექსები. ახლა ხანდახან დასამშვიდებლად მეტყვიან ხოლმე:

— გავიგეთ, საგანგებო დავალებით დაუწერიანებიათ შენთვის ის ლექსები.

— არ არის სწორი. არავის არ დაუტანებია ძალა, ჩემი სურვილით დავწერე ლექსები შამილზე და რედაქციისაშიც მე წავიღე. უბრალოდ, იმ მთიელებს ვგავდი, ყურანს რომ ფურცლავენ, არაბული ანბანი კი არ იციან, არაფერი არ ესმით და მაინც ალტაცებული არიან.

მე დროის ჩრდილი ვიყავი. მაშინ რა ვიცოდი, შეუძლებელი რომ იყო პოეტის ჩრდილად გადაქცევა, რომ იგი მუდამ ცეცხლია, სინათლის წყარო, იმისდამიუხედავად, მოფარფატე აღია თუ დიდი მზე. სინათლე ჩრდილს არასოდეს გაჰფენს. სინათლე მხოლოდ სინათლეს წარმოშობს.

შეიძლება ამას მოგვიანებით მივხვდი. რას იზამ, ვაშლიც კი სხვადასხვა ჯიშისაა, ზოგი ადრე მწიფდება, ზოგი კი მხოლოდ შემოდგომაზე. როგორც ჩანს, მე შემოდგომის ჯიშისა ვარ.

აი, როგორ იყო საქმე. ჩემი ჭრილობა კი დღესაც მტეხს.

ჭრილობამ ისევ გამიხსენა, ისევ მეკვება  
და ამ ტყვიელმა კაცად დამბადა.  
ეს იყო მთების პოეზია, მთების ლეგენდა, —  
და სიამაყე მამა-ბაბათა.

სლამობით პაპის ფერხთით ვიჭევი ზღურბლზე.  
წიოდა პაპის ნაამბობში ტყვია და დამნა  
და მზე იმგვარად მიუძლოდა დაფლეთილ ღრუბლებს,  
როგორც იმამი სისხლით მოსერილ ნომარ ლაშქარს.

ლეგენდა იყო და სურათად ქოხში ეკიდა,  
მარცხენა ხელით დაბჯენოდა მახვილს ალესილს.  
იგი ჩვენს ავკარგს ჰვრებდა კედლიდან  
და მუდამ ზრუნვა ედგა თვალებში.

იმამი ომშიც გვაცილებდა მამებთან ერთად  
და სული მისი დაგვიყოლა: „მომხედურებს დაქაათ!“  
მასსოვს, ბეჭდები და მძივები მოიხსნა დედამ,  
რათა შამილი ქვეულიყო მრისხანე ტანკად.

მამამ თეთრ იმამს სიკვდილის წინ პოემა უძღვნა,  
დაპირილი სულის სასალბუნო და სამკურნალო,  
მაგრამ იმხანად ასინინდნენ ჭორები ურცხვად  
და მთების ღმერთი შეურაცხვეს ტყუილ-უბრალოდ.

ამ მძიმე ჭავრმა შეიწირა მოხუცი მამა,  
თორემ ვინ იცის, იქნებ კიდევ ეცოცხლა დიდხანს.  
ჰოდა, ფეხის ხმას მეც აუყვივი... დაგბრმავდი წამით  
და ნაჩქარევად მეც წამომცდა აუფი სიტყვა.

და მახვილს, თვითონ ალაპისგან კურთხეულ მახვილს,  
შამილის მახვილს, რომ ქვეულა ლეგენდად, ზღაპრად  
(ეჲ, როგორ არ გაიცინებს მთიელი ხალხი!)  
გამცემლის ხმალი ვუწოდე ღლაპმა.

ღამით ფანჯრებთან წრიალებდა მისი აჩრდილი,  
მხრით აწვებოდა ჭოხის კარებს და სიზმრის კარებს,  
გაფითრებული მწუხარე და ნაბადგაშლილი  
ნიკაპს ისრესდა და თან თითებს იყენებდა მწარედ.

იგი ზმუოდა: „სისხლი ვღვარე თქვენი გულისთვის,  
ცხრამეტჯერ დამჭრეს (ალბათ იყო ღვთის განაჩენი).  
შენ კი რა ჰქენი, ო, რა ჰქენი, ღლაპო უვიცო,  
შეურაცხმყავი და მეოცედ გულში დამჭერი.

იქნება ჩემი პაზავათი მართლაც მოძველდა,  
ახლა დაღესტანს დამონება არ ემუქრება,  
ხოლო მახვილი, უსირცხვილოდ ლანძღავ რომელსაც,  
გადატეხამდე ემსახურა თავისუფლებას.

ბეჭეებით ვზიდე საღვთო ომის ტვირთი ვეება,  
თავისუფლების აღმართე დროშა.  
გამიწყებლია შენისთანა მეღექსეები,  
რადგან საღექსოდ არ მეცალა იმ სასტიკ დრო-ყამს.

მათი ღვენისთვის არ ვიყავი იქნებ მართალი,  
სიმტკიცეს ვთხოვდი მგოსანს, როგორც მეომარ რაინდს.  
ღიას, ვღვენიდი შენისთანა ენაქარტალებს  
და როგორც ხედავ, არ შევმცდარვარ მაინცდამაინც“.

ასე მტუქსავდა იმამი და მიმზედრა წყრომით,  
მარცხენა ხელით ჩაებღუჯა მახვილის ტარი,



შენოდა ინით შეღებილი ფაფარი ლომის  
და თეთრი ჩაღმა შემკობილი ნახევარმთვარიით.

ხმას არ ვიღებდი, არ შემედლო თავის მართლება,  
დანაშაულებ მესსომება კუბოს კარამდე.  
ო, მე შევეცოდე, როგორც მთიელს არ ეკადრება  
და შამილს პაჩი მურატივით მეც ვულაღატე.

დანაშაულის გამოსყიდვა ესურვა მურატს,  
გაქცეულს ტყვია მიეწია ჭაობში სადღაც.  
იმამთან მეც ვერ დაგებრუნდები... სხვა გზა მაქვს სულაც,  
სულ სხვანაირი დროება დადგა.

ღროს კეთილო, ამაშორე სირცხვილი მძიმე,  
იმ ბრიყვულ პწკარებს ხსოვნიდანაც შანთით ამოვშლი,  
მინდა ვულწრფელად პატიება შეეთხოვო იმამს,  
მაგრამ ისე, რომ არც ჩავეარდე არსად ჭაობში.

შამილი თხოვნას არ შეისმენს, შემრისხავს ისევე,  
რამეთუ ცამდის მართალია კაცთან და ღმერთთან,  
კალმით დაწერილ პატიებას როდი შეისმენს,  
ვინც მთების ანდერაძს მახვილით წერდა.

იმამის ნაცვლად ჩემო მიწავ, შენ მაპატიე,  
შენ შეისმინე, შენ გამიგე ეს სიყვარული.  
რა შემძლია, დავიფიცო შენით მადლიერს,  
პა, ჩემი ქედი, შენი ხმალი! მე ვარ ყაბული..

არ ვიცი, მაპატიეს თუ არა ჩემი ძველი ლექსები დაღესტნელებმა,  
არ ვიცი, მაპატია თუ არა შამილის აჩრდილმა, მე კი ჩემს თავს არა-  
სოდეს ვაპატიებ.

მამაჩემი მეუბნებოდა:

— შამილს ნუ შეეხები, შეეხები და შენს სიცოცხლეში ვერ მოის-  
ვენებ.

მართალი გამოდგა მამაჩემი.

ღრო! დღეები წლებს ქმნის, წლები საუკუნეებს, მაგრამ რა არის  
ეპოქა? საუკუნეებისაგან წარმოიქმნება თუ წლებისაგან? ან იქნებ ცალ-  
კეულ დღესაც შეუძლია ეპოქად გადაქცევა? ხუთი თვეა ხე ამწვანე-  
ბული და ერთი დღე, ერთი ღამეც კმარა, რომ ყველა ფოთოლი გაყ-  
ვითლდეს. და პირიქით: ხუთ თვეს დგას ტანშემოძარცველი, ნახშირი-  
ვით შავი და ერთი მზიანი, სხივნათელი დილა ჰყოფნის, რათა გაიფოთ-  
ლოს, ერთი მოცინარი დილა, რათა დაიყვავილოს.

არის ხეები, თვიდან თვემდე ფერს რომ იცვლის. ფერუცვლელ  
ხეებიც არის.

არიან გადამფრენი ფრინველები, წელიწადის დროთა მიხედვით რომ იცვლიან ადგილსამყოფელს, მხოლოდ არწივები არ ღალატობენ მშობლიურ მთებს.

ფრინველებს ქარის საწინააღმდეგოდ უყვართ ფრენა, კარგი ბევრი დინების აღმა დაცურავს. კემშარიტი პოეტი, როცა გული ეტყვის, „საყოველთაო აზრსაც“ აუმხედრდება.

კ ვ ლ ა ვ თ ე მ ი ს გ ა მ ო . იქნებ ყველამ არც კი იცის ერთი მთიელის ამბავი. იმ კაცს ახალი ჩექმები ჰქონდა, დასვრას ერიდებოდა და სულ ფეხის წვერებზე დადიოდა. ერთხელ გზაზე მუხლამდე ტალახი დახვდა. ლაფში თავდაყირა დადგა საწყალი.

### ლექსის თემის გავრცელება

ქორწილში ვიყავ... იღვრებოდა ღვინო ყანწიდან, მიყვარდა ქაბუკს დროსტარება წრეგადასული. წესის მიხედვით მაყრიონი ხელჯოხს მწვედიდა, აირჩიეო საცეკვაოდ ვინმე ასული.

ვინ ამერჩია, საცეკვაოდ ვინ გამეწვია?

ვის დავაფასებ, ნეტარ წუთებს ვისთან ვინებებ?

— თეთრთან იცეკვე...

— შეგვერებანი უკეთესია...

ჩამჩინებენ უფროსები ბრძნულ დარიგებებს. აჰა, კაცი ვარ და კუმუზი მერგუნა წილად, მამულს ვუმღერი, რადგან ჩემი თვალის ჩინია, ჩამჩინებენ ისე, როგორც დიდი ხნის წინათ:

— ეს აირჩიე,

— ის ჯობია!..

— ეს გირჩევნია.

ი ს ე ვ თ ე მ ი ს გ ა მ ო . როცა ქუჩაში გახვალ, შენიშნავ, მიწაზე, ბუჩქებში თუ ხეებზე უამრავი ფრინველი ფათქუნობს. ზოგი ძალიან მალლა დაფრინავს. ზოგი კი, მერცხლები, ჭილყავები, ბელურები და კვეები — დაბლა. ამდენ ფრინველებში ერთადერთი არწივი მეფობს ცის კაბადონზე. იგი ყველაზე შორს და ყველაზე მალლა შეჰკრავს კამარას... და მაინც კაცი ზღურბლს რომ გადმოაბიჯებს, პირველად არწივს დალანდავს სილაყვარდეში. სწორედ ამითი გამოირჩევა არწივი სხვებისაგან, სწორედ ამიტომაც საჩინო, რომ ყველაზე შორს და ყველაზე მაგრა შეჰკრავს ხოლმე კამარას; მერე კი ბელურასაც შენიშნავს. ქოხიდან ხუთ ნაბიჯზე, ბუჩქზე შემომჭდარს.

მაგრამ აქაოდა არწივს თვალი შევაკლეო, ნუ ფიქრობ, არწივად გადაიქცე. მწერალმა რაკი გმირი განადიდა, თვითონაც გმირი როდია. ბევრი ლაჩარი ვიცი, სახელი რომ გაუთქვეს საგმირო ლექსებმა. ნეტავ საფლავიდან რომ წამომდგარიყო მთების მამაცი შვილი მახარ დახა-

დაევი, რას იტყოდა ვინმე „მეცნიერს“, მასზე დისერტაციის დაწერა რომ განუზრახავს?

— როგორ უნდა აღწერო ჩემი გმირული ცხოვრება, როდესაც არც ერთი შენი ფრაზისთვის არ შეგიძლია თავი გამოიღო რედაქტორთან. ყოველი რედაქტორი თავისი სურვილისამებრ გადაგიკეთებს რაც ჩემზე დაგიწერია, შენ კი კრინტსაც ვერ დასძრავ. არა, შენ მახარ დახადაეგზე დისერტაციის დამწერი არა ხარ — აი, რას იტყოდა მთების მამაცი შვილი, საფლავიდან რომ წამომდგარიყო.

ზოგიერთს ჰგონია, თუ დიდ თემას მოჰკიდებს ხელს, თვითონაც დიდი მწერალი გახდება. წვიმის ერთ წვეთში წარღვნას სძინაეს. სილია-დესა და არაბობას შორის ის განსხვავებაა, რომ უსუსურს შეუძლია მხოლოდ ის საგნები და მოვლენები შენიშნოს, რაც დიდი და შორია, ცხვირწინ კი ვერაფერს ხედავს. დიდი ადამიანი კი დიდსაც ამჩნევს და მცირესაც. მცირეშიც უმნიშვნელოვანესს აღმოაჩენს და ხალხს დაინახებს.

არაკი ჩიტზე, რომელსაც არწივთან გატოლება მოუნდა: ცხვარი მთებიდან ბარში ჩამოილალა. უცებ ფარას არწივი დააცხრა და ბატკანი მოიტაცა: ეს ერთმა პატარა ჩიტმა დაინახა. ბატკანი რაა, მოდი და ცხვარს მოეიტაცებო, — გაიფიქრა ჩიტმა. ცაში აიჭრა, ფრთები დაკეცა და დაეშვა. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ საწყალმა ჩიტმა ცხვრის რქაზე შეახია მკერდი.

ისევ თემისა გამო: თემა — სიყვარული და თემა — ფიცი. თემა — ვედრება და თემა — ლოცვა. აღმოსავლეთში ამბობენ, ლოცვას გამეორება არას აგნებს, მადლს კი შემატებსო.

თემაზე კი ამას ვერ იტყვი, ერთი დაიგივე თემა თუ მრავალგზის გაიმეორე, დაქუცმაცდება და გაუფასურდება. აღმასი მით უფრო ძვირფასია, რაც უფრო მსხვილია. აღმასის მტკერი ვის რად უნდა?

ერთხელ ჩემს მასწავლებელზე, ვერა ვასილის ასულზე დავწერე ლექსი. მკითხველსაც მოეწონა და კრიტიკოსებსაც. გამიხარდა და მოვუხშირე ამ თემაზე წერას.

ჩემი ლექსები თავი ღვინო კი აღარ გახლდათ, არამედ წყალნარევი და კასრისნარეცი.

შეიძლება ძველი ღვინის მარკით სუფრაზე დაუღუღებელი მაჭარიც მოიტანო. იმასაც მოგიყვებით, როგორც ვუმასპინძლდებოდით ხანდახან მოსკოველებს ჩვენი ღვინით.

მე დ ჩემს კავკასიელ მეგობრებს მამულიდან მოსკოვში ღვინო ჩავგვონდა. დაუფძახებლთ მეგობრებს, ღვინოს თავს მოვხდილთ და იწყებოდა ქეიფი. კასრში ძველი, დავარგებული ღვინო იყო. მეგობრები დაღევედნენ, შეაქებდნენ და შემდეგ სხვებსაც უამბობდნენ. კარგი

ღვინის მოყვარული ბევრი იყო, კასრი კი, ხომ იცით, უძირო როდია. ხანდახან ვცოდავდიო. ბუფეტში ჩვეულებრივ ბოთლებში ჩამოსხმულ ღვინოს ვყიდულობდით. კასრში ჩავათხლავდით, თავ ღვინოდ ვაღვარებდით. ერთი მეჭამნიკე არ გამოჩნდა, რომ ვემხილებინეთ. მხოლოდ ერთმა სტუმარმა შემომხედა და თავი გადააქნია. დანარჩენები კი, რაც მეტს სვამდნენ, უფრო თვრებოდნენ და რაც უფრო თვრებოდნენ, მეტად აქებდნენ ღვინოს.

ასე მოუვიდა ჩემს ზედიზედ გამოცხობილ ლექსებსაც, მხოლოდ ზოგიერთი, ყველაზე მეტად მიმხვედრი და მკაცრი მკითხველი აქნევდა თავს და ამბობდა:

— ეპ, ძმაო, ამ საქმეზე უკვე დალაგოლოვი იყო.

ამასაც ამბობდნენ:

— ერთ აულს ერთი სულელიც ეყოფოდაო.

მაშინვე მივხვდი. ისე ვიქცეოდი, როგორც ხის მხვეწელები ეპყრობიან ხელჯოხებს.

ახლა ამ სამივე ამბავს რიგრიგობით ვიამბობთ.

ჩემს პატარა ბიჭობაში ფოსტალიონი ყურბანალი აულში ვახეთებ-სა და წერილებს დასტა-დასტად დაატარებდა. ერთი ლაზღანდარა ვინმე გახლდათ აულ ებუტადან. ყურბანალი მამაჩემთან უსათუოდ შემოვივლიდა, დაჯდებოდა, ყალიონს გააბოლებდა და ბაასობდა. არ ვიცი, რატომ მაინცდამაინც მამაჩემი აირჩია თანამობაასედ. საუბრის თემა ხომ ყოველთვის ერთი და იგივე ჰქონდა — ქორწინება, უფრო სწორად, ბოლო ქორწინება. რადგანაც ყურბანალი იმათ რიცხვს ეკუთვნოდა, ცოლს დღეს რომ შეირთავს და ხვალ გაშორდება.

სწორედ იმ ხანებში ახალგაცილებული იყო ცოლს და ახალგაზრდა ქვრივს ეძებდა. ვგონებ იბოვნა კიდევ, რადგან სულ იმას ლაპარაკობდა, რა ლამაზი, ახალგაზრდა და თავაზიანი ქალი შემხვდაო.

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ახალგაზრდა ქვრივზე ლაპარაკი შეწყვიტა. ყურბანალი ძველებურად დადიოდა მამასთან. მაგრამ ახლა ხან ამინდზე ლაპარაკობდა და ხან საკოლმეთურნეო საქმეებზე.

— ხომ არ დაქორწინებულხარ იმ ქალზე? — ჰკითხა მამამ.

— რას ამბობ, გამზათ. მე კი ვფიქრობდი, მაგრამ ის თურმე სულ სხვას ფიქრობდა. ახლა მთელი დაღესტანი უნდა შემოვიარო, ახალგაზრდა ქვრივის ძებნაში.

დიდხანს არ გამოჩენილა ყურბანალი. ეტყობა, მართლა სოფელ-სოფელ დაეძებდა საბედოს. ფოსტას მისი ვაყი დაატარებდა. ხოლო როცა ისევ გამოჩნდა ჩვენს ქოხში უიღბლო საქმრო, მოუთმენლად ვკითხეთ:

— სად ყოფილხარ, რა. გინახავს, გზა ხომ არ გაგმრუდებია?

— სწორ გზას ვადექი, მაგრამ დალაგოლოვმა გამიმრუდა.

— რანაირად?

— სულ უბრალოდ. ვისაც მივაღებე, ყველა ასე მეუბნებოდა, დაიგვიანე, ამ საქმეზე უკვე დალაგოლოვი იყო.

დალაგოლოვი ცნობილი ხუნძახელი დონ-ეჟანი იყო. 1938 წელს დარბიში მეთვრამეტედ დაქორწინდა.

ყურბანალიდან მოედო დაღესტანს ანდაზა „ამ საქმეზე უკვე დალაგოლოვი იყო“.

მეორე ამბავი ერთ ბრიყვს შეეხება. ცნობილია, თითო ბრიყვი ყველა აულს ჰყავს. ეს კარგიცაა. ცუდი, როცა სოფელს ბევრი სულელი ჰყავს. თუ არც ერთი არა ჰყავს, არც ის ვარგა. ბრიყვები ერთმანეთს კარგად იცნობენ და სტუმრადაც დადიან ერთმანეთში. ერთხელ ხუნძახელ ბრიყვს გორტაკოლელი ბრიყვი ეწვია.

— სალამ ალეიქუმ, ბრიყვო!

— ვალეიქუმ სალამ, ბრიყვო!

შემდეგ კი ყველაფერი ისე წავიდა, როგორც ყონალებს შეჰფერით. ღუმელის შორიახლო მოკალათდნენ. ჰამეს, სვეს. მესამე დღეს გორტაკოლელი ბრიყვი შინ წასასვლელად მოემზადა. მასპინძელმა პატივით გააცილა, დაასაჩუქრა და გამოემშვიდობა. სტუმარ-მასპინძლობის წესები დაცული იყო, მაგრამ როგორც კი შენი სახლის ზღურბლს გადააბიჯებს, სტუმარი აღარაა, რაც გინდა უყავი. ეცა ხუნძახელი ბრიყვი გორტაკოლელს და გაარტყა.

— რატომ მცემ?

— მეორედ აღარ გაბედო მესტუმრო, განა არ იცი, რომ ერთი აულისათვის ერთი ბრიყვი კმარა?

ხანდახან გამახსენდება ეს იგავი და გავიფიქრებ: სოფლისათვის ბრძენიც ერთი კმარა-მეთქი.

უ ბ ი ს წ ი გ ნ ა კ ი დ ა ნ :

მდიდარმა ხანმა ერთ გლახას ჰკითხა:

— იხვის რომელი ნაწილი უფრო გემრიელია? სწორ რჩევას თუ მომცემ, დაგასაჩუქრებ.

— უკანალი, — დაუფიქრებლად უპასუხა გლახამ.

სადილზე ხანმა იხვის კურტუმო გასინჯა, მართლა მოეწონა და ახლა მეორე გლახას ჰკითხა.

— კამეჩის რომელი ნაწილი უფრო გემრიელია?

მეორე გლახასაც უნდოდა საჩუქარი და პასუხი პირველივეთ გასცა:

— უკანალი.

ხანმა ესეც გასინჯა და წკებლებით აუხურა ზურგი მრჩეველს.

აფსუს, იმ მწერლისათვის რატომ არ მოიძევება წკებლები, მუდამ ერთსა და იმავეს რომ იმეორებს, საჭიროა ეს თუ არა.

ახლა კი უნცუქულურ ჯოხზე მინაწერის გამო:

მოსკოველი ლიტერატორი ვლადნელ ბახნოვი კოჭლია და ჯოხით და-  
დის. ერთხელ, როცა არდადეგებზე დაღესტანში მოვდიოდი, შევპირდი,  
სახელგანთქმული უნცუკულელი ოსტატების ნახელავ ლამაზ ჯოხს  
ჩამოგიტან-მეთქი. შინ დაბრუნებულმა უნცუკულში მაშინვე თხოვნის  
ბარათი ვაფრინე ერთ ძველ ნაცნობ ოსტატთან, მამაჩემის მეგობარი  
იყო და ვიცოდი, გაგიხარია, ისეთ ჯოხს გამოთლიდა... ოღონდ არ ვი-  
ცოდი, ჯოხზე რა წამეწერა.

იმხანად ცენტრალურ გაზეთებში დიდი სტატია დაიბეჭდა ლიტერა-  
ტურულ თემაზე. სტატიის სათაური იყო: „კრიტიკის ნაცვლად ხელკე-  
ტი“.

„აჰა, — გავიფიქრე მე, — აი, როგორი წარწერა მოუხდება ჯოხს,  
მოსკოველ ლიტერატორს რომ უნდა ვაჩუქო.“

ორ კვირაში ჯოხი მზად იყო. ეს ყველაზე უფრო ლამაზი ჯოხი იყო  
უნცუკულელი ოსტატების ნახელავთაგან. ზედ ლამაზად ამოეტიფრათ  
შემდეგი სიტყვები: „ვლ. ბახნოვს. კრიტიკის ნაცვლად ხელკეტი. რა-  
სულ გამზათოვისაგან“.

უნცუკულური ჯოხები მახაჩყალის, კისლოვოდსკისა და პიატიგორს-  
კის სუვენირების მაღაზიებშიც იყიდება. აგრეთვე მთიანი აულების  
ბაზრებზეც.

რამდენიმე თვის შემდეგ ერთნაირწარწერიანი ჯოხები გაჩნდა ყვე-  
ლა მაღაზიისა და ბაზრის დახლებზე. „ვლ. ბახნოვს. კრიტიკის ნაცვლად  
ხელკეტი. რასულ გამზათოვისაგან“.

დამსვენებლებს ალბათ უკვირდათ, სად სუვენირი და სად ეს წარ-  
წერაო. ყველაზე მეტად კი მე ვიყავი გაოცებული. თურმე მოხუც ოს-  
ტატს რუსული ერთი სიტყვაც არა სცოდნია. წარწერა მექანიკურად  
ამოუტიფრავს ჯოხზე. ალბათ იფიქრა, რაკი პოეტმა ასე ისურვა, ჩანს  
ამ სიტყვებში რაღაც დიდი სიბრძნე იმალეზაო! პოდა, მოდი, სხვა  
ჯოხებზეც ამასვე ამოვტიფრავო. ძველ ოსტატს საყვედური არ ეთქ-  
მის, იგი გულუბრყვილოდ მიენდო პოეტს და ამ მინდობაშიც უბრალო  
და კეთილი იყო. მაგრამ ჩვენც, გამოცდილი ლიტერატორები, ხომ არ  
ვგავართ ზოგჯერ იმ უნცუკულელ ოსტატს?

უკანასკნელი, რაც თემის გამომიხსენდა ვთქვა:  
არის ერთი თემა, რომელიც ლოცვას ჰგავს, რაც უფრო ხშირად იმეო-  
რებ, მით უფრო მეტი მადლი მოეცემა, უფრო ამადლებული და მდი-  
დარია. თემა — ლოცვა, თემა — სამშობლო.

მთის წესია: ბავშვმა თუ რამე დააშავა, სადაც გინდა დაარტყი,  
ოღონდ სახეში არა. ადამიანის სახე წმიდათაწმიდაა, ეს ყველა მთიე-  
ლისათვის კანონია.

შენ სახე ხარ ჩემი, დაღესტანო, მე ვკრძალავ, ხელი შეგახონ. მთიე-  
ლები ძალზე მომთმენნი არიან ჩხუბში. ბევრ სალანძღავ სიტყვას ეტყ-

ვიან ერთმანეთს, მაგრამ მაინც ითმენენ. ლანძღვას მხოლოდ ლანძღვით პასუხობენ. მაგრამ ლმერთმა დაიფაროს თუ რომელიმე დედის ან დის სახელს ახსენებს აუგად. მაშინ ხანჯლები ჩაერთვება ჩხუბში.

შენ დედა ხარ ჩემი, დალესტანო! დაე ახსოვდეს ეს, ვისაც ჩემთან ჩხუბი მოუხდება. შეიძლება ბევრი საწყენი სიტყვა მითხრა, მოვითმენ, ჩემს დალესტანს კი ნურავინ შეეხება. დალესტანო, სიყვარული ხარ ჩემი და ფიცი ხარ ჩემი, მუდარა და ლოცვა ხარ, შენ ერთადერთი ხარ ჩემი წიგნებისა და მთელი ჩემი ცხოვრების ძირითადი თემა.

ხანდახან მთხოვენ, დაეწერო მხოლოდ შენს წარსულზე, შენს ძველ წეს-ჩვეულებებზე. ლეგენდებსა და სიმღერებზე. შენს ქორწილებსა და ხმლებზე, შენს ბრძოლასა და მეგობრობაზე, შენს რკინასავით მაგარ მიუჩიდებსა და ნამუსიან ქალიშვილებზე, შენს კეთილშობილებასა და სიმამაცეზე. შენი ჭაბუკების სისხლსა და შენი დედების ცრემლებზე.

ხანდახან მხოლოდ შენს დღევანდელ დღეზე სურთ მოისმინონ. საბჭოთა მეურნეობებზე, კოლმეურნეობებზე, ბრიგადებსა და მერგოლუტრებზე, ბიბლიოთეკებსა და თეატრებზე, შენს შრომით მიღწევებზე.

მე არც ერთი შემიძლია და არც მეორე. ვერც მარტო წარსულზე დაეწერ და ვერც მარტო დღევანდელ დღეზე: ჩემთვის არსებობს ერთი, ათასწლოვანი დალესტანი. ჩემთვის ერთუროს შერწყმია მისი წარსული, მისი აწმყო და მომავალი. არ შემიძლია მისი ქამთა მიხედვით დანაწილება.

სხვა ქვეყნების ისტორია სისხლითაც დაწერილა და მეღნიტაც, მარტო მხედართმთავრები და ჯარისკაცები როდი წერდნენ, არამედ მწერლებიც და ისტორიკოსებიც. დალესტანის ისტორიას კი ხმლები წერდა, მხოლოდ მეოცე საუკუნემ უბოძა კალამი.

მრავალგზის დამივლია გარდასულ ბრძოლათა ბილიკები, ჩემო დალესტანო, მოვიხილე ძველი ბრძოლების საასპარეზო, შენი შევილების ძვლებით გაპოხიერებული. დაე ნუ შემომწყვრებიან ამისთვის კოლმეურნეობათა პურის და სიმინდის ყანები. ისევე, როგორც წარსული არ ამბობს სამღურავს, როცა მე დღევანდელ დალესტანზე ვიწყებ სიმღერას.

შორეული უცხო ქვეყნებიდან დაბრუნებულს მთიელები გარს შემომეხვევიან ხოლმე. მთხოვენ ვუამბო განცდილი და ნანახი. წრეს შეკრავენ და სმენად გადაიქცევიან. სულ დიდი სამი საათი თუ ვილაპარაკებ საფრანგეთსა და ინდოეთზე. იაპონიასა და თურქეთზე. სამი საათი რომ ამოიწურება, ვერც კი ვამჩნევ, რომ ისევე დალესტანზე ვიწყებ საუბარს. დალესტანზე მოვუთხრობ მთიელებს. მთიელნიც ისე მისმენენ, თითქოს მსგავსი რამ დღემდე არ სმენოდეთ. თუმცა ეს დალესტანიც ხომ თვითონ არიან.

მაჰმუდი დიდი პოეტი იყო. მისი მთავარი თემა მარიამისადმი სიყ-



ვარულია. ერთმა უახლოესმა მეგობარმა სთხოვა მაჰმუდს, ვაეიშვილი შემეძინა და ძილისპირული დამიწერეო. სცადა მაჰმუდმა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, ძილის მაგივრად ტირილს უმატებდა ჩვილი მაჰმუდის სიმღერაზე. მეორე მეგობარს ცოლი მოუყვდა და სთხოვა მაჰმუდს, გოდება დამიწერეო. არც ახლა გაუმართლა დიდ პოეტს. არავინ ტიროდა მაჰმუდის გოდებაზე, ზოგიერთს ელიმებოდა კიდევ.

მაგრამ დღესაც ტირიან, როცა მაჰმუდის სიმღერას ისმენენ მარიამისადმი უიღბლო სიყვარულზე.

მარიამ იყო მაჰმუდის მთავარი თემა. ჩემი მთავარი თემა კი დალესტანია. დიღია თუ მცირე ჩემი სიყვარული, კნინია თუ ღრმა ჩემი სიძარბო, ძველია თუ ახალი ჩემი გრძნობები, მე მაინც შენზე ვწერ, ჩემო დალესტანო. ვწერ და კალამი მიცახცახებს ხელში უნებლიეთ.

მ ა მ ა მ ე უ ბ ნ ე ბ ო დ ა : გზისპირა ბაღჩაში საზამთროს დამწიფებას ვინ აცლისო.

ა მ ბ ო ბ ე ნ : ისეთ ქვას ნუ ჩაეჭიდები, რომლის აწვევის თავიც არა გაქვსო. ისე შორს ნუ შესტურავ, რომ ველარ გამოხვიდეო.

ა მ ბ ო ბ ე ნ : წყალი კოჭამდე თუ გწვდება, შარვალს მუხლებს ზემოთ ნუ აიკარწახებო.

## შ ა ნ ო

ბრძევი უგვანო ყვირილით გაოცებს.  
ბრძენი — მარჯვედ ნათქვამი ანდაზით.  
ვაზაფხული დადგა? — იმღერე.  
ზამთარია? — ზღაპრები მოჰყევი.

ჩემ წინ მთაა, უნდა გადავლახო. ბედაური ცხენი ნებისმიერ უღელტეხილზე გადამიყვანს. მთა ჩემი თემაა, ცხენი ჩემი ენა. ახლა კი ციცაბო მთაზე გადასასვლელი ბილიკი უნდა ავიჩიო.

ჩემს წინაპრებს სწორი ბილიკი უყვარდათ. იგი საზიფათოა, სამაგიეროდ მოკლე. შეიძლება დაიღუპო კიდევ ამ ბილიკზე, თუ არადა მიზანს მალე მიადწევ.

ან აი, ვდგავარ ციხესიმაგრესთან, უნდა ავიღო იგი. ისეთი იარაღი მაქვს, ბრძოლაში არ მიმტყუნებს, ციხესიმაგრე — ჩემი თემაა, იარაღი — ჩემი ენა. ზერხი უნდა ვიხმარო, მიუვალი ციხესიმაგრის აღება რომ გამიადვილდეს. ანაზღად მივიტანო იერიში თუ ალყით გავტეხო.

აჰანდე, ფეტვით დათესილი მინდორიცა და მთის ნაკადულიც, მაგრამ როგორ გადავუშვა ნაკადული ყანაზე?

აჰა, კერიაზე დაგზნებული ცეცხლი, აჰა, ქვაბიცა და სანოვაგეც, მაგრამ, რომელი კერძი მოვამზადო?

თავის წერილში რედაქტორმა ნება დამართო, რომელი ჟანრიც მიწოდოდა, ის ამერჩია, პატარა თუ დიდი მოთხრობა, ლექსი თუ სტატია, რაც მეტია შესაძლებლობა, მით უფრო ძნელია არჩევანი.

უბის წიგნაკიდან: ჩვენს ლიტერატურის ინსტიტუტში პირველ კურსზე — ოცი პოეტი, ოთხი პროზაიკოსი და ერთი დრამატურგი იყო.

მეორე კურსზე — თხუთმეტი პოეტი, რვა პროზაიკოსი, ერთი დრამატურგი და ერთი კრიტიკოსი.

მესამე კურსზე — რვა პოეტი, ათი პროზაიკოსი, ერთი დრამატურგი და ექვსი კრიტიკოსი.

მეხუთე კურსის ბოლოს კი — ერთი პოეტი, ერთი პროზაიკოსი, ერთი დრამატურგი და დანარჩენი ყველა — კრიტიკოსი.

ეს ცხადია, გაზვიადებული ანეკდოტია, მაგრამ სინამდვილეში მართლა ბევრი იწყებს ლექსებით, შემდეგ პროზაზე გადადის, მერე პიესებზე, მერე სტატიებზე; სხვათა შორის, ახლა კინოსცენარების წერაა მოდაში.

ზოგი მეფე თუ შაჰი დედოფლებსა და ცოლებს იცვლის, ბერწნი არიანო, გამოიცვლის და მიხვდება, უნაყოფობაში დედოფლებსა და შაჰის ცოლებს როდი აქვთ ბრალი! გაიხედავ, ვიღაცა გლეხისათვის ერთადერთ ცოლს თორმეტი შვილი უბოძებია.

ერთს გეტყვი: „ღვინო მარგია, მაგრამ პურს ნუ დაივიწყებ, სიმღერა გეტყვას, მაგრამ ზღაპარიც მოგესმინოს, ლექსი გეწეროს, მაგრამ უბრალო მოთხრობისათვის ხელი არ გეკრას“.

პროზა: იყო დრო, აკვანში ვიწუქი და დედა იავნანას მიმღეროდა. ერთადერთი სიმღერა იცოდა დედამ, მამა ცნობილი პოეტი იყო, მაგრამ თავისი ვაჟებისთვის არც ერთი ლექსი არ დაუწერია. სხვადასხვა ამბის, ზღაპრებისა და არაკების მოყოლა უყვარდა, ეს იყო მისი პროზა.

თავის ლექსებზე ლაპარაკი არ უყვარდა მამას. მგონი, მელექსეობას არასერიოზულ საქმედ თვლიდა, სერიოზულ საქმედ ხენა, კალოს გასუფთაებდა, ცხენისა და ძროხის მოვლა, სახურავის გადათოვლა, აულისა და რაიონის საქმეებში მონაწილეობის მიღება მიაჩნდა. ლექსის დაბეჭდვაზე მაინცდამაინც არ ზრუნავდა. სულ ერთი იყო, ცენტრალურ გაზეთში დაბეჭდავდა, თუ აულის რომელიმე პიონერული ორგანიზაციის კედლის გაზეთში. ის კი არადა ვამჩნევდი, კედლის გაზეთში დაბეჭდვა უფრო უხაროდა.

მამაჩემი ხშირად იხსენებდა ანასილ მუჰამედის სიტყვებს, თავისი ვაჟის, სიყვარულის სახელმძოხვეჭილი მგონის, მაჰმუდისათვის რომ უთქვამს. როდესაც უძღვები შვილივით სიყვარულითა და სატრფიალო ჰანგებით განაწამები, ფერდაკარგული და მშვიერი მაჰმუდი შინ დაბრუნდა და საქმელი ითხოვა, მამამ მშვიდად უპასუხა:

— ლექსით დანაყრდი, ზედ სიყვარული დააყოლე, დავილაღე, შვი-  
ლოსა, მომკლა შენს წილ მინდვრებზე ბელტების გადაბრუნებამ.

რასაკვირველია, ფრინველმა კიდევ უნდა იგალობოს, მაგრამ მისი  
მთავარი საქმე მაინც ბუდის აშენება, საკვების შოვნა და ბარტყების  
გამოკვებაა.

მამაჩემი თავის ლექსებს სწორედ ფრინველის გალობად მიიჩნევდა.  
კარგია, სასიამოვნო, მაგრამ აუცილებელი არააო. ლექსს ისე უყურებ-  
და, როგორც დილასისხამზე ნათქვამ „გამარჯვებას“, ანდა დაწოლისას  
ნასურვებ „ძილი ნებისას“, როგორც საზეიმო მოლოცვას, ანდა გულით  
ნათქვამ სამძიმარს.

არსებობს აზრი, თითქოს პოეტები ამა ქვეყნისანი არ არიან, თითქოს  
რალაც განსაკუთრებული ხასიათი დაჰყვებათ ხოლმე. მამაჩემი ბუნე-  
ბით მთიელი იყო. ყველაზე მეტად დინჯი საუბარი უყვარდა, წრეს რომ  
შეკრავენ მამაკაცები და ჰყვებიან სხვადასხვა ამბავს. სიტყვას არ აწყ-  
ვეტინებენ ერთმანეთს.

თავისი პირველი ლექსები მამამ დიდებულ მაჰმუდს აჩვენა. პოეტი  
გაოცებულა მამაჩემის ლექსებით და უთქვამს: არაფერი მესმის შენი  
ლექსების და, საერთოდ, მიკვირს, როგორ შეიძლება ლექსი დაიწეროსო  
ძროხაზე, ტრაქტორზე, ძაღლსა და აულ ხუნძახის ბილიკზე.

— მამ რაზე უნდა დაეწერო? — მორჩილად ჰკითხა მამამ.

— სიყვარულზე, მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულზე, სიყვარულს  
სასახლე უნდა აეუტოთ.

### მ ა მ მ უ დ ის ლ ე ქ ს ი :

შენთვის ავაგე სიყვარულის სასახლე დიდი  
მე კი ლობის ქვეშ დამეს ვათვე, წვიმაში, ქარში.  
შენამდე გავღე სიყვარულის მეფური ხილი,  
ხილი ჩაინგრა და ქარაფზე მარტოკა დავრჩი.

მამაჩემს არ აუშენებია სიყვარულის სასახლე და არც მაინცდა-  
მაინც აღარდებდა მისი აშენება. მამაჩემის საზრუნავი, მისი სასახლე,  
მისი ლექსების სული და გული — სახლი, ოჯახი, ბავშვები, აული, ცხე-  
ნი, სამშობლო, ქვეყანა, მიწა, ცა, წვიმა, მზე და ბალახი იყო.

მხოლოდ ერთხელ დაწერა ლექსი სიყვარულზე, საყვარელ ქალზე,  
ისიც არაბულად, რომ არავის წაეკითხა. თავისთვის და თავისი-სატრ-  
ფოსათვის შეუთხზავს ის ლექსი.

დიახ, მამას დინჯი, ბრძნული ბაასი უყვარდა. საღამოობით, შებინ-  
დებისას, მუხლზე დამისვამდა ხოლმე, თბილი, სურნელოვანი ჯუბის  
კალთას მომახურავდა და მიყვებოდა მთისას და ბარისას, უცხო მხარეში  
გადაჭვეწილთა ამბავს, ანდა მათ ამბავს, ვინც მშობლიური მიწა არ

დასთმო, მომითხრობდა გზებზე, მდინარეებზე, როგორ იფურჩქნება ყვავილები, და რატომ ეხვევიან გარს ფუტკრები, როგორ ამოდის, ანდა ჩადის მზე. მიამბობდა ჩემი ქვეყნის ზნე-ჩვეულებებსა და ბრძოლის წინ აღვლენილ ლოცვებზე. საკმარისი იყო ცისთვის აეხედა და მაშინვე იტყოდა, წვიმა იქნებოდა ხვალ თუ დარი. თუ ყველგან წვიმდა და აულ თელეთლში მზე ანათებდა, მამამ იცოდა, ხუნძახში სეტყვა მოვიდოდა.

მეუბნებოდა, რამდენი მარცვალა ქერის ერთ თავთავში და საიდან ჩნდება ლამაზი ცისარტყელა.

შორიდან თვალს მოჰკრავდა თუ არა მგზავრს, მამა დაწვრილებით იტყოდა, ვინ იყო იგი, რა საქმისთვის მოდიოდა და ვისთან გაათევედა ლამეს.

მერედა, რისთვის მიამბობდა ყოველივეს? ეკ, ნეტავ ყველაფერი ეს დაეწერა მამას. ეს მისი პროზა იქნებოდა, პოეტ ჰამზათ ცადასას პროზა.

თხრობა და ცხოვრება მისთვის ერთი და იგივე იყო; აზრს თხრობად თვლიდა და თხრობას — აზრად. ლექსებს კი თვითვერძ გულს ადარებდა.

კარგი იყო ჩაეწერა მამაჩემს ყველაფერი, რაც ჩემთვის უამბუნია, რადგან მე წამოვიზარდე თუ არა, გული წამოვწიე წინ. ჩიტი რომ ჩამომიქროლებს, არა ვფიქრობ, საითკენ და რისთვის მიფრინავს და ჰაერში მინდა დავიჭირო. ხომ ამოდენა ჯაფა გასწია მამაჩემმა, მაგრამ ბავშვობაში დედაჩემის ერთი იავნანა მერჩია ყველა მის ნაამბობს.

სიმღერით გავლიე ბავშვობა, სიმღერით განვვლე სიჭაბუკე, სიმღერაში დავევაკაცდი და სიმღერით გავქალარავებულვარ.

ახლა კი ვიცი, სადაც არ უნდა მეხეტიალა, რა სიმღერაც არ უნდა წამომეწყო, იყო კლდე, არწივის მოფრენას რომ ელოდა, იყო ხე, ჩიტის ბუდეს რომ ნატრობდა, სახლი, კარზე კაკუნს რომ ელოდა, პროზა, პოეტს რომ უცდიდა.

აი, ვეშვები კლდეზე, მე რომ მელოდა, ვაკაკუნებ კარზე, რათა გამილონ და შინ შემიშვან. მივხვდი, ლექსებში არ შემიძლია ყოველივე იმის გამოთქმა, რაც ქვეყანაზე ვნახე, რასაც ვფიქრობ და განვიცდი. ვიცი, პროზა სიმღერა არ არის, ფეხზე დამდგარმა რომ დავიმღერო. მაგიდას უნდა მივუჯდე, ხელები დავიკაპიწო, მალეძიარა აღიონზე დავაყენო და მაგარი ჩაი მოვადულო, რომ ძილი არ მომერიოს.

თუ საძირკველს რიგიანად ჩავყრი და ხის მასალასაც რიგზე დავაწყობ, მაშინ მშენებლობის საქმე კარგად წავა. არ ვიცი, რა გამომივა; პატარა მოთხრობა, ვრცელი მოთხრობა, ზღაპარი, თქმულება, ლეგენდა, თუ უბრალო სტატია.

ნაწილი რედაქტორებისა და კრიტიკოსებისა იტყვის: ეს არც რომა-

ნია, არც ზღაპარი, არც მოთხრობა და, საერთოდ, ღმერთმა იცის, რა არისო. მეორენი იტყვიან; ეს ერთიცაა, მეორეც, მესამეც, მეოთხეც და მეათეცო.

წინააღმდეგი არა ვარ, ის დაარქვით, რაც ჩემი კალმიდან გამოდნება. წიგნს კანონების მიხედვით როდი ვწერ, საკუთარ გულის წადილს ვემორჩილები. გულს კი კანონები არა აქვს. უფრო სწორად, გულს თავისი კანონები აქვს, რაც ყველას არ გამოადგება.

ჩემი მოთხრობა, ჩემი ფიქრები, ჩემი ზღაპარი! მახსოვს, ბალდი რომ ვიყავ, რული არ ეკარებოდა თვალს ზამთრის გრძელ ღამეში. მოუთმენლად ველოდი ძმების ან მამაჩემის შინ დაბრუნებას. გაფაციცებული ვუგდებდი ყურს კარის ქრიალს, უბრალო ფაჩუნიც არ გამომეპარებოდა. წუთები საათებად მეჩვენებოდა.

ასეთ ღამეებში პაპა მომიჯდებოდა ხოლმე და ხმადაბლა მიყვებოდა ათას ამბავს, ზღაპარი იქნებოდა, სიმღერა, სიბრძნე თუ ნართაული. ხან ვკისკისებდი, ხანაც შიშისაგან ვკანკალებდი. წუთები და საათები ქრებოდა და მხოლოდ პაპას ხმა და ჩემს წარმოდგენაში გაცოცხლებული სურათები ცოცხლობდა. გამოჩნდებოდნენ ძმები ან მამაჩემი და პაპის ხმაც მიყუჩდებოდა. გული მწყდებოდა, საინტერესო ზღაპარს რომ აწყვეტინებდნენ პაპას. როცა წამოვიზარდე და ქვეყნიერება მოვინახულე, მეც მამაჩემსა და ძმებსავე მომიწევდა ხოლმე გული მშობლიური ქვეყნისაკენ. რაც უფრო ვუახლოვდებოდი, მით უფრო მიჩქროლდებოდა გული, უკვე ვითვლიდი, რამდენი ხეობა უნდა გადამეღალახა. სწორედ ამ დროს წამოიწყებდა ხოლმე რომელიმე თანამგზავრი თავშესაქცევ ამბავს, რაც თავს გადახდომია, ანდა ზღაპარს, თუ თქმულებას. სულგანაბული ვუსმენდი, მაგრამ გზა ილეოდა და მეც გულნაკლული ვრჩებოდი, მოთხრობელი ამბავს რომ ვერ დაასრულებდა.

შინ კი მამაჩემი მკითხავდა:

— ერთი მითხარი, უღელტეხილი ხომ მშვიდობიანად გადმოიარეთ, ხეობაზე როგორღა გადმოხვედით, ზვავი ხომ არ ჩამოწვა?

მე კი არც უღელტეხილი შემიმჩნევია, არც ხეობა და არც თოვლი, მთელი გზა ისე გამოვიარეთ. მე მხოლოდ ენაწყლიანი თანამგზავრის ნაამბობი დამამახსოვრდა. ციცაბო მთები ჩემთვის გაშლილ ველად ქცეულიყო, თოვლი კი ბამბის ქულად.

ჰეი, ჩემო მოთხრობებო და ჩემო ფიქრებო! შესძლებთ კი, რომ გაატანინოთ კაცს გრძელი ზამთრის ღამე ახლობლების მოლოდინში, ხოლო მოგზაურს ზამთრის სავალი შეუმოკლოთ, ოდეს მოწყენილი მისი კერია მიელის?

ჩემს დაწნეხილ მოთხრობებში თითო-ოროლა თქმულებასა თუ ანდაზას ვურევ სურნელებისთვის, როგორც წვნიან კერძში ურევენ უცხო სუნელს.

ტაილუხელი ქალიშვილები ნიკაპზე, ტუჩის კუთხეებთან ორ მეჭიფერის ხალს იხატავენ. დაე, ჩემს პროზასაც ისე ამკობდეს ის ანდაზები, როგორც ის ხალები ქალწულის მწყაზარ პირისახეს, როგორც გლუვ კედელში ატანენ გათლილ კუთხოვან ქვას, ისე დაწვან ჩემს მოთხრობებში მოგონებებს, უბის წიგნაკიდან ამოკრეფილ სტრიქონებს. ყველა ქვა როდი გამოდგება კედლისთვის. როცა ზოგიერთ მათგანს მოთხრობაში ვატანდი, ისეთივე გრძნობა მეუფლებოდა, ღვთისმოსაე კაცს რომ დაეუფლება, ოდეს მავედრებელი აღტყინება ვანელებია და ლოცვა მაინც თავისით გრძელდება. გამოუსადეგარ ქვას ვაცლიდი კედელს.

ამგვარად, აბობოქრებული ლექსებიდან და სიმღერებიდან მშვიდ თხრობაზე გადავდივარ — პროზაზე. მე კი გადავწყვიტე, სიმღერას დროებით მივატოვებ-მეთქი, მაგრამ სიმღერა არ მანებებს თავს, ალერსიანი კატის კნუტივით შემომიძვრება ხოლმე საბანში, როცა მძინავს. გამოვალე თუ არა სარკმელს, მთის მიღმა ამოცურებული მზის სხივით შემოაჭყიტებს. მელოდება თასის ფსკერზე დარჩენილი ღვინის უტკბილესი წვეთივით. მიტოვებული ქალივით მიდარაჩებს ყოველ წამს და თუ დამიხელთებს, გადამელობება და მეტყვის:

— მართლა გადაწყვიტე ჩემი მიტოვება? დაფიქრდი, გასძლებ კი უჩემოდ? შენ ტყის გრილოში გალაღებული ჯიხვი ხარ, ყინულივით ცივ ჩქერში მოდგაფუნე ორაგული ხარ, თბილ, წყნარ ტბაში რა გაგაძლებინებს? რა გაეწყობა, რაკი წასვლა გადაგიწყვეტია, უკანასკნელად მაინც ჩამოვსხდეთ ერთად.

პოეზიაე, განა არ იცი, რომ უშენობა არ შემიძლია? განა შემიძლია გამოვეთხოვო მთელ იმ სიხარულს, ჩემს გულში რომ ჩასახლებულა და თითოეულ ცრემლს, თვალთაგან რომ წამსკდება ოდესმე?

შენ ძის მოლოდინში დაბადებულ ასულს ჰგავხარ. ასულს ჰგავხარ, რომელიც თითქოს თავისი დაბადებით ამბობს: „ვიცი, არავინ მელოდებოდა და ჭერჭერობით არც არავის ვუყვარვარ. არა უშავს, დამაცადეთ, გავიხარდო, გავიფურჩქნო, თმა დავიწწა და ვიმღერო. ვნახოთ, თუ გაუძლებს გული ვინმეს დედამიწის ზურგზე, რომ არ შემეყვაროს?“

### პოეზია

ჯაფას, ოფლის ღვრას დასვენება მოსდევს ყოველთვის, ლაშქრობებს, ომებს — კვლავ დასვენება.  
შენ ხარ ოფლისღვრა და ლაშქრობაც შენ ხარ პოეტის, დაღლილი სულის საღბუნი და უცხო მშვენება.  
ადრე აყვანში მისასთუმლე ივენანურით, წამოვიზარდე, მოგიხურე როგორც ნაზადი.  
შენ ჩემთვის გაჩნდი როგორც ელდა და სიყვარული,



ღამადებული ხელმეორედ ისევ დამბადე.  
 რქუ მაროვი და ვმირული სული შთამბერე.  
 დედა ხარ ჩემი, პოეზიაჲ, ჩემი მიჯნური,  
 როგორც ქალიშვილს მოგაბარებ ერთ ღროს სიბერეს,  
 როცა მოგვედები, ძველად დღომას არ დაიშურებ.  
 ხან მწვერვალი ხარ, ლაქვარდ ცას რომ შეერთებია,  
 ხან კი მგონიხარ ცერზე მყდარი მიმინო მარდი,  
 შენ მახვილი ხარ, უსწრაფესი ჩემი ფრთები ხარ,  
 და ყველაფერი განცხრომის და სიმშვიდის გარდა.  
 ო, პოეზიაჲ, მიცდის შენი საფეხურები,  
 არ ვიცი როგორ, ერთგულად კი გემსახურები.  
 ჯაფას, ოფლისღვრას, დასვენება მოსლევს უოველთვის.  
 ლაშქრობებს, ომებს — კვლავ დასვენება.  
 შენ ხარ ოფლისღვრა და ლაშქრობა შენ ხარ პოეტის.  
 დაღლილი სულის საღბუნე და უცხო მშვენება.

მამაჩემი ამბობდა: თავხედი მოლაყბის მოთოკვა პატივდებულ მოხუცს ან სტუმარს თუ ძალუქს—და თუ მაინც არ შესწყვიტა მოლაყბემ თავისი ამო მქვერმეტყველება, მაშინ სიმღერა უნდა წამოიწყოს: თუ არც სიმღერამ ვასჭრა, მაშინ თამამად უნდა ჩაავლო ხელი საყელოში და კინწისკერით გაავლო. მართლაც, მუჭლუგუნის ღირსია იგი, ვინც თავისი ლაყბობით სიმღერაში ხელს ვიშლის.

პოეზიაჲ, თვითონაც კარგად უწყვი, რომ ცარიელი სიტყვები შენ ვერას გარგებს, ვერც აღვამალლებს და ვერც რასმეს შეგმატებს, განა ლამაზეს შესწუეს ძალა, სიმღერა განადიდოს? ჩაიდნის წყალი მთის წყაროსათვის რა უნდა იყოს, ან სულის შებერვა ნიავექარისათვის? ღრუბლებში შეცურებულ მთის სიდიადეს თოვლის გროვა რაღად სჭირდება? და განა დედას კარგად შეკერილ ტანსაცმლითა და კობტა უღვაშით ვაყი უფრო მეტად შეუყვარდება?

პოეზიაჲ, უშენოდ ობოლი ვიქნებოდი.  
 ხუნძახელები იტყვიან: პოეტი სამყაროს შექმნამდე ასე წლით ადრე დაიბადაო. ამით, ალბათ, იმის თქმა უნდათ, პოეტს რომ არ მიეღო მონაწილეობა სამყაროს შექმნაში, მაშინ იგი ასეთი მშვენიერი არ იქნებოდაო.

ოთხი ძმა ვიყავით და ერთი და გვყავდა. იგი ჩვენზე უფროსი იყო. მამა ხშირად გვეტყოდა ხოლმე:

— თქვენ ოთხნი ხართ, და ერთი გყავთ. გაუფრთხილდით, იზრუნეთ, დაზე ახლობელი არაეინა თქვენთვის.

მართალია, ღვიძლი და ქვეყანას მიჩვენია, მაგრამ მეორე დაც რომ მყავს? აღარ ვიცი, რომელი უფრო ახლობელია. მეორე და პოეზიაჲ. უმისოდ სიცოცხლე არ შემოძლია.

ხანდახან საკუთარ თავს ვეკითხები, მის მაგივრობას ვინ გამიწევს, მეთქი. რასაკვირველია, ეს მთებიც, ეს თოვლიც, ეს ნაკადულებიც, ეს



წვიმაც და ვარსკვლავებიც, ეს მზე და პურიც ჩემია... მაგრამ  
განა მთები, წვიმა, ყვავილები და მზე გასძლებენ პოეზიის გარეშე? ან  
განა პოეზია უიმათოდ?

პოეზიის გარეშე მთები ქვების გროვად გადაიქცევა, წვიმა — გუ-  
ბებებად, მზე კი ციურ სხეულად, მხოლოდ სიტბურ ენერგიას რომ  
ასხივებს.

და ისევ ვეკითხები თავს, რა შეცვლიდა პოეზიას? ცხადია, არსე-  
ბობს შორეული მიწები, ჩიტების გალობა, უნაპირო ცა და მფეთქავი  
გული, მაგრამ რა იქნებოდა პოეზიის გარეშე ეს ყველაფერი, შორეული  
მიმზიდველი ქვეყნების ნაცვლად გეოგრაფიული ცნებები შეგვჩვენო-  
და, ოკეანის ნაცვლად — უშნო წყალსატევი, ჩიტების გალობის ნაცვ-  
ლად — ხვადის ძანილი, აირის ნაზავი — ლურჯი ცის ნაცვლად და სისხ-  
ლის მიმოქცევა — ნაცვლად მთრთოლავი გულისა.

ცხადია, ქვეყნად სინაზე, სიკეთე, სიბრაღული, სიყვარული, სილა-  
მაზე, სიამაყე, სიძულვილი, სიამაყე არსებობს... მაგრამ ყველა ეს  
ცნება პოეზიამ შექმნა, ისევე როგორც პოეზია ამ ცნებებშია. უერთმა-  
ნეთოდ ვერც ეს ცნებები იარსებებენ და ვერც პოეზია. ჩემმა პოეზიამ  
შემქმნა მე და მევე შევქმენი ჩემი პოეზია, — უერთმანეთოდ უსულო-  
ნი ვართ, უფრო მეტიც, უერთმანეთოდ არ ვარსებობთ. მე კუნთებიც  
მაქვს და ძვლებიც. გარეშე თვალი ვერ მოჩხრიკავს ჩემს სხეულს და  
ვერ განსაზღვრავს, რომელი ძვალი მაქვს მთელი და მაგარი და რომე-  
ლი გატეხილი, მაგრამ შემდეგ შეზრდილი. რენტგენის სხივები კი აშუ-  
ქებს და გარეშესთვისაც ნათელს ხდის ყველაფერს, რაც ჩემში დაფა-  
რულია და იდუმალი.

ნეკნებზე, ხერხემალსა და ფილტვებზე ღრმად და საიმედოდაა დაუნ-  
ჯებული ჩემი სული, მაგრამ პოეზიის სხივები თითქოს მაშუქებენ და  
ჩემი სულის ყოველი მოძრაობაც მისაწვდომი ხდება ხალხისათვის.  
პოეზიის ჯადოქრული სხივებით განათებული ჩემი სული თითქოს  
ხელისგულზე იდოს.

თანამედროვე ანალიტურ მანქანას ათასი გაყვანილობა და რგოლი  
აქვს. მისთვის მრავალნიშნა რიცხვებისაგან შედგენილ ურთულეს  
პროგრამას ადგენენ. ელექტროდენი დაუბრუნს გაყვანილობებსა და  
რგოლებს. არაა თვალს, არაა ტვინს არ შეუძლია მისწვდეს ყველა  
იმ პროცესს, რაც ამ რთულ მანქანაში მიმდინარეობს. ბოლოს გამოჩნ-  
დება რიცხვი — როგორც საბოლოო პასუხი, როგორც შედეგი.

არაინ იცის, რაოდენი შთაბეჭდილებები, სიყვარულის და სიძულ-  
ვილის ვითარი დენი მიმოდის ჩემი ორგანიზმის უთვალავ ელექტრო-  
სადენში. შემდეგ კი ლექსი იქმნება — ყველაზე უფრო სრულქმნილი  
და ყველაზე უფრო ამაღლებული რამ, რაც ჩემს სულს შეუძლია შექმ-  
ნას ჩემში მიმომდინარე ცხოვრებისეული შთაბეჭდილებებიდან.

წინათ მეგონა დედამიწაზე ძალიან ცოტა პოეტი ცხოვრობდა. ალბათ პოეტები თავს ეულად გრძნობენ-მეთქი ადამიანთა შორის. ცხოვრებაში ყველას თავისი ინტერესი აქვს: ესაუბრონ ამხანაგებსა და მეზობლებს სამსახურზე, ცოლზე, ხელფასზე, თევზაობაზე, კინოზე, ავადმყოფობაზე. ცხადია ამ თემებზე პოეტსაც შეუძლია იზაასოს, — ვფიქრობდი მე. — მაგრამ ვინ გაიზიარებს სამყაროს პოეტურ აღქმას, ანდა მის პოეზიას?

შემდეგში მივხვდი — კაცი არაპოეტი არ არსებობს. სულთ ყველა ადამიანი მეტნაკლებად პოეტია. არ შეიძლება ერთხელ მაინც არ გესტუმროს კაცს პოეზია ძვირფას ყონალივით.

ჩვენში სიმღერის სიყვარული ისევე ბუნებრივი და გასაგებია, როგორც ბავშვების სიყვარული, დიახ, ჩვენ ყველანი პოეტები ვართ, განსხვავება ისაა, რომ ერთნი ლექსებს წერენ იმიტომ, რომ წერა შეუძლიათ, მეორენი კი იმიტომ წერენ, ჰგონიათ, წერა შეგვიძლიათ, მესამენი კი, საერთოდ, არ წერენ. ვინ იცის, იქნებ სწორედ ეს მესამენი არიან ნამდვილი პოეტები?

იყო დრო, როცა ლექსებს არ ეწერდი. განა მაშინ პოეტი არ ვიყავი? ნუთუ მაშინ ჩემი გული უფრო ნელად ცემდა და სისხლი გაყინული მქონდა? განა სევდა ნაკლებად მადარდებდა ან სიხარული ნაკლებად მახარებდა? ანდა ნაკლებ მაწვალებდა ყოვლის შეცნობის სურვილი? განა თვალებს ასე ლამაზი არ ეჩვენებოდა მიწა, როგორც ახლა? განა ნაკლებად ვლელავდი, როდესაც შავი ღრუბლების ნაპრაალში ცისფრად მოკიაფე ვარსკვლავს დაეინახავდი? განა წყაროს რაკრაკი მელოდიად არ მეჩვენებოდა? განა სულს არ მიშფოთებდა წეროების ყივილი და ცხენების ჭიხვინი? განა ცრემლი არ მადგებოდა თვალებზე, როდესაც ძველ სიმღერას ან მამაბაბათა წარსულს ვისმენდი?

მ ა ხ ს ე ნ დ ე ბ ა : პატარაობისას მეზობლის ცხენს ვაძოვებდი. ყოველ მესამე დღეს მეზობელს გასამრჯელოდ თითო ზღაპარი უნდა ეამბნა.

მ ა ხ ს ე ნ დ ე ბ ა : მთებში ავაკითხავდი ხოლმე მწყემსებს, ნახევარი დღე ასვლას უნდოდა, ნახევარი — უკან დაბრუნებას და მხოლოდ იმისკათვის მივდიოდი, ერთი ლექსი რომ მომესმინა.

უნცუჯულური მსხლები, იმრინული ყურძენი, ბუცრინული თაფლი, ნვარიული სიმღერები.

მ ა ხ ს ე ნ დ ე ბ ა : მეორე კლასში რომ ვიყავი, მშობლიურ ცადადან აულ ბუცრასაკენ გაყვები მთის ციცაბო ბილიკებს. ოცი კილომეტრი უნდა გამეგლო. ბუცრაში მოხუცი ცხოვრობდა, მამაჩემის ყონალი. არა ერთი ძველი სიმღერა, ლექსი და ლეგენდა იცოდა. ოთხი დღე დილიდან საღამომდე მიკითხავდა და მიმღეროდა ლექსებს მოხუცი, მეც თავს არ ვზოგავდი, რომ ჩამეწერა მისი სიმღერები. მხიარული

ებრუნდებოდა, უკან ლექსებითა და სიმღერებით გატენილი ხურჭინო.

ბუცრას მთა წამოსდგომია თავზე. როცა ამ მთაზე ავაბიჯე, სად იყო, სად არაა. უზარმაზარი გააყვებული ქოფაკები გამოქანდნენ ჩემკენ. სულ ცოცხა ერთი ღუჯინი მაინც. ქარივით გადმოველნენ მწვანე ბალახს, როგორც ტორპედოები მიჭრიან ზოლზე ტალღებზე მიზანში ამოღებული გემის შავი ქიმისაკენ. უკვე ვხედავდი ქოფაკების დაღებულ ხახებს ჩაყვითლებული სველი ეშვებითურთ. წუთიც და დამგლეჯდნენ კიდევ, მაგრამ ამ დროს ჩობანის ხმა გავიგონე:

— დაწექი! არ ვაინძრე!

დავწექი, მიწას გავეკარი და სული გავნახე. განძრევის მეშინოდა, მგონი სუთქვაც კი შევაჩერე. მხოლოდ გული ბაგუნობდა ყრულ მიწაზე და მეჩვენებოდა, თითქოს მისი ცემა ყველას ესმოდა გარშემო. ძაღლები გაოგნებული გაჩერდნენ შორიახლო, მეც დამყნოსეს და პოეზიით გავსებული ჩემი ხურჭინიც. იფიქრეს შეგვეშლია — ეს ვილაც სხვა არისო. ერთმანეთს გაცოცებით გადახედეს და ისევ გაენთნენ; ალბათ ქოფაკებს ისევ მთის წვერზე ვეგულებოდი. მალე მოსახვევში ვაუჩინარდნენ.

ვარგა ხანს ვიწექი, სანამ ჩობანი არ წამომადგა თავზე.

— ვისი ხარ, ბიჭო?

— რასული ვარ, ცადასელი ჰამზათას ბიჭი, — განგებ ვახსენე მამაჩემის სახელი. იმედი მქონდა ჩობანი უფრო ყურადღებით მომექცეოდა და არ მაწყენინებდა.

— მერე ამ მთაზე რას აკეთებ?

— ბუცრაში ვიყავი ლექსებისთვის; აი, ჩანთაში მიწყვიდა.

ჩობანმა ლექსები ამოიღო და გადაათვალიერა.

— ესე იგი, შენც პოეტი გინდა გამოხვიდე? მამ რალად შეგეშინდა ძაღლების? განა ასეთი ძაღლები დაგერევიან შენს გზაზე? არ გეგონოს, ჩემი ქოფაკებივით ლექსების დაყნოსევას დასჯერდნენ და ჩამოგეცალონ. მაგრამ არაფრის არ უნდა გეშინოდეს. იცი, ეს რა მთაა? ამ მთიდან გადატბა ჰაჯი-მურატი, მებადრაგეები მოატყუა. ისინი პირში ჩალაგამოვლებული დარჩნენ, ჰაჯი-მურატი კი გადაიჩა. მშობლიურ მხარეში კაცს მთებიც მხარს უბამენ.

წინათ ვფიქრობდი, პოეტური მღელვარება, ფორიაქი, ჩემს სულში ჩასახლებული წუხილი, ჩემს გულში დაბუღებული სიყვარული და სისხლის ჩქროლვაც — დროებითია და მალე გაივლის-მეთქი. მაგრამ აი, გავკალარავდი, შვილები დამეზარდნენ და წიგნები მიბერდება, მაგრამ არც ერთი გრძნობა არ გამოქრობია, ყველაზე უფრო ერთგულად ჩემი პოეზია მიდგას მხარში.

ახლა პოეზიას მივმართავ.

პოეზია ვ, შენ არასოდეს მიგიტოვებია მთელი სიცოცხლის

მანძილზე და არც ახლა მტოვებ მარტო, როცა პროზას უკეთესად  
ზღვაში გავდივარ. ვიცი, მოთხრობის გართმევას ასე არ აქვს სურვი-  
თესო მოთხრობა შეიძლება საზიზღარ ლექსად და მთელი მოთხრობა  
რამ პოეზია მოთხრობისათვის იგივეა, რაც კერძისთვის მთელი მოთხრობა.  
ჩემი ცხოვრებისათვისაც ხომ მარილია პოეზია, უიმისოდ ჩემი ცხოვ-  
რება მტკნარი და უგემური იქნებოდა. ჩვენთან მთებში სტუმარს რომ  
საქმელს მიართმევენ, სუფრაზე არც სამარილეს დადგმა ავიწყ-  
დებათ.

პროზას მეტი გასაქანი აქვს, მაგრამ პოეზია უფრო მაღლა ნაეარ-  
დობს, პროზა დიდ თვითმფრინავს ჰგავს, რომელსაც თამამად შეუძლია  
შემოუაროს დედამიწას, პოეზია კი გამანადგურებელივით შეეუღლად  
აიჭრება ზენიტში და თვალისდახამხამებაში ეწვევა დიდ თვითმფრინავს,  
რაც არ უნდა მაღლა ავიდეს იგი.

ლექსი ცხენის ჭენებაა, პროზა — ფეხით სიარული. ფეხით უფრო  
შორს წახეალ. ცხენით კი უფრო მალე მიადგები მიზანს. ხან ფეხით  
ვივლი და ხან უნაგირს მოვევლები, რასაც მოვანერხებ, მოვეყვები, რა-  
საც ვერ მოვეყვები, ვიმღერებ, ჩემში ახალგაზრდის ანცობაცაა და მო-  
ხუცის სიბრძნეც. დაე ახალგაზრდობამ იმღეროს, ბრძენმა კი პროზით  
ილაპარაკოს. ჩემში ორი ადამიანი ებრძვის ერთმანეთს; ხან გახამებულ  
ხელსახოცს ვხმარობ, ჩანგალი მარცხენა ხელში, მიჭირავს და ისე ვსა-  
დილობ, ხან ორივე ხელით მიკავია ცხვრის ბეჭი და ისე შევექცევი,  
მინდორში ვზივარ მეზობლებთან ერთად და ცხვრის ხორცს ბოზას ვა-  
ყოლებ.

როცა ქალაქიდან მთაში ავდივარ, თან ღვინოები და ხილი ამაქვს,  
როგორც ქალაქელს შეეფერება.

როცა გულლია, სტუმართმოყვარე ჩობნებს ვემშვიდობები და ქა-  
ლაქში ვბრუნდები, უნაგირზე გამოშიგნული ცხვარი მაქვს გადადებ-  
ული.

ზღვაც ხომ ხან ალერსიანია, ხან შემპარავი, ხან მოქუშული და ხან  
განრისხებული. ასევე ცვალებადია ჩემი ხასიათიც.

მინახავს უფსკრულის პირას ერთმანეთს ჩახვეული ჭაბუკი და ქა-  
ლიშვილი. მათი ლანდები ერთუროს შერწყმოდნენ, ერთმანეთისაგან  
მათ ვეღარ გაარჩევდი — ისე იყვნენ ჩაქრულნი და ერთ არსად ქცე-  
ულნი.

ასევე განუყრელად ცხოვრობს ჩემში სიხარული და მწუხარება,  
ცრემლი და სიცილი, ძალა და უღონობა.

ჩემად ფრთქვინადა და თავს იქნედა,  
არ აწვალებდა ლაგამ-ავშარას,  
კბილებს აჩენდა და იფიქრებდით,  
იღიმებოთ ცხენი აშკარად.



მიწაზე სცემდა წაბლა ფაფარი,  
 როგორც ბუნების მაღლი და ძღვენი,  
 სინამდვილეა, თუ ზღაპარია,  
 მართლა კაცობით იცინის ცხენი.  
 ახლოს მივედი და რაც ვიხილე,  
 არ ვუჭერებდი საკუთარ თვალებს,  
 რისი სიცილი, ანდა ღიმილი —  
 საწყალი ცხენი ტიროდა მწარედ.  
 ჩემად ფრთქვინავდა, არ ბალახობდა,  
 მხოლოდ ცრემლები ამხელდნენ ტკივილს,  
 როცა ვიციანი, მომიახლოვდი,  
 კარგად შემხედე, ხომ არა ეტირი.

უ ბ ი ს წ ი გ ნ ა კ ი დ ა ნ: ერთმა სიუხელმა მთიელმა კლდის ფერხთით თეთრი ღრუბელი დაინახა. იფიქრა, ალბათ ფაფუკი მატყლი ყრიაო და გადახტა. ფუმფულა ღრუბელი რაც არ უნდა ჰგავდეს მატყლს ან ბამბას, მაინც არც ერთი ვახდება ოდესმე და არც მეორე.

რაც არ უნდა ლამაზად იყოს დაწერილი წიგნი, თუ იგი მხოლოდ ფორმისთვისაა, ვერასოდეს აათრთოლებს ადამიანის გულს.

არ შეიძლება მართო ფორმის მიექცეს ყურადღება. ერთ მეთევზეს მთელი სიცოცხლე ზღვაზე გაეტარებინა, ერთხელ ტყეში მოხვდა, ჭიანჭველების გროვა დაინახა და შავი ხიზილალა ეგონა. ერთი მთიელი კი ზღვაზე პირველად იყო, შავი ხიზილალა ნახა და ჭიანჭველები ეგონა.

**იხივ უბის წიგნაკიდან**

ტყვიაც, ორდენიც ერთ გულმკერდზე ნახულობს ბუდეს,  
 ღიმილს და ცრემლებს ზოგჯერ ერთი მიზეზი უდევს,  
 ჭინჭარიც ჰყვავის ჩვენს ბაგეზე და ვარდიც ჰყვავის,  
 ერთ ცაზე დაჰფრენს არწივიც, ყვავიც,  
 ერთ ღრუბელშია ცეცხლიც, წყალიც, ორი მოდავე,  
 ჩონგურს და ხანჯალს ერთ ლურსმანზე კვილებთ  
 ორთავეს.

ი ს ე ე უ ბ ი ს წ ი გ ნ ა კ ი დ ა ნ. ახალგაზრდა მთიელმა ქალმა პირველად იგრძნო სიყვარული. დილით ფანჯარაში გაიხედა და წამოიძახა:

- ოჰ, რა ლამაზად აყვავებულა ხეები!
- სად ხედავ აყვავებულ ხეებს? — გაუკვირდა მოხუც დედას, — გვიან შემოდგომაა და გარშემო თოვლია. ზამთარი დგება.

ერთი და იგივე დილა, ერთი ქალისთვის გაზაფხულის დილა იყო, მეორესთვის კი — ზამთრისა. ჩემში ერთდროულად ცხოვრობს სიჭაბუკე და სიბერე, ყვავილობა და თოვლი, გაზაფხული და შემოდგომა.

ნუ გაგვიკვირდებათ, თუ ჩემს წიგნში ხან ლექსებს შეხვდებით და ხან პროზას.

— კი მაგრამ, ორი კურდღელი გინდა დაიჭიროო ერთდროულად? არა, — ვპასუხობ მე, — ორი კურდღლის დაჭერა არ მსურს. როდესაც რამდენიმე ქანრს ერთ ქანრში ვაქცევ, ეს როდი ნიშნავს, თითქოს სხვადასხვა ხილს ვჭრიდე, მერე ერთმანეთში ვაზავებდე, ეგებ რაღაც ხილის ვინეგრეტისნაირი გამომივიდეს-მეთქი. მე მათი შეჭვარება მინდა ჭკვიანი მებაღეების დარად და ახალი ჯიშის მიღება.

არ ვიცი, ბოლოს და ბოლოს, რა გამოვა. მაგრამ ყოველ საქმეში ასეა ხოლმე. ცეცხლს როცა ვანთებთ, წინასწარ როდი ვითვალისწინებთ, რა მოჰყვება.

შამილის ხმალზე მისივე სიტყვები იყო ამოტვიფრული: „იგი მამაცად არ იწოდება, ვინც ხმალშემართული წინდაწინ ბრძოლის დასასრულზე ფიქრობს“.

ამ ბოზენ: ჭკვიანი კაცის ხელში გველის შხამიც კი სასარგებლოა, სულელის ხელში კი — თაფლიც მავნებელია.

ამ ბოზენ: თუ ამბის მოყოლა არ შეგიძლია, — იმდერე, თუ სიმღერა არ შეგიძლია — მოყვიეო.

## ს ბ ი ლ ი

რას მიყვირო?

— კი არ ვიყვირო, ასეთი ლაპარაკი ვიცი.

ცოლ-ჭმრის საუბრიდან.

— რაღაც შენი ლექსები ლექსებს არა ჰგავს.

— შე წერის ასეთი მანერა მაქვს.

მკითხველისა და პოეტის საუბრიდან.

პატარებს აულის გოდეკანზე არ გვიშვებდნენ, სადაც უფროსები საუბრობდნენ. ჩამოვსხნდებოდით ხოლმე დიდ ქვაზე და შორიდან ვუთვალთვალავდით.

ერთხელ მოწმე შევიქენი, როგორ უსმენდა მთელი ჯამაათი აულ ანდიდან ჩამოსულ სტუმარს. თითქმის ერთი საათი უსმენდა და სიტყვას არ აწყვეტივდებდა: ალბათ ძალიან საინტერესო ამბები ჩამოიტანა ანდიელმა, რაკი ამდენ ხანს ასე ყურადღებით უსმენენ, — ებჭობდით ჩვენ.

შინ რომ დავბრუნდი, მამას ვკითხე:

— რა ახალ ამბებს გიყვებოდით ანდიელი სტუმარი?

— ოჰ! რასაც ის დღეს ჰყვებოდა, ოცჯერ მაინც ექნებათ მოსმენილი ცადებებს, მაგრამ ისე მიმზიდველად ყველა ხოლმე, გინდა თუ არ გინდა, მაინც მოუსმენ. ბარაქა იმ ანდიელს, დღეგრძელობა ნუ მოაკლოს ალაჰმა!

ის ევ მანერის გამო. ყოველ ნადირს თავისი ბრიკი, თავისი მანერა აქვს მონადირისაგან თავის დასაღწევად. ყველა მონადირეს თავისი ხერხი აქვს ნადირის დასაწვევად და დასაქვრად. ასევე თითოეულ მწერალს თავისი მანერა, მუშაობის სტილი, თავისი ხასიათი და ხელწერა აქვს.

სრულიად ახალგაზრდა პოეტი ვიყავი, როდესაც ლიტერატურის ინსტიტუტში სასწავლებლად ჩამოვედი და ახალ, ჩემთვის უჩვეულო გარემოში მოვხვდი. მაშინ ყველა ჩემი მასწავლებელი იყო: თვითონ მოსკოვი, სემინარები, ცნობილი პოეტები, პროფესორები, ჩემი თანაკურსელები და საერთო საცხოვრებლის მობინადრეები. ყოველი ნაბიჯი გაკვეთილი იყო და კარგა ხანს დაბნეული ვიყავი, გზას ავცდი და რაღაც აქლებურად დავიწყებ წერა — უცნაური სტილით, რომელიც აქამდე არ არსებობდა ავარიულ ლიტერატურაში.

არ დაგვიძალავთ და მაშინ ძალიან მინდოდა ჩემი ლექსები რუსულ ენაზე გადათარგმნილი მენახა, რუსი მკითხველისკენ ვიწვედი და მეგონა ჩემი ახალი მანერა სწორედ რუსი მკითხველისთვის იქნებოდა გასაგები. აღარ ვაქცევდი ყურადღებას მშობლიური ავარიული ენის მუსიკას, ლექსის მუსიკას, წინა პლანზე კონსტრუქცია და 'შიშველი' აზრი გამოდიოდა. მეგონა, მწერლისთვის სანაქებო მანერას გამოვიმუშავებმეთქი. სინამდვილეში კი, ახლა მესმის, — ეს თურმე მანერები გახლდათ.

საბედნიეროდ დროულად გავიგე, რომ პოეზიისა და ოინბაზობის შეთავსება შეუძლებელი ყოფილა. ჩემი ბრძენი მამა ადრევე მიმიხვდა შეცდომას. ჩემი ლექსები რომ წაიკითხა, მაშინვე იგრძნო, დუმის გადასარჩენად ცხვარს ვწირავდი, ქვიანი, მწირი ადგილის დახვნასა და დათესვას ვაპირებდი, სადაც არაფერი არ მოვიდოდა, როგორც არ უნდა მომერწყა. ცა არ მქონდა და წვიმა მინდოდა.

მამაჩემი უმაღლესად ჩახვდა ყველაფერს, მაგრამ დაკვირვებული და ფრთხილი კაცი იყო. ერთხელ საუბარში შემაბარა:

— რასულ, მაწუხებს, ხელწერა რომ შეცვალე.

— უკვე დიდი ვარ, მამა, ხელწერას კი მხოლოდ სკოლაში აქცევენ ყურადღებას. დიდებს მართო იმას კი არ ეკითხებიან, როგორ დაწერა, არამედ რა დაწერა.

— შეიძლება, მილიციელისთვის და სოფლის საბჭოს მდივნისთვის, ცნობებს რომ იძლევა, ასეა. პოეტისთვის კი ხელწერა, მისი სტილი სწორედ საქმის ნახევარია. ლექსი, რა ორიგინალურ აზრსაც არ უნდა



გამოხატავდეს იგი, ლამაზი უნდა იყოს. უბრალოდ ლამაზი კი არა, თავისი ეშხის-მქონე. სწორედ თავისი სტილის, თავისი თავის მიგნება ნიშნავს პოეტობას.

შენ ჩქარობ, მაგრამ ნუ დაივიწყებ, რომ სწრაფი, თავაწყვეტილი ნაკადული ვერასოდეს აღწევს ზღვამდე, სხვა უფრო მდოვრე და წყნარი ნაკადი შთანთქმავს ხოლმე. ფრინველი, რომელიც სხვის ბუდეებს ეტანება, ბოლოს მთლად უბუფოდ რჩება. საკუთარი ბუდის გაკეთება უფრო ადვილი არ არის? მაშინ არც ძებნა დასჭირდებოდა და არც ამორჩევა.

ახლა, როცა უკვე ორმოცს გადავადიჯე, ვუზივარ ჩემს ორმოცამდე წიგნს, ვფურცლავ და ვხედავ, ჩემი ხორბლით დათესილ ყანაში სხვის მინდვრებზე გახარებული ისეთი მცენარეებიც ამოსულა, მე რომ არ დამითესია. დაე, ნუ იქნება ეს სარეველა ბალახი, თუნდაც ქერი, შერია და ჭვავი იყოს, ჩემი პურის ყანისთვის მაინც უცხოა.

ჩემს ცხვრის ფარაში სხვის ცხვრებსაც ვხედავ, ისინი ვერასოდეს შეეჩვევიან მთის სიმაღლესა და პაერს.

ხანდახან საკუთარ თავშიც ვამჩნევ ხოლმე უცხო ადამიანს. მაგრამ ამ წიგნში თავისთავადი მინდა ვიყო. კარგი ვარ თუ ცუდი, მიმიღეთ, როგორიც ვარ.

მთიელი ქორწილში რომ მივა, ადრე შეკრებილთ ასე მიმართავს ხოლმე:

— საკმარისი ხართ თუ მეც შემოგიერთდეთ?

პასუხი ასეთია:

— შემოგიერთდი, თუ ეს მართლა შენა ხარ და არა სხვა. აჰა, ჩემი წიგნი, რომლითაც უნდა დავამტკიცო, რომ მე მართლა მე ვარ. მინდა მწერალი ვიყო და არა მწერლის როლის შემსრულებელი. ვუყურებ ხოლმე, როგორ სვამს მსახიობი სცენაზე კონიაკს. აი უკვე დათვრა, ენა ებმის, თავს ქინდრავს. ბოთლში კონიაკი კი არა, ჩაია. ჩაით ვერ დათვრები. მე მგონი, ამაზე ისიც დამეთანხმება, ვისაც თავის სიცოცხლეში არ გაუსინჯავს კონიაკი.

დრამატურგს ყველაზე მეტად ეძნელება პოეტის როლისთვის ლექსის დაწერა. ამიტომ უფრო ხშირად სპექტაკლში პოეტი ლექსს არ კითხულობს. არადა რა პოეტი იქნება ულექსოდ? მაშინ რითლა განსხვავდება იგი მანეკენისაგან, მაღაზიის ვიტრინაში რომ იწონებს თავს?

მე არავის არ უნდა ვგავდე — არც ომარს, არც პუშკინს და არც ბაირონს.

ზოგიერთი ქურდი კამეჩს რომ მოიპარავს, რქებს მოამტკრევს, ან კუდს მოაჭრის. ზოგიერთი ავტომანქანას მოიპარავს და სხვა ფერად შეღებავს. მაგრამ მიუხედავად ყოველგვარი ეშმაკობისა, ქურდობა მაინც ქურდობად რჩება.

ყველაზე მეტად ის გამიხარდებოდა, მკითხველებსაც რომ გამეცინა: რასულმა რასულისათვის შესაფერი წიგნი დაწერაო.

მგალობელი ჩიტები უფრო მიყვარს, ვიდრე მოჭიკჭიკენი. ცაში მონავარდე ფრინველი უფრო მიყვარს, ვიდრე სანარცხე ორმოსთან მოფუსფუსე. ლურჯ ზღვაში შექრილი გემი მირჩევნია ღუზაჩაშვებულს.

დააკვირდით მსუბუქ ნავეებს, როგორ ათამაშებს დიდი თუ პატარა ტალღა და მერე მძიმე გემებს შეხედეთ, ქარიშხალშიაც მტკიცედ რომ დგანან.

ბრყვებმა წითელი ღვინოც რომ არ დალიონ, მაინც მთვრალეებივით ხმაურობენ და ჩხუბობენ. ხოლო ბრძენკაცნი, დიდი თასითაც რომ სვამდნენ, დინჯად და ხმადაბლა ბაასობენ.

რასულის წიგნო, ისე ვეჭიროს თავი ხალხში, როგორც რასულის წიგნს ეკადრება.

მთიელს უცხო სტუმარი თუ ეწვევა, პირველ სამ დღეს არც ვინაობას ჰკითხავს და არც სადაურობას.

თქვენც ასე მიიღეთ ჩემი წიგნი, ასავალ-დასავალს ნუ მოჰკითხავთ, დაე, თავის თავზე თვითონ ღალადებდეს.

მე არ მინდა, იმაზე უფრო უკეთესი ან უარესი ვიყო, როგორც ვარ.

თუ ოცი წლისას ღონე არ მოგდევს, ნუ ფიქრობ, როდესმე მომეცემაო, თუ ოცდაათი წლისას ჭკუა არა გაქვს, აღარ იფიქრო, დაებრძენდებიო. თუ ორმოცი წლისა ჯიბეგაფხეკილი ხარ, აწი რალა გაგამდიდრებს, — ამბობს რუსული ანდაზა. ჩვენთან კი, მთავი ასე იტყვიან: თუ ორმოცი წლის კაცს არწივობისა არა სცხია რა, ფრთები აღარც შემდეგ გამოესხმებაო. დაე, ჩემი ურემიც თავის გზას გაუყვეს.

როცა წვიმს, ჩვენი აულის თავზე წამომდგარი მთიდან უამრავი ნაკადი მოედინება თავქვე, — აქ ყველა ნაკადი ერთდება და დროებით წვიმის დიდ ტბორად იქცევა, ამ ტბიდან კი ერთ მძლავრ ნაკადულად ჩაქანება ძირს.

ახლომახლო მთებიდან უამრავი ვიწრო ბილიკი ეშვება ჩვენს აულში. ნაკადულებივით იყრიან თავს ქვემოთ. ხოლო თუ რაიონულ ცენტრში ან ქალაქში წასვლა დააპირე, ამისათვის ერთადერთი შარავზა არსებობს.

არ ვიცი, ჩემი თავი რას შევადარო — გზას თუ მდინარეს. მაგრამ ჩემს თანამემამულეთა აზრები, მათი სიტყვები და გრძნობები მთის წყაროებივით თუ მთის დაკლაკნილი ბილიკებივით შეერთებულან ჩემში. მე ხომ ჩემმა ბილიკმა, ჩემმა გზამ გადამიყვანა აულიდან პოეზიაში.

სად არ ვიყავი; რა ქვეყნები არ მოვიარე, რა ჯურის ხალხი არ ვნახე. პრეზიდენტებთანაც ვყოფილვარ მიღებებზე და მეფეებთანაც, პრემიერ-მინისტრებთან, ხან კი უბრალოდ მინისტრებთან და ელჩებ-

თანაც. ასეთ მიღებებზე მსახიობები პრემიერებს გვანან და პრემიერები მსახიობებს.

ასეთ მიღებებზე არასოდეს არ ვგავარ ჩემს თავს. ჩემთვის უცხო ექსტეზითა და სიტყვებით მივმართავ იქ მყოფთ. ასეთ ბრწყინვალე დარბაზობებზე თვალწინ დამიდგება ხოლმე ჩემი კერია, ჩემი ახლობლები რომ შემოსხლომიან გარშემო. ან ჩემს მხიარულ მეგობრებს ვხედავ, სასტუმროს ნომერში რომ მოუყრიათ თავი და მე ზღვისიქითური საკმელების ნაცვლად ნივრიანი ხინკლები მინდება. ო, რა ნეტარებაა, სახელოებს რომ დაიკაპიწებ და მშობლიურ კერასთან მეგობრებში ჩაჰქდარი ნივრიანი ხინკლებს მიაღებები, ჭამ და ჭონი წურწურით ჩამოგდის ხელებზე.

ზოგიერთ წიგნს რომ ვკითხულობ, დიპლომატიურ მიღებაზე მგონია თავი, ყოველმხრივ შეზღუდული ხარ, როგორც ექსტეზში, ისე ქცევასა და საუბარში.

შენც, ჩემო წიგნო, დიპლომატიური დარბაზობის სტუმარი ნუ იქნები; დაე, მხოლოდ ისეთი სიტყვები მოგემარჯვებინოს, შენს ნამდვილ ხასიათს რომ შეეფერება, და არა ისეთი, თავაზიანობის გულისთვის რომ იტყვიან ხოლმე.

მტკიცე იყავი და არასოდეს უღალატო შენს ხასიათს, წიგნო ჩემო. გიყვარდეს მშობლიური კერის კვამლი და მეგობრები და არა დარბაზობანი, გიყვარდეს მინდვრები და არა კონცერტები, მიწის ხმას უნდა დაუვდო ყური და არა კრებების ხმაურს. ასეც ხომ ხდება, რომ კრებაზე ერთს აშობენ და კრების გარეთ მეორეს.

უბის წიგნაკი დან. რომელი დადესტნელი არ იცნობდა სულეიმან სტალსკის უზარმაზარ ბოხობს, ცხვრის სურნელოვანი ტყავისაგან შეკერილ მძიმე ჯუბასა და ხბოს ტყავისაგან შეკერილ მსუბუქ წალებს. მე მგონი, მარტო დადესტნელები კი არაა, ვერავინ წარმოიდგენდა სულეიმანს წალებისა და ბოხობის გარეშე.

ჰოდა, აი, სულეიმან სტალსკი ორდენით დააჯილდოეს. მაქსიმ გორკიმ XX საუკუნის პომეროსი უწოდა მას. სულეიმანი მოსკოვში გამოიძახეს, იქ ერთ დადესტნელ მინისტრს შეხვდა.

— ერიპა, ძვირფასო სულეიმან, — უთხრა მინისტრმა პოეტს, — აქ მოსკოვია, აულში კი არა ხარ, ტანსაცმელი უნდა გამოიცვალო.

დადესტნის მთავრობის დავალებით სულეიმანს ბოსტონის კოსტიუმი შეუკერეს, ახალი ფეხსაცმელები, ყურებიანი ქუდი და კრაველის საყელოიანი ზამთრის პალტოც მოუტანეს. სულეიმანმა ყველაფერი სათითაოდ გასინჯა. პალტოს ღილები შეხსნა, საკიდში თითი გაუყარა და მაღლა ასწია, აწონ-დაწონა, ფეხსაცმელები ლანჩებით მიუკაკუნა ერთმანეთს, მერე ყველაფერი ვაი-ვაგლახით შეკრა და ჩემოდანში ჩადო.

— გმადლობთ, ყველაფერი კარგია, სწორედ რომ ჩემი ბიჭისთვის, მუსაიბისათვისაა ზედგამოჭრილი, მე კი სულეიმანად მინდა დავრჩე. ჩემს სახელს ვერც კოსტიუმზე გავცვლი და ვერც ფეხსაცმელებზე, ჩემი წილები შემომწყრებიან.

უ ბ ი ს წ ი გ ნ ა კ ი დ ა ნ. სულეიმანის ვაჟიშვილებმა ბევრჯერ სცადეს მამისთვის წერა-კითხვა ესწავლებინათ. სულეიმანი ჯერ ბეჭითად იწყებდა სწავლას, შემდეგ კი ქალაქს გვერდზე გასწევდა და ამბობდა:

— არა, შვილებო, როგორც კი ფანქარს ავიღებ ხელში, ლექსები მაშინვე გამოირბიან, რადგან ერთთავად იმაზე ვფიქრობ, როგორ დავიკავო ხელში ეს ოხერი ფანქარი და არა ლექსებზეო.

უ ბ ი ს წ ი გ ნ ა კ ი დ ა ნ: ეფენდი კაპიევი სულეიმან სტალსკის მეგობარი იყო. ლექსებსაც ის უთარგმნიდა რუსულად. ამ მეგობრობამ პატარა და უმაჟნის ადამიანებში შური აღძრა, ცდილობდნენ დაემცირებინათ კაპიევი სახელგანთქმული პოეტის წინაშე და ცილს სწამებდნენ. აი, რას ეუბნებოდნენ ისინი სულეიმანს:

— შენ რუსულისა არა გაგეგება რა, ჩვენ კი ვიცით, რომ ეფენდი კაპიევი თარგმნაში ლექსს ვიფუჭებს. სადაც უნდა თავისას ამატებს, სადაც უნდა სტრიქონს აკლებს, ზოგს კი როგორც მოეხასიათება, ისე ასხვავებებს.

ერთხელ დინჯი საუბრის დროს სულეიმანმა ეფენდი კაპიევს უთხრა:

— გავიგე, მეგობარო, ჩემს შვილებს სცემ თურმე.

ეფენდი მაშინვე მიუხვდა სათქმელს.

— შენი ლექსები შენი შვილები როდია, სულეიმან. შენი ლექსები თვითონ შენა ხარ — სულეიმან სტალსკი.

— მაშინ მე, მოხუცი კიდევ უფრო მეტ პატივისცემას უნდა ვიმსახურებდე, ვიდრე ჩემი ბავშვები.

— შენთვის რა უფრო მნიშვნელოვანია, სულეიმან, სტრიქონთა რაოდენობა თუ ლექსის სტილი და სული? თუ ღვინო სურნელს დაპყარავს, ჭურჭელს არაფერი მოაკლდება, მაგრამ ღვინოს ის გემო აღარ ექნება. საქმე სურნელი, გემო და სიმაგრეა და არა ის, რამდენი ასხია ჭურჭელში.

— მართალი ხარ, ეს ყველაზე უმთავრესია.

მართლაც, ეფენდი კაპიევმა გააცნო რუს მკითხველს სულეიმან სტალსკი.

უ ბ ი ს წ ი გ ნ ა კ ი დ ა ნ.—ვერაფრით ვერ მოვუძებნე გასაღები მამაშენის ლექსებს, — შემომჩიოდა ეფენდი: პაშახათ. ცადასას ლექსებსაც ხომ კაპიევი თარგმნიდა რუსულად. — მას თავისი გასაღები აქვს, გგონია, იცინისო და სინამდვილეში ნაღვლიანია. გგონია, ვიღაცას აქებსო

და სინამდვილეში დასცინის, ის კი არადა მასხრადაც იგდებს. გგონია, ტუქსავს და სინამდვილეში აქებს. ყველაფერი ეს მესმის, მაგრამ რუსულად გადმოცემას ვერ ვახერხებ. მისი პოეტური ხერხებისა და ლექსების აზრის გადმოცემა კი შემძლია, მაგრამ მე თვითონ ჰამზათა მინდა, ცოცხალი ჰამზათა, მე რომ ვიცნობ. სწორედ ასეთი უნდა იყოს იგი ყველა რუსი მკითხველისათვის. მამაშენი თითქოს სხვა ადამიანებს ჰგავს. მაგრამ ყველაში გამოარჩევ.

ასეთი უნდა იყოს პოეტის ლექსებიც.

მოგონებებიდან. ახლა მე აულში ყველა მიცნობს, როგორც პოეტ რასულ გამზათოვს. დრო იყო, ულაზათო და დონდლო ვეგონე ყველას. ფიქრში წასული ვერ ვამჩნევდი, რას ეაკეთებდი. ხან პერანგს ვიცვამდი უკულმა, ხან პალტოს დიღებს არასწორად ვიბნევდი და ქუჩაში ასე გავდიოდი. ფეხსაცმლის ზონრებს არ ვიკრავდი, თუ ვიკრავდი, ისე ცუდად, რომ მაშინვე იხსნებოდა. ამიტომაც ამბობდნენ ჩემზე:

— ისეთ წესრიგის მოყვარულს, აკურატულსა და მშვიდ მამას ასეთი მოუსვენარი და ულაზათო შვილი როგორ გაუჩნდაო. რომელია მათ შორის მოხუცი და რომელი ახალგაზრდა: ვისაც ფეხსაცმლის ზონრის შეკვრა ავიწყდება, თუ ვისაც არასოდეს არაფერი ავიწყდებაო.

— პო, — ვპასუხობდი ამ მოკლილებს, — მამაჩემს სიბერე წავართვი და სანაცვალად ჩემი ახალგაზრდობა დაეუთმე-მეთქი.

მართლაც მამაჩემი სიკვდილამდე ჰაბუკივით იყო შემართული და მსუბუქად დააბიჯებდა, დისციპლინიანი და ზუსტი იყო. აულში ყველამ იცოდა ის საათი და წუთი, როცა ჯუბაჩაცმული მამაჩემი სახლის ბანზე გამოვიდოდა და საათებსაც კი ასწორებდნენ. ერთი ახალგაზრდა ჯარიდან მშობლებს წერდა: ძალიან ადრე ვდგებით, სწორედ იმ დროს გვაღვიძებენ, ჰამზათი ბანზე რომ გამოდისო.

ვინმეს თუ უნდოდა ჰამზათთან დილით შეხვედრა, იცოდა რომელ საათსა და რომელ წუთზე უნდა გაჩერებულიყო ხუნძახისკენ მიმავალ გზაზე. ჰამზათი სამუშაოზე წასასვლელად ყოველთვის ერთსა და იმავე დროს გადიოდა სახლიდან.

ხალხმა ყველაფერი იცოდა: სადამდე გაატარებდა ცხენს აღვირით, სად შეჩდებოდა უნაგირზე, ყოველ დილით ხედავდნენ მის შავ ხალათს, გალიფეს და მისივე ხელით შეკერილ, გაპრიანებულ ჩექმებს. ცნობდნენ მის ქამარს, აკურატულად შეკრეპილ წვერს, არც ერთხელ რომ არ გაეპარსა სამართებლით, მის ფაფახს — კრაველის ბეწვი არც მაინც-დამაინც ხვეული იყო და არც ბუწუწა.

ასეთი იყო მამაჩემი და რაც არ უნდა ჩაეცვა და როგორც არ უნდა მოქცეულიყო, ყველაფერი საოცრად უხდებოდა. სხვანაირს ვერც წარმოვიდგენდით.

ცხოვრების ჩვეულ წესში სიახლის შეტანა არ უყვარდა. ტანსაცმე-

ლი რომ დაუძველდებოდა, ზუსტად ისეთივე უნდა ეყიდა. მიუხედავად იმისა, რომ ახალი ტანსაცმელი ძველი თარგისა და ზომის მიხედვით იკერებოდა, მამა პირველ დღეებში მაინც უხერხულად და შებოჭილად გრძნობდა თავს.

ერთხელ ქამარი გაუცვდა და გაწყდა. ახლის ყიდვა იოლი საქმე იყო, მაგრამ ჰამზათმა გულმოდგინედ დააკერა ძველი ქამარი და კიდევ კარგა ხანს ატარა. ძუნწი არ ყოფილა და ფულიც მოჰყვებოდა ხოლმე ხელში, მაგრამ ძველთან განშორება უჭირდა. ბოლოს და ბოლოს, ქამარი დაეგლიჯა და ახალი იყიდა, მაგრამ მაინც ძველი აბზინდა მიაკერა.

ფაფახს ცოცხალი კრავივით ეფერებოდა ხოლმე, შეჩვეულ ქამარს თუ აფასებდა, ფაფახს ხომ უფრო მეტად გაუფრთხილდებოდა!

1941 წლის ზაფხულში ომი რომ დაიწყო, მთავრობის მოთხოვნით მამა მთებიდან მახაჩყალაში გადაიყვანეს საცხოვრებლად. მთის ჰაერს შეჩვეულს მახაჩყალაში სცხელოდა და სული ეხუთებოდა, მთაში გამოსადეგი ტანსაცმელი ქალაქის ხეატში ტვირთივით ეკიდა მოხუცს. განსაკუთრებით ფაფახი იყო ქალაქის ჰავისათვის შეუფერებელი. ბეგრი ქუდი და შლაპა მოისინჯა მამამ, მაგრამ ის ქუდები იმდენად ცვლიდა ჰამზათის სახეს, რომ ჩვენი თხოვნის მიუხედავად, მან ყველა გვერდზე მოისროლა.

ასე დადიოდა ჰამზათი მახაჩყალაში ფაფახით ხელში, ხან დაიხურავდა, ხან მოიხდიდა და ერთი წუთითაც არ იშორებდა.

ისეთ უბედურებასაც კი ეჩვევა ადამიანი, როგორც ომია და ცხოვრებაც ახალ კალაპოტში დგება. მამა დროდადრო ისევ ადიოდა მთაში. ო, რა თავისუფლად სუნთქავდა იქ, რა ნეტარებით ატარებდა თავის ფაფახს! ასეთ დღეებში იგი უპაპიროსოდ გატანჯულ კაცს მოგაგონებდა, ახლა საშუალება რომ მისცემია, დინჯად გაახვიოს ქალაქში მავარი და სურნელოვანი თუთუნი, აუჩქარებლად და გულიანად მოქაჩოს და გააბოლოს.

თუმცა მამაჩემი არასოდეს ეწეოდა თამბაქოს, მაგრამ მსგავს სიტუბობებს ცხოვრებისეულ სხვა წვრილმანებში ჰპოვებდა, რასაკვირველია, იმ თავდათავ შვებასა და სიხარულზე აღარაფერს ვიტყვით, შემოქმედება ან სამშობლოსადმი ტრფიალი რომ ჰბადებდა მის გულში.

მამის უბის წიგნაკიდან. „რაჯაბი ჩემი მეგობარია, მაგრამ მტერზე უარესად მომექცა. სამართებელიც კი აღმართა ჩემს წინააღმდეგ“—აი, რა ჩაწერა ერთხელ მამამ უბის წიგნაკში. საქმე შემდეგში იყო: 1934 წელს მამა მოსკოვს გაემგზავრა მწერალთა პირველ ყრილობაზე. მაშინ ავარიელი მწერალი რაჯაბ დინმაგომაევიც ცოცხალი იყო. მან საპარიკმახეროში შეიყვანა მამა, ოდნავ შეასწორებინეთ თმა-წვერი. არ ვიცი, რაჯაბმა მოუწყო, თუ პარიკმახერმა ვერ გაიგო, რას

სთხოვდნენ, ის კი იყო, რომ მამას სიცოცხლეში პირველად მოპარეს წვერი. მამაჩემი მაშინლა გამორკვეულა, პირგაპარული კაცი რომ დაუნახავს სარკეში. უცნობის დანახვაზე უყვირია, პირზე ხელაფარებული გამოვარდნილა საპარიკმახეროდან. ყრილობის სხდომებზე აღარ გამოჩენილა, ხალხს ემალებოდა.

— ჩემს დღეში არ შემიცვლია იერი და ლექსებში როგორღა შევიცვლი? — იტყოდა ხოლმე შემდეგში მამაჩემი.

მამას არც ცხოვრებაში უყვარდა ღვარჭნილობა და არც ლექსებში, თუმცა ერთი პირობა ლამის შეეჩვია უცხო, ღვარჭნილ პოზას.

მოგონება. მამას მახაჩყალაში მთიელი თანაოფლელები ესტუმრნენ. შენიშნეს, რომ საუბრის დროს ჰამზათ ცადასა რაღაც არაბუნებრივ, უჩვეულო პოზაში იჯდა. კერძოდ: ნიკაპქვეშ სამი თითი ამოედო. ერთმა მთიელმა ჰკითხა:

— წინათ არ შეგვინიშნავს, რომ თითებზე ჩამოგეყრდნოს ნიკაპი. დიდი ხანია, რაც ამას შეეჩვიე? ან რისთვის დაგჭირდა? შენ ეგ არ გიხდება, ეგ შენი არ არის, ჰამზათ!

— სწორი ხარ, — უპასუხა მამამ, — უნდა გადავეჩვიო. ყველაფერი მხატვარ მუეტდინ ჯემალის ბრალია. მთელი სამი თვე მხატავდა. სამი თვე ვიჯექი უძრავად, ნიკაპი თითებზე მქონდა ჩამოყრდნობილი. ასე მიბრძანა და უნდა დაემორჩილებოდი მხატვარს.

— ძნელი იყო?

— ჯდომა არ იყო ძნელი, მაგრამ ეს პოზა... ხანდახან მეჩვენებოდა, თითქოს ვილაცის თითებს ეჭირა ჩემი ნიკაპი. ასე ვიჯექი სამი თვე დილიდან საღამომდე და თანდათან მივეჩვიე. სეანსები დიდი ხანია დამთავრდა, სურათები უკვე კედელზე ჰკიდია, მე კი, როგორც ხედავთ, დავეჩვიე ნიკაპის ხელზე ჩამოყრდნობას. ხანდახან გულით ავადმყოფი კაცი მაშინაც გულზე იტაცებს ხოლმე ხელს, როცა არ ტკივა. არა უშავს, ვეცდები, გადავეჩვიო.

მამის. უბის წიგნაკში წერია, როგორ ჩაუსვეს კბილები.

საქმე საქმეზე რომ მიდგა, ექიმმა ჰამზათს ჰკითხა: ოქროს კბილები გირჩევნია, ვერცხლისა თუ ფოლადისაო? ჰამზათი დაიბნა და დახმარებისთვის იქვე მდგარ მეგობრებს შეხედა.

— ოქროსი ჩაისვი, — უთხრა ერთმა მეგობარმა, — ოქრო კეთილშობილი ლითონია.

— ფოლადისა ჩაისვი, — ურჩია მეორემ, — ფოლადი გამძლე ლითონია და არ ცვდება.

— რა გამოვა, — თქვა მამამ, — აულში ოქროს ან ფოლადის კბილებიანი რომ დავბრუნდე, ხალხი ისე დამიწყებს ყურებას, თითქოს პირში კბილების ნაცვლად ფანრები მქონდეს. კბილები სახეს დამიჩრდილავს. არ შეიძლება ძველის კბილები ჩამისვან, ვერავინ რომ ვერ შენიშნოს? აი, ასეთ კბილებზე თანახმა ვარ.



ექიმმა შეუსრულა თხოვნა ჰამზათს და ისეთი კბილები ჩაუსვა, როგორც აქამდე ჰქონდა.

შემდეგში ვინმეს ლექსში უცხო ან გადმომღერებულ სტრიქონებს რომ შეამჩნევდა, მამა ასე იტყოდა:

— ეს სტრიქონები ჩასმული კბილებივით შემოგანათებს.

ცხადია, ოქროს კბილებითაც შეიძლება ვაშლის ჩაკბეჩა, მაგრამ საკუთარი კბილებით ჩაკბეჩილი უფრო წვნიანი და გემრიელი გეჩვენება.

მოგონება. 1947 წელს მახაჩყალის თეატრში დიდი ზეიმი იყო. იუბილეს უხდიდნენ მამაჩემს, პოეტ ჰამზათ ცადასას, რომელსაც მაშინ სამოცდაათი წელი შეუსრულდა. მრავალი სიტყვა და მილოცვა წარმოითქვა, ლექსიც ბევრი წაიკითხეს და საჩუქარიც ბევრი მოუძღვნეს. ბოლოს იუბილარს მისცეს სიტყვა. ჰამზათი ტრიბუნაზე ავიდა, გულის ჯიბიდან დინჯად ამოიღო ფურცელი, ზედ სუფთად გადაეწერა საგანგებოდ ამ დღისათვის შეთხზული ლექსები, ახლა მეორე ჯიბეში ჩაიყო ხელი, უნდოდა სათვალე ამოეღო... და, აფორიაქდა მუდამ მშვიდი ჰამზათი, ხან ერთ ჯიბეში იქექებოდა, ხან მეორეში. ყველა მიხვდა, იუბილარს სათვალე სახლში დარჩენოდა.

მაშინვე გაგზავნეს კაცი სათვალის მოსატანად. ჰამზათმა კარგა ხანს იყურუყურა ტრიბუნაზე. მაშინ მისმა მეგობარმა აბუთალიბმა გაუწოდა თავისი სათვალე, სათვალე თითქოს მოერგო კიდევ. მამა ლექსის კითხვას მოჰყვა, მაგრამ ხმაშიც და პოზაშიც დამაჭერებლობა აკლდა. გეგონებოდა, სხვის ლექსებს კითხულობს და ისიც პირველადო!

მეორე ლექსის კითხვა რომ დაიწყო, დარბაზში ბიჭი შემოვიარდა და სათვალე მოიტანა. ჰამზათმა აბუთალიბის სათვალე მოიხსნა, თავისი გაიკეთა, ხელად გასწორდა წელში და ხმაც გაუმტკიცდა, ხალხმა ტაში დასცხო, თითქოს ნამდვილი ჰამზათ ცადასა ახლა ავიდა ტრიბუნაზე, აქამდე კი მისი ორეული იდგაო.

— კინალამ იუბილე არ ჩამიშალა სათვალემ! — ღიმილით თქვა მან.

— რაო, არ მოგეწონა ჩემი სათვალე? — ხმამაღლს ჰკითხა აბუთალიბმა.

— ძალიან კარგია, მაგრამ ეს ხომ მაინც შენი სათვალეა. ყველა აღამიანს თავისი თვალეები აქვს და სათვალეც თავისი უნდა ჰქონდეს.

მამაჩემს არც მოკაშვამე სინათლე უყვარდა და არც თვალშეუვალი უკუნი და, არაფერი არ უყვარდა, რაც ძალზე ბლანტი, ან ძალზე წყალწყალა, მეტისმეტად ცივი ან მეტისმეტად მხურვალე, ძალზე ძვირფასი ანდა ძალზე იაფი ჩანდა, არც წინ გვაპარდნა ეწადა და არც კულში ჩანჩალი.

არც მგლის მცინვარება უყვარდა და არც კურდღლევიით კანკალი, არც ხელისუფალთა დესპოტიზმი და არც მონური მორჩილება.

— ისე ფაშარი ნუ იქნები, რომ მტვრად იქცე, მაგრამ ნურც ისე ჩალები, ჩვარივით გაგწურონ, — იტყოდა ხოლმე.

მამაჩემი ისეთი კაცი არ გახლდათ, წვიმის წვეთს გაეღლო და შერე სულის შეებრვით გაეშრო ვინმეს. მამაჩემი უბრალო მშრომელი იყო, ჩვენი ხალხის ყველა თვისება და ღირსება მასში იყო თავმოყრილი და ღირსეულადაც იფერებდა მათ.

მოგონებ ანერთხელ მე და მამა მახაჩყალიდან აულში უნდა წავსულიყავით ავადმყოფი ნათესავის მოსანახულებლად. იმ ხანად დაღესტნის მთავრობის სათავეში აბღურაჰმან დანილოვი იდგა. როცა გაიგო მთაში მივდიოდით, მთავრობის შავი მანქანა გვათხოვა. მგონი, „ზიმი“ იყო. სანამ ქალაქის ქუჩებში მივქროდით, მამა შესანიშნავად გრძნობდა თავს. ქალაქგარეთ კი, როცა ფეხით მიმავალი, ჯორებსა თუ სახედრებზე გადაძვრადი მთიელები ჩამოვიტოვეთ, მოუსვენრად აწრიალდა მოხერხებულ რბილ დასაჯდომზე. ფანჯარაში თავს ეყოფდი და ყოველნაირად ვცდილობდი ხალხის ყურადღება მიმეპყრო, შემომხედეთ ერთი, რა მანქანაში ვზივარ-მეთქი.

მთელი გზა წვიმდა. პაწაწინა მდინარე გოცატლს რომ მივადექით, შუა წყალში გაჩხერილი ურემი დავინახეთ. მამაჩემი მაშინვე გადმოვიდა მანქანიდან, მდინარეში შევიდა და მოხუც მეურმეს წაეშველა. ორივენი უტევდნენ ხარებს, ურმის თვლებს აწვებოდნენ. მალე სწორ გზაზე გავიდა ურემი. გზა განვაგრძეთ. რამდენიმე კილომეტრის შემდეგ მეორე მდინარეს მივადექით. მამა ისევ გადმოვიდა მანქანიდან და იმ მოხუცს დაელოდა.

— აქ ნამდვილად ისევ გაეჩხირება მოხუცი. მე კი ვიცი, როგორ გადავიყვანო ხარები მდინარეზე. დაველოდები და მივეხმარები.

მართლაც, ვიცადეთ, სანამ არ მოჭრიალდა ურემი მდინარესთან. მამამ მოხერხებულად გადაიყვანა ხარები მეორე ნაპირზე.

— მეც ბევრჯერ მომსვლია ასე, როცა ტვირთი მომქონდა ბუინაქსკიდან მთაში, — თქვა მამამ, მანქანაში რომ ჯდებოდა, თან ხელებს იმშრალებდა სამოსელის კალთაზე. ისეთი ნალვლიანი ღიმილი გააყოლა ურემს, თითქოს მას თან გაპყოლოდეს მთელი მისი წარსული ცხოვრებაც.

ხუნძახის აღმართზე ჩვენს მანქანას სატვირთო მანქანამ გვერდი გაკრა და ბორბალი გაგვიტეხა. მგონი მამას გაუხარდა კიდეც და აულში ფეხით წავიდა. რამდენს არ ვეხვეწეთ, დაეცადა სანამ სამარქაფო ბორბალს დაეუყუნებდით, მაგრამ არადა, არა, არ დაიცადა.

— ქორწილზეც კი შემრცხვებოდა ასეთი მანქანით მისვლა, მითუმეტეს ახლა, რა საჭიროა ასეთი ზარ-ზეიმი, როცა ავადმყოფი მეგობ-

რის სანახავად მივდივარ. ძალიან მიხარია, მანქანა რომ გაფუჭდა, ფეხით წავალ.

მამა სიყრმიდანვე ნაცნობი ბილიკით ავიდა აულში, იმ ბილიკით, მთიელთა უთვალავ შთამომავლობას რომ უვლია. ბორბალი შეგაკეთეთ და გზატკეცილს გავყევით. აულში მაინც ერთდროულად მივედი.

შემდეგ აბდურაჰმან დანილოვი შემფოთებით ეკითხებოდა მამას ავარიის ამბავს,

მამა ხუმრობით პასუხობდა:

— მეტისმეტად კარგი მანქანა იყო და ამიტომ. ცოტა უარესი რომ ყოფილიყო, არაფერი არ მოხდებოდა.

მ ო გ ო ნ ე ბ ა. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მამა მძიმე ავადმყოფი იყო. ავადმყოფობა მოულოდნელად დაატყდა თავს, როცა მთაში მიდიოდა ამომრჩეველებთან შესახვედრად.

სსრკ უმაღლესი საბჭოს არჩევნები ახლოვდებოდა და ჰამზათ ცადასას კანდიდატურაც იყო დასახელებული.

რაიონულ ცენტრამდე მანქანით მივედი, მაგრამ მთიან აულებში უცხენებოდ ვერ ავიდოდით. მამას წყნარი, თვინიერი ცხენები უყვარდა. ჩვეულებრივ ნაბიჯით მიჰყავდა ხოლმე ცხენი, უმეტესად კი ალვირში ხელჩაქიდებული წინ მიუძღოდა. ფეხით სიარული ყველაზე მეტ სიამოვნებას ანიჭებდა ჰამზათს.

ადგილობრივმა მთავრობამ თავი მოიქაჩლა. მომავალ დეპუტატს ახალგაზრდა, ფიცხი ბედაური მოუყვანეს. საყვედურს ვერ ვიტყვით, აღარ იცოდნენ პატივი რითი ეცათ, იფიქრეს, ასეთ ძვირფას სტუმარს რაიონში საუკეთესო ცხენი უნდა გამოვუძებნოთ.

სამოცდათორმეტი წლის მოხუცმა მასპინძელს არ აწყენინა, ძველი დრო გაიხსენა და ჰაბუკივით მოევლო უნაგირს. ცხენებზე ამხედრებული ახალგაზრდებით გარშემორტყმული ქლალწვერიანი პოეტი ნაიბების ამალით დამშვენებულ იმამს ჰგავდა.

ახალგაზრდებმა მათრახები უცხუნეს ცხენებს და სხვადასხვა აულებში გაქუსლეს შესატყობინებლად — ჰამზათი საცაა აქ გაჩნდებო. საერთო აზარტს ჰამზათის ცხენიც აჰყვა და ისიც გაფრინდა. მოხუცმა ცხენს თავი ვერ დაუჭირა. დოღი დაიწყო. ჰამზათი დაიბნა, უნაგირზე ირწეოდა. თავს ვეღარ იმაგრებდა და ბოლოს გადმოვარდა კიდევ. მახაჩყალაში დასწეულელებული დაბრუნდა. სიკვდილამდე ავადმყოფობდა.

— ლექსიც ასეა, — ამბობდა მამა ხველებით, — პოეტი შეჩვეულ ცხენზე უნდა იჯდეს და არა უცხო ბედაურზე. სწორედ უცხო ბედაური გადმოგაგდებს უნაგირიდან.

დიღხანს შემეძლო მამაზე მელაპარაკა, მაგრამ ახლა მამის მეგობარ

აბუთალიბზე უხდგა ვიამბოთ ცოტა რამ. მთელი გუშინდელი საღამო სწორედ აბუთალიბთან ერთად გავატარე.

აბუთალიბთან გატარებული დღე. ყველაზე მეტად ლექსთან მიბრუნება მიჭირს ხოლმე, თავის დროზე რაღაცის გამო რომ არ დამიმთავრებია და ხელახლა ჩაჯდომას ითხოვს. მთიელები ამბობენ, ბაყაყი მხოლოდ იმიტომია აქამდე უკუდო, კუდის მიწებება მეორე დღისთვის რომ გადასდო.

დილიდანვე გადავწყვიტე, ერთი გრძელი ლექსი დამესრულებინა, ორი კვირის წინ რომ მქონდა დაწყებული. ძნელი სამუშაო მელოდა და შინამოსამსახურე ფროსია გავაფრთხილე:

— თუ ვინმემ მიკითხოს, უთხარი შინ არ არის-თქო. ნასადილევს მოვიდეს.

რაკი მოსამსახურე გავაფრთხილე, გულდამშვიდებული ზემოთ ავედი, ჩემს სამუშაო ოთახს მივაშურე და მუშაობაში ჩავეფალი. ქუჩის ხმაური მაინც აღწევდა ჩემამდე. და აი კიშკრის ჭრიალიც გავიგონე. ცოტა ხნის შემდეგ ზარიც დაირეკა. ფროსიას ხმა არ გამიგონია, მაგრამ, სამაგიეროდ, აბუთალიბის ხმა ჩამესმა ყურში. სკამი გახურებულ ტაფად მექცა, ეკლის ბუჩქად. არასოდეს მომხდარა, ჰამზათ ცადასას სახლში, ანუ ახლა რასულის სახლში უარი ეთქვათ აბუთალიბის სტუმრობაზე, სახლის ზღურბლიდან გაებრუნებინოთ იგი უკან. ასეთი რამ არც მომხდარა და არც მოხდება. მაგრამ ახლა საშინელ დღეში აღმოვჩნდი: აბუთალიბის უკან გაბრუნება არ შეიძლებოდა. არადა უხერხული იყო ფროსიას გაწბილება, კეთილსინდისიერად რომ შეასრულა ჩემი თხოვნა და უკან გააბრუნა სტუმარი: შინ არ არის და ნასადილევს დაბრუნდებო.

გულს დაეუჯერე და არა გონებას, ფანჯარაში თავი გავყავი და დავუძახე მამაჩემის ძველ მეგობარს:

— შემოდი, აბუთალიბ, აქა ვარ.

— ო, მოწყალეო ალაჰ! ნუთუ ჰამზათ ცადასას შვილი მევალებს ემალება? — აბუთალიბმა სწრაფად მოიხადა ფაფახი, აღმაცერად გადახედა ფროსიას და შემოვიდა. — ამ ქალს უთხარი, როცა აბუთალიბი მოდის, კარი თავისით იღება, და მეც ყოველთვის შინ ვარ-თქო, რასულ. და თუ არა ვარ, ამ სახლში აბუთალიბისთვის მაინც ყოველთვისაა სასმელ-საქმელი, თუ დასჭირდა დასაძინებელიც მოიძეგება-თქო.

— ფროსია დამნაშავე არაა. ფატიმათმა სამსახურში წასვლის წინ ასე დაუბარა, ვინც არ უნდა იკითხოს, რასული შინ არ გახლავს-თქო. რას იზამ, მზრუნველი ცოლია.

— კარგია, როცა ცოლი ჰყავს კაცს, ყველა ცოდვას მას გადააბრალებს, მაგრამ ვანა ფატიმათს დაავიწყდა, დღეს რომ ხუთშაბათია? — ამბობდა აბუთალიბი და გრძელბეწვა სველ ფაფახს ფერთხავდა.

— კი მაგრამ, რა ამისთანა დღეა ხუთშაბათი?

— ჩემი აბანოს დღე გახლავთ. ნუთუ არ შეგინიშნავს, რომ ყოველ ხუთშაბათს აბანოში დავდივარ. აბანო კი შენი სახლის გვერდითაა. ასე რომ, ყოველთვის შეიძლება შემოვიარო შენთან საბაასოდ. ერთს მაინც გაგაბოლებ და კარგადაც დავისვენებ.

— აბანო რად გინდა, აბუთალიბ. ბინაში აბაზანაცა გაქვს და ცხელი წყალიც.

— აბაზანა და შხაბი შვიი პურის ნატეხია, აბანო კი საქორწილო სუფრა. მე ბალიც მაქვს, ამ ბალს მთის გულიდან გადმომდინარე ნაკადულიც ჩაუღის. ამ წყლით სათითაოდ ვრწყავ ხოლმე ხეებს. განა შევძლებდი ბალის მორწყვას სარწყავით, ან ჩამჩით? არა, რასულ, ეს სათამაშოები საბავშვო პოეტს ნურათიდან იუსუპოვს დაანებე. ამბობენ, ახლა თოჯინებისთვის სცენარებს წერსო. აი, სწორედ მის თოჯინებს გამოადგება ეგენი.

ნაბანავებზე ჩაი გარგებს, — შევთავაზე აბუთალიბს, ღერეფნიდან ოთახში რომ შევედით.

— ვალაპ! — ჩაისაც არა უშავს, ბილლაპ! — არც სუპია ურიგო, თალლაპ! — ღვინოც არ გვაწყენდა. მაგრამ ნაბანავებზე ყველაფერს სუფთა არაყი ჯობია.

— სუპი კი გვაქვს, მაგრამ გუშინდელია, ჯერ დილაა და ახალი არ მოგვიმზადებია.

— გუშინდელით დავიწყოთ და ამასობაში ახალიც მოგვისწერებს.

სანამ ფროსია სუფრასთან ფაციფუცობდა, მე ჩემი უცხოური ღვინოებით ვიწონებდი თავს. სხვადასხვა ქვეყნებიდან ლამაზ, ნაირფერ ბოთლებში ჩასხმული სასმელები მქონდა ჩამოტანილი. ზოგი რომი, ზოგი კონიაკი, ჯინი, ვისკი, კალვადოსი, აბსენტი, ვერმუტი, სლივოვიცა, უნგრული უნიკუმი... კონიაკებიც სხვადასხვა ხარისხის მქონდა: მარტინი, კამიუ, პლისკა.

— ამოირჩიე, აბუთალიბ, რას დალევ!

— ეს ხარახურა აალაგე, რასულ, თუ გაქვს, ჩვეულებრივი თეთრით გამიმასპინძლდი. თეთრი არაყი მარტო იმიტომ კი არაა კარგი, რომ ჩვენ შევეთვისეთ, არამედ იმიტომ, რომ ისიც შეგვეთვისა. ის ღვინოები, შენ რომ გადმომიწყვე, შესაძლოა ძალიან გემრიელიცაა, მაგრამ შორი ქვეყნიდანაა ჩამოტანილი, იქ სხვა ენაზე ლაპარაკობენ, ჩემი ენა მათთვის გაუგებარია. ახლა ხასიათები? ჩვევები? ჩვენ ერთმანეთისათვის მუდამ უცხოები ვიქნებით. ეგ ბოთლები შენს მეგობრებს, მოსკოველ მწერლებს შეუენახე, რასულ!

ჩემს კოლექციაში არც ერთი ბოთლი არაყი არ აღმოჩნდა. მეც ვითომ მალაზიაში წასვლა დავაპირე, იმედი მქონდა აბუთალიბი არ გამიშვებდა. გარეთ წვიმდა და ცივი ქარი ქროდა, სახლში კი სპირტიანი

სასმელის მეტი რა მქონდა ბოლოსდაბოლოს, არაყის მოთხოვნა, როცა სუფრაზე საუკეთესო ფრანგული კონიაკებია, ახირებია და სხვა არაფერი.

აბუთალიბმა მართლაც შემაჩერა:

— არა, რასულ, გეტყობა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ, თუმცა ქალარა გამოგრევი. განა არაყზე შენ უნდა წახვიდე? ნუთუ შენზე ახალგაზრდა არავინაა. ეზოში გადი, სთხოვე მეზობლის ბიჭს და გაგეგზავნება. მე არსად არ მეჩქარება, სიამოვნებით დავუცდი მის დაბრუნებას.

მეტი რა გზა იყო, ისე მოვიქეცი, როგორც აბუთალიბმა დამარიგა. მეზობლის ბიჭს ფული მივეცი. ბიჭი მაღაზიაში გაიქცა. აბუთალიბმა ოთახი მოათვალიერა.

— შენს სახლში მთიელ სტუმრებს ვერ ვხედავ. ნუთუ ფეხი ამოიკვეთეს?

— დღეს არავინ მყავს.

— სანამ ჩემი მეგობარი და შენი მამა ჰამზათი იყო ცოცხალი, ამ სახლში სტუმარი არ გამოლევლა. სტუმარი კი იმითაა კარგი, რომ მუდამ აქვს თუთუნი.

— მოსაწევი მეცა მაქვს, — ყუთიდან სხვადასხვანაირი პაპიროსები და სიგარეტები ამოვიღე.

— ეს სწორი და თეთრი მილაკები საჩემო არაა. ეს თქვენი მოსკოვეური თამბაქოა. მე მხოლოდ ჩვენებურ მთის მაგარ თუთუნს ვეტანები. ისევ ჩემი ქისის ამოღება დამჭირდება.

აბუთალიბმა უბიდან დიდი ქისა ამოიღო, ამოაბრუნა და ნაკერებში ჩარჩენილი თუთუნიდან ერთი გახვევა შეაგროვა. ოსტატურად დაასორსოლა და ენით გაწება.

— განა გახვეულ პაპიროსს შენი თამბაქოს სწორი ჩხირები შეედრება? ჩემს გახვეულ პაპიროსს თავისი სახე აქვს, თავისთავადია. შენი სიგარეტები კი ყველა ერთნაირია. ახლა მითხარი, რა უფრო სასიამოვნოა, კოლოფიდან მზა სიგარეტის ამოღება თუ ასეთი საუცხოო პაპიროსის გახვევა. ამისი გახვევაც ერთ რამედ ღირს. ჰოდა, რისთვის მოვიკლო ეს სიამოვნება?

კარგად არ მახსოვს, შვეიცარიული თუ ბელგიური გაზის სანთია გვაჩხაკუნე, მაგრამ აბუთალიბმა მოიცილა ჩემი ხელი, ჯიბიდან რკინის ნატეხი, კაფი და აბედის ნაკუწი ამოაძვრინა. აბედის ნაკუწი კაქს ამოსდო ქვეშ, შემდეგ კაქს რკინის ნატეხი ჩამოჰკრა და ნაპერწკლები გააყრევინა. აბედი გააქნია, გააღვივა, პაპიროსს მოუკიდა. ცხელი აბედი ცხვირთან მომიტანა.

— აბა უყნოსე, კარგია? ახლა შენი სანთის სუნი ნახე.

ერთ ხანს აბუთალიბს თამბაქოს ბოლში ველარ ვარჩევდი. შერე ბო-  
ლი თანდათან რომ გაიფანტა, აბუთალიბმა მკითხა:

— მითხარი, რასულ, რატომ გაჭალარავდი?

— არ ვიცი, აბუთალიბ!

— მე კი ვიცი, რატომ ვარ ჭალარა.

— მომიყევი!

— სულ იმის ლოდინში ვიყავი ხოლმე, როდის მომირბენინებდნენ  
ეს მამაძალი ბიჭები მალაზიიდან არაყს და ამასობაში თმაც გამოთეთრ-  
და. ასეა, რასულ, შვილისთვის უცხოა მშობლის განცდები, სანამ  
თვითონ არ ეყოლება შვილი. არამსმელი კაცი ჩვენ მხარს ვერ აგვი-  
ბამს. არაყზე ის უნდა გავზავნო, ვისაც სმა უყვარს, გზაში არ და-  
ყოვნდება.

ამასობაში ფროსიამ სუფრა გააწყო. ცოტა მოგვიანებით სუფრის  
შუაგულში არაყიც გამჩნდა.

— იფ! — თქვა აბუთალიბმა, — გინდაც სურხინელი თავმჯდომა-  
რე შემოერთებოდეს რიგით კოლმეურნეთა შეკრებილობას, — ბოთლი  
აიღო და ბავშვივით გადაარწია, — იფ, იფ, იფ. რა არაყია! ამის მომ-  
ტანი ალბათ ძალიან კარგი ბიჭია.

აბუთალიბმა მომცრო სირჩები შენიშნა მაგიდაზე. შუბლი ისე შეი-  
კმუნხნა, თითქოს პირში მწარე გემო იგრძნო ანდა კბილის ტკივილმა  
შეაწუხაო. სირჩა შეატრიალ-შემოატრიალა და შიგ ჩაიხედა. მგონი  
ნამწვის ჩაგდება უნდოდა შიგ, რათა ბოლოსდაბოლოს ამ საქციე-  
ლით მაინც გამოეხატა თავისი ზიზღი იმ სავნისადმი, ზიზღის გარდა  
სხვას რომ არაფერს იმსახურებდა.

მაშინ ქართველების ნაჩუქარი დიდი ყანწი ავიღე და აბუთალიბს  
მივაწოდე, მოხუცმა პოეტმა დიდხანს ათვალე რა ყანწი და ბოლოს  
შეაფასა:

— კარგი ყანწია, მაგრამ კიდევ უკეთესი იქნებოდა, მოვერცხლი-  
ლი რომ არ იყოს, თითქოს ნეფისთვის ქამარი შემოურტყამთო. შე-  
რედა რა საჭიროა? ვერცხლი გემოს შემატებს არაყს თუ სიმაგრეს? არა,  
რასულ, გათლილი ჭიქა მომეცი, მთელი სიცოცხლე ეგ მეჭირა ხელ-  
ში, ვიცი, შიგ რამდენი ყლუპია, როდის შევისვენო და როდის გავნაგრ-  
ძო სმა.

ეს თხოვნაც შევეუსრულე. არაყი დაისხა, შიგ პურის პატარა ნატები  
ჩააგდო და დარგინულ ენაზე თქვა:

— დერჰაბ! — უცებ გადაჰკრა, სული მოითქვა და განაგრ-  
ძო, — სანამ გადაჰკრავ, ყოველთვის უნდა წარმოსთქვა „დერჰაბ“.  
ძნელია გადმოსცე, რას ნიშნავს ეს სიტყვა. რაიმე განსაკუთრებული  
მნიშვნელობა არცა აქვს, მაგრამ განა ისედაც არ იგრძნობა — „დერ-  
ჰაბ“!



არაყი რომ დალია, სუბით სავსე თეფში მიიწია ახლოს, ხორცი ცალკე თეფშზე გადადო, წვენიში კი პური ჩაფხვნა. აუჩქარებლად, სიამოვნებით შეექცეოდა იგი ცხელ და გემრიელ კერძს, თითოეულ კოვზს გემოს ატანდა. ასე აუჩქარებლად აათლიდა ხოლმე ხორცს დროდადრო თავისი ჯიბის დანით. ალბათ აბუთალიბს სხვა დანა რომ ეხმარა ანდა სხვაგვარ ყაიდაზე რომ ექამა, ხორციც ასე გემრიელი არ მოეჩვენებოდა. სუბი და ხორცი რომ მოათავა, პურის ნამცეცები შეაგროვა და პირში ჩაიყარა, ერთხელ კიდევ გადაჰკრა არაყი და უღვაშებზე გადაისვა ხელი.

— იქნებ ახლა ჩაი დაგელია?

— ჩემი ჩაი ახლა თუთუნია. მითხარი, რასულ, რით განსხვავდება პაპიროსი სხვა საგნებისაგან?

— არ ვიცი.

— ყველაფერი სიგრძივ იწელება, როცა ექაჩები, პაპიროსი კი პირიქით, მოკლდება. — აბუთალიბს მოეწონა თავისი მიაჩნტური გამოცანა და გაიცინა.

— ბევრს ეწევი, აბუთალიბ, არ გავნებს?

— ამბობენ, მსუყე სადილის შემდეგ თვითონ ალაპიკ კი აბოლებსო. პაპიროსის წევით გული რომ იჯრა, აბუთალიბმა მკითხა:

— გამგეობის სხდომა როდის იქნება?

— ხვალ.

— ხომ არ იცი, ზაინუდდინის მიერ ლიტფონდის სახელზე შეტანილ განცხადებას განიხილვენ?

— არ ვიცი, მაგრამ რაში გაინტერესებს?

— ერთ არაკს მოგიყვები: ჩემს პატარა ბიჭობაში ხბორებს ვმწყემსავდი. თვინიერი ხბორები მყავდა. ხბორები ჩემს ირგვლივ ძოვდნენ, მეც კმაყოფილი ვიყავი, ჩემი სამწყსოც და ხბორების პატრონიც. მერე კი ჩემდა სავალალოდ ერთმა თამამმა ხბომ შვრიის ყანისკენ მიმავალ გზას მიაგნო. იმას სხვებიც გაჰყვნენ. ასე დასრულდა ჩემი მშვიდი ცხოვრება. ვერ იქნა და ვერ მოვაცილე ხბორები შვრიის ყანას. ერთ ნაბიჯზე ველარ ვენდობოდი ჩემს სამწყსოს. ასეთივე სავალალო გახდა ჩვენი პოეტებისთვის ლიტფონდი. ადრე ყველანი მშვიდად ცხოვრობდნენ, წიგნებს წერდნენ და იყვნენ თავისთვის, სანამ ლიტფონდს იყნოსებდნენ. არ ვიცი, ვინ შედგა პირველად ფეხი, მაგრამ ახლა ყველანი შვრიის ყანაში შესული ხბორებივით ძოვენ ლიტფონდს. დილით რომ ადგებიან, ლექსების ნაცვლად ათასნაირ განცხადებას წერენ და დახმარებას თხოულობენ. მეც უნდა დავწერო ერთი განცხადება და გამგეობის სხდომაზე განიხილეთ.

— რისთვის უნდა დაწერო, აბუთალიბ, რა გავჰირებია?

— შენ კარგად იცი, რომ მე ჯერ ექიმს არ გავუხსინჯივარ, მაგრამ მაინც გადავწყვიტე სანატორიუმის საგზური ვიშოვნო.

— ისე ჩათვალე, ვითომც საგზური ჯიბეში გქონდეს, მაგრამ მწერალთა კავშირის ნაცვლად, დალესტნის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს რომ მიმართო, ის არ გირჩეენია? მწერლების სანატორიუმს მთავრობის სანატორიუმში ჯობია.

აბუთალიბმა თავი გააქნია და ენის წკლაპუნს მოჰყვა. ენის წკლაპუნით აბუთალიბი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ გრძნობებს გამოხატავდა ხოლმე: სიხარულსაც და მწუხარებასაც, გაოცებასაც და უარყოფასაც.

— არა, რასულ, ჯერ ერთი, უმაღლეს საბჭოში დროებით ამირჩიეს ოთხი წლის ვადით, მწერალი კი სიკვდილამდე ვიქნები. მეორე კიდევ, ყველაფერი რიგზე არც ერთ სანატორიუმში იქნება და არც მეორეში. ახლა ეს მითხარი, რა უფრო ადვილია, შენი და ხაბპალაევის გალანძღვა, თუ უმაღლესი საბჭოსი?

— მაშინ დაწერე განცხადება, ხვალ განვიხილავთ.

— განცხადებას მირზა დამიწერს, მე არასოდეს არ დამიწერია. თქვენ საგზური მოამზადეთ. — აბუთალიბი ადგა და წასასვლელად მოემზადა.

— ახლა სად მიდიხარ, აბუთალიბ?

— გამომცემლობაში უნდა შევიარო, ჩემი ახალი წიგნი გამოსულა, უნდა ვნახო ბიჭია თუ გოგო.

— ამ საღამოს პედაგოგიურ ინსტიტუტში მოდი. სტუდენტები შეხვედრას უწყობენ მწერლებს.

— მოვალ. ზურნა წამოვიღო?

— ოპ, აბუთალიბ, შენ მწერალი ხარ და არა მეზურნე. ლექსების კრებული წამოიღე.

— შევხვდებით, — თქვა აბუთალიბმა და წავიდა.

ქალთა პედაგოგიურ ინსტიტუტში ლიტერატურული საღამო შეიდი საათისათვის იყო დანიშნული. მთელი დალესტნის პოეტები შეიკრიბნენ. ზუსტად შეიდი საათია, აქეთ-იქით ვიხედები, აბუთალიბი არ ჩანს. მეტის მოცდა აღარ შეიძლებოდა, საღამო უიმიოდ დაიწყეს. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ პოეტები. ყველა თავის ენაზე კითხულობდა ლექსებს, ზოგი ლაკურად, ზოგი ყუმუხურად, ზოგი ლეკურად და ზოგი ავარიულად. ერთი ახალგაზრდა პოეტი პოემას კითხულობდა. უცებ ტაშმა იგრიალა და პოეტს უდროოდ დროს შეაწყვეტინა კითხვა. თურმე კულისებიდან აბუთალიბ გაფუროვი შემოსულა სცენაზე.

ორ პოეტს კიდევ მოვუსმინეთ და აბუთალიბს ვანიშნე, შენი ჯერია-მეთქი, აბუთალიბმა სერიოზული იერი მიიღო და ისე დაჯდა, თითქოს



სურათს უღებენო: უღვაშების გრეხას მოჰყვა, როგორც ხედავ, ვემზადებო, თითქოს უნდოდა ეთქვა მსცოვან პოეტს.

აბუთალიბი ტრიბუნიდან ჯერ რუსულ ენაზე ესაუბრებოდა გოგონებს, მერე ავარიულზე და მერე ლაკურზე. ცოტ-ცოტა ყველა დაღეს-ტნური ენა იცოდა აბუთალიბმა. შემდეგ ორი ლექსი წაიკითხა ლაკურ ენაზე.

მაგრამ მთელი ეს ლიტერატურული ნაწილი ისე სწრაფად ჩაათავა, თითქოს ეს შესავალია და რაღაც უმთავრესისთვის იტოვებს დროსო. აბუთალიბმა ხელი მალლა ასწია, სიჩუმე ითხოვა. შემდეგ დარბაზში მსხდომთ მიმართა:

- გინდათ ზურნა დაუუქრა?
- გვინდა, გვინდა, დაუქარით, — აყვირდნენ ქალიშვილები.

აბუთალიბმა კულისებიდან ზურნა და სალამური გამოიტანა. ნელ-ნელა ჩაჰბერა ჯერ ერთს და მერე მეორეს. ყველამ იცოდა, რომ ეს მხოლოდ სამზადისი იყო. საკრავს აწყობდა აბუთალიბი. რაკი დარწმუნდა საკრავები აწყობილიაო, აბუთალიბი ადგა, მაგიდაზე მდგარ წყლით საესე ქიქას ხელი წამოავლო და ზურნაში ჩაასხა წყალი.

— სანამ თვითონ მოიკლავდე წყურვილს, ცხენს დააღვეინე წყალი, სანამ თვითონ დაღვედე, ზურნას დააღვეინე, — ასე იტყვიან მე-ზურნეები მთაში.

აბუთალიბმა ზურნა ააკენესა. უკრავდა და თან ტაშს აყოლებდა. ამდენი ყმაწვილი ქალის შემყურე აბუთალიბი ისეთ ხასიათზე დადგა, ალბათ მთელ მახაჩყალას ესმოდა იმ ღამეს მისი ზურნის ხმა.

პრეზიდენტში თავისი ადგილი რომ დაიკავა, გულლიად მკითხა:

- რას იტყვი, კარგად ვუკრავდი?
- კარგად.
- აბა, ასე უხალისოდ რატომ მიკრავდი ტაშს? ახლავე დამიკარი ტაში ხელახლა.

აბუთალიბის ამ სიტყვებს დარბაზი მეგობრული სიცილით შეხვდა. მე, როგორც სალამოს წამყვანს, ნამდვილად არ მომეწონა, შესანიშნავი პოეტი აბუთალიბი მეზურნის როლში რომ გამოვიდა. ეს იგივე იყო, რუს პოეტს ესენინს ლექსების წაკითხვის მაგივრად სცენაზე რომ ეცეკვა. ცეკვა იცოდა ესენინმა, მაგრამ ყველაფერს ხომ თავისი ადგილი აქვს. ალბათ მეტისმეტად დაბღვერილი ვიჭექე პრეზიდენტში და ტაშსაც ძალისძალად ვუკრავდი, რახან აბუთალიბის ასეთი მზიარული რეპლიკა დავიმსახურე.

ქალიშვილებმა გარდერობამდე ჩაგვაცილეს, პალტო ჩავიცვი და სარკეში ჩავიხედე. იმხანად პალტოს ბამბას უტანებდნენ მხრებში. მოდა იყო, მეც ასეთი სწორმხრებიანი პალტო მეცვა. აბუთალიბმა შემხედა, თავი გააქნია და თქვა:



— წინათ ხალხი ცხვრის ღუმას შეექცეოდა, ანუ მსუყვე, ყუთთან საჭმელს, მიტომაც იყვნენ ასეთი მხარბეჭიანები. ახლა კი ბამბით გამოჰფუყვიათ მხრები, წინათ თუ ყუმუზს უკრავდნენ და ზედ დაჰმღეროდნენ, ახლა მხოლოდ ქალაღზე დაწერილს კითხულობენ. დიდი ცვლილებებია ქვეყანაზე და არ მომწონს.

— სალამოზე რატომ დაიგვიანე, აბუთალიბ?

— ის იყო გავემზადე წამოსასვლელად, რომ ავარიული თეატრის მსახიობი მოვარდა ჩემთან...

— ავარიულ თეატრს რაში დაჭირდი?

— რა და სპექტაკლში თურმე ქორწილი უნდა წარმოედგინათ, ახლა ხომ უქორწილოდ არც ერთი სპექტაკლი არ ჩაივლის. მეზურნე ავად გამზდარა. უზურნოდ კი, აბა რა ქორწილი იქნებოდა? ჰოდა, აი, მეზურნედ მიმიწვიეს. ასე მითხრეს, სულ რაღაც ათი წუთი დაყოენდებო, მაგრამ სანამ თეატრში მივიდოდით, სანამ ქორწილი დაიწყებოდა, კარგა დრო გავიდა. ორი ისეთი სიმღერა დავუკარი, რომ მაყურებელს სპექტაკლი დაავიწყდა.

— მე რომ ცნობილი პოეტი, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი აბუთალიბ გაფუროვი ვყოფილიყავი, მეზურნის როლს არ შევასრულებდი.

— აბუთალიბმა შენზე უკეთესად იცის, რა უნდა გააკეთოს და რა არა.

— იყავი გამომცემლობაში? როგორაა შენი წიგნის საქმე?

— დიდება ალაჰს, წიგნი გამოვიდა, დიდება ალაჰს, ცოტაოდენი ფული მივიღე, დიდება ალაჰს, ვალეები გავისტუმრე, დიდება ალაჰს, ბატი ვიყიდე.

— მალარიჩს იხდი?

— ვის გადავუხადო?

— რედაქტორს, მხატვარს, ბუღალტერს, ყველას, ვინც ამაგი დასდო ამ წიგნის გამოცემას.

— რედაქტორს გადავუხადო მალარიჩი? იმას მალარიჩი კი არა, მოლოროჩი მოუხდება.

„მოლოროჩი“ ავარიულად კისრის მოგრეხას, მუჭლუგუნის თავზობას ნიშნავს. აბუთალიბი დიდხანს იცინოდა, კარგად რომ გამოუვიდა სიტყვის თამაში, შემდეგ კი განაგრძო:

— მისმინე, რასულ, გამიგონია, იმ დაღესტნელს, ვინც თავის ვაჟს წინადაცვეთს, ლამის არის სამსახურიდან ხსნიანო, ის კი არადა, ზოგჯერ პარტიიდან რიცხავენო. რატომ იმ რედაქტორებს არაფერს ეტყვიან, ლექსებს რომ მიქუცმაცებენ და მიჩეხავენ. რედაქტირებულ წიგნს ვნახავ თუ არა, მაშინვე ვიტყვი, რომელი აულიდანაა რედაქტორი. ჩვენთან, ლაკეთში, ყველა აულს თვისი დიალექტი აქვს. ჰოდა რედაქ-

ტორიკ ცდილობს თავისი აულის ენაზე გადამიკეთოს ლექსები. — აბუთალიბმა წამით შეწყვიტა ლაპარაკი, გაიღიმა. — აი, ხელშეკრულებას რომ აფორმებს, ის ქალი კიდევ ჰო, ო, რა ქალია! იმას დიდი მადლობა გადავუხადე.

— კიდევ რა უთხარი? იქნებ რაიმე საჩუქარიც მიართვი?

— ვუთხარი, ძველი ან გატეხილი ჭურჭელი თუ გაქვს, მომიტანე, ისე შევაკეთებ, ახალივით იქნება-შეთქი.

აბუთალიბის ეს საქციელი ხუნძის თეატრში ზურნის დაკვრაზე უარესად მეხამუშა. მესერთან სპილენძისა და რკინის გროვა შევნიშნე და მოხუცს ჯიბრით ვუთხარი:

— წინათ, როცა მკალავი იყავი, ეს დამსხვრეული ჭურჭელი ალბათ აქ არ ეყრებოდა, მოხვეტავდი და შინ წაიღებდი.

— არა, ამას ვერ მოვახერხებდი, რასულ, — გულლიად მიპასუხა აბუთალიბმა. — სხვები დამასწრებდნენ.

გზად გვიანი მგზავრი შემოგვხვდა. ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ აბუთალიბმა შეაჩერა მგზავრი, თუთუნი და ასანთი სთხოვა და გააბოლა.

რაც მართალია, მართალია, არ მომწონდა აბუთალიბის საქციელი. დიდესტნის სახალხო პოეტი, მთელს მშობლიურ მხარეში სახელგანთქმული კაცი, მთაერობის წევრი, ხან მეზურნესავით უკრავდა თეატრში, ხან გამომცემლობის მდივანს ჭურჭლის შეკეთებას ჰპირდებოდა და ხან მახაჩულაში ვიღაც გამვლელს თამბაქოს სთხოვდა. აღარ მისაყვედურებია მოხუცისათვის, მეშინოდა, არ გაბრაზებულყო. მხოლოდ ეს ვუთხარი:

— მოხუცდი, აბუთალიბ, შენი ჯანმრთელობისათვის უკეთესი იქნებოდა თამბაქოსათვის თავი დაგენებებინა!

— დღეს თამბაქოს დაანებეო თავი, ხვალ კალვას, და ზეგ ზურნას. მერე ალბათ ლექსის წერასაც გადაეჩრევი თავისთავად. თვითონ ლექსებიც მიმატოვებენ. ისინი იმ აბუთალიბს სცნობენ და უყვართ, თამბაქოს რომ ეწევა, ქვაბებს რომ კალავს და ზურნაზე უკრავს. თუ მე აბუთალიბი აღარ ვიქნები, ლექსებს რაღა საქმე ექნებათ ჩემთან? მე აბუთალიბ გაფუროვი ვარ და არა რასულ გამზათოვი, რომელმაც არც კარგა იცის და არც პაპიროსს ეწევა, სამაგიეროდ, მწერალთა კავშირის ელმძღვანელობა შეუძლია. მე არც იუსტუზ ხაბპალაევი ვარ, არც ნურათ დინ იუსიპოვი, არც მაქსიმ გორკი და არც ზოშჩენკო...

(იმ ხანებში ზოშჩენკოს აგინებდნენ და აი, მისი გვარი დამახსოვრებოდა აბუთალიბს).

— ჯიბვი მთების გარდა სად შეაფარებს თავს? ხეობის გარდა სად იღინებს ნაკადული? სხვის ქუდს ნუ დამხურავ. ჩემს წარსულს რატომ ეხები ხოლმე? ჰო, მე ყოფილი მეზურნე, მწყემსი და მკალავი ვარ, მერე და განა ამისი მრცხენია? ისიც ხომ მე, აბუთალიბი ვიყავი. დამიხს-

სოვრე, რასულ, რასაც ახლა გეტყვი. წარსულს თუ ბისტოლეტს ესგარი, მომავალი ზარბაზანს დაგიშენს. მე არაერთი ცოლი მიმიტოვებია, ზოგჯერ ცოლებიც მტოვებდნენ ხოლმე, მაგრამ ჩემი ღვიძლი საქმე მუდამ ჩემთანაა, უერთმანეთოდ ვერ ვიქნებით ვერც ერთი და ვერც მეორე.

ღიახ, ეს მოხუცი პოეტი აბუთალიბი გახლდათ, მამაჩემის მეგობარი! ასეთი იყო იგი და ასეთს უნდა ვიცნობდეთ, თუ ნირს იცქლიდა, აღარც აბუთალიბი იქნებოდა და აღარც პოეტი.

კიდევ მოგიყვებით ერთ ამბავს რომელსაც შეიძლება დაერქვას: აბუთალიბის ახალი ბინა. ეს მოხდა იმ დროს, როცა სულ ახალი არჩეული ვიყავი დალესტნის მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ. ასეთი თანამდებობის კაცს მოვალეობა ნაკლები გაქვს, უფლებები კი მეტი. თვითონ თუ არ გამოჩხრეკ სამუშაოს, შეგპოლია მშვიდად იჯდე და შენი უმთავრესი საქმე აკეთო, ე. ი. ლექსები წერო. მაგრამ მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და ფიცხი, ძლიერ აქტიური. ყველაფერს ვედებოდი, რასაც ჩემს თანამდებობას ოდნავ მაინც შეეხებოდა.

ჩემის აზრით, თუ კაცს უნდა იცოდეს, მკვიდრადაა თუ არა ნაშენი მისი სახლი, კოჭები, ბოძები, საძირკველი უნდა მოუსინჯოს. მივიხედ-მოვიხედე და დალესტნის მწერალთა კავშირის ოთხი ბურჯი დავინახე, ოთხი სახალხო პოეტი, დალესტნის ოთხი ეროვნების წარმომადგენელი: ლეკი ტაპირ პრიუგელი, ყუმუხი ალი კაზიევი, ავარიელი ზაჰიდ შაჰიევი, ლაკი აბუთალიბ გაფუროვი. ვიფიქრე, კარგი იქნება, ეს ოთხი უხუცესი დალესტნის მთავრობას შევახვედრო-მეთქი. პოეტები მთავრობას თავის გასაჰირს შესჩივლებენ, მთავრობა თავის მხრივ სურვილებს გამოთქვამს.

ჰოდა, აი, საოლქო კომიტეტის მდივანს აბდურაჰმან დანილოვს ვესაუბრებოთ. ვსაუბრობთ ძალდაუტანებლად, გულლიად, თან ჩაის შევექცევით. ჩემი პოეტები სიხარულით მეშვიდე ცაზე არიან და ოთხივე ამას გაიძახის — ახალი თავმჯდომარე რასულ გამზათოვი რა კარგიაო.

ამხანაგ დანილოვსაც მოსწონს პოეტებთან ყოფნა. გუნებაში ისიც რასულს აქებს. მე კი ვითომც არაფერიაო, ისე ვზივარ.

ვლაპარაკობთ დალესტანზე, ცხოვრებაზე, ლექსებზე, ბოლოს ოლქკომის მდივანმა იკითხა, რაიმე სათხოვარი ხომ არ გაქვთო.

პირველმა ტაპირ პრიუგელმა დაიწყო:

— მე გული მტკივა, ამხანაგო დანილოვ, როცა ვუყურებ, როგორ გვიწყდება ხოლმე ზამთარში შიმშილისაგან ცხვარი. განა არ შეიძლება ზაფხულში ხალხი გაგზავნოთ და ზამთრის საკვები მოამზადებინოთ?

ამხანაგმა დანილოვმა პოეტის სიტყვები ჩაიწერა და ჰკითხა:

— სხვას არაფერს გვთხოვთ?

იქნებ ჩვენი ულის პრიუვისათვის ერთი ავტომანქანა გაგეხერხებინათ.

ახლა კი ალი კაზიევის ჯერი დადგა; კაზიევმა პირი დაალო და ყველას აჩვენა, მათ შორის მდივანსაც, თავისი ბებრული ჩამპალი კბილები.

— იქნებ ახალი, კარგი კბილები ჩამისვან, თორემ საჭმელს ვერ ვლემუვ. ჩემი კბილების პატრონს სიმღერის ხალისიც არა მაქვს. ლექსს ჩიფჩიფით ვკითხულობ.

კაზიევმა არც აცეცა, არც აცხელა, ლექსი წაგვიკითხა, თვალნათლივ დაგვანახვა ყველას, მათ შორის თავმჯდომარესაც, თუ რა ძნელია კბილებჩაცვიენული კაცისთვის ლექსის კითხვა. ეს ჰასავეიურტის ქალაქ-კომისადმი ლექსად მიწერილი უსტარი გახლდათ. წერილში მოხუცი პოეტი ნახშირს თხოულობდა სახლის გასათბობად.

— მერე, მოგცეს ნახშირი? — ჰკითხა დანიალოვმა.

— შარშანდელს მერე მპირდებიან.

მდივანმა ესეც ჩაინიშნა ქალაღზე და ახლა ზაპიდ ჰაჯიევის მოსასმენად მოვეშაღეთ.

— ახლა კონცერტებზე ახალგაზრდები სიმღერის ნაცვლად გაჰყვირიან. ეს ყვირილი კარგ ხალხურ სიმღერებსაც აფუტქებს. ახალი სიმღერები კი ისეთია, მომღერალს უნდა თუ არა, მაინც ღრიალი გამოსდის, ამას ბოლო უნდა მოედოს. რადიოში ძალზე მოუხშირეს სატრფიალო სიმღერების ვადმოცემას. მითოლოგიურ ჰურიებსაც კი უმღერიან. უთხარით იმათ, ამხანაგო დანიალოვ, ჰურიებს მოეშვან და ჩვენი სოფლის მეურნეობის მოწინავეებზე იმღერონ.

სიტყვა რომ დაამთავრა, ჰაჯიევი მომიბრუნდა და ჩამჩურჩულა:

— გარდა ამისა, გუშინ შახტამანოვი და სულეიმანოვი თურმე ღვინოს სვამდნენ რესტორანში. მწერლებს სმა უნდა აეკრძალოს. ამ საქმისთვის სხვა დროს შემოვივლი შენთან.

აბუთალიბის ჯერი დადგა.

— ძვირფასო აბდურაჰმან, — მიმართა აბუთალიბმა პირველ მდივანს, — ბოლო ცოლმა ვაეიშვილი მაჩუქა.

— ეს „ბოლო“ როგორ გავიგო?

— რამდენჯერმე გამოვიცვალე ცოლი. რა ჩემი ბრალია, ჩემი სურათები გაზეთებში იბეჭდება, რადიოში მაცხადებენ, საჯაროდ მიწოდებენ დაღესტნის სახალხო პოეტს, დეპუტატსა და ორდენოსანს. ქალებსაც მეტი რა უნდათ, ფიქრობენ, რაკი ასეა, სასახლე ექნება, სუნდუკი და ტომრები კი — განძულით და ფულით სავესო. ჰოდა, აი, ცოლად მომყვებიან. მაგრამ მერე ღარიბ-ღატაკ აბუთალიბს შერჩებიან, სარდაფში რომ ცხოვრობს, და კიდევ მტოვებენ. აი, რატომ ვიცვლი ცოლებს. ასეა, ძვირფასო აბდურაჰმან, ჩემი ლექსები ტოროლებივით



აჭრიალს ცხმი, მე კი ისევე და სვე სარდაფში ვზივარ. ამ უბალრუკი სარდაფიდან მიფრინავენ ცისკენ ჩემი ოქროს სიმღერები. ახლა ჩემი ბოლო ცოლი წასვლით მემუქრება, სწორედ ის ცოლი, ვაჟი რომ მაჩუქა. ახალ ბინას თუ არ მივიღებ, ბავშვს აიხუტებს მკერდზე და წავა... მომისმინე, აბლურაჰმან, ცოლი ჯერ არ წასულა და მე უკვე მეცოდება, ნუ დამინგრევ ოჯახს, საყუდარი მომეცი, რომ ცეცხლი გავაჩალო. უკვე სამოცდაათს გადავაბიჯე, მე ჩემი წუთისოფელი გავლიე და წინ აღარაფერი მეგულება. ესეც არ იყოს, ბინას თუ მომცემ, სტუმრად მივიწვევ.

ერთი კვირაც არ გასულა და აბუთალიბმა ორდერი მიიღო. მშვიდობით, მხიარულო სარდაფო! ჩვენი აბუთალიბი პეშუკინის ქუჩაზე გადავიდა, ახალაშენებული სახლის მესამე სართულზე სამოთახიან ბინაში.

ერთხელ აბუთალიბი ქუჩაში შემხვდა. დამინახა თუ არა, ისეთი სახე მიიღო, ვითომ რკინის ნატეხების გროვაში რაღაცას ეძებდა.

— გამარჯობა, აბუთალიბ, რასა იქმ. მოგწონს ახალი ბინა?

— აი მერამდენე დღეა ზარს ვეძებ, მინდა სახლის მახლობლად ჩამოვკიდო და შემოვკრა, სტუმრად მივიწვიო უნდა პანჯათ ცადასას ვაჟი. სამჯერ გამოვადე ზღვას გადამყურე სარკმელი და სამჯერ ავაკვნესე ზურნა, იმედო მქონდა, ზურნის ხმას გაიგონებს და მოვა-მეთქი, მაგრამ, როგორც ჩანს, დიდი ზარის გარეშე ვერას გავაწყობ. წავალ საძებნელად.

მაშინვე წავეყვი აბუთალიბს ახალი ბინის დასათვალიერებლად. ცარიელი კედლები დამხვდა. იატაკზე აქა-იქ აბუთალიბის სარდაფიდან გადმოზიდული ხარახურა ეწყო: ძველი ზურნა, ყუმუზი, ძველი საბერველი (ღმერთმა უწყის, რაში სჭირდებოდა ეს ხარახურა ახალ ბინაში), ძველი ნავთქურები, ტაშტები, ვედროები, დოქები, ჩექმები, ტყაპუჭი. ძველხურჩინებაკიდებული ხანდაზმული სტუმრები ჩამოაკითხავდნენ ხოლმე მთიდან დროდადრო აბუთალიბს. ყველა სტუმარი როდი იყო, ზოგიერთს თავისი საქმე ჰქონდა მოსაგვარებელი. აბუთალიბი ასეთი სტუმრის ცარიელ ხურჩინს ხელში აიტაცებდა და ეტყოდა:

— რატომ ხარ, შე ოხერო, ცარიელი? ცხვრის ხორცილ მანც იყო გატიკნული, მაშინ ჩემი სტუმრისა და შენი პატრონის საქმე უფრო მალე მოგვარდებოდა. რამდენი კაცისათვის ფუჭად ჩაუვლია ცადატანილი ჩანხის მთის დალაშქვრას, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ შენ იყავ ცარიელი.

ასე ლანძღავდა აბუთალიბი ცარიელ ხურჩინს და თან ჩემთვის დასაჯდომად ადგილს ეძებდა. ბოლოს დიდი დანა შემომაჩეჩა ხელში, ფანჯარასთან მიმიყვანა და ფარდული დამანახა ეზოში.

— იქ ერთი ბატი მყავს, წადი და დაკვალი, დღეს ჩვენი სადილი ის იქნება.

ფარდულის კარი გავაღე და ძლივძლივობით დავიქირე ბატი. საქმეს რომ შევუღდექი, ბატი შეუპოვრად აფართხალდა. ზემოდან აბუთალიბის ხმა გაისმა:

— ბატის ასე დაკვლა სად გინახავს? თავი მეორე მხარეს შეუბრუნე. განა არ იცი, რომელ მხარესაა მექა?

ასე იყო თუ ისე, ცუდად არ შემისრულებია დავალება და ბოლოს და ბოლოს, აბუთალიბის ქებაც დავიმსახურე.

აბუთალიბმა ცეცხლზე ქვაბი შემოდგა და დიდხანს ფაციფუტობდა. ამსობაში მე ბინას ვათვალიერებდი. მართალია, აბუთალიბმა სარდაფი მიატოვა, მაგრამ სარდაფს შეჩვეულს ახალ ბინაშიც არ უღალატნია თავისი ცხოვრების წესისათვის. ბინაში არც სკამი ედგა, არც მაგიდა, არც საწოლი, არც კარადა და, საერთოდ არავითარი დგამი.

— ლექსებს სადა სწერ ხოლმე, აბუთალიბ?

— ამ ოთახებში ჯერ არც ერთი ხეირიანი ლექსი არ დამიწერია. პირველ ხანებში ისევ იმ სარდაფში დავდიოდი, მაგრამ იქ ახლა ვილაც მხატვრისათვის მიუჩენიათ სახელოსნო. ღმერთია მოწამე, ძილითაც უკეთესად მეძინა სარდაფში, ფულიც ნაკლები მეხარჯებოდა და დროც მეტი მქონდა. არც ხალხი მამზერებდა ასე თავს. ათასში ერთხელ თუ მომადგებოდა ვინმე კარზე. ისე, იქიდან ზღვა არ მოჩანდა, ახლა კი ბებერ აბუთალიბს ნიადაგ თვალწინ უდგას იგი.

აბუთალიბი დიდხანს გასცქეროდა კასპიის ზღვას, მოთეთრო-მოლურჯო ტალღებს რომ მოაგორებდა. ხელი არ შემიშლია მისთვის. ორივენი ვდუმდით. შემდეგ ისევ აბუთალიბი ალაპარაკდა:

— ჩემი ცხოვრების ორიოდ დღეზე მინდა ვიამბო, რასულ, ყველაზე უბედნიერეს და უმწუხარეს დღეებზე.

— მიამბე.

— იცი, ბედნიერი დღეები არც ისე ცოტა მქონია. ორდენი მომცეს — მიხაროდა, ორდენი მომცეს და ესეც მიხაროდა. ოციან წლებში წიოლებმა ცხენი მაჩუქეს და გამიხარდა. წითლებს გავყევი, რაზმის მეზურაზე ვიყავი, ჩემი ცხენი დრუნჩით მეთაურის ცხენის გავას ეხახუნებოდა გზაში — ესეც მიხაროდა. მაგრამ ეს მაინც არ იყო პირველი და ყველაზე დიდი სიხარული, მაშინ თერთმეტი წლის ბიჭი ვიყავი და ხბორებს ვმწყემსავდი, მამაჩემმა ჩემს ცხოვრებაში პირველად მაჩუქა წაღები. ენა ვერ იტყვის, თუ რა სიამაყით მეგსებოდა გული, ამ ახალ წაღებში რომ დავდიოდი. გაბედულად დავაბიჯებდი ხეობაში და ბილიკებზე, სადაც ჯერ კიდევ გუშინ ფეხებს მისერავდა ცივი და წვეტიანი ქვები. ახლა მაგრად ვადგამდი ფეხს ამ ქვებს, არც სიცივეს ვგრძნობდი და არც ტკივილს. ჩემი სიხარული სამ დღეს გაგრძელდა. მერე კი

ამ სიხარულს ჩემი ცხოვრების ყველაზე უმწარესი წუთები მოჰყვა. ერთხელ დღეს მამამ მითხრა: „აი, აბუთალიბ, შენ ახლა ახალი, გამწვანებული წაღები და ჯობი გაქვს, თერთმეტი წელი უკან მოიტოვე. დროა გზას დაადგე და თავს თვითონ მოუარო, თვითონ ირჩინო თავი, თვითონ ჩაიცვა და დაიხურო“. აულ-აულ უნდა მევლო და მოწყალე მეთხოვა. ასეთი სულიერი ტკივილი ჩემს სიცოცხლეში არ განმეცადა. ცრემლი შემდგვშიც დამიღვრია, მაგრამ ბაღლობაში დანთხეული მწარე ცრემლი მაინც სხვა იყო. ერთმა მწერალმა თქვა: „აბუთალიბმა ახალი ბინა მიიღო, ვნახოთ, იქ როგორ ლექსებს დაწერსო!“ თითქოს არ ვიცოდე, ლექსის წერასთან ბინა რა მოსატანია. პოეტი თვითონაა თავისი ლექსის საყუდარი. პოეტის გული — აი პოეზიის სამყოფელი. ჩემი ცხოვრების ტკივილი და მწარე წუთები ისევ ჩემშია. რა მნიშვნელობა აქვს, სად ვიცხოვრებ?

აბუთალიბის ბინამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ყველგან დარღვევის რესპუბლიკის ხელმძღვანელებს ვუამბე. გადაწყვიტეს, აბუთალიბის წიგნის „მერცხლები სამხრეთისაკენ მიფრინავენ“ ჰონორარის ნაწილით პოეტისთვის ახალი ავეჯი ეყიდათ. შეიქმნა „ოპერატიული სამეული“: დაღესტნის გამომცემლობის დირექტორი, ვაჭრობის მინისტრი და მე. უნდა გვეშოვნა რიგიანი ავეჯი და გადაგვეტანა აბუთალიბის ბინაში. აბუთალიბთან მოლაპარაკება მე დამევალა.

სამივემ დავიარეთ მახაჩყალის საწყობები და ამოვარჩიეთ, რაც საჭირო იყო: საძინებელი — დაე, დაისვენოს და ისიამოვნოს ჩვენმა სახალხო პოეტმა, კაბინეტი — დაე, წეროს შესანიშნავი ლექსები, სასადილო — დაე, თავის გემოზე სვას და ჭამოს.

გვეგონა, ჩვენს ნაყიდ ავეჯს რომ დააწყობდა აბუთალიბი, მერე ჩვენთან მოირბენდა და მადლობით აგვაგებდა. მაგრამ მადლობაც არ გადაუხდია, ისიც კი არ უცნობებია, ავეჯი მივიღეო. მაშინ გადავწყვიტეთ, ჩვენ თვითონ გვენახა იგი, გვაინტერესებდა, როგორ დაალაგა ახალშექმნილი ავეჯი.

დაკაქუნება არ დაგვეჭირვებია, კარი ღია იყო. ოთახში შევედით. სასადილო მაგიდის გვერდით იატაკზე დაფენილ ნოხზე აბუთალიბი იჯდა თავისი ჯალაბით, წინ გაზეთზე გაეშალათ საუზმე და შეექცეოდნენ. აბუთალიბი კეფირს ხვრებდა თეფშიდან. იგი დროდადრო გადაავლებდა თვალს გაპრიალებულ მაგიდას, როგორც იმ ქალწულს, მამაკაცის შემოჭდობილ მკლავებს რომ დაუხსლტება ხოლმე, თუმცადა აბუთალიბს არავითარი სურვილი არ ჰქონდა იმ ქალწულის ხვევნა-კოცნისა. მეორე ოთახში საუცხოო საწერ მაგიდას მოვკარით თვალი. ზედ სამელონე, სუფთა ფურცლები და კალმისტრები ეწყო. ეს საგნებიც და თვითონ მაგიდაც მუზეუმის ექსპონატებს უფრო ჰგავდა, ვიდრე სახმარ

ნივთებს. ოთახის მეორე კიდეში იატაკზე არაბული შრიფტით ნაწერი ქალაქები იყო გაშლილი.

— ეს რაა, აბუთალიბ, განა თანამედროვე ახალი შრიფტი თვალში არ მოგდის?

— კი, მაგრამ ასე ვარ შეჩვეული, ჯერ არაბული შრიფტით ვწერ და შემდეგ ჩვენი შრიფტით ვათერთებ რედაქტორისთვის. თითქოს საკუთარ თავს ვთარგმნიდე.

— ამ საწოლზე არც სძინებია, — გვაუწყა ცოლმა. — ტყუილად იყიდეთ ასეთი ძვირფასი ავეჯი.

— საწოლი რას მიქვიან? პირველად რომ ჩამოვედი ქალაქში, მთელი წელიწადი ქვას ვიდებდი თავქვეშ ბალიშის ნაცვლად და უფრო გულიანად მეძინა. ქვაზე ძილს ხბორებს რომ ვმწყემსავდი, მაშინ მივეჩვიე.

— ესე იგი, ჩვენი შერჩეული ავეჯი არ მოგწონს, — ეს კაბინეტი, სკამები, მაგიდა და კარადა.

— ავეჯი ძალიან კარგია, მაგრამ მე მგონი ჩემი მეზობლის გოთფრიდ ჰასანოვისთვის უფრო შესაფერისი იქნებოდა.

— კარგი მეზობელია გოთფრიდ ჰასანოვი?

— შეიძლება კარგი აღამიანია, მაგრამ ერთმანეთში ვერა ვართ კარკად.

— კი მაგრამ, რატომ?

— ძალიან კულტურულია. მე კი მეტისმეტი ტეტია ვარ, ის კიდე მეტისმეტად ქალაქელია.

მე ნამდვილი მთიელი ვარ, ის კი ნამდვილი ბარელი. ჩვენი ბოხოხებიც კი სხვადასხვანაირია. ალბათ არც თავები გვაბია ერთნაირი, მე ჩემი მიწის შვილი ვარ, ის კი თავის ხელობის ერთგულია. ის ჩემს ზურნასა და ჩემს სიმღერებს ვერ იტანს, მე კიდევ მის პიანინოსა და სიმფონიებს. ვცდილობ, ვისიამოვნო მისი მუსიკით და არ გამომდის. ისიც ასეა, ავიღებ თუ არა ზურნას, მიკაკუნებს: „აბუთალიბ, მუშაობაში მიშლი ხელს“. ვატყუებ ხოლმე — მე კი არა, რადიოა-მეთქი. ისეთი შემთხვევაც ყოფილა, როცა მართლა რადიოში უკრავდნენ ზურნას და ის მაინც მე მომიკაკუნებდა ხოლმე. გამოდის, რომ ის მართო ზურნის დაკვრას კი არადა, რადიოში გადმოცემულ მეზურნეთა სიმღერების მოსმენასაც მიშლის. მოკლედ, ერთმანეთს არა ვგაყვართ. ჩემთან ზურჯინიანი სტუმრები ჩამოდიან აულებიდან, მაგასთან კი პორთფელიანი მოსკოველები. მე ნივრიანი ხინკლებითა და ბუზათი ვუმასპინძლდები სტუმრებს, ეგ კიდევ კონიაკითა და ყავით. მე ბაზარზე დავდივარ, ეგ — მაღაზიაში. როცა მე მძინავს, ეგ წერს, მე ვწერ და — მაგას სძინავს. მაგას ყვავილნარის ყვავილები უყვარს, მე კიდევ

მთის კორდებზე აყვავებული ბალახი. ყური დაუგდეთ! ახლაც რომელიღაც თავის სიმფონიას უკრავს.

აბუთალიბის მეზობელს კარგად ვიცნობდით: იგი დალესტინისა და რუსეთის ფედერაციის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გოთფრიდ ალის ძე ჰასანოვი გახლდათ. იმხანად საფორტეპიანო კონცერტზე მუშაობდა, დიდი სიამოვნებით მომისმენია მისი დახვეწილი შთავგონებული მუსიკა. მართლაც, რა დიდებული სიმფონია შეიქმნებოდა ორი დიდი ტალანტი რომ შეერთებულიყო: აბუთალიბის ხალასი ხალხური ნიჭი და ჰასანოვის პროფესიული, განათლებული ტალანტი — ეფექტობდი მე. ისიც გავიფიქრე რა დიდი მიღწევა იქნებოდა ჩემს ლექსებსა და წიგნებში ეს ორი ნაკადი რომ შემეერთებინა: ჩემი ხალხის ალალმართალი ზასიათი, მისი გულღიაობა და პროფესიონალის დახვეწილი ოსტატობა. მინდა აბუთალიბი და გოთფრიდი შეერთდნენ ჩემს ლექსებში, ჩემს შემოქმედებაში. მათი მეზობლობა მინდა მშვიდობიანი იყოს და არა ასეთი, როგორი კარის მეზობლობაც მათ ახლა აქვთ.

— დიახ, მე მჯერა ამ ორი საწყისის თანამეგობრობისა. ასეც რომ არ იყოს და მაიძულონ ამოირჩიეო, ნაზ, ცივილიზებულ სასმელს მე მაინც მთის წყაროს ყინულივით ცივ, ბროლისებრ ჭავლს ვამჯობინებდი. კულტურა და ცივილიზაცია პროფესიული დახვეწილობაა მხოლოდ და მონაგარია. რომც არ გაგაჩნდეს, შეიძენ, ხალხური ეროვნული გრძობები კი დაბადებიდანვე დაჰყვება კაცს. სახალხო მგოსანი და მეზურნე აბუთალიბი სხვაგან რომ მოხვედრილიყო, იქნებ პროფესიული მუსიკოსი და კომპოზიტორიც კი გამოსულიყო, მაგრამ პროფესიული კომპოზიტორი და მუსიკოსი გოთფრიდი ხალასი სახალხო მომღერალი თავის დღეში ვერ გახდება.

გამომშვიდობებისას აბუთალიბმა მკითხა.

— არ შეიძლება ტელეფონი რომ დამიდგათ, რასულ!

— ტელეფონი რად გინდა, როცა საწერ მაგიდასა და საწოლზეც კი უარს ამბობ?

— ტელეფონში ზურნაზე დაეუკრავდი, ხან ნიკოლოზ ტიხონოვს მოვასმენინებდი და ხან ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, ხომ უნდა იცოდეს თავმჯდომარემ, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ, რომ ჩემი ზურნა ისევ იმ ძველ სიმღერებს იმეორებს. მოუსმენს ზურნას თავმჯდომარე და მიხვდება, ჩემს ქალაქურ ბინაში ჩვენი მთების ხმებსა და სურნელს დაუსადგურებია.

— მთების სურნელით გაქდენთილი შენი მელოდიები უტელეფონოდაც აღწევს მოსკოვამდე და მშობლიურ აულამდეც; მთის ყველა აულს, მთელ ქვეყანას ეფინება, მთებზე მალლა დაფრინავს შენი სიმღერები.

ახლა აბუთალიბის გამოვემშვიდობები და ერთ ამბავს მოგიყვებით, მე და მამას რომ შეგვემთხვა.

მ ო გ ო ნ ე ბ ა. მე და მამაჩემი რატომღაც ერთმანეთს არ ვუკითხავდით ლექსებს და არც ვლაპარაკობდით ჩვენს ლექსებზე. მე მაშინ ვეცნობოდი მამაჩემის ლექსებს, როცა გამოქვეყნდებოდა, ან რადიოში წაიკითხავდნენ. ასევე არ იცოდა ჩემი ლექსები მამამ დაბეჭდვამდე.

1949 წელს ხუნძურმა გაზეთმა გამოაქვეყნა ჩემი პოემა „ჩემი დაბადების წელი“. გაზეთი, ცხადია, მამამაც წაიკითხა. და აი, მამაჩემის მიერ ფანქრით აჭრელებულ ამ გაზეთის ერთ ეგზემპლარსაც წააფუყდი. თურმე მამას ყურადღებით წაუკითხავს ჩემი პოემა და რიგი სტრიქონებისა თავისებურად გადაუკეთებია. ადგილი შესამჩნევი იყო: მამას მაღალფარდოვანი სტრიქონები შეუცვლია, არ მოსწონებია ჩემი მეტისმეტად რთული მეტაფორები, მკვეთრი შედარებები. მინაწერ სტრიქონებში მამა ცდილობდა მარტივად, ნათლად და გულში ჩამწვდომად ეთქვა სათქმელი.

დღემდე ვწუხვარ, ჰამზათის ხელით ჩასწორებული გაზეთი რომ ვერ შემოვიჩინახე. ჩვეულებად მაქვს: როგორც კი გამოქვეყნდება ლექსები, ხელნაწერს მაშინვე ვწვავ.

უმეტესი შენიშვნებისა მომეწონა. პოემას თითქოს ლაზათი მოემატაო, თუმცა ზოგიერთი შენიშვნა არ გამიზიარებია.

— ცხადია, შენ ჩემზე უფრო ჰკვიანი, ნიჭიერი და სახელმოხვეჭილი კაცი ხარ, — ვეუბნებოდი მამას, — მაგრამ მე ხომ სხვა დროის პოეტი ვარ. სხვა სკოლას ვეკუთვნი, სხვა ლიტერატურული მიდრეკილებანი და სხვა სტილი მაქვს. ამ შესწორებებში ჰამზათ ცადასას პოეტური ხელწერაა თვალში საცემი. მაგრამ მე ხომ ჰამზათი არა ვარ. მე მხოლოდ რასულ გამზათოვი ვარ. ნება მომეცი, ჩემი სტილი, ჩემი მანერა შევიჩარჩუნო.

— არა ხარ მართალი. შენი სტილი, შენი მანერა, ე. ი. შენი ზნე და ხასიათი ლექსებში მეორე ადგილზე უნდა იყოს. პირველ ადგილზე შენი ხალხის ზნე-ჩვეულება და ხასიათი უნდა დააყენო. პირველ რიგში მთიელი ხარ, ხუნძახელი და მერე რასულ გამზათოვი. შენ მთიელივით არ აზროვნებ შენს ლექსებში. თუ შენი ლექსი მთიელის სულისათვის უცხო იქნება, მაშინ ეგ შენი მანერა მანქვა-გრეხად გადაიქცევა, თვითონ ლექსები შეიძლება ლამაზ და საინტერესო სათამაშოებს დაემსგავსოს. წვიმას რა მოიყვანს, თუ ღრუბლები არ იქნა? ცა რომ არ იყოს, როგორ ჩამოთოვს? საიდან გაჩნდებოდა რასულ გამზათოვი, ხუნძახი და ხუნძახელები რომ არ ყოფილიყვნენ? საკუთარ კანონებს როგორ შექმნი, თუ საუკუნეებით გამომუშავებული საერთოსახალხო კანონები არ იქნა?

აი, როგორი საუბარი გვქონდა ერთხელ მე და მამაჩემს. წლებმა და განვლილმა ვზებმა მამაჩემის სიმართლე დაადასტურეს.

არაკი მესამე ცოლზე: ახალგაზრდა დაღესტნელი პოეტი მოსკოვს გაემგზავრა სასაწავლებლად ლიტერატურის ინსტიტუტში. ერთი წლის შემდეგ კი ვახეთში ამგვარ განცხადებას წავაწყდი: ჩვენი სტუდენტი ცოლს ეყრებოდა — შორეულ აულიდან ჩამოყვანილ ქალს.

— რატომ ეყრები ცოლს? — ვკითხეთ ჩვენ. — არც ისე დიდი ხანია, რაც დაქორწინდი, თითქოს კიდევ გიყვარდა შენი მომავალი ცოლი. ახლა რა დაგემართა?

— საერთო ენა ვერ გამოვნახეთ. შექსპირი არ იცის, „ვეგენი ონგინი“ არ წაუკითხავს, არ იცის, რა არის „ტბის სკოლა“ და არასოდეს გაუგონია მერიმეს სახელი.

მალე ახალგაზრდა პოეტმა მოსკოველი ქალი ჩამოიყვანა მახაჩალაში. როგორც ჩანს, მის მეორე ცოლს მერიმეს სახელიც სმენოდა და შექსპირისაც. მხოლოდ ერთი წელი გასძლო ამ ქალმა ჩვენს ქალაქში და მერე იძულებული გახდა ისევ მოსკოვს დაბრუნებოდა, რადგან ქმარმა ისიც მიატოვა.

— ცოლს რატომ შორდები? — ვკითხეთ ჩვენ, — ახლახან დაქორწინდი, თითქოს კიდევ გიყვარდა ის ქალი, ახლა რა მოხდა?

— როგორც ჩანს, საერთო ენა ვერ მოვნახეთ. არც ერთი ხუნძური სიტყვა არ იცის, და ჩვენი ზნე-ჩვეულების, ჩემი თანამემამულე მთიელების ხასიათისა არა გაეგება რა, მათ სტუმრობას ვერ იტანს, არც ერთი ხუნძური ანდაზა, არც ერთი გამოცანა და არც ერთი სიმღერა არ იცის.

— ახლა რა უნდა ქნა?

— ალბათ, მესამედ მომიწევს დაქორწინება.

ჩემის აზრით, სანამ მესამე ცოლის ძებნას დაიწყებდეს, ახალგაზრდა პოეტმა თავისი თავი უნდა იპოვოს. დაე, ჩემი წიგნისთვის ახლობელი ყოფილიყოს ავარიის მთებიცა და შექსპირის სონეტებიც, მინდა ჩემი წიგნი სწორედ ის მესამე მეუღლე იყოს, რომელსაც დღემდე დაეძებს ახალგაზრდა დაღესტნელი პოეტი.

უ ბ ი ს წ ი გ ნ ა კ ი დ ა ნ : მახაჩალაში ორმოცბინიანი სახლი ააშენეს მწერლებისათვის. დაიწყეს ბინების განაწილება. ერთნი მოითხოვდნენ ბინები ნიჟის შესაბამისად განაწილდესო, მეორენი ამბობდნენ, მხედველობაში მივიღოთ, ვის რამდენი შვილი ჰყავსო.

უნდა ითქვას, რომ მწერლებში ბინების განაწილება რთული საქმეა. ასე თუ ისე ყველაფერი მოგვარდა. ორმოცამდე მწერლის ოჯახი გადავიდა ახალ ბინაში და ჭერი დალოცეს. მეორე დღეს კი ოცმა ქალმა მოსკოვისაკენ გაუტია. რამდენიმე დღის შემდეგ ომგადახდილებივით



დაბრუნდნენ, დაქანცულნი და ჩამომხმარნი. ცოტა მოგვიანებით მოსკო-  
ვური ავეჯიც მოვიდა ბავაჯით.

ქალები თურმე ერთხანს გულმოდგინედ ეძებდნენ და არჩევდნენ  
ავეჯს. მერე ერთ-ერთს გაუბედავს და უყვიდა. სხვებმა არ ინდომეს  
ჩამორჩენოდნენ მას, მაგრამ საუბედუროდ იმ პირველ ქალს ისეთი  
ძვირფასი ავეჯი ეყიდა, რომ უკეთესის ყიდვა აღარ შეიძლებოდა. ამი-  
ტომაცაა, ეს ოცი ბინა სავარცხლის კბილებივით რომ დაემსგავსა ერთ-  
მანეთს. ასეთ ბინაში რომ შეხვალ, ვერ იფიქრებ, აქ ხუნძები ცხოვრო-  
ბენო.

ხუნძის კარის ზღურბლს გადააბიჯებ თუ არა, როგორც წესი, ცხვირ-  
ში გეცემა შაშხის, შინაური ძეხვის, ბოზას, ცხვრის ტყავისა და შემწ-  
ვარი ქონის სუნი. დიახ, ამჟამად რომ აქ ხუნძები ცხოვრობენ, ეპოქის  
სულისა და სტილის მცნობი მწერლების ყოფნა კი არ იგრძნობა.

დაე, ვინც ჩემს წიგნს წაიკითხავს, მაშინვე იგრძნოს, რომ მასში  
ავარიელების გულის ფეთქებაა, მაგრამ ისიც იგრძნოს, რომ ისინი თანა-  
მედროვე, XX საუკუნის ადამიანები არიან.

არც მარტო მზე მინდა და არც მარტო ჩრდილი. მინდა ჩემს ბინას  
მზიანი ფართო ფანჯრებიც ჰქონდეს და მყუდრო კუთხეებიც. მინდა,  
ყველა სტუმარი თავისუფლად გრძნობდეს თავს ბინაში, წასვლა ეძნე-  
ლებოდეს და შემდგომ კვლავ მოისურვოს ჩემი სტუმრობა.

ერთხელ, იაპონიაში თავშეყრილი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენ-  
ლები შთაბეჭდილებებს ვუზიარებდით ერთმანეთს. შადრევნის წინ ვი-  
დექით, ეს შადრევანი ჩვენებური, დაღესტნური ქვით ნაგები გეგონე-  
ბოდა, სწორედ იმ ქვით, გოდეკანის საკრებულოში რომააა მიყრილ-  
მოყრილი.

— საოცრი ქვეყანაა! — დასძინა პირველად სიტყვა ამერიკელმა  
კომპოზიტორმა, — იაპონია ინდუსტრიულ ამერიკას მაგონებს.

— რას ამბობთ, — შეედავა ჰაიტელი ჟურნალისტი, — ეს-ესაა მოვი-  
ნახულე ერთი იაპონური სოფელი. იაპონია ყველაზე მეტად ჩვენს პა-  
ტარა კუნძულს ჰგავს.

— რას დავობთ, ბატონებო, იაპონია პარიზული ალტყინება და სევ-  
დაა ერთად აღებული, — გამოედავა ორივეს პარიზელი არქიტექ-  
ტორი.

მე კი შევყურებდი იაპონური შადრევნის ქვებს, ხუნძახიდან ჩამო-  
ტანილად რომ მივიჩნიე და ვფიქრობდი: „საოცარი ქვეყანაა იაპო-  
ნია, აქ ყველაფერია, რაც მსოფლიოს სხვა ქვეყნებს გაგონებს და  
მაინც არც ერთს არა ჰგავს. — ეს იაპონიაა.“

დაე, ჩემო წიგნო, შენშიაც ყოველმა ადამიანმა თავისი რამ დაინა-  
ხოს, მაგრამ შენ მაინც ჩემს წიგნად დარჩები, თავისთავადი. ნურც  
ერთ წიგნს ნუ დაემსგავსები, შენ ჩემი ხუნძური, ჩემი დაღესტნური

სახლი ხარ. დაე, ამ სახლში საუკუნეობრივ სიძველეთა გვერდით აღ-  
ჩნდეს ის, რაც აქამდე არ არსებულა.

მ ა მ ა მ ბ ო ბ დ ა: ის ლიტერატურული ნაწარმოები, რომელშიც  
ავტორის სახე არ ჩანს, უბელო ცხენსა ჰგავს, გზაზე რომ მიჰქრის.

ა მ ბ ო ბ ე ნ: ერთ მთიელს სულ გოგოები უჩნდებოდა, ის კი ვაჟიშვი-  
ლის ნატრული იყო. ყველა მოვალედ თვლიდა თავს, უიღბლო კაცისა-  
თვის რაიმე ერჩია. იმდენი ურჩიეს, რომ გაბრაზდა და თქვა:

— გეყოფათ, თქვენს რჩევას დავუჯერე და რაც შემეძლო, იმასაც  
ველარ ვაკეთებ.

## ამ წიგნის შენობა. სიუჟეტი

თლილი ქვეები ვართ, ერთმანეთზე მიჯრით წყობილებს  
ფარდულიც აგვყავს, სრა, ტაძარიც და საპყრობილევ.

წ ა რ წ ე რ ა ქ ე ა ზ ე

თვალი პატიოსანი ბუდეში ნახე, კაცი — ოჯახში.  
ქორწილი გადახდილია—ახლა ბინის აშენებაა საჭირო.

ჩემი აზრების ვრცელი სისახლეები, მსჯელობათა მძიმე კოშკები,  
მოთხრობების სამყოფელი, ლექსების ამაღლებული შპილები... აი, მოგ-  
ზიდე ქვეები, მოვამზადე ფიცრები და შეგარჩიე ადგილი ახალი შე-  
ნობის ასაგებად. ახლა ცოტ-ცოტა ყველაფერი უნდა ვიყო — ხუროთ-  
მოძღვარიც, ინჟინერიც, მათემატიკოსიც, კალატოზიც და მგეგმავიც.

როგორი შენობა ავაგო? როგორი სახე მივცე, თვალს რომ უხარო-  
დეს? ლამაზიც რომ იყოს და მოხდენილიც, ჯერ არნახული და მაინც  
ნაცნობი? არც ისეთი სახლი მინდა, თავით ვეხებოდე ჭერს, როგორც  
დღევანდელი მცირე გაბარიტიანი ბინებია და არც ისეთი, თავის უკან გა-  
დავდება რომ დაგჭირდეს ჭერის საცქერად, არც ისეთი სახლი მინდა, კა-  
რებში უბრალო მაგიდა ვერ ეტეოდეს და არც ისეთი, აქლემიანი კაცი  
რომ თავისუფლად შემოეტიოს. ჩემი ბინა არც კლუბს უნდა ჰგავდეს,  
სადაც მხოლოდ კონცერტის მოსასმენად მიდიან, და არც მეჩეთს, სალო-  
ცავად რომ მიაკითხავენ ხოლმე. არც განცხადებებსა და ათასნაირი  
ცნობებით სავსე კანტორას მინდა ჰგავდეს ჩემი სახლი და არც აღის  
დღედაღამ მბრუნავ წისქვილს.

ერთხელ მამას ახალგაზრდა მთიელის პოემა წაუკითხავს და ეს  
უთქვამს:

— მეტისმეტად ლამაზი კედლები აქვს ამ პოემას. აღიჭებედის

აშენებულ საქათმეს ჰგავს. საქათმე სასახლეს არ უნდა ვაგონებდეს  
და სასახლე საქათმეს.

და კიდევ ერთი მწერლის გაქიანურებული მოთხრობა წაუკითხავს  
მამაჩემს. როგორც ეტყობოდა, ავტორს მოთხრობა ვერ დაებოლოგე-  
ბინა. აი, რა უთქვამს მამას მისთვის:

— ის კარი შეგიღია, რომლის მოხურვა უნეს ძალას აღემატება.  
ონკანი მოგიშვია და ვერ კეტავ, ძლიერ დაგიღბია თოკი გასაკვანძა-  
ვად.

მახსოვს, ჩემს ბავშვობაში აულში მომღერლები ჩამოდიოდნენ. ბა-  
ნის კიდევ ვიწექი ხოლმე, ქვევით ვიცქირებოდი და სიმღერებს  
ვისმენდი, ზოგი დაირაზე უკრავდა, ზოგი ვიოლინოზე, ზოგი ჩონგურ-  
ზე. უფრო ხშირად კი ყუმუზზე უკრავდნენ. სხვადასხვა მხრიდან გვე-  
წვეოდნენ ხოლმე მომღერლები, თანაც წლის სხვადასხვა დროს, ათას-  
გვარ სიმღერას მღეროდნენ, ჰანგს არასოდეს იმეორებდნენ. გასაკუთ-  
რებით მომწონდა, ორი-სამი მომღერალი ერთმანეთს რომ შეეჯიბ-  
რებოდა ხოლმე.

კარგა გრძელი სიმღერები იყო, თითქმის ყველა დამავიწყდა. მაგ-  
რამ თითოეული სიმღერიდან მაინც დამამახსოვრდა ოთხი, რვა თუ  
ორი სტრიქონი. ალბათ ეს სტრიქონები მეტად პოეტური, მეტად გონიერ-  
რული, მეტად მახვილი, მხიარული და ნაღვლიანი იყო.

არ ვიცი, რალა მაინცდამაინც ეს სტრიქონები დამამახსოვრდა. ეს კია,  
რომ დღემდე გულით დავატარებ, ვიმეორებ, როგორც ყველაზე უფრო  
სანუკვარ, ყველაზე უფრო ახლობელ და საყვარელ სტრიქონებს.

თუმცა სხვა ავარიული სიმღერებიდანაც გამორჩეული მაქვს რამ-  
დენიმე სტრიქონი, ყველაზე მეტად რომ მომწონს და მთელ სიმღერას  
რომ მირჩვენია.

და განა მართო სიმღერებში?! საკუთარ ლექსებშიც ის სტრიქონე-  
ბი მომწონს, მომარჯვებულად, ძლიერად და უფრო პოეტურად რომ  
მიმანია. უნდა გამოვიტყდეთ; ზოგიერთი გრძელი ლექსი მხოლოდ  
ჩემთვის ძვირფასი რამდენიმე სტრიქონისთვის მაქვს დაწერილი.

თუ ლექსი ქამარია, ეს სტრიქონები ამ ქამრის დამამშვენიებელი ხან-  
ჯალია, თუ ლექსი ყანაა, ეს სტრიქონები თავთავებია, თუ ლექსი ფრინ-  
ველია, ეს სტრიქონები ფრთებია მისი, თუ ლექსი კლდეზე გადმომდგა-  
რი ირემია, ეს სტრიქონები შორეთში მზირალი ირმის თვალებია.

აი, რა ვიფიქრე ერთხელ: თუ ლექსში მხოლოდ რვა სტრიქონია  
ძვირფასი, მაშინ ოთხმოცს რიდასთვის ვწერ? ხომ შეიძლება მხოლოდ  
ეს რვა სტრიქონი დავწერო? აი, რატომ დავწერე რვა-რვა სტრიქონი-  
ანი ლექსების მთელი წიგნი.

სტუმრის მოსვლით გახარებული მთიელი დანას წამოავლებს ხელს და  
ხარს დაკლავს, სტუმარს კი ხორცის პატარა ნაჭერიც ეყოფა. აბა რომე-  
ლი სტუმარი გაათავებს ხარს.

„რატომ უნდა დაგვკლა დიდი ხარი, — ვიფიქრე მე, — როცა ერთი ქათამიც მეყოფა?“

აი, რატომ მინდა ამოვიღო ზედმეტი ადგილები იმ წიგნიდან, ოდესმე რომ დაგვერ. მხოლოდ ჩემთვის ძვირფას ადგილებს დავიტოვებ.

ერთხელ ახალგაზრდა ლაკი პოეტი ჩემი თანდასწრებით უკითხავდა ლექსებს აბუთალიბს. ათი ლექსი წაუკითხა. როცა პოეტი წავიდა, აბუთალიბმა მითხრა:

— ყოჩაღ, მაგისგან პოეტი გამოვა.

— მოგეწონა ლექსები?

— ყველა ლექსი სუსტია, მაგრამ ისეთი რვა სტრიქონი ჰქონდა, ბრძოლაში ახალადებული ციხესიმაგრეს დათმობდა კაცი მათი გულსთვის. ასეთი რვა სტრიქონი ჯერ არც ერთ ლაკ პოეტს არ დაუწერია.

თუ ლექსებში დაუვიწყარი სტრიქონები არსებობს, ასევე არსებობს შეხვედრები და დღეები, — ქვეყნებისათვის კი მოვლენები და საგმირო საქმეები, რაც მუხსიერებას შემორჩება ხოლმე. მინდა ყველაფერი ეს ჩემი ახალი წიგნის კედლებში ჩავატანო, დავამონტაჟო, არ მინდა შევცვალო ისინი ლამაზი ახსნა-განმარტებითი სიტყვებით. დაე, ლექსებმა თვითონ თქვან თავისი სათქმელი.

ზღვის სანაპიროზე მარტი მშფოთვარე იცის. ერთხელ მარტში მახაჩყალას ქარიშხალმა გადაუქროლა. ორი ქარი შეეჯახა ერთმანეთს. ერთი კასპიიდან მოვარდნილი და მეორე მთებიდან ჩამოხეტებული. ერთი ზღვის სივრცეებიდან შემოჭირითდა, მეორე კი დიდი სიმაღლიდან დააცხრა თავზე ქალაქს. ქარები ერთმანეთს ჩაეკიდნენ, გადაეგრიხნენ და იწყეს ჭიდილი. როცა ორი გოლიათი ერთუროს ეკიდება, ფეხქვეშ ჩავარდნა საშიშია, ამჯერად კი მახაჩყალა გაებლანდა ფეხებში მორკინალთ.

თუკი რამ მყარად ვერ იდგა ან მკვიდრად არ ეფუძნა მიწაზე, ქარმა წაიღო. გაფრინდნენ ნორჩი ხეები, ცარიელი ყუთები, ქოხების სახურავები, ფანერის ფარდულები და ჩალაბულა.

მყარად და ამაყად იდგნენ მიწას ჩაფრენილ ბებერი ხეები და დიდი სახლები. ყველაფერი მჩატე და გაუძლო ქარს გაპყვა. საძირკვლიანი და მყარი კი — დარჩა.

ასეა: ზოგი მოვლენა, ადამიანის გრძნობა და აზრი დროის მსუბუქ ქროლვასაც ვერ უძლებდა ხოლმე, მაგრამ ისეთი გრძნობებიც ხომ არის, ცხოვრების ქარიშხალი რომ ვერას დააკლებს. სწორედ ასეთი მოვლენებისაგან, ასეთი აზრებისა და გრძნობებისაგან მინდა ჩემი ახალი წიგნის შენობის აზიდვა. ტრადიციული ავარიული სტილით უნდა აიგოს იგი და ამავე დროს თანადროულიც უნდა იყოს. სახლი მასპინძელსაც უნდა ახარებდეს და სტუმარსაც. სახლში ბავშვები ბედნიე-

რებას უნდა პოულობდნენ, ახალგაზრდები — სიყვარულს და მოხუცები — სიმშვიდეს.

ჩემო წიგნო, ჩემო დადესტანო, როგორ მესახები შენ? რას შეგადარო? ცაში მონავარდე არწივს? მაგრამ არწივი ხომ ადამიანს არ შეუქმნია? იგი ბუნების პირშმოა და მას ადამიანური აზრი არასდროს გასჩენია: ან იქნებ თვითმფრინავს შეგადარო? მაგრამ თვითმფრინავი მიწიდან ძალზე მაღლა აიჭრება ხოლმე, როცა დაფრინდება მის წინ მხოლოდ აეროდრომი გადაშლილი. არ მიყვარს, როცა დედამიწას მედიდურად დასცქერიან, როცა ქედმაღლურად ლაპარაკობენ მასზე.

არა, მე ისეთი აპარატი წარმომიდგენია, თვითმფრინავით რომ მიფრინავს, მატარებელივით რომ მიჰქრის და გემივით მიაპობს წყალს. მე მფრინავიც ვარ, მემანქანეც და მესაჰეც. ჩვენი გასასვლელი სადგური — ჩვენი აეროდრომი, ჩვენი ნავმისადგომი, ჩვენი დეპო—ათასწლოვანი, უკვდავი დადესტანია. აქედან ავიჭრებით ხოლმე ცაში, ზღვასა და ხმელეთს გადავევლებით, რათა დედამიწის ყველა კუთხე მოვინახულოთ, ის ადგილები, სადაც უკვე ვყოფილვარ, ანდა ოცნებით მაინც მინავარდნია. აჰა, მივემგზავრებით, მივფრინავთ, მივცურავთ. უკან ჩამორჩა ქათქათა მთები, ზურმუხტოვანი ნოყიერი ველები, ფართო მდინარეები და უნაპირო ოკეანეები. სარკმლის მიღმა ერთმანეთს ცვლიან მჩქეფარე გაზაფხული, წყნარი შემოდგომა, მკაცრი ზამთარი თუ აღმურიანი ზაფხული. ახლა მგზავრებს არ იკითხავ! აქ შამილის მიუჩრინდებიც არიან, სისხლში გამბალი სახვევებით, მთიელი პარტიზანებიც და ჩემი თანამედროვე; სხვადასხვა პროფესიის ადამიანებიც. ვარს მახვევია ყველა, ვინც კი ოდესმე მინახავს, შემხვედრია, მისაუბრია და დამმახსოვრებია.

წიგნი — მატარებელი, წიგნი — თვითმფრინავი და წიგნი — გემი. მისთვის ერთადერთი ბილეთი ანუ საშვი არსებობს:

ადამიანები და მოვლენები იმ რვა-რვა სტრიქონს უნდა ჰგავდეს, მოხეტიალე მომღერლების გრძელი სიმღერებიდან რომ ჩამრჩა მეხსიერებაში; ანდა იმ რვა სტრიქონს, ლაკი პოეტის ათი გრძელი ლექსიდან რომ ამოარჩია აბუთალიბმა. იმ სახლებსა და ხეებს უნდა ჰგავდეს, ვაჟკაცურად რომ გაუმკლავდნენ ერთ დროს ქარიშხალს.

სხვანაირად კაზანიშჩელ მუსლიმს დავემსგავსებოდი. ახლა მოგიყვებით, რა შეემთხვა მუსლიმს:

მაისში, როცა ცხვრებს ჩახლართული და მტვრიანი ველებიდან ამწვანებული ცივი მთებისაკენ მიერეკებოდნენ, კაზანიშჩელმა მუსლიმმა მწერალთა კავშირს მივლინება სთხოვა ცხვრის გადარეკვაზე ნარკვევის დასაწერად. კარგად აღარც მახსოვს, იქნებ სექტემბერიც იყო, როცა პირიქითა ცივი მთებიდან თბილი ველისაკენ გადმოლაღვენ ხოლმე ცხვარს გამოსაზამთრებლად. მივლინება მივეცი. მუსლი-

მი გამგზავრა. მან კეთილსინდისიერად განვლო მთელი გზა ჩრბ-  
ნებთან და ცხერის ფარასთან ერთად. აულში იგი ცალკე დაბრუნდა,  
მისი ჩანაწერებით აჭრელებული ბლოკნოტები კი ცალკე ცხენით ჩა-  
მოიტანეს. თურმე იგი ყველაფერს იწერდა, რასაც დაინახავდა. არც  
ერთი წვრილმანი არ გამოჰპარვია. ცხენს დაინახავდა და ცხენზე წერ-  
და, ჩობანს დაინახავდა და ჩობანზე წერდა, ხოლო ცხვარს თუ დაი-  
ნახავდა — ცხვარზე. ჩობანსა და ცხვარს კი რა გამოლევდა! ყველა-  
ფერზე წერდა, რასაც ხედავდა და ესმოდა. ეს ნაწერები ერთმანეთზე  
რომ გადაგება, ალბათ იმ გზაზე გრძელი იქნებოდა, მუსლიმმა რომ გაი-  
არა ცხერის ფარასთან ერთად, წაკითხვას კი იგივე დროს მოანდომებ-  
დი, მუსლიმის მგზავრობას რომ დასჭირდა. შემდეგში ჩობნებმა  
გვიამბეს: გემრინის ქედზე რომ ავდიოდით, მუსლიმმა ჯორი დაინახა.  
ეს არაფერი, საწყალი ჯორი ხელად ამოუღია მუსლიმს მიზანში და ფანქ-  
რისთვის წაუვლია ხელი — სურდა ცალ-ცალკე გაესინჯა ოთხივე  
ფლოქვი. უკანა ფეხში მოუკიდია ჯორისთვის ხელი. ჯორმა რა იცოდა  
მწერლის კეთილი განზრახვა, აუღია და უტაქტოდ შიგ ცხვირში უთხ-  
ლევია წიხლი.

ჩობნები იცინოდნენ თურმე:

— ესეც უნდა ჩაიწერო, მუსლიმ.

მართალია, ჯორი ჯიუტი ცხოველია, მაგრამ ამ შემთხვევაში არ ტყუო-  
და, — აბეზარი უნდა დაისაჯოს.

მოგვიანებით მწერალთა კავშირში განვიხილეთ მუსლიმის ნაშრომ-  
ნალეაწი. ხუმრობით ვკითხვით კიდევ:

— ერთი ეს გვითხარი, მუსლიმ, შენს წიგნში ყველაფერია ხარი-  
კოლოელი ვირიდან დაწყებული ჯორის წიხლამდე და იმ დოლა  
თხამ რალა დავიშავა, რომ გამოგიტოვებია?

— რას ამბობთ, გამოტოვება რა საკადრისია! დოლა თხაზეც მი-  
წერია, მაგრამ ადგილობრივ დიალექტზე „ხანკვას“ ვუწოდებ.

გულიანად ვიცინეთ. მერე შევეცადეთ აგვეხსნა მუსლიმისთვის,  
რომ მწერალმა ყველაფერზე კი არ უნდა დაწეროს, რასაც დაინახავს,  
არამედ გამოარჩიოს ის, რაც სჭირდება. ერთი ფრაზითაც გამოიხატე-  
ბა მაღალი აზრი. ერთ სიტყვას — დიდი გრძნობის გამხელა შეუძლია.  
ერთ ეპიზოდს — მთელი მოვლენის დახატვა.

ამ ბოლო დროს ჩვენში ათასნაირი რეორგანიზაცია განხორციელ-  
და. აქი-იქ ახლაც ხდება რეორგანიზაცია. ეს სენი მეც გადამედო. მეც  
ვახდენ ჩემი წილხვედრი ქანრის რეორგანიზაციას. ყველა ქანრს ერთ  
წიგნში ვუყრი თავს და ისე წარვმართავ. ზოგ შემთხვევაში შტატს ვამ-  
ციარებ, ზოგჯერ პირიქით — ვზრდი. ადგილს ვუნაცვლებ ქანრებს. ორს

ვაერთებ და ერთს ორად ვყოფ. ამდენ გარდაქმნაში შემთხვევით იქნებ კიდევ გამიმართლოს.

ამბავი მახაჩყალაში ჩამოსული მთიელი სახელობის მთელი მახაჩყალაში ჩამოვიდა მივლინებით. კარგა ძალი ფული ჩამოიტანა, თანაც თავისი კი არა, მივლინებისა. ასე რომ, მთელი დღე რესტორანში სადილობდა და ვახშობდა. ჩამოვიდა თუ არა, იმავე დღეს მთელ რესტორანში ისმოდა:

— ოფიციანტო! კიდევ მოიტანე კონიაკი! — ყველას იქითკენ მივბრუნებინა თავი, საიდანაც ხმა მოისმოდა. უკვირდათ, ეს ვინ არის, ამდენს რომ სვამს და ფულიც არ ენანებაო.

მივლინების ბოლო დღეს კი ჩვენი მთიელი ჩურჩულით ეკითხებოდა იმავე ოფიციანტს:

— რა ღირს ატრია თქვენს რესტორანში?

ხენა რომ ჩათავდებოდა, მაშინ გამოჩნდებოდა მუშა ხარი; მინდორში ბულრაობა რაა, ხარი ულლის გაწევაში ნახეო.

როცა მიზნისკენ მიმავალ გზას ადგიხარ, მიზანი მუდამ შორსაა. მეყოფა კი ვაბედულება, სიყვარული და მოთმინება მიზნის მისაღწევად? თუ ბოლოს მეც კედის მოფხანა და ატრიის ფასის გაგება მომიწევს?

მოგონება. ერთხელ დაღესტანში მკაცრი ზამთარი დაიჭირა. უეცრად მოთოვა, თანაც ერთი მეტრის სიმაღლეზე დადო. ცხვარი და ბატკანი უსაკვებოდ დარჩა და შიმშილით წყდებოდა. პარტიის საოლქო კომიტეტში გამომიძახეს და მითხრეს:

— აბა, გაემგზავრე, რასულ, ცხვარი უნდა შევიწინარჩუნოთ.

— კი მაგრამ, მე რა დახმარება შემიძლია?

— ამას, რომ ჩახვალ, იქ გაიგებ. რაიმე აზრი მოგივა. გზა უნდა გამოიძებნოს ცხვრის გადასარჩენად.

ცხვრის გზა-საველს კარგ ამინდშიც ვერ გავაგნებდი და ასეთ ქარბუქში რას ვაგნებოდი. მაგრამ პარტიული დისციპლინა ყველაფერზე მაღლა დგას და წავჩინჩაღი ამ თოვლსა და ქარში. როგორც იქნა, ერთ ფარებს მივალწიე. მეცხვარეები დაღვრემილი დამხვდნენ. ყინულის მქრქალ მძივებად ჰქცეოდით საბრალოებს უღვაშებსა და ლოყებზე ჩამოცურებული ცრემლი. ტუჩდასისხლიანებული ცხვრები მოყინული თოვლის ქვეშ დატანებული ბალახისკენ იწევდნენ, მაგრამ ყინულის ქერქს რას გაღრღნიდნენ. ისოცებოდა ცხვარი. ძალღებს მყუდრო ადგილებსათვის შეეფარებინათ თავი. იქ ქარისაგან დაცულნი იყვნენ; აღარც მგელი აღარდებდათ და აღარც ქურდი. მოკლედ, უმწეობა და გაჭირვება დამხვდა ფარებსში. მე რომ დამინახეს, მეცხვარეებს გაეცინათ:

— ლექსისა და სიმღერის მეტი არაფერი გვაკლია. მოხვედი არა, რომ წაგვიკითხო ლექსები, ან რაიმე გვიმღერო, ჰამზათ ცადასას ძეო? უმჯობესია, საგოდებელი გვითხრა, ჩვენც ავყვებით.



სამი დღე დავრჩი მეცხვარეების ბინაში. შივხვდი, რომ მეცხვარეებს ვერას ვარგებდი და მახაჩყალისაკენ ვიბრუნე პირი.

— რა ჰქენი, გადაარჩინე ცხვარი? — მკითხეს საოლქო კომიტეტში.

— სამი ცხვარი გადავარჩინე.

— რანაირად, აბა მოგვიყევი!

— სულ უბრალოდ, ჩობნებმა სამი ცხვარი დაკლეს და შეეპაშეთ. მე მიმაჩნია, რომ ეს სამი ცხვარი ნამდვილად გადავარჩინე.

— კეთილი, — გამინაწყენდნენ საოლქო კომიტეტში. — წადი, შენს ლექსებს მიხედვით, ცხვარს კი უშენოდაც გადავარჩინეთ. სასტიკ საყვედურს გიცხადებთ, ეგებ ამან უკეთესი ლექსები დაგაწერიოს.

ვაითუ ჩემს წიგნსაც იგივე მოელის. ცხვრის გადასარჩენად ვეშურები, მაგრამ ვაითუ ხელცარიელი დავბრუნდე? ახლად აღჩენილი დღე განა ყოველთვის გვიმართლებს იმედს.

მ ო გ ო ნ ე ბ ა. ახლაც მახსოვს მოსკოვის ლიტერატურის ინსტიტუტში მეცადინეობის პირველი დღე. სწავლის დაწყებასთან ერთად მომადგა კარზე ჩემი დაბადების დღე. ცხადია, არავის მოულოცია, რა იცოდნენ, თუ ამ დღეს დავიბადე. მაშამ პალტოს საყიდლად ფული მომცა და გადანახული მქონდა: მოდი, საწყალო რასულ, დაბადების დღეს საკუთარ თავს საჩუქრად პალტო უყიდე-მეთქი. ავიღე ფული და ტიშინოს ბაზარზე წავედი. მაინც როგორი ბაზრობა იმართებოდა მოსკოვში ომის შემდგომ პირველ წლებში! იქ თავისი კანონები ჰქონდათ, თავისი სპეკულანტები, თავისი მილიციელები ჰყავდათ. იქ ალბათ ყველაფერს ეშოვიდა კაცი დედალ-მამალი ვირის გარდა.

ტიშინოს ბაზარი აწრიალებულ ჰიანჭველების ბუდეს ჰგავდა: მთელი საათი აქეთ-იქით ვაწყდებოდი ამ ზღვა ხალხში, ზედ ცხვირწინ მიფრიალებდნენ ათასგვარ ხარახურას: კოსტიუმებს, კიტელებს, ფარაჯებს, ქულებს, კაბებს, ფეხსაცმელებს, ყავარჯნებს...

იმ ხანებში რატომღაც მინისტრს მინდოდა ვმგვანებოდი. ისეთ პალტოს ვეძებდი, მინისტრის იერს რომ მომცემდა. როგორც იქნა, ჩემს შესაფერს მივაგენი; ქორვაპარს გადაედო მხარზე. პალტოს ქული მოჰყვა, მასთან შეხამებული და იმავე ნაჭრისა.

ცხადია, იმწამს ქუდს ვეცი, დავიხურე, სარკეში ჩავიხედე და ბიჭოს! — ნამდვილი მინისტრი ვიყავი. ახლა კი დავიწყეთ ვაჭრობა. ჯერ მცირე ფასი დავუსახელე ხმამაღლა და თან მკაფიოდ. სპეკულანტმა წაუყრუა. მერე ნაღდი ფასი ჩავჩურჩულე, ეს კი გაიგონა, როგორც მსახიობმა, წამსვე რომ იჯერებს ხოლმე პირმოთნეობას. უფრო მოხერხებულად რომ დამეთვალა ჩემი სამი და ხუთმანეთიანები, პალტო სპეკულანტს დავაჭერინე, გადავთვალე ორი ათას ორას ორმოცდაათი მანეთი და ჩავაბარე. ზარზეიმით, მინისტრივით დავბრუნდი საერთო

საცხოვრებელში. მაშინდა გამახსენდა, რომ პალტო ქორვაჭარს შევატოვე. ორი ათას ორას ორმოცდაათ მანეთად მხოლოდ ქუდი ვიყიდე.

მინისტრს მინდოდა დავმსგავსებოდი და უპალტოოდ და უფულოდ კი დავრჩი. ვაითუ, ჩემს წიგნსაც ეს ბედი ეწიოს! ყველა ადამიანმა იცის, რა სჭირდება მას, მაგრამ მოპოვება ყველას როდი შეუძლია. მიზანს ყველა ხედავს, მაგრამ ყველა როდი აღწევს მას. ზოგიერთმა იცის, როგორ უნდა დაიწეროს წიგნი, მაგრამ დაწერა არ შეუძლია.

ამბობენ, ერთი და იმავე ნემსით საქორწინო კაბაც იკერება და სულარაცაო.

ამბობენ, ნუ შეაღებ იმ კარს, რომლის დაკეტვაც შენს ძალას აღემატებაო.

## ტ ა ლ ა ნ ტ ი

უნდა დავიწვა, რომ გავანათო

წარწერა ლამპახე.

ა რ ა კ ი პ ო ე ტ ს ა და ო ქ რ ო ს თ ე ვ ზ ზ ე. ამბობენ, ერთმა უხეირო პოეტმა კასპიის ზღვაში ოქროს თევზი დაიჭირაო.

— პოეტო, პოეტო, გამიშვი ისევ ზღვაში, — შეეხვეწა ოქროს თევზი.

— მერე სამაგიეროდ რას მომცემ?

— ყველა შენს ფარულ სურვილს აგისრულებ.

პოეტს გაუხარდა და გაუშვა ოქროს თევზი. თითქოს მართლაც ბედი დაეცაო, გამოვიდა პოეტის ერთი წიგნი, მეორე. პოეტმა ქალაქში სახლი იყიდა, ქალაქგარეთ კი — შესანიშნავი აგარაკი. სახელმწიფოებრივი გახდა, ახლა მას ყველა იცნობდა. პოეტს მთელი სამყარო დაბრაწული, ხანვმოყრილი მწვადივით ედო წინ, დასწვდებოდა და იგემებდა სურვილისამებრ.

და აი ერთხელ, როდესაც პოეტი უკვე აკადემიკოსი, დეპუტატი და ლაურეატიც გახლდათ, ცოლს უნებლიეთ წამოსცდა:

— ეჰ, ყველაფერთან ერთად რატომ ნიჭიც არ სთხოვე ოქროს თევზს?

პოეტს თითქოს გონება გაუნათლდაო, თითქოს მიხვდაო, რაც დააკლდა ამ წლების განმავლობაში, ზღვისკენ გაიქცა და ოქროს თევზს შეეხვეწა:

— ოქროს თევზო, ოქროს თევზო, ცოტა ნიჭი მაინც მიწყალობე. ოქროს თევზმა უპასუხა:

— მე ყველაფერი მოგეცი, რაც კი მოისურვე. კვლავაც შემიძლება ყველაფერი მოგცე, რასაც მოისურვებ. ნიჭის მოცემა კი არ შემიძლება. მე თვითონ არა მაქვს პოეტური ნიჭი და შენ როგორ მოგცე? ამგვარად, ნიჭი შეიძლება გქონდეს და შეიძლება არა. მისი არც ბოძება გავგონილა და არც წართმევა, ნიჭი თან უნდა დაგყვეს.

ოქროს თევზის წყალობით ყელთამდე ავსებულმა პოეტმა მალე ფარშავანგის ფრთებით შემოსილ ყვავად იგარძნო თავი. ხელოვნური ფრთების თვალწარმტაცი სილამაზე მალე წარისოცა, თანაც წლების მანძილზე პოეტს ცოტა-ცოტა თავისი ბუმბულიც დასცვივდა და კიდევ უფრო წახდა.

ლოცვას განმეორება არას ავნებს, მეც გავიმეორებ ჩემს სათქმელს. მწერალს ნიჭი სჭირდება, ნიჭი კი სადღა უნდა მოიძიო, თუკი ოქროს თევზმაც ვერ გიშოვა?

მ ა მ ა ჩ ე მ ი მ ო მ ი ყ ვ ა: ერთი მთიელი შორეულ აულიდან ჩამოსულა მამასთან და ლექსები წაუკითხავს მისთვის. მამას ბოლომდე ყურადღებით მოუსმენია ახალბედა პოეტის ლექსები, შემდეგ კი ყველა სუსტ და უსუსურ ადგილებზე მიუთითებია. ისიც კი უთქვამს, როგორ დაწერდა ამ ლექსს თვითონ.

— კი მაგრამ, ძვირფასო ჰამზათ, — უთქვამს მთიელს, — ასე რომ დაეწერო, ნიჭია საჭირო.

— სწორი ხარ, ცოტა ნიჭი ნამდვილად არ გაწყენდა.

— მერე მირჩიეთ, როგორ ვიშოვო იგი, — მთიელი მამის ირონიას ვერ მიხვდა და მიტომ გაუხარდა.

— დღეს მალაზიები დავიარე, მაგრამ ვერსად ვნახე, ბაზარზე ეძიე. არავეინ იცის, საიდან მოჰმადლებია ადამიანს ნიჭი, ცა იძლევა ნიჭს თუ დედამიწა. იქნებ ის ცისა და მიწის პირშოვა? არავეინ იცის, სად დაუდევს ნიჭს ბინა, ადამიანის გულში, სისხლსა და ტვინში. დაბადებიდანვე იბუდებს ადამიანის პაწაწინა გულში, თუ შემდეგ პოულობს მას, თავის მიწიერ ძნელ გზაზე. რა უფრო მეტად ასაზრდოებს ნიჭს: სიყვარული თუ სიძულვილი, სიხარული თუ ნაღველი, სიცილი თუ ცრემლები? თუ ერთიც საჭიროა, მეორეც და მესამეც ტალანტის ზრდისა და განმტკიცებისთვის? შთამომავლობით გადადის ნიჭი, თუ თვითონ ადამიანი იძენს მას, როგორც შედეგს ყოველივე იმისა, რაც უნახავს, ან სმენია, წაუკითხავს, განუცდია და შეუცენია.

შრომის ნაყოფია იგი თუ ბუნების თამაში? თვალების ფერია, თან რომ დაჰყვება ადამიანს, თუ ყოველდღიური ვარჯიშით გაკაჩებული კუნთები? მეზადის რუდუნებით გახარებული ვაშლის ხეა, თუ ხეს მოწყვეტილი და პატარა ბიჭის მიერ ჰაერში დაჭერილი ვაშლი?

ტალანტი ისეთი იდუმალი რამეა, რომ მხოლოდ მაშინ, როცა ყვე-

ლაფერი ეცოდინებათ დედამიწის წარსულსა და მომავალზე, მზესა და ვარსკვლავებზე, ცეცხლსა და ყვავილებზე, როცა ყველაფერი ეცოდინებათ ადამიანზე, აი, მხოლოდ მაშინ და ისიც სულ ბოლოს, შეიძლება გაიგონ, რა არის იგი, საიდან ჩნდება, სად თავსდება და რატომ მაინცდამაინც ამ ადამიანის ხვედრია და არა მეორის.

ორი ნიჭიერი ადამიანის ტალანტი სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისაგან, რადგანაც ორი ერთნაირი ტალანტი უკვე ტალანტი აღარაა, მით უმეტეს ტალანტი სულაც არ არის დამოკიდებული გარეგნულ მსგავსებაზე. ბევრი კაცი მინახავს, სახით მამაჩემს რომ ჰგავდა, მაგრამ მამაჩემისეულ ნიქს არსად შეგხვედრივარ.

ნიჭიერება შთამომავლობით არ გადადის, ასე რომ იყოს, ხელოვნებაში დინასტიები იმეფებდნენ. იშვიათად როდი უჩნდება ბრძენს ბრიყვი შვილი და ბრიყვს — ბრძენი.

ნიჭი ისე ჩასახლდება ადამიანში, არც მისი ქვეყნის სივრცეს მოიკითხავს და არც ხალხის სიმრავლეს. ნიჭი იშვიათად გვევლინება, ამიტომაც მოულოდნელი და მუდამ საოცარი, როგორც ელვის ნათება, როგორც ცისარტყელა, როგორც წვიმა გვალვისაგან ჩამკვდარ, წვიმას გადაჩვეულ უდაბნოში.

როგორ და ეკარგე ყონალი. ერთხელ მაგიდასთან რომ ვიჯექი, ჩემს სახლს ჰაბუკი მხედარი მოადგა.

— სალამ ალეიქუმ!

— ვალეიქუმ სალამ!

— ერთი პატარა სათხოვარი მაქვს შენთან, რასულ!

— შინ შემოდი და ბრძანე, რა გსურს.

ჰაბუკმა მართლაც ჯიბიდან ამოიღო და მაგიდაზე დააწყო ფურცლები. ერთ-ერთი მამაჩემის ძველისძველი ყონალისა და ჩემი ხშირი სტუმრის წერილი იყო. ჩვენი კერისა და ოჯახის მეგობარი მწერდა: „შვირფასო რასულ, ეს ახალგაზრდა ჩვენი ახლო ნათესაეია, თანაც კარგი კაცია. დაეხმარე, რომ შენსავით ცნობილი პოეტი გახდეს.“

აქვე იყო სოფლის საბჭოს ცნობა, კოლმეურნეობის ცნობა, პარტორგანიზაციის ცნობა და დახასიათება.

სოფლის საბჭოს ცნობაში ნათქვამი იყო — ესა და ეს კაცი ცნობილი პოეტის კაპაბ-როსოელი მაჰმუდის ძმისშვილია ნამდვილად და სოფლის საბჭოს იგი დაღესტნის ცნობილ პოეტთა რიგებში მისაღებ ღირსეულ კანდიდატურად მიაჩნია.

სხვა ცნობებში ნათქვამი იყო, რომ მაჰმუდის ძმისშვილს ოცდახუთი წელი შესრულებია, ცხრა კლასი დაუმთავრებია და აბსოლუტურად ჯანმრთელი ყოფილა.

— ძალიან კარგი, — ვთქვი მე, — აბა, შენი ნაწარმოებები ვნახოთ, იქნებ, მართლა ნიჭიერი ხარ და ოდესმე ცნობილი პოეტიც გახდე. მო-

ხარული ვიქნები დაგეხმარო, რითაც შემძლია და ამით ჩვენი საერთო მეგობრის თხოვნა შევასრულო.

— როგორ! სწორედ იმიტომ გამომაგზავნეს შენთან, ლექსების წერა რომ მასწავლო, მე ჯერ არასოდეს არ მისინჯავს ლექსის დაწერა.

— აბა, რა საქმიანობას ეწევი?

— კოლმეურნეობაში ვმუშაობ. მაგრამ ასეთი მუშაობიდან ხეირი არა მაქვს. შრომადღებებს გიწერენ და მერე არაფერს არ იძლევიან. ჰოდა, აი, მიჩიხის, პოეტი ვავმხდარიყავი. ბიძაჩემი მაჰმუდი რომ კარგად შოულობდა ფულს, ვიცი, უფრო მეტს, ვიდრე მე ვშოულობ კოლმეურნეობიდან. თურმე შენც ბლომად აკეთებ ფულს, რასულ!

— თუმცა დიდი სურვილი გაქვს, ვეჭვობ შენგან პოეტი დადგეს.

— როგორ! მე ხომ მაჰმუდის ძმისშვილი ვარ, ცნობებში ყველაფერია ნათქვამი. სოფლის საბჭომაც წარმადგინა და პარტორგანიზაციამაც.

— თუნდაც მაჰმუდის შვილი იყო. როგორც ცნობილია, მაჰმუდის მამა ნახშირის გამომწველი იყო და არა პოეტი.

— კი მაგრამ, სადაა სამართალი? მახაჩყალაში მწერლები და პოეტები ერთმანეთში იყოფთ ლიტერატურის მსუქან საკბილოს, ნუთუ შიგნეული მაინც არ უნდა მხედეს? შიგნეულზეც თანახმა ვარ. ახლა რა უნდა ვქნა? დამეხმარე და მომაწუყე სადმე, ცნობები მოწესრიგებული მაქვს.

როგორც მაჰმუდის ძმისშვილს, ლიტტონდიდან ცოტაოდენი ფულადი დახმარება მივეცი და შემდეგ ჩემი თხოვნით დაღესტნის ელექტრომანქანების ქარხნის დირექტორმა მოაწყო სამუშაოზე.

მაგრამ, როგორც ჩანს, ამ კაცს პოეტობის პრეტენზია ჰქონია, ამიტომ თავისი ბედის უკმაყოფილო დარჩა; მალე მამამისმა, ჩვენმა ყონალმა, მწყურალი წერილი მომწერა:

„მამაშენი ჰამზათი ყოველ თხოვნას მისრულებდა. უარი არასდროს უთქვამს. შენ კი, მისმა ვაჟმა ეს პატარა თხოვნა ვერ ამისრულე—პოეტად ვერ გამიმწესე ბიჭი. როგორც ჩანს, გაყოყოჩებულხარ, რასულ, მამას არ გამომსგავსებხარ. ჩემს დღეში ყონალზე ხელი არ ამიღია, ახლა კი ასე გახდა საჭირო. მშვიდობით.“

ამგვარად, ვილაცის ნიჭის, ან უფრო სწორად უნიჭობის გამო, ერთი კარგი ყონალი ჩამომშორდა. ჩემი ყონალი მართლაც კარგი აღამიანი იყო, მაგრამ არ ესმოდა, რომ არც მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, არც პარტორგანიზაციის მდივანს და არც მთავრობის ხელმძღვანელს არ შეუძლია ტალანტის ჩამორიგება ცხვრის ხორცის ნაჭრებივით, როგორც ეს მთიელთა თავშეყრილობაზე იციან ხოლმე, ტაბლას რომ შემოუსხდებიან დახორებული ცხვრის ხორცის ოხშივარში გახვეულნი. დაღესტნის გზაზე მიმავალი მთაზე დაკიდებულ ურემს შეხედები

ბოლმე: ერთი კაცი წინიდან ექაჩება და მეორე უკნიდან აწვება; ანდა დაინახავ, ვებერთელა სატვირთო მანქანა ბაგირით ეწვევა თოვლში ჩაფლულ „მოსკვიჩს“; ანდა — სწრაფმავალ მსუბუქ მანქანას გზაში ჩაუდგება ხოლმე მოზოზინე უზარმაზარი თვითმცლელი მთის გზა ვიწროა და მსუბუქი, მანქანა ვერაფრით აუვლის გვერდს თვითმცლელს.

პოლა, ნიჭი ურემი როდია, უკნიდან მიაწვე, ან წინიდან აქაჩო, არც მანქანაა, მეორე მანქანას გვერდს რომ ვერ აუვლის.

ნიჭს არც ხელით თრევა სჭირდება და არც ბიძგი, იგი თვითონ პო-ულობს გზას და თვითონ მიიწვეს წინ.

თუმცა ჯერ კიდევ არიან ისეთები, ბიძგისა და ხელით თრევის იმე-დი რომ აქვთ. ერთ პატარა ამბავს მოგიყვებით. ამ ამბისათვის შეიძ-ლებოდა ასე გვეწოდებინა:

და ე, ხ ა ნ და ა ზ მ უ ლ ი დ ე და კ ა ც ი ი ყ ო ს, ო ლ ო ნ დ ნ ი ჭ ი ე-რ ი. მოსკოვში ლიტერატურის ინსტიტუტში რომ ვსწავლობდი, ბევრ რუს პოეტს დავემეგობრდი — ისინიც სტუდენტები იყვნენ. — ჩემს ლექსებს თარგმნიდნენ. ეს თარგმანები სხვადასხვა ქურნალ-გაზეთებში ქვეყნდებოდა. რუსული თარგმანების წყალობით ჩემი ლექსები დაღეს-ტნის სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხმაც წაიკითხა.

იმ ხანებში მოცლილები ბოროტად ალაპარაკდნენ: რასულ გამზა-თოვი ავარიულად სულაც არ წერს ლექსს, ნიჭიერი რუსი მთარგმნე-ლების წყალობითაა რომ კაცი გახდა, თავიდანვე ისე წერს ლექსს, რუს მკითხველს რომ მოეწონებო.

ამასთან დაკავშირებით ყოველთვის მახსენდება ხოლმე ერთი დაღეს-ტნელი პოეტი.

არსებობს ასეთი მცირე ეროვნება — ტატები, მათი რიცხვი თხუთ-მეტ ათასს არ აღემატება, მაგრამ ხუთი-ექვსი კარგი მწერალი მაინც ჰყავთ, ისეთი, მთელი დაღესტანი რომ იცნობს. მათი წიგნები მახაჩ-ყალაში გამოდის მშობლიურ ენაზე და რუსულადაც ითარგმნება. ერთ ტატ პოეტზე მინდა ვიამბოთ. გვარის დასახელება აუცილებელი არ არის.

ის იყო ლიტერატურის ინსტიტუტში სწავლა დავამთავრე და მშობ-ლიურ მახაჩყალაში დავბრუნდი. ახალჩამოსული ერთმა ტატმა პოეტ-მა დამპატივა. ღია ცის ქვეშ გამიმასპინძლდა, ჩვენ წინ კასპიის ზღვა გადაშლილიყო, უკან კი ცას ებჯინებოდნენ მთის მწვერვალები. პოეტი ტატურ ენაზე მიკითხავდა ლექსებს და შემდეგ სიტყვა-სიტყვით მითარგმნიდა რუსულად, აზრი რომ გამეგო.

ათასი რამ უნდა გამეთვალისწინებინა: ისიც, რომ სტუმარი ვიყავი და ის მასპინძელი, ისიც, რომ მას შეეძლო ეფიქრა, თითქოს მე მოს-

კოეში მიღებული ცოდნით თავს ვიწონებდი, ისიც, რომ ყველა პოეტ კრიტიკაზე უფრო ქება უყვარს, რომ მას მაინც ვერავითარი კრიტიკა ვერ უშველიდა, და ბოლოს ისიც, რომ მას ცამდე აპყავდა თითოეული ჩემი ლექსი და სტრიქონი, — რაკი ასე იყო, მივაღიქი და თავ წამაკითხა, ყველაფერი უღვთოდ ვუქე.

მართალია, ზოგ ლექსს გულწრფელად ვაქებდი, მაგრამ ზოგი არ მომწონდა და ვცოდავდი, როცა ვაქებდი.

გონებაში კი კასპიის ზღვის ტალღებისკენ ვიწვდიდი ხელს, მუხლზე ვუჩოქებდი და მივმართავდი: „შემინდე ეს ტყუილი.“ შემდეგ მთებისკენ შევბრუნდებოდი, თეთრ მწვერვალებს შევთხოვდი დაჩოქილი: „შემინდეთ ეს ტყუილი“.

წავუვითხეთ, შევუქვით ერთმანეთს ლექსები. ერთ ხანს ვდუმდით. მე ზღვას ვუსმენდი, ჩემი მეგობარი კი ფიქრებში იყო გართული. ბოლოს მან ასეთი საუბარი წამოიწყო:

— ერთი საყურადღებო აზრი უნდა გაგიმკლავნო, რასულ. ოღონდ პირობა მომეცი, რომ არავის ეტყვი.

დავპირდი.

— ხომ იცი, — განაგრძო მეგობარმა, — ტატები ცოტანი ვართ. ამიტომაც, ვასაქანი რომ არ გვაქვს არც მე და არც ჩემს ლექსებს. მე და ჩემი ლექსები შებოქილნი ვართ. შენ სწორად იქცევი, მოსკოვში რომ ეძებ მკითხველს. მეც მინდა მოგბაძო და მოსკოვში გადავიდე საცხოვრებლად, მაგრამ იქ არც ნათესავეები მყავს, არც ნაცნობ-მეგობრები. თავშესაფარიც არ გამაჩნია. როგორ ფიქრობ, ჩემი ახალი წიგნის ჰონორარი რომ წავიღო, რიგიან თავშესაფარს ვიშოვი?

— რატომაც არა, ფული თუ გექნება, ოთახს იქირავე.

— მაგას არ ვამბობ, ცოლს თუ ვიშოვი. დაე ბებერი იყოს, მახინჯი, სულ ერთია, როგორიც იქნება. ოღონდ ნიჭიერი იყოს, ჩემი ლექსების რუსულად თარგმნა შეეძლოს, ხალხში გამომიყვანოს, მერე, ფეხზე თუ დავდგები, ჩემს გზასაც მოვნახავ. უამისოდ კი ნაციონალურ ნაჭუჭში ჩავკვდები.

ერთხელ კიდევ ავათვალღიერ-ჩავათვალღიერე იგი: ოცდახუთი წლის, დაქნთული, ცეცხლოვანი კავკასიელი გახლდათ. დიდრონი ხელები და თითებიც თმით ჰქონდა გაბანჯგელული. მკერდზე ჯაგარივით თმა ამოსვლოდა. კედელზე მიკედებული ლურსმნებიანო, იტყოდო. შავგვრემან, თითქმის ყავისფერ პირისახეს მსხვილი ტუჩები და ზღვისფერი თვალები უმწვენებდა. თავი ზღარბს მიუგავდა. კბილები—თეთრი და მსხვილი, ფეხები — ბოქები, მთელი სხეული — კუნთებით დაბორცვილი. ბუნების პირველქმნილი შვილი იყო. ასეთი კაცი ცოლს ვერ იშოვიდა მრავალეროვან ქალაქში, ისიც ომის დამთავრებიდან მესამე წელიწადს?

მეც ვუპასუხე:



— საკმარისია შუა ქუჩაში დადგე და დაუსტეინო, და მოგაწყდებიან ლამაზმანები.

ამ სიტყვებში ბავშვით გაახარა ჩემი მეგობარი. ყირა ვაჭიმა და ხელეზე დამდგარი წყლისკენ დაიძრა. სანამ წყალში შეცურდებოდა, ერთხელ კიდევ იკითხა:

— როგორ მირჩევ, თვითმფრინავით წავიდე მოსკოვში თუ მატარებლით?

გავიდა ნახევარი წელი. ერთ დღეს გამომცემლობა „მოლოდია გვარდიას“ მივაკითხე. მეოთხე სართულზე უნდა ავსულიყავი. ავდივარ კიბეზე, თან ქუდიდან წყლიან თოვლს ვიფერთხავ. წინ ტატი პოეტი შემომეყარა, დიდი პორტფელი ამოედო ილიაში, პირველ რიგში თვალში მომხედა, რომ პორტფელი ხელში კი არ ეჭირა, როგორც მწერლებს სჩვევიათ, ბუხპალტერივით თუ მოლარესავით ჰქონდა ილიაში ამოჩრილი. ისიც შევნიშნე, რომ ძალზე გამოცვლილიყო ამ ნახევარწელიწადში. აზღარბული თმა გაეზარდა და მოხდენილად გადაეყო. დეკაბრისტივით ბაკენბარდები დაეყენებინა, ნეკზე გრძელი, ხიშტივით წამახული ფრჩხილი ჰქონდა. ცალ თითზე თვლიანი ბეჭედი გაეკეთებინა. პალსტუხის მაგივრად კი საყელოზე მაისის ხოჭოს ფრთებისმაგვარი რამ ჰქონდა მიბნეული. დახვეწილი, გალანტური კაცის იერი მიეღო. სალამ-ქალამს რომ მოვრჩით, მან გვერდზე მოქეუული პალსტუხი გამისწორა. ცხადია, მადლობა გადაუხადა.

ახმედმა ცოლი წარმომიდგინა.

— ძალიან სასიამოვნოა, — სამი თითი გამომიწოდა ცოლმა. ჩვენთან, დაღესტანში მიღებული არ არის ქალის ხელზე კოცნა და მეც ხელის ჩამორთმევა ვიკმარე. ქალმა ისე შეჰყვირა ტკივილისაგან, თითქოს ძვლები დამემტვრიოს.

— მაპატიეთ ბნელ მთიელს, არ მინდოდა...

— დროა კულტურას ეზიაროთ, — მომიჭრა ქალმა, გატრიალდა და იქვე მდგარი სარკის წინ მანქვა-გრეხვას მოჰყვა, თითქოს სარკე უშველიდა მის სიგონჯეს.

ღიახ, იგი ხნიერიც იყო და მახინჯიც, პირისახეზე იმდენი პუდრი შეეფრქვია, საშუალო ზომის ოთახს ეყოფოდა მოსაბათქაშებლად. გული მწყდებოდა, აბუთალიბი რომ არ იყო აქ, ერთს წაუქილიკებდა.

კარგად მოგეხსენებათ მელასა და მისი კუდის ამბავი. ნეტავი ახლა რაღამ გააბრიყვა ეს შავ-მურა მელა, ამ ბებერი ჭაკის კისერზე რომ მოეკალათებინა. ქალი ჟურნალების ჯიხურისკენ გაემართა. მე და ახმედი ცოტახნით მარტო დავრჩით.

— როგორა ხარ, რასა იქმ, ახმედ?

— ოჰ, ოსპის გასალეწად უღელში შებმული ხარივითა ვარ. ჩემს საქმიანობას ცოლი განაგებს. რომ იცოდე, რა განათლებულია. პირა-

დად იცნობდა ბლოკსა და მიაკოვსკის. სერგეი ესენინის მეგობარიც ყოფილა. პარიზში ნამყოფია. ინგლისურად ბრწყინვალედ მეტყველებს. ოთხოთახიან ბინაში მარტონი ვართ. შვილები არა გვყავს. მარტო ერთი ძალი გვყავს — ტარზანი. იაპონური ჯიშისა, კატაზე მომცრო.

— ჰო, როგორც ჩანს, გაგიმართლა, ახლა საით გაგიწევია?

— ლექსები მოვიტანე „მურზილკაში“. მითხრეს, თქვენი ლექსები ღრმაზროვანია და ბავშვები ვერ გაიგებენო. შემდეგ ახალგაზრდა კოლმეურნეებისთვის განკუთვნილ ჟურნალში განვიზრახე დაბეჭდვა. ლექსები მოეწონათ, მაგრამ ერთი სტროფი უნდა დავუმატო, სადაც „კოლმეურნობა“ იქნება ნახსენები. ამ საღამოს დავამატებ და ხვალ ისევ მოვიტან... ჰო, რასულ, აი, თურმე როგორ უნდა მუშაობა და ცხოვრება. ცოლი მანუგეშებს, ბავშვებიც ხომ ფორთხავენ, ვიდრე სიარულს ისწავლიანო. ოდესმე, ალბათ, ქეშმარიტ ნაწარმოებსაც შევქმნი.

— ალიოშა, — ნახად, მაგრამ მბრძანებლურად მიმართა ცოლმა ჩემს მეგობარს და თან მოგვიახლოვდა, — წამო, ვაჰამოთ ტარზანი, მერე კი „კროკოდისა“ და „რაბოტინცაში“ შევიართო.

ამ ამბის შემდეგ დიდხანს აღარ შევხვედრივართ ერთმანეთს მე და ახმედი. ერთხელ მისი წერილი მივიღე, მთხოვდა ბალხარული სურათები შემეკვითა ვინმესთვის ასეთი წარწერით: „ჩემს ძვირფას მეუღლეს“. სურათი შევუკეთე და გავიფიქრე: „ალბათ, მართლაც დიდადა დავალებული ცოლისგან“, ცოლის მიერ თარგმნილ ახმედის ლექსებს ხან „მურზილკაში“ შევხვედებოდი, ხან „პიონერში“ და ხან „კროკოდის“ში“. მხოლოდ ჩვენთან, მახაჩყალაში არ იბეჭდებოდა მისი ლექსები მშობლიურ ტატურ ენაზე. რამდენჯერ ვთხოვეთ გამოეგზავნა ლექსები, მაგრამ პასუხი არ ჩანდა.

თხუთმეტი წელი გავიდა და კვლავ შევხვდით ერთმანეთს. მოსკოვში დაღესტნის ხელოვნების დეკადა ტარდებოდა. ორმოცი პოეტი ჩავედით დაღესტნიდან მოსკოვში. მშობლიურ ენაზე კვითხულობით ლექსებს სვეტებიან დარბაზში, კრემლის თეატრში, საავტომობილო ქარხანასა და კანტეშირის სახელობის გვარდიულ დივიზიაში.

დეკადის დასკვნით საღამოზე კულისებიდან ჩვენი ახმედი შემოიპარა და გვერდში ამოგვიდგა.

— რასულ, — შემევედრა იგი, — წამიყვანე დაღესტანში.

ამგვარად, ახმედი დაღესტანში დაბრუნდა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ ააწყო თავისი ფანდური. მისი საკრავი ახლა ღვინისაგან დაწრეტილ გაბზარულ ჭურჭელს მოგაგონებს. როგორც არ უნდა ამოგონო გაბზარული დოქი, ღვინო მაინც გამოკონავს და დაცარიელდება.

ასე რომ, უნიჭო პოეტს მთარგმნელი ვერას შემატებს. ერთნი ამბობენ, სულეიმან სტალსკი ეფენდი კაპიევმა შექმნაო, მეორენი კიდეც —

სულემიანმა შექმნაო ეფენდი კაპიევი. სინამდვილეში კი ორივე ნი-  
ჭიერი იყო. ეფენდის ნიჭმა ეფენდი შექმნა და სულემიანის ნიჭმა სულ-  
ლემიანი.

იზიას ვათქმევინებ, ასე შეიძლება დაერქვას ამბავს, ახლა  
რომ მოგიყვებით.

ხუნძახის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩემთან ერთად სწავლობდა ამ-  
ჟამად ცნობილი დალესტნელი მწერალი მუჰამედ სულემიანოვი. ბავშვო-  
ბიდანვე მრავალმხრივი ნიჭი დაჰყვა: გვარიანად ხატავდა, ხალხურ ცეკ-  
ვებს ცეკვავდა, ლექსებს თხზავდა. გავიყვებით უყვარდა „ევეგენი ონეგინი“.  
ამ წიგნს არ იშორებდა და თითქმის ზეპირად იცოდა. ომშიც კი თან  
ჰქონდა წაღებული.

ომი რომ დასრულდა, ტყვიებით და ყუმბარის ნამსხვრევებით და-  
ცხრილული მუჰამედი მოსკოვის პოსპიტალში მოხვდა. იქ მოსკოველი  
ქალიშვილი ვალია გაიცნო. კრილობები რომ მოუშუშდა, ვალია ცო-  
ლად შეირთო და მოსკოვში დარჩა.

მოსკოვში სასწავლებლად რომ ჩავედი, მაშინვე სამისამართო მა-  
გიდას მივაშურე, ჩემი მეგობრის მისამართი გავიგე და შინ ვეწვიე.  
ორივეს მოგვნატრებოდა ერთმანეთი, აღგზნებულნი ესაუბრობდით.  
ვალიას ხელი არ შეუშლია ჩვენთვის. კარგახანს ვისხედით სამივენი და  
მაგარ ღვინოს შევექცეოდით. მუჰამედი ომზე ჰყვებოდა, მე დალესტ-  
ნის მშობლიურ მთებზე, მშობლიურ აულზე. ჯერ ჩემი ლექ-  
სები ვუკითხე და მერე ახალგაზრდა ხუნძი პოეტებისა. შემდეგ ვკი-  
თხე, — შენ რაღას აპირებ, ცხოვრებაში რა გზას უნდა დაადგე-მეთქი.

— დიდხანს ვფიქრობდი, რისთვის მომეკიდა ხელი, მაგრამ, აი, ვა-  
ლიას დეიდა ჰყავს, დეიდას კიდევ იზია, მოსკოვში ძალზე გავლენიანი  
კაცია. დეიდამ შემატყო, რომ საგონებელში ვიყავი ჩავარდნილი და  
მითხრა: „ნუ იტანჯები, მუჰამედ, იზიას ვეტყვი და ყველაფერს მოვი-  
ხერხებ“. მართლაც, იზიამ კარგი ადგილი მიმოვნა მეცნიერებათა აკა-  
დემიაში. ახლაც იქ ვმუშაობ.

— მერე ხატვა?

— ეჰ, ისიც საკმარისია, ტყვიებმა რომ დამხატა.

— ლექსები?

— ეს ბავშვური გატაცება იყო, რასულ, ახლა გავიზარდე, დარბაი-  
სელი კაცი ვარ და შესაფერი საქმეც უნდა ვეძიო.

— „ევეგენი ონეგინი“?

ჩემი მეგობარი ჩაფიქრდა, როგორც ჩანდა მტკივნეულ ადგილას  
დავადგი ფეხი.

— რატომ არ გინდა დალესტანში დაბრუნება?

— მერე ვალია?

— თან წამოიყვანე.

— მე მხოლოდ აულში მაქვს სახლი, აულში კი ვალიას ვერ გამოვჩენ. იგი დედაჩემს ვერაფერს გააგებინებს. თარჯიმანს ხომ ვერ წავიყვან თან.

ეს უსიამოვნო საუბარი რომ არ გაგრძელებულიყო, მუჰამედი, ვალია და „ევგენი ონეგინი“ ვაძღვევრძელე.

როცა მეორედ ვესტუმრე ჩემს მეგობარს, ვალიამ შემომჩვილა, მუჰამედს ველარ ცენობ, დღე და ღამე რაღაცას წერს, ძილი აღარ ახსოვს და ჭამა, მერე ხევს, წერს და ისევ ხევსო.

თურმე ვალიას დეიდა უთვალთვალებდა მუჰამედს და შემდეგ უკითხავს, ასეთს ან რას წერ და ან დაწერილს რატომღა ხევიო.

— პოეტი მინდა გავხდე. — უპასუხნია მუჰამედს. — „ევგენი ონეგინი“ უნდა ვთარგმნო.

— მერე და რას იტანჯავ თავს, იზიას ვეტყვი და ყველაფერს მოგიხერხებ.

— არა, ძვირფასო დეიდა, ვერც იზია, ვერც მისი უფროსი და ვერც მისი ცოლი ვერ გამხდინან პოეტად, თუ მე თვითონ არა ვარ პოეტი.

მაღე მუჰამედმა „ევგენი ონეგინის“ პირველი თავი წამაკითხა ხუნძურ ენაზე, სამი წლის შემდეგ კი ყოველ ხუნძს შეეძლო წაეკითხა ეს რომანი მშობლიურ ენაზე.

ვისი ფოტოს ურათი მოვათავსოთ? ამბობენ, ენერგიულ ცოლს შეუძლია ხელი შეუწყოს ქმრის წარმატებასო. ასეთი ენერგიული ცოლებიც გვინახავს. სწორედ ასეთი ცოლი ჰყავდა ერთ არცთუ უცნობ დაღესტნელ პოეტს. მთელ მწერალთა კავშირს, ყველა გამომცემლობასა და რედაქციას აკანკალებდა იმ ქალის ხსენებაზე, მეც მეშინოდა, ვიფიქრე მის გულს მოვიგებ-მეთქი და კაბინეტში მისი ქმრის სურათი დავკიდე. ვიფიქრე, ქალს ესიამოვნება და უფრო ღმობიერად მომეპყრობა-მეთქი, მაგრამ მას ეს ამბავი აინუნშიაც არ ჩაუგდია, რადგან ეს ვერავითარ სარგებელსაც ვერ მისცემდა.

ერთხელ ამ ქალმა გამომცემლობას მოსთხოვა, ჩემი ქმრის ლექსების კრებული დაუყოვნებლივ გამოეცითო. დირექტორმა მორიდებულად უთხრა, ამ წლის გეგმა დამტკიცებულია, ქალაღდიც ცოტაა და შემდეგ წელს გამოეცემითო...

— უსინდისო ხარ! — აყვირდა გაცოფებული ქალი, — გეშინია, ხალხმა არ ნახოს, რომ ჩემი ქმრის ლექსები შენსას სჯობია. ამიტომ მიედ-მოედები რაღაცას გეგმასა და ქალაღდეზე. კარგად გიცნობ, რა შეილიცა ხარ, ვერ მოგართვეს! იმასაც ვნახავ, როგორ არ გამოსცემ ჩემი ქმრის ლექსებს.

თქვა და გაიჯახუნა გამომცემლობის კარი.

ორი საათის შემდეგ დირექტორის მაგიდაზე ტელეფონი აწკრილდა, ყურმილში საოლქო კომიტეტის მდიენის ხმა გაისმა:

— ღვთის გულისათვის, როგორმე მომიხერხე, რომ ეს ქალი ჩემთან აღარ მოვიდეს, — ევედრება მდივანი, — საწერ მაგიდაზე მინის გამოცვლას ველარ ავუდივარ. სულ დამილეწა, იმდენს უბრაახუნებს მუშტებს.

მერედა, იცით რა მოხდა? გეგმიდან ლევ ტოლსტოის „პაჯი მურატი“, გამზათ ცადასას საყმაწვილო წიგნი ამოიღეს და მათ ნაცვლად გეგმაში იმ აშარი ქალის ქმრის ლექსების კრებული ჩასვეს.

ამით თითქოს ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ მალე ხელახლა ატყდა აყალმაყალი. თურმე კრებულში პოეტის სურათი არ მოუთავსებიათ.

— უნამუსოებო, — ყვიროდა გაცოფებული ქალი, — არ გინდათ ხალხმა ნახოს, რომ ჩემი ქმარი ყველა თქვენთაგანზე ლამაზია, არა? ამიტომ არ მოათავსეთ სურათი?

— ო, არა, — უპასუხა გამომცემლობის დირექტორმა, — უბრალოდ არ ვიცოდით, ვისი სურათი მოგვეთავსებინა, თქვენი თუ თქვენი მეუღლისა.

— აბა რა გგონიათ, — ჩაიციხა ქალმა, — იქნებოდა კი ჩემი ქმარი პოეტი, მე რომ არ ვყოფილიყავი?

აბუთალიბი ერთხელ იმ ქალის ქმარს შეხვდა და უთხრა:

— მოდი, კუსა, ერთი კვირით მაინც მათხოვე შენი ცოლი, ხელად სტალინური პრემიის ლაურეატი გავხდები.

— რას ამბობ, აბუთალიბ, ათი წელია მაგასთან ცეცხოვრობ და პაჯი პასუმის პრემიაც ვერ მივიღე.

— მაშინ ცოტა ნიჭი სთხოვე.

ა ბ უ თ ა ლ ი ბ ი ს ა და ხ ა ტ ი მ ა თ ი ს ა მ ბ ა ვ ი. აბუთალიბი ახალგაზრდობაში მეცხვარე იყო, მერე მკალავი გახდა, მაგრამ მწყემსის სალამური მუდამ თან დაჰქონდა და თავისუფალ დროს უკრავდა ხოლმე. ასეთი ხელობა ჰქონდა, სოფელ-სოფელ დადიოდა და, აი, ერთხელ, ზოგი ამბობს, ყულაშიო, ზოგი — ყუმუხშიო, ქალიშვილი მოვიდა აბუთალიბთან და სურა მოუტანა მოსაკალავად. ქალიშვილს ხატი-მათი ერქვა. დიდხანს უტრიალა აბუთალიბმა სურას. ხან გვერდზე გადასდებდა და თამბაქოს აბოლებდა, ხან სალამურს უკრავდა, ხან კიდევ ტყუილ-მართალს უყვებოდა ხატიმათს.

ხატიმათი აჩქარებდა მკალავს და უყვიროდა:

— შე კაი კაცო, რამსიგრძე პაპიროსებს ასვევ!

— რას ამბობ, ძვირფასო ხატიმათ! ახლა არშინის სიგრძე პაპიროსს გავახვევ, რომ უფრო დიდხანს მეყოს.

ბოლოს მართლა გაბრაზდა ქალიშვილი და, აბუთალიბსაც რა გზა ჰქონდა, სურა უნდა დაებრუნებინა. ფრიად გაისარჯა ხელოსანი, სურა ახალივით ბრწყინავდა, მაგრამ ქალიშვილმა სურის გავსებაც ვერ მოას-

წრო, რომ წყალი წურწურით გავიდა. გაბრაზებული ცრემლმორთუ-  
ლი ქალიშვილი აბუთალიბთან მიიჭრა.

— რა არის ეს, რამდენ ხანს აკეთებდი სურას და ახლა უარესად  
გასდის წყალი.

— დაე, შენს სურას ყოველდღე კენჭებს ესროდნენ კისკასი და  
თვალტანადი ბიჭები, ნუ ბრაზობ, ხატიმათ, მე ხომ განგებ დავუტოვე  
სურას ნასვრეტი, ვიფიქრე დაბრუნდება და ერთხელ კიდევ ვიხი-  
ლაგ-მეთქი.

— თუ კარგია, შენ გაცვიოდეს თავზე ის კენჭები! — მიახალა ხა-  
ტიმათმა და იმის შემდეგ იჭაურობას აღარ მიჰკარებია.

აბუთალიბი ძლიერ დარდობდა, ხატიმათის სიყვარული უღვივოდა  
გულში. რაც უფრო ეგზუნებოდა ტრფობის ალი, მით უფრო ტანჯავდა  
სევდა. დადარდიანებულმა აბუთალიბმა სიმღერა დაწერა, სადაც ხატი-  
მათსა და მის სიყვარულს უმღეროდა, შემდეგ მეორე ლექსი დაწერა,  
მეათე, მეოცე და ბოლოს მკალავიდან ცნობილ პოეტად იქცა.

ამასობაში ხატიმათი ვიღაც ჰაჯის გაჰყვა ცოლად. შემდეგ გაშორდა  
და მეორედ გათხოვდა, ახლა ვიღაც მუსას გაჰყვა.

ერთხელ, როცა ცნობილი პოეტი აბუთალიბი ბაზარში მიდიოდა,  
ვიღაცამ დაუძახა:

— ეი, აბუთალიბ, სურას ვერ შემიკეთებ?

პოეტმა მოიხედა და ხატიმათი იცნო — მოხუცებული, მოხრილი  
და ავადმყოფი.

— ალბათ, გაყოყორდი, აბუთალიბ, აბა რა! დეპუტატი ხარ და  
მკერდზე ორდენიც გვიდა, გეტყობა, დაგვიწყნია შენი სახელოსნო,  
ისე, კაცმა რომ თქვას, პოეტად მე ვაგზადე, მაშინ რომ სურა არ მო-  
მეტანა შესაკეთებლად, ახლაც ბაზრის მკალავი იქნებოდი.

— თუ მართლა ამდენი შეგიძლია, ხატიმათ, თუ მართლა შეგიძლია  
ადამიანი პოეტი გახადო, მაშინ რატომ შენი პირველი ქმარი ჰაჯი არ  
ვაგზადე პოეტი? არც შენი მეორე ქმრის მუსას სიმღერები მსმენია ჯერ-  
ჯერობით.

თქვა აბუთალიბმა და მოსცილდა ქალს. ხატიმათი პირდაღებული  
იდგა, არ იცოდა, რა ეპასუხნა, წვიმის პირველმა წვეთებმა გამოათხიზ-  
ლა.

ამრიგად, არავის შეუძლია პოეტად ვაგზადოს, პოეტი უნდა იყო.

მამამ მიამბო: მე რომ პირველი ლექსი დაწერე, დაღეს-  
ტანში ერთ მეტად ცნობილსა და პატივსაცემ პიროვნებას მამასათვის  
უთქვამს:

— კარგი იქნება, ახლა რასულს ვინმე თავდავიწყებამდე შეუყვარ-  
დეს. მნიშვნელობა არა აქვს, ბედნიერი იქნება თუ უბედური ეს სიყვა-  
რული, ცალმხრივი იქნება მისი გრძნობა, თუ თანაგრძნობას ჰპოვებს.

უკეთესია, თუ მხოლოდ ტანჯვას მოუტანს. აი, მაშინ კი დიდი პოეტი გახდება.

მამაჩემის მეგობარმა ქალიშვილიც კი გამომიძებნა, ნორჩი და მომხიბლავი, რომელიც გამაუბედურებდა. თუმცა ბედნიერებას ვერ მომიტანდა იგი, მაგრამ სამაგიეროდ პოეტი ვიქნებოდი.

მამამ ასე უპასუხა მეგობარს:

— შეხედე, რამდენი შეყვარებულია ქვეყანაზე, განა ყველა მათგანი პოეტი? ლამაზ სიყვარულსაც ნიჭი უნდა. შეიძლება სიყვარულს უფრო სპირტება ნიჭი, ვიდრე ნიჭს — სიყვარული. რა თქმა უნდა, სიყვარული ნიჭის თანამგზავრია, მაგრამ ნიჭს ვერ ცვლის. ამასვე ვიტყვი სიძულვილზეც, — სიყვარულის საწინააღმდეგო გრძნობაზე.

— კი მაგრამ, აბა, მაჰმუდი აიღე, სიყვარულის მგოსანი...

— სწორია, მაჰმუდი რომ სახელოვანი პოეტი გახდა, უფრო მეტად მისი სატრფოს წყალობაა, მაგრამ, მე ვფიქრობ, სატრფო რომ არ ყოფილიყო ქვეყანაზე, მაჰმუდი მაინც დიდი პოეტი იქნებოდა. მისი მოუსვენარი და ბობოქარი ძალა, სულერთია, მაინც იპოვიდა გზას, როგორც ლორთქო ბალახი პოულობს გზას მძიმე, ბნელ და ნესტიან მიწაში და მზისკენ მიიწევს; ხანდახან ქვაშიც კი ამოხეთქავს ხოლმე.

ღიახ, ნიჭს ისევე კვებავს ადამიანური ძალუმი გრძნობები — სიყვარული და სიძულვილი, როგორც ცეცხლს ხმელი შეშა. ლექსს ნათელი ღიმილი ანდა მწარე ცრემლი ჰბადებს. ორი მაგალითი მინდა მოგიტანოთ:

რა ნაღველი, ან რა ტანჯვა შეედრება შეილის დამკარგავი დედის მწუხარებას? აი, ხალხი შეკრებილა, — მის ვაჟს ასაფლავებენ, დედა კი გაქვავებულია, ცრემლებად იღვრება და არ ძალუძს სიტყვით გამოთქვას თავისი მწუხარება, რომ ყველა აატიროს და გული მისებრ დაუთუთქოს.

მაშინ მოზარეებს მოიყვანენ. სხვისი მწუხარება მათ ცრემლებს ვერ მოჰგვრის, მაგრამ თავიანთი საშინელი ხელოვნებით ვის არ ააქვითინებენ.

ამ ხელოვნებას საშინელს ვუწოდებ. მართლაც, საშინელი და მკაცრია. ტყუილა როდი ამტკიცებს მუსულმანური რელიგია, მოზარეებს საიჩიოს მარადიული ტანჯვა ელოდებათ პირმოთნეების, თვალთმაქცებისა და ცილისმწამებლების დარად, მაგრამ მათ ხელოვნებას, ვერაფერს დააკლებ.

ახლა საწინააღმდეგო მაგალითი: რა შეედრება მშობლების ბედნიერებას, რომელთაც ვაჟიშვილი წამოესწროთ, დაუფაჟკაცდათ და ახლა ცოლს ირთავს? ქორწილი მხიარული დღესასწაულია — არის ცეკვა და სიმღერა. ყველაზე მეტად, ცხადია, ნეფის დედ-მამა ხარობს, მაგრამ



ვანა შეუძლიათ გამოხატონ ბედნიერება სიტყვებითა თუ სიმღერებით, რომ სტუმრებმაც იხარონ მათი სიხარულით?

არა, მშობლები წინასწარ დადიან აულებში და საუკეთესო მომღერლებს იწვევენ. მომღერლები მოდიან. გუშინ სხვის ქორწილზე მღეროდნენ, ხვალ სხვაგან იმღერებენ, მათთვის ეს სულ ერთია, მაგრამ თავიანთი ხელოვნების წყალობით ხალხს ადაფრთოვანებენ და ნამდვილ სიხარულს ანიჭებენ.

იქნებ ნიქს ცხოვრებისეული გამოცდილება და რუღუნება კვებავს? იქნებ ხელოვნებაში ყოველგვარი ნიქის გამოვლინება ფართო ცოდნის, რთული ბედისა და დიდი საქმეების შედეგია?

ასე რომ იყოს, მაშინ თოთხმეტი წლის ხუნძი ბიჭი, თანაც ბრმა, როგორ შესძრავდა აულებს ფანდურზე დაკვრით?

ბავშვობიდანვე სარეცელზე მიჯაჭვულმა ხუნძმა ჭაბუკმა მუჰამედ რაჯიბოვმა ისეთი სიმღერა დაწერა დედაზე, კაცი არ არის ხუნძახში, ზეპირად არ იცოდეს და არ მღეროდეს. მუსიკა ორივე ფეხით დადამბლავებულმა ცურმილოვმა დაუწერა. ერთხელ ლექსი ვუძღვენი ცურმილოვს:

რვა სიმი აქვს მანდოლინას შენსას,  
რვა სიმი და რვა ითასი სიმღერა...

ნიჭიერი ბრმა უნიჭო თვალხილულს დასჯაბნის. ვილაცას უთქვამს: კაბინეტში ჩაკეტილი ჰკვიანი კაცი მეტს ხედავს, ვიდრე ქვეყნის კილით-კიდემდე მოხეტიალე სულელიო.

ბაზრის კართან ხელგაწვდილ ბრმა მუჰამედს არც ბაზარში ნაშოვნო დღიური მონაგარის დათვლა შეეშლებოდა.

უ ბ ი ს წ ი გ ნ ა კ ი დ ა ნ . თუ ნიქის ძალა მხოლოდ მხედველობაშია, მაშინ როგორღა მღეროდა ლეკი პოეტი კოჩხურელი, ორივე თვალი რომ დათხარა ხანმა? თუ ნიქის ძალა სიმდიდრეშია, როგორ მოიხვეჭა დიდება ღარიბმა და ობოლმა ლეკმა პოეტმა ეთიმ ემინმა. თუ ნიქის ძალა განათლებაშია, როგორ გახდა „XX საუკუნის ჰომეროსი“ სულეიმან სტალსკი, ხელის მოწერის ნაცვლად მელანში ჩაწებულ თითს რომ დააჩნევდა ხოლმე ქაღალდზე. თუ ნიქის ძალა განათლებასა და ერუდიციასშია, მაშინ რატომ შემხვედრია უამრავი ნაკითხი და ერუდიტებული ადამიანი, ორი სტრიქონის გადაბმაც რომ არ შეუძლია ერთმანეთზე?

წინათ მთებში საინტერესო შეჯიბრებანი ეწყობოდა ხოლმე. ერთ მხარეს განათლებული, წერა-კითხვის მცოდნენი იყვნენ, მეორე მხარეს — უსწავლელები, მეცხვარეები, თავისი ხელობის გარდა რომ არაფერი იცოდნენ. ორივე მხარე ერთმანეთს ეჯიბრებოდა შაირობაში.

უფრო ხშირად მეცხვარეები იმარჯვებდნენ. განათლებულ მომღერლებს მოზომილ ხმას ქარივით ლალი სიმღერები ახშობდა, მწვანე ფერ-  
ლობიან მთებს რომ ევლებოდა თავზე.

ყველას მაინც ის პოეტები სჯობნიდნენ, მუტალიბებიც და ჩობნე-  
ბიც რომ იყვნენ ერთდროულად. შეჯიბრში მაკმული და მამაჩემი  
ჰამზათ ცადასა თუ ლებულობდნენ მონაწილეობას, მაშინ ისინი ეჯიბ-  
რებოდნენ ერთმანეთს და სხვა მომღერლები განზე რჩებოდნენ.

იქნებ ტალანტის ძალა უბრალოდ ჰკუთვია? ბევრი ჰკვიანი მინახავს  
მოსკოვსა თუ სხვა ქვეყნებში. მათი ჰკუა რომ ლექსსა და რომანში  
განსახიერებელიყო, ხელოვნების ფასდაუდებელი ნაწარმოებები შეი-  
ქმნებოდა, მაგრამ რაღაც უშლით ხელს აზრის ქაღალდზე გადატანაში  
და გონიერული აზრები ან ჰაერში ქრება, ან პატრონთან ერთად ჩადის  
სამარეში.

შეიძლება ტალანტის ძალა შეუპოვარ, ქანცვამწყვეტ შრომაშია?  
ხშირად ვამიგონია, ტალანტი თავისთავად არ არსებობს, იგი მხოლოდ  
შეუპოვარი შრომის შედეგად ჩნდებაო. წარმოიდგინეთ და, მე ტოტზე  
შემომჯდარი ბულბულის გლობა უფრო მომწონს, ვიდრე მძიმე  
საპალნეაკიდებული ვირის სიმღერა.

სიმღერით მეურმე მღერის და არა გამწევი ხარი.

დიდება შენდა, ალაპ, რამდენი წინააღმდეგობაა ქვეყანაზე! თუ  
სიმღერა მეურმის მოცლილობის ნაყოფია, მაშინ მთელი ხელოვნებაც  
უსაქმურობისა და მოცლილობის შედეგი ყოფილა, ანუ მატერიალური  
უზრუნველყოფისა და განცხრომის შედეგი.

მაგრამ განა მდიდრულ სასახლეებში ღარიბ ქონებში შექმნილ სიმ-  
ღერებს არ მღერიან? ყველა ზღაპარი ხანებსა და მდიდრებზე ღარი-  
ბების შეთხზულია. შამხალმა ციმბირში გადაასახლა ირჩი კაზაკი. ირ-  
ჩი კაზაკი ციმბირშიც განაგრძობდა ლექსების წერას. მისი ლექსებიდან  
იცის ხალხმა ყუმუხელი შამხალის ამბავი.

ქაბუცი ქართველი თავადი დავით გურამიშვილი ლეკებმა მოიტა-  
ცეს. უნეტუკულს ჰყავდათ ორმოში დამწყვდეული. იჯდა ნესტიან ორ-  
მოში, ფიქრობდა თავის ცისფერ, მარგალიტის საღარ საქართველოზე  
და ლექსად ამოთქვა თავისი საფიქრალი. შეიძლება ითქვას, რომ  
დავით გურამიშვილის პოეტობაში მთიელებსაც წვლილი მიუძღ-  
ვით.

ხუნძახის ხანის ქალიშვილს, აიშატს, ახალგაზრდა ლამაზი მეცხვარე  
შეუყვარდა. ეს რომ მამამ გაიგო, ქალიშვილი სახლიდან გააგდო. ზამ-  
თრის ცივი ღამე იყო. კაბისამარა, მუხლამდე თოვლში ჩაფლულმა, ქა-  
რისა და ყინვისაგან გათოშილმა აიშატმა თავისი პირველი სიმღერა  
შეთხზა.

თუ ასეა, მაშინ იქნებ ტალანტის მთელი ძალა ადამიანის სისუსტესა

და სილარიბეშია? იქნებ უბედურება და დარდი წარმოშობს საუკეთესო სიმღერებს? რანი ხართ თქვენ, ლექსებო, და რა გინდათ? თქვენ მაშინ ეწვიეთ ბატირაის, როცა იგი ავადმყოფი, მოხუცი და მშვიერი უჯდა ჩამქრალ და გაციებულ კერას. თქვენ მაშინ ეწვიეთ მაჰმუდს, როცა იგი კარპატების სანგარში იყინებოდა, როცა გაუთხოვდა მზეზე, მიწაზე და სიცოცხლეზე უფრო საყვარელი ადამიანი. აბუთალიბსაც მაშინ ეწვიეთ, როცა ხურჯინგადაკიდებული, ხელჯოხით დადიოდა აულ-აულ სამათხოვროდ, როცა მას ხატიმათმა ხელა ჰკრა და სხვას გაჰყვა ცოლად. ელდარილავთან მაშინ მოხვედით, როცა შხამიანი ფილა მიაწოდეს მუხანათებმა. მკაცრმა ზუნტი-ნაიბმა პირი ამოუქერა მშვენიერ ახხილმარინს, მაგრამ მარინმა სწორედ მაშინ იმღერა თავისი საუკეთესო სიმღერა. ამ სიმღერამ წაართვა ნაიბს ძილი და მოსვენება მთელი სიცოცხლის მანძილზე.

მითხარი, ნიჭო, რაშია შენი ძალა? რა ხარ შენ—სინდისი, პატიოსნება, გამბედაობა თუ შიში? მშიშარა კაციც ხომ მღერის ხოლმე, ღამით გზას რომ დაადგება და სიმღერით იმხნეებს თავს.

ბედნიერება ხარ თუ უბედურება, ჯილდო თუ სასჯელი? სილამაზე ხარ, ხალხის სატანჯველად გაჩენილი, თუ ტანჯვისგან შექმნილი სილამაზე? ან ეგებ მოვლენებისა და დროის შვილი ხარ? ქვის ქვაზე შემოკვრა ნაპერწყალს აჩენს, ომი ადამიანების რიცხვს არ ზრდის, სამაგიეროდ გმირების რიცხვი მატულობს ომის დროს. ისევე არ ვიცი, რა არის ნიჭი, როგორც არ ვიცი, რა არის პოეზია. მაგრამ ხანდახან შინისაყენ რომ მივეშურები, ან უცხო მხარეში ვარ, ძილშიაც (თითქოს ნაბადს მხდიდეს), მაშინაც, როცა მწვანე ბალახზე ვაბიჯებ (თითქოს ამ ხასხასა სიმწვანესავით იღვრებოდეს ჩემში და სისხლს ერწყმოდეს), ჭამისას, მუსიკის მოსმენის დროს, შინაურებსა და მეგობრებში ყოფნისას, მაშინაც, როცა ბავშვი ამყავს ხელში და გზას ვულოცავ, როცა მხარს შევეუდგამ მეგობრის კუბოს და უკანასკნელ გზაზე ვაცილებ, ან როცა ჩემს საყვარელ არსებას ვუყურებ — მოულოდნელად გამომეცხადება რაღაც უჩვეულო, საოცარი, გამოუცნობი და მძლავრი. იგი ხან მხიარულია და ხან ნაღვლიანი, მაგრამ მუდამ სამოქმედოდ მაქვებებს და ენამხეს მხდის. იგი დაუბატიყებლად და დაუკითხავად მოდის, მოდის და მოჰყვება ჩოხიანი მაჰმუდი ფანდურით ხელში. თან მოჰყვება მისი ტრფობა, სიმღერებმაც რომ ვერ გამოიტირეს. აქა მამაჩემიც ნაზი, მწუხარე ღიმილთ, ელდარილავი შხამიანი ფილით ხელში, მკაცრი ნაიბის ნებით. პირამოკერილი, ტუჩებდასისხლიანებული მარინი, მათ უკან კი გოლიათების შორეული სახეები ირევა: დანტე, ტოლსტოი, შილერი, ბლოკი, გოეთე, ბალზაკი, დოსტოვესკი... ხანდახან ნათელი სხივით გაქრილ ბურუსში თითქოს თვით ღმერთის სახეც კი გამოკრთება ხოლმე.



- ვინ ხარ შენ? — ვეკითხები ცხადლივ ზმანებას.
- შენი ნიჭი ვარ, შენი პოეზია.
- საიდან მოხვედი?
- მე ყველგანა ვარ.
- იქნებ ტოლები ვართ?

— ო, არა, მე ერთი წამისაც ვარ და ათასეული საუკუნეებისაც. ჩემში ბავშვის უმწიკვლობა, თავდავიწყებული ჭაბუკის ვნება და მოხუცის სიბრძნეა. მე ასაკი არა მაქვს. ჩაუმქრალი კოცონი ვარ. სიმღერა ვარ, რომელიც იწყება და არასოდეს მთავრდება. ცაში ფრენა ვარ დაუსრულებელი. ძალზე შორი ვარ შენგან და მაინც შენში ვგვიბ. სიხარული და სიტკბობაც მომაქვს და მწარე ნალველიც. არა არის რა ჩემზე მსუბუქი, არა არის რა ჩემზე მძიმე.

მე თუ განვცხადდი, ვიოლინოს სიმების თრთოლვა ცივ კედლებს განაპობს, მე თუ განვცხადდი, ზურნის ტუშზე ჯიხვები დაიწყებენ ცეკვას მთის ხეობებში, მე თუ განვცხადდი, მკვლელს ხანჯალი გაუფარდება ხელიდან და ბაგე ბაგეს შეეწებება.

მე იქ ვიყავი, როცა ანდელ ფატის ჩოხტო მოხადეს. როცა უნავიროზე გადადებული მარიამი გაიტაცეს, მაშინ როცა ქანა დ'არკმა ხმალი იწიშვლა, და როცა მაგელანმა თუ კოლუმბმა იალქნები გაშალეს. როცა „სიქსტის მადონა“ იქმნებოდა, მაშინაც იქ ვიყავი.

ჩემი მოღვაწეობის ასპარეზი ყველა დრო და ყველა ქვეყანაა, ჩემი გმირი — ხალხია. ხალხს გონება და სული გააჩნია. ყველა მატერიკზე იციან სიყვარული და სიძულვილი, გაბედულება და შიში, კეთილშობილება და ეშმაკობა, თავდადება და ტყუილი, სიწმინდე და ცილისწამება. ადამიანების გონება და სული, — აი ჩემი ბრძოლის ველი, დამარცხებათა და გამარჯვებათა ასპარეზი, ჩემი მოქმედების არე.

— მაშ სიშარტლე მითხარი, რის მაქნისი ვარ მე? მეც იმ თოვლს ხომ არ ვემსგავსები, ხვალ რომ დადნება? გაბზარულ დოქში ხომ არ ვასხამ წყალს? შენი ჩაუქრობელი კოცონის ერთი ნაპერწკალი მაინც თუ მოხვდა ჩემს სულში, შენი ერთი მწველი, ცეცხლოვანი და დამატრობელი წვეთი თუ შეეხა ჩემს ბაგეს?

თვალთავან სიხარულისა და მწუხარების ცრემლები მცვივა, მონადირის ჩქამზე დამფრთხალი ფრინველივით, თვალის სიღრმეში არაერთი ცრემლი გადამიძალავს, მაგრამ ეს მალული ცრემლებიც ზოგი სიხარულისაა და ზოგიც მწუხარებისა, ერთი ბედნიერებისაა და მეორე უბედობის. თავზე ორი ფერის თმა მაქვს, შავი და ვერცხლისფერი. თავდაც ერთი ფეხი სიჭაბუკეში მიდგას და მეორე სიბერეში. სიჭაბუკე და სიბერე მუდამ ერთმანეთს ებრძვის, ბრძოლის ველი — ჩემი სულია.

ჩემი სიუვარული თითქო ორი რტოა ხეხილის,  
ერთი გამხმარა, მეორე კი შეფოთლილია,  
ჩემი სიუვარული არწივია ფრთამოტეხილი,  
ცალი ფრთით ვალევს, ამ ძნელ გზაზე რაც მანძილია,  
ორი ჭრილობა მტეხავს ნიადაგ,  
ერთი შევრულა, მეორე კი იღვრება სისხლად,  
ხან წუხილია თანამგზავრი აღამიანთა,  
ხან სიხარული მოგვეზღვება, თვითველ მისხლად.



ცხოვრება ხანმოკლეა და ზღვარი უღევს, ოცნება კი უსაზღვროა. მე ჯერ გზაში ვარ, ოცნება კი უკვე შინ არის. სატრფოსკენ ვეშურები, ოცნებას კი უკვე გულში ჩაუტრავს იგი. მე დღეის დღით ვცხოვრობ, ოცნება კი უთვალავი წლებით მისწრებს წინ. აი, იმ სამანსაც გასცდა, სადაც წყვდიადში სიცოცხლე უეცრად წყდება. ოცნება საუკუნეებს გადაუფრენს.

შამილს გამოცანა უთხრეს. სამკვანძიანი თოკი მისცეს, ერთი ბოლო ორჯერ ზედიზედ იყო გაკვანძული, ხოლო თოკის მეორე წვერი ერთხელ გაეკვანძათ, ისიც ბოლოში. მოდი და გამოიციანი!

შამილმა თოკი გაასწორა და თქვა:

— ერთი კვანძი მე თვითონ ვარ. მეორე კვანძი ჩემი სიკვდილია. მესამე კი ადგილია, სადაც ჩემი ოცნება, ფიქრი და ჩემი მიზანი დასახლებულა, მე რომ ვესწრაფი და ვერ მივაღწიე.

ვის უნდა ემსახურო, ჩემო ნიჭო, მე თუ ჩემგან შორს გაფრენილ ოცნებებს?

ღიახ, შენ ჩაუქრობელი კოცონი ხარ. სიმღერა ხარ, რომელიც იწყება და არასდროს მთავრდება. ცაში ფრენა ხარ დაუსრულებელი. შევძლებ კი შენს მარადიულ სიმღერაში თუნდაც ერთი ჩემი მელოდია, ხუნძური მელოდია ჩავაწინა? ეგებ მცირე რამ შეემატო უკვდავ სიმღერას.

შევძლებ კი დაღესტნის მწვერვალებზე პატარა კოცონის დანთებას, — შენი ჩაუქრობელი ცეცხლის განტოტვა რომ იყოს, ან თუნდაც ერთი კლდიდან მეორე კლდეზე გადაფრენას და ამით შენი უსასრულო ფრენის განგრძობას?

ჩემი აული — ცადა! ეს კი ცეცხლს ნიშნავს. ერთხელ უცხო აულელმა კაცმა მკითხა:

— საიდანა ხარ, ჭაბუკო?

— ცადადან.

— ჯერ შენი ლექსები წამიკითხე, და გეტყვი, ცეცხლიდანაა შექმნილი თუ გაციებული ნაცრიდან.

ხანდახან ეჭვი მიბყრობს ხოლმე. იქნებ უკვე გამოიღარა და გაფანტული ღრუბლებიდან მზემ გამოანათა, მე კი მხრებზე ნაბადი მომიფ-

დია-მეთქი. იქნებ ქურდებს უკვე გაუტაცნიათ ხარი და მე კი ახლად ვალდებ ბოსელს ბოქლომს-მეთქი. იქნებ ათასჯერ მოსმენილსა და გავგონილ ამბავს გიყვებით-მეთქი. ახლახან გულუხვი სუფრიდან წამოშლილ სტუმრებს ხელმეორედ ხომ არ ვპატიუებ-მეთქი. იქნებ არც ღირდეს წიგნის დაწერა?

— თუ შეგიძლია არ დაწერო, ნუ დაწერ.

— განა შემიძლია, რომ არ დავეწერო? განა შეუძლია ავადმყოფს არ დაიკვნესოს, როცა ძალიან უჭირს? განა შეიძლება ბედნიერი კაცი არ იღიმებოდეს? ანდა ბუღბუღი არ კვნესოდეს მთვარიანი ღამის მღელმარებაში? განა შეიძლება არ ამოიზარდოს ბალახი, როცა თესლი უკვე გამსკდარა ტენიანსა და თბილ მიწაში? განა შეიძლება, არ გაიფურჩქნოს ყვავილი, როცა გაზაფხულის მზით გავსებულა კოკორი? განა შეიძლება ზღვისკენ არ იდინოს მთიდან მომსკდარმა ნაკადულმა, თუკი ყინული დადნა და წყალი ზათქით მოაგორებს ქეებს? განა შეიძლება დაფიცებულ ტოტებს ცეცხლი არ წაეკიდოს და ალი არ ავარდეს?

მე ბავშვობიდანვე შევიყვარე კოცონი: ცხვარში ღამის თევისას. თუ მდინარის ნაპირთან, კლდის ძირას, მთის მწვერვალზე თუ კერიაში აბრიალებული კოცონი. ვიცი, ცეცხლის დანთება ძნელი არაა, გაცილებით ძნელია ავღრიან ღამეში გათენებამდე ცეცხლის შენახვა.

ვგრძნობ, გულში ცეცხლი მინთია, მაგრამ რა ვიღონო, რომ არ ჩამეფერტლოს, ვიდრე ვინმეს გაათბობდეს, ვიდრე სიბნელეში გზას გაუნათებდეს კაცთაგანს. როგორ მოვიქცე, რომ დავზოგო და განემტკიცო ჩემი ნიჭი?

მ ა მ ი ს მ ო გ ო ნ ე ბ ი დ ა ნ: ერთი მთიელი მამასთან მივიდა და ჰკითხა:

— ვსინჯე და დავრწმუნდი, რომ ლექსის შეთხზვა შემძლებია. ის კი არ ვიცი, რა არის საჭირო ნამდვილი ლექსის დასაწერად.

მამამ უპასუხა:

— ვიოლინოს აწყობა არაფერია, ვიოლინოზე დაკვრა უნდა შეგეძლოს. მიწის ნაკვეთი გინდა გქონია და გინდ არა, თუ ვერ დახნავ და ვერ დათესავ.

— როგორ დავეწერო კარგი ლექსი, რა ვიღონო, რა ვქნა?

— როგორ თუ რა? უნდა იშრომო.

## შ რ ო მ ა

ეს ამბავი დიდი ხნის წინათ მოხდა, მაგრამ გუშინდელივით ცხადად მახსოვს. ჩემს პოემაში აღვწერე და არ შემიძლია, აქაც არ გავიხსენო. მე, სრულიად უცნობმა ჰაბუკმა, დაღესტნელი პოეტის ჰამზათის

გავმა, აული დავტოვე და ჯერ მახაჩყალას, ხოლო შემდეგ მოსკოვს  
გავემგზავრე. გავიდა წლები. ლიტერატურის ინსტიტუტი დავამთავრე,  
ჩემი ლექსების ათი კრებული გამოიცა, ერთ-ერთმა სტალინური პრემი-  
ა დაიმსახურა. დავქორწინდი, ერთი სიტყვით, პოეტი რასულ გამზა-  
თოვი გავხდი. ჰოდა, მაშინ გადავწყვიტე, ისევ მომენახულებინა ჩემი  
აული.

მთელი დღეები იმ ადგილებში დავეხეტებოდი, ბავშვობისას რომ  
მირბენია. შევეცქეროდი კლდეებს, ნაპრალებს, ვესაუბრებოდი ხალხს,  
ვისმენდი ნაკადულის სიმღერას, მღუმარედ ვიჭეჭი სასაფლაოზე, ანდა  
კვლავ მინდვრად დავეხეტებოდი.

ამერიკაში, ფორდის ქარხანაში, ბორცვი ვნახე, სადაც კონვეიერი-  
დან ჩამოსულ ავტომანქანებს ცდიან. მწერლისთვის ამგვარი საცდელ-  
ლი ბორცვი მისი სამშობლოა.

აგერ, სამარგლავიდან შინ ბრუნდებიან დაღლილ-დაქანცული, დამ-  
ტვერილი ქალები; დანისპირა ბალახისაგან ხელები დაჩხვლეტიათ და  
დასერიათ. დასასვენებლად გზის პირას ჩამოსხდნენ. მიგუახლოვდი. არ  
ვიცი შემნიშნეს და მაშინ წამოიწყეს ჩემზე ჭაპარაკი, თუ ადრე და-  
წყებულ საუბარს აგრძელებდნენ. ერთმა ქალმა ბლუჯა ბალახით პირი-  
სახეზე ოფლი მოიწმინდა და თქვა:

— ვინმემ რომ მკითხოს, ყველაზე მეტად რას ინატრებდიო, რასულ  
გამზათოვის უღარდელ გულს და იოლ ხვედრს-მეთქი, ვუპასუხე-  
ბდი.

— როგორ გგონია, რასულს გულის მაგივრად ყველის ნაჭერი  
უდევს და არაფერი სატკივარი არ აწუხებს? — გამომექომაგა ჩემი  
ნათესავეთაგანი.

— შესაძლებელია ყველის ნაჭერი მართლაც არ ედოს, მაგრამ ისიც  
ცხადია, რომ არც პურის ყანა გაუმარგლავს ოდესმე, კოლმეურნეობის  
ზარი არ უხმობს სამუშაოდ და არც სამხრობად. არ იცის, რა არის  
შრომადღე, ან რა ერგება თითო შრომადღეზე. წერს ოდელია-დელიას...  
და რა აქვს სადარდებელი? რამ უნდა ატკინოს გული? უკეთეს ხვედრს  
მართლაც ვერ ვინატრებდი.

კეთილო ქალო! მოგიტხრო ჩემი მუშაობის, ჩემი ნიადაგ ქაპანწყვე-  
ტის ამბავი?

დანაღვლიანებული ვბრუნდებოდი მინდვრიდან აულში. აულის გო-  
დევკანზე თავშეყრილი ჭალარა უხუცესები თითქოს ცივ ლოდებს შეზრ-  
დიანო, დინჯად ბაასობდნენ მიწაზე, მოსავალზე, მთებზე, სა-  
ძოვრებზე, ავადმყოფობაზე, ჩვენი აულის წარსულზე. მიგუახლოვდი,  
მივესალმე და მეც ცივ ქვაზე ჩამოვჯექი.

ერთ-ერთ მოხუცს ახალი გაზეთი აღმოაჩნდა, — გაზეთში ჩემი



ლექსები იყო დაბეჭდილი და ახლა ლექსებზე ლაპარაკს მოპყვნენ. მხედარს მოსწონს, ცხენს რომ უჭებენ. ვიმედოვნებდი, თანასოფლელები ლექსებს შემიქებდნენ, — მოსკოვსა და მახაჩყალაში ქებას შევეჩვიე. მოხუცმა, ხელში გაზეთი რომ ეჭირა, შენიშნა:

— მაშაშენი ჰამზათი ლექსებს წერდა, შენც, ჰამზათის შვილი, ლექსებს წერ. როდისღა უნდა იშრომო? იქნებ ფიქრობ, ცხოვრება ისე გაატარო, პურის ნატეხის გარდა მეტს არაფერს შეეჭიდო?

— ჩემი შრომა ლექსის წერაა, — მეტისმეტი მორჩილებით ვუბასუხე მე, საუბრის ამგვარი წარმართვის გამო ცოტა არ იყოს შეცბუნებულმა.

— ლექსის წერა თუ შრომაა, მაშინ უსაქმურობა რაღაა? სიმღერა თუ შრომაა, მაშინ სიტყობება და დასვენება რა უნდა იყოს?

— სიმღერა ნეტარებაა მისთვის, ვინც მღერის, შემოქმედისთვის კი ქანცისგამწყვეტი შრომაა; მან არ იცის, რაა ძილი და მოსვენება, უქმე ან შევბულება. ქაღალდი იგივეა ჩემთვის, რაც შენთვის ყანა. ასოები ჩემი მარცვლებია, ლექსები — ჩემი თავთავები.

— ეჰ, ეს მხოლოდ ლამაზი სიტყვებია. ბანზე როდი მომეახლება ყანა, თავად უნდა ვეახლო, შრომის ოფლით გავაპოხიერო. ლექსი კი თვითონ გიბოვის, სადაც არ უნდა იყო; ლოგინშიც მოგძებნის! თითოეული შენი სიმღერა სტუმარია, კარზე რომ გიკაკუნებს. მაშასადამე, თითოეული სიმღერა დღესასწაულია, ჩვენი ყანა კი — დღენიადაგ ჯაფაში დაღამებული ცხოვრებაა.

ასე, ან დაახლოებით ამგვარად გამოხატავდნენ თავიანთ აზრს ჩვენი გოდეკანის უხუცესნი.

— სწორედ რომ სიმღერით ვცოცხლობ.

— მაშასადამე შენი ცხოვრება დაუსრულებელი დღესასწაული ყოფილა. სიმღერა ხომ ნიჭია. ვისაც ნიჭი აქვს, კარგი სიმღერის დაწერა ეადვილება, ვისაც არა, ის, ცხადია, უნდა იღვწოდეს. მაგრამ ამ საქმეს მარტოოდენ შრომა და ღვწვა ვერ უშველის.

— არა ხართ მართალი. ნაკლები ნიჭის კაცს ხელოვნებაც ეადვილება. ერთი ჰანგიდან მეორეზე პეპელასავით გადადის. ჩვენებურად რომ ვთქვათ, სარფს ეტანება. დიდი ნიჭი დიდ პასუხისმგებლობასთან ერთად იბადება, ჭეშმარიტად ნიჭიერ ადამიანს თავისი ლექსიც უმნიშვნელოვანეს, უძნელეს საქმედ მიაჩნია. ყველა სიმღერა სიმღერა როდია, არც ყველა ამბავია მოთხრობა.

— მაშინ, გვითხარი, როგორ მუშაობ და რაშია შენი ხელობის სიძნელე?

ჩემ გარშემო მოხუცი გუთნისდებები ისხდნენ. დავიწყე მოყოლა, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ გამიჭირდებოდა ამეხსნა ჩემთვის ყოველად ნათელი და უმარტივესი აზრიც კი. დავიბენი, შევცბუნდი და გავ-

ჩემდი. იმ დღეს გოდეჯანის უხუცესებმა მძლიეს, რამეთუ ვერ ავუხსენ-  
ნი, რად იყო ძნელი ლექსების წერა და საერთოდ რატომ იწერება  
ლექსი.

მას შემდეგ ბევრმა წელიწადმა განვლო, მაგრამ ახლაც რომ ეკი-  
თხათ, თუ რას წარმოადგენდა ჩემი ხელობა, რატომაა იგი საქნელი,  
ან რით განსხვავდება სხვათა ხელობისაგან, მკაფიოდ ვერ განუშარ-  
ტავდი.

სადაა ჩემი სამუშაო ადგილი? მაგიდასთან? ცხადია, მაგიდასთან.  
მაგრამ მთის ბილიკზე სეირნობის დროსაც რომ არ ცხრება ჩემი რუ-  
ღუნება? — ბეგრები მომეძალვიან, მეც ვარჩევ, ურგებს კი ვიშორებ.  
გულხელდაკრეფილი არც მატარებელში ვარ, როცა უცხო მხარეს  
გავემგზავრები — სწორედ ამ დროს შეიძლება მეწვიოს შთაგონება.  
თვითმფრინავეც ჩემი სამუშაო ადგილია, ტრამვაიც, წითელი მოედ-  
ნიც, მდინარის ნაპირიც, ტყეცა და მინისტრის მისაღები ოთახიც. მთე-  
ლი დედამიწაა ჩემი მოქმედების არე, ჩემი სახნავ-სამკალი. როდის  
ვმუშაობ? უთენია თუ შელამებულზე? რამდენ ხანს გრძელდება ჩემი  
სამუშაო დღე? რვა, ექვსი თუ თორმეტი საათი, იქნებ უფრო ხან-  
გრძლივიცაა და თუ ასეა, რატომ რვა საათიან სამუშაო დღეს არ მოვი-  
თხოვ?

მე ხომ ნიადვ ვიღვწვი, რაც თავი მახსოვს. სუფრაზეც და თეატრშიც,  
კრებებზეც, ნადირობაშიაც, ჩაიზეც და დაკრძალვაზეც. ავტომანქანით  
სეირნობისას და ქორწილშიც, ძილშიც კი მეწვიევა ხოლმე სტრიქონი,  
სახე, ჩანაფიქრი და ზოგჯერ ლექსიც. მაშასადამე, ძილშიაც გრძელდებ-  
და სამუშაო დღე. აქამდეც უნდა გაფიცულიყავით. როგორ ვმუშაობ?  
ამაზე კი მართლაც ძნელია პასუხის გაცემა. ხანდახან მგონია, რომ ჩემი  
სამუშაო სხვა სამუშაოებისაგან არ განირჩევა. ზოგჯერ კი მგონია, რომ  
მხოლოდ თავისთავადია და ვერც ერთი ძეზორციელის საქმეს ვერ შე-  
ვუღარებ.

მაგრამ ხანდახან ისიც მეჩვენება, რომ ჩემ გარშემო ყველა ფუსფუ-  
სებს და მხოლოდ მე ვმცონარობ, ანდა პირიქით: თითქოს მე ერთად-  
ერთი ვიღვწვი და დანარჩენები უსაქმურად არიან.

ჩიტებს რა უჭირთ! მთელი სიცოცხლე იმას გალობენ, რაც მშობ-  
ლებს უსწავლებიათ. მდინარეს რა უჭირს, ათასწლოებით ერთი და იმა-  
ვე ჰანგით ბუბუნებს, მე კი მთელი ჩემი ხანმოკლე სიცოცხლე ახალ-  
ახალი სიმღერების შეთხზვას უნდა ვესწრაფვოდე, სიკვდილამდე რომ  
მეყოს.

რარივ გაუჭირდებოდა კაცს, ვინც გუთნით პირველი კვალი გააფ-  
ლო; კაცს, ვინც პირველი სიმღერა შეთხზა.

მაგრამ ათასი კაცის ნახნაზე ათას მეერთე ადვილად გააველებს კვალს,

ხოლო ათასი მგოსნის ნაკვალევზე ათას მეერთეს ბევრად უფრო გაუძნელდება ლექსის წერა.

ღიახ, გუთნის დედაც, ჩემი შრომა რაღაცით შენსას მიაგავს, ამიტომ, თუ ღმერთი გწამს, ნუ შემრაცხავ უსაქმურად, ვისი ცხოვრებაც მარად ტკბობას და მხართედოზე წოლას უნდება. უძილოდ გატეხილ ლამევებში მეც შენსავით ჩემს ყანაზე ვფიქრობ. შენ უკეთეს მარცვალს არჩევ, მე კი უზენაეს სიტყვას სიტყვათა შორის. ათასიდან ერთი უნდა ამოვირჩიო. მეც გამაჩნია ჩემი სახნავი, ჩემი ჯეჯილი და ჩემი მონაგარი, სიხარულს რომ მანიჭებს. ჩემებურად მეც მივსდევ კულტივატიზაციასა და მარგვლას, რადგან ჩემს ყანაშიაც მოხშირებულია სარეველა. მანქანასაც უჭირს კარგი მარცვლის განცალკევება ველური შვრიისაგან, მით უფრო ძნელია რიოში სიტყვის განცალკევება მარგ, ფერხორციან, კეთილ სიტყვათაგან.

შენ სეტყვას, სუსხსა და გვალვას განარიდებ ყანას, მე კი ისეთი სიმღერა უნდა შევთხზა, ყველაზე უფრო დაუძინებელ მტერს — დროს რომ არ შეუშინდება, რამეთუ მსურს ჩემმა სიმღერამ ასეულ წლებს გაუძლოს.

მეც არ მასვენებენ მავნებლები — ბუგრი, კალია, მღრღნელები. მათ შეუძლიათ მოსავალი წაიღწამოიღონ ან გამინადგურონ, ანდა ისე ჩამოხრონ, პირს ვერ აკარებდეს ადამიანის შვილი. ოღონდ ჩემი მღრღნელები შენს თავებებსა და, თრეებზე უფრო მოზრდილები და საშიშნი არიან; მათთან ბრძოლა ბევრად უფრო ძნელია და ზოგჯერ ამაოც.

ჩემი მონაგარი შემდგომ ხალხს უნდა ჩამოეურიგო. დაღესტანსა და სხვა ქვეყნებშიაც უნდა გაუსინჯონ გემო, გაუგონ სიტკბო თუ სიმწარე, განსაკუთრებული, მისებური სურნელი. ის არც ერთ ნაყოფს არ უნდა ჰგავდეს გემოთი.

მახსოვს, როგორ მასწავლიდა მამაჩემი ბავშვობაში ხელეურის შეგვრას. როცა ძნას მუხლს მივაბჯენდი და ულოს მოგქაჩავდი, მამა მარიგებდა:

— ფრთხილად, რასულ, ძნა არ მოგუღო!

ახლა, როცა ლექსის წერა გამიჭირდება ხოლმე, როცა სტრიქონები აქეთ-იქით მეფანტებიან და თავი ვერ მომიყრია, ძალ-ღონეს არ ვზოგავ, რათა ბოლომდე ვთქვა სათქმელი, როგორმე დავამთავრო ლექსი. ასეთ წუთებში ხშირად მამის დარიგება გამახსენდება ხოლმე: „ფრთხილად, რასულ, ძნა არ მოგუღო!“

ყანა ყოველ წელიწადს როდი გვალალებს ჰირნახულით. ერთ წელიწადს იმდენი პური მოვა, ბედლები და ელევატორები ვერ აუღის. მერე კი შეიძლება სამ წელიწადს არაფერი მოვიდეს. მეც ასევე ვარ: ყოველთვის როდი მომყვება ხელში საქმე. მგონია ვანოყიერებ ნიადაგს,

ვხნავ, ნარჩევ მარცვალს ვთესავ, პური არსობისა კი მაინც ვერ მომყვანია, ასეთ დროს თარგმანს ვკიდებ ხელს — ავსტრალიიდან თუ კანადიდან მიხდება მარცვლის შემოტანა. ვერავითარი ქიმიკი, ვერც დიდი და ვერც მცირე, ვერ მიშველის, თუკი პოეზიის ცეცხლი გამინელდა, თუკი ლექსი ვერ ამოვთქვი.

რას ვიზამთ, თითოეულ ლაშქრობასა და თითოეულ წამოწყებას წარმატება რომ მოჰყვებოდეს, მაშინ ხომ ყველა კმაყოფილი და გახარებული იქნებოდა. მიწა ყოველ წელიწადს უხვ მოსავალს რომ იძლეოდეს, ქვეყნად შშიერი არავინ დარჩებოდა. რაც კი ქალაღზე დაწერილა, სიმღერად რომ ქცეულიყო, მაშინ ადამიანები უბრალო ენით როდი ილაპარაკებდნენ, ცხოვრება დაუსრულებელი სიმღერა იქნებოდა. მაგრამ სიმღერა ძნელად იზადება.

მე დაღესტნის, საქართველოს, სომხეთის, ბულგარეთის ღვინისა და პლიზენის ლუდის სახდელი ქარხნები დამივლია. ჩემის აზრით, პოეტებსა და მეღვინეებს საერთო ბევრი აქვთ. — ერთსაც და მეორესაც თვისი გუმანი, თვისი საიდუმლოება გააჩნია. ლექსი ღვინოსავით უნდა დადუღდეს სულში, უნდა დავარგდეს. კარგ ლექსში მუღამაა რაღაც იდუმალი, სულის საღვინო მათრობელა. სწორედ აქედან წარმოდგება პოეზიის და ღვინის სიახლოვე.

ხანდახან მთის მივარდნილი აულის მალაზიას ღვინის კასრებით დატვირთული მანქანა კარს მოადგება. ერთ კასრს რომ ამ აულში გადმოაგორებენ, მეორეს მეორე აულში; ჩამოუვლის ხოლმე მძლოლი მთიან აულებს ბუნაისკიდან მოყოლებული, და ღვინოს ჩამოარიგებს.

მოკრავენ თუ არა ჭაბუკები თვალს ამ მანქანას, აულის ყოველი კუთხიდან აქეთ გამოსწევენ, ვითომცდა დინჯად, ფეხს არ აუჩქარებენ, ერთი სული კი აქვთ, არავინ მოგვასწროსო. ისე შემოეჭარებიან კასრს, როგორც ცხვრები სალოკავ ქვამარილს.

ღვინოს ღოქებში ჩამოასხამენ და როცა გემოს გაუსინჯავენ, ყველას იმედი უცრუვდება. აქეთ-იქიდან გაისმის:

— ესაა ღვინო? ეს ხომ წყალია!

— მდინარის წყალია!

— თუ კარგია, გამყიდველებმა სვან ეს წყალღვინო.

— მე რა შუაში ვარ, — თავს იცავს გამყიდველი, — ხომ ნახეთ, მანქანა რომ მოაყენეს, თქვენი თანდასწრებით არ გადმოაგორეს ღვინით სავსე კასრი, თავად ეხმარებოდით გადმოტვირთვაში, მე რა შუაში ვარ? რაც მომიტანეს, იმას ვყიდი. თუ არ მოგწონთ, ნუ იყიდით.

თურმე ნუ იტყვიოთ, ქალაქის საწყობის გამგე, სანამ ღვინოს რაიონში გაავზავნიდეს, სურვილისამებრ მოაკლებს კასრს და მერე სუფთა წყალს დაუმატებს: „რაიონისათვის ესეც რამეაო“. რაიონის საწყობში კი თავის მხრივ, სანამ აულებში დაგზავნიდნენ ღვინოს, ზუსტად

ამავე ოპერაციას იმეორებენ რაიონული მასშტაბის მუშაკები: „აუ-  
ლებსთვის ესეც რამეაო“. გზაში კიდევ მძლოლები და მტვირთავე-  
ბი ჩამოსახმენ რამდენიმე ბოთლს ავდარში შესახურებლად და მომ-  
ქანცველ, გაუთავებელ გზაზე გულის გადასაყოლებლად, მერე შიგ  
მთის წყაროს ცინცხალ წყალს ჩაუმატებენ და საბოლოოდ ან უგემუ-  
რი წყალღვინო რჩება და ან ღვინისაგან გაუგემურებული წყალი.

ზოგი ლექსიც ასეა: კითხულობ და ვერ გავიგია. პოეზია ჭარბობს,  
თუ ლიტონი სიტყვა. ასეთი ლექსი ზარმაც პოეტებს უნდა მოჰკითხო,  
მოთმინება რომ არ ყოფნით თავდაუზოგავი შრომისათვის. მაგრამ  
ვერც დაუდგრომელი ნაკადული მიაღწევს ზღვას: ზანტს გაუჭირდება  
მექას ჩასვლა. ერთ ცხენზე ამხედრებულნი ორი ქუდოსანნი მხარს  
უმაგრებენ ერთმანეთს. ნიჭი და შრომა ერთ უნაგირს შეზრდიან.

ა ბ უ თ ა ლ ი ბ ი ა მ ბ ო ბ დ ა : მეღექსის ნიჭი და შრომა ისე უნ-  
და მოერგოს ერთმანეთს, ვითარცა ხანჯალი ქარქაშსო.

უ ბ ი ს წ ი გ ნ ა კ ი დ ა ნ : იმხანად შინ ვერ ვდგებოდი და ერთთა-  
ვად ქუჩა-ქუჩა დავხეტებოდი. სკოლაში ვსწავლობდი, ლექსის წერაც  
პირველად მაშინ ვცადე. მაგრამ ვერც ლექსს ვუღებდი გულს, ვერც  
წიგნს. არც ლექსებისათვის მყოფნიდა მოთმინება, არც კითხვისათვის  
და ვერც გაკვეთილებს ვამზადებდი. ჯერ ავწვრილდებოდი, მერე მაგი-  
დას მოვცილდებოდი და, დროს ვიხელთებდი თუ არა, ქუჩაში გა-  
ვვარდებოდი. არც ახლა ვარ მაინცდამაინც გულმოდგინე და საქმის-  
თვის თავგამოდებული.

ერთხელ მამამ საწერ მაგიდასთან დამსეა, თან დამარიგა, ფეხი არ  
მოიცვალო, მალე დაებრუნდებო და სახლიდან გავიდა. კარგად აღარც  
მახსოვს, გაკვეთილები უნდა მომემზადებინა, თუ ლექსი უნდა დამე-  
წერა. მამამ კარის მოხურვა ვერ მოასწრო, რომ უკვე სახლის ბანზე  
ვიყავი. მამაჩემმა შემნიშნა და დედას გასძახა:

- ერთი თოკი მომიტანე, მანდ ლურსმანზე ჰკიდია.
- რად გინდა?

— რასული უნდა მივაბა სკამზე, სხვაგვარად მაგასთან ვერას გახ-  
დები. — მამამ შეასრულა განზრახვა და სკამზე მაგრად მიმაბა.  
თითი შუბლთან მომიტანა, ვითომ თუ რამ სასიკეთო გიყრია თავში,  
ავერ ქალაღზე გამოჩნდებო.

არც ახლა იქნებოდა ურიგო, ვინმე ჰქვიანი კაცი ხანდახან მწერ-  
ლებს სკამზე რომ მიგვაბამდეს... მაგიდასთან ჯდომას მაინც შევეჩვე-  
ვით!

თავი იქნებ მუშაობს კიდევ, მაგრამ მარტო თავი რას გახდება, თუ-  
კი ხელი უქმადაა, მაშინ თავიც იმ დოლაბსა ჰგავს, საფუქვავი რომ არა  
აბადია რა და ტყუილ-უბრალოდ ბრუნავს.

შ ა ნ გ რ ე ი ს , მ ი ს ი ვ ა ქ ი შ ვ ი ლ ი ს ა და ხ უ თ ი მ ა ნ ე -

თის ამბავი: კარგა ხნის წინათ ხუნძახში შეძლებული და ყველ-  
საგან პატივცემული კაცი შანგრეი ცხოვრობდა. ერთადერთი ვაჟი  
ჰყავდა. მზე და მთვარე მასზე ამოსდიოდა, ვაჟიც მეტისმეტად განგებო-  
რებული და ჭირვეული შეიქმნა. მამას უნდოდა შვილს სხვებივით  
ეშრომა, რათა კაცი გამოსულიყო. ვაჟს კი არ სურდა შრომა. მამის  
ნათესავ-მეგობრებიც რომ ანებივრებდნენ: ვინ ცხენს აჩუქებდა, ვინ  
ჩოხას, ვინ ფულს და ვინ ხანჯალს.

ერთხელ შანგრეი ლოგინად ჩავარდა. წამლებმა ვერ უშველა. მთე-  
ლი ნათესავ-მეგობრები და ყონალები გარს ეხვივნენ.

— რა ვიღონოთ, რით გიწამლოთ?

— მე კი ვიცი, რაც დამაყენებდა ფეხზე, მაგრამ ჩემი ნატვრის ას-  
რულება რომ არ ძალგძობ.

— გაგვიმელავენ სურვილი, შენი გულისთვის თავს არ დაეზოგავთ.

— ჩემმა ვაჟმა თავისი ოფლით მოპოვებული ხუთი მანეთი მომი-  
ტანოს და მითხრას, აჰა, მამი, ეს ფული შენიაო — და მეც მაშინვე მო-  
ვიკეთებ.

ორი დღის შემდეგ წარუდგა ვაჟი მამას და ხუთმანეთიანი გაუწო-  
და:

— აიღე, მამი, კიოუსიშის ხეობაში ხე-ტყის დამცურებლებს ხელი  
წავახმარე და გასამრჯელო მერგო.

მამამ ჯერ ფულს შეავლო თვალი, მერე კი ვაჟს და ქალაღდის ხუთ-  
მანეთიანი ცეცხლში შეუძახა. ვაჟი არც შერხეულა, მხოლოდ სახეზე  
გაფითრდა, თითქოს სილა გააწნესო.

ის ხუთი მანეთი ხომ ბიძიამ მისცა, ავადმყოფი შანგრეის სურვილი  
მოესმინა და გადაწყვიტა ბიჭი ეხსნა.

რამდენიმე დღის შემდეგ ვაჟი კვლავ წარუდგა მამას, ფული გაუ-  
წოდა და უთხრა:

— გუნების ახალი გზის მშენებლობაზე გამოვიმუშავე.

მამამ ფულს დახედა, დაქმუნა და ფანჯარაში მოისროლა.

ვაჟი არც შერხეულა. ეს ფული თურმე მამამისის გოცალელ ყონაღს  
უჩუქებია მისთვის.

მესამედაც წარსდგა ვაჟი მამის წინაშე და კვლავ ხუთმანეთიანი  
გაუწოდა მამას. მამამ ზედაც არ შეხედა ვაჟს, ისე გადახია ფული შუა-  
ზე. ახლა კი ქორივით დააცხრა ვაჟი ნაკუწ-ნაკუწ ქცეულ ქალაღდის  
ფულს, მიწებება დაუპირა. მერე მამას უყვირა:

— იმიტომ კი არ ვწმენდდი საჯინბოებს პეტროვსკში, ფარატიმა  
ქალაღდივით რომ დაგეფხრიწა ჩემი მონაგარი? ამდენი შრომით კოე-  
რები გამიჩნდა ხელზე.

— ახლა კი ვხედავ, შენის ოფლით რომ გიმოგნია ეგ ფული.

შანგრეი გამხიარულდა, მოიკეთა და მალე სავსებით გამოჯანსაღდა.



ამრიგად ფასი აქვს იმას, რაც შენი ოფლითაა მოპოვებული.  
 ლექსიც ხომ ასეა, — თუ გულის სისხლი ამოატანე, მაშინ თითო-  
 ეული სიტყვა, თითოეული წერტილიც კი წმიდათაწმიდაა. ხოლო თუკი  
 გზა-გზა აგებოკავს აზრი, არც ლექსი იქნება გამორჩეული.

თუ გინდა თევზი გეამოს, ტბისკენ გასწიე, — თავად წამოაგე ანკესზე.  
 არწივი ქარს მკერდით ეხლება, თევზი ჩქერს აღმა მიაპობს, პოეტის  
 წარმმართველი — ძალუმი გრძნობაა, — სიხარული იქნება ეს თუ  
 მწუხარება. რაღაც ამდაგვარი მიამბო ერთხელ აბუთალიბმა:

არაკი ბალყარელ მექოთნეებზე, მათ ქოთნე-  
 სა და უღირს მყიდველებზე. ბალყარელმა მექოთნეებმა თავი-  
 ანთი ნახელავი კალათებში ჩააწყვეს, კალათები სახედრებსა და ჯორებს  
 აჰკიდეს და ქალაქისკენ გაემართნენ საქონლის გასასაღებლად. გზაზე  
 მეზობელი აულის ანცი ბიჭები შემოხვდათ:

- საით გავიწვევიათ, მექოთნეებო?
- ქალაქს, ქოთნების გასაყიდად.
- რას აფასებთ?
- მომცრო აბაზი ღირს, მონრდილი კი — შაური.
- რატომ?
- იმიტომ რომ პატარა ქოთნის გამოძერწვა უფრო ძნელია.

ანცებმა ერთიანად იყიდეს, რაც ქოთნები ჩამოეტანათ ბალყარე-  
 ლებს.

ჩვენი ნახელავით უკმაყოფილო არ დარჩებით, სული და გული  
 ჩავატანეთ — ეგ ქოთნები თქვენ შვილიშვილებსაც გამოადგებათ. —  
 სიტყვა დაადევნეს მექოთნეებმა, თან ჯორები შემოაბრუნეს და შინი-  
 საკენ გზას დაადგნენ.

მთაზე რომ ავიდნენ, მექოთნეები დასასვენებლად მოეწყვენენ. მალ-  
 ლით გადმოჰხედეს მთის ბილიკს, — ნეტა რას შვრებიან ქვემოთ დარ-  
 ჩენილი ჭაბუკები, ან ამდენი ლამაზი, წკრიალა ქოთანი რაში დასჭირ-  
 დათო. ჭაბუკებს ქოთნები უფსკრულის პირას ჩაემწკრივებინათ და  
 ოცი ნაბიჯიდან ქვებს ესროდნენ. როგორც ჩანს სანაძლეო დაედოთ,  
 ვინ უფრო მეტ ქოთანს დალუწავდა. ქოთნები წკრიალით იმსხვრეოდა  
 და ნამტვრევები უფსკრულს სცვიოდა, ეს სანახაობა სიამოვნებას  
 ჰკვრიდა ჭაბუკებს.

თითქოს ნიშანს ელოდნენო, მექოთნეები ზეზე წამოცვიდნენ, ხან-  
 ჯლები იშიშვლეს და თავქვე დაეშენენ, რათა ხულიგნებს თავს დასცბრო-  
 მოდნენ.

— რას ჩადიხართ, უქნარებო! — უყვილეს მექოთნეებმა, — უზა-  
 დო ქოთნები მოგყიდეთ, თქვენ კი... ნამუსი არა გაქვთ?

— რატომ ბრაზობთ? — ჰკითხეს გაოგნებულმა ბიჭებმა, — საქო-  
 ნელი ხომ გაასაღეთ, საფასური ხომ ჩაგითვალეთ, ქოთნები ახლა ჩვე-



ნი კუთვნილებაა და რა თქვენი საქმეა, როგორ მოვიხმართ. გვინდა დავამტკიცოთ, გვინდა შინ წავიღებთ და გვინდა გზაზე დავყრით.

— მაგ ქოთნებს აგრე ადვილად ვერ შეველევი. იცით, რამდენი ოფლი ჩაგვიღვრია თინაში, ვიდრე ქოთნებს გამოვძერწავდით? სული ჩაუღვრით, გავალამაზეთ, ხალხს რომ მოსწონებოდა. გვეგონა ჩვენი ნახელავი კაცს გულს გაუხარებდა, ერთი კაცის ცხოვრებას მინც შემატებდა შნოსა და ლაზათს. გვეგონა ერთი ქოთნით რომ ბოზას მიაწოდებდით სტუმარს, მეორეში წყაროს წყალს შეინახავდით, სხვებში კიდევ უტურფეს ყვავილებს გაახარებდით. თქვენ კი, უნამუსოებო, ერთიანად მიღწე-მოღწევეთ, ქვით ჩაბრგვეთ უფსკრულის პირას მთელი ჩვენი შრომა, მონდომება თუ ოცნება. ისე თაღლითურად დაუშინეთ ქვები ჩვენს ნაოფლარს, თითქოს უგუნური ბაღლები იყვეთ, უღმობლად რომ ესვრიან ქვას მგალობელ ჩიტებს.

მექოთნებმა დაუირიდებლად დაჰხვიეს ხელი მრთელ ქოთნებს და შინისაკენ გასწიეს.

მექოთნების გულისტკენას იგი ვაიგებს, ვისაც თავად დაუღვრია ოფლი, სისხლი ჩაუქცევია და თავისი შრომის ნაყოფით დამტკებარა. ასე დაასრულა აბუთალიბმა თავისი ნამბობი.

ეს ამბავი რატომღაც შორეულ იაპონიაშიც გამახსენდა, მარგალიტის მძებნელ ქალიშვილებს რომ ვადევნებდი თვალყურს: ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე ლამაზმანები ზღვის უფსკრულში ყვინთავდნენ, — სუნთქვაშეგუბებულები ძლივსა ასწრებდნენ ზღვის ფსკერიდან რამდენიმე ნიჟარის ამოტაცებას და თეძოზე შემოკრულ ჩანთაში ჩაეკლას. იქნებ რომელიმე ნიჟარაში მარგალიტი აღმოჩენილიყო. მაგრამ ათასობით ნიჟარა უნდა გადასინჯო, მარგალიტის დასავენებელ იმ ერთ ნიჟარას რომ წააწყდე. რამდენჯერ უნდა ჩაყვინთო ზღვაში, რამდენი ნიჟარა უნდა მოიძიო, რომ მარგალიტის მანიაკი აიგოს?

მაგრამ არც ისაა ადვილი, ჩვეულებრივ სასაუბრო სიტყვათა ერთობლიობა მარგალიტის შიბად, ანუ სიმღერად გარდასახო. უბრალო სიტყვათა, მოვლენათა, გრძნობათა თუ ცხოვრებისეულ გამოცდილებათა მთელი სიმართლე — ეს ის ოკეანეა, ნიჟარებით რომ მოთესილა. მაგრამ დიდად მძიმეა შრომა მძიებლის, განუწყვეტილ ოკეანის იღუმალ უფსკრულებში რომ უხდება ყვინთვა. უზომო გაწაფულობა, მოთმინება, ჯანმრთელობა, გამძლეობა და მისწრაფება მართებს. თან ბედიც უნდა სწყალობდეს. მარგალიტის მძებნელისა თუ ვერცხლის მომსვეადებელი ყუბაჩის მოთმინება — ორთავე ნიჭის თანაზიარია, ეს ნიჭიცაა და შრომაც ერთდროულად.

წესი და რიგი, რომელიც ყოველმა მთიელმა იცის. ქალს ნუ გაათხოვებ, ვიდრე ასაკრული არაა.

წაღებს ნუ გაიხლი, ვიდრე მდინარეს არ მიაღვები!

ქებას ნუ შემოდგამ ცეცხლზე ნანადირევის მოსახარმად, ვიდრე ნადირი ტყეში დაშლივინობს და ჯერ არ მოგიკლავს!

შავი მელა იმისია, ვინც მოკლა და არა იმისი, ვინც შორით დალანდა!

მოგონება. არ მეხალისება ამ ამბის მოყოლა, რადგან არც მაინცდამაინც საქებარია, მაგრამ რა გაეწყობა, რახან წვრილად ჩამოვიკაკლეთ ყოველი, ესეც უნდა მოგიფხროთ, სიტყვას ვერ გამოვაცლებ, ტყუილად როდი უთქვამთ მთიელებს: რაკი წელამდე შეხველ მდინარეში, ბარემ შეტურე ბოლომდისაო; თავი თუ მოხსენი ტომარას, ბარემ გადმობერტყე პირწმინდადაო.

ამ წიგნს რა ხანია დავასრულებდი, იმ ბრიყვეულ ფათერაკს რომ არ გადავყროდი, ახლა რომ უნდა მოგიფხროთ.

ჩვეულებრივ, თუკი წიგნს ვწერ და ვიცი, რომ მოგზაურობა მელის, ხელნაწერი თან მიმაქვს ხოლმე. ასე რომ ჩემს ხელნაწერებს მრავალი ქვეყანა მოუვლია ჩემთან ერთად. ტყუილად როდი დამაქვს თან განუყრელად ხელნაწერები: ხშირად გამომიძებნია სასტუმროში თავისუფალი დრო და უთენია ჩავჯდომივარ, მიფიქრია, ერთი გვერდი მაინც წამიმატებია. ამ წიგნმაც ჩვენთან ერთად შემოიარა ზღვები, ოკეანეები და მატერიკები.

ერთხელ ბრიუსელიდან მობრუნებული სასტუმრო „მოსკოვში“ შევჩერდი, მერვე სართულზე დავბინავდი. რაკი სიტყვამ მოიტანა, გეტყვი: სასტუმრო „მოსკოვი“ ჩემთვის უბრალო დროებით სამყოფელი როდია. ლამის არის მეორე სახლად დავიგულო. ლამის სიცოცხლის ნახევარი იქ გამიტარებია, იმ წლებს თუ ვიგულისხმებ, მწერალი რომ გავხდი და სხვადასხვა საქმის გამო ხშირად დედაქალაქში მიხლებოდა ყოფნა.

იქ თითოეული ადმინისტრატორი, თითოეული სართულის მორიგე თუ დამლაგებელი მიცნობს და ვიცნობ. ჩემმა მოსკოველმა მეგობრებმაც იციან, რომ ყოველთვის სასტუმრო „მოსკოვში“ ვჩერდები, მრავალი მათგანისათვის სიტყვები „რასული მოსკოვშიაო“ ბედნიერი შემთხვევის ტოლფასია, — შემომივლიან ხოლმე გულის გადასაყოლებლად.

ნამგზავრი პირის დაბანასაც ვერ ვასწრებ, რომ იწყება კარზე კაკონი, ზარის რეკვა და მალე ოთახში დასაჯდომი ადგილი კი არა და მოსაბრუნებელიც აღარ არის. რას იზამ, თუმცა სასტუმროს ნომერი ოჯახი არ არის, მაგრამ ჩვენ, მთიელები, ძველი ადათ-წესის მიმდევარნი, მესამე დღესღა ვკითხულობთ ხოლმე სტუმრის ვინაობას და სტუმრებიც სამ დღეს ხომ არ შერჩებიან ნომერში, ასე რომ, ბევრი მათგანის ვინაობა მაინც უცნობი რჩება.

ჰოდა, ერთხელაც დავბრუნდი ბრიუსელიდან. როგორც ყოველთვის,

ახლაც სასტუმრო „მოსკოვში“ გავჩერდი, ჩემი ნომერი ჩვეულებრივად სტუმრებს ვერ იტევდა. ზოგი საზღვარგარეთიდან დაბრუნებას მილოცავდა, ზოგი კეთილ გზას მისურვებდა დალესტინისკენ მიმავალს. ზოგიც ისე, თავშესაქცევად მოსულიყო. ერთნი მე თვითონ მოვიწვიე, მეორენი კი დაუპატიებლად მეწვივნენ.

დიდის ამბით აქებდნენ ვილაცას და მის სადღეგრძელოს სვამდნენ, ვილაცას კიდევ რიხიანად ძრახავდნენ და ესეც სადღეგრძელოში გადადიოდა. საუბრობდნენ და სვამდნენ, სვამდნენ და იცინოდნენ, სვამდნენ და მღეროდნენ. ნომერი ისე გაიბოლა, გეგონებოდა, მაგიდის ან საწოლის ქვეშ ნედლი შეშა ხრჩოლავსო.

ა ბ უ თ ა ლ ი ბ ი ა მ ბ ო ბ დ ა : სამი მიზეზია, რამაც აგრერიგად დამაჩანანაკაო. პირველი: როცა მოპატიუებული სტუმრები შეიყრებიან და ვილაც ერთი იგვიანებსო.

მეორე: როცა ცოლი სუფრას გააწყობს, არაყზე გაგზავნილი ვაჭი კი არ ჩანსო.

და ბოლოს მესამე: სტუმრები რომ დაიშალნენ და ის ერთადერთი სტუმარი, აქამდე მღუმარე ხელმწიფე რომ გეგონა, კარის ზღრუბლიდან ფეხს აღარ იცვლის, სარეკელსავეთ არახრახდება და ხომ აღარ გაათავებს, თითქოს რაც ითმინა, ახლა უნდა ამოღერდოსო.

როგორი დაღლილიც არ უნდა იყო, თვალიც რომ გელუღებოდეს, ბიჭი ხარ და ნუ მოუსმენ მის როტვას. ცდილობ ყველაფერზე კვერი დაუკრა, თღონდაც დაამთავროს და მალე მოცილდეს. მაგრამ შენ დასტურს თურმე სტუმარი აღუფრთოვანებია და ქადაგად ქცეულა.

ერთი ასეთი სტუმარი მეც მეწვია იმ ავბედით საღამოს, რომელზეც ახლა უნდა გიამბოთ. ხალხი რომ წავიდ-წამოვიდა, შეჭიკჭიკებული სტუმარი მხარზე ჩამომეკიდა და აღარ მცილდებოდა, — პაპიროსის ნამწვავებით მოფინა ოთახის ყველა კუნჭული, ნამწვავებს ხან სკამის სახურავზე აქრობდა, ხანაც ფარდაზე, ჩემოდანზე და მაგიდაზე დაწყობილ ქაღალდებზე.

ერთი პირობა მაქო და მეც თავი ვუქნიე. მერე თავისი ცოლის ქებას მოჰყვა. ამაზეც დავეთანხმე. ბოლოს მოდგა და ლანძღვა-გინება დამიწყო, ვინ იცის, რას არ როშავდა, მაგრამ მე მაინც კვერს ვუკრავდი. „ახლა თავს დაუწყებს გინებას, მერე, ალბათ, ცოლს,“ — შეძრწუნებული ვფიქრობდი მე, მაგრამ მოაწია თუ არა ჯერმა, როცა ლოლიკურად თავის გინებას უნდა მოჰყოლოდა, ჩემი სტუმარი მოულოდნელად აფაცურდა და თავის ნომერს მიამურა დასაძინებლად. თუმცა, მისი წასვლით მეტისმეტად რომ არ დამწყვეტოდა გული, შემპირდა ხვალ უსათუოდ შემოვივლიო.

ამბობენ, სტუმარი მუდამ თვალს ახარებს, მეტადრე მაშინ, როდესაც შინისაკენ იქცევს პირსაო. ახლა კი ნათელი გახდა ჩემთვის ანდჰის აზრი. ჩემი სტუმარი ზურგიდან უფრო ლამაზი მეჩვენება. მადლობა ღმერთს! შევებით ამოვისუნთქე მე, — ამაღამდელი დავიდარაბა დამთავრდა და ახლა შემიძლია მშვიდად გამოვიძინო-მეთქი. საჩქაროდ გადავრაზე კარი, ქურდულად შევძვერი საბნის ქვეშ და მაშინვე ჩამთვლიმა. ისე მშვიდად შეძინა, თითქოს თბილი ნაბადი მეხურა და წვიმის შხაბუნი მინანავებდა. მეზმანა, ვითომ ნაბადწაფარებულს ცეცხლის პირას ჩამძინებოდა, გარშემო მწყემსები ისხდნენ და შეშას უკეთებდნენ ცეცხლს. ცეცხლი ხრჩოლავდა და კვამლი თვალებს მიწვავდა. ცხვირში მილიტინებდა. მერე რატომღაც საცხოზში ამოვყავი თავი, — საშინლად ცხელოდა და ტრუსის სუნი იდგა. მერე სურათი შეიცვალა. — ახლა ვითომ კვირა დღე იყო, მეგობრებთან ერთად ქალაქგარეთ გავუტეე, იქ სურნელოვან მწვადებს ვაშიშხინებდით.

თვალეები აუტანლად მეწვოდა და გამომეღვიძა. წამოვხტი, გარშემო ვერაფერს ვარჩევდი. ოთახი მთლად გაბოლილიყო, კარებთან თითქოს რაღაც იწვოდა კიდეც, ცეცხლს ვეცი, თურმე ჩემოდანს მოსდებოდა ალი და დაბუგულიყო.

ჩემი ჩემოდანი, — მსოფლიოს პირველი კლასის სასტუმროების ნიშნებით რომ მქონდა აჭრელებული. მერე რამდენი ქვეყანა შემოვატარე! რამდენი ქვეყნის საბაჟოს გამოვალწიეთ მშვიდობიანად მე და ჩემმა ჩემოდანმა! მართალია, საეჭვო შიგ არა ეწყო რა, მაგრამ უცხოელი მეგობრებისათვის საჩუქრად წაღებული ერთი ბოთლი არაყი, ან სიგარეტის ერთი ზედმეტი კოლოფიც კმარა ზოგჯერ, რომ მეზაყე გამოგედავოს. თუნდაც ცოლისათვის ნაყიდი კოფთა...

ჰოდა, არც ერთ საბაჟოზე არ ჩავმწვარვართ არც მე და არც ჩემი ჩემოდანი და ახლა მოსკოვის სასტუმროს ნომერში კი ჩემოდანიც დამეწვა და მეც დავიწვი მისი ცოდვით. სასწრაფოდ წამოვუსვი ხელი ცეცხლის ნამუსრევს, აბაზანაში ჩავუძახე და წყალი მოვუშვი. ბოლქვებად აიჭრა კვამლი ჰაერში, ხელები დავიწვი და მგონი, პირისახეც ამელანდა. მაგრამ ახლა აღმოდებული სკამი უნდა გადაამერჩინა, რომელზედაც წუთის წინ ჩემოდანი იდგა. ცეცხლი ხალისასაც წაჰკიდებოდა და ფარდასაც. ტელეფონს მივეარდი და სართულის მორიგეს დავურეკე.

— ვიწვი! — ჩავძახე ყურმილში, — მიშველეთ!

როგორც ჩანს, მორიგემ იფიქრა, რასულს უთუოდ სიყვარულის ცეცხლი წაჰკიდებიაო, ისიც იფიქრა, ალბათ გულში ჩავვარდნივარო და მშვიდი, დედობრივი ხმით მიპასუხა:

— როგორ გეკადრებათ, რასულ, დაიძინეთ. დიღამდე გაგივლით. ჰოი, ქალებო! რამდენჯერ შევხუმრებიათ ქალს, ვიწვი-მეთქი

და ისიც საშველად მოსულა. ახლა კი, როცა სიცოცხლეში პირველად ვიწვნიე ნამდვილი ცეცხლი, აღარაფერს დამიჭერა.

მარჯვე მეხანძრესავით შეგები ცეცხლს, ბოლოს და ბოლოს, აღმოდებული ნოხიც ჩავანელე, ფარდაც, სკამიცა და დანახშირებული პარკეტიც. დიას, ცეცხლს ვძლიე, მაგრამ ამასობაში მეც დაეზარა დი.

ალბათ გამტყვრალმა სტუმარმა ჩემოდანში ჩააგდო ნამწვი და იქ ვალევიდა. დამეწვა პერანგები, კოსტიუმი, ბრიუსელიდან ჩამოტანილი საჩუქრები. სასტუმროს აღმინისტრაციამ აქტი შეადგინა ნოხზე, შტორსა და სკამზე, უსაშველო თანხა გამოვიდა. მე საავადმყოფოში დამაწვინეს. ცოლს დავურეკე და ვუთხარი, მოსკოვში გადაუდებელი საქმე მაქვს და შევყოვნდები-მეთქი. რა საქმე მქონდა, არ მითქვამს, დავბირდი, კიდეც დავირეკავ-მეთქი. აი, რა ქნა ერთმა წყველმა ნამწვმა. მაგრამ ეს ყველაფერი წვრილმანად მიმაჩნდა, ყველაზე მეტად ხელნაწერის განადგურებამ დამაღონა, ჩემოდნის ფსკერზე რომ იდო. მთელი ორი წლის ნაშრომ-ნაღვაწი...

ამბობენ: აი, თევზი ის იყო, ანკესიდან რომ აიწყვიტაო, ჯიხვი ის იყო, ტყვია რომ დააცილეო. ულამაზესი ქალი კი ის, შენ რომ დაგტოვაო. ხელნაწერის მრავალი გვერდი დაიწვა! ასე მგონია, სწორედ ის გვერდები იყო საუკეთესო.

ესეც არ იყოს, ანკესიდან აწყვეტილი თევზი ჩემი წილხვედრი როდი ყოფილა და არც ის ჯიხვი, ტყვია რომ დავაცილე და არც ის ქალი, მე რომ დამტოვა. ეს ფურცლები კი ჩემი კუთვნილება გახლდათ. თავად გავიაზრე, განვიცადე და გულის სისხლი ამოვატანე. მერე რამდენი უძილო ღამე და დღე შევალე. აი, რატომ ვდარდობ ხელნაწერის დაღუპვას, ალბათ, ამიტომაც მგონია, რომ ის ჩემი საუკეთესო წიგნი იყო.

და დავრჩი ობლად, როგორც დაცარიელებული ყანა, საიდანაც უკანასკნელი ძნა აიღეს, ან როგორც ყანაში მიტოვებული ის ერთადერთი ძნა, წაღება რომ დაეიწყებიათ. დაფერფლილი ფოთლების თითოეული ასო მარგალიტად მესახებოდა. სტრიქონები ძვირფას გულქანდებოვით ბრწყინავდნენ ჩემს წარმოდგენაში.

ამ ამბავმა ისე შემადრწუნა, რომ ორი წელი ხელი ვერ მოვიკიდე განადგურებული ხელნაწერის აღდგენას, შემდეგ, როცა დავმშვიდდი და სამუშაოს დაეუბრუნდი, მივხვდი, ხელახლა დაწერას კი მოვახერხებდი, მაგრამ ძველი სახით იმ ფურცლების აღდგენა, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო.

ეს იგივეა, როცა ცოლ-ქმარს სიყრმის პირმშო მოუტყვდება, — მოგვიანებით შეიძლება კიდეც შეეძინოთ შვილი, არც თუ ნაკლებ საყვარელი, მაგრამ დაკარგული მაინც სხვაა.

ამბობენ, ლექსს წყალი არ უნდა ერიოსო. ლექსი ცეცხლია, პოე-

ტის შემოქმედება კი — წვავა მარადი. დიახ, ლექსი წყალწყალა არ უნდა იყოს, მაგრამ ალაპი ჰფარვიდეთ მათ იმ ცეცხლისაგან, ჩემი ხელნაწერი რომ დაჰბუგა სასტუმროს ნომერში.

როგორ გაძარცვეს აბუთალიბის ბინა: არ ვიცი, როგორ მოხდა, ან რა იყო ამის მიზეზი, — ქურდის მზაკვრობა, თუ ის გარემოება, რომ შინ არავინ იყო, ასეა თუ ისე, აბუთალიბის ბინა გაძარცვეს. ბინადრები აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, ველარსად ნახეს ვერც მათი ქალიშვილის ოქროს საათი, ვერც ბეჭედი და ვერც საყურეები თუ სხვა სამკაულები. აღარც ქურქი ჩანდა, აღარც კაბები, აღარც ფეხსაცმელები და აღარც ფული... ცოლს კინაღამ გული წაუვიდა, ქალიშვილი კი ტახტზე დაემხო და აქვითინდა. აბუთალიბი მეორე ოთახში გავიდა. იატაკზე მოირთხა, ზურნას ჩაბერა.

ცოლი მივარდა აბუთალიბს.

— რას სჩადიხარ! ასეთი უბედურებაა ჩვენს თავზე, დროა მილიციასი ან პროკურორთან გარბოდე, შენ კი...

— რისი უბედურება! ჩემი ლექსები ადგილზეა, ხედავ, ქალაქდები როგორც დავტოვე; ისევე დამხვდა, ხელიც არ უხლიათ და რა მაქვს სადარდებელი?

— შენი ლექსები ვის რად უნდოდა, ისიც ლაქურ ენაზე დაწერილი?

— ო, შენ ამ ქვეყნისა არაფერი ვაგეგება, რამდენი ვიცი, პოეტი რომ ჰქვია, სხვისი ლექსების ქურდობის მეტს კი არაფერს აკეთებს-ალაპის წყალობაა, რომ ჩემი ლექსები გადაურჩათ. მთელი წელიწადი ვიღვწოდი, მათი დაკარგვა მართლაც დიდი მწუხარება იქნებოდა ჩემთვის. ზურნაც ვადამირჩია. პოდა აბა, გახარებულმა როგორ არ ჩავბერო?

აბუთალიბს ყურადღება აღარ მიუქცევია ცოლ-შვილის სლუკუნი-სათვის, კვლავ ზურნა ააკვნესა.

ეფენდი კაპიევმა მიამბო. ერთ ზაფხულის მზიან დღეს სულეიმან სტალსკი სახლის ბანზე წამოწოლილიყო და ცას შესცქეროდა. გარშემო ჩიტები ქლურტულებდნენ, ნაკადულები რაკრაკებდნენ. კაცს ეგონებოდა სულეიმანი ისვენებსო. სულეიმანის ცოლსაც ასე ეგონა, — ბანზე ავიდა და ქმარს გასძახა:

— ხინკალი მზადაა, სუფრაც გავაწყვე. სადილობის დროა.

სულეიმანი არ გაეპასუხა, თავიც არ მოაბრუნა.

ცოტა ხნის შემდეგ აინამ კვლავ გასძახა ქმარს:

— ხინკალი გაცივდა, მალე პირს ვერ მიაკარებ.

სულეიმანი არც შერხეულა.

მამინ ცოლმა ბანზე ამოუტანა საჭმელი, — რაკი ასე ურჩევნია, აქ ჰამოსო.

— დილიდან ხემსი არ ჩაგვვლია პირში, ნახე რა გემრიელი ხანკა-  
ლი შეგიშაღდე!

სულეიმანი ვაბრაზდა, წამოხტა და მზრუნველ ცოლს აუყვირა:

— მუდამ ხელს მიშლი მუშაობაში!

— კი მაგრამ, უსაქმოდ რომ იყავი წამოწოლილი, მე მეგონა...

— არა, მე ვმუშაობ და ხელს ნელარ შემეშლი.

თურმე იმ დღეს სულეიმანს მართლაც შეუთხზავს ახალი ლექსი. ასე რომ, პოეტი მაშინაც იღვწის, როცა წამოწოლილია და ცას შესცქერის.

მ ა მ მ მ ი ა მ ბ ო. სიყვარულის დიდი მომღერალი მაჰმუდი ერთ პატივდებულ კაცს ესტუმრა. იქ სხვა სტუმრებიც დახვდნენ. შუალამედე პოეტი თავისი სიმღერებით ატკობდა სტუმრებს. შემდეგ სტუმრები დასაძინებლად დაიშალნენ. მაჰმუდს საუცხოო სასტუმრო ოთახი მიუჩინეს. მასპინძელმა ტაშტი და სურა დაუდგა განსაბანად, ძილი ნებისა უსურვა და წავიდა.

დილას მასპინძელს უფიქრია, ვაითუ მაჰმუდს ჩაეძინოს და ცისკრის ლოცვა გამორჩესო და ოთახში შეუჭყეტია. თურმე ნუ იტყვი, პოეტს ლოგინის გაშლა აზრადაც არ მოსვლია. ნოხზე მოექცა და ლექსს წერდა, თან ხმას აყოლებდა.

— მაჰმუდ, ცისკრის ლოცვის ჟამია, ლექსებს თავი ანებე და ილოცე!

— ჩემი ლოცვაც ესაა, — უპასუხა მაჰმუდმა.

ამგვარად, პოეტი ლოცვის ჯერსაც რუღუნებაში ატარებს.

უ ბ ი ს წ ი გ ნ ა კ ი დ ა ნ. ახლა თავად მოგიყვებით ერთ ხუნძ პოეტზე. სახელს არ დავასახელებ, არ მინდა მისათითებელი და ქვეყნის სასაცილო შეიქნეს, რამეთუ ამ ამბავმა შესაძლოა კაცს ღიმიც მოჰგვაროს.

პოეტმა ცოლი ითხოვა. ქორწილი გადაიხადეს. სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ. ახლადდაქორწინებულნი მათთვის საგანგებოდ შოწყობილ ოთახში მარტო დატოვეს. პატარძალი საქორწინო სარეცელზე წამოწვა და ნეფეს ელოდა. ხოლო ნეფე პატარძალს კი არ მიუწვა, მაგიდასთან დაჯდა და ლექსის წერას შეუდგა. მთელ ღამეს წერდა და დილას დაამთავრა თავისი გრძელი ლექსი სიყვარულზე, პატარძალსა და ქორწინების ღამეზე.

აქედან ხომ ვერ დავასკვნით: პოეტი საქორწინო ღამესაც ლექსის წერაში ატარებსო. მეც რომ იმ ავარიელი პოეტითვე მეშრომა, ორმოცდაათჯერ მეტი წიგნი მექნებოდა დაწერილი. მაგრამ მე მგონი, ყველა ეს წიგნი ყალბი იქნებოდა.

ის, ვინც მაგიდას მიუჯდება, როცა ახალგვარდაწერილი ცოლის



გამოწვდილი მკლავები უხმობს, ვინც მზეთუნახავის წინაშე კალამს გვერდზე არ გადადებს, იგი მართლაც რეგვენია. ათჯერ და თუნდაც ოცჯერ მეტი წიგნი რომ დაწეროს, მის სიტყვას გულწრფელობის ნამტამალიც არ დააჩნდება.

ღიას. შრომა აუცილებელია! ერთი კვვიანი ხის ძირას დაწვა და ელოდებოდა, როდის ჩაუვარდებოდა ვაშლი პირში, მაგრამ ვაშლი არ ჩამოვარდნილა.

შრომაზე უფრო მეტად და, შესაძლოა, ნიჰზე მეტადაც კი პოეტი-სათვის გულწრფელობაა აუცილებელი თავისი თავისა და ხალხის წინაშე.

იტყვიან: ვაჟკაცს — უნავირო, ან სამარეო.

იტყვიან:

— რა არის ქვეყნად უსაზარლესი და უმახინჯესი?

— შიშისაგან მოცახცახე ვაჟკაციო.

— კიდევ უფრო უსაზარლესი და უმახინჯესი?

— შიშისაგან მოცახცახე ვაჟკაციო.

## სიმართლე. ვაჟკაცობა

ხუნძები მოგვითხრობენ: სიმართლე და სიცრუე დასაბამიდან ერთად ვლიან, დასაბამიდან დაეა აქვთ, ჩვენ შორის რომელი უფრო საჭირო, სასარგებლო და ძლიერიაო. სიცრუე გაიძახის — მეო, სიმართლე—მეო, დავას კი ბოლო არ უჩანს.

ერთხელ გადაწყვიტეს, ქვეყნიერება შემოვიაროთ, დაე, ხალხმა განგვსაჯოსო. სიცრუე წინ მირბოდა, ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ ბილიკებს ურბენდა, ყველა ქუჭრუტანასა და ხერელში იხედებოდა და არც ერთ შუკას გვერდს არ უვლიდა. სიმართლე თავაწეული მიაბიჯებდა ფართო, სწორ გზაზე. სიცრუე განუწყვეტილვ ხითხითებდა, სიმართლე ნიდაგ დაფიქრებული და დაღონებული იყო.

მრავალი გზა, ქალაქი თუ აული მოიარეს. მეფეებიც მოიხილეს, პოეტებიც, ხანებიც, მოსამართლეებიც, ვაჭრებიცა და უბრალო ხალხიც. სიცრუის გამოჩენაზე ხალხი უფრო თავისუფლად და ხალგაობად გრძნობდა თავს. თვალეში შესციციებდნენ და უღიმოდნენ ერთმანეთს, და ყველაზე მეტად სწორედ მაშინ აცუცურაკებდნენ ერთურთს, მაგრამ რა ედარდებოდათ: არც ორპირობისა რცხვენოდათ და არც ტყუილისა.

სიმართლის გამოჩენაზე კი ყველანი იღუშებოდნენ, თვალს ვერ უსწორებდნენ ერთმანეთს. ხანჯალზე ივლებდნენ ხელს (ვითომც სი-

მართლის დასაცავად), განაწყენებული იმათკენ იწვევდა, ვინც აწყენი-  
ნა, მყიდველი გამყიდველზე, მდაბიო — ხანზე, ხანი — შაპზე, ქმარი  
კიდევ ცოლსა და მის საყვარელს ერთმანეთს აკლავდა. იღვრებოდა  
სისხლი.

ამიტომ უმრავლესობა ასე მიმართავდა სიცრუეს:

— დარჩი ჩვენთან, შენ ჩვენი საუკეთესო შეგობარი ხარ, შენთან  
მყოფს ცხოვრება უადვილდება! შენ კი, სიმართლევე, შფოთვის მეტი  
არაფერი მოგაქვს. მარადეამ ფიქრი, სულის საღმობა, ტანჯვა-წამება  
და ბრძოლა დაგვიბედვ. რამდენი ჭაბუკი მებრძოლი, პოეტი და რაინ-  
დი დაეცა შენს გზაზე.

— რას იზამ, — ეუბნებოდა სიცრუე სიმართლეს, — ხომ ხედავ,  
მე უფრო საჭირო და სასარგებლო ვყოფილვარ. რამდენი ოჯახიც არ  
შემოვიარეთ, მე ყველგან ზარზხემით მხვდებიან, შენ კი არა.

— ჰო, კაცთა სამყოფელი მოვიხილეთ. ახლა მწვერვალებს მივამუ-  
როთ, ცივანკარა ნაკადულებს, მთის მდგელობებზე ამოსულ ყვავილებს,  
იქით გავეწიოთ, სადაც უბიწო სისპეტაკით გამობრწყინებული მარადი  
თოვლია!

მწვერვალებზე ათასწლეულები ივანებენ. იქ ცოცხლობენ გმირთა,  
ბუმბერაზთა, პოეტთა, ბრძენთა და წმინდანთა მარადსამყოფნი და  
მართალნი საქმენი, მათი აზრები, მათი სიმღერები და ანდერძანამავი.  
მწვერვალებზე მხოლოდ ის ძლებს, რაიც უკვდავია, რასაც ამქვეყნიუ-  
რი არარაობა ვერ აშინებს!

— არა, მე იქ არ წამოვალ, — მიუგო სიცრუემ.

— რატომ, სიმაღლის გეშინია? მაგრამ ესეც ხომაა, რომ დაბლობს  
მხოლოდ ყვავები აფარებენ თავს. არწივები ცად ატყორცნილ მთებს  
თავს დაჭბრუნავენ. ნუთუ შენთვის ყვანჩალას ხვედრი უფრო სახარ-  
ბიელოა? არა, ვიცი, შენ უბრალოდ გეშინია. საერთოდ მხდალი ხარ!  
შენ საქორწინო სუფრასთან შეგიძლია სარჩელი მომიგო, — შინ ღვი-  
ნო რომ იღვრება, გარეთ კი ჭიქის წკრიალის ნაცვლად ხანჯლების  
ჩახაჩუხია და შიშით ვერ გამოსულხარ.

— არა, იმ შენი სიმაღლისა სულაც არ მეშინია, მაგრამ რა მესაქ-  
მება იქ, სადაც ძებორციელის ხსენება არ არის. ჩემი სამეფო ქვევითაა,  
სადაც ხალხი ირევა. მე განუკითხავად ვბატონობ მათზე. იქ ყველა  
ჩემი ქვეშევრდომია. მხოლოდ ზოგიერთი ვაჟკაცი თუ ამიმხედრდება  
და შენს გზას დაადგება, სიმართლის გზას. თუმცა ესეც ერთეულე-  
ბია.

— დიახ, ერთეულებია. სამაგიეროდ ასეთ ადამიანებს გმირებს უწო-  
დებენ. იმათ საქებრად პოეტები უბრალო სიმღერებს თხზავენ.

ამბავი ერთადერთი პოეტისა. ამ ამბავს აბუთალიბი  
მომიყვა. რომელიღაც სახანოში დიდძალი პოეტები ცხოვრობდნენ.

აულებში დაეხეტებოდნენ და თავიანთ სიმღერებს აუღერებდნენ. ვინ ვიოლინოზე უკრავდა, ვინ დაირაზე, ვინ ჩონგურზე და ვინ ზურნაზე. ხანს უყვარდა მათი სიმღერის მოსმენა, როს მოიცილიდა, ამდენი საქმეებისა და ცოლების პატრონი.

ერთხელ მან სიმღერა მოისმინა ხანის სიმკაცრეზე, უსამართლობასა და სიძუნწეზე რომ ღაღადებდა. ხანი გაცეცხლდა. ბრძანა ამბოხური სიმღერის შემთხვევლი მოეძებნათ და მისთვის სასახლეში მოგვარათ. მგოსანი ვერ იპოვეს. მაშინ ებრძანა ვეზირებსა და ნუკერებს, ყველა პოეტი დაეპატიმრებინათ. მწეგრებივით შეესივნენ ხანის მოხელეები აულებს, გზებს, ბილიკებსა და ყრუ ხეობებს, ყოველი კაცი, ვინც კი ლექსს თხზავდა და მღეროდა, დაატყვევეს და ყველანი ჭურღმულში ჩაპყარეს. დილით ხანმა დაპატიმრებულ პოეტებს ჩამოუთარა:

— აბა თითომ თითო საკუთარი ლექსი მიმღეროს.

ყველა პოეტი რიგრიგობით მღეროდა. — აქებდა ხანს, მის ნათელ გონებას, კეთილ გულს, მის უტურფეს ცოლებს, მის ძალმოსილებასა და სიდიადეს. დედამიწის ზურგზე ჭერ არ ყოფილა ასეთი დიდებული და სამართლიანი ხანი, — მღეროდნენ მგოსნები.

ხანიც ერთმანეთის მოყოლებით ათავისუფლებდა პოეტებს. ბოლოს სამი პოეტიღა შერჩა ხელთ, ხანისთვის ხოტბა რომ არ შეუსხამს. სამივენი კვლავ ჭურღმულში ჩაკეტეს. კარგა დრომ განვლო, ყველა ფიქრობდა, ხანს დაავიწყდა კიდეც მათი არსებობაო.

მაგრამ სამი თვის შემდეგ ხანმა კვლავ მოისურვა ტყვეების ხილვა:

— აბა, ახლა თითოეულმა თქვენთაგანმა საკუთარი ლექსი მიმღეროსო.

ერთ-ერთმა მგოსანმა მაშინვე იმღერა ხანის სადიდებელი. შეაქო მისი ნათელი გონება, კეთილი გული, მისი უტურფესი ცოლები, მისი ძალმოსილება, ზვაობა და სიდიადე. დედამიწის ზურგზე ჭერ არ ყოფილა ასეთი დიდებული ხანო, — მღეროდა პოეტი.

მგოსანი გაათავისუფლეს. დანარჩენი ორი, სიმღერა რომ არ ისურვეს, საგანგებოდ ავიზგიზებულ კოცონთან მიიყვანეს.

— მალე ორთავეს ცეცხლში ჩაგაგდებენ, — უთხრა მათ ხანმა, — უკანასკნელად გიბრძანებთ, მიმღერეთ სახოტბო ლექსი.

ერთ-ერთმა მათგანმა წამებას ველარ გაუძლო და იმღერა. — აქებდა ხანის ნათელ გონებას, მის კეთილ გულს, მის უტურფეს ცოლებს, მის ძალმოსილებას, ზვაობასა და სიდიადეს. მღეროდა: დედამიწის ზურგზე ჭერ არ ყოფილა ასეთი დიდებული და სამართლიანი ხანო, ეს მომღერალიც გაათავისუფლეს. დარჩა ერთადერთი ურჩი, ვინც სიმღერა არ ისურვა.

— ბოძზე მიაკარით და კოცონი შეუწითეთ, — ბრძანა ხანმა.

ბოძზე გაკრულმა პოეტმა უცებ სწორედ ის სიმღერა წამოიწყო, ხა-

ნის სიმკაცრეზე, უსამართლობასა და სიხარბეზე რომ ლაღადებდა, რის გამოც დატრიალდა მთელი ეს ცოდვის კითხვა.

— ხელები საჩქაროდ შეუხსენით და ცეცხლს განარიდეთ! — იღრიალა ხანმა. — მე არ მსურს ერთადერთი ჭეშმარიტი პოეტი დაუკარგო ჩემს სახანოს.

— ცხადია, ასეთი გონიერი, კეთილშობილი ხანები ისევე იშვიათობაა, როგორიც ჭეშმარიტი პოეტები, — დაასრულა აბუთალიბმა თავისი ამბავი.

მ ა მ მ მ ი ა მ ბ ო. ერთხელ კარისკაცებმა ჰკითხეს დიდებულ შამილს:

— გვითხარ, იმამო, რატომ აკრძალეთ ლექსების თხზვა და სიმღერა?

შამილმა უბასუხა:

— მე მსურს მხოლოდ ჭეშმარიტი პოეტები შერჩინენ პოეზიას. ჭეშმარიტი პოეტი ლექსს მაინც დაწერს. ცრუთა და ფარისეველთა, პოეტებს რომ უწოდებენ თავიანთ თავს, შეეშინდებათ ამ აკრძალვისა, სულმოკლეობას გამოიჩინენ და დადუმდებიან. ამით თავსაც ააშორებენ სიცრუეს და ხალხსაც.

— ესეც გვითხარი, იმამო, რატომ გაატანე მდინარეს საიდ არაქანელის ლექსები?

— მართალ ლექსს მდინარე ვერ წაიღებს, ის ხალხის გულში ცოცხლობს. თუ ლექსი იმ ქაღალდზე მეტად არ ფასობს, რაზეც წერია, მაშინ ჯანდაბამდისაც ჰქონია გზა. იმ მსუბუქი ლექსების ნაცვლად, რომელსაც დინება ადვილად წაიღებს, საიდ არაქანელი იძულებული იქნება რაიმე სასარგებლო საქმეს მოჰკიდოს ხელი.

ა მ მ ო ბ ე ნ: როცა დიდი პოეტი მაჰმუდი დაიდუბა, მწუხარებისგან გათავებულმა პოეტის მამამ მაჰმუდის ხელნაწერებით გატენილი ჩემოდანი ცეცხლს მისცა.

— ცეცხლმა დაგწვით წყეულო ქაღალდებო, — თქვენ მოუსწრავთ სიცოცხლე ჩემს ვაჟს!

ქაღალდები კი ჩაიფერფლა, მაგრამ მაჰმუდის ლექსები კვლავ ცოცხლობს. მისი სიმღერები სიტყვა-სიტყვით ახსოვს ხალხს, მის გულში ცოცხლობს, — ვერას დააკლებს ვერც წყალი და ვერც ცეცხლი, რადგან მართალი ლექსებია.

მ ა მ მ ა ჩ ე მ ი დ ა ს ც ი ნ ო დ ა მ ა ს, ვინც აფთვალის შიშით ღამე მალულად ადგება გზას;

მას, ვინც ქვებით ტენის ხურჯინს, ვითომ ხალხს ეგონება, კვერებით არის გატისნულიო;

იმ მონადირეს, ვინც ტყის ქათმის ნაცვლად ყვავს მონადირებს.

ა ბ უ თ ა ლ ი ბ მ ა მ ი ა მ ბ ო: ქვეყნად თურმე ერთი გლაზა ცხოვ-

რობდა, თავი მდიდარ კაცად რომ მოჰქონდა. დღენიადაგ კმაყოფილი და მოღიმიარი მობრძანდებოდა გოდეკანზე. მის უღვაშებზე მუდამ ქონის წვეთები ბზინავდა, თითქოს ახლახან მსუქანი ბატკანი მიურთმევიყო. გლახა ხმამაღლა ტრაბახობდა:

— ო, რა მსუქანი ბატკანი დავკალი დღეს სადილად! ო, რა თოთო და ტკბილი ხორცი ჰქონდა?!

— საიდანა ჰყავს ამდენი ბატკანი, ყოველდღე მუსრს რომ ავლებს? — უკვირდათ აულის მცხოვრებლებს. — მოდი, შევამოწმოთ!

ცქნაფი ბიჭები მისი სახლის სახურავზე აძვრნენ, ფართო საკვამურიდან ჩაიხედეს და რას ხედავენ: გლახამ ერთი გაძიძგნილი ძვალი მოხარშა, ნახარშს თავზე მოყენებული ცოტაოდენი ძვლის ქონი მოჰხადა და უღვაშებზე წაისვა. ბოლოს ცოტაოდენი კვლიავით წაიხმისა. — სხვა არა ებადა რა.

ბიჭები სწრაფად დაეშენნენ სახურავიდან და სახლში შევიდნენ.

— სალამ ალექიქუმი! დიდხანს ფუქად ვიწანწალებთ და გადავწყვიტეთ მდიდარ კაცს ვწვეოდით სტუმრად.

— ცოტა დაგაგვიანდათ. ეს-ესაა მსუქანი ბატკნის ხორცი გეახელით. ახლა სწორედ შინიდან გასვლას ვაპირებდი.

— უკეთესია, ის გვითხრა, ასეთ სურნელოვან კვლიავს სად შოულობ.

ღარიბი მიხვდა, ბიჭებმა ყველაფერი იციანო და თავი ჩაჰკიდა. ამის მეტად აღარც აზნინებულა მისი უღვაშები ქონით.

მ ო გ ო ნ ე ბ ა: ერთხელ ბავშვობაში მამამ მკაცრად დამსაჯა. ცემა არაფერია, — დიდი ხანია დამავიწყდა, ცემის მიზეზი კი სამუდამოდ დამამახსოვრდა.

დილით უფროსებს მოვაჩვენე, სკოლაში მივდივარ-მეთქი, მაგრამ როგორც კი თავი მარტო დავიგულე, გზიდან გადავუხვიე. — ერთი შესახვევი, მეორე და — სულ სხვაგან ამოვყავი თავი. იმ დღეს სკოლას არ გავკარებდევარ. სალამომდე ბიჭბუჭებთან ვკოჭაობდი. მამამ ცოტაოდენი ფული მომცა წიგნების საყიდლად. სწორედ ამ ფულის იმედი მქონდა და ამ ქვეყანაზე ყველაფერი დამავიწყდა. ცხადია, წამში გამფტქვენეს და ახლა იმის ფიქრში ვიყავი, ფული სად მეშონება. როცა აზარტულად თამაშობ და უკანასკნელ კაბიკს აგებ, გგონია, სადმე შაურიანი რომ იპოვო, მთელ წაგებულსაც დაიბრუნებ და კიდევ მოიგებ. მეც ასე მეგონა: ცოტაოდენი ხურდა თუ ვიშოვე, წაგებულს დავიბრუნებ-მეთქი. ბიჭებს ვთხოვე ფული ესესხებინათ, მაგრამ ყველამ უარი მითხრა. თამაშში ასეა: წაგებულისთვის ფულის სესხება მევალის წაგებას მოასწავებს.

გამოსავალი მაინც მოენახე. კარდაკარ ჩამოვიარე აული, ყვე-

ლას ასე ვეუბნებოდი: ხვალ ფეპლევანებს მოელიან და ფულის შეგროვება დამავალეს-მეთქი.

განა რა ხედება წილად ეზო-ეზო მოწანწალე მშიერ ძაღლს? ერთი: ან ძვალი, ან ჯობი. მეც ასე დამემართა, — ზოგი მაძლევდა ფულს, ზოგი კი არა. როგორც ჩანს, ის ზოგიერთებიც მამაჩემის პატივისცემით მაძლევდნენ ფულს.

აული რომ ჩამოვიტავე, ფული გადავთვალე და ვნახე, რომ შემეძლო თამაში გამეგრძელებინა. მაგრამ არც ეს ავებდითი ფული მეყო დიდხანს. თან თამაშის დროს მთელი დღე მიწაზე მუხლებით სოხვა მომიწია. შარვალი გამომეგლიჯა მუხლის თავებზე, მუხლებიც დამეკაწრა. ამასობაში შინაურებმაც მომიკითხეს. უფროსმა ძმებმა აული ჩამოიარეს ჩემს საქებნელად. აულის მცხოვრებლები, მე რომ უღმერთოდ გავაცურე, ახლა ერთმანეთის მიყოლებით აკითხავდნენ მამაჩემს, რათა დაწვრილებით გავგოთ ფეპლევანების ჩამოსვლის ამბავი. ერთი სიტყვით, როცა ყურით მომათრიეს შინ, მაშინლა მივხვდი: ჩემი თინაზობა გამოაშკარავებულიყო.

და აი, მამაჩემის სამსჯავროს წინაშე წარვსდექი, ყველაზე მეტად ხომ ამ სამსჯავროსი მეშინოდა. მამამ თავიდან ფეხამდე ამათვალიერა. შესიებული და დაწითლებული შიშველი მუხლისთავები ჩამტვრეულ ფანჯარაში ჩაჩურთულ ბალიშივით ამოზურცულიყო დაგლეჯილი შარვლის ტოტებიდან.

— ეს რა არის? — ვითომდა მშვიდად მკითხა მამამ.

— მუხლებია, — ვუპასუხე, თან იმას ეცდილობდი, ხელით დამეფარა გამოგლეჯილი ტოტები.

— მუხლები რომაა კი ვიცი, მაგრამ რად მოგიშიშვლებია? მომიყევი სად დაგლიჯე შარვალი.

მეც ისე დავუწყე შარვალს თვალიერება, თითქოს ახლა შემენიშნოს რა დღეშიც იყო. უცნაურია მატყუარასა და მხდალის ფსიქოლოგია: თან იცი, რომ უფროსებმა ყველაფერი უწყიან და ჯიუტობა ფუჭი და სასაცილოა, თან ყოველ დონეს ხმარობ, რომ როგორმე თავი დაიძვრინო — პირდაპირი, სწორი პასუხის ნაცვლად, ღმერთმა იცის, რას მიედ-მოედები.

მამაჩემის ხმას მრისხანება დაეტყო. შინაურებმა ოჯახის უფროსის ხასიათი იცოდნენ და ჩემს გამოხსნას ლამობდნენ. მაგრამ მამამ ხელით ანიშნა უკან დაიხიეთო და კვლავ მე მომიბრუნდა:

— მაინც როგორ დაგლიჯე შარვალი?

— სკოლაში... ლურსმანს წამოვდე.

— როგორ, როგორ, გაიმეორე...

— ლურსმანს წამოვდე.

— სად?



— სკოლაში.

— როდის?

— დღეს.

მამამ გამომიშალა და ხელუკუღმა მღეწა ლოყაში.

— ახლა მითხარი, როგორ დაგლიჯე შარვალი.

ხმას არ ვიღებდი. მამამ ახლა მეორე ლოყაში გამაწნა სილა.

— თქვი.

ავტირდი.

— გახუმდი! — მიბრძანა მამამ და ხელი მათრახისაკენ გაიწოდა.

ტირილი შევწყვიტე. მამამ მათრახი მომიღერა.

— ახლავე თუ არ მომიყვები ყველაფერს, როგორც იყო, მათრახით გცემ.

ვიცოდი ამ მათრახის გემო, ქვასავით მაგარი კვანძი რომ ჰქონდა ბოლოში. მათრახის შიში სიმართლის შიშზე ძლიერი აღმოჩნდა და დაწვრილებით მოვუყევი, დილიდან მოყოლებული, ჩემი თავგადასავალი.

გასამართლება დამთავრდა. სამი დღე ჩემს ჰკუაზე არ ვიყავი. თითქოს და არაფერი შეცვლილა. ცხოვრება ჩვეულებრივ მიედინებოდა შინაც და სკოლაშიაც, მაგრამ მაინც ვშფოთავდი, ვიცოდი, კვლავ მელოდა მამასთან საუბარი. უფრო მეტიც, სულის სიღრმეში მე თვითონ მსურდა და მწყუროდა ეს საუბარი. ყველაზე მეტად იმ დღეებში ისა მტანჯავდა, რომ მამამ ერთი სიტყვაც აღარ მაღირსა.

მესამე დღეს გადმომცეს, მამა ვიხმობსო. გვერდით მომისვა. თავზე ხელი მომითათუნა, მკითხა: სკოლაში რას გადიხართ, რა ნიშნები გაქვსო. შემდეგ მოულოდნელად მომმართა:

— იცი, რატომ გცემე?

— ვიცი.

— აბა, რატომ?

— ფულზე რომ ვითამაშე, იმიტომ.

— არა, მაგიტომ არა. ბავშვობაში ფულზე ვის არ უთამაშია? მეც ვთამაშობდი და შენი უფროსი ძმებიც.

— შარვალი რომ დავხიე, იმიტომ.

— არა, არც მაგისტვის მიცემიხარ. ვის არ დაგვიხევია ბავშვობაში შარვალი თუ პერანგი. ის კი არა და ცოცხლები რომ დავრჩით, ისიც მიკვირს. გოგო ხომ არა ხარ, ბილიკ-ბილიკ იარო.

— სკოლაში რომ არ წავედი, იმიტომ.

— რა თქმა უნდა, ეს დიდი შეცდომაა ჩაიდინე. მთელი შენი იმდღე-ვანდელი უბედურება აქედან დაიწყო. ამისათვის დატუქსვა გეკუთვნოდა ისევე, როგორც ფულზე თამაშისა და შარვლის დახვეისათვის. ბევრი-ბევრი ყურებს დაგისრესდი. სწორედ რომ ტყუილისათვის გცემე,



ჩემო ბიჭო. სიცრუე შეცდომა ან შემთხვევითობა როდია, ეს ის თვ-  
სებაა, რომელსაც შეუძლია ფესვები გაიდგას, ეს საშიში სარეველია.  
შენი სულის ხნულს რომ შეპარვია. თუ დროზე არ გამომარგლე, ისე  
მომრავლდება, მტკაველიც არ დარჩება, რაიმე კეთილი მარცვალი რომ  
აღმოცენდეს. ქვეყნად სიცრუეზე უარესი არაფერია, ვერც გააგდებ  
და ვერც ცემით მიასიკვდილებ. თუ კიდევ გითქვამს ტყუილი — მოვ-  
კლავ. დღეიდან მხოლოდ სიმართლე უნდა ილაპარაკო. მრუდე ნაღს  
მრუდე ნალი უნდა უწოდო, დოქის მრუდე სახელურს — მრუდე სა-  
ხელური, მრუდე ხეს კი — მრუდე ხე, ვაიგე?

— გავიგე.

— მაშ, წადი.

წავედი და გუნებაში ფიცი დავდე, აღარასოდეს მეცრუა. ისიც ვი-  
ცოდი, მამაჩემი თავის სიტყვას შეასრულებდა და მომკლავდა, თუ კი-  
დევ ვიცრუებდი.

მრავალი წლის შემდეგ ჩემს მეგობარს მოვუყევი ეს ამბავი.

— როგორ, აქამდე არ დაგვიწყნია ეს პატარა, არად ჩასაგდები  
ტყუილი? — წამოიძახა მან.

მე ვუპასუხე:

— სიცრუე სიცრუეა და სიმართლე — სიმართლე. არც ერთი მათ-  
ვანი სიდიდით, ან სიპატარავით არ იზომება. არის სიცოცხლე და არის  
სიკვდილი. სიკვდილის ქამი რომ მოდგება — სიცოცხლე აღარსადაა, და  
პირიქით, — საცა სიცოცხლე ფეთქავს, იქ სიკვდილს ფეხი ჯერ არ  
დაუდგამს. მათი თანაარსებობა შეუძლებელია. ერთი მეორეს გამო-  
რიცხავს. სიცრუე და სიმართლეც ასევეა.

სიცრუე — სირცხვილია, ლაფია და ნარცხის ორმოა.

სიმართლე — სილამაზეა, სისპეტაკეა, მოწმენდილი ცაა. სიცრუე —  
ლაჩრობაა. სიმართლე — სიმამაცე. ან ერთი უნდა აირჩიო, ან მეორე.  
აქ საშუალო არ არსებობს.

ახლა, როცა რომელიმე ცრუ მწერლის ყალბ ნაწარმოებებს ვკი-  
თხულობ, მამაჩემის მათრახი მახსენდება. რარივ გვარგებდა ზოგჯერ  
მამისეული მათრახი! ჩვენ სწორედ მკაცრი და სამართლიანი მამა გვი-  
შველიდა, რომელმაც იცის, როდის დაგვემუქროს: თუ კიდევ იცრუ-  
ებ — მოგკლავო.

სიცრუე რომ დაუსჯელი რჩება, ეგ კიდევ არაფერია! რამდენჯერ  
ყოფილა, რომ სიმართლისათვის დაუსჯიათ კაცი. ვანა ცოტა მაგალითია  
ისტორიაში, რომ სწორედ ჭეშმარიტებისათვის ეწამებოდნენ ადამი-  
ანები, რომ სწორედ ჭეშმარიტებისათვის უწვნევით მათრახი?

ბავშვობაში მართლაც ვაეკაცობა მმართვედა, სიცრუე სიმართლით  
რომ დამეძლია, სამაგიეროდ შეება ვიგრძენი.

კიდევ უფრო მეტი ვაეკაცობა ახლა მმართვეს, ჭეშმარიტი სიტყვა

რომ არ დავთმო. თუ დავთმე, მაშინ შეება კი არა, უსაზარლესი ტანჯვა — სინდისის ქენჯნა მელის.

მამაცი რწმენას არ იცვლის. მან უწყის, რომ დედამიწა ბრუნავს ისიც უწყის, რომ მზე კი არ ბრუნავს დედამიწის გარშემო, არამედ დედამიწა — მზის გარშემო. მან უწყის, რომ ღამეს დილა ცვლის, დილას — დღე, დღეს — ისევ ღამე... ზამთარს — გაზაფხული, გაზაფხულს კი — დღე — თაკარა ზაფხული.

ბოლოს და ბოლოს, სინდისის შოლტი, პატიოსნებისა და ქეშმარიტების შოლტი თრგუნავს ცრუთა და ფარისეველთ. ბოლოს და ბოლოს სიცრუე სიმართლეს ვერ სძლევს.

ა უ ლ ი ს გ ო დ ე კ ა ნ ზ ე მ ო ს მ ე ნ ი ლ ი ს ა უ ბ რ ი დ ა ნ .

— რა მანძილია სიმართლესა და სიცრუეს შორის?

— ერთი გოჯა.

— რატომ?

თვალთა და ყურიც სწორედ ერთი გოჯითაა დაშორებული ერთმანეთს. ის, რაც თვალით გინახავს — სიმართლეა, ხოლო ის, რაც ყურით მოვისმენია — სიცრუე.

ეს ხომ ასეა, ერთხელ ნანახი სჯობია ასჯერ გაგონილსო. მაგრამ მწერალმა ყველაფრიდან სიმართლე უნდა ამოზიდოს:

ნანახიდან თუ მოსმენილიდან, წაკითხულიდან თუ განცდილიდან. განა შეიძლება მწერალი მხოლოდ თვალს დაენდოს? იგი ცხოვრებას ჰკრეტს, მუსიკას ისმენს და თავისი ქვეყნის ისტორიას კითხულობს. ზოგიერთი მწერალი იმდენად კადნიერდება, რომ პირველ ადგილზე ყნოსვას აყენებს, თვალსა და ყურზე რომ არაფერი ვთქვათ.

მწერალს ღონიერი, მარჯვე ხელი, მგლის მუხლი და საღი კბილები უნდა ჰქონდეს. მაგრამ ჰქუა და ცოდნაც არანაკლებ სჭირდება, რათა ნანახსა, მოსმენილსა და წაკითხულში ყოველთვის გამოარჩიოს სიმართლე სიცრუისაგან, ოქრო იაფფასიანი ბრჭყვიალა ლითონისაგან, მარცვალი ბზისაგან, თუკი ადამიანს ჰქუა და ცოდნა არ მოსდევს, მაშინ თვალსაც კი ვერ დაენდობა.

უბირმა მთიელებმა, ოქრო თვალთ რომ არ ენახათ, მძიმე ზანდუკი იპოვეს. იფიქრეს: რაკი მძიმეა, ალბათ ოქროსიაო. წაიკიდნენ. ერთმანეთი დახოცეს. ხოლო ზანდუკი თუჯისა აღმოჩნდა. ნიჭი — ცეცხლია, მაგრამ თუ სულელს ანდეს, შეიძლება დედაბუდიანად გადაგვბუგოს. მხოლოდ და მხოლოდ ჰქუას ძალუძს ცეცხლის დაოკება. ჰქუა სილამაზესაც იურვებს, ვითარცა გამოცდილი მხედარი ფიცხ ულაცს. მთიელს ჰკითხეს: თვალადს ირჩევ, თუ ბრძენსაო.

ბრიყვმა თვალადი ამჯობინა, — ბრიყვი ბრიყვადვე დარჩა. ლამაზ ბრიყვს ცოლი გაექცა. ჰქვიანმა სიბრძნე ირჩია და იმავ სიბრძნის წყალობით ცოლიც დაინარჩუნა. ზღაპარშიც ასეა: ზღვის ცხენის უნა-

გირზე სწორედ იმ მოყმემ შემოიგდო მზეთუნახავი, სიბრძნე რომ არა  
ჩია. სამი ძმის, სამი გზისა და სამი ბრძნული რჩევის ამბავსაც ტყუი-  
ლად როდი მოგვითხრობენ ზღაპრები. — ვინც ბრძნული რჩევას არა  
წმუნა, იგი მშობლიურ კერას დაუბრუნდა, ვინც არა და — უცხო  
მხარეში ჰპოვა სამარე. ო, ჩემო ოქროს თევზო, მიწყალობე მე ნიჭი,  
გულმოდგინეობა, მართალი და მგზნებარე გული მოყმისა და დაუნ-  
ჯებელი სიბრძნე მოხუცისა. მეოხად მეყავ სწორი გზის არჩევაში,  
თუნდაც ქვიანი, მიხვეულ-მოხვეული და საშიში იყოს გზა იგი. ოღონ-  
დაც გველივით აქეთ-იქით არ ვსხმარტალებდე. «გველი მრუდე რად  
არის?» — იკითხავს მთიელი და თვითონვე უპასუხებს: „იმიტომ, რომ  
მრუდე ხერხებსა და ნაპრალებში უწევს ძვრომა“. მე ხომ ადამიანი  
ვარ და არა წყველი. მე სიმაღლე, სიწმინდე და სწორი გზა მიყვარს.

ოქროს თევზო შენ დამიფარე შიშისა და სნებისაგან, დიდების კირ-  
თებისა და თავქარიანობისაგან!

დამიფარე თრობისაგან, რადგან მთვრალ კაცს ყველაფერი კარგი  
ასჯერ უკეთესი ეჩვენება!

დამიფარე სიფხიზლისაგან, რადგან ფხიზელს ყველაფერი ცუდი  
ასჯერ უარესი ეჩვენება!

მიწყალობე ჰუმანიტეტის ცხოველი გრძნობა, რათა მრუდეს მრუ-  
დე ვუწოდო და სწორს — სწორი.

მშვენიერია ეს ქვეყანა! — ამბობდა ერთი,  
მეორე ამბობდა...

არ დაინდო კაცი და დამერთი...

იყო მესამე და ეწია დიდების გვირგვინს,  
რადგან სიმართლეს ემსახურა მხოლოდ და მხოლოდ.

— მშვენიერია, — მშვენიერზე ამბობდა იგი,  
და სიმახინჯეს უწოდებდა მახინჯს და ბოროტს.

ერთმა მთიელმა ძროხას საყურეები დაჰკიდა, სხვა ძროხებისაგან  
რომ გამოერჩია. მეორემ ცხენს ეყვანი დაჰკიდა კისერზე, სხვის ცხე-  
ნებში არ ამერიოსო. იმ ჯიგიტს რა ვუთხარი, თუნდაც წყველიაღში შო-  
რიდანვე რომ ვერ ცნობს საყვარელ ცხენს.

აი, ჩემი წიგნი. არ მინდა საყურეები, ეყვანები და სამკაულები დაე-  
კიდო. არც სხვის წიგნებში ამერევა იგი და არც ჩემს დანარჩენ წიგნებ-  
ში. დაე, ნურც ხალხს აერევა. დაე, ვინც არ უნდა წაიკითხოს იგი,  
თუნდაც უდა ჰქონდეს მოგლეჯილი, მაშინვე თქვას, ეს წიგნი ცა-  
დელი ჰამზათის შვილის, რასულის, დაწერილიაო.

ამ ბო ბ ე ნ — ვაჟკაცი მაღალ კლდეს. არ დაერიდებო.



მრავალენოვანი და მრავალფეროვანი დაღესტანი. ათასნაირი ადამიანები შემოუნახავს მის ხალხს. აი, რა მიაბნო ერთ-ერთ ზნე-ჩვეულებაზე თათმა მწერალმა ჰიზგილ აგშალუმოვმა:

თუ მთიელ ცოლ-ქმარს შეილი არ შეეძინა, ქმარი შალის ქამარს შემოიჭერს, რათა ალაჰმა იგი სხვა მთიელებისაგან გამოარჩიოს. თან კი ლოცულობს:

— ოჰ, ალაჰ, გულს ნუ მოუწყველავ შენს საბრალო მონას, აჩუქე ვაჟი!

ასეთი ქამრები ჰქონდათ შემოჭერილი იმ მთიელებსაც, ქალიშვილები რომ ებადებოდათ ერთმანეთზე მიყოლებით, ანდა სუსტი, ბრმა, ყრუ, კოჭლი, მახინჯი, მუნჯი, კუზიანი თუ გონებაჩლუნგი ბავშვები. შემოიჭერდა მთიელს ქამარს და სჯეროდა, ალაჰი შემდეგში ღონიერსა და ჯანმრთელ ვაჟს აჩუქებდა. სწორედ ისეთს, ნამდვილი, მამაცი ჯიგითი რომ დადგებოდა.

ექვე მიპყრობს: მეც სასწაულმოქმედი ქამარი ხომ არ შემოვიჭირ-რო-მეთქი იმ მთიელივით, მომავალი პირმშოს ბედი რომ აფიქრებს. ვაჟკაცი, ჯიგითი გამოდგება ჩემი ახალი წიგნი, თუ სახიარო, კუზიანი და ყრუ-მუნჯი? თუმცა ყველა დედას ღამაში ეჩვენება თავისი პირ-მშო, — ამჩნევს და კიდევ ვერ ამჩნევს მის ნაკლოვანებას. ჩემ წიგნსაც ასე არ დაემართოს.

მეშინია და კალამი მიცახცახებს ხელში, ექვი მიღრღნის გულს. კატა ხომ არ ამომიღია მიზანში არწივის სანაცვლოდ? სახედარი ხომ არ შემეკაზმავს ლურჯა ცხენის სანაცვლოდ? ან იქნებ დირე სიგრიძე გავდე, მაშინ როცა განივად უნდა გამედო? — სწორედ ასე დაემართათ უგერგილო ახალჩელებს, სახურავზე დირეს განივად გადება რომ ვერ მოისაზრეს. ანდას ციხეზე ხომ არ მიმაქვს იერიში, იმ მეოცნებე ხარ-კოლელივით, კერიასთან რომ მიმჯდარიყო და ციხის აღება ეზმანებოდა? წიგნის გასრულების წინ უცნაური გრძნობა გიპყრობს იმ ყასაბივით, ცხვრის გატყავებისას კუდთან რომ გადაუტყდა დანა. შევქლებ კი გას-რულებას და წერტილის დასმას? ანდა როგორი იქნება წიგნი? ცარიე-ლი ნიჟარა ამომაქვს ზღვის უფსკრულიდან, თუ ნიჟარაში დავანებუ-ლი მქრქალი ობოლი მარგალიტი?

ქარიშხალს ძალუმს ხეს ტოტები ჩამოსხებოს, ან სულაც ძირში გადაამსხვრიოს, მაგრამ გაზაფხულზე ფესვები კვლავ იძალდებს, ყლორ-ტები ამოსკდება და ახალი ხე გაიზრდება. მაგრამ ვაი, თუ ხეს სოკო გაუჩნდა, — გულსა და ფესვებს დაუღრღნის და აღარა უშველის რა. ადამიანსაც ასე ემართება: გარეგანი, საჩინო კრილობა, ძვლის გადატეხ-ვაც კი, სწრაფად იკურნება, მაშინ როდესაც ტანში გამჯდარ სენს უცი-

ლობელი სიკვდილი მოსდევს. ნეტავ ჯანსაღია ჩემი წიგნი, მეღვი და მძლავრია მისი ფესვები? ჩემი წიგნი მოსწრებულ ვაჟიშვილსა ჰგავს. მამისეული ქოხი ევაწროვება, დროა გზას გავუყენო, კაცი გავხადო, ქვეყანას ვაჩვენო. ნეტავ რა მოელის ამ დიდ სავალზე: კაცთა ალერსი თუ ლანძღვა-გინება? დაანაყრებენ და მოასვენებენ, თუ კარში გააძევენ? ეს ჩემზე აღარაა დამოკიდებული.

ჩემი წიგნი ახლად მოქსოვილ ნოხსა ჰგავს, ძირს რომ გავშლიათ, რათა მოიხილონ. თვალში გვხვდება მრუდე ხაზები და არეულ-დარეული სახეები, გაურკვეველია ნაყშები, არა მკაფიო, ალაგ-ალაგ კი აღმაცერი ორნამენტები, აწ შეუძლებელია შეცდომათა გასწორება, ნოხი უკვე მზადაა. სულ მცირე დეტალის შესასწორებლად მთელი ნოხის დარღვევა მოგიხდება.

ჩემი წიგნი ძნელი, შორეული მგზავრობიდან აულში დაბრუნებასა ჰგავს. ორი წელი შინ არ ვყოფილვარ. ორი წელია, არ სმენიათ ჩემი ამბავი თანასოფლელებს, ყონალებს, მოხუცებსა თუ ჰაბუკებს. და, აი, აულის განაპირა ქოხთან ჩამოემხდარვარ ცხენიდან და აუჩქარებლად მიმყავს ცხენი აღვირით. ის ჭრაქი, მთიელმა ქალმა ჩემთვის გზის გასანათებლად რომ შემოდვა ფანჯრის რაფაზე, აღარ მჭირდება, რამეთუ შინ დავბრუნებულვარ. გამარჯობათ, ჩემო მეზობლებო! ორი წლის უნახავი დაგიბრუნდით. ცხენი დამიბერდა ამ ორ წელიწადში და ჰაღარაც მომეძალა. აუჩქარებლად მიმყავს ცხენი აღვირით აულის შუკაში და ყოველ შემხვედრს ვესალმები:

— სალამ ალელიქუმ, ხალხო!

— ვალელიქუმ სალამ, ჰამზათის ძეო, რასულ! როგორ ჩაიარა შენმა მოგზაურობამ? ხომ არ მოგლალა? სარფიანი მოგვიხველ? რითი ვაგიტენია ამოდენა ხურჯინი?

ახალი წიგნი შეგძინეთ-მეთქი, მინდა მივახარო ხალხს, მაგრამ წიგნი ისეთი რამაა, ხელიდან ხელში გადასაცემად აულის მცხოვრებლებს კი არა და, ვინც არ უნდა იყოს, ვერ ვანდობ. ჯერ გამომცემლის ხელში უნდა მოხვდეს და იგი გადაწყვეტს მის ბედს.

გ ა მ ო მ ც ე მ ე ლ მ ა კ ი, ხელნაწერი რომ ჩავაბარე, ხელში კარგად აწონ-დაწონა, შეატრიალ-შემოატრიალა, გადაფურცლა, ჯერ პირველ გვერდს ჩახედა, შემდეგ სამოცდამეათეს, მერე უკანასკნელ გვერდს და ხელნაწერი შორს გადადო.

— შესაძლოა შენი წიგნი მართლაც კარგია, მაგრამ ჩვენ მიმდინარე და მომავალი წლის გეგმები უკვე დაკაბადონებული და დამტკიცებული გვაქვს. შენი წიგნი კი გეგმაში არ შეგვიტანია.

— გეგმაში არც მე მქონია, თვითონ შეწვია მოულოდნელად. ახლა რა მოგუხერხო?

— შემოიტანე შემოქმედებითი ვანაცხადი. განვიხილავთ, ვიმსჯე-

ლებთ, დავამტკიცებთ. რედაქციის მოსამზადებელ გეგმაში შევიტანთ მომავალ წელს. დღეის სწორს შემოგვიარე, ანდა დაგვირეკე.

ა ბ უ თ ა ლ ი ბ ი ს წ ე რ ი ლ ი გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ი ს ა ღ მ ა :

„პატივცემულო დაღესტნის გამომცემლობავ! მე თქვენი სახალხო პოეტი, დაღესტნის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, პერსონალური პენსიონერი გახლავართ. წელს ოთხმოცდახუთი წელი შემისრულდება. ვიცი, თუ უბედურება დამატყდება თავს და მოგვკვდება, თქვენ გადასწყვეტთ ჩემი ორტომეულის გამოცემას. გთხოვთ, ერთი წიგნი გამომიცეთ სიცოცხლეში, იმ ორი ტომის ნაცვლად, ჩემი სიკვდილის შემდეგ რომ გამოსცემთ. მოგიკითხავთ აბუთალიბი“.

ეს მართლაც მშვიდობიანი და კეთილმოსურნე განცხადებაა. მომიჩინათა განცხადებებიც ხომ არსებობს, წყევლა-კრულვიანი განცხადებები, ხშირია მაამებლური განცხადებებიც. არის განცხადება-ლაღლი და არის განცხადება-კიჟინი.

ყველაზე საშინელი ის განცხადებები კი არ არის, გამომცემლობის სახელზე რომ შეაქვთ, არამედ ისეთი განცხადებები, სადაც თვით გამომცემლებს აბეზღებენ. გამომცემლობასაც ხომ უნდა გაუფგოთ, — ერთ სკამზე სამი და ოთხი კაცი ვერ მოთავსდება. ერთი გაიძახის: „ახმედის წიგნი თუ გამოეცი, ჩემმა რა დააშავა? ნაკლები რითა ვარ?“ მეორე კი: „ჩემს წიგნზე უკეთესი წიგნი ამ ბოლო წლებში არ გამოვიციათ, გეგმაში კი მაინც არ შეგაქვთო.“

არ მსურს გამომცემლებს ვედავო. რა გაეწყობა, კიდევ მოვიციდი. ვიცი, გამომცემლობა მუდამ ქაღალდის ნაკლებობას უჩივის. რაში იხარჯება ამდენი ქაღალდი? ქაღალდს მწერლები აფუჭებენ, მეც იმათ რიცხვს ვეკუთენი. პოდა, ვიღას უნდა ვედავო! თუმცა მუდამ ფუჭად როდი იხარჯება ქაღალდი, ზოგჯერ ისეთი ლექსიც გამოერევა, მწერალსა და გამომცემელზე დიდხანს რომ უწერია არსებობა. ო, როგორ მინდა ფარატირა ქაღალდს ჩემი სიტყვებიც შემორჩეს, ვით უკვდავების წყალმა კვლავ იმ მწვანე, სისხლსავსე, მისსავე წარმომქმნელ ხედ რომ აქციოს ეს ქაღალდი.

არა, გამომცემელთან დავა არ მარგებს. მშვიდად ვეუბნები:

— თქვენ ჩემსა და თანასოფლელებს შორის, ჩემსა და მოსკოველ მკითხველებს შორის უშამავალი ხართ. დამაკავშირებელი რგოლი ხართ. დაგვეხმარეთ, რომ ერთმანეთს მივწვდეთ და მეგობრულად ჩამოვართვათ ხელი, გთხოვთ.

გამომცემელი ჩემს მოკრძალებულ თხოვნას შეისმენს და უკვე რედაქტორის წინაშე ვდგავარ.



„შეამცირეთ“ — ასეთი წარწერაა მისი ოთახის კარზე. გამომცემელმა მითხრა ერთი წლის შემდეგ შემოიარეთო, რედაქტორმა კი სამ კვირამდე შემომცირა ვადა. ამან, რა თქმა უნდა, გამახარა: ამასობაში, მოდი, სამ პატარა ამბავსაც მოგიყვებით.

როგორ გადააგდეს რედაქტორი ფანჯრიდან. ერთმა ხუნძმა პოეტმა გაზეთის რედაქციას ლექსები შესთავაზა სახალწლო ნომერში დასაბეჭდად. ლექსები მოიწონეს და დაბეჭდეს.

გახარებულ პოეტს იმ დღეს მეგობრები ეწვივნენ. პოეტმა ღიღის ამბით გაშალა გაზეთი და ხმაბლლა მოჰყვა ლექსების კითხვას. უცებ გადაფითრდა და მარცხენა ხელი მკერდზე ისე იტაცა, თითქოს გულში ისარი აძგერესო. გაზეთი ხელიდან გაუვარდა. მეგობრებმა ხელი შეაშველეს, წყალი მიუბრუნინეს. როცა პოეტი გონს მოეგო, გამოირკვა რამაც შეუღონა გული, — თურმე ლექსს ოთხი სტრიქონი აკლდა. პოეტი რედაქციაში გავარდა.

— ვინ გამომიკლო თქვენი გაზეთის ვრცელ იალაღებზე გაშვებულ ცხვრის ფარიდან ოთხი ცხვარი? ვინ ამომიგდო ლექსიდან ოთხი სტრიქონი?

გაზეთის რედაქტორმა დინჯად მიუგო:

— მე ამოვაგდე... მერე რა მოხდა?

— ჩატომ ამოვაგდე?

— სასწრაფო მასალა შემოვიდა და ადგილი აღარ დამჩნა.

— თუ შენ პოეტის დაუკითხავად ლექსიდან სტრიქონები ამოჰყარე, სამაგიეროდ მე შენ ახლავე ფანჯრიდან გისვრი.

პოეტს ძარღვებში ფიცხი მთიელის სისხლი უღუღდა. სტაცა ხელი რედაქტორს ფეხებსა და საყელოში და ფანჯრიდან გადაუძახა. ბედად ეს ამბავი მეორე სართულზე დატრიალდა, თანაც რედაქტორს ფანჯრის ქვეშ ხვეწოდოვანი ყვავილნარი დახვდა.

აი, რა განაცხადა სასამართლოზე პოეტმა:

— სისხლი სისხლისა წილ, მე რაღად უნდა დამენდო, თუ ეგ კარგი რედაქტორია, ტოლი მეც არ დამიდვია!

„შეგორილი“ რედაქტორი თურმე კვლავინდებურად ამოკლებს ლექსებს (ალბათ უამისობა არ იქნება). მაგრამ ახლა ავტორების დაუკითხავად აღარ ირჯება.

უბის წიგნაკიდან. მამანემმა ორი პიესა დაწერა: „მეჩემე“ და „ქოდოლავას ქორწინება“. პიესებმა ჯერ თეატრი მოინახულეს, შემდეგ კულტურის განყოფილება, ბოლოს დაღესტნის ხელოვნების სამმართველოს მიადგნენ. მამამ დანამდვილებით იცოდა, რომ პიესები



სამმართველოს კარებს არ გასცილებია, არა და, თითქოს მიწამ პირი უყო, ველარ მიაკვლია.

როგორც მწყემსი არ დაგიდევს ავღრიან ღამეს და დასხლეტრილი ცხვრის საქებნელად მის ბილიკზე შეუდგება, ისე მოჰყვა მამაჩემი თავის პიესების საქებნელად კარდაკარ სიარულს.

სამმართველოში ერთი კაცი ეგულებოდა, იგი განაგებდა პიესების ბედს. ისიც რედაქტორად იწოდებოდა. საათზე მეტი რომ ისაუბრეს, მამამ უცებ იგრძნო: როგორც კი ამინდზე, საძოვრებზე, ცხვრებზე, ცხენებსა და ძროხებზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, საუბარს ხალისი ემატებოდა, მაგრამ ლიტერატურასა და დრამატურგიაზე გადავიდოდნენ თუ არა, მამა თანამოსაუბრეს ველარას უგებდა. რედაქტორს კი მხოლოდ დრამატურგიაზე სურდა საუბარი, არიგებდა მამას, როგორ უნდა დაიწეროს კარგი პიესა. მამამ ველარ მოითმინა და პირდაპირ ჰკითხა: რა განათლება გაქვთ, ან წინათ სად გიმუშავნიათო.

— უმაღლესი განათლება მაქვს მიღებული, — სიამაყით მიუგო რედაქტორმა, — სპეციალობით ვეტერინარი ვარ, ახლს კი, როგორც ხედავთ, სამმართველოში ვმუშაობ.

— კი მაგრამ, ჩემი პიესები ძროხები ხომ არ გეგონა, მათი მკურნალობა რომ განვიზრახავს? რატომ პოეტი არ აძლევს ვეტერინარს რჩევას არასოდეს? პოეტს კი ყველა ჰკუთას არიგებს, ვისაც მოეპრიანება.

ნუთუ ჩემი წიგნიც ისეთი რედაქტორის ხელში მოხვდება, წინათ ვეტერინარად რომ უმუშავნია და ლიტერატურისა არაფერი გაეგება? აბუთალიბი და რედაქტორი. აბუთალიბის ხელნაწერი ისე დაკორტნა რედაქტორმა, ყვავი რომ დაკორტნის ხოლმე ბრძოლის ველზე დაცემულ მებრძოლს. ასე დასახიჩრებული წიგნი მიიღო აბუთალიბმა საკორექტუროდ, ჩაიკითხა და გაოცდა:

— ჩემი მწვანე ველი ცხენებს გადაუჭვავათ. იქ სადაც ყვავილები ხარობდა, ახლა ჭაობი გაწოლილა. მოწაფე კარნახში რამდენიმე შეცდომას თუ დაუშვებს, მასწავლებელი უსწორებს. ვინ არის ის მასწავლებელი, რომელსაც უცვნია ტყუილ-მართალი ჩემი ცხოვრებისა?

აბუთალიბი ყურადღებით დააქცერდა კორექტურას და უცბად წამოიძახა:

— აჰა, ახლა კი მივხვდი, რომელი აუღლიანაა ჩემი რედაქტორი, თავისი აულის დიალექტისათვის მიუსადაგებია ჩემი წიგნი! მაგრამ დიალექტებს ვინ მოსთვლის, ენა კი ერთია, ხალხიც ერთია! თუ თითოეული რედაქტორი თავისი აულისკენ გაიქაჩა, ასე ჩვენი პოეზიის აული ვერ აშენდება.

ჩემო რედაქტორო, გახსოვდეს, შენი აულის გარდა კიდევ არსებობს მიწა, შენ გარდა კიდევ არსებობს ხალხი. ის, რაც არსებითია,

უთანხმოებას არ უნდა იწვევდეს. შენს შენიშვნებს გავითვალისწინებ, თუკი სასარგებლოდ ჩავთვლი. ოღონდ გახსოვდეს, მე ჩემს ხიმღერას ვერ შეველევი, ისევე, როგორც მოსისხარი შურისძიების წყურვილს. ახლა როდი დამებადა ეს აზრი, ასე იწყებოდა ჯერ კიდევ სიჭაბუკეში შეთხზული ჩემი ერთი ლექსიც.

იმ ხანად პიესა „მთიელი ქალი“ დაეწერე, დაღესტნის რამდენიმე თეატრში იღმებოდა და აი, რა დაემართა ამ პიესას:

წარმოდგენის დასასრულს პიესის გმირი მთიელ ქალს კლავს. მენანებოდა ჩემი მთიელი ქალი, ხელი მიკანკალებდა სიკვდილის სცენას რომ ვწერდი, მაგრამ არაფრის შეცვლა არ შემეძლო. მოვლენათა მსვლელობას ვერ აღვუდგებოდი, — მთიელი ქალი უნდა მოეკლათ. ხუნძურმა თეატრმაც ზუსტად ასევე დადგა პიესა და თუმცა მაყურებელს ჩემზე მეტად ეცოდებოდა მთიელი ქალი და წუხდა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ სხვაგვარად არ შეიძლებოდა მომხდარიყო.

დარგინულ თეატრში პიესა შეასწორეს: მოკვლის ნაცვლად ქალიშვილს ახლა ნაწნავს შეაპრიდნენ. ნაწნავის შეჭრა მთიელი ქალისათვის თავის მოჭრაა, ამას იქნებ სიკვდილიც კი უჯობდეს. მაგრამ ასეა თუ ისე, ჩემი გმირი სიკვდილს მაინც გადაარჩა.

ყუმუხურმა თეატრმა გადაწყვიტა არც ქალი მოეკლათ და არც ნაწნავი შეეჭრათ მისთვის. არჩიეს თვალეზი დაეთხარათ. ეს იქნებ სიკვდილზე და ნაწნავის შეჭრაზეც უარესი იყოს, მაგრამ სამაგიეროდ მთელი ქალიც გადაარჩა და მისი ნაწნავიც. ასე ინება ყუმუხურმა თეატრმა.

ჩიჩნებმა ყველაზე იოლი გამოსავალი ნახეს. რა საჭიროა მოკვლა, ნაწნავის მოჭრა ან თვალთა დათხრა? დაე, საღსალამათი დარჩეს მთიელი ქალიო.

ამრიგად თითოეულმა რეჟისორმა თავის ყაიდაზე გადააკეთა პიესა. კაცი არ აღმოჩნდა, შეეგონებინა მათთვის, რომ გმირი ქალის გადარჩენით პიესას ჰკლავდნენ. დრამატურგზე რომ არაფერი ვთქვათ, მაყურებელს მაინც რას ერჩოდნენ.

მა მამ აულში მოსული გაზეთი რომ გაშალა, სადაც მისი ლექსები იყო დაბეჭდილი, თქვა:

— როგორც ჩანს, ჩემს ლექსს თელეთლების ხელში გაუვლია. პირწმინდად დაუჭიჯგნიათ.

მა მამ უღი... მა მამ უღი რას იტყოდა, — სიცოცხლეში ხომ მისი არც ერთი წიგნი არ გამოუტიათ. კიდევ კარგი, რომ მის ლექსებს რედაქტორის მომსერელი ხელი არ შეჭხებია, თორემ კაცი ხელმეორედ მოკვდებოდა.

მთის ბილიკს თანამედროვე მსუბუქი ავტომანქანა ვერ ააღწევს. როგორ მოვიტხოვო, რედაქტორის ხელში ნუ ჩამაგდებ-მეთქი, მაშინ როცა იგი, თუ მოუხდა, მკვდარსაც არ ინდობს.

ჩემო რედაქტორო, შენს თავზე არ მიიღო ეს ნათქვამი. გესულ სხვა ჯურის რედაქტორებსაც ვიცნობ, ბრძენ და გამჭრიახ მრჩეველებად რომ ევლინებიან მწერლებს. ვიცი, შენც ასეთი ხარ, შენთან მუშაობა სწორედ რომ საამო სიმშვიდეა და განცხრომა. არხეინად იყავი, უგულისყუროდ არ დაგიტოვებ არც ხელწერის მინდორზე შენს მიერ დასმულ ძახილის ნიშანს, აღტაცების გამომხატველი რომაა, არც იმ კითხვის ნიშანს, ბუნდოვნებაზე რომ მიმანიშნებს და არც იმ ნიშანს, სტრიქონის უკეთ გამართვას, წიგნისათვის შნოსა და ლაზათის შემატებას რომ ემსახურება და შენ კეთილ სურვილზე მეტყველებს.

აღბათ ჩემს წიგნში ზოგიერთი სტრიქონი უძარღვოა და ავადმყოფი, ბებერი კბილივით ფამფალებს. აღბათ ხშირია განმეორებაც. გემუღარები, ნუ შემარჩენ ასეთ სტრიქონებს, აქ შენი კარნახი მჭირდება. ერთი თავი თავია, ორი უკეთესიაო, — ხალხს უთქვამს. ჩვენ კი ორივენი თავგზიანი ვართ, თანაც ოთხი ხელი გვასხია. საქმე კარგად წავგვივა. ხვალინდელ კინკლაობას დღევანდელი ჩხუბი გერჩივნოს. ერთხელ იჩხუბე და მორჩი, მთელი სიცოცხლე კინკლაობა რა საკადრისია. რაც მოავარია, ზედმეტ ქებას განმარიდე.

ერთმა მონადირემ კურდღელი შეაქო, აქაო და არ შეშინდაო, მოტიტვლებულ ბორცვზე გამომიხტაო. მონადირემ დაინდო და არ ესროლა. გათამამებული კურდღელი მეორე მონადირესაც გამოუხტა იმავე ბორცვზე, მაგრამ მეორე მონადირე სულ სხვა ბუნების კაცი გამოდგა და ძნელი მისახვედრი არაა, რით დასრულდებოდა კურდღლის კუნტრუში.

ვიცი, ჩემო რედაქტორო, შენი შრომა არსებითად დაუფასებელი რჩება. მკითხველი წიგნს რომ აიღებს ხელსა, მაშინვე მწერალი, ან მხატვარი მოხვდება თვალში, რედაქტორი კი არც მოაგონდება. ასეთია აღამიანი.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ პოეტი ხალხის სახელით ლაპარაკობს. მაგრამ ზოგჯერ ამ სახელს თურმე რედაქტორიც ეფარება. ერთხელ რედაქციას სატრფოზე დაწერილი ლირიკული ლექსი წარვუდგინე. რედაქტორმა ლექსი გვერდზე გადადო და მითხრა, ვერ დაგებუდავო.

— რატომ?

— ამას ხალხი არ წაიკითხავს, რაში სჭირდება ხალხს შენს ცოლზე დაწერილი ლექსი!

მაშინვე შევთხზე რვა სტრიქონიანი ლექსი!

გუშინ რედაქტორს ვეწვიე

და სამართალი ვეძიე,

მითხრა: თქვენს ნაცოდვილარში

ვნებია დაუფარავი, —

ამნაირ ლექსებს, ყმაწვილო,  
არ წაიკითხავს არავინ.  
ვერ დაგბეჭდავთო, — დასკვნა,  
იქაქანა და იღავა,  
ბოლოს კი თავის მეუღლეს  
წაუღო წასაკითხავად.



მამაჩემი ამბობდა, მწერლები და პოეტები იმ მძღოლებს ჰგვანან, მართვა რომ ეხერხებათ და საერთოდ უფათერაკოდ დაჰყავთ მანქანა, მაგრამ ხანდახან მარცხიც მოსდით და წესრიგს არღვევენო. ამ შემთხვევაში რედაქტორები მილიციელებს ჰგვანანო. მამა თღნაე ჩაფიქრდებოდა და განაგრძობდა:

— როგორ ფიქრობ, ერთი მძღოლისათვის სამი მილიციელის მიჩენა მეტიმეტი ხომ არ იქნება?

სულ უმილიციელობაც არ გამოდგება. ერთ წვეულებაზე მეინახეები სათითაოდ აღღებრძელეს. სუფრასთან ერთი მილიციელიც იჭდა. თამილამ ისიც აღღებრძელა. სამომხმარებლო კავშირის თავმჯდომარემ ჭიქა დადვა და თქვა:

— კომუნიზმში მილიციელები არ იქნებიან. მილიციამ უკვე მოჭამა თავისი დრო. ჰოდა, რაღა საჭიროა მათი დღეგრძელობა?

— მილიციის ყოფნა-არყოფნა სამომხმარებლო კავშირის არსებობაზე ჰკიდია, — მიუგო მილიციელმა. ხუმრობა იქით იყოს და, გითხრა, ჩემო რედაქტორო, რომელი წუთებია ჩემთვის უძვირფასესი? როცა ლაზათიანად გაწყობილ სუფრას ვუსხედვართ მე და შენ და არა სამუშაო მაგიდას. უკან ჩამოგვიტოვებია ის საშინელი წუთები, როცა შენ ჩემს ხელნაწერს აწერდი „აიწყოს!“ ხოლო შემდეგ — „დაიბეჭდოს!“ ბოლოს „გაეცელებს“ და წიგნიც შენი ერთი ხელის დაქნევაზე ხან ასაწყობად, ხან დასაბეჭდად და ხან კიდევ გასაეცელებლად მიჰქონდათ. მერედა როგორი. სიტყვაა: „გაეცელებს!“ მხოლოდ ამ ერთი სიტყვისთვის მომიტევებია ყოველი შეცოდება შენი. ამ სიტყვისთვის ღირს ჭიქის აწევა, ახლაც დააწერე ჩემს წიგნს ერთი სიტყვა და პირველ ეგზემპლარს შენ გაჩუქებ. ცხადია ავტორისეული წარწერით.

რასაკვირველია, ჩემი სურვილია, რაც შეიძლება მალე დადგეს ქამი, როცა ქვეყანაზე არავითარი საიდუმლოება აღარ იარსებებს. მაგრამ პოეტად არ იწოდება იგი, ვინც ხალხს რაიმე საიდუმლოებას არ აზიარებს. მე, პოეტი, რაკი სამყაროს მოვევლინე, კრეტსაბმელი უნდა აგხადო სივრცეს და დროს, ისევე როგორც ნეფე ხდის ხოლმე პირბადეს დედოფალს ქორწილზე. მხოლოდ ნეფეს ეძლევა ამის უფლება, მერე კი ყველა იხილავს დედოფლის პირისახეს. მხოლოდ პოეტს ძალუძს საბურველი ახადოს სინამდვილეს, რათა აღამიანებმა შეიციონ

იგი და გაკვირდნენ, დღემდე რომ არ უხილავთ ბორბოტი ძალების პირისპირ მდგარი სამყაროს სილამაზე, ანუ სილამაზე ადამიანის სულსა.

გთხოვ, რედაქტორო, ტყუილუბრალოდ ნუ ალაპარაკებ ყბედებს, მაგრამ ნურც იმას დაფარავ, რაც მე, პოეტმა, სამზეოზე გამოვიტანე. ეჭვის თვალით ნუ შეხედავ ჩემს ნაყშებს, ორნამენტებსა და ნახატებს. თუ რამ ზადი შენიშნო ჩემს ფერადოვან ხალიჩას, ნუ იქმ, მელნით მომითხვარონ ანდა მაკრატლით გაკრიჭონ, თორემ ან მელნის ლაქა დააჩნდება ან ნაჩვრეტი.

გარდა ამისა, მცდარად ნუ მირჩევ რომელიმე აზრს, მხოლოდ და მხოლოდ იმისა გამო, რომ შენსას არ ჰგავს!

ესეც გახსოვდეს, სასწორზე პურს, შაქარს, კარაქს, ლურსმანს წინიან და არა სიყვარულს!

არც ის დაგვიწყდეს, რომ არშინით ჩითს, ოთახის სიმაღლეს, საფლავის ზღუდეს ზომავენ და არა სილამაზეს!

ესეც დაიხსომე, ვისაც ყველაზე ჭკვიანად მოაქვს თავი, იმაზე უფრო ბრიყვია, ვიდრე სინამდვილეში არის.

ესეც არ იყოს, მოწიფული კაცი ვარ და მცირე რამ მეც დამეჭერება! გასაგებია, ერთ კაცს მეტი აქვს სათქმელი, მეორეს ნაკლები, რამეთუ...

ა ბ უ თ ა ლ ი ბ მ ა თ ქ ე ა: აშმორებულ წყალში ფსკერს ვერ დაინახავ, თუნდაც მუხლებამდე გწვდებოდესო.

უ ბ ი ს წ ი გ ნ ა კ ი დ ა ნ. ბაღობაში ყველაზე ენაჭარტალად მთვლიდნენ შინაურები. ქუჩაში გაგონილს შინ ვყვებოდი, შინ გაგონილი კი საქვეყნოდ გამოიმკონდა.

მამაჩემს დროდადრო ერთი მოხუცი ეწვეოდა ხოლმე, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა და ჩურჩულით ეუბნებოდა:

— ჰამზათ, ორიოდე სიტყვა მაქვს სათქმელი, მეორე ოთახში გავიდეთ.

განცალკევდებოდნენ და რაღაცაზე ჩურჩულებდნენ. ასე რამდენჯერმე განმეორდა, ერთხელაც ისევ გვეწვია მოხუცი.

— ჰამზათ, არ შეიძლება ცალკე გითხრა ორიოდე სიტყვა?

— კარგი, კარგი! — უპასუხა მამამ, — ეგ შენი საიდუმლოება რასულთანაც შეიძლება ითქვას. ასე რომ, ნუ ვეშინია, ხმამაღლა თქვი! ჰო, ბავშვობიდანვე ვერ ვეგუებოდი ვერაფერს დაფარულს. სიმღერას ხომ ხმამაღლა, მთელი გულით მღერიან, შემადლებულ ადგილზე მდგარნი, რაც შეიძლება უფრო მეტ ადამიანს რომ დაუტკბოს ყურთასმენა.

ესეც არ იყოს, ყოველ სიტყვაზე ხომ პასუხს არ ვაგებ, მეც ხომ მყავს ჩემი მთარგმნელი.



მე ხუნძი ვარ, ხუნძად დავიბადე და დავრჩები კიდეც. თვალეში რომ ამეხილა, პირველად ხუნძები შევიცანი და ხუნძური სიტყვები ვისმინე. პირველი სიმღერაც, აკვანში რომ დამმღეროდა დედა, ხუნძური იავნანა იყო. ხუნძური ენა იქცა ჩემს დედაენად. იგია ყველაზე უძვირფასესი, რაც მე გამაჩნია და ჩემთან ერთად ყველა ხუნძს. ხუნძთა ტომი მცირერიცხოვანია, სულ რაღაც სამასი ათასი კაცი. მაგრამ ეს არცთუ ისე ცოტაა. არაერთი დაღესტნელი პოეტი წერს ლექსს სწორედ იმ ენაზე, მხოლოდ ორი ათასი კაცი რომ მეტყველებს.

სახელმწიფო საზღვარი ჰყოფს ადამიანებს ერთმანეთისაგან, ხოლო უფრო მეტად ენა. საზღვარი ეამიდანეამ კიდეც გადაინაცვლებს ხოლმე, ზოგჯერ სულაც უქმდება, ანდა მხოლოდ და მხოლოდ ფორმალურად რჩება. ენა კი სამარადეამოდ მიეცა ხალხს და მისი არც შეცვლა და არც გაუქმება არ იქნება.

ძნელი წარმოსადგენია ის ხანა, როცა ხუნძები გაცნობილი არ იყვნენ პუშკინს, არ კითხულობდნენ ლერმონტოვს, არაფერი გაეგოთ ტოლსტოიზე და არ ტკბებოდნენ ჩეხოვის კითხვით.

მ ა მ ა ა მ ბ ო ბ დ ა : სწორედ დიდი ბედნიერებაა, მთავიე რომ იხაროს პუშკინის კეთილმა ნერგმა. რამდენიც არ უნდა დაარხიო იგი ხე, აწ დატოტილი და მსხმოიარეა, არ მოილევა ტბილი და წვნიანი ნაყოფი.

ა ბ უ თ ა ლ ი ბ ი ა მ ბ ო ბ დ ა : მადლობა მას, ვინც ჩემს ნახევრად ბნელ სარდაფში ძვირფასი ჩეხოვი მაწვიაო და კიდეც მადლობა მას, ვინც ჩემი სიმღერა სარდაფიდან მოსკოვის კრემლის კედლებს გადააწვდინაო.

მე კი ვამბობ: კავკასიამ გენერალს არ მოუხარა ქედი, პორუჩიკის ლექსის წინაშე კი მორჩილად მოიდრიკა.

ერთი კურიოზული შემთხვევის მომსწრე ვარ. დაღესტანში ჩემი წიგნი უნდა გამოსულიყო რუსულ ენაზე — რჩეული ლექსები და პოემები. რედაქტორმა ხელნაწერი გადაფურცლა და მკითხა:

— რატომ „პოლტავა“ არ შეიტანე?

— კი მაგრამ, ეს ხომ ჩემი პოემა არაა, პუშკინმა დაწერა, მე მხოლოდ ვთარგმნე ხუნძურ ენაზე. პუშკინის პოემას როგორ შევიტანიდი ჩემი ლექსების რუსულ კრებულში!

რედაქტორს ნუ განვიკითხავთ. ისიც ხომ მართალია, რომ სხვა ენიდან თარგმნილ ბევრ კარგ ნაწარმოებს ხუნძები მშობლიურივით შეეთვისნენ და ახლა ჩვენი ხუნძური ლიტერატურა მათ გარეშე ვეღარც წარმოგვიდგენია.

ვიცი, პირს უკან ზოგიერთი გამჭორავს კიდეც: „არა, რასული, რა

თქმა უნდა, ნიჭიერია, მაგრამ ნიჭი თავზე როდი გადადის. ბევრ რამეს მოსკოველ მთარგმნელებსაც უნდა უმაღლოდეს“.

მე არ უარვყოფ, მთარგმნელები რომ არ ყოფილიყვნენ, არც მე ვიქნებოდი.

ჯერ ერთი, საშუალება მომცეს გავცნობოდი ჰაინეს, ბერნსს, შექსპირს, საადის, სერვანტესს, გოეთეს, დიკენსს, ლონგფელოს, უიტმენსა და ყველა იმათ, რომელნიც ოდესმე წამიკითხავს და რომელთა გარეშე მწერალი ვერ გავხდებოდი.

მეორეც, მთარგმნელებმა გზა გაუხსნეს ჩემს ლექსებს, ბობოქარ მდინარეებზე, მაღალ მთებზე, სქელ კედლებზე, სასაზღვრო პოსტებზე, უმკვიდრეს საზღვარზე — მეორე ენის მიჯნაზე გადაატარეს: სიყრუე, სიბრმავე და სიმუნჯე გადაალახვინეს.

ხანდახან თავს ვეკითხები, რა უფრო მნიშვნელოვანია: ის რომ მთარგმნელმა ჩემი მშობლიური ენა იცოდეს (და ამავე დროს მისთვის უცხო დარჩეს ჩემი პოეზია), თუ ის, რომ ჩემს პოეზიას განიცდიდეს სულითა და გულით და თავისად მიაჩნდეს.

1937 წელს დაღესტანში კონკურსი იყო გამოცხადებული ჰუშკინის ლექსის „სოფელის“ საუკეთესო თარგმანზე. ორმოცმა პოეტმა თარგმნა ეს ლექსი ხუნძურ ენაზე. მრავალმა მათგანმა რუსული იცოდა, მაგრამ პირველი პრემია მაინც ჰამზათ ცადასას ხვდა წილად, რომელსაც მაშინ რუსულისა ინჩი-ბინჩი არ გაეგებოდა.

მთარგმნელი პოეტიც უნდა იყოს, მწერალიც და მხატვარიც, ისიც ისეთივე მამულიშვილი უნდა იყოს, როგორიც მე ვარ.

ისეთ რუსებსაც შეგხვედრივარ, ცოტაოდენი ხუნძური რომ უსწავლიათ, მაგრამ ვაი, რომ პოეტები არ არიან, და რუს პოეტებსაც, სამწუხაროდ, ხუნძურისა რომ არა გაეგებათ რა. რა გაეწყობა, ბწკარედი უნდა მოიშველიონ.

რუსულ სოფლებში ზის სახლების გადატანას შევსწრებდევარ. სახლის ერთიანად გადატანა მოუხერხებელია, ძელებს გამოუშლიან, ცალცალკე და ფიცარ-ფიცარ გადაიტანენ სახლს და სხვა ადგილას დადგამენ.

ბწკარედი გადასატანად გამზადებული სახლია, — ძელების, ცალფიცრების, გადასახურავი თუნუქისა და აგურის გროვია, მთარგმნელი ამ უფორმო გროვისაგან ახალ სახლს დადგამს. თუ ძელი დამპალია, გამოცვლის, თუ ცალფიცარი გზაზე დარჩა, ახალს დაუყენებს, ჩუქურთმა თუ ჩამოტყდა, შეაკეთებს.

და გაწმენდენ ფანჯრის მინებს და დაანთებენ ცეცხლს ღუმელში, რათა კვამლი ავიდეს ბუხრიდან. ბანზე ბავშვები ითამაშებენ, ფარდულქვეშ მერცხლები გაიკეთებენ ბუდეს.

რა არის ბწკარედი? — ადამიანია, თვლებში შუქი რომ ჩაუქრა და



გული გაუჩერდა. ამოვიღის ექიმი, ნემსს გაუკეთებს, სისხლს გადტუსხამს, გულის კუნთს დაუზილავს და სხეულს კვლავ ცხოველი სითბო ჩაელვრება.

რა არის ბწყარედი? ყუმუზია, სიმი რომ მოშვებია ქამიერად, წამით მინავლებული კერაა, ფრინველია, წუთით ფრთები რომ შეუკეცავს.

რა არის ბწყარედი? ერთმა დალაქმა გამკრიჭა, გამპარსა, თმა დამვარცხნა და მითხრა:

— ხომ ხედავ, ბწყარედივით მომიხველ და მე კი თარგმანივით გისტუმრებ.

რაკი დალაქზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ერთ შემთხვევასაც გავიხსენებ. ეს კუბაში მოხდა ქალაქ სანტ-იაგოში, ნამგზავრმა გაპარსვა და თმის გაკრეჭა გადავწყვიტე, სადალაქოში შევედი და ხელით ვანიშნე, რისთვისაც ვიყავი მისული.

კუბაში სანამ გაგპარსავდნენ, ჯერ სავარძელში გადაგაწვეინენ ნებიერად, თითქოს საწოლი იყოს. მეც ასევე ვადამასვეხეს. სანით გამიქაფეს პირისახე. ყველაფერი რიგზე იყო, სანამ კუბელის სამართებელი არ შემეხებოდა ლოყაზე. არ ვიცი სამართებელი იყო მეტისმეტად ბლაგვი თუ ოსტატი არ ვარგოდა, მე კი ტკივილისაგან სული შემიფუბდა, ცოტა დამაკლდა, და ყვირილს მოვრთავდი. ერთხანს ვითმენდი, მერე შევატყვე, რომ ბოლომდე, სულ ერთია, ვერ მოვითმენდი და ჯერ რუსულ, მერე კი ავარიულ ენაზე მივმართე დალაქს, თან ლოყაზე ვუთითებდი. დალაქს შეეშინდა და გაიქცა, მალე ვილაც თეთრხალათიანი კაცი მომიყვანა. თეთრხალათიანმა ჩემოდანი გახსნა და კბილის ამოსაღები იარაღები ამოალაგა. დალაქის სავარძლის ნაცვლად დანტისტის სავარძელში აღმოვიჩნდი. ყოველივე ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ მე და დალაქს ერთმანეთის ენა არ გვესმოდა. ცოტა და ჩემს საღ კბილებს გამოვემშვიდობებოდი.

ასევე მთარგმნელებსაც არაერთგზის ამოუგლეჯიათ ყველა საღი კბილი ლექსისათვის და ისე გაუყენებიათ გზაზე, უკბილო და ჩლიფინა.

უ ბ ი ს წ ი გ ნ ა კ ი დ ა ნ . როცა უცხოეთს მიემგზავრები, როგორ იქნება, სახალხო ოსტატთა ნახელავი არ ჩაუტანო სტუმართმოყვარე მასპინძლებს საჩუქრად ნიშნად მადლიერებისა. იაპონიაში, მაგალითად, ბალხარელ ოსტატთა მადლიანი ნახელავი — რამდენიმე ლამაზი დოჭი ჩავიტანე. ხიროსიმაში იაპონელი მხატვრები მეწვივნენ სტუმრად — ცოლ-ქმარი. დიდხანს ვისაუბრეთ.

ვიფიქრე, მხატვარზე უკეთესს ვის უნდა ვაჩუქო-მეთქი ბალხარელთა ნახელავი. თამამად გავხსენი ჩემოდანი და — გული გადამიქანდა, — დოჭების ნაცვლად ნამტვრევები დამხვდა. ისე პირწმინდად იყო დაქუცმაცებული, თითქოს ჩაქუჩი ურტყამთო. იქნებ მტვირთავები

აქეთ-იქით ისროდნენ ჩემს ჩემოდანს მოსკოვის, ინდოეთისა და ტოკიოს აეროდრომებზე. ახლა კი მერჩია, მიწა გამსკდომოდა, აკი იაპონელებს საჩუქრებს დავპირდი და ისინიც, რა თქმა უნდა, მოუთმენლად ელოდნენ დანაპირებს, თან გაოცებულნი შემომცქეროდნენ ჩემოდანთან გაშეშებულს.

ადგილიდან ვერ დავიძარი, ველარც ხმა ამოვიღე.

ბოლოს ჩემი სტუმრები მიხვდნენ, უბედურება რომ დამატყდა თავს. მომიახლოვდნენ, ნამსხვრევებს დახედეს და თავი გადააქნიეს. მხარზე ხელი დამარტყეს და დამაშოშმინეს. ასეთი რამ, ცხადია, შეუფერებელი იყო იაპონელებისათვის, რადგანაც ისინი ბუნებით ერთობ ზრდილნი არიან და ფამილიარობას ვერ იტანენ, მაგრამ ალბათ იმან თუ იმოქმედა, ნირწამხდარი და დაბნეული რომ დამინახეს.

ნამტვრევები ქალაქში გავახვიე, ურნაში უნდა ჩამეგდო, მაგრამ მხატვრებმა არ დამანებეს. ნამტვრევებს თავი მოუყარეს, ფრთხილად შეახვიეს და შინ წაიღეს.

რამდენიმე დღის შემდეგ მხატვრებმა სტუმრად მიმიწვიეს. რარიც გავოცდი, როცა ჩემი დოქები მრთელი და უვნებელი ენახე, თითქოს, ახლახან გამოეძირწათ მექოთნეებს. ახლაც ვერ გავრკვეულვარ, როგორ მოახერხეს წვრილ-წვრილი ნამტვრევების შეწებება.

ამბობენ, გაბზარულ დოქს ვერ გაამთელებ, მაინც წყალი გაუვაო. იაპონელების მიერ გამრთებულ დოქებში კი დაღესტნური კონიაკიც ჩავასხით და იაპონური საკეც — წვეთსაც არ გაუჟონავს.

შეგყურებდი იაპონელ მხატვრებს და ჩემი საუკეთესო მთარგმნელები მახსენდებოდნენ. ჩემი ლექსების ბწყარელებიც დოქის ნამტვრევებს ჰგავდნენ, შემდეგ რომ შეაწებეს და ახალი დოქები გამოიყვანეს — თითქოსდა არაფერი მომხდარიყოს, ისე ხელუხლებლად გამოიყურებოდნენ ავარიული ნაყშები.

თუკი სურას საერთოდ არ ჰქონია ყური, მთარგმნელმა რატომ უნდა მიავკოს, ანდა ერთის ნაცვლად ორი ფსკერი რატომ უნდა გაუკეთოს.

ამ ცოტა ხნის წინ დაღესტნის გამომცემლობამ გამოსცა „ჰაჯი-მურატის“ ახალი თარგმანი ხუნძურ ენაზე, წავიკითხე, — ორი თავი მიუმატებიათ.

— ეს ორი თავი საიდან მოიტანე? — ვკითხე მთარგმნელს.

— ტოლსტოიმ ხომ ეს მოთხრობა ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე დაწერა. ჯერ ერთი, მწერალს ბევრი მცდარი აზრი აქვს გამოთქმული. მეორეც, მკითხველისათვის ხომ უნდა მეამბნა, თუ რა ბედი ეწია შემდგომ ჰაჯი-მურატს და მის შთამომავლობას.

უბის წიგნაკიდან. მამაჩემის ერთი ლექსი რუსულად თარგმნეს. როგორც ჩანს, გამოუცდელ მთარგმნელს ჩაუგდეს ხელში.

მამამ ხუნძური და რუსული ენების კარგ მცოდნეს სთხოვა ხელმძღვრედ გადმოეთარგმნა ლექსი რუსულიდან ხუნძურ ენაზე და შინაარსი გამხნა. მამამ უსმინა და ბოლოს წამოიძახა:

— შორეული მოგზაურობიდან დამიბრუნდა ვაჟი, მაგრამ ვაი, რომ ველარ მიცნია, არა, უმჯობესია ჩემი შვილები მთებს შეაბერდნენ, ვიდრე ასე იცვალონ იერი.

დიახ, ლექსის თარგმნა იმ შვილსა ჰგავს, აულიდან რომ წარუგზავნია დედ-მამას სასწავლებლად თუ სამუშაოდ. მშობლიურ ბუდეს მოცილებული ჭაბუკები ასე თუ ისე ნიადაგგადასჯაფერებულნი უბრუნდებიან კერას.

მაგრამ, ვინ იცის, დოვლათიანი დაგიბრუნდება ვაჟი თუ ხელცარიელი, დიპლომიანი თუ ნასამართლევი, ჯანღონიანი ფიზკულტურელი თუ ჯანგატეხილი და სნეული, სახელმოხვეჭილი მეცნიერი თუ ყბადაღებული ლოველასი, ხელდამშვენებული წარუდგება სანათესაოს თუ შიშველ-ტიტველი.

მეც შორეულ გზას გავუყენე ჩემი წიგნი, დიდი ქალაქები დავატარე, ხალხში გავრიე. ნეტავი როგორ დაიქერს თავს უცხო მხარეში? ხომ არ შეარცხვენს თავის ხალხს, თავის ბოხოსს?

ვიცი, მთაზე მჯდომ ცუდკაცს („იამანი“) ბარად დაშვება კაი ყმად („იახში“) ვერ გადააქცევს. ამიტომ ვთხოვ ჩემს მთარგმნელს, თუკი ჩემი წიგნიც „იამანი“ გამოდგა, დაე, ასეთივე დარჩეს. თუკი კოჭლი და ბრმა ვარ, ხელჩაკიდებულს კარში ნუ გამომიყვანთ, დაე, ჩემს კერასთან ვიჯდე, ჩემი კარის ზღურბლთან, ნუ მომიკალავთ სპილენძის ჭურჭელს და ნურც ვერცხლისეულს მომიოქროვებთ!

ა ბ უ თ ა ლ ი ბ მ ა მ ი ა მ ბ ო :

— ქალ-ვაჟის პატრონი ვარ. ქალიშვილი ზრდილი, წესიერი და სამავალითოა. ვაჟი კი დამთხვეული და ცეტია. ქალიშვილის ამბავს რადიოც გადმოსცემს და გაზეთებიც წერენ, დამკვრელი ქალია. ბიჭს კი ერთთავად უჩივის ხან სკოლა და ხან მილიცია. ქალიშვილზე ამბობენ: სკოლამ, პიონერულმა ორგანიზაციამ, კომკავშირმა, სამშობლომ აღზარდაო. ბიჭზე კი იმას ამბობენ — დაღესტნის სახალხო პოეტს აბუთალიბს ცუდად გაუზრდიაო.

ეს ნაამბობი რომ მოვისმინე, ვიფიქრე, თარგმანის საქმეც სწორედ რომ ასეა-მეთქი. თუ თარგმანი კარგია, პოეტს აქებენ, მთარგმნელი კი ავიწყდებათ. ხოლო თუ თარგმანი უვარგისია, მთარგმნელს ლანძღავენ, პოეტის ხსენებას კი გაურბიან.

არა, ჩემო კეთილო მთარგმნელო, ასე არ ივარგებს, მოდი ორივემ ვაგოთ პასუხი, ცუდზეც და კარგზეც. ახლა ორთავეს ერთი ურემი გვაბარია- მოდი, ძმურად შეგუტოთ და მთის ბილიკი ავარბენინოთ.

აქეთ-იქით ნუ გავიქაჩებით, თორემ ვერც ჩვენ დავიძვრებით ადგილიდან და ვერც ჩვენი ურემი.

უცნაური ამბავი მოხდა. ერთხელ ჩვენთან დიდი მთა მოსკდა და ჩამოშვავდა. აულ მოხონის ახლოს დადრკა და გზა გადაუკეტა მდინარეს. ცხვრის ფარამ, ჩობნებმა, ჩობნების მიერ დაგზნებულმა კოცონმაც და კარვებმაც მთასთან ერთად უვნებლად ამოჰყო თავი მეორე ნაპირზე. მთა ახლაც იქ დგას ნირშეუცვლელი, ოღონდ მის ძირას ტბა გაჩნდა, ტბაში კი კალმახი მომრავლდა. ადრე ამ მთის ძველ ადგილსამყოფელს იშვიათად თუ მოინახულებდა კაცი, ახლა კი, უწყვეტად მოემართებიან ტურისტები, მეთევზეები და მოსწავლეთა ექსკურსიები.

დაე, ჩემი წიგნიც ასევე უვნებლად შეუერთდეს მისთვის ახალ ენას და ისე მიიზიდოს ხალხის კრებული, როგორც მოხონის შორიახლო მდებარე მთა იზიდავს.

ანუ როგორც მუსულმანები იტყვიან, რაც გიწერია, უთუოდ გადაგხდებაო. ეს ალბათ რუსულ ანდაზას შეესატყვისება: კაცი ბჭობს და ღმერთი განაგებსო. ანუ უფრო მოკლედ: ბედს ვერსად გაექცევიო.

კ რ ი ტ ი კ ო ს ი. მეტისმეტად საძნელოა მასზე რაიმეს დაწერა, თუ ავინე, ხალხი იფიქრებს, კრიტიკული შენიშვნები არ ექაშნიკაო, ზედ ამასაც დაამატებს: სამაგიეროს უხდისო. შეაქებ და — მის გულს ინადირებსო.

მ ა მ ა ა მ ბ ო ბ დ ა: მე და კრიტიკოსი ორივენი პოეტები ვართ. მე ლექსებს ვწერ, ის კიდევ ჩემს ლექსებზე წერსო.

ა ბ უ თ ა ლ ი ბ მ ა ერთ დიდესტნელ კრიტიკოსს უთხრა:

— მე ყურძნისაგან ღვინოს ვაყენებ, შენ კი ჭაშნიკს იღებ.

კრიტიკოსზე აზრის გამოთქმას ვერიღები, მაგრამ რამდენიმე რჩევას მაინც მივცემდი:

1. ცუდს მუდამ ცუდი უწოდე და კარგს — კარგი.
2. თუკი რაიმეს შეაქებ, შემდგომ ნულარ ავინებ და თუ ავინებ, შემდგომ ნულარ შეაქებ.
3. რწყილს ნუ დააწვენ და აქლემს ნუ აშობინებ და, მით უმეტეს, ნუ იქნები მოწადინებული აქლემი ბუზად გადააქციო.
4. ილაპარაკე იმაზე, რაც წიგნში წერია და რაც არ წერია, იმაზე ნურაფერს იტყვი.
5. ნუ მოიხმობ ბელინსკიდან მოყოლებულ ავტორიტეტთა ერთობლიობას შენივე აზრის დასტურად და განსამტკიცებლად. თუ ეს აზრი ნამდვილად შენია, ეცადე შენივე გონების შემწეობით დააფუძნო.
6. ნათელი აზრი ნათელი და გასაგები ენით გამოხატე. ბუნდოვან აზრს კი საერთოდ ნუ გამოთქვამ.
7. ფლუგერი ნუ იქნები, ქართან ერთად რომ ქანაობს.

8. ნუ შეეცდები შთააგონო სხვას იგი, რაც ჭერჭერობით შენთვისაც გაუგებარია.

9. თუკი ჭიბეში ასი მანეთი არ გიდევს, სხვებს ნუ მოაჩვენებ, მიდევსო.

10. თუ მშობლიურ აულში დიდი ხანია არ ყოფილხარ და მისი ასავალ-დასავალი არ უწყი, თავს ნუ გამოიღებ, აულიდან ახლახან დავბრუნდიო.

ეს ჩემი სურვილები ახალი როდია, იგი ნაცნობია გამრავლების ტაბულის პირველი ბწყარივით. თითოეული კრიტიკოსი კეთილსინდისიერად რომ მისდევდეს ამ კეთილ სურვილებს, მაშინ ჩვენი კრიტიკაც უფრო ქმედითი იქნებოდა.

მკითხველი. არაერთგზის მისაუბრია რედაქტორთან, გამომცემელთან, მთარგმნელთან თუ კრიტიკოსთან. ახლა ორიოდ სიტყვა წიგნის მთავარ მსაჯულს, მკითხველს, უნდა შევაწიო.

მკითხველო, შეგობარო ჩემო! ცხადია შენც გაგაჩნია საყვარელი წიგნები, ისევე როგორც ჩვენ — მწერლებს. ამბობენ, მწერლისათვის უსაყვარლესია ის წიგნი, ჭერ რომ არ დაუწერია, მაგრამ უსათუოდ დაწერსო. არ ვიცი, სხვისთვის როგორ, ჩემთვის კი ზედგამოჭრილია ეს ნათქვამი.

დიდი ხანია ვოცნებობ დავწერო წიგნი სამშობლოზე. დიდი ხანია ველოლიავეები ჩემს ჩანაფიქრს, ვერა და ვერ შევასხი ხორცი. იქნებ ნიჭი არ მყოფნის, იქნებ ყოველდღიური დრტვინვა მიშლის ხელს, ან იქნებ მოთმინება თუ გამბედაობა მალაატობს.

წელთა სიმრავლე პასუხისმგებლობას გვიათყეცებს საკუთარი თავისა და მკითხველის წინაშე და ხელიც აგრერიგ გაბედულად ვეღარ ეტანება კალამს. მშობლიურ მიწაზე დაწერილი წიგნი ბევრს გვაავალებს, ესე არს წიგნი წიგნთა შორის.

ეს წიგნი ჭერ არ დამიწერია, მაგრამ ბევრი მიფიქრია და ვიცი, როგორი უნდა იყოს. გადავწყვიტე ქაღალდს გავანდო ფიქრი ჩემი ცხოვრების ამ უმთავრეს წიგნზე.

ეს ჭერ კიდევ არ არის ჩოხა, იგი საჩოხეა მარტოოდენ, ეს ჭერ კიდევ არ არის ხალიჩა, იგი ღაზლის ნართია მარტოოდენ. ეს ჭერ კიდევ არ არის სიმღერა, იგი გულის ცემაა მარტოოდენ, სიმღერის დასაბამი.

ამბობენ: თუ ლოცვა არ აღგივლენია, მაგრამ გულში ერთხელ მაინც გაგივლია, სული იშვებსო მლოცველისა, ესეც იკმარე, — ჯოჯოხეთს აროდეს შთახვალო.

ამბობენ: ყონალის ღარიბი სუფრაც არ დაიწუნების, ცარიელ ბოზაზეც გადახვალ, სტუმარი გულნაკლული როდი უნდა დარჩეს, თუკი ყონალი ნაირ-ნაირი უცხოური ღვინოებით ვერ გაუმასპინძლდაო.

ამ ბო ბენ: თუ კეთილი არა გიქმნია რა, მაგრამ აპირებდი ქმნას კეთილისას, ამისათვისაც მადლობა ვეთქმისო.

მკითხველო, მეგობარო ჩემო, ყოველი წიგნი შენთვისაა დაწერილი. მე ძალმიძს გამომშვების დარწმუნება, რედაქტორთან და კრიტიკოსთან კამათიც ძალმიძს, მხოლოდ შენი განაჩენია ჭეშმარიტი და უცილობელი. მოსამართლის ენით რომ ვთქვათ, ამ განაჩენის გასაჩივრება არ იქნების.

მწერალს მხოლოდ შენთან შეხვედრის მოლოდინი აცოცხლებს. სამი ვნება ყოფილა ჩემი ცხოვრების თანამგზავრი მარადვამ. ერთი — შენთან შეხვედრის მღელვარე მოლოდინია (როგორი იქნება ეს შეხვედრა), მეორეა თვით წამი შეხვედრისა (ეს ბუნებრივი და გასაგებიცაა), მესამე კი — ფიქრი წარსულ შეხვედრაზე, როდესაც ვცდილობ წარმოვიდგინო, თუ როგორი შთაბეჭდილება მოვახდინე შენზე, როდესაც იმ წარსულ შეხვედრაზე ფიქრი მასულდგმულვებს.

მკითხველთა სახეები შემომგარვია. ერთი შუბლს იკმუხნის. ვით მოვიძიო ფრთიანი სიტყვა, რათა ნაოქები წარვხოცო? მეორე იღმიკება, თითქოს უამური რამ ხემსი უგემებია. მესამეს მოუწყენია და სწორედ ესაა უსაშინლესი და უსალბუნო.

მთიელებს ჰკითხეს: რაისად აგიზიდავთ აულები მალა, შეუვალ მთებზე? კაცს გაუჭირდება ააღწიოს ფრიალოებზე, ფრიად საშიშია: ცალკე — უფსკრულზე გაკრული ბილიკები და ცალკე — მთის ნაშალი თუ ზევეებია. მთიელებმა მიუგეს: კარგი მეგობარი უგზოობას არ შეუშინდება. ხიფათს არად ჩააგდებს, ცუდს კი ფეხიშე ამოეკვეთოს!

მკითხველო, ჩემო მეგობარო, მე ორმოცდაოთხი წლისა ვარ, ამ ასაკში ადამიანებს ნებისმიერი საპასუხისმგებლო საქმე შეიძლება დაევალოს. ამ ასაკში მწერალმა თითოეულ სიტყვაზე უნდა აგოს პასუხი.

თუ ჩემს წიგნში ისეთ აზრს წააწყდები, ადრე სხვა მწერლის წიგნის სარეცელზე რომ უთევია ღამე, განაძევოს იგი გონებამ შენმან. ასე მთიელი გამოაგდებს ხოლმე კარში პატარძალს, თუკი ნამუსშენახული არ აღმოჩნდა, ოდეს ქორწინების ღამე მიიწურება.

თუ ჩემს წიგნში ჭეშმარიტ აზრს წააწყდები, ხაზი გაუსვი, ყალბი აზრი კი ორგზის გახაზე.

იოტისოდენა ტყუილსაც თუ წააწყდები, არ დაფიქრდე, წიგნი მოიწროლე — ასეთი წიგნი არაფერში გამოდგება.

გამოთხოვებისას კიდევ ერთ არაკს გაიმბობთ.

არაკი მდიდარ ხანზე, მის ვაჟსა და დუმიხაგან შემზადებულ ნივრიან ხინკალზე. ოდესღაც ავარისტანში ერთი მდიდარი ხანი ცხოვრობდა. სამი ცოლი გამოიცვალა ვაჟს დანატრულმა, მაგრამ ვერც ერთმა ცოლ-

მა ვერ იქნა და ვერ აჩუქა ვაჟი; ის კი არა და, ქალიშვილიც არ შესძენიათ. ხანაც ადგა და მეოთხე ცოლი ითხოვა.

გავიდა ქამი და ვაჟიშვილი შეეძინა. ხანის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დოლის ბაგაბუჯი, დაირის ქლარუნი, სიმღერა და ცეკვა-თამაში არ წყდებოდა. სამი დღე-ღამე ლხინობდნენ.

დიღხანს არ დაჰყო სიხარულმა ხანის მდიდრულ სასახლეში. მალე ბავშვი ავად გახდა და ვერაგინ დაადგინა, რა სჭირდა. რა სიმღერები არ უგალობეს, მაგრამ ბავშვი ვერა და ვერ დააძინეს. რა საქმელები არ აურჩიეს, მაგრამ პირი არ დააკარა. ყველა ხედავდა, ბავშვის დღეები დათვლილი იყო. ვერც უცხოელმა ექიმებმა, ვერც ინდურმა თილისმამ და ვერც ტიბეტის ბალახებმა ვერ განკურნეს ხანის ერთადერთი მემკვიდრე. ხანი ნამდვილად ვერ გაუძლებდა მის სიკვდილს.

და აი, მეზობელი აულიდან შემოხეტებული მათხოვარი, კაცად რომ არაგინ თვლიდა, წარუდგა ხანს და განუცხადა: ისეთი წამალი ვიცი, შენს მემკვიდრეს სიკვდილს გადავარჩენო. კარისკაცებმა მათხოვრის გაგდება მოინდომეს, მაგრამ ხანმა არ დაანება. ასეა თუ ისე, ვაჟი მიკვდება, მაშ რად არ ვცადო ეს უკანასკნელი წამალიცო, — გაიფიქრა ხანმა.

— რა არის საჭირო ჩემი ვაჟის გადასარჩენად?

— შენს ცოლთან უნდა დამტოვო მარტო.

— რაო? მარტოო? ჩემს ცოლთან? გაგიჟდი? თვალით აღარ დამეხანხო.

მათხოვარი შეტრიალდა და იქაურობას გაეცალა. ხანმა იფიქრა: ვაჟი ხელიდან მეცლება და რა დამაკლდება იმით, თუ ეს გლახაკი ჩემს ცოლთან სასაუბროდ განმარტოვდებაო.

— ეპეი, გლახავ, დაბრუნდი, გადავიფიქრე, ნება გეძლევა ესაუბრო ჩემს ცოლს.

როცა მათხოვარი და ხანის ცოლი მარტონი დარჩნენ, მათხოვარმა ჰკითხა:

— გსურს ვაჟს სიცოცხლე შეუნარჩუნო?

ქალი პასუხის ნაცვლად მუხლზე დაეცა.

— მაშინ თქვი, ვინ არის მისი ალალი მამა?

ქალმა თვალელები დააცეცა.

— ნუ გეშინია, საიდუმლოს სამარეში ჩავიტან. თუ არ გაამხელ, ვაჟს დაღუპავ.

— ხანი ნატრობდა მემკვიდრეს, მე კი ვიცოდი, თუ ვაჟი არ მეყოლებოდა, მეც ისევე გამაძევებდა სასახლიდან, როგორც სხვა ცოლები გაყარა. პო და, მთებს მივაშურე, იქ ვინმე ყარიბი მწყემსი გამოვარჩიე და მერე — მემკვიდრე დაიბადა.

— ო, დიდებულო ხანო, — ამცნო მათხოვარმა განმგებელს საუბ-



რის შემდეგ, — მე ვიცი, რა გადაარჩენს შენს ვაჟს. ახლავე ციმციმ  
გაიტანეთ აკვანი, კოცონი დააგზნეთ ისეთი, მთაში მწყემსები რომ გა-  
აჩაღებენ ხოლმე, აკვანს ცხვრის ტყავი ჩაუფინეთ, და იმ საზრდოთი  
ჰკვებეთ, შენი მწყემსები რომ შეექცევიან.

— კი მაგრამ, ისინი ხომ მსუქანი ღუმისაგან შემზადებულ ნივრიან  
ხინკალს შეექცევიან. როგორ შეიძლება ხანის მემკვიდრემ... ერთი წლის  
ბავშვმა...

მათხოვარი ისევ შეტრიალდა და იქაურობას გაეცალა. თუ მის ნე-  
ბას არ დაეყვივ, ვაჟი მომიკვდებაო, — კვლავ გაიფიქრა ხანმა და ბრძა-  
ნა ხონჩით ხინკალი შემოეტანათ.

ხანის ცოლმა თავისი ხელით დაამზადა საკმელი. იგი ისევე ირჯებო-  
და ერთადერთი ძისათვის, როგორც მაშინ იმ ყარაბი გოლიათის საამებ-  
ლად იმ უნეტარეს ღამეს. ხის ხონჩაც ისევე დაუდგა შვილს წინ, რო-  
გორც მაშინ — მის რჩეულ მწყემსს.

ხონჩაზე რიყის ქვებივით დიდრონი და მრგვალი ხინკლები ელაგა.  
მოხარული ღუმა ქონად წასულიყო. დოქით მთის წყაროს წყალი შე-  
მოიტანა.

მისწვდა თუ არა მემკვიდრის ნესტოებს ჩამდნარი ქონისა და ნივრის  
სუნი, თვალი გაახილა, წამოდგა, გამოცოცხლდა და ორივე პაწაწინა ხე-  
ლით ყველაზე დიდი ხინკალი ჩაბლუჯა. წამის უმალ ბავშვს მამის ღონე  
მოეცა. მშვიერი ღომივით თქველეთვავდა ხინკლებს. თვალდათვალ იზრ-  
დებოდა ყრმა და უცებ ტანწერწერტა, ჯანღონიან ჰაბუჯად იქცა. სნეუ-  
ლების ნიშანწყალიც კი გაუქრა.

იქნებ ეს ზღაპარია, მაგრამ ეს კი ვიცი, როცა ლიტერატურა მამა-  
პაპურ ფესვს მოსწყდება და უცხოურ საზრდოს მიეძალება, როცა ზნე-  
სა და ჩვეულებას წაიშლის, როცა თავისი ხალხის ენასა და ხასიათს  
გადაუდგება, იგი დასუსტდება, დასნეულდება და ვერარა წამალი ვე-  
ლარ უშველის.

ამით დავასრულებ კიდევ, ზაფხულის ღულუნა დღეებში შევუდექ  
წერას და აი, ენქელიანი შემოდგომაც მომდგარა კარს. მთიან აულში  
წამოვიწყე ეს წიგნი და ხალხმრავალ ქალაქში დავუსვამ წერტილს.  
დილასისხამზე გამოვჩარხე პირველი სტრიქონი და აი, შუალამე წამო-  
მადგება საცაა და აჰა, უკანასკნელი ფხიზელი სინათლეებიც ქრება  
ქალაქში.

მორეული მოგზაურობიდან ვბრუნდები. აულის ახლოს ჩამოვქვე-  
ითდი, გრძელ დაკლავნილ ქუჩაზე აღვირით მომყავს ცხენი. ახლა უმ-  
ჯობესია უნაგირი მოეხადო ცხენს, კისერზე მოვუთათუნო ხელი და  
ველად გავუშვა.

იე კი, მოდი, შუაღმოსავლს მივუჯდები, სიგარეტს ამოვიღებ და გა-  
ვაზოლებ.

ამბობენ, თვით ალაპიცი კი, თვის თანმდგომთ წინაშე რაიმე სა-  
ლადობო ამბავს რომ ჩამოათავებს, ანდა ახალ შეგონებას შეასმენს  
მათ, ერთს მადლიანად გააბოლებს, გააბოლებს, გაიზმორება და ჩაფიქრ-  
დებაო.

მოდის, ჩვენც ჩავფიქრდეთ. ყველა გზას კეთილი დასასრული როდი  
აქვს. ყოველი ახალი წიგნი სვებედნიერი როდია.

ახალ განთიადს ახალ წიგნს აღვუთქვამთ, ახალ გზას შევეუდგებით.  
ნამგზავრი ჯერ კიდევ ვისვენებ, ნაბადში ვეხვევი და დასაძინებლად  
ვწვები. ღამე მშვიდობისა, კეთილო ადამიანებო! კეთილად დავიწყო  
და კეთილადვე დავასრულე.

ვასალამ, ვაქალამ, ამინ!

„პატარა ერს ხანჯალი უნდა ჰქონდეს დიდი“.  
 ასე თქვა შამილმა 1841 წელს.

„პატარა ერს შეგობრები უნდა ჰყავდეს დიდი“.  
 ასე თქვა აბუთალიბმა 1941 წელს.

პატარა გასაღებით დიდი სკივრის გაღებაც შეიძლებაო, — იტყოდა ხოლმე შამაჩეში. დედა კი ნაირ-ნაირ ზღაპრებს მიაშობდა: „ზღვა ხომ დიდია? დიდია. მერედა საიდან გაჩნდა იგი? პაწია ჩიტმა პაწაწკინტელა ნისკარტი დაჰკრა მიწას და წყარომ ამოხეთქა, წყაროსგან კი ზღვა წარმოიშვა“.

დედაჩემი ამასაც მიჩვენდა: „როცა თამაშით გულს მოიჭერებ, ირბენ და აწითლდები, იმდენ ხანს მაინც უნდა შეისვენო, სანამ მალლა ასროლილი ბოხოხი ჩამოვარდებოდეს. ჩამოჯექი ცოტა ხანს, დაისვენე“.

ხალხმაც ასე იცის — ერთი მინდორი თუ მოჰხანი, რაც არ უნდა პატარა იყოს იგი, სანამ მეორეზე გადახვილოდე, მიჯნაზე უნდა ჩამოჯდე და დაისვენო.

ორ წიგნს შორის შუალედიც ხომ ასეთი მიჯნაა? ჰოდა, მეც ავდექი და წამოვწექი ამ მიჯნაზე. ამივლიდნენ და ჩამივლიდნენ შორიახლოს მავანნი და მავანნი, მიყურებდნენ და ამბობდნენ, იმუშავა გუთნისდევამ და დაიძინაო.

ჩემი მიჯნა ორ აულს შორის მოქცეულ ხეობასა ჰგავდა, ან ორ ხეობას შორის მოქცეულ ფერდობზე შეფენილ აულს.

ჩემი მიჯნა დაღესტანსა და მთელ სამყაროს შუა გავლებულ საზღვარს ჰგავდა. ვიწექი ამ მიჯნაზე, მაგრამ როდი მეძინა. იმ ბებერ მელასავით ვიწექი, იხვის ჭუჭყლებს რომ უთვალთვალებს შორიახლოდან. ცალი თვალი ოდნავ მქონდა მოხუჭული და ცალი — ოდნავ ღია. ერთი ყური თათზე მედო, მეორეზე კი თათი მქონდა დადებული. ამ თათს დროდადრო შეუძინებელად ავიღებდი ხოლმე და ვაყურადებდი; წაიკითხა ხალხმა ჩემი წიგნი? ამბობენ რამეს? რას ამბობენ?

აულის მაცნე ძალაღი სახურავიდან რომ გაჰყვირის სხვადასხვა ამბებს, მანამ არ დაიძახებს ახალს, სანამ არ დარწმუნდება, რომ წინა ამბავი გაიგო ხალხმა.

ქუჩაში მიმავალმა მთიელმა თუ რომელიმე სახლიდან გამოსული მო-

ლუშული, განაწყენებული ან გაბრაზებული სტუმარი დაინახა, თვითონაც არასდროს ესტუმრება იმ ოჯახს.

ვიწეკი ორ წიგნს შუა და მესმოდა, რომ სხვადასხვაგვარად შეხვდა ხალხი ჩემს პირველ წიგნს.

ეს გასაგებიცაა — ზოგს ვაშლი უყვარს და ზოგს კაკალი. ჭამის დროს ვაშლს თლიან და კაკალს ამტვრევენ, საზამთროს და ნესეს თესლი უნდა გამოაცალო. სხვადასხვა წიგნთანაც სხვადასხვანაირი მიდგომაა საჭირო. კაკლის გასატეხად სუფრის დანას არ ხმარობენ, არც კაკლის სამტვრევი გამოდგება ნაზი და სურნელოვანი ვაშლის გასათლელად.

სხვადასხვა მკითხველი სხვადასხვა ნაკლს პოულობს წიგნში. რას ვიზამთ, როგორც ამბობენ, უნაკლო მოლას ქალიც კი არ არისო. და ჩემს წიგნზე რაღა მეთქმის.

ასეა თუ ისე, დამთავრდა ჩემი შესვენება და მეორე წიგნს ვიწყებ. არ ვიცი, რამდენი მკითხველისთვის ვწერ მას. სიმრავლე ხომ არაფრის მთქმელია. ზოგიერთი წიგნი ასი ათასობითაა გამოცემული, მაგრამ არავინ კითხულობს და ხელუხლებლად აწყვია მალაზიის თაროებსა თუ ბიბლიოთეკებში. ზოგჯერ კი წიგნის ერთადერთი ცალი ხელიდან ხელში გადადის და ვინღა არ კითხულობს. მე კი არც ერთი მინდა და არც მეორე. მოხარული ვიქნები, თუნდაც ერთი კაცი თუ წაიკითხავს ჩემს წიგნს. მინდა ამ კაცს ვუამბო ჩემს პატარა, უბრალო და ამაყ ქვეყანაზე. ვუამბო, სად მდებარეობს იგი, რა ენაზე ლაპარაკობს მისი ხალხი, რაზე საუბრობენ, როგორ სიმღერებს მღერიან.

ყველაფერს ხომ ვერ მოვეყვები. მოხუცები გვასწავლიდნენ: „ყველაფრის თხრობა მხოლოდ ყველას შეუძლია, შენ კი შენსაზე მოგვიყვი და მაშინ გამოვაო ყველაფერი. თითოეულს მხოლოდ თავისი სახლი უშენებია და ბოლოს აული გაჩენილა. თითოეულს კუთვნილი მიწა მოუხნავს და საბოლოოდ მთელი მიწა დახსულა“.

და აი დილაადრიან ავდექი, დღეს ჩემი პირველი ხნულის დღეა, ახალი მინდვრის ახალი ხნულის დღე. ასეთ დღეს ძველი ადათის მიხედვით მაგიდაზე შვიდი საგანი უნდა იდოს და შვიდივეს სახელი ერთი და იგივე ასოთი უნდა იწყებოდეს. აქეთ-იქით ვიხედები და ამ საგნებს ვპოულობ. აი ისინიც:

1. ფურცელი (სუფთა).
2. ფანქარი (წვერწათილი).
3. ფოტოსურათი (დედაჩემის).
4. ფურცელი რუკისა (ჩემი ქვეყნის).
5. ფინჯანი ყავა (შავი, მაგარი).
6. ფილა კონიაკი (დალესტური, ხუთფარსკვლავიანი).
7. „ყაზბეგი“ (პაპირისი).

თუ არა ახლა, როდისღა უნდა დავწერო წიგნი?

კერა გაღვივდა, შუა ცეცხლზე ჩამოკიდებული ქვაბი თუხთუხს იწყებს. გარეთ წვიმს, ეუუუნა წვიმაში მზემ გამოაჟყიტა. ამბობენ, ასეთ ამინდში მხეცები მთებში ჯამბაზებივით ცეკვავენ შვიდფეროვან ცისარტყელაზეო. ასეთი ამინდის დროს დედა ამბობდა: ცა წვიმის ძაფებითაა ნაკერი, ნემსები კი მზის სხივებიაო.

დღეს მთებში გაზაფხულია, გაზაფხულის პირველი დღეა. გაზაფხულიც ჩემსავით პირველ კვალს ავლებს.

— მითხარი, დალესტანის გაზაფხულო, გაქვს შვიდი ისეთი საჩუქარი, შვიდივეს სახელი ერთი და იგივე ასოთი რომ იწყებოდეს?

— როგორ არა მაქვს, — მპასუხობს გაზაფხული, — ეს საჩუქრები თვითონ დალესტანმა მომართვა. აბა, თითებზე ჩამოთვალე:

1. ცია — ცეცხლი სიცოცხლისათვის, სიყვარულისა და სიძულვილისათვის.
2. ციარ — სახელი პატროსნებისათვის, მამაცობისათვის, ადამიანის დასაძახებლად.
3. ციამ — მარილი ცხოვრების გემოსთვის, ცხოვრების ზომისთვის.
4. ცივა — ვარსკვლავი მაღალი სწრაფვისა და იმედებისათვის, ნათელი მიზნებისა და სწორი გზისათვის.
5. ციუმ — არწივი მაგალითისა და ნიმუშისათვის.
6. ციუმურ — ზანზალაკი, ზარი ხალხის თაემოსაყრელად.
7. ციალკიუ — საცერი, ცხრილი საღი მარცვლის უვარგისი და მჩატე ჩენჩოსგან გამოსარჩევად<sup>1</sup>.

დალესტანო! ეს შვიდი საგანი შვიდი ტოტია შენს ფესვმაგარ ხეზე. ჩამოურიგე ისინი შენს შვილებს, მაჩუქე მეც. მინდა ცეცხლი და მარილი ვიყო, არწივი და ვარსკვლავი, ზარი და ცხრილი ვიყო, მინდა პატროსანი სახელი მქონდეს.

მალლა ვიხედები და ცას ვხედავ წვიმითა და მზით, წყლითა და ცეცხლით ნაქსოვს. დედა მეუბნებოდა ხოლმე, თვით დალესტანიც ცეცხლისა და წყლისაგან გაჩნდაო ძილის დროს.

<sup>1</sup> ყველა ეს სიტყვა ხუნძურ ენაზე ერთი და იგივე ასოთი იწყება.



— ცეცხლს ნუ ვხუჭობთ, —  
 ამბობდა მამა.  
 — წყალში ქვას ნუ ჩაავდებ, —  
 მეხეწებოდა დედა.

სხვადასხვა კაცი სხვადასხვანაირად იხსენებს თავის დედას. მე იგი მახსოვს დილით, შუადღით და საღამოს.

დილით იგი წყლით სავსე სურით ბრუნდება წყაროდან. როგორც უძვირფასესი რამ, ისე მოაქვს წყალი. აი, ამოიარა ქვის საფეხურები, სურა ჩამოდგა და კერიის გაჩაღებას შეუდგა. ელოლიავება ცეცხლს, როგორც უძვირფასეს რაიმეს, უცქერის შიშით თუ აღტაცებით. სანამ ცეცხლი გაჩაღდება, დედა აკვანს არწევს, არწევს როგორც უძვირფასეს რაიმეს. შუადღისას მიაქვს ცარიელი სურა და წყაროსკენ მიდის, მერე ცეცხლს აჩაღებს, აკვანს არწევს. საღამოს წყალი მოაქვს სურით, აკვანს არწევს, ცეცხლს აჩაღებს.

ასე საქმიანობდა დედა ყოველდღე გაზაფხულზე, ზაფხულში, შემოდგომასა და ზამთარში. საქმიანობდა აუჩქარებლად, დინჯად, თითქოს ყველაზე უფრო საჭირო, ყველაზე უფრო ძვირფას რაიმეს აკეთებდა. წყლის მოსატანად მიდის, აკვანს არწევს, ცეცხლს აჩაღებს, წყლის მოსატანად მიდის. ასე ეიგონებ დედას. წყალზე რომ მიდიოდა, მიბარებდა: „ცეცხლს მიხედე“. ცეცხლთან რომ ტრიალებდა, მარიგებდა: „სურა არ გადააბრუნო. წყალი არ დაიღუპოს“. მინანქარებდა და ჩამჩურჩულებდა: „დაღესტნის მამა ცეცხლია, დედა კი — წყალი“.

ჩვენი მთები მართლა ჩამოგავს გაქვავებულ ცეცხლს. ჰოდა, მოდი ჩვენც ცეცხლზე ვისაუბროთ:

- ქვა ქვაზე დაკრული — ნაპერწყალს აჩენს,
- კლდე კლდეზე შეხლილი — ნაპერწყალს აჩენს,
- ხელი ხელს შემოკპარ — ნაპერწყალს აჩენს,
- სიტყვაც გაკვესილი — ნაპერწყალს აჩენს,
- სიმი შეარხიე — ნაპერწყალს აჩენს,
- მომღერლის თვალებიც — ნაპერწყალს აჩენს.

მთიელის კრაველის მოხობიცი კი ნაპერწყლებს ისერის, ხელს თუ გადაუსვამ.

როცა ბოხობიანი მთიელი სახლის სახურავზე ავა, მახლობელ მთაზე თოვლი დნობას იწყებს.

თვით თოვლიც ცეცხლის ნაპერწყლებივით ელავს. განთიადისას მთის თხემზე გადმომდგარი ჯიხვის რქებიც ცეცხლივით აფრქვევენ შუქს, ქარაფებიც აგიზგიზებულ ცეცხლში დნებიან.

ცეცხლია მთის ანდაზებშიც და მთელი ქალის ცრემლშიც, შამხანის  
ლულის ბოლოშიც და ქარქაშიდან ამოწვდილი ხანჯლის წვერზეც, მაგ-  
რამ ყველაზე უფრო კეთილი და თბილი ცეცხლი დედის გულსა და თვი-  
თეული ქოხის კერიაზეა.

როცა მთიელს თავის ქება უნდა, ასე ამბობს: „ცეცხლი ჯერ არავის-  
თვის მითხოვიაო“.

როცა მთიელი ცუდსა და უქმურ კაცზე ლაპარაკობს, ასე ამბობს:  
„მისი ბუხრიდან ამოსული კვამლი თავისი კუდივით წვრილიაო“.

როცა ორი ხნიერი მთიელი ქალი ჩხუბობს, ერთი გაჰკვივის: „ცეცხლი  
ხუმც დაგნთებოდეს კერიაზე“. „ის ცეცხლიც ჩაგჭრობოდეს, ახლა რომ  
გინთია კერიაზე“, — პასუხობს მეორე.

კაცი კი არა, ცეცხლიაო, ამბობენ მამაცზე.

ერთი ახალგაზრდის ცივი და მოსაწყენი ლექსები რომ მოისმინა, მა-  
მაჩემმა თქვა: „ამ ლექსებში თითქოს ყველაფერია. ზოგჯერ კაცს სახ-  
ლიც აქვს, კერაც, შეშაც, ქვაბიც და ქვაბში ხორციც, მაგრამ ცეცხლი  
არაა, ქოხში ცივა, ქვაბი არ ჩუხჩუხებს და ხორცი უგემურია. ცეცხლი  
არაა და სიცოცხლაც არაა. ასე რომ შენს ლექსებს ცეცხლი აკლია!“

ერთხელ შამილს ჰკითხეს: „გვითხარი, იმამო, პატარა, ნახევრად  
მწიერი დაღესტნის სუკუნეების განმავლობაში როგორ უწევდა წინააღ-  
მდეგობას ძლიერ სახელმწიფოებს, როგორ გაუძლო ოცდაათი წელიწადი  
თეთრ მეფესთან ბრძოლას?“

შამილმა უპასუხა: „დაღესტანი ვერასოდეს ვერ გაუძლებდა ამ  
ბრძოლას, სიყვარულისა და სიძულვილის ცეცხლი რომ არ ნთებოდა  
გულში. ეს ცეცხლი ახდენდა სასწაულებს. სწორედ ეს ცეცხლია დაღეს-  
ტნის სული, თვით დაღესტანი. ან მე ვინა ვარ, — განაგრძობდა შამი-  
ლი. — გიმრელი მებაღის შვილი. მე არც სხვაზე მაღალი ვარ და არც  
სხვაზე ბეჭებგანიერი. ბავშვობაში ერთი გაღუული, სუსტი ბიჭი ვიყავი.  
მე რომ მიყურებდნენ, უფროსები თავს აქნევდნენ და ამბობდნენ, დიდ-  
ხანს ვერ გაატანსო. თავდაპირველად ალი მერქვა, მაგრამ ავადმყოფობის  
დროს შამილი დამარქვეს, იმ იმედით, ძველ სახელს ავადმყოფობაც  
თან გაჰყვებო. მე დიდი ქვეყანა არ მენახა, დიდ ქალაქებში არ ვიზრდე-  
ბოდი, დიდი სიკეთისა და სიმდიდრის მფლობელი არ ვიყავი. ჩემი  
აულის მედრესში ვსწავლობდი. ერთხელ მშობლებმა ვირი შემეკანმეს  
და თემირ-ხან-შურის ბაზარზე გამგზავნეს გიმრული ატმების გასასყი-  
დად. დიდხანს ვიარე ვირით მთის ქვიან ბილიკებზე. და აი, რა შემემთხ-  
ვა. დიდი ხნის წინათ მოხდა ეს, მაგრამ არ მაფიწყდება და არც მინდა  
დავივიწყო, იმიტომ, რომ მაშინ გაიღვიძა ჩემმა სულმა, სწორედ იმ  
წუთში ვიქეცი მე შამილად.“

თემირ-ხან-შურის ახლოს, ერთი სოფლის თავში ანცი ბიჭები დამ-  
ხვდნენ, ჩემი მასხრად აგდება უნდოდათ. ერთმა ბოხობი მომტაცა და



გაიქცა. სანამ მე ბოხოხის მომტაცებელს მივსდევდი, ბიჭებმა ხილიანი კალათები ჩამოხსნეს ვირს. ყველანი იცინოდნენ, ჩემი უმწეობა და დაბნეულობა ართობდათ. არ მომეწონა მათი ხუმრობა და აქამდე უცნობმა ცეცხლმა იფეთქა ჩემს სულში. თეთრი ძვლისტარიანი ხანჯალი დაეპყრე ქარქაშიდან, ბოხოხის გამტაცებელს სოფლის კარიბჭესთან დავეწვი, ატალახებულ თხრილში წავაქციე და ყელზე ხანჯლის წვერი მივიბჯინე. ბიჭმა პატიება მოხოვა. — ცეცხლს ნუ ეხუმრები-მეთქი, ვუთხარი. ჭუჭყიან თხრილში დავტოვე და მივიხედ-მოვიხედე. ჩემი ატმების გადმომყრელები აქეთ-იქით გაფანტულიყვნენ. მაშინ მახლობელ სახურავზე ავედი და დავიძახე:

— ეი, თქვენ, თუ არ გინდათ, ჩემი ხანჯლის ცეცხლმა აგიწვათ შუცელი, ყველაფერი ისევე ჩამილაგეთ, როგორც იყო. — ამის გამეორება მეორედ არ დამპირვებია.

იმავე დღეს ბაზარში გავიგონე, როგორ ამბობდნენ მოხუცები ჩემზე: „ჭერ სადა ხართ, ეს ბიჭი კიდევ ბევრჯერ გაგვახსენებს თავს“.

მე კი წარბებამდე ჩამოვიფხატე ბოხოხი, ვირს დავუცაცხანე და გზას გავუდექი.

განა მე აყალმაყალი და ჩხუბი მინდოდა? თვითონ გამომიყვანეს მოთმინებიდან, ცეცხლი ამიგიზგიზეს გულში.

წლები გავიდა... ერთ დილას ბაღში ვმუშაობდი, მკლავები დაკაპიწებული მქონდა, ქვემოდან კლდეზე შავი მიწა ავიტანე და თითოეული ხის გარშემო დავყარე. მიწას ძველი ბოხოხით ვეზიდებოდი. ამ დროისათვის უკვე რამდენიმე ჭრილობა მქონდა სხვადასხვა შეტაკების დროს მიღებული. ჰოდა, მოვიდნენ მთიელები სხვა აულებიდან, ძალზე შორეული აულებიდანაც კი, და მითხრეს, ცხენი შეკაზმე და იარაღი აისხიო. ბრძოლა არ მეწადა და უარზე დავდექი. მებაღეობა მერჩივნა ომს. მაშინ აულებიდან წარმოგზავნილებმა მითხრეს:

— შაშილ! უცხოთა ცხენები ეწაფებიან ჩვენ წყაროებს, უცხონი გვიქრობენ ლამპრებს. თვითონ შეჯდები ცხენზე თუ ჩვენ მოგეხმაროთ?

და ჩემს გულში იფეთქა ცეცხლმა, როგორც მაშინ, ბიჭებმა ბოხოხი რომ მომტაცეს და ატმები გადამიყარეს. ეს ცეცხლი იმ ცეცხლს ჰგავდა, მაგრამ უფრო მწველი იყო. ბალიც დამავიწყდა და თავიც. არც წვიმას, არც ქარს, არც ყინვას არ შეუძლია იმ ცეცხლის ჩაქრობა, უკვე ოცდახუთი წელიწადი რომ დამაქროლებს მთებში. გიზგიზებს აულები, ხრჩოლავს ტყეები, ცეცხლი იკვესება ბრძოლის ველზე, გიზგიზებს მთელი კავასიონი. აი რა არის ცეცხლი!“

ამბობენ, რომ დიდი ხნის წინათ, როცა მტრები საზღვრებს გადმოლაზავდნენ, ყველაზე მაღალ მთაზე კოშკის სიმაღლე ცეცხლს დაანთებდნენ თურმე. დაინახავდნენ თუ არა ამ ცეცხლს, ყველა აული თავის კოცონს ააბრიალებდა. იგი უხმობდა მთიელებს, რომ საომარ ცხენებზე

ამხედრებულ იყვნენ. ყველა ოჯახიდან მხედარი გამოდიოდა, ყველა აულიდან—მხედრიონი ცეცხლის ძახილზე გამოდიოდნენ ცხენოსნებიც და ფეხოსნებიც. სანამ ძთებზე კოცონები ბრიალებდა, აულში დარჩენილმა მოხუცებმა, ქალებმა და ბავშვებმა იცოდნენ, რომ მტერი ჯერ კიდევ არ გასცლოდა დაღესტნის საზღვრებს. ჩაქრებოდა კოცონები და საშიშროებაც გავლილი იყო, მშვიდობა მეფობდა მამაპაპურ მიწაზე. არაერთხელ აუბრიალებიათ მთიელებს მთის მწვერვალებზე ასეთი კოცონები.

ეს კოცონები საომარი დროშებიც იყო და ბრძანებებიც... მთიელებს ისინი თანამედროვე ტექნიკის: რადიოს, ტელეგრაფის, ტელეფონის მაგივრობას უწევდნენ. მთის ფერდობებზე ახლაც მოჩანს უტყუო ადგილები, თითქოს გიგანტური კამეჩები წვანანო.

მთიელები ამბობენ: ყველაზე უფრო საიმედო ადგილი ხანჯლისთვის ქარქაშია, ცეცხლისთვის — კერა და კაცისთვის სახლიო. მაგრამ ცეცხლი კერიიდან თუ გამოვარდება და მთაზე აბრიალდება, მაშინ ქარქაში მოსვენებული ხანჯალი ხანჯალი არაა, არც კერიასთან მიმჯდარი კაცია მაშინ კაცი.

დაღესტნელ მწყემსებს მოვალეობა მეტად მკაცრად აქვთ განაწილებული. ერთნი დილით მწყემსავენ ცხვარს, მეორენი ღამით ენაცვლებიან და ფარას მგლებისგან იცავენ. მაგრამ არის მათ შორის კაცი, ვისაც არც ცხვარი ეკითხება და არც მგელი, მისი მოვალეობაა ცეცხლს მიხედოს. ის ცეცხლის დამცველია, მას ცეცხლფარეშსაც ეძახიან. არ შეიძლება მართო ცეცხლის მოვლას ხელობა დაერქვას, მაგრამ შეღამებისას მწყემსები უეჭველად ირჩევენ ასეთ კაცს და ცეცხლის მოვლას ანდობდნენ.

საჭირო და ძნელი საქმეა! ცეცხლია თავი და თავი საქმლის მომზადებაში. ცეცხლიდან მოდის სიბზო, მშრალი ტანსაცმელი, სინათლე და ჩიბუხის გაბოლება, რაც აუცილებელია დინჯი ვაჟკაცური მასლაათისთვის. ცეცხლი მწყემსების კარვებში კი არაა, გარეთ ანთია და განსაკუთრებულ ზრუნვას მოითხოვს. ხელისგულებით, ბოხობითა თუ ნაბდის კალთით იცავენ ცეცხლს ავდრისაგან, წვიმის, თოვლისა და ხანდახან ქარბუქისაგანაც.

მაგრამ განა არ შეიძლება ცეცხლის მფარველები ვუწოდოთ მამაც აღამიანებს, პოეტებს, მომღერლებს, მთხრობელებს, მოცეკვავეებსა და მუსიკოსებს? ჩვენ ბევრი გვყავს, ვინც გულით ატარებს, უფროთხილდება და სხვას გადასცემს მარადიულ ცეცხლს, პოეზიის ცეცხლს, ერთგულების ცეცხლს, სამშობლოსადმი სიყვარულის ცეცხლს. ჩემს გულშიც ვგრძნობ ამ მარადიული ცეცხლის ნაპერწკალს და მოვალეობასაც ვგრძნობ, არ ჩავაქრო ეს ნაპერწკალი, გავადვივო, ვაიძულო ანათოს და ჩემ უკან მავალს ესტაფეტასავით გადავცემ. გულში დანთებულ

ცეცხლს ისევ უნდა გაუფრთხილდე, როგორც საკუთარ თავს ფურთხილდები და იცავ ჩვეულებრივი ცეცხლისგან.

დღესასწაულზე აულში სიმღერას ყოველთვის ხუმრობა მოსდევს, მუსიკასა და ცეკვას — საუბარი. ცეცხლზე დახარჯული ამ მაღალფარადოვანი სიტყვების შემდეგ გიამბობთ, როგორ ეძებდნენ ჩვენში, დაღესტანში, თოვლის კაცს. მე თვითონა ვარ იმ სეირის მომსწრე, ქალთარის ანუ თოვლის კაცის მძებნელ ვილაც მეცნიერ-მუშაკებს რომ დაემართათ.

ხუნძებმა უთხრეს: „დარგინელებთან წადით, იქნებ იქ ბინადრობს, ვისაც თქვენ დაეძებთო“.

დარგინელებმა ლაკებთან გაგზავნეს ისინი, ლაკებმა — ლეკებთან, ლეკებმა — ყუმიხებთან, ყუმიხებმა — ნაგაიელებთან მინდორში, ნაგაიელებმა — ტაბასარახელებთან. მთელი დაღესტანი გადასერეს მეცნიერებმა და, გაწამებულნი, აულ კიკუნში გაჩერდნენ, სადაც, სხვათა შორის, ჩვენი გოლიათი ოსმან აბდურახმანოვი ცხოვრობს. შეიძლება ამ სტრიქონების შკითხველთაგან ზოგიერთს ნანახი ჰყავს ოსმანი ფილმში „განძთა კუნძული“, სამ კაცს ერთად რომ ისვრის გემბანიდან ოკეანეში. ისე მოხდა, რომ მეცნიერებს მანქანა პატარა მდინარეში გაეჩხრათ აულ კიკუნთან. აწვებოდნენ მეცნიერები მანქანას წინიდან თუ უკნიდან, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. ოსმანი ამ დროს თავისი სახლის ბანზე იჯდა. როცა დაინახა, რა უმწეოდ ჯახირობდნენ მანქანასთან, ძირს ჩამოვიდა და დინჯი ნაბიჯებით მიუახლოვდა მათ. მოკიდა ხელი მანქანას, გაქონილ თიხის ჯამში ჩაეარდნილ ასავსავებულ ტარაყანასავით ამოიღო და მშრალ ადგილას დადო.

მეცნიერებმა ჩურჩული დაიწყეს, როგორც ჩანს, ეჭვი შეეპარათ, თოვლის კაცი ხომ არ მოვიდა დასახმარებლადო. ოსმანი მიუხედა მათ და უთხრა:

— ტყუილუმბრალოდ ეძებთ... ჩვენ, მთიელები თოვლისგან კი არა, ცეცხლისაგან ვართ შექმნილნი. ცეცხლი რომ არ იყოს ჩემს ძარღვებში, როგორ ამოვათრევი თქვენს მანქანას? — მერე მშვიდად გაახვია პაპიროსი, ამოიღო კვესი, მოუკიდა აბედს, მოქაჩა პაპიროსი და ღრუბელივით გამოუშვა ბოლი. მაშინლა ამოხეთქა ბოლთან ერთად ოსმანის განიერ მკერდიდან ქუხილივით ხარხარმა. ასე გრუხუნებს ზევეი მთებში, ასე გრიალებს აზვირთებული წყალი, ქვებს რომ მიაგორებს, ასე აზანზარებს მთებს მიწისძვრა.

აბუთალიბმა ეს ამბავი რომ გაიგო, თქვა: „როგორ შეიძლება ტალახში არ ჩაიფლოს იმათი მანქანები, ვინც ასეთ ფუჭ საქმეს მოჰკიდებია“.

ინდოეთში ცეცხლის ზეიმს დავესწარი. რა კარგია, ასეთი დღესასწაულები რომ აქვს ხალხს. იქ ანთებული ლამპარი მაჩუქეს და მე დაღესტანში წამოვიღე, როგორც შორეული ქვეყნის სალამი ჩემი კლდოვანი

ქვეყნისადმი. ხომ ხშირად ვამბობთ ხოლმე: „მხურვალე სალამი“, „მხურვალე სალამი გადაეცი“. შეიძლება იყო დრო, როცა ხალხი სალამის ნაცვლად ცეცხლს უგზავნიდა ერთმანეთს, მშვიდობის ცეცხლს, ომისა და ხანძრის ცეცხლს კი არა, სითბოსა და სინათლის ცეცხლს.

ჩვენში ერთი ადამიანია: ზამთრის პირველი დღის სალამოს (ზოგჯერ გაზაფხულის პირველი დღის სალამოსაც) მაღალმთიანი აულები კლდეებზე მისასალმებელ კოცონებს ანთებენ. თითო აული თითო კოცონს ანთებს. კოცონები შორიდან მოჩანს. ხეობებით, უფსკრულებითა და კლდეებით დაშორებული აულები ერთმანეთს ულოცავდნენ ზამთრისა თუ გაზაფხულის დადგომას. ცეცხლიანი სალამი, ცეცხლიანი სურვილები! თვითონაც ბევრჯერ ამინთია ასეთი კოცონი აულ ცადაზე გადმომხობილ ხამირხოს კლდეზე.

შემთხვევით არ დაურქმევიათ დალესტნის პირველი ქარხნისთვის „დალესტნის ჩირაღდანი“.

ახლა კოცონებს ბევრი ახალი შუქიც მიემატა. თითქოს ხეებიც, ისე თავისუფლად ჩამომსხდარან ჩიტები ელექტრობოძებზე. არც მტრედებს ეშინიათ კლდეების თავზე გაჩაჩხახებული ელექტრონათურების.

ერთხელ დაეინახე, როგორ იწვოდა კასპიის ზღვა. მთელი კვირა ვერ ჩააქრო ცეცხლი ტალღებმა. ეს ქალაქ იზბერბაშის ახლოს იყო. როცა ცეცხლმა ქრობა დაიწყო, გემის ჩაძირვის სურათი დამიდგა თვალწინ.

ზღვის ხანძარი შეიძლება ჩაქრეს, მაგრამ დალესტნის გულში ანთებული ცეცხლი — არასოდეს. განა ადამიანის გულში აბობოქრებულ ცეცხლს წყლისა ეშინია? ის კი არაა, წყალს ეძებს, წყალს თხოულობს. განა გამშრალი, დახეთქილი, დაფიცებული, შინაგანი ცეცხლისგან დამწვარი ტუჩები არ ჩურჩულებენ: „წყალი, წყალი?“

შაშასადაძმე, წყალი და ცეცხლი ერთმანეთის თანამგზავრნი არიან. დედას ასე უყვარდა ხოლმე თქმა: „კერა ოჯახის გულია, წყარო კი — დალესტნისა“.

მთები ცეცხლს თხოულობენ, ველები კი — წყალს. დალესტანი ეს მთებიცაა და ველებიც. ის ცეცხლსაც თხოულობს და წყალსაც.

აულიდან გზაზე დამდგარი, ან გზიდან აულში დაბრუნებული კაცი თუ აულის თავში ისე ჩაიხედავს წყაროში, როგორც სარკეში, ეს იმას ნიშნავს, რომ გულით სიყვარულსა და ცეცხლს ატარებს. ასე-სწამთ ჩვენში.

და განა მთელი დალესტანი არ იხედება კასპიის ზღვის კრიალა სარკეში? განა ის წყლიდან ახლად გამოსულ წარმოსადეგ ფიცხ ჰაბუკს არა ჰგავს?

როგორც მთიელი წყაროს, ისე გადამხობია დალესტანი კასპიის ზღვას და მორთულობას ისწორებს, უღვაშებს იგრებს.

„ტენიმც მოუკედეს იმ მთიელს, ვინაც წყაროს წყალს წაბილწავს!“

ან კიდევ: „დაე, ყველა წყარო დაგშრობოდეს სახლის გარშემო“. ასეთია მთიელების წყევლა.

აბა ახლა მთიელების ქება ნახეთ: „ეტყობა, ამ აულში კარგი წალხია, წყარო და სასაფლაო სუფთად მოვლილი აქვთ“.

მრავალი წყაროა და ჭა ჩვენში დალუპულთა ბატივისაცემად, სახელე-ბიცკი იმათი დაურქმევიათ: ალის წყარო, ომარის წყარო, ჰაჭი-მურატის ჭა, მაჰმუდის წყარო.

დილით ან საღამოთი, როცა მხარზე სურაშედგმული გოგოები წყაროზე მიდიან, ბიჭებიც იქით ეშურებიან საცოლეების ამოსარჩევად. რამდენი სიყვარული ანთებულა წყაროს პირას, რამდენი მომავალი ოჯახის საძირკველი ჩაყრილა აქ.

გსურს იცოდე, ვის ვუმღერბ  
ტანად ალვა, საროსტანს?  
ყოველ დილა-საღამოთი ნახავ  
სოფლის წყაროსთან.

ასე დაწერა ჩვენმა პოეტმა მაჰმუდმა.

ერთხელ მთებში მივიდიოდი და გოცატლინის წყაროსთან შეეჩერდი. ვხედავ, მგზავრი დახრილია და პეშევით სვამს ანკარა წყალს, თან ამბობს:

— ოჰ, რა ნეტარებაა!

— ჭიქა ინებეთ, — შევთავაზე მე.

— ხელთათმანებით ჭამას არა ვარ ჩვეული, — მიპასუხა მგზავრმა.

მამაჩემს უყვარდა ხოლმე ამის თქმა: არც ერთი მუსიკა არ არის წვიმისა და მდინარის ხმაურზე უფრო ტკბილიო. არასოდეს არ მოგწყინდებამდინარის ცქერა და მოსმენა.

ვახატხულობით, როცა მთაში თოვლი დნება, დედაჩემს საათობით შეეძლო ეცქირა ხეობისაკენ დაქანებული ნაკადულებისთვის. ჯერ კიდევ ზამთარში ამზადებდა დედა პატარა კასრებს, რომ ზაფხულობით საწვე-თელში დაედგა და წვიმის წყალი შეეგროვებინა.

ჩემი ყველაზე დიდი სიამოვნებაც წვიმის გუბებში ფეხშიშველ ტყაპუნი იყო. წვიმის არ გვეშინოდა, წყალს გზას ვულობავდით და საგუ-ბარს ვაკეთებდით.

წარმომიდგენია, რამხელა სიამოვნებას განიცდიან ფრინველები, რო-ცა ქვის ფიალებიდან წვიმის წყალს სვამენ.

„მართალია, მტერმა მთელი აული აიღო, მთელი ჩვენი მინდვრები ჩაიგდო ხელში, მაგრამ წყარო ისევ ჩვენია, ჩვენ გავიმარჯვებთ“, — მი-მართავდა შამილი თავის მეზობელებს.

მკაცრი იმამი მტრის თავდასხმისთანავე ბრძანებდა, უწინარეს ყოვ-ლისა დაეცვათ აულის წყარო. როცა მოწინააღმდეგეს ესხმოდა თავს, ბრძანებდა, პირველ რიგში წყარო ჩაეგდოთ ხელში.

წინათ კაცი მდინარეში მობანავე მოსისხლეს თუ დაინახავდა, ხელს არ ახლებდა, სანამ წყლიდან არ ამოვიდოდა და იარაღს არ აისხამდა იგი.

მაგრამ მე ხშირად მახსენდება ერთი ადამი, კვლავ წყალს რომ უკავშირდება. ამ ადამს „წვიმის ჩოჩორს“ ეძახიან.

„შუადღის პაპანაქება დალესტნის ხეობაში“ — ეს ტყუილად როდია დაწერილი. მცხუნვარე და გამომფიტველია ჩვენი შუადღე. მიწა იშაშრება, კლდე გავარვარებული ლუმელივით ხურს. ჭკნება ხეები, გადამხმარია მინდვრები. ყველა ციურ ნამს ნატრობს, წვიმას ვევედრებიან ღმერთს ყველანი: მცენარეები, ფრინველები, ცხვრები და, რა თქმა უნდა, ადამიანები. ასეთ დროს ერთ ბიჭს აირჩევენ აულიდან და მზისგან დამკვნარი ნაირ-ნაირი ბალახებით ინდიელივით მორთავენ. სწორედ ეს არის „წვიმის ჩოჩორი“. თოქაბმული დაპყავთ იგი ისეთსავე ბიჭებს, როგორც თვითონაა, სოფელ-სოფელ და გალობენ:

უფალო, უფალო, მოგვეცი წვიმა,  
ხეებზე გააბი უთვალავ სიმაღ,  
შხაპუნა, შხაპუნა მოგვე, უფალო,  
ღელეში, გუბეში მზემ იყუყუმალოს.  
ღრუბელო, ღრუბელო, გამოდი ცაზე,  
ხნულეში ცის ნამიო ავსე და ავსე.  
დაუშვი, დაუშვი წვეთები დიდრონი,  
დაე, კვლავ აყვავდეს მდგლო და მინდორი.

აულის ასაკოვანი მცხოვრებნი ქუჩაში გამოვრბიან და „წვიმის ჩოჩორს“ ვინ სურიდან ასხამს წყალს და ვინ ტაშტიდან, თან ბავშვების სიმღერას ხმას აყოლებენ და გალობენ: „ამინ, ამინ!“

ერთხელ მეც ვიყავი „წვიმის ჩოჩორი“, იმდენი წყალი დამასხეს, რომ წვიმად იქნებოდა საკმარისი.

მაგრამ ცას იშვიათად თუ ესმოდა ჩვენი სიმღერები, მზე კვლავინდებურად აცხუნებდა, ცხელ უთოსავით აუთოვებდა დალესტანს. მზე ნალველს იწვევდა და ასეც ვეძახდით: „ნალვლიანი მზე“. და იწვა მიწა ასეთი მზის ქვეშ ასეული წლები, ათასეული წლები. მთელ ევროპაში მზიანი დღეების ყველაზე დიდი ნაწილი აულ გუნიბს ხედება წილად. არც ჩემი აული ცადა ჩამორჩება გუნიბს და არც სხვა აულები, ტყუილად როდი ეძახიან მათ მწყურვალებს.

დედაჩემის დაღლილი პირისახე მახსენდება, აულიდან სამი კილომეტრით დაშორებული წყაროდან რომ ბრუნდებოდა ზურგზე სურამეგმული, დოჭით ხელში.

დედაჩემის მხიარული პირისახე მახსენდება, როცა წვიმდა, როცა მი-

წა გაეიებული იყო, საწვეთელში წყალი ჩხრიალებდა და ქვეშ შედგნულ პირთამდე სავსე კასრებიდან მოდგაფუნებდა.

მახსენდება წელში მოკაკული მოხუცი ქალი ხაბიბატი. ყოველ დღით მხარზე წერაქვეგადებული მიდიოდა აულიდან და ხან საღ ჩიჩქნიდა მიწას და ხან საღ. წყლის პოვნა პქონდა აკვიტებული და სულ იმის ძებნაში იყო. ყველამ იცოდა, ტყუილად რომ წვალობდა, მაგრამ არაფერს ეუბნებოდნენ. ერთადერთმა მე, ტუტუტმა ბიჭმა ვუთხარი ერთხელ:

— ტყუილად წვალობ, ხაბიბატ დეიდა, ტყუილად ილლი თავს, აქ წყალს რა უნდა.

მამაჩემი სასტიკად გამიჯავრდა.

— კი მაგრამ, იქ მართლა არაა წყალი.

— ხანდახან პურიც არა აქვს ხალხს, მაგრამ დაცინვა შეიძლება? დაიშახსოვრე, შვილო, არც სიღარიბის დაცინვა შეიძლება და არც იმათი, ვინც წყალს ეძებს.

— შენ არ დაწერე მხიარული ლექსები ინკვაჩულელებზე, ხიდის აწევა რომ უნდოდათ, იქნებ მეტმა წყალმა მოაღწიოს ჩვენამდეო?

— ეს ცრემლიანი სიცილია, შვილო, მაგრამ ახალგაზრდები ამას ვერ გაიგებთ. შენ ჯერ კიდევ არ იცი, რას ნიშნავს დაღესტნისთვის წყალი. როგორ უნდა ენატრებოდეს იგი დეიდა ხაბიბატს, რომ იქ ეძებდეს, საცა არ არის. ახლა კი ჯობია გაჩუმდე, წვიმა მოდის.

მართლა შრიალთ მოდიოდა ყუყუნა წვიმა.

- ფრთოსნებო, ფრთოსნებო, რამ გაგაჩუმათ?
- წვიმა მოდის და ვუსუნეთ შხაპუნას.
- მგოსნებო, მგოსნებო, რამ დაგადუმათ?
- წვიმა მოდის და ვუსუნეთ შხაპუნას.

მამაჩემი ხშირად ამბობდა, რომ მისი ცხოვრების ყველაზე უფრო ბედნიერი დღე იყო ის დღე, როცა სოფელში შორეული მთებიდან წყალი შემოვიდა მილებით. ამ დრომდე მამაჩემი ყოველდღე წერაქვით მუშაობდა სხვებთან ერთად. კარგად მახსოვს ის დღე: წყალი რომ წამოვიდა, მამაჩემმა შიგ ყვავილების ჩაყარაც კი აკრძალა: აუღელებმა ასი წლის ქალი შეარჩიეს, ვისაც პირველად უნდა აეგსო სურა. მოხუცმა აავსო თუ არა სურა, პირველი ჭიქა მამაჩემს მიართვა. ორდენებისა და პრემიების პატრონმა მამაჩემმა თქვა: ასეთი ძვირფასი ჯილდო არასოდეს მიმიღიაო. იმავე დღეს ლექსები დაწერა წყალზე, ჩიტებს მიმართავდა, ნულარ იქებთ თავს, არც ჩენა გვაქვს თქვენზე ნაკლები წყალიო. არც ერთ ქორწილსა თუ დღესასწაულზე არ მსმენია წყლის რაკრაკზე უფრო წკრიალა და ტკბილი ჰანგისო. გვარწმუნებდა, ვერც ერთი იორლა, ვერც ერთი ახალგაზრდა ფაშატი ვერ გაივლის ისე ნარნარად, როგორც წყაროზე მიმავალი ქალიო. იგი მადლობას უხდოდა წერაქვსა და ნიჩაბს,



წყალსადენსა და რევოლუციას, იგონებდა იმ დროს, როცა ზამთარში თოვლს აღნობდნენ წყლის მოსამარაგებლად. მაშინ მძიმე სურების წაშარაპარა ზიდვით უდროოდ იკუზებოდნენ წელში ჩვენი ქალები.

ქეშმარიტად, ეს დიდებული დღე იყო მამაჩემისთვის.

მასხენდებოდა აგრეთვე იელისის პაპანაქება მახაჩყალაში. მამა მძიმე ავადყოფნა, ექიმებითაა გარშემორტყმული. „ძალიან მიჭირს, თითქოს ათობით ვაზი და მარწუხი მიქაჩავს სხეულს აქეთ-იქით“. წამალს აღარ სვამდა, ფიქრობდა, დაგვიანებულია და აღარას მარგებსო, ბალიშსაც კი აღარ გვასწორებინებდა. ძალზე ცუდად რომ შეიქმნა, დამიძახა და მითხრა:

— ერთადერთი წამალია, შვებას რომ მომგვრის.

— რა წამალია?

— ბუტრაბის ხეობაში პატარა ჭაა... წყარო... მე თვითონ აღმოვაჩინე... იმისი ყლუპი მომიტანე...

მეორე დღეს მთიელმა ქალმა სურით მოუტანა იმ წყაროს წყალი. მამაჩემმა თვალბდახუჭულმა მოსვა და თქვა:

— გმადლობთ, ჩემო მკურნალო.

არ გვეციოთხავს, ვინ იგულისხმა: წყალი, მთიელი ქალი, შორეული ხეობის წყარო თუ მშობლიური მიწა, ეს წყარო რომ წარმოქმნა.

დღედა მეუბნებოდა: ყველას უნდა ჰქონდეს თავისი სანუკეარი წყარო. ამასაც მეუბნებოდა: მომკელი დაღლას ვერ იგრძნობს, მინდერის ახლოს ცივი წყარო თუ მირაქრაქებსო.

ამბობენ, ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში შამილს და მის მასწავლებელს კაზი-მაპომედს მტერმა ალყა შემოარტყა გიმრის ციხე-კოშკში. შამილი პირდაპირ მტრის ხიშტებს დაახტა და ხანჯლით გაიკაფა გზა. ცხრაშეტი ჭრილობა მიიღო მაშინ შამილმა, მაგრამ მაინც მოახერხა მთებში გაქცევა. მთიელებს დაღუპული ეგონათ და როცა კვლავ გამოჩნდა აულში, ძაძებით მოსილმა ვაოცებულმა და გახარებულმა დედამ ჰკითხა:

— შამილ, შვილო, როგორ გადარჩი?

— მთაში წყაროს მივადწიე, — უპასუხა შამილმა.

მთიელებმა რომ გაიგეს, მათი მოხუცი იმამი არაბეთის უდაბნოში აქლემიდან გადმოვარდა და მოკვდაო, აულში ზღურბლზე ჩამომსხდარნი ამბობდნენ:

— ეჰ, ახლომახლო დაღესტნის წყარო რომ ყოფილიყო...

ნუხაში ჰაჯი-მურატის საფლავი ვინახულე, საფლავის ქვაზე წარწერა ამოვიკითხე: „აქ მარხია დაღესტნის ლომი“, ამ ლომის მოკვეთილი თავიც ვნახე.

— როგორ დაკარგე, თავო, სხეული?

— გზა ამერია, დაღესტნისაკენ, სამშობლოსაკენ, წყაროსაკენ მრავალი გზა.

ჩემი აული მთის ძირასაა. მის წინ, პლატოზე, შორიდან მოჩანს ხუნძახის ციხესიმაგრე, ყოველი მხრიდან მოწიწებით დაშორებული აულები რომ არტყია გარს. ყოველი მხრისკენ სათოფურები დაულრქენია ციხე-კოშკს, მუქარით იხედება, მტერს აშინებს. ხშირად დაუშენიათ ამბრაზურებიდან ტყვიები დაუდგრომელი და ქედმოუხრელი მთიელეზისათვის. არაერთხელ აფრთხილებულან ამ სროლის ხმაზე ჩემი აულის მტრედები.

ვისა აქვს ყველაზე უფრო საშიში მზერა და ყველაზე ძლიერი ხმა? — კითხულობდნენ მთიელები, — ხუნძახის ციხესიმაგრეს.

ახლა კი ხუნძახის მრისხანება მხოლოდ ლეგენდებსა და თქმულებებშია შემორჩენილი. მისი სათოფურებიდან მოწაფეები ვაშლის ნარჩენებსა და თოვლის გუნდებს ვესროდით ერთმანეთს. ზოგჯერ პიონერის ღორტოტოვებსაც ვაყვირებდით და ახლომახლო კლდეებში შეეუჯულ მტრედებს ვაფრთხობდით. დიახ, ხუნძახში იყო სკოლა, სადაც შვიდ წელიწადს ვსწავლობდი.

სადაც არ უნდა ვმგზავრობდე, სადაც არ უნდა ვიყო, მქუხარე სიმფონიისა თუ საცეკვაო მუსიკის ხმები ჩემი ბავშვობის ვერცხლივით წკრიალა მუსიკად ჩამესმის. სკოლის ზარის მხიარული წკარუნი, განსაკუთრებით ის მხიარული წკრიალი, გაკვეთილების დამთავრებას რომ გვაუწყებდა, ის ახლაც მესმის, მაგრამ დერეფნიდან ქუჩაში კი არ მიხმობს, პირიქით, სკოლაში, კლასში, საერთო საცხოვრებელში მიწვევს.

ოცდაათნი ვიყავით კლასში. თვეში ერთხელ თითო მოსწავლეს განთავისუფლებდნენ გაკვეთილებიდან და წყალს გვაზიდვინებდნენ. რამე დანაშაულისათვის დასჯილებს ორ დღეს გვიხდებოდა წყლის ზიდვა. თუმცა მე დაუსჯელადაც ორ დღეს ვეზიდებოდი ხოლმე წყალს, რადგანაც ჩემი მეგობარი და შემცვლელი აბდულგაპურ იუსუბოვი მაშინვე ავად ხდებოდა, როგორც კი მისი რიგი მოაღწევდა. მახსოვს, ჩემი დღეები ყოველი თვის 7 და 8 რიცხვი იყო.

წყარო ციხესიმაგრის მიღმა იყო. წყაროზე წასვლა ადვილი გახლდათ, ჯერ ერთი, ცარიელი ვედრო მიმქონდა და მეორე, მაგრად დაქანებული ბილიკით მივდიოდი. ალბათ ძნელი მისახვედრი არაა, რომ უკან დაბრუნება უფრო მიჭირდა. გარდა ამისა, ვიწრო მოსახვევებში ალუმიონის კათხებით შეიარაღებული მწყურვალე მოწაფეების ჯგრო მხვდებოდა, ეცემოდნენ ჩემს ვედროს, ნახევარს შეხვრიბავდნენ და ნახევარს დამიღვრიდნენ, — ადვილი როდი იყო იმათგან თავის დაღწევა. მე კი ვალდებული ვიყავი სკოლაში წყალი მიმეტანა.

მრავალი ლეგენდა არსებობს ამ წყაროზე. აი, ერთ-ერთი მათგანი, მამა რომ მომიყვა.

ციხესიმაგრის კედლები ტყვიებითაა დაკაწრული. კოშკებზე ბევრჯერ შენაცვლებიან ერთმანეთს მწვანე და წითელი დროშები. სამოქალაქო ომის წლებში ციხესიმაგრე ხელიდან ხელში გადადიოდა, ხან თურქებისა იყო და ხან წითლების. ხან გოცინსკი გამაგრდებოდა შიგ და ხან მუსლიმ ატაევის პარტიზანები. ექვს თვეს იცავდნენ პარტიზანები ციხეს მტრისაგან. ყოველდღე ორი საათით წყდებოდა სროლა. ამ საათებში ციხესიმაგრის მცველთა ცოლები წყლის მოსატანად მიდიოდნენ. ერთხელ პოლკოვნიკმა ალიხანოვმა პოლკოვნიკ ჯაფაროვს უთხრა:

— შოდი, ნუ მივეუშვებთ ქალებს წყაროსთან. დაე, წყურვილით დაიხრჩოს ატაევის რაზმი.

პოლკოვნიკმა ჯაფაროვმა კი უპასუხა:

— წყალზე მიმავალ ქალებს რომ ვესროლოთ, მთელი დაღესტანი ზურგს შეგვაქცევს.

ასე რომ, სანამ ქალები არ დაბრუნდებოდნენ, ორივე მხარე ნებაუნებლიეთ დროებით ზავს იცავდა.

როცა ჩემს ავადმყოფ დედას უთხრეს, შენმა შვილმა ლენინური პრემია მიიღო, ამოიოხრა და თქვა: „სასიხარულოა, მაგრამ უფრო გამიხარდებოდა, რომ გამეგო, შენი შვილი ღარიბსა და ობოლს დაეხმარა. ეს ფული რომელიმე წყლის მონატრულ აულში არხის გაყვანას მოახმაროს, ხალხი შეაქებს. მამამისმა პრემია რომ მიიღო, მთელი ფული ახალი წყაროების ძებნას მოახმარა. სადაც წყაროა, იქ ბილიკიცაა, სადაც ბილიკია — იქ გზაცაა. გზა კი ყველას და ყველაფერს სჭირდება. უგზო-უკვლოდ კაცი საკუთარ სახლსაც ვერ მიაგნებს და უფსკრულში გადაიჩეხება“.

მამაჩემი ხშირად მიმეორებდა, შენ იმ წელიწადს დაიბადე, როცა დაღესტანში პირველი არხი გათხარეს სულაყიდან მახაჩყალამდე. „უწყლოდ სიცოცხლე არ შეიძლება“, — ფიცარზე დაწერილი ეს ლოზუნგები მიჰქონდათ მშენებლებს.

წყალი! აი, იცრემლება კლდეები, თითქოს ვილაცის ძლიერი ხელით იწურებიანო. აი, ნაკადები გამალებით მოჩხრიცლებენ მთიდან, ახტებიან ქვებს, ეშვებიან კლდეებზე, დაჭრილი მხეცებივით დმუიან ვიწროებში, ბატკნებივით მიკუნტრუშობენ მწვანე ველებზე.

ოთხი ვერცხლის ქამარი არტყია ჩემს დაღესტანს, ოთხი კოიუსუ. ღვიძლი დებივით ხვდება მათ სულაყი და სამური და მერე ყველა ერთად ზღვას ეკონება.

ცეცხლი და წყალი ბედია ხალხისა, ცეცხლი და წყალი დედა და მამა დაღესტნისა, ცეცხლი და წყალი მთელი ჩვენი სიკეთით სავსე ხურჯინია.

ჩვენთან, დაღესტანში, მოხუცებთან და მარტოხელებთან ჭაბუკები და ქალიშვილები შოდთან ხოლმე მოსახმარებლად. პირველ რიგში შე-

შას ჩეხავენ ცეცხლისთვის და წყალი მოაქვთ სურებით. შავი ყორნები ანაზღად გრძნობენ, რომელ ქოხში ჩაქრა კერა, მოფრინდებიან და ყრანტალით იკლებენ იქაურობას.

ცეცხლი და წყალი, აი დაღესტნის ორი სიმბოლო, ორი ხელმოწერა. დაღესტნური ზღაპრების ნახევარი მამაც ქაბუკზეა შეთხზული, ვინც ურჩხული მოკლა და ხალხს ცეცხლი მოუტანა, რათა აულში სითბო და სინათლე ჰქონოდათ.

ზღაპრების მეორე ნახევარი კი ჰკვიან ქალიშვილზეა, ვინც ურჩხულის დაძინება მოახერხა და აულში წყალი მიიტანა ხალხის დასარწყულებლად და მინდვრების მოსარწყავად.

მამაცი ქაბუკისა და ჰკვიანი ქალიშვილისაგან დახოცილი ურჩხულები მთებად იქცნენ, ყავისფერ კლდიან ქედებად.

დაღ — მთას ნიშნავს, სტან — ქვეყანას. დაღესტანი — მთების ქვეყანაა, ქვეყანა — მთა-კლდეების ქვეყანა, ამაყი ქვეყანაა დაღესტანი.

როგორც კითხვას სწავლობს ბავშვი,  
მეც ასევე ვმარცვლავ... ვწვალობ,  
და-ღეს-ტან-ი, და-ღეს-ტან-ში,  
და-ღეს-ტნის-თვის, და-ღეს-ტან-ო.

ცოტა ურჩხულის დახოცვა როდი დასჭირდა ამ პატარა ერს, მუდამ რომ ჰქონოდა ცეცხლი და წყალი. ახლა მდინარეები იძლევა სინათლეს, წყალი ცეცხლად გარდაიქმნება. ორი სიმბოლო ერთმანეთს ერწყმის.

კერა და წყარო ყველაზე უფრო ძვირფასი სიტყვებია მთიელისთვის. მამაცზე იტყვიან — კაცი კი არა, ცეცხლიაო. უნიჭო, უმაქნის კაცზე იტყვიან, ჩამქრალი ლამაზაო. ცუდ კაცზე იტყვიან — ეგ ისეთი კაცია, წყაროშიც ჩააფურთხებსო.

ჩვენ კი ღვინიან სასმისს მალლა ავწევთ და ვიტყვით:

დიდება, ვინაც ღირსეულად აელერა ქნარი,  
კერა და წყარო ვინც აღიდა ღვთიური ძალით,  
ვინაც ოღესმე, თუნდაც ერთხელ ანთო კვარი,  
მიწა გადახსნა და ჩუხჩუხით აღინა წყალი.

ზნიერი მთიელი ახალგაზრდას ეკითხება:

- ვინახავს ცეცხლი, შევარდნილხარ ცეცხლში?
- ისე შევვარდნილვარ, როგორც წყალში.
- ვიწვინევია ყინულივით ცივი წყალი, ჩამხტარხარ შიგ?
- ისე ჩავმხტარვარ, როგორც ცეცხლში.
- მაშინ უკვე დავაეკაცებულხარ, შეკაზმე ცხენი, მთებში მიმ-ყავხარ.

ორი მთიელი წაეჩხუბა და ერთმა მეორეს უთხრა:

- განა ჩემი ბუხრიდან ამოსული კვამლი შენსაზე წვრილია: განა

ვინმესთვის წყალი მითხოვნია? ასე თუ გგონია, კლდის უკან გავიდეთ, იქ მოვილაპარაკოთ.

კარებზე კი ასეთი წარწერა მინახავს: „კერაზე ცეცხლი გიზგიზებს, სტუმრად გვეწვიეთ“. აფსუსს, რომ დალესტანს არა აქვს ისეთი კარიბჭე, რაზედაც შეიძლებოდა წაგვეწერა: — „კერაზე ცეცხლი გიზგიზებს, სტუმრად გვეწვიეთ“.

ცეცხლი მართლა გიზგიზებს. ხუმრობითა და ცალყბად როდი გვატყეებით, ნუ მოგერიდებათ, მობრძანდით, კერაზე ცეცხლი ღაღანებს, და წყაროს წყალიც ანკარაა, გთხოვთ.

## ს ა ხ ლ ი

ხუნძური სიტყვა „რიგი“ ასაკსაც ნიშნავს და სახლსაც. ეს ორი სიტყვა ჩემთვის ერთმანეთს ერწყმის. ასაკი სახლია. ასაკს თუ მიაღწევ, საკუთარი სახლიც უნდა გქონდეს. ამ ანდაზას ხუნძურად თუ გამოთქვამთ (ჩვენ კი გვაქვს ასეთი ანდაზა), სიტყვების თამაში გამოვა, რაც არ ვადაითარგმნება: „რიგ — რიგ“, ასაკი — სახლი.

დალესტანმა უკვე დიდი ხანია სიმწიფის ასაკს მიაღწია და მტკიცე და ღირსეული ადგილი უპირავს მზისქვეშეთში.

მე ხშირად ვეკითხებოდი ხოლმე დედას:

— სად არის დალესტანი?

— შენს აკვანშია, შვილო, — მპასუხობდა ჩემი ჰკვიანი დედა.

— სად არის შენი დალესტანი? — ჰკითხეს ერთ ანდიელს. ანდიელმა დაბნეულად მიმოიხედა.

ეს ბორცვი დალესტანია, ეს ბალახი დალესტანია, ეს მდინარე დალესტანია, ეს მთაზე დადებული თოვლი დალესტანია, ან ეს ღრუბელი ცაზე განა დალესტანი არაა?

— ჩემი დალესტანი ყველგანაა, — უპასუხა ანდიელმა.

1921 წელს სამოქალაქო ომის შემდეგ ჩვენი აულები განადგურებული იყო. ხალხი შიმშილობდა, არ იცოდნენ, რა მთელიდათ. სწორედ მაშინ გაემგზავრა მთიელების დელეგაცია ლენინთან. წარგზავნილებს ხმაც არ ამოუღიათ ლენინის კაბინეტში, ისე დაიწყეს მსოფლიოს დიდი რუკის გაშლა.

— ეს რუკა რად ვინდოდათ? — გაიცინა ლენინმა.

— თქვენ იმდენ ხალხზე ზრუნაეთ, ვერ დაიმახსოვრებთ, ვინ სად ცხოვრობს. ჩვენ კი გვინდა გაჩვენოთ, სად მდებარეობს დალესტანი.

რამდენი არ ეძებეს, მაგრამ ვერ იპოვეს მთიელებმა მშობლიური მხარე, ვერ მიაკვლიეს რუკაზე, დაკარგეს მიწის პატარა ნაჭერი. ლენინმა მაშინვე უჩვენა მთიელებს რუკაზე ის, რასაც ეძებდნენ.

— აი, ესაა თქვენი დაღესტანი, — უთხრა და მხიარულად გაიცინა.

„ჰოო, თავიანი კაცი ყოფილა“, — გაიფიქრეს მთიელებმა და უამბეს ლენინს, „სახკომთან“ რომ იყვნენ. „სახკომი“ მთიელებს ეკითხებოდა, სად არის ეს დაღესტანიო. ზოგი თანამშრომელი ამბობდა, დაღესტანი საქართველოშიაო, ზოგი კიდე — თურქესტანშიო. ერთი იმასაც ამტკიცებდა, სწორედ დაღესტანში ვებრძოდი ბასმაჩებსო.

ლენინმა კიდეც უფრო ხმამაღლა გაიცინა:

— სად, სად? თურქესტანშიო? საოცარია, დაუჯერებელი.

მაშინვე აიღო ყურმილი და იმ „სახკომს“ ელაპარაკა. აუხსნა, სად იყო დაღესტანი და სად თურქესტანი. სად იყვნენ ბასმაჩები და სად მიურიდები.

ლენინის ოთახში, კრემლში, ახლაც ჰკიდია კავკასიის დიდი რუკა.

ახლა დაღესტანი რესპუბლიკაა. დიდი იგი თუ პატარა, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენში ახლა არავინ აღარ იტყვის. დაღესტანი თურქმენისტანშიაო, მაგრამ შორეულ ქვეყანაში კი დამპყრვებია ამდაგვარი ახსნა-განმარტება:

— საიდან ჩამოხვედი?

— დაღესტნიდან.

— დაღესტანი... დაღესტანი... სად არის ეს დაღესტანი?

— კავკასიაში.

— აღმოსავლეთში თუ დასავლეთში?

— კასპიის ზღვის სანაპიროზე.

— აჰა, ბაქო, არა?

— არა, ბაქო, არა, ეს ცოტა ჩრდილოეთითაა.

— ვინ არიან თქვენი მეზობლები?

— რუსეთი, საქართველო, აზერბაიჯანი...

— განა იქ ჩერქეზები არ ცხოვრობენ? ჩვენ ასე ვიცოდით.

— ჩერქეზები ჩერქეზეთში ცხოვრობენ, დაღესტანში კი დაღესტნელები ცხოვრობენ. ტოლსტოი... ჰაჯი-მურატი... ტოლსტოი წაგიკითხავთ? ბესტუევე-მარლინსკი... ლერმონტოვი...

დაბოლოს:

— ეს იალბუზთანაა?

— იალბუზი ყაბარდო-ბალყარეთშია, ყაზბეგი — საქართველოში, ჩვენ კი... ჩვენ აული გუნიბი გვაქვს და ცადა.

ასე მიხდება ხოლმე საუბარი ზოგჯერ რომელიმე შორეულ ქვეყანაში. მაგრამ ხომ გაგიგონიათ, „მღვდელი, შენ გეუბნები და, დიაკვანო, გაიგონეო“. იქნებ ჩვენთანაც მოიძებნოს ისეთი ზერელე ვინმე, ვინც დღემდე ფიქრობს, რომ დაღესტანში ჩერქეზები ცხოვრობენ ან, უფრო სწორად, არაფერსაც არ ფიქრობს.

მე ხშირად მიხდებოდა შორს გამგზავრება, სხვადასხვა კონფერენციებსა, კონგრესებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობის მიღება.

სწავლასზე კონტინენტის ხალხი იყრის იქ თავს. ჩამოდიან აზიიდან, ევროპიდან, აფრიკიდან, ამერიკიდან, ავსტრალიიდან. და იქ, სადაც კონტინენტებზეა ლაბარაკი, მე მაინც ვამბობ, რომ დაღესტნიდან ვარაუდობენ, რომ დაღესტნიდან ვარაუდობენ — მთხოვენ მე. — რომელ კონტინენტზე მდებარეობს თქვენი დაღესტანი?

— ცალი ფეხი ევროპაში მიდგას და ცალი აზიაში. ზოგჯერ ცხენს კისერზე ორი კაცი დაადებს ხოლმე ხელს ერთდროულად, ერთი — ერთი მხრიდან და მეორე — მეორე მხრიდან. ზუსტად ასე აქვთ დადებული ხელი დაღესტნის მთების ქედზე ორ კონტინენტს. ჩემს მიწაზეა შეერთებული მათი ხელები და მიხარია.

ფრინველები და მდინარეები, ჯიხვები, მელიები და ყველა დანარჩენი ცხოველი ერთდროულად ევროპასაც ეკუთვნის და აზიასაც. ჩემი აზრით, მათ ევროპისა და აზიის ერთიანობის კომიტეტი აქვთ შექმნილი. მეც ჩემი ლექსებით სიამოვნებით გაჟხდებოდი ასეთი კომიტეტის წევრი.

ზოგიერთები თითქოს ჯიბრით მეუბნებიან: „რას იზამ, აზიელი ხარ“ ან, პირიქით, სადღაც შუა აზიაში მეტყვიან: „რა უნდა მოგთხოვოთ, შენ ხომ ევროპელი ხარ“. არც იმათ ვამტყუნებ და არც იმათ, ყველა მართალია.

ზოგჯერ სიყვარულს უხსნი ქალს, ის კი თავს გადააქნევს და იტყვის: — ოჰ, ეს ცბიერი, ვერაფერ აღმოსავლეთი!

დაღესტნელმა სტუმრებმა თუ შენიშნეს რამე შენს ქცევაში, ისინიც თავს გადააქნევენ და იტყვიან: „ეს სულ ევროპული ოინებიაო“.

რას ეიზამთ, დაღესტანს აზია უყვარს, მაგრამ არც ევროპაა მისთვის უცხო. ის ორივე კონტინენტის მიწაში ფესვგამაგრებულ ხეს ჰგავს.

კუბაში ფიდელ კასტროს ჩვენებური ნაბადი ვაჩუქე.

— ღიღები რატომ არ აქვს? — მკითხა გაკვირვებულმა ფიდელმა.

— საჭიროების დროს სწრაფად რომ მოვიხადოთ და ხმალი ვიძროთ.

— ხამდელი პარტიზანული ტანსაცმელია, — დამეთანხმა პარტიზანი ფიდელ კასტრო.

დაღესტნის სხვა ქვეყნებთან შედარებას აზრი არა აქვს. ის თავის ადგილზეც კარგად გრძნობს თავს. კერიდან წყალი არ ჩამოსდის, კედლები არ დაბრეცია, კარი არ ჭრიალებს და ფანჯრებში ქარი არ სისინებს. მთებშია ჩაკეტილი ჩემი დაღესტანი, მაგრამ სამაგიეროდ გული აქვს ღია.

— შენ ამბობ, რომ შენი მიწაა დიდი და ჩემი — პატარა? — ეკითხებოდა ანდიელი ერთ კაცს, — მაშინ დავნაძღვევდეთ, ვის მიწას უფრო ძალე შემოვივლით ფეხით, შენ ჩემსას, თუ მე — შენსას. დავინახავ, როგორ ახვალ ჩვენს მწვერვალებზე, როგორ იფოფებ ჩვენს კლდეებზე, როგორ იცოცებ ჩვენს ხეებში, როგორ იხოხებ ჩვენს უფსკრულებში.



დალესტინის ყველაზე მაღალ მწვერვალზე ავედი და აქეთ-იქით ვიხედები. შორეთში იკარგება ვხეები, ციმციმებენ ნათურები, კიდევ უფრო შორიდან ისმის ზარების რეკა.

ცისფერ კვამლშია გახვეული მიწა. კარგია სამყაროს ცქერა, როცა ფეხქვეშ მშობლიურ მიწას გრძნობ. კაცი რომ იბადება, სამშობლოს არ ირჩევს, შეხვედრახება. არც ჩემთვის უკითხავს ვინმეს, მინდოდა თუ არა დალესტინელობა. დედამიწის სხვა კუთხეში რომ გავჩნოდი დედას და მამას, იმ მიწაზე უფრო ძვირფასია არა იქნებოდა რა ჩემთვის. მაშინ არ უკითხავთ, მაგრამ ახლა რომ მკითხონ, რა ვუპასუხო?

მესმის, შორს ფანდურს უკრავენ, ჰანგიც ნაცნობია და სიტყვებიც:

პაწაწინა რუები მუდამ ზღეებზე ნაღვლობენ,  
ზღეებიც გულისფანტკალით გასცქერიან მაღლობებს.  
ქმებო, გული იმხელა მაქვს, მკერდში აღარ შეტევია,  
მაგრამ თურმე ეს საწყალი ხელისგულზეც ეტევა.  
შემოვივლი ამ ზღაპრულ, ამ დიდებულ სამყაროს,  
მაგრამ ამ ჩემ დალესტანს სიკვდილმაც ვერ გამყაროს.

მეფანდურე კი არა, თვით დალესტანი ლაღადებს თავისი პირით.

მე და ჩემი ფანდური ასე ვხედებით ალიონს,  
ვისაც მე არ მოეწონვარ, ცივი წყალი დალიოს.

ძველებური ადათია: ზამთრის გრძელ ღამეებში ახალგაზრდები, ვისაც დიდი ბინა აქვს, მასთან იკრიბებიან და სხვადასხვა თამაშს აჩაღებენ. მაგალითად, დასვამენ სკამზე ახალგაზრდას, გარშემო ქალიშვილი უვლის და მღერის. ბიჭმაც სიმღერით უნდა უპასუხოს. მერე ქალიშვილს დასვამენ სკამზე, ახლა ბიჭი უვლის გარშემო და მღერის. ეს სიმღერები „შაირები“ არაა, მაგრამ რაღაც საერთო აქვს მათთან, მომღერლების თავისებური დიალოგი გამოდის. მოსწრებულ სიტყვას კიდევ უფრო მოსწრებულად უნდა უპასუხონ, სხარტი კითხვა კიდევ უფრო სხარტ პასუხს მოითხოვს. ვინც გაიმარჯვებს, ღვინით საესე ყანწს მიართმევენ. ასეთი თამაში ჩვენი სახლის ქვედა სართულშიც იმართებოდა, მაგრამ პატარა ვიყავი და არ ვმონაწილეობდი, ვისმენდი მხოლოდ. მახსოვს, კერძის ახლოს ფუტუხუნა ღვინო იდგა და შემწვარი შინაური ძეხვი იდო. ოთახის შუაგულში სამფეხა სკამს დგამდნენ. ქალიშვილები და ჰაბუკები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, სხვადასხვანაირი სიმღერით ესიტყვებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ბოლო დიალოგი დალესტანს ეძღვნებოდა. ამ კითხვებს ყველა იქ მყოფი ერთად პასუხობდა.

- სადა ხარ შენ, დალესტანო?
- მდინარე კიოსუსთან, ციცაბო კლდეზე.
- რას აკეთებ, დალესტანო?
- უღვაშებს ვიგარებ.

- სადა ხარ, დალესტანო?
- ველეებზე მეძებე.
- მანდ რას აკეთებ, დალესტანო?
- ქერის ძნებად ვარ შეკრული.
- ვინა ხარ, დალესტანო?
- ხანჯლით აკუწული ხორცი ვარ.
- ვინა ხარ, დალესტანო?
- ხორცის ამკუწავი ხანჯალი ვარ.
- ვინა ხარ, დალესტანო?
- მდინარეს დაწაფებული ირემი ვარ.
- ვინა ხარ, დალესტანო?
- ირმის დამრწყულებელი მდინარე ვარ.
- როგორი ხარ შენ, დალესტანო?
- პატარა ვარ, ერთი მუქა.
- საით გაგიწევია, დალესტანო?
- უფრო დიდი რამე მინდა მოვიძიო.

ასე სიმღერით პასუხობდნენ ახალგაზრდები ერთმანეთს. ხანდახან მგონია, რომ ჩემს წიგნებშიც ასეთი კითხვა-პასუხებია, ოღონდ სკამზე ქალწული არ ზის, მის გარშემო რომ დავდიოდე. თვითონ ვეკითხები საკუთარ თავს და თვითონვე ვპასუხობ. არც არვინ მომართმევს ლვინიან ყანწს, მარჯვე პასუხიც რომ გამომივიდეს.

- სადა ხარ შენ, დალესტანო?
- მე იქა ვარ, სადაც ჩემი მთიელებია.
- სად არიან შენი მთიელები?
- ოპ, სადღა არ არიან ისინი ახლა.

— მსოფლიო დიდი ლანგარია, შენ კი მხოლოდ პატარა კოვზი. ძალზე პატარა ხომ არ არის ეს კოვზი ასეთი ლანგარისთვის?  
დედაჩემი ხომ მეუბნებოდა, პატარა პირსაც შეუძლია დიდი სიტყვის წარმოთქმაო.

პატარა ხესაც შეუძლია დიდი ბალის გალამაზებაო, — ხომ მეუბნებოდა მამა.

პატარა ტყვია დიდ გემს ხვრეტსო, — ხომ ამბობდა შამილი. შენ თვითონაც ამბობდი ლექსებში: პატარა გული უსაზღვრო სამყაროს და დიდ სიყვარულს იტევსო.

- ყოველთვის, როცა ჭიქას ასწევ, რატომ ამბობ სიკეთეს გაუმარჯოსო?
- იმიტომ, რომ სიკეთეს ვეძებ.
- რატომ აშენებ სახლებს ქვებსა და კლდეებზე?
- რბილი მიწა მენანება. იქ ცოტა პური მომყავს. ის კი არა და ბა-



## დაღესტნის სამი საუნჯე

მთიელები გამუდმებით მოგზაურობენ. ერთნი სიმდიდრის საძიებლად დაადგებიან ხოლმე გზას, მეორენი დიდებისთვის და მესამენი სიმართლისათვის.

აი ისინი, ვინც სიმდიდრის საძიებლად წავიდა, დაბრუნდნენ საწადელასრულელებული და ახლა თავიანთი ლაშქრობის შედეგით ტკებებიან.

აი, ისინიც, ვინც დიდებას ეძიებდა და მოიპოვა. ახლა მიხვდნენ, რომ დიდება არაფერს ნიშნავს და რომ ტყუილუბრალოდ დახარჯეს დრო.

იმათი გზა კი, ვინც სიმართლეს ეძიებდა, გრძელი და უსასრულო აღმოჩნდა. ვინც სიმართლის საძიებლად წავიდა, უსასრულო მოგზაურობისთვის გაწირა თავი.

როცა მთიელი სადმე მიემგზავრება, ცხადია, თან ვირი მიჰყავს. ამ კეთილ ცხოველს ზურგზე ყოველთვის სამი რამ ჰკიდია: რალაც-რულაცებით საესე დიდი ტომარა, პატარა ტიკქორა და პატარა დოქი.

ასეული წლები მოგზაურობს მთიელი აულიდან აულში, გადადის ოლქიდან ოლქში, წინ მისი განუყრელი ვირი მიუძღვება, ვირს კი ზურგზე ტომარა, ტიკქორა და დოქი ჰკიდია.

ერთ მდიდარ ქვეყანაში, როცა მთიელი ვირს მოშორდა, მაძლარმა უქნარებმა წვალება დაუწყეს საწყალ ცხოველს — წვეტიანი ჯოხითა და ეკლებით ჩხვლუტდნენ, აიძულებდნენ ტლინკები ეყარა, ეგონათ, ვირი ცეკვავსო.

დაინახა მთიელმა, როგორ დასცინოდნენ მის ერთგულ მეგობარს და ხანჯალი იწიშვლა:

— დათვის გაბრაზება გერჩიოთ მთიელის გაბრაზებას, — უთხრა მან.

ახალგაზრდა ტუტრუცანებს შეეშინდათ, პატიება სთხოვეს და ტკბილ-ტკბილი სიტყვებით ხანჯალი ქარქაშში ჩააგებინეს მთიელს. როცა მშვიდობიანი საუბარი დაიწყეს, ახალგაზრდებმა ჰკითხეს:

— რა გაქვს აკიდებული ვირზე? მოგვყიდე.

— არც ოქრო გეყოფათ და არც ვერცხლი ამის საყიდლად.

— შენ ფასი თქვი და ეგ მერე ვნახოთ.

— ეს ფასდაუდებელი რამაა.

— ასეთი ფასდაუდებელი რა გაქვთ მაგ ტომრებში?

— ჩემი სამშობლო, ჩემი დაღესტანი.

— ვირზე აკიდებული სამშობლო, — გადაიხარხარეს ახალგაზრდებმა, — აბა გვაჩვენე, გვაჩვენე რა ეგ შენი სამშობლო.

მთიელმა ტომარას თავი მოხსნა და ბაღბა ჩვეულებრივი მიწა დაინახა.

უფრო სწორად, ჩვეულებრივი მიწა არ იყო, სამი მეოთხედი ქვე-  
ერია.

— სულ ეს არის? ესაა შენი საუნჯე?

— დიახ, ეს ჩემი მთების მიწაა, მამაჩემის პირველი ლოცვა, დედაჩემის პირველი ცრემლი, ჩემი პირველი ფიცი, პაპაჩემის უკანასკნელი დანატოვარი, უკანასკნელი, რასაც მე ჩემს შვილიშვილს დავუტოვებ.

— ეს რაღაა?

— ჯერ ტომარას მოვუკრა თავი.

ტომარას თავი რომ მოუკრა და ვირს აჰკიდა, მთიელმა დოქს მოხსნა თავი. შიგ უბრალო წყალი იყო, თუმცა ცოტა მარილიანი გემო დაჰკრავდა.

— ეს რა წყალი დაგაქვს, დასაღვევადაც არ ვარგა.

— ეს კასპიის ზღვის წყალია. თითქოს სარკეაო, ისე იხედება ამ ზღვაში დაღესტანი.

— მაგ ტიკპორაში რაღა გაქვს?

— დაღესტანი სამი ნაწილისაგან შედგება. ერთი ნაწილი მიწაა, მეორე — ზღვა და მესამე — სხვა დანარჩენი.

— მაშ ტიკპორაში სხვა დანარჩენი გაქვს?

— ჰო, ასეა.

— კი მაგრამ რატომ დაგაქვს ეს ტვირთი?

— მუდამ თან რომ მახლდეს ჩემი სამშობლო. გზაში თუ დავეცემი, გულზე მშობლიურ მიწას დამაყრიან, საფლავის ქვას ზღვის წყალს დაასხურებენ.

მთიელმა ერთი მწიკვი მიწა აიღო, თითებში გასრისა და მერე დოქიდან წყლით ჩამოიბანა.

— ამას რილასთვის აკეთებ?

— უსაქმურებს შენახები ჩემი ხელები მხოლოდ ასე შეიძლება განიბანოს.

მთიელმა გზა განაგრძო, ის ახლაც გზაშია.

ამრიგად, სამი საუნჯე გააჩნია დაღესტანს: მთები, ზღვა და სხვა დანარჩენი. სამი სიმღერა აქვს მთიელს, სამი ლოცვა აქვს მლოცველს, სამი მიზანი აქვს მოგზაურს: სიმდიდრე, დიდება, სიმართლე.

დედა შთამაგონებდა პატარას: დაღესტანი ფრინველია და სამი ძვირფასი ბუმბული აქვს ფრთაში.

მამა ამბობდა: სამმა ოსტატმა სამი ძვირფასეულისგან შეკერა ჩვენი დაღესტანი.

ცხადია, სინამდვილეში გაცილებით მეტია ნივთი თუ საგანი, რისგანაც დაღესტანი შედგება. ეს მწარე გამოცდილებით ვირწმუნე.

ოცდახუთი წლის წინათ კინისკენარის დაწერა დამავალი დაღეს-  
ტანზე და მეც დაწერე. მერე განიხილეს. ბევრი სიტყვა წარმოითქვა  
მაშინ.

ერთნი ამბობდნენ, ყვავილები აკლიაო, მეორენი — ფუტკრებიო, მე-  
სამენი ამბობდნენ, ხეები არ ჩანსო. ყველასათვის რაღაცა აკლდა სცე-  
ხარს. ზოგისთვის წარსული იყო ნაჩვენები მერთალად, ზოგისთვის —  
აქმყო. ბოლოს და ბოლოს გამოირკვა, რომ სცენარში ახალჩინის ვირი  
არ იყო თავისი ჩოჩორით და აბა ისე რა დაღესტანი იქნებოდა?! ყველა-  
ფერი რომ დამეწერა, რაზედაც მაშინ ლაპარაკობდნენ, ფილმის გადა-  
ღება დღესაც არ იქნებოდა დამთავრებული.

და მაინც სამი ნაწილისაგან შედგება დაღესტანი: მთების (მიწა),  
ზღვისა (კასპია) და სხვა დანარჩენისაგან.

ღიაბ, მიწა ეს მთებია, ხეობები, მთის ბილიკები, კლდეები და ეს  
მშობლიური მიწა წინაპართა ოფლითა და სისხლითაა მორწყული. არ-  
ვინ უწყის, ოფლი უფრო მეტი დაღვრილა აქ თუ სისხლი. ხანგრძლივი  
ომები, პატარ-პატარა შეტაკებები, მოსისხლეობა... მარტო სილამაზის-  
თვის როდი ეკიდათ ხანჯლები მთიელებს ასეული წლების მანძილზე.

ასეთია ერთი ხალხური სიმღერა:

ერთი მუქა მარცვალი სადაც დაითესება,  
მამულისთვის მოკლული იქ მრავალი მარხია,  
ერთი კალთა მარცვალი სადაც დაითესება,  
იქ ჭივიტი, იცოდეთ, ათასობით მარხია.

აი რას წერდა მამაჩემი ჩვენს მშობლიურ მიწაზე:

ათასობით საფლავი სერზე ვერ დაეტია,  
სადაც გარდაცვლილები მოკლულეებზე მეტია.

გეოგრაფიის სახელმძღვანელოში მოკლე ცნობაა — დაღესტნის მი-  
წის მესამედი უნაყოფო კლდეებს უჭირავსო.

მეც დაწერე ამაზე ლექსი:

იქ მზისგულზე ბალახ-ჩირვეი კქნება,  
იქ რქასავით შიშველია ხეები.  
აქლემების ჭარაფანს ჰგავს მთები,  
ღრანტეებით დაღარულან ხეები.  
როგორც მგლები, შესეულნი ფარებს,  
ჩიყის ქვეზე თარეშობენ ტალღები,  
თათებს სცემენ და ყმუიან მწარედ  
და კლდეები ლომის ხახას აღებენ.  
ბილიკები რუებივით ირბევა,  
ეთარგება შუქი შუქს და ფერი ფერს,  
ფრინველივით აფრინდება სიმღერა  
და სკუპ-სკუპით მიგვეძღვება სერი-სერ.



დილით რადიო იუწყება, რომ ხუნძახში თოვს, ახტახში წვიმს, დერბენდში გარგარი ჰყვავის, ყუმუხში კი სიცხეებია.

ერთდროულადაა ზამთარი, შემოდგომა, გაზაფხული და ზაფხული პატარა დალესტანში. წელიწადის ამ დროებს მთები აცალკეებენ, უდრეკნი, მდუმარენი, მოგრუხუნენი, საარწივენი.

ხუნძური სიტყვა „მეერ“ მთასაც ნიშნავს და ცხვირსაც. მამაჩემს უყვარდა კალამბური — მთები სამყაროს თვითეულ მოვლენას, ამინდის ყოველ ცვალებადობას ყნოსავენო.

დაბლობები ყალყზე შედგნენ, რომ დაენახათ, ვინ მოდიოდა მათკენ. ასე წარმოიქმნა მთები. ამას ჰაჯი-მურატი ამბობდა.

მთასავით დიდი გაიზარდე, დამჩურჩულეებდა დედაჩემი აკვანში ჩაკრულს.

ო, ქარაფშუტა მთის ნაკადულო,  
საით გარბიხარ ცელქი ზვირთებით,  
ამ მთების ღალატს რატომ კადრულობ,  
ან ვეება ზღვას რაში სჭირდები,  
ო, გულო, გულო, უცნაური ხარ,  
მკერდში ვერაფრით ველარ თავსდები,  
ვისაც უყვარხარ, რად გაურბიხარ,  
ვინც არად გაგდებს — რად ეტმასნები?

როცა დოქების, ქრთნებისა და ჯამების გამყიდველ ბალყარელებს შეხედებოდა ხოლმე დედა, ამბობდა: „როგორ არ დაენანათ ამდენი მიწის დახარჯვა? ზედაც არ უნდა შეხედოს კაცმა მიწის გამყიდველს!“

ვის არ სმენია ბალყარელი ოსტატების ხელოვნება, მაგრამ მთაში, სადაც ასე ცოტა მიწაა, ყოველთვის მიაჩნდათ, რომ თვითონ მიწა უფრო ძვირფასია, ვიდრე იმათი ნახელავი.

შორეულ წარსულში მაცნე მოვარდა აულში. მამაკაცები ამ დროს მეჩეთში იყვნენ და ნამაზს აღასრულებდნენ. მაცნე მწყემსი იყო და ქალამნებით შევარდა მეჩეთში.

— ეი, შე სულელო, რჯულის გამტეხო, — დაუყვირა მოლამ, — განა არ იცი, რომ მეჩეთში შესვლამდე ფერხთ უნდა გაიხადო?

— ჩემს ქალამნებზე მშობლიური ხეობის მიწა და მტვერია. ის ამ ნახებზე უფრო ძვირფასია, რადგან სწორედ მას დაესხა თავს მტერი.

მთიელები მეჩეთიდან გამოკვივდნენ და ცხენებს მოახტნენ.

„შორიდან მოსული სტუმარი უფრო ძვირფასია“, ამის თქმა უყვარს ხოლმე აბუთალიბს. შორიდან სტუმარი დიდ სიხარულს, დიდ სიყვარულს ან დიდ უბედურებას მოჰყავს ხოლმე. გულგრილი კაცი შორიდან არ მოვა.

ერთი ადათიც გვაქვს: თუ სტუმარს რაიმე მოეწონება შენს სახლში, რაც არ უნდა გენანებოდეს, უნდა აჩუქო. ამბობენ, ერთმა მთიელმა სა-

კოლეც კი აჩუქა თავის ყონალს, ვისაც წყაროზე დაედგა თვალი იმ გულ-  
გოსათვის. ის ჰაბუკუი მთიელი იყო, ნაღდი მთიელი ალბათ.

თავზედ სტუმარს ყოველთვის შეუძლია ისარგებლოს ჩვენი ძველი  
ადათით, მაგრამ მთიელებიც დაჰკვიანდნენ — ლამაზ ნივთებს სტუმრის  
თვალს არიდებენ.

ერთხელ, მაგალითად, დიდი ხნის წინათ, აულში სტუმარი მოვიდა ყუ-  
მუხიდან და ყველაფრის ქება დაიწყო. ყველაფერი აჩუქეს, რასაც მისი  
თვალი დაეხარბა, მაგრამ წასვლისას ჩექმებზე მიწა მაინც მოაშორე-  
ბინეს.

„მიწას არ ასაჩუქრებენ“, — უთხრეს მთიელებმა, — მიწა ჩვენ თვი-  
თონ არ გვეყოფნის. მთელი მიწა ჩექმებს თუ გააყოლეს, პური სადღა  
დავთესოთ?“

ერთმა უცხოელმა ჩვენს მიწას ქვის ტომარა უწოდა. პო, ჩვენს მიწას  
მართლა აკლია სინაზე. ხშირად როდი შეხედები მთაში ხეებს. მთები  
მიუჩრდილების გაპარსულ თავებს ჰგავს, სპილოების დაქანებულ, გლუვ  
ბეჭებს. ცოტა მიწა გვაქვს სახნავ-სათესად და ამ მიწაზე აღებული მო-  
სავალიც მცირეა.

წინათ ამბობდნენ ხოლმე: „ამ საცოდავს თავისი მოსავალი მეზობ-  
ლის ცხვირის ნესტოების ამოსატენადაც არ ეყოფაო“.

მართალია, მთიელებს ცხვირებიც გამორჩეული აქვთ, ვეებერთელა.  
მტრები შორიდანვე ხვრინვაზე ხვდებოდნენ, რომ მთიელებს ეძინათ, და  
ხანდახან ამ ნიშნის მიხედვით ესხმოდნენ ხოლმე თავს.

აბუთალიბმა ყვაველით შექმული პირისახე რომ ნახა, თქვა: მამაჩე-  
მის ყანის მთელი მარცვლეული ამ საწყალის პირისახეზე ჩათესილა, თა-  
ვისი კვალი რომ დაეტოვებინაო ზედ.

ცოტაა და მწირი მთიელების მიწა. თქმულებაცაა ამაზე, რაიც შეიძ-  
ლება არაერთხელ გსმენიათ, რადგან ერთი ენიდან მეორეზე გადადის,  
ერთი ბანიდან — მეორე ბანზე, მაგრამ არ შემოიძლია, მეც რომ არ გიამ-  
ბოთ. დაე მაგინოს, ვისაც უკვე მოუსმენია.

მთიელმა თავისი მიწის მოხვნა გადაწყვიტა, ყანა აულიდან შორს იყო  
და სალამოს გაემგზავრა, დილაადრიან რომ შედგომოდა საქმეს. მივიდა  
აღგილზე, გაშალა ნაბადი და დაიძინა. დილით ადგა და რას ხედავს, ყანა  
აღარსადაა. აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ. ყანის  
სახსენებელიც არ იყო. ნეტა ცოდვებისთვის ხომ არ დასაჯა ღმერთმა  
მთიელი. ან ეშმაკმა ხომ არ გადამალა, პატიოსანი კაცი რომ აეგდო  
მასხრად?

რა უნდა ექნა? იჯავრა, იდარდა მთიელმა და შინ დაბრუნება გადა-  
წყვიტა. აიღო ნაბადი და... ღმერთო დიდებულო! აი მისი ყანა, აგერ არ  
ყოფილა?! ნაბადქვეშ.

ერთ ამბავსაც მოგიყვებით, ეს უკვე სინამდვილეა.



როგორც ყველგან, ჩვენთანაც, მთაშიც, დაიწყეს კოლმეურნეობის ჩამოყალიბება. ზოგიერთები მერყეობდნენ, ეჭვობდნენ, ბჭობდნენ, ვამათობდნენ. ბევრმა პირუტყვი დაკლა, ჯობია ჩვენ თვითონ შევექამოთ, ვიდრე რალაც კოლმეურნეობას ჩავაბაროთო. განსაკუთრებით შორეული მთების მცხოვრებნი ჯიუტობდნენ. „ჩემი მე მჭონდეს და თქვენი — თქვენ, სხვა რალა გინდათ. ჩემიც თქვენ გინდათ მისისაკუთროთ?“ ერთ პატარა აულში ორასამდე რწმუნებული ჩავიდა, მაგრამ ამოდ. ზოგი დაიძალა და თვალთ არავის ენახებოდა, ზოგიერთმა კი დავა დაიწყო. „განა ცოტა რამაა ქვეყანაზე საერთო? ცა საერთოა, მზეც საერთო, წვიმა, თოვლი, გაზაფხული. მდინარე, გზა და სასაფლაო. საკმარისია. დანარჩენი კი ყველას საკუთარი უნდა ჰქონდეს“, — გაიძახოდნენ ისინი. როცა უთხრეს, რომ კოლმეურნეობებს მანქანებს მისცემდნენ, თავი გადააქნიეს და მედიის არაკი გაიხსენეს:

მირბის მელა ტყე-ტყე. უცებ გზაზე დაგდებული დუმის დიდი ნაჭერი დაინახა. მიირბინოს და შექამოს? „არა, — გადაწყვიტა მელამ. — ტყუილ-უბრალოდ დუმას გზაზე არავინ გადააგდებდა, აქ რალაც ამბავია!“

მთიელებს იმასაც ჰპირდებოდნენ, კოლმეურნეობებს დიდ საძოვრებსაც მიეცემოთ. მაშინ ერთი მოხუცი წამოდგა, ჯოხს დაეყრდნო და დაიწყო:

— მთელი ქვეყნის ბარისათვის არავის დავუთმობთ ჩვენი მთის ბუდეებს, ჩვენს საცოდავ მიწის პატარა ნაჭრებს, ჩვენს დაგრეხილ ბილიკებს. ეს ჩვენი მიწაა, ასეული წლობით ავადმყოფი ბავშვივით ვუვლიდით მას. კლდეებზე აგვქონდა და თანაბრად ვანაწილებდით, მერე წყალი აგვქონდა ამ მიწის მოსარწყავად. პურის მოსავალი მცირე გვაქვს, მაგრამ თითოეული მარცვალი ფასდაუდებელია. აი, რატომ იფიცებენ ჩვენში პურის ნატებს...

ასე თუ ისე, იმ ჯიუტ აულში მაინც ჩამოყალიბდა კოლმეურნეობა. როგორ მოახერხეს გაუნათლებელი მთიელების დაჭერება?

ბოლოს და ბოლოს, მიხვდნენ მთიელები, რომ მიწა მთლიანად არ გადაეცემოდა კოლმეურნეობას. მიწის ნაწილი გლეხების განკარგულებაში დარჩებოდა საკარმიდამო პირობაზე.

— ბევრი დაგვრჩება? — დაინტერესდნენ ჯიუტი მთიელები.  
— სოფლის არტელის წესდების მიხედვით მეოთხედი ჰექტარი.  
— ეგ რალას ნიშნავს, აბა ერთი აგვიხსენი.  
და როცა რწმუნებულმა ყველაფერი აუხსნა, ერთხმად ალაპარაკდნენ:

— ეგ რა სალაპარაკოა, ჩაგვწერე კოლექტივში.  
გამოირკვა, რომ თითოეული მთიელის კუთვნილი მიწის ნაკვეთი გაცილებით ნაკლები იყო დაწესებულ საკარმიდამო ნორმაზე.



ფასდაუდებელია თითოეული მთიელისათვის მათი მალაშთიანი ქვე-  
ანი მიწა, მიუხედავად იმისა, რომ ძნელია იქ ცხოვრება. მოგზაურები  
გაოცებული უცქერიან მთის ფერღობებზე თუ კლდეებზე მიკრულ  
მინდვრის ტერასებს, ქვებზე გაშენებულ ბალებს, ცხვრებს, ჯამბაზივით  
მოხერხებულად რომ გადადიან უფსკრულის თავზე დაკლანხილ ვიწრო  
ბილიკებსა და ხრამებზე.

ყოველივე ეს საოცრად ლამაზი სანახავია, თითქოს იმიტომ შეუქმ-  
ნიათ იგი, რომ ლექსებში უმღერონ, მაგრამ აბა როგორი დასამუშავებ-  
ელია ასეთი მიწა?!

და მაინც, აბა ერთი შესთავაზეთ მთიელს ბარში ან, როგორც ახლა  
ამბობენ, ვაკეზე დასახლება! შეურაცხყოფად მიიღებს.

თურმე შვილი ჩამოუვიდა მთიელს ქალაქიდან და დაუწყო ჩიჩინი, იქ  
დავსახლდეთო.

„ხანჯლით გამიფატრო მუცელი ის მირჩევნია, ასეთი სიტყვებით წა-  
მებასო“, — ასე უპასუხნია მოხუც მამას.

ეს პრობლემა არსებობს და ძალიან რთულიც არის. დიდი ხანია  
ისროლეს აულებში ლამაზი ლოზუნგები: „გამოვძვრეთ ქვის ტომრები-  
დან და დავსახლდეთ ყვავილიან ნოხებზე“.

ამ ლოზუნგმა იმ აულამდეც მიაღწია, სადაც თავის დროზე ორასამდე  
რწმუნებული ჩავიდა კოლმეურნეობის ჩამოსაყალიბებლად და ისეთი  
აურზაური გამოიწვია, კოლექტივიზაციის დროსაც რომ არ ყოფილა.  
თითოეულმა თავისი თქვა: „ჩაქვებიც რომ ჩაგვაბათ, მაინც არ წაგყვებით  
ბარში!“. „ლურსმნებივითა ვართ ჩაქედილი ამ კლდეებში, არავის მიუ-  
ცემთ ნებას დაგვიწვრიოს ჩვენი ბუდეები“. „საფლავებში გადაბრუნდე-  
ბიან ჩვენი მამა-პაპანი, ეს ადგილები რომ მივატოვოთ და სხვაგან გა-  
დავსახლდეთ საცხოვრებლად“. „ყველაზე უფრო გემრიელად ჩემს ბა-  
ლიშზე მიღევს თავი“. „საკუთარ ქვებზე უფრო ტკბილად მძინავს, ვი-  
ნემ სხვის ბუმბულში“. „ბარში სად ვეძებო ქვა ძაღლის მოსაგერიებ-  
ლად?“. „მთაში ახრჩოლებულ, კვამლიან კერასთან ყოფნა მირჩევნია,  
ბარში აგუზგუზებულ ლუმელთან ჯდომას“. „ვინც მუცელზე ფიქრობს,  
ის წავიდეს, ვინც გულზე — აქ დარჩება“. „არავინ მოგვიკლავს, სახლ-  
კარი არავისთვის დაგვიწვავს და არას გვერჩიან, რომ გვასახლებენ?“.  
„მანქანები აქაც იმუშავენს“. „აქაც შეიძლება ბოძებზე ფარნების და-  
კიდება“. „დედემის გაგზავნა აქედანაც შეიძლება“. „ჩვენ ბუზებისა და  
კოლოების გამოსაკვებად როდი გავჩენილვართ!“. „წივის კვამლი გვირ-  
ჩევნია ბენზინის ნატისუსალს“. „მთის ყვავილები უფრო ბრდღვიალაა“.  
„წყაროს წყალი სჭობია წყალსადენისას“. „არსადაც არ წავალთ აქე-  
დან!“

ასე თავისებურად უპასუხა თითოეულმა მთიელმა ლოზუნგს: „გა-  
მოვძვრეთ ქვის ტომრებიდან და ყვავილოვან ნოხებზე დავსახლდეთ“.

ჯერ კიდევ მამაჩემთან მოდიოდნენ მთიელები რჩევის საკითხავად, გადასახლებულიყვნენ თუ დარჩენილიყვნენ? მამაჩემი მოერიდა პასუხს.

„დარჩენას ურჩევ და, როცა გაიგებენ, ბარში ცხოვრება კარგი ყოფი-  
ლაო, ლანძღვას დამიწყებენ. წასვლა ვურჩიო და, რომ არ მოეწონოთ  
ბარში ცხოვრება, მაშინაც გამლანძღავენ“.

— ეგ თქვენ თვითონ უნდა გადაწყვიტოთ, — უთხრა მამინ ჰამზათ  
ცადასამ.

დრო იცვლება და მასთან ერთად ცხოვრებაც. მარტო თავსამკაული  
კი არ შეიცვალა (ბოხოხების ნაცვლად ქუდები), აზრებიც შეეცვალათ ამ  
ქუდების ქვეშ ახალგაზრდებს. ერთმანეთს ერევა სხვადასხვა სისხლი,  
სხვადასხვა ტომი, სხვადასხვა ხალხი. ჩვენი შვილების საფლავები უფრო  
და უფრო შორდება მამა-პაპათა აულებს... ქვები, ფილები, უზარმაზარი  
ლოდები, კენჭები, შრგვალი ქვები, წვეტიანი ქვები. კალთებით ეზიდე-  
ბოდნენ ქვემოდან მიწას, ამ ქვებზე მცენარეები რომ ეხარებინათ. შე-  
მოდგომასა და ზამთარში ბალახიან კლდეებს ცეცხლს უკიდებდნენ, გა-  
ზაფხულზე უკეთესი ბალახი რომ ამოსულიყო. კარგად მახსოვს ეს აბრი-  
ალებული კოცონები მთებში, პირველი ხნულის დღესასწაულიც კარგად  
მახსოვს, ბელტებს რომ უშენდნენ ერთმანეთს მოხუცები.

ჩვენში საქმიან კაცზე ამბობენ, „ცოტა მთა და ქედი როდი გადაუ-  
ლახავსო“, უქნარაზე კი — „წერაქვი ერთხელაც არ დაუკრავსო ქვის-  
თვის“.

„უხვად ეხაროს თქვენს მინდორზე თავთავენს“, — ეს დიდი დალოც-  
ვაა მთიელისათვის.

„დასკდეს და ჩაკდეს შენი მიწა!“ — ეს არის ყველაზე საშინელი  
წყევლა.

„ამ მიწას გეფიცები“, — ყველაზე მტკიცე ფიცია.

სხვის მიწაზე გადასული ვირის მოკვლისთვის სასჯელი არ არსებობ-  
და. ერთი მთიელი გაჰყვიროდა: „პაჯი-მურატის ვირიც რომ იყოს, ჩემს  
მიწაზე თუ გადმოაბიჯებს, მიფრთხილდეს!“

ყველა აულს თავისი კანონი ჰქონდა. მაგრამ ყველაზე დიდი სასჯელი  
ყველგან მინდვრისა და მიწის წახდენისთვის არსებობდა. ბოლოს და ბო-  
ლოს ჩვენი მთების ისტორიასაც ხომ მკაცრი განაჩენი გამოჰქონდა ყვე-  
ლასთვის, ვინც დალესტნის წახდენას მოიწადინებდა.

მახსოვს, ერთხელ დედაჩემმა მიაძმო:

„როცა დალესტნის მთებში ნადირ-შაპი განადგურეს, მთიელებმა  
მოსალაპარაკებლად ბეხრეკა ჯორზე ამხედრებული ყველაზე უფრო მა-  
ხინჯი, ღარიბი და კოჭლი მოხუცი გაუგზავნეს.“

— შენზე უკეთესი თვალადი და გამოჩენილი კაცი ვერ მონახეს ხუნ-  
ძებმა გამოსაგზავნად?

— ჩემზე უკეთესი და გამოჩენილი ათასია, მაგრამ ღირსეულნი უფ-

რო ღირსეულ საქმეს აკეთებენ, შენნაირ კაცთან გამოსაგზავნად კი მეც ღირსეულად მიმიჩნის, — უპასუხა მოხუცმა მთიელმა.

— რამდენი წლისაა შენი ჯორი? — ხუმრობა სცადა შაჰმა.

— შაჰებისა და ჯორების ასაკის გარკვევა ძალიან ძნელია, — უპასუხა მთიელმა.

— ვინ არის თქვენი სარდალი? — ჰკითხა მომხდურმა.

— აი, ჩვენი სარდლები, — დინჯად უპასუხა მთიელმა და ლაღად გაიშვირა ხელი გარსშემოჯარულ მთებისა და კლდეებისაკენ, მინდვრებისა და სასაფლაოებისაკენ, — აი, ვინ მიგვიძღვის წინ.

— თქვენი პირობა ბრძანეთ.

— პირობა ერთადერთი გვაქვს: მთიელების მიწა მთიელებსვე დანებებ, შენ კი ზურგი ვვიჩვენე, შენს პირისახეზე უფრო რომ მოგვწონს.

შაჰი იძულებული იყო ირანისაკენ გაბრუნებულიყო. იგი ასე გააფრთხილეს:

— შენცა და შენს მეომრებს იმიტომ გიშვებთ ცოცხალს, ჩვენი გამარჯვების ამბავი რომ ჩაიტანოთ ირანს, მოამბედ გიშვებთ, ასეთია ჩვენი ადათი. სხვა დროს კი იცოდეთ, სათითაოდ ამოგწყვეტთ ყველას“.

1859 წლის აგვისტოში გუნიზის მთაზე იმამი შამილი საომარე ცხენიდან ჩამოხდა და ბარიატინსკის წარუდგა, როგორც დიდებული ტყვე-მარცხენა ფეხი ოდნავ წინ წამოსწია და ქვაზე შემოდო, მარჯვენა ხელი ხშლის ვადას მოჰკიდა, ამღვრეული მხერა გარშემორტყმულ მთებს შეაელო და თქვა:

— სარდარო!<sup>1</sup> ოცდახუთი წელი ვიბრძოდი ამ მთებისა და მთიელების ღირსების დასაცავად. ჩემი ცხრამეტი ჭრილობა ისევ მტეხს და არც არასოდეს შემიხორცდება. ახლა კი ტყვედ გბარდებით და ჩემი მიწაც თქვენ გრჩებათ.

— გეყოფა დარდი. დიდი რამე კია ეგ შენი მიწა, მარტო კლდეები და ქვებია.

— მითხარი, სარდარო, ვინ იყო ამ ომში მართალი: ჩვენ, ვისაც ეს მიწა მშვენიერი გვეგონა და მისთვის თავს ვწირავდით ბრძოლის ველზე, თუ თქვენ, ვინც უვარგისად თვლიდით იგივე მიწას და მაინც მისთვის იკლავდით თავს.

ტყვე შამილი მთელი თვე მიჰყავდათ პეტერბურგისკენ.

პეტერბურგში იმპერატორმა ჰკითხა:

— გზაზე რას იტყვი?

— დიდი ქვეყანაა, ძალიან დიდი ქვეყანა.

<sup>1</sup> ნაცვალი.

— მითხარი, იმამო, რომ გცოდნოდა რუსეთის ეს სიდიდე და სიბლიერე, მაინც იბრძოლებდი ჩვენ წინააღმდეგ ამდენმ ხანს, თუ გონივრულად და დროულად დაყრიდი იარაღს?

— კარგად იცოდით, რა პატარა და სუსტი იყო ჩვენი ქვეყანა და მაინც ამდენსავე ხანს გვეომებოდით.

მამაჩემი შამილის ერთ წერილს, უფრო სწორად, გამოსალმებას ინახავდა.

„ჩემო მთიელებო! გიყვარდეთ თქვენი შიშველი და ველური კლდეები. ცოტა სიკეთე მოუტანია მათ თქვენთვის, მაგრამ უიმათოდ თქვენს მიწა თქვენსას არ დაემსგავსებოდა. უმიწოდ კი ღარიბი მთიელები თავისუფალი ვერ იქნებიან. იბრძოლეთ მათთვის, გაუფრთხილდით მათ. დაე, თქვენი ხმლების წკრიალმა დამიტკბოს სამარის ძილი“.

ბევრჯერ გაუგონია შამილს მთიელების ხმლების წკრიალი, თუმცა უკვე სხვა საქმისათვის იბრძოდნენ ისინი. შორს გაიწია დაღესტნელების სამშობლომ. მათი საფლავები გაფანტულია უკრაინისა და ბელორუსის ველებზე, მოსკოვის მისადგომებთან, უნგრეთში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, კარპატებში, ბალკანეთსა და ბერლინის მისადგომებთანაც კი.

— რისთვის ეჩხუბებოდნენ წინათ ერთმანეთს ერთი აულის მცხოვრებნი?

— საკუთარ ყანებს შორის დარჩენილი ერთი გოჯი მიწისთვის, პაწაწინტელა ფერდობისთვის, ქვისთვის.

— რისთვის ებრძოდნენ წინათ ერთმანეთს მეზობელი აულები?

— თავიანთ ყანებს შორის დარჩენილი ერთი გოჯი მიწისთვის.

— რისთვის ებრძოდა დაღესტანი სხვა ხალხს?

— ერთი გოჯი მიწისთვის დაღესტნის საზღვრებთან.

— რისთვის იბრძოდა დაღესტანი შემდეგში?

— ერთი გოჯი მიწისთვის დიდი საბჭოთა ქვეყნის მისადგომებთან.

— რისთვის იბრძვის ახლა დაღესტანი?

— მშვიდობისთვის მთელ ქვეყანაზე.

შამილთან ერთად მისი ორი შვილიც დაატყვევეს. სხვადასხვანაირად აეწყო მათი ბედი: უმცროსი შვილი მუჰამედ-შაფი მეფის გენერალი გახდა, უფროსი გაზი-მუჰამედი კი თურქეთში აღმოჩნდა.

ერთხელ თურქულ სამოსელში გამოწყობილი ხნიერი ქალი მესტუმრა, ქართველი. ახალგაზრდობაში გაჰყოლია თურქს ცოლად და ორ-

მოცი წელი სტამბოლში უცხოვრია. მერე ქმარი მოკვდომია და მარტო-ხელა ქალი საქართველოში დაბრუნებულა. და აი, ეს ქალი ჩემთან მოვიდა. აი, რა იყო მისი მოსვლის მიზეზი: თურმე სტამბოლში შამილის შთამომავლებთან შეგობრობდა, მისი უფროსი ვაჟიშვილის ნაშვირებთან.

— როგორც ცხოვრობენ? — ვკითხე მე.

— ცუდად.

— რატომ?

— იმიტომ, რომ დაღესტანი არა აქვთ. რომ იცოდეთ, როგორ დარდობენ. ზოგჯერ მოხელეები მიწის წართმევით ემუქრებიან. „წაიღეთ, — ეუბნებიან იმამის შთამომავალნი, — დაღესტანი მაინც არა გვაქვს და სხვა მიწას ჩვენთვის ფასი არა აქვს“.

— ჩემი საშობლოში დაბრუნება რომ გაიგეს, — განაგრძობდა ქართველი ქალი, — მთხოვეს, დაღესტანიც მომენახულებინა, ავსულიყავი შამილის სოფელში, მთებში, სადაც ის იბრძოდა, თქვენი ნახვაც დამავალეს. აი, ეს ცხვირსახოცი გამომატანეს, გთხოვეს. შიგ დაღესტნის მიწა გაახვიო და გაუგზავნო.

ცხვირსახოცი გავშალე, „შამილი“ — ამოქარგათ ზედ არაბულად. ნაამბობმა ამაღელვა. დაეპირდი, რომ გაუგზავნიდი მიწას. ბევრ მოხუცს დავეკითხე რჩევა:

— ღირს კი, უცხოეთში მცხოვრებთ ჩვენი მიწა რომ გაუგზავნო?

— სხვების რა მოგახსენო და შამილის შთამომავლობას კი უნდა გაუგზავნო, — მიპასუხეს მოხუცებმა.

ერთმა მოხუცმა შამილის სოფლის ერთი მუჭა მიწა მოიტანა და ცხვირსახოცში გაეახვიეთ. მოხუცმა მითხრა:

— გაუგზავნე ეს მიწა, ოღონდ შეუთვალე, რომ მისი თითოეული ნამცეცი ფასდაუღებელია. მისწერე, რომ ამ მიწაზე ცხოვრება შეიცვალა. ახალი დროება დაგვიდგა. ყველაფერი მისწერე, ყველაფერი გაიგონ.

მიწერა აღარ დამჭირვებია. მალე თვითონ გავემგზავრე თურქეთში და თან ძვირფასი საჩუქარიც გაგიძღვანე.

შამილის მემკვიდრეები კი მოვძებნე, მაგრამ მათთან შეხვედრა არ მოხერხდა. იმამის ერთი შვილიშვილი (ვაჟი), მგონი, მექაში წასულიყო. ნაჟავატმა და ნაჟიატმა კი (ქალებმა) ჩემთან შეხვედრა არ ისურვეს, ერთს თავი სტკივაო, მითხრეს, მეორემ კი გულის შეტევა მოიმიზეზა. ვილასთვის მიმეცა ჩემი მიწა? კი იყვნენ იქ სხვა ხუნძებიც. მაგრამ მათ თავიანთი სურვილით დატოვეს დაღესტანი.

მაშინ მივხვდი, რომ ჩემი შამილა და იმათი შამილი სხვადასხვა იყო.

და აი, შორეულ თურქეთში მიჭირავეს მშობლიური დაღესტნის ერთი მუჭა მიწა. ამ ერთ მუჭა მიწაში ვხედავ ჩვენს აულებს: გუნიბს, ჩირკეის, ახტის, ყუმუხს, ხუნძახს, ცადას, ცუნტას, ჩარატას... ეს ჩემი

მიწაა, ბევრი დამიწერია ამ მიწაზე და კვლავაც დავწერ. ჩემს მიწას ახლა ნაბდით ვერ დავფარავ, როგორც ეს ერთ მიუხვედრელ მთიელს დაემართა იმ სასაცილო არაკში.

საქართველოს  
განმანათლებლო  
სამსახური

დალესტნის მეორე განძი ზღვაა.

მოსკოვიდან გუნბში ასე ეხმიანებიან ერთმანეთს:

— ალო, ალო, გუნბია? ომარ, შენა ხარ? გესმის ჩემი ხმა? როგორა ხარ, როგორი ამინდია?

— მესმის, მესმის. კარგად ვართ, დილიდან მოჩანს ზღვა.

ან კიდევ?

— ალო, გუნბია? ფატიმა ხარ? როგორ გუნებაზე ხარ, როგორაა საქმეები?

— ისე რა, მოღრუბლულია, ზღვა არ მოჩანს.

— ზღვას ვერ ვხედავ, მამაჩემო, — შამილსაც ასე უთხრა ჯამალუტ-დინმა.

იგი მეფის მიევალი იყო, კადეტთა კორპუსში აღიზარდა და სამშობლოში დაბრუნებისას მამამისის ბრძოლა თეთრი მეფის წინააღმდეგ უაზრობად მიიჩნია.

— დაინახავ, შვილო, ოღონდ ჩემი თვალებით შეხედე, — უბასუხა შამილმა.

გუნბის მთებიდან ზღვამდე ასორმოცდაათი კილომეტრია, რა ნათელი დღე უნდა იყოს, რა კრიალა და ლაქვარდოვანი უნდა იყოს ზღვა, რა მახვილი თვალი უნდა გქონდეს, რა მაღალი უნდა იყოს მთა, რომ უბრალოდ თქვა: „ზღვას ვხედავ“.

იმ აულებშიც კი, საიდანაც არაფრით არ შეიძლება ზღვის დანახვა, იციან ზოლმე თქმა: ისეთ ხასიათზე ვარ, თითქოს ზღვას ვხედავდე.

ღმერთმა იცის, ვინ ვის ალამაზებს, კასპიის ზღვა დალესტანს თუ დალესტანი კასპიის ზღვას? ვინ ვისით ამაყობს, მთიელები ზღვით თუ ზღვა მთიელებით.

როცა ზღვას ვხედავ, მთელ სამყაროს ვხედავ. როცა ის დღევას, მთელ ქვეყანაზე ქარიშხალი მგონია, როცა წყნარია, მთელ ქვეყანაზე სიჩუმე მგონია გამეფებული.

პატარა ბიჭი ვიყავი, მთის ციცაბო და მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით რომ ჩავედი ზღვასთან. მას მერე ჩემი სახლის ფანჯრები ყოველთვის ზღვის მხარესაა ღია. თვით დალესტნის ფანჯრებიც ხომ ზღვისკენ იხედება.

როცა ზღვის ხმა არ მესმის, დაძინება მიჭირს.

— შენ რაღად არ გძინავს, დალესტანო?

— ზღვა არ ხმაურობს და არ მეძინება.



ნათელ ფერზე ვამბობთ — ზღვისფერიანო, ძლიერ ხმაურზე — ზღვა-სავით ხმაურობსო, სულისა და სიბრძნის სიღრმეზე — ზღვასავითააო. მოწმენდილ ცაზეც კი ასე ვამბობთ — ზღვასავით კრიალაო.

როცა ჩვენი ძროხა ბევრს იწველებოდა, დედა ასე ეფერებოდა ხოლმე — „ჩემო ზღვაო“. მახსენდება: დედაჩემი აივანზე დგას და ხელში ნალებით სავსე დოქი უჭირავს, კარაქს დღევებას ბავშვებისთვის. თინის დოქს ზღვის ნიჟარების ასხმულა ჰქონდა შემოხვეული ყელზე.

— ეს იმიტომია საჭირო, ბევრი კარაქი რომ გამოვიდეს, — აგვიხსნა დედამ. ისიც გვითხრა, ნიჟარები ავი თვალისგან დაიფარავსო ყველას და ყველაფერს.

დაღესტნის ქვიანი მკერდიც ნიჟარებისა და ზღვის მოქცევით მოტანილი კენჭების ყელსაბამითაა მორთული. შეჩვეულია დაღესტანი ტალღების ხმაურს, კარგად ვერ სძინავს სიჩუმეში და ზღვა რომ არ ჰქონდეს, სულაც არ გაეკარებოდა ალბათ ძილი.

ო, ზღვის ტალღებო, დაგრაგნილო ლეგა ღრუბლებად, რომელ ენაზე მესაუბრებით?  
კლდოვან ნაპრალებს ეხეთქება ექო ზანზარით, თითქოს აულში საკვირაო დუღდღეს ბაზარი, სადაც მთიელთა კილოკაეებს, წყლისებრ ჩხრიალას, თვითონ ალაპიცი ვერ გებულობს კაცი კი არა. სადამოს პირას მზის აღერსით გალაღებულნი აბიზინდებით შქერივით და ბალახებივით. ღამითაც მესმის თქვენი ღრტვინვა დაუცხრომელი, თითქოს ჯარისკაცს შინმოუსველელს ტირის მშობელი. ხან მომაგონებთ უმწვეო ფრუტუნს, წყალწადებული საღმე ცხენი იხრჩობა ნუთუ? მზეზე ელვარებთ თუ მუქდებით ლეგა ღრუბლებით, საკუთარ ენით, თქვენი ენით მესაუბრებით. ო, ზღვაო, ზღვაო, ზოგჯერ მშვიდო, ზოგჯერ მძვინვარე, შენი ბუნების, შენი სულის ვარ მოზიარე. ეს გულიც შენებრ ყალუზე დგება, ებრძვის ნაპირებს, თითქოს ბუდიდან ამოვარდნას შენებრ აპირებს. მერე შენსავით მიწყნარდება, თვინიერდება, ღონე ერთმევა და შენსავით უთრთის ფერდები. ერთმანეთს ვგავართ და ერთმანეთს ვეზმიანებით, სინაზით, სიღრმით, მღელვარებით თუ მრისხანებით. მსურს, ზღვაო, შეგსვა, დაგეწაფო სულით და გულით, მაგრამ მლაშე ხარ,

ვერ მომიკლავ  
ამ ძინს და წყურვილს.

ძოსკოვიდან გამოსული მატარებელი მახაჩყალაში გამთენიისას შემოდის. ყველაზე უფრო გრძელი ეს ღამე მეჩვენება. შუალამისას ვდგები და ჩაშავებულ ფანჯარაში ვიხედები. ფანჯრის მიღმა ისევ ველია, მიგრია-

აღმებს მატარებელი, შხვისი ქარი. მეორეჯერაც ვდგები და ფანჯრიდან ვიხედები. ისევ ველი მოჩანს, მესამედ კი ზღვას ვხედავ, მაშასადამე, უკვე ჩემს დაღესტანში ვარ.

მადლობა შენდა, ცისფერო ზღვაო, შენა ხარ პირველი მაცნე, შინ დაბრუნებას რომ მაუწყებ.

მამაჩემს ასე უყვარდა ხოლმე თქმა: „ვისაც ზღვა აქვს, იმას სტუმარიც უღვევი ეყოლებათ“.

აბუთალიბი ბანს აძლევდა: „ვისაც ზღვა აქვს, ის ლამაზად და მდიდრულად ცხოვრობს. ზღვაზე ლამაზი შეიძლება მხოლოდ მთები იყოს, ჩვენ კი მთებიც გვაქვს“.

ეს ორი მოხუცი, მამაჩემი და აბუთალიბი, როგორც კი ერთმანეთს შეხვდებოდნენ, წინასწარ შეუთანხმებლად ზღვისკენ გასწევდნენ. სერზე ავიდოდნენ, საიდანაც ნავსადგურში შემოსული ყველა გემი მოჩანდა, თევზისა და მარილის სუნიც აღწევდა მოხუცებამდე. საათობით ისხდნენ უბრაოდ, მხოლოდ ზღვას უსმენდნენ.

იყურე, როცა ზღვა ლაპარაკობს,  
იდექ ჩუმი და გულისხმიერი,  
ზღვის სიმღერებს და იგავ-არაკებს  
კრძალვით ისმენდა ალიგიერიც.  
როცა გრგვინავდა ტალღა უშქარი  
და ყალყზე იდგა ზღვა გაფოფრილი,  
ღუმლის არჩევდა თვითონ ბუშქინიც —  
ღიღი მგოსანი და ოქრობირი.

მამაჩემი ამბობდა: „ზღვას რომ უსმენ, მისი ნათქვამიც უნდა გაიგო, ბევრის მომსწრე და მცოდნეა იგი“.

- ო, ზღვაო, რად ხარ მლაშე, მითხარი?
- ცრემლებითა ვარ, კაცო, მდიდარი!
- ო, ზღვაო, რატომ ცახცახებ მარად?
- ფსკერზე უთვალავ მარგალიტს ემაღავ.
- ო, ზღვაო, ზღვაო, რად დრტვინავ მუდამ?
- ვწუხვარ დაღუბულ ვაჟკაცთა ბედზე:  
ზოგიერთს ჩემი მოთოკვა სურდა,  
ზოგიც მარგალიტს ეძებდა ფსკერზე.

ორი ქალარა მთიელი, ორი პოეტი, ორი ბებერი არწივივით შემომ-  
ჯდარა სერზე, სღუმან და ზღვას უსმენენ. ის კი ხმაურობს და სიცოცხ-  
ლეზე ფიქრს გაიძულეებს, აგრერივად რომ წააგავს ზღვას და ნაპირზე  
გადაცურვას მოითხოვს, როგორი ამინდიც არ უნდა იყოს. ზღვისგან  
განსხვავებით ცხოვრებას არა აქვს მყუდრო ნავსაყუდღელები და მისად-  
გომები. გინდა თუ არა, უნდა იტურო და მხოლოდ ერთი უკანასკნელი  
მისადგომი, უკანასკნელი ნავსაყუდელი შეგზვდება ბოლოს. ხმაურობს

კასპიის ზღვა. ერთი მხრიდან ვოლგა და ურალი ერთვის, მეორე მხრიდან — მტკვარი, თერგი და სულაყი. ერთმანეთს შერევიან წყლები და ველარაფერი გააჩნევს ერთმანეთისგან. ზღვა იმათი თავისებური უკანასკნელი ნავსაყუდელია, ისე კი არ დაიკარგება, არ მოკვდება, არ დაცხრება მათი წყალი, ცისფერ ტალღებად აიქოჩრება და რომელი ქვეყნის გემები აღარ გადაივლიან ამ ტალღებზე.

მთიელებო, დაღესტნის შვილებო, განა თქვენი ბედი ამ მდინარეთა ბედს არა ჰგავს? თქვენც ხომ შეერთდით და ჩვენი დიადი ძმობის ერთიან ზღვად იქეცით.

ხმაურობს კასპიის ზღვა. სდუმს ორი ჭალარა კაცი, ორი პოეტი და მათ გვერდით მე — ყრმა. შინ დაბრუნებისას აბუთალიბმა მამაჩემს უთხრა:

— იზრდება შენი ბიჭი, დღეს ის დიდ გრძნობას ეზიარა.

— ჩვენ რომ ვიდექით, იმ ადგილას პატარა ვერვინ იქნება, — უპასუხა მამამ.

ახლაც, როცა ზღვის ნაპირას ვარ, ყოველთვის მგონია, რომ მამას ვუდგავარ გვერდით.

ამბობენ, კასპიის ზღვა წლითიწლობით კლებულობსო. უკვე ქალაქური სახლებია ამართული იქ, სადაც წყალი დგაფუნებდა ოდესღაც. ალბათ ასეა, მაგრამ არა მჯერა, ზღვამ ზღვაობა დაკარგოს. შეიძლება ის კლებულობს, მაგრამ არ კნინდება.

მე აღამიანებსაც ასე ვეუბნები ხოლმე: ნუ დამციირდებით, თუნდაც ძალზე მციირერიცხოვანი იყოთ.

სწავლულებს მწარეს აუშლის ფიქრებს  
და ბუნებისთვის ისმის ბრალდებად,  
რომ კასპიის ზღვა იკლებს და იკლებს,  
უკან იხევს და პატარაედება.

გულგატეხილებს რწმენით მივმართავ:  
ზღვას მეჩეჩები ვერ დაფარავენ,  
უფრო მაშინებს აღამიანთა  
დაწვრილმანება, სიპატარავე.

მახასიაც აქვს ნათქვამი ზღვაზე. ის დაღესტნის პირველი რეგკომი იყო და მის სახელს ატარებს ახლა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი (აღრე პორტ-პეტროვისკი ერქვა). სამოქალაქო ომის დროს მახაჩმა აუღებელ ციხესიმაგრედ აქცია იგი.

ჰოდა, ასე თქვა მახაჩმა ზღვაზე: „რამდენიც არ უნდა იყოს მტერი, ყველას ზღვაში გადაეუძახებთ. ზღვა ღრმაა, მისი ფსკერი კი ყველას დაიტევს“.

როცა მთიელები მეჩეთის ახლოს ბებერი ხის ძირას იკრებიებიან და მთისას და ბარისას ლაპარაკობენ, ამას ჩვენში გოდეკანს ეძახიან. ერ-

თხელ გოდეკანზე მთიელებს ჰკითხეს: რომელი ხმა ესალბუნება სულს ყველაზე მეტად? მთიელები ჩაფიქრდნენ და უპასუხეს:

- ვერცხლის წკრიალი.
- ცხენის ქიხვინი.
- საყვარელი ქალიშვილის ხმა.
- ფლოჰების თქარუნი ხეობაში.
- ბავშვების სიცილი.
- დედის ნანა.
- წყლის რაკრაკი.

ერთმა მთიელმა კი ასე თქვა:

— ზღვის ხმაური, იმიტომ, რომ ზღვა გამოსცემს ყველა იმ ხმას, რაც თქვენ აქ ჩამოთვალეთ.

როცა გოდეკანზე სურნელებასა, სასმელსა თუ სხვა რაიმეზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, ყოველთვის ზღვა იყო ხოლმე ბოლო სიტყვა.

ზღვის სუნთქვითაა გამოთბარი შესანიშნავი ზღაპარი ჭაბუკსა და ზღვის დედოფალზე, ლაყვარდოვან ფრინველზე, რომელიც სადაც არ დაჰკრავს. ნისკარტს, წყაროს ამოაჩუხჩუხებს.

რალა თქმა უნდა, გოდეკანზე ყველა თავის რაშს აქებს. მეც ასე ხომ არ მემართება, კასპიის ზღვას რომ ვაქებ? რა არის ეგ შენი კასპიის ზღვაო, — მეუბნებიან ხანდახან, — სიმაართლე თუ გინდა, ეგ ზღვაც არაა, ერთი დიდი ტბაა და ეგ არიო. აი, შავი ზღვა გვესმისო.

სწორია, კასპიის ზღვა ადრიატიკის, იონის თუ შავ ზღვასავეთ ხავერდოვანი და ნაზი არ არის, მაგრამ იქ ხომ ხალხის უმრავლესობა დასასვენებლად და საცურაოდ დადის, კასპიის ზღვაზე კი უმრავლესობა სამუშაოდ მოდის. ზღვა — მეთევზე, ზღვა — მენავთობე, მშრომელი ზღვა. მკაცრი ხასიათიც ამიტომა აქვს. რას იზამ, ყველა ხარს თავისი ზნე აქვს. ყველა მამაკაცს თავისი ხასიათი, ყველა ზღვას — თავისი სახე, თავისი ზნე. განა დაღესტნის მთები კი არ განირჩევიან საქართველოს, აფხაზეთის თუ სხვათა მთათაგან?

მე კი, სიმაართლე გითხრათ, ყველა ერთმანეთის მსგავსი მგონია. შავი ზღვა კასპიის ზღვას მაგონებს, კასპიის ზღვამ კი შეიძლება ოკეანეც გამახსენოს. ჰოდა, არც ერთ ზღვაზე ნაკლები არ არის ჩვენი ზღვა.

კასპიის ზღვაშიც ჰყრიან ხურდა ფულს, რათა ისევ არგუნოთ ბედმა იქ დაბრუნება.

მამაჩემი ამბობდა: თუ კაცს ზღვა უშნო ეჩვენება, თვითონ ყოფილა უშნო.

ერთხელ ვილაცამ აბუთალიბს უთხრა:

- რა საზარლად ხმაურობს დღეს ზღვა.
- აბა ჩემი ყურებით მოუსმინე, — უპასუხა აბუთალიბმა.

პოდა, კასპიის ზღვასაც დაღესტნის თვალებით შეხედეთ და უმშვენიერესი მოგეჩვენებათ იგი.

სახელოვანი წყალქვეშელის, მეორე რანგის კაპიტნის, მაჰმად გაჯიევის სიმამაცე მთელი სამხედრო საზღვაო ფლოტისთვის არის ცნობილი. იგი ბალტიის ზღვაშიც იბრძოდა, ბარენცისა და ჩრდილოეთის ზღვაშიც. მისი წყალქვეშა ნავი სამამულო ომის ისტორიაში პირველად შეება პირისპირ ფაშისტთა ესკადრას. მას ასეთი წესი ჰქონდა: მანამ არ გაიპარსავდა უღვაშს, სანამ მტრის გემს არ ჩაძირავდა. ერთხელ ვნახე მაჰმად გაჯიევი. მაშინ აბაშილოვის სახელობის ბუინაკსკის პედსასწავლებელში ვსწავლობდი. მაჰმად გაჯიევი შგებულებაში იყო და ჩვენს სასწავლებელში მოვიწვიეთ. ერთი ასეთი შეკითხვა მივეცი:

— როგორ მოხდა, რომ კლდეებში გაზრდილი კაცი მეზღვაური გახდით?

— ბავშვობაში ერთი მთის მწვერვალიდან კასპიის ზღვა დავინახე და თვალებს არ დავუჯერე. ზღვამ მიმიხმო და მეც წავედი, ზღვის ჯადოს ვერ გავუძელი.

საბჭოთა კავშირის გმირი მთიელი მაჰმად გაჯიევი ბარენცის ზღვაში დაიღუპა. მახაჩყალაში მისი სახელობის ქარხნის წინ აღმართული მისივე ძეგლი კასპიის ზღვას გაჰყურებს. ქალაქ სევერომორსკში მისი სახელობის სკოლაა. ზღვაში მამაცები გადიან, მაგრამ ყველა როდი ბრუნდება ნაპირზე. ამიტომ ჰყრიან მთიელები ზღვაში გაზაფხულის პირველ ყვავილებს. ეს ყვავილები ყველა ზღვაში დაღუპულს ეკუთვნის. ჩემს ყვავილებსაც არაერთხელ უტივტივიათ ტალღებზე.

ბარენცის ზღვაში, იმ ადგილას, სადაც გაჯიევი და მისი ამხანაგები დაიღუპნენ, მათი ხსოვნის პატივსაცემად ყველა გემი ჩერდება. კასპიის ზღვაზეცაა ასეთი წესი — შეჩერება და სამწუთიანი დუმილი დაღუპულთა მოსაგონარად.

ჩვენი ქალაქი მახაჩყალა ნავმისადგომში გაჩერებულ გემსა ჰგავს. სანაპიროს პარკიდან პუშკინი გაჰყურებს ზღვას, მის შორიანლოს სულეიმან სტალსკი დგას, ბულვარიდან კი მამაჩემი გაცსქერის კასპიის სივრცეს.

ამბობენ, ზღვის ადგილას ოდესღაც მწირი უდაბნო იყო. მერე მან მთები დაინახა და მათ ფერხთით სიხარულით ცისფრად ალივიღდაო. ამბობენ, მთები ოდესღაც ერთმანეთთან მორკინალი ურჩხულები იყვნენო, მერე უცბად ზღვა დაინახეს და გაოცებისგან გაქვავდნენო.

აკვანში ჩაკრულს ასე მიმღეროდა ხოლმე დედა:

გაიზარდე, ბიჭუნავ,  
ქეშარიტი მთიელი,  
ამ მთასავით მაღალი,  
ამ ზღვასავით ძლიერი.

ამას უმღეროდა ქალიშვილი ახალგაზრდა ჯივიტს:

მთიელი ხარ, გეტყობა,  
ისე გხურავს ფაფახი,  
სიარულზე გეტყობა  
შენი ჯიში ამაყი.



ჯივიტიც ასე უმღეროდა ლამაზ მთიელ ქალწულს:

იქნებ სასწაული ხარ  
ზღვის ფსკერიდან ნახლექი,  
მე ჯერ არსად მინახავს  
სილამაზე ასეთი.

ერთ კრებაზე ასეთ საუბარს მოვუსმინე:

— რა არის, სულ ამ ზღვაზე და მთებზე, მთებზე და ზღვაზე რომ ვლაპარაკობთ? ჩვენ სხვა მთები და ზღვაცა გვაქვს — ლეკური ბაღების ზღვა, პირუტყვის ზღვა და მატყლის გორები. ამაზეც ამოვიღოთ ხმა.

მაგრამ სწორი ნათქვამია:

სამივე ნამაზს ნუ ილოცებ,  
ერთი დატოვე ჩვენთვის.  
სამივე სიმღერას ნუ იმღერებ,  
ერთი დატოვე ჩვენთვის.

მე დალესტნის ორ მთავარ შემაღგენელ ნაწილზე გესაუბრეთ. მესამე ნაწილი კი ყველაფერი დანარჩენია. განა ცოტაა სათქმელი გზებზე, მდინარეებზე, ხეებსა და ბალახზე? მთელი ცხოვრება არ მეყოფა, ყველაფერი რომ მოგიტხროთ. სიმღერაც ასეა. მსოფლიოში მხოლოდ სამი სიმღერაა: პირველი დედის სიმღერაა, მეორე — დედის სიმღერა და მესამე ყველა დანარჩენი სიმღერა.

მთიელები, როცა სტუმრად გიწვევენ, გეუბნებიან: ჩამობრძანდით ჩვენთან, ჩვენი მთები, ჩვენი ზღვა და ჩვენი გულები თქვენ გეკუთვნით. ჩვენი მიწა — მიწაა, სახლი — სახლი, ცხენი — ცხენი და კაცი — კაცი. მესამე არაფერი დგას მათ შორის.

## ა დ ა მ ი ა ნ ი

ადამიანი და თავისუფლება ხუნძურ ენაზე ერთნაირად წარმოითქმის: „უზდენ“ — ადამიანი, „უზდენლი“ — თავისუფლება. ამიტომ, როცა „უზდენ“ — ადამიანი — გვყავს მხედველობაში, იგულისხმება, რომ ის თავისუფალია — „უზდენლი“.

წარწერა სამარის ქვაზე:

არ ყოფილა გმირი,  
არ ყოფილა ბრძენი,  
მაგრამ იყო კაცი  
წინაპარი შენი.



წარწერა ხანჯალზე:

პატივი ეცი ყველას, ვისაც ჩოხა აცვია,  
გოლიათისგან ნუ ანსხვავებ ტანით პატარებს,  
არ დაგავიწყდეს, ისიც კაცია,  
ისიც შესწავით ხანჯალს ატარებს.

როცა მთიელი დიდი ხნის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა, ჰკითხეს:  
— ერთი გვითხარი, რა ქვეყანაა, რანაირი წესები აქვთ?

— იქ ადამიანები ცხოვრობენ, — უპასუხა მთიელმა.

როცა შამილი და ჰაჯი-მურატი ერთმანეთთან მწყურალად იყვნენ, ზოგეერთები, აქაოდა ნაიბს ესიამოვნებო, აუგით იხსენიებდნენ შამილს.  
ჰაჯი-მურატი მკაცრად აწყვეტინებდა მათ:

— არ გაბედოთ ასეთი ლაპარაკი, ის ადამიანია. რაც შეგვეხება ჩვენ, ჩვენ თვითონ მოვრიგდებით.

მართალია, ჰაჯი-მურატმა მიატოვა შამილი, მაგრამ გუნებზე უკანასკნელი ბრძოლის დროს ჰაჯი-მურატის სიმამაცე და გამბედაობა რომ გაიხსენა, შამილმა თქვა:

— ისეთები აღარ არიან, ის ადამიანი იყო.

საუკუნეები იცხოვრეს მთიელებმა მთებში და ყოველთვის გრძნობდნენ ადამიანის საჭიროებას. ადამიანი საჭიროა, უადამიანოდ გაძლება არ შეიძლება.

მთიელის ფიცი ასეთია: ადამიანად დავიზადე და ადამიანად მოვკვდები!

მთიელების წესია — მინდორიც გაყიდე და სახლიც, დაკარგე მთელი ქონება, მაგრამ შენი ადამიანობა არ გაყრდო და არ დაკარგო.

მთიელის წყველა ასეთია: ღმერთმა არ აღირსოს თქვენს გვარსა და ჯილაგს არც კაცი და არც ცხენი.

თუ ვინმე რომელიმე წვრილმანსა და უღირს კაცზე ლაპარაკობს, მთიელები თხრობას აწყვეტინებენ:

— ვისზე ხარჯავთ დროს, ის ხომ ადამიანი არ არის.

როცა ვინმეს ნაკლსა ან შეცდომაზე ლაპარაკობენ, მთიელები აჩერებენ:

— ის ადამიანია და შეიძლება ეპატიოს.

თუ აულში წესრიგი არ არის, მოუვლელნი და უგზო-უკვლოა, ასეთ აულზე იტყვიან, იქ ადამიანი არ ცხოვრობსო.

ადამიანი არის უპირველესი საჭიროება, განძი და საოცრება. საიდან



გაჩნდა დალესტანში ადამიანი, საიდან აღმოცენდა, სადაა მთიელების თავისებური ტომის ფესვები?

ბევრი მოთხრობა, ზღაპარი და ლეგენდა არსებობს ამის თაობაზე ერთ-ერთი მათგანი ბავშვობაში გამიგონია.

დედამიწაზე უკვე ბევრი ცხოველი და ფრინველი იყო. მიწას მათი ნაკვალევი აჩნდა, ადამიანის ნაკვალევი კი არსად იყო. ისმოდა ათასნაირი ხმა, ადამიანის ხმა კი არა. უადამიანო მიწა უენოპირს ჰგავდა, უგულო მკერდს.

ამ მიწის თავზე არწივები ბოინობდნენ, ძლიერი და უშიშარი ფრინველები. იმ დღეს, რომელზეც ახლა მოგიხრობთ, ისეთი თოვლი მოდიოდა, თითქოს, რაც ქვეყანაზე ფრინველი არსებობდა, ყველა გაებუმბლოთ და ბუმბული ქარისთვის გაეტანებინოთ. ცა ღრუბლებმა დაფარა და დედამიწა თოვლმა. ყველაფერი აირ-დაირია, ეშმაკმა უწყოდა, სად იყო ცა და სად მიწა. ამ დროს არწივი ბრუნდებოდა ბუდეში, ნისკარტი ხანჯალს მიუგავდა და ფრთებს ხმლებივით მიიქნევდა.

ვინ იცის, არწივმა დაივიწყა სიმაღლე თუ სიმაღლეს დაავიწყდა არწივი, ეს კია, რომ მთელი ძალით შეეჯახა იგი პიტალო კლდეს. ხუნძები ამბობენ, ეს გუნბის მთაზე მოხდაო, ლაკები — ტურჩიდაგის მთაზეო, ლეკები ირწუმუნებიან, ეს შახდაგის მთაზე მოხდაო, მაგრამ საცა არ უნდა მომხდარიყო, კლდე კლდეა და არწივი არწივია. ტყუილად კ არ ამბობენ: „ფრინველი შეეჯახება კლდეს, თუ კლდე — ფრინველს, მაინც ფრინველი დაილუპება“.

ბევრი არწივი დაჯახებია ალბათ კლდეს და დალუპულა, ის არწივი კი, ფრთები ხმლებს რომ მიუგავდა და ნისკარტი ხანჯალს, დაშავდა, მაგრამ არ დალუპულა. ფრთები დაემსხვრა, მაგრამ გული ისევ უცემდა, ბასრი ნისკარტი გაუმრთელდა, გაუმრთელდა რკინის კლანჭებიც და დაიწყო არწივმა სიცოცხლისათვის ბრძოლა. ძნელია უფრთებოდ საკვების შოვნა, ძნელია უფრთებოდ მტრისაგან თავის დაღწევა. ყოველდღე ქვიდან ქვაზე, კლდიდან კლდეზე ფოფხავდა და სულ მაღლა-მაღლა მიიწევდა არწივი, იმ კლდისკენ ისწრაფვოდა, საიდანაც გარემოს თვალთვალი უყვარდა.

ძნელი იყო უფრთებოდ საკვების შოვნა, თავის დაცვა, კლდის წვერზე ასვლა და ბუდის აშენება: ამ მძიმე დღეებში არწივის კუნთები გადასხვაფერდა, გარეგნულადაც შეიცვალა და როცა ბუდე დაამთავრა, ის ბუდე ქოხი აღმოჩნდა, უფრთო არწივი კი მთიელი. დადგა ფეხზე და დაშხვრეული ფრთების ადგილას ხელები აღმოუცენდა, ნისკარტის ნახევარი ჩვეულებრივ მოზრდილ ცხვირად გადაექცა, ნახევარი კი ხანჯლად დაეკიდა ქამარზე, ხოლო გული უცვლელი დარჩა, არწივის გული.

— ხედავ, შვილო, — მეუბნებოდა დედა, ამბავს რომ დაასრულებ-

და, — როგორ გაუჭირდა არწივის მთიელად გადაქცევა. შენ ამის ფასი უნდა იცოდე, შვილო.

არ ვიცი, მართლა ასე მოხდა თუ არა, მაგრამ ერთი ცხადია, ფრთოსნებიდან მთიელებისთვის ყველაზე უფრო ძვირფასი არწივია. მამაცა და გულად აღამიანს არწივს უწოდებენ, ბიჭი დაიბადება და მამა ამაყად ამბობს, არწივი გამიჩნდაო, ის კი არა და, ქალიშვილი რომ მოვა შინ მოქნილი და ფიცხელი ნაბიჯებით, დედა იტყვას ხოლმე: მოფრინდა ჩემი არწივიო.

სამამულო ომის დროს დალესტნის გმირებზე წიგნი დაიწერა: „მთის არწივები“.

ძველებური სახლების კარებზე, აკვნებსა თუ ხანჯლებზე ხშირად შეგხვდებათ ამოკვეთილი არწივის მკაცრი ხატება.

რა თქმა უნდა, სხვა ლეგენდებიც არსებობს.

როცა ბედის უკუღმართობაზე ლაპარაკობენ და მამები სამშობლოდან დაშორებით ბრძოლის ველზე დაცემულ ვაჟაკებს იხსენებენ ან შვილები იგონებენ ომში დაღუპულ მამებს, სჯერათ, რომ მთიელები კი არ წარმოიშვნენ არწივებიდან, პირიქით, არწივები წარმოიშვნენ მთიელებიდან.

— ო, არწივებო, ცად რომ ირევიო,  
რა მოდგმისა ხართ, სადაურები?  
— ომში დაცემულ თქვენს შვილების  
ჩვენ ვართ გულები ფრთაასხმულები.

— ვინ ხართ, მთიებო, ნისლში ირიბად  
და იისფერად რომ გაილეხებთ?  
ჩვენ თვალები ვართ და დაეტირივართ  
ომში დაცემულ მამაც მთიელებს.

აი რატომ შესცქერიან დალესტნელები ცას ყოველთვის სიყვარულითა და იმედით. ასევე უყურებენ ცაზე მორიალე მძლავრ ფრინველებს. უყვართ მთიელებს ლურჯი ცა.

1942 წელს ვიხსენებ. ფელდმარშალ კლეისტის ჯარებმა კავკასიონის ზოგიერთი სიმაღლე დაიპყრეს. თვითმფრინავები გროზნოს ნავთის სარეწებს ბომბავდნენ. იმ დღეებში გროზნოში შეიკრიბნენ კავკასიის ახალგაზრდობის წარმომადგენლები. დალესტნის დელეგაციის შემადგენლობაში მეც ვიყავი. მიტინგზე ცნობილი ლეკი მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი ვალენტინ ემიროვი გამოვიდა. არც მისი ტრიბუნიდან წარმოთქმული სიტყვა დამაფიქსედება და არც ის მოკლე საუბარი, მიტინგის შემდეგ რომ გვქონდა. წასვლისას ცას ახედა და გვითხრა:

— იქ მიმეჩქარება, იქ უფრო საჭირო ვარ, ვიდრე მიწაზე.

ორი კვირის შემდეგ მისი დაღუპვის ცნობა მოვიდა. დაიღუპა,

დაიფერფლა დაღესტნის სახელოვანი შვილი, მაგრამ ყოველთვის, როცა ყვილით გადამივლის თავზე არწივი, მჯერა, რომ მას ვალენტინის მგზნებარე გული უცემს.

1945 წელი. მოსკოვი. ყოველდღე დავდიოდით დაღესტნელი სტუდენტები მახაჩყალიდან მოსული ახალი ამბების გასაგებად. იმ დროს ჩვენი რესპუბლიკა ოცდახუთი წლისთავის საზეიმო აღნიშვნისათვის ემზადებოდა. იქ შევხვდი ერთხელ ნაბი ამინთაევს. მაშინ დაღესტანში კაცს ვერ ნახავდით, ეს ლაკი რომ არ სცოდნოდა, ეს ცის ჭიგრიტი. იგი არაერთხელ დაშვებულა პარაშუტით მტრის მიწაზე და ყოველთვის უვნებელი დაბრუნებულა.

— ახლა ხომ ომი აღარ არის, დაბრუნდი დაღესტანში, — ვუთხარი მე.

— კი, მაგრამ ცა ხომ დარჩა.

რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთმა „პრაედამ“ მისი ფოტოსურათი გამოაქვეყნა. ქვეშ ასეთი წარწერა ჰქონდა: „ნაბი ამინთაევი — მსოფლიოს რეკორდსმენი პარაშუტით ხტომაში. თავისი რეკორდი ამინთაევმა დაღესტანს მიუძღვნა“.

რამდენიმე დღის შემდეგ ისევ შევხვდი ნაბის.

— მოდი, დაღესტანში წავიდეთ.

— ცა მელოდება, უმისოდ არ შემიძლია.

ცნობრება კი ხანმოკლეა. ერთხელ პარაშუტმა უმტყუნა, ჩვენი ნაბი ფრთამოტეხილი არწივივით დაეცა და დაიღუპა. დიდმა დრომ გაიარა მას შემდეგ, მაგრამ ყოველთვის, როცა არწივის ყვილი მიესმის, მგონია, ნაბის მგზნებარე გული უცემს მას.

ლაშაზი რეზედაც მახსენდება. დაღესტნის ციდან დაეშვა იგი გუნების მიწაზე. რამდენი ფანდური აკენესდა მაშინ მისი ფანჯრის წინ! პოეტი არ დარჩენილა, მისთვის ლექსი რომ არ მიეძღვნა. აგურით ნაშენო ქალაქ ბუინაკსკის პატარა სახლო, რამდენი თვალი იყო შენს ფანჯრებზე მოჩერებული. ხუნძახში, გუნებსა და ყუმუხში გამალებულა კაზმავენენ ცხენებს გრძელნაწნავეებიანი მზეთუნახავის მოსატაცებლად. მაგრამ მოვიდა ერთი ლენინგრადელი, ჩაისვა ჩვენი რეზედა თვითმფრინავში და წაიყვანა. თვითმფრინავიდან დაუქნია ხელი რეზედას მიწაზე დარჩენილ გამიჯნურებულ ქაბუკებს. პირდაღებული მისჩერებოდნენ ჩვენი პოეტები თვითმფრინავს, მერე კი მოდგნენ და წერეს ლექსები არწივისგან გატაცებულ მტრედზე.

ლენინგრადში ომმა მოუსწრო რეზედას. „ამ ქალაქში ახლა ღამეები კი არა, დღეებიც აღარ არის თეთრი. ლენინგრადი ცეცხლშია გახვეული. მეც ცეცხლში ვარ. ცეცხლსა და კვამლში მივჩერებივარ ცას, მაგრამ იქაც ომია. ჩემი ქმარი სეიდი ბევრჯერ გაფრინდა მტრის ზურგში. ახლა უკვე სამი უწყება მაქვს მიღებული, რომ ის ცოცხალი აღარ არის. იგი

დესანტი ეჭიმი იყო. ჩემს სანახავად მოდიან მისგან გადარჩენილი ადამიანები“, — იწერებოდა რეზედა.

რეზედა დაბრუნდა დალესტანში. და როცა მშობლიური ციდან არწივის ყვილი ესმის, ჰგონია, რომ მას სეიდის მგზნებარე გული უცემს.

ძმაო ახილჩი, შენ ყველაზე უფრო მიწიერ ინსტიტუტში სწავლობდი — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, მაგრამ ომის დროს ცა აირჩიე, მფრინავი გახდი. შენ შავი ზღვის ცაზე დაიღუპე. მხოლოდ ოცდაორი წლის იყავი მაშინ. მე კარგად ვიცი, რომ აღარასოდეს დაბრუნდები მშობლიურ ქოხში, მაგრამ ყოველთვის, როცა კი არწივის ყვილს გავიგონებ, მჯერა — ეს ახილჩის გული მიგზავნის ძმურ სალამს.

ბოინობენ დალესტნის ცაზე არწივები, ისინი ბევრია, მაგრამ არც სამშობლოსათვის თავდადებული მამაცებია ცოტა. არწივის ყოველი ყვილი სიმამაცესა და გამბობას გვაუწყებს. ყოველი ყვილი საბრძოლო სიმღერაა.

ვიცი, რომ ეს ლამაზი ზღაპარია, გამონაგონი. ადამიანებს უნდათ, ასე იყოს. მაგრამ ისიც ვიცი, ერთმა კაცმა ძალიან მაღლა რომ აიწია, ანდოვლმა ასე უთხრა:

— არწივებიც კი დაბლა ჩამოდიან, ადამიანებად რომ იქცნენ. შენც ჩამოდი დაბლა. ადამიანები აქ, მიწაზე დაიბადნენ. მთიელს სწორედ იმიტომ ჰქვია მთიელი, რომ მთების შვილია, მიწის შვილი. ადამიანებმა, დაე, სიმღერებსა და ლეგენდებში იფრინონ. ჩვენში უყვართ ეს სიტყვა — „ფრენა“. ამბობენ, მხედარი მიფრინავსო, სიმღერა მიფრინავსო. ჩვენი სიმღერების უმრავლესობა არწივებზეა.

ბევრჯერ გამაყრტიკეს, აქაო და სულ არწივებზე სწერო ლექსებს, მაგრამ რა ვქნა, არწივი თუ მირჩენია ყველა ფრინველს? მათ მაღლა და შორს შეუძლიათ ფრენა, მაშინ როცა სხვა ფრინველები ფეტვის ახლომახლო დაფათქუნებენ და ყაშყაშებენ. ხმაც მაღალი და კრიალა აქვთ. სხვა ფრინველები, აცივდება თუ არა, ღალატობენ დალესტანსა და სხვა ქვეყნებში მიფრინავენ. არწივები კი, რა ამინდიც არ უნდა იყოს, როგორი სროლაც არ უნდა აფრთხობდეთ, მშობლიურ მწვერვალებს არ დათმობენ — არწივებს აგარაკები არა აქვთ. სხვა ფრინველები მიწაზე დაფათქუნებენ, სახურავიდან სახურავზე დაფრინავენ, საკვამურებს ეტმასნებიან, მინდვრიდან მინდორზე ინაცვლებენ, თუ სადმე პატარა ხეობაა, ჩვენში ჩიტის ხეობას ეძახიან, თუ სადმე ციცაბო კლდეა — არწივის კლდეს.

ბავშვი რომ დაიბადება, ჯერ კიდევ არ არის ადამიანი. რაკილა ფრენა იცის, ყველა ფრინველი არწივი როდია.

დიდებულა ეს მთა, ტატნობი,  
სადაც ჩიტების ხმები მინელა —  
ცაში ზვიადად დანავარდობენ  
მთის არწივები, ღმერთნი ფრინველთა.

მთებს დარაჯობენ დარშიც, წვიმაშიც,  
კლდის ნაპარაღებში ჩაბუდებულნი.  
ქედს როდი იდრეკს ბედის წინაშე  
მთის არწივების სული მეფური.

სიმაღლეს სწრაფად იმორჩილებენ  
და სადაც ცეცხლის დისკო კრიალებს,  
შავ-შავ გუნდებად წამოშლილები,  
აღგაფუნებენ ცის ოკეანეს.

მათ ყვირს ყველა ფრინველი უფრთხის,  
გაისუსება ყველა უკლებლად,  
და ყვავ-ყორნების დამფრთხალი გუნდი  
ხეცებში ბინდად ჩაიჩუმქრება.

ზოგჯერ მთელი დღე ვდგავარ ბავშვივით  
და ცას მიჯნურის თვალებით ვუშვებ,  
და მათი ფრთების აფრავფრავება  
სიამის სხივად მადნება გულზე.

ეცემა მათი ჩრდილი ფერდობში,  
სადაც საშიში ვიწროებია,  
და მამაცებიც ჩემს სამშობლოში  
მთის არწივებად იწოდებთან.

იაპონელებისათვის ყველაზე ძვირფასი ფრინველი წეროა. მათ სჯე-  
რათ, თუ ავადმყოფი ქალაღდიდან ათას წეროს გამოჭრის, განიკურნება.  
გადამფრენ წეროებს, მეტადრე თუ ისინი ფუძიამაზე მიფრინავენ, უკავ-  
შირებენ იაპონელები სიხარულსა და მწუხარებას, განშორებასა და შე-  
ხვედრებს, ოცნებებსა და ძვირფას მოგონებებს.

მეც მიყვარს წეროები, მაგრამ იაპონელებმა რომ გაიგეს, ყველა  
ფრინველს არწივი ურჩევნიაო, არ მოეწონათ.

თუმცა ჩვენი მოჭიდავე ალი ალიევი ტოკიოს შეჯიბრებებზე მსოფ-  
ლიოს ჩემპიონი რომ გახდა, ერთმა იაპონელმა მეგობარმა მითხრა:

— არც ისე ცუდი ფრინველები ყოფილან თქვენი არწივები.

ერთხელ ჩვენს მთიელებს ვუამბე, როგორ სძლიეს ყანჩებმა არწი-

ვებს თურქეთის ცაზე. მთიელები გაოცდნენ, გაბრაზდნენ კიდევ, არ უნდოდათ დაჯერება, მაგრამ ასე კი მოხდა და.

— შენ სწორს არ ამბობ, რასულ, — მითხრა ბოლოს ერთმა მთიელმა, — არწივები კი არ დამარცხდებოდნენ, დაილუპნენ ალბათ, ეს კი სხვა საქმეა.

მე ერთი მეგობარი მყავდა, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი აზმედხან სულთანნი. მამა დალესტნელი ჰყავს, დედა კი — თათარი. თვითონ მოსკოვში ცხოვრობდა, მაგრამ დალესტნელები თავიანთ გმირად თვლიდნენ, თათრები კი — თავიანთად.

ბოლოს და ბოლოს გამაგებინე, ვისი ხარ? — ვკითხე ერთხელ მე.

— თათრეთისა და ლაქეთის კი არა, საბჭოთა კავშირის გმირი ვარ, შვილი კი — დედაჩემისა და მამაჩემისა. მათი ერთმანეთისაგან დაშორება არ შეიძლება, მე ხომ აღამიანი ვარ.

ერთხელ შამილმა თავის მდივანს მაჰმად ტაპირ ალ-კარახს ჰკითხა:

— რამდენი კაცი ცხოვრობს დალესტანში?

მაჰმადმა მოსახლეობის აღწერის წიგნი გადაშალა და უპასუხა.

— მე ნამდვილ აღამიანებზე გეკითხები, — განრისხდა შამილი.

— ასეთი მონაცემები არა მაქვს.

— უახლოეს ბრძოლაში არ დაგავიწყდეს მათი დათვლა, — ბრძანა იმამმა.

მთიელები ამბობენ: „თუ გინდა კაცის ნამდვილი ფასი გაიგო, ჰკითხე:

1. უბედურებას.

2. სიხარულს.

3. ქალს.

4. ხმალს.

5. ვერცხლს.

6. ბოთლს.

7. თვითონ მას“.

ღიახ, აღამიანი და თავისუფლება, აღამიანი და პატიოსნება, აღამიანი და გმირობა ერთ ცნებაში ერთიანდება. მთიელებს ორსახოვანი არწივი ვერ წარმოუდგენიათ. ორსახოვანს ისინი ყვავს ეძახიან. აღამიანი — ეს მარტო სახელწოდება როდია, ეს არის წოდება, რომლის მიღწევა არც ისე ადვილია.

ამას წინათ ბოთლიხში მოვისმინე, როგორ მღეროდა ვიღაც ქალი უღირს მამაკაცზე:

რალაციით ცხენს ჰგავხარ,  
რალაციით მელას,  
რალაციით ცხვარს ჰგავხარ,  
რალაციით ძვრას,  
კაცობით, სინდისით,  
ვის გავხარ ნეტა?

მეორე ქალის სიმღერაც მოვისმინე მატყუარა კაცზე:

კაცი მეგონე და ფრთხილად, ფრთხილად  
მოგენდე კიდევ ქალი მთიელი,  
თურმე ყოფილხარ მწუტე თხილივით  
ფუყი, ფუტურო და ცარიელი.  
ნეტამც ჩემ დღეში არ დამენახე,  
დღეს გვიანია ურვა და ოხვრა,  
კაცი კი არა, საფრთხობელა ხარ,  
მარტო ფაფახი და მარტო ჩოხა.

საქმროს მაძებარმა ქალიშვილმა დაიჩივლა:

— ფაფახის ტარება ყველას შეუძლია, არც უღვაშსა აქვს ჭკუა,  
ასეთი ქმარი რომ მინდოდეს, ხელად ვიშოვიდი. მე აღამიანს ვეძებ.

მთაში ცხვარს რომ ყიდულობენ, დუმასა და მატყლს უსინჯავენ,  
ცხენს თავ-პირსა და ფეხებს, მთლიან შეხედულებას, მაგრამ აღამიანის  
შეფასებისას რას მიაქციონ ყურადღება? მის სახელსა და საქმეს. სხვათა  
შორის ზუნძურ ენაში სიტყვა „სახელს“ ორი მნიშვნელობა აქვს: ერთი  
უბრალოდ სახელს ნიშნავს, მეორე კი — დამსახურებას, საქმიანობას,  
ღვაწლს. ვაჟიშვილი რომ დაიბადება, ამბობენ: „ციარ ბუგებ, ციარ  
ბატავი“. ეს კი ნიშნავს: „დაე, სახელმა მოუტანოს ყმაწვილს დიდება“. ისე  
კი მარტო სახელი რა ბედენაა.

დედა შთამაგონებდა ხოლმე: „სახელზე ძვირფასი ჯილდო არ არსებობს,  
სიცოცხლეზე ძვირფასი განძი არ მოიძებება. გაუფრთხილდი ამათ,  
შვილო“.

წარწერა ყანწზე:

თუ კაცი მაიმუნისგან მოდის,  
ურიცხვი ვამის გრძელი გზა უღვეს,  
და სულ იოლად ახერხებს ლოთი,  
ერთ-ორ საათში გამაიმუნდეს.

როცა შამილი გუნების მთაზე გამაგრდა, მისი ხელში ჩაგდება შეუძლებელი იყო. მაგრამ გამოჩნდა მოლაღატე და მტერს საიდუმლო ბილიკი აჩვენა. ფელდმარშალმა თავადმა ბარიატინსკიმ გამცემი მთიელი ოქროთი დაასაჩუქრა.



მოგვიანებით, როცა შამილი უკვე კალუგაში იმყოფებოდა, მოლალატე მშობლიურ კერას დაუბრუნდა.

— შენ მთიელი კი არა, მოლალატე ხარ, კაცი არა ხარ და არც შვილი ხარ ჩემი, — უთხრა მამამ და სული გააფრთხობინა. მერე თავი მოკვეთა და ლალატში აღებულ ოქროსთან ერთად კლდიდან მდინარეში გადაუძახა. აღარც მამას დაედგომებოდა მშობლიურ აულში, შვილის გამო ხალხში გამოჩენა ესირცხვებოდა. ჰოდა, ადგა და სადღაც გადაიკარგა, ვერვინ გაიგო მისი ასავალ-დასავალი.

დღესაც კი, იმ ადგილს რომ ჩაუვლიან მთიელები, საიდანაც მოლალატის თავი გადააგდო მამამ, ქვებს ისვრიან. ის კი არა და ამბობენ, ფრინველები რომ გადაუვლიან ამ კლდეს, „მოლალატე, მოლალატეო“ ყვირიან.

ერთხელ მახაჩ დახადაევი ჩამოვიდა აულში, მებრძოლები რომ შეერჩია თავისი რაზმისთვის. გოდეკანზე ორი მთიელი ნახა, ისხდნენ და ბანქოს თამაშობდნენ.

— ასალამ ალიქუმ. აბა ერთი თქვენი კაცები შემიგროვეთ!

— ჩვენ გარდა აულში კაცი არ არის.

— ვაჰ, უკაცო აული რაღა აულია, საით წასულან, სად არიან?

— იბრძვიან.

— ოო... როგორც ჩანს, აქ ყველა კაცი ყოფილა თქვენ ორს გარდა.

ერთხელ აბუთალიბმა საათი მიუტანა ხელოსანს შესაკეთებლად. იქ ახალგაზრდა კაცი იჯდა და მესაათე საათს უკეთებდა.

— დაჯექი! — უთხრა მესაათემ აბუთალიბს.

— დღეს, ეტყობა, ხალხი გყავს, სხვა დროს შემოვივლი.

— სად ხედავ ხალხს? — გაუკვირდა მესაათეს.

— აი, მაშ ეს ახალგაზრდა კაცი ვინაა?

— ეგ რომ კაცი იყოს, მაშინვე ადგებოდა, როგორც კი შემოხვედი, და ადგილს დაგითმობდა. რა მნიშვნელობა აქვს დაღესტნისთვის, როგორ იმუშავენ ამ კუქუანაღრძობის საათი. შენი საათი კი ზუსტად უნდა მუშაობდეს.

შემდგომში აბუთალიბი ამბობდა, დაღესტნის სახალხო პოეტობის მონიჭება არ გამხარებია ისე, როგორც მესაათის პასუხმა გამახარაო მაშინ.

დაღესტანში ოცდაათი ეროვნების ხალხი ცხოვრობს, მაგრამ ზოგიერთი ბრძენი ირწმუნება, დაღესტანში დასაბამიდან მხოლოდ ორი კაცი ცხოვრობსო.

— ეს როგორ?!

— უბრალოდ. ერთი კარგი კაცი და მეორე — ცუდი.

— თუ ასეა, მაშინ ერთი კაცი ყოფილა დალესტანში, — უსწორებენ

ზოგიერთები, — ცუდი კაცი ხომ კაცი არ არის.

კუშელი ხელოსნები ფაფახებს კერავენ, მაგრამ ზოგიერთები თავზე იხურავენ ამ ფაფახებს, ზოგიერთებს კი საკიღზე აქვთ ჩამოკიდებული.

ამგუშელი მჭედლები ხანჯლებს აწრთობენ, ზოგიერთს ქამარზე ჰკიდია ეს ხანჯალი, ზოგს კი ლურსმანზე აქვს ჩამოკონწიალებული.

ანდიელი ოსტატები ნაბდებს თელავენ, ზოგიერთებს მხრებზე აქვთ მოგდებული ეს ნაბდები, ზოგიერთები კი ზანდუკში ინახავენ.

ადამიანებიც ასე არიან, ზოგი ყოველთვის საქმიანობს, შრომობს ქარსა თუ წვიმაში, ზოგიერთი კი სკივრში ჩადებულ ნაბადს, საკიღარზე შემოდებულ ფაფახს თუ ლურსმანზე ჩამოკიდებულ ხანჯალს მიაგავს.

თითქოს სამი ბრძენი მოხუცი აკვირდებაო დალესტანს, მათი სიტუცხლე საუკუნეებს ითვლის, ყველაფერი უნახავთ და ყველაფერი იციან. ერთი მათგანი ისტორიულ წარსულს ავლებს თვალს, ძველისძველ საფლავებს გადახედავს, ცაზე მორიალე ფრინველებზე ჩაფიქრდება და იტყვის: „იყვნენ დალესტანში ადამიანები“. მეორე დღევანდელ ქვეყანას უყურებს, გაჩაჩახებულ დალესტანს გახედავს, ვაჟკაცების სახელებს ჩამოთვლის და ამბობს: „არიან დალესტანში ადამიანები“.

მესამე მოხუცი გულში მიმოიხილავს მომავალს, აფასებს საძირკველს, დღეს რომ ჩაეყარეთ მომავლისთვის, და ამბობს: „იქნებიან დალესტანში ადამიანები“.

ჩემი აზრით, სამივე მოხუცი მართალს ამბობს.

ცოტა ხნის წინათ დალესტანს სახელოვანი კოსმონავტი ანდრიაენ ნიკოლაევი ესტუმრა. ჩემს სახლშიც შემოიარა ანდრიაენი.

— დალესტანს არა ჰყავს თავისი კოსმონავტი? — მკითხა ჩემმა პატარა გოგონამ.

— არა, — ვუბასუხე მე.

— მერე ეყოლება?

— ეყოლება!

ეყოლება იმიტომ, რომ იბადებიან ბავშვები, ვარქმევთ სახელებს, იმიტომ, რომ იზრდებიან ეს ბავშვები და ქვეყნის მხარდამხარ მიაბიჭებენ. თვითთული ნაბიჯი უფრო და უფრო აახლოებთ დასახულ მიზანთან. დაე, სხვაგანაც თქვან დალესტანზე, როგორც ჩვენ ვამბობთ აულზე: სადაც წესრიგი და მშვიდობაა, იქ არის ადამიანი.



მითხარი, ამერიკაც ისე დიდია, როგორც ჩვენი ქვეყანა? ისინი უფრო მეტნი არიან თუ ჩვენ? — ასე მეკითხებოდა დედა 1959 წელს, ამერიკიდან რომ დავბრუნდი.

ნადიმში წყნარად იმხიარულებს,  
ჭირში დინჯია და ღვთისნიერი,  
მოკვდება ჩუმად და უხმაუროდ  
მთაში გაზრდილი კაცი მთიელი.

ზოგჯერ, როცა აულს სძინავს და ირგვლივ სიჩუმეა, ხულ ერთია, დარია თუ ავდარი, სარკმელზე ღამით კაკუნი გაისმის:

— ჰეი, კაცი თუა შინ? ცხენი შეკაზმე!

— ვინა ხარ?

— ჩემს ვინაობას თუ კითხულობ, ჯობია შინ დარჩე, შენგან ხეირი არ იქნება.

ისევ კაკუნი: კაკ, კუკ.

— ჰეი, არის კაცი შინ? ცხენი შეკაზმე!

— რატომ? სად მიდიხარ?

— „რატომ და სად მიდიხარო“, თუ მეკითხები, ჯობია, შინ დარჩე, შენგან ხეირი არ იქნება.

მესამედაც ისმის კაკუნი.

— ჰეი, კაცი თუა შინ? ცხენი შეკაზმე!

— ახლავე, მოვდივარ.

აი, ამას ჰქვია კაცი, ამას ჰქვია მთიელი! ჰოდა, გაუდგნენ გზას ორნი. კაკ, კუკ, „არის კაცი შინ? ცხენი შეკაზმე!“ და უკვე ორნი კი არა, სამნი კი არა, ათნი კი არ, ასეულები და ათასებია. არწივთან არწივი მოფრინდა, კაცთან კაცი მივიდა და ასე გაჩნდა დალესტნის ხალხი. ხეობის ქარნი არწევენ აკვანს, მთის მდინარეები მღერიან ნანას:

— სად იყავიო, დინგირ-დანგარჩუ?

— ტყეში ვიყავი, დინგირ-დანგარჩუ.

ბიჭი დაიბადა და სასათუმლის ქვეშ ხანჯალი ამოუდეს, ხანჯალს კი ეს აწერია: „მამაშენის ხელში არასდროს მიცახცახხია, გექნება კი შენც ასეთი მარჯვენა?“

გოგო დაიბადა და აკვანზე პატარა ზანზალაკი ჩამოუკრდეს, ზანზალაკზე კი აწერია: „შენ იქნები შვიდი ძმის და“.

ხეობებში კლდიდან კლდეზე გაბმულ თოკებზე აკვნები ირწევა. იზრდებიან ქალ-ვაეები. გაიზარდა დალესტნის მოსახლეობა, ულვაშებიც გაეზარდა დალესტანს და ახლა შეიძლება იგი გადაიგრიხოს.

ჰოდა, მილიონ ასი ათასი გახდნენ დალესტნელები. ქვეყანას მოედო

დალესტნის დიდება, რამაც გაუმადლარი გული შურით აუვსო გაუმადლარ  
დამპყრობლებს, ხარბი ხელებით წაეპოტინენ დალესტანს.

„თავი დაგვანებეთ, მშობლებთან, ცოლ-შვილთან გვაცალეთ ყოფნა,  
ისედაც ცოტანი ვართ“, — ამბობდნენ დალესტნელები.

მტრები კი პასუხობდნენ: „თუ ცოტანი ხართ, შუა-შუაზე გაგჩეხავთ  
და ბევრი გახდებით“.

დაიწყო ომები.

ცეცხლი წაეკიდა, აგიზგიზდა დალესტანი. მთის ფერდობებზე, ხეო-  
ბებსა და კლდეებში დალესტნის ასი ათასი საუკეთესო ვაჟკაცი დაეცა.

მაგრამ გადარჩა მილიონი. ქალნი კი კვლავინდებურად არწევდნენ  
აკვნებს, კვლავინდებურად ისმოდა იავნანა. ისევ გაეზარდა დალესტანს  
ასი ათასი ვაჟიშვილი, დაარქვეს მათ ომში დაცემულ გმირთა სახელები.  
სწორედ მაშინ შემოესიენ დალესტანს არაბები.

იყო სასტიკი ბრძოლა და ჩახაჩუხი. მოკვეთილი თავები ლოდებივით  
მიგორავდა ხეობებში. დაიღუპა დალესტნის ასი ათასი საუკეთესო შვი-  
ლი; ასი ათასი მეომარი, ასი ათასი მხენელი, ასი ათასი საქმრო, ასი ათასი  
მამა.

მაგრამ გადარჩა მილიონი, ისევ დაირწა აკვნები, ისევ გაისმა იავნანა.

— სად იყავიო, დინგირ-დანგარჩო?

— ტყეში ვიყავი, დინგირ-დანგარჩო.

ისევ გაეზარდა დალესტანს ასი ათასი ვაჟკაცი. ახლა სისხლისმსმელი  
ნადირ-შაჰი დაიდრა ირანიდან დალესტნისაკენ. მას მთელი ქვეყნის  
დაპყრობა ეწადა, დალესტანს კი ერთი დარტყმით უპირებდა განადგუ-  
რებას. „ერთს შევუბერავ და მტვერივით გავაქრობ“. კარვები დასცა.  
„ნუთუ ეს თავები აპირებენ ჩემს კატებთან ომს?“, — ასე ამბობდა  
შაჰინ-შაჰი ბრძოლის დაწყების წინ. ბრძოლის შემდეგ კი თქვა: „მთელ  
ჩემს ჯარს გავცვლიდი მაგათ მართო ერთ გმირზე — მურთუზალიზე“.   
ბრტყელ-ბრტყელად ლაპარაკობდა ნადირ-შაჰი, მაგრამ ხარის ღონე  
შემუილით კი არ ფასდებდა, უღლის გაწევა უნდა ნახო. გააცამტვერეს შაჰი  
მთიელებმა, თითქოს ქარმა წამოუქროლაო ნაცარს, ისე გაფანტეს მისი  
ჯარი. უხვად მორწყეს თავისი თუ მომხდურის სისხლით უნაყოფო, დახ-  
რუკული ჩოხის ველი. მას მერე ირანში ანდაზად იტყვიან: შაჰი თუ სუ-  
ლელია, დალესტნის დასაპყრობად წავაო.

თეირანში ინდოეთიდან ჩამოტანილი ნადირ-შაჰის ოქროს ტახტი ვნა-  
ხე. სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოტანილი მისი ნადავლიც ვნახე და მისი  
მოღუნული ხმალიც.

— ამ პატარა რკინის ნაჭერს მსოფლიოს ნახევარი ჰყავდა დამონე-  
ბული, შიშის ზარს სცემდა ქვეყანას, — მითხრეს ჩემმა ირანელმა მე-  
გობრებმა.

— პატარა დაღესტანს კი ვერ მისწვდა.

მეშხეთში ნადირ-შაჰის მუზეუმის კედლები ირანის სახელგანთქმული პოეტების ლექსებითაა აჭრელებული, ცამდე რომ აპყავთ შაჰი, სამასწიწელი გავიდა და ახლაც მღერიან დაღესტნელები ამ შაჰზე:

ჰე, გაიქცეით და თავს უშველეთ,  
ამბის წამლებად უნდა გავიშვათ.  
მთიელებს ზურგი როგორ უჩვენეთ,  
წადით, უამბეთ იმ თქვენს ნადირშაჰს.

ირანში ჰგონიათ, რომ ნადირ-შაჰმა დაქსაქსული ხალხები შეაერთა და ირანის ძლევამოსილი სახელმწიფო შექმნა. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ მე ერთს დავამატებდი. ნადირ-შაჰმა დაღესტნის დაქსაქსული ხალხიც და ჩვენი გულებიც ერთად შეკრა. ისინი დამპყრობელი შაჰისადმი საერთო სიძულვილმა შეაერთა.

შაჰთან ბრძოლაში დაღესტანმა ასი ათასი საუკეთესო შვილი დაკარგა. ბრძოლის ველზე დაეცნენ ჩობნები, მონადირეები, ქვისმჭრელები, მკედღავეები, მიწის მუშები, პოეტები... მაგრამ გადარჩა მილიონი. ირწეოდა აკვნები, ისმოდა სიმღერები, ჯიგიტები იტაცებდნენ სატრფოებს, ერთი ნაბდის ქვეშ თბებოდნენ ჩახუტებულნი, აგრძელებდნენ დაღესტნელთა შთამომავლობას. გაჩნდა ასი ათასი ვაჟი და ქალი, ასი ათასი ნამგალი, ხანჯალი, ფანდური და დაირა.

და აი, კიდევ დაიწყო ომი. ხეობებსა და ქვალორლიან გზებზე იქუხა ზარბაზნებმა. მთის ფერდობებზე შეფენილ ტყეებში ნაჯახები აკაკუნდა, აელვარდა ხიშტები, აზუზუნდა ტყვიები.

ჩრდილოეთის ყრუ სტეპებით  
წამოვიდა ჯარი,  
ღროშებით და ჩინ-მედლებით,  
იარაღში მჯდარი.  
მთებს მოედო ფაფახები,  
როგორც ვაციწვერა,  
სერები და სანახები  
კვამლით დაისერა.  
მუქარით და გაბრაზებით  
ჩამომგდები ძრწოლის,  
გრიანობდნენ ზარბაზნები,  
ბრაზუნობდა დოლი.  
წინ ქაღარა გენერალი,  
უკან — ულანები,  
კაზაკები, ჰუსარები,  
ყველა გულადები.  
რაც მუქარით აგრიანდა,  
რაც მუქარით ქექდა,  
ღრუბელივით დაივრავნა

კავკასიის ქედთან.  
და ყაზბეგიც ძილგამკრთალი,  
შიშნაჰამი დიღად,  
თვლიდა, თვლიდა ჯარებს,  
მაგრამ რას დათვლიდა.



მართლა ძნელი იყო მათი დათვლა. ჩვენს სიმღერებში ნათქვამია, რომ ერთი ასის წინააღმდეგ იბრძოდა. „მარჯვენას წააცილიდნენ და მარცხენათი იბრძოდნენ, თავს მოკვეთდნენ და მარტო ტანი იბრძოდა“, — ჰყვებოდნენ მოხუცები იმ ბრძოლებზე. დახოცილი ცხენებით ხერგავდნენ გზებსა და ხეობებს, ციკაბო კლდეებიდან ხტებოდნენ და ხიშტებზე ეგებოდნენ. გვეუბნებოდნენ, გეყოფათ სისხლის ღვრა, წინააღმდეგობის გაწევას აზრი არა აქვსო. „სად დაგვემალებით, ფრთები ხომ არა გაქვთ, ცაში რომ აფრინდეთ, ან ისეთი ბრჭყალები, ქვესკნელში რომ ჩაძვრეთ“.

მაგრამ შამილი პასუხობდა:

— ჩვენი ფრთები ჩვენი ხმლებია, ჩვენი ბრჭყალები — ჩვენი ხანჯლები და ისრები. ოცი წელი იბრძოდნენ მთიელები შამილის მეთაურობით. იმ წლებში მარტო გარეგნული იერი კი არ იცვალა დაღესტანმა, მდინარეებსა და ადგილებსაც სხვა სახელები დაერქვათ. ავარყოიუს ყარა-ყოიუს დაერქვა — შავი მდინარე. გაჩნდა დაჭრილი კლდეები, სიკვდილის ხეობა, ქება შეესხა მდინარე ვალერიკს, სამუდამოდ შემორჩა ხალხის მეხსიერებას: შამილის ბილიკი, შამილის გზა და შამილის ცეკვა.

ომის მწუხარე გვირგვინად იქცა გუნბის მთა. მის მწვერვალზე უკანასკნელი ლოცვა აღავლინა იმამმა. ლოცვის დროს ზე აღმართულ ხელში ტყვია მოხვდა. არც კი შერხეულა, ისე განაგრძო შამილმა ნამაზი. სისხლმა დაუსველა იმამს მუხლები, სისხლით მოისვარა ქვა, რომელზეც იგი იდგა. დაჭრილმა იმამმა ლოცვა დაასრულა და წამოდგა.

— დაჭრილი ხარ, იმამო, — უთხრეს მხლებლებმა.

— ჭრილობას რა უშავს, შეხორცდება, — შამილმა ბალახით მოიწმინდა სისხლი. — თქვენ ისა თქვით, დაღესტანი რომ იცლებს სისხლისაგან. აი, იმ ჭრილობის მოშუშებაა ძნელი.

ამ უძძიმეს ჟამს შამილმა თავისი მამაცი მებრძოლები მოიხმო სამველად, დიდი ხანია რომ განისვენებდნენ დაღესტნის მიწაში. ისინიც მოიხმოდნენ, ვინც ახულგოში დაეცნენ, ისინიც, ხუნძახთან რომ გასწირეს თავი, ისინიც, აულ სალტასთან რომ იწვნენ ქვიან მიწაში, გერგებილსა და დარგოსთან დახოცილნიც.

იმამმა თავისი თანააულებელი და წინამორბედი პირველი იმამი ყაზიმ-მამადი გაიხსენა, კოჭლი ჰაჯი-მურატი, ალიბეკილავი, ახბერდილოვი და კიდევ ბევრი მამაცი, ვინ უთავოდ, ვინ ხელებმოჭრილი და ვინ გულგან-

გძირული წევს ახლა დაღესტნის მიწაში. ომი ეს სიკვდილია, სიკვდილი დაღესტნის ასი ათასი საუკეთესო შვილისა. და როცა რუსეთის უკიდვ-განო ველებზე მიჰყავდათ შამილი, მაინც გაიძახოდა: „პატარა დაღესტანი, ცოტაა ჩვენი ხალხი. ერთი ათასი ხმალი მაინც რომ მქონოდა კიდევ...“

ზემო გუნებში ერთი ქვაა შემორჩენილი წარწერით: „ამ ქვასა ზედა დაბრძანებულმა თავადმა ბარიატინსკიმ მიიღო ტყვე შამილი“.

— ხომ ტყუილად იბრძოდი, ტყუილად ომობდი, — უთხრა ბარიატინსკიმ თავის ტყვეს.

— არა, — უპასუხა შამილმა, — ეს ომი სამუდამოდ დაამახსოვრდება დაღესტნის ხალხს.

ამ ომმა ბევრი მოსისხლე დაამშობილა, ბევრი ერთმანეთს გადაკიდებული აული შეაკავშირა, ბევრი ერთმანეთთან მტრულად განწყობილი ხალხი გააერთიანა და ერთიან დაღესტნად აქცია. სამშობლოს გრძნობა, ერთიანი დაღესტნის გრძნობა მოვიპოვე ამ ბრძოლებში. ვანა ეს ცოტაა?

ერთხელ მამას ვკითხე:

— რატომ გვესხმოდნენ თავს არაბები, თემური თუ ნადირ-შაჰი. რატომ ღვრიდნენ ჩვენს სისხლს, რატომ თესავდნენ ყველგან ღვარძლსა და სიძულვილს? რად უნდოდათ ეს დაღესტანი, მგლის ლეკვივით უჩვევი ფერებასა და ალერსს?

— ერთ ძალიან მდიდარ კაცზე მოგიყვები არაკს. ჰო, ის მართლა ძალიან მდიდარი იყო. ერთხელ გორაზე ავიდა, გადაიხედა და დაინახა, რომ მთელ დაბლობს მთის ძირიდან ზღვის ნაპირამდე მისი ფარა მოჰფენოდა. არც მის ნახირს უჩანდა ბოლო, ვერც რემას გააწვდენდი თვალს. თიკანთა პეტელისაგან ყურთასმენა აღარ იყო. გაიხარა მდიდრის გულმა, რომ მისი იყო მთელი ქვეყნის მიწაცა და მთელი ქვეყნის პირუტყვიც. მაგრამ მდიდრის თვალი უცბად მიწის ერთ პატარა ნაგლეჯს წვდა. სადაც არც მისი ფარა ჩანდა და არც მისი ჯოგი. ისე ეტყინა მდიდარს გული, თი-თქოს ხანჯალი გაუყარესო, და დასჰქეა:

„ჰეი, ეგ რა მიწის ნაგლეჯია, გაქუცულ ტყავს რომ ჰგავს? ნუთუ იმდენი ცხვარი არა მყავს, რომ ეგ ადგილიც დაიფაროს?! გარეკეთ იქითკენ ფარები და ჯოგები“.

ყველაზე უფრო შამილზე უყვარდა მამას თხრობა, თუნდაც იმაზე, როგორ აჯობა შამილმა ყაჩაღს.

ერთხელ იმამი თავის მიურიდებთან ერთად რომელიღაც აულში მივიდა. აულის უხუცესები მტრულად შეხვდნენ შამილს:

— მოგვებურდა სულ ომი, მშვიდი ცხოვრება გვინდა! შენ რომ არა, დიდი ხნის შერიგებული ვიქნებოდით მეფესთან.

— აი, თქვე ყოფილო მთიელებო, დაღესტნის პური გინდათ ჰა-



მთა და სამსახურით კი მის მტერს ემსახუროთ? განა მე დაგირღვიეთ მშვიდობიანი ცხოვრება? პირიქით, სწორედ მაგას ვიცავ.

— ჩვენც ხომ დაღესტნელები ვართ, იმამო, მაგრამ ვიცით, ამ ომს არაფერი სიკეთე არ მოაქვს დაღესტნისათვის და არც მოუტანს. მარტო სიჯიუტე კი რა ხეირს დაგვაყრის.

— დაღესტნელები ვართო? ჰო, დაღესტანში ცხოვრობთ, მაგრამ გული კურდღლისა გაქვთ. კერძებთან მიმჯდარხართ და ნაცარს ქექავთ, როცა დაღესტანი სისხლისაგან იცლება. გააღეთ ალაყაფი, სანამ ხმლები არ გვიშვივლია.

დიღხანს ელაპარაკებოდნენ აულის უხუცესები იმამს, ბოლოს გადაწყვიტეს შემოეშვათ და მიეღოთ, როგორც საპატივცემულო სტუმარი. შამილი დაპირდა, არავის მოველავე ამ აულიდან და არც ძველ ცოდვებს გაგიხსენებთო. შამილი თავისი ერთგული ყონაღის სახლში დაბინავდა და რამდენიმე დღე მოლაპარაკება ჰქონდა აულის უხუცესებთან.

იმ დროს შიგ აულში და მის ახლომახლო ერთი საშინელი ყაჩაღი დათარეშობდა, ორ მეტრზე მაღალი გოლიათი, იგი განურჩევლად ძარცვავდა ყველას, ართმევდა მარცვლეულს, პირუტყვს, ცხენებს, კლავდა და აშინებდა აულის მცხოვრებლებს. მისთვის არავითარი წმინდა არ არსებობდა. ალაპი, მეფე და იმამი ლიტონი სიტყვები იყო.

აულის უხუცესებმა თხოვნით მიმართეს შამილს:

— გეიხსენი ამ ყაჩაღისაგან, იმამო!

— რა მოვეუხერხო?

— მოკალი, იმამო, თვითონ ხომ ხოცავს ხალხს.

— მე თქვენს ჯამაათს სიტყვა მივეცი, რომ ამ აულში კაციშვილს არ მოვეკლავ. სიტყვა სიტყვაა.

— მოახერხე რამე, იმამო, გადაგვარჩინე ამ ბოროტი სულისაგან.

რამდენიმე დღის შემდეგ იმამის მიუხრდებმა ალყა შემოარტყეს ყაჩაღს, დაიჭირეს და გათოკეს, მერე აულში მოიყვანეს და ორმომში ჩაადგეს, ღირსეულად რომ დაესაჯათ. შეიკრიბა საგანგებო სასამართლო — საშსჯავრო. დაადგინეს, თვალეში დაეთხარათ მძარცველისათვის. თვალეზდათხრილი ისევ ორმომში გამოამწყვდიეს.

გავიდა რამდენიმე დღე. ერთხელ, გამთენიისას, როცა მაგრად ეძინა შამილს, ოთახში ბრახუნი გაისმა. იმამი წამოხტა, მიიხედ-მოიხედა და რას ხედავს: გამხეცებულე ნაჯახიანი დევი უახლოვდება კბილების კრაკუნითა და კრულვა-გინებით. მიხვდა იმამი, გაქცევა მოეხერხებინა ყაჩაღს და ახლა შური უნდოდა ეძია. გოლიათი ღმუროდა, ცალ ხელში ხანჯალი ეჭირა, მეორეში ნაჯახი. იმამი თავის ხანჯალს სწვდა და მიუხრდებდა უხმო, მაგრამ ყაჩაღს მოესწრო მათი გაყლექა. აულს ეძინა. არავის ესმოდა იმამის ძახილი.

შამილი უკან იხევდა, ხელსაყრელ დროს არჩევდა, მტერს რომ სცე-

შოდა, ის კი ბრმად ეხეთქებოდა აქეთ-იქით, ნაჯახს იქნევდა. ყველაფერი თავდაყირა დააყენა ოთახში.

— სადა ხარ, მამაცო კაცო, ვის ამბებსაც წიგნები ჰყვებიან? როდა ბუმბერაზი.

— საღ იმალები, მოდი, გამკოქე, დამიჭირე, თვალები დამთხარე.

— აქა ვარ, — დაიძახა იმამმა და მაშინვე განზე გახტა, გახტა და ნაჯახიც სწორედ იმ ადგილას ჩაერჭო კედელს, სადაც წამის წინ შამილი იდგა. იხელთა დრო იმამმა და ეცა მტერს. მეტოქე უფრო ღონიერი და მძვინვარე იყო. დაუწყო შამილს აქეთ-იქით ხეთქება და ნჯღრევა, რამდენიმე კრილობაც მიაყენა, მაგრამ სისწრაფე და მოქნილობა შეელოდა შამილს. ორ საათს გაგრძელდა ბრძოლა, ბოლოს ხელი სტაცა ყაჩაღმა იმამს, უნდოდა იატაკზე დაეხეთქებინა და მერე თავი მოეჭრა, მაგრამ შალა ატაცებულმა შამილმა იმარჯვა და ხანჯალი რამდენჯერმე ჩასცხო ყაჩაღს თავში. იგი მოდუნდა, დაბარბაცდა და აგურის კოშკივით დაშვავდა იატაკზე, ხანჯალი ხელიდან გაუვარდა. დილით ორივენი სისხლის ტბაში იპოვეს. შამილს ცხრა კრილობა აღმოაჩნდა და მთელ თვეს აქიმობდნენ აულში.

შამილის ბრძოლა ძლევამოსილ გარეშე მტერთან ძლიერ მაგონებს ამ ჭიდილს. მტერი ზოგჯერ ბრმასავით მოქმედებდა უცნობ მთებში. შამილი მოხერხებულად იცდენდა მის შემოტევას და მარჯველ ესხმოდა თავს ხან ზურგიდან, ხან გვერდიდან.

ყველა მთიელს ალბათ თავისებურად აქვს წარმოდგენილი შამილის ზატება. მეც ჩემებურად ვხედავ მას.

იგი ისევ ახალგაზრდაა. ახულგოს პიტალო კლდეზე დაჩოქილა, ცისკენ აღუბყრია ყიოსუს ტალღებში განბანილი ხელები, ჩოხის სახელოები აუკაპიწებია და რაღაცას ჩურჩულებს. ზოგიერთები ამბობენ, როცა შამილი „ალაჰს“ ამბობდა, ხალხს „თავისუფლება“ ესმოდა და როცა „თავისუფლებას“ ამბობდა — „ალაჰიო“.

იმამი უკვე მოხუცია, კასპიის ზღვის სანაპიროზე ეთხოვება იგი დალესტანს. შამილი თეთრი მეფის ტყვეა; ქვაზე შედგა და თვალი მოავლო კასპიის აქაფებულ ტალღებს. „ალაჰისა“ და „თავისუფლების“ ნაცვლად „მშვიდობითო“, — ჩურჩულებს მისი ბაგე. ამბობენ, შამილის ღაწვებზე სისველე შევემჩნითო მაშინ, მაგრამ შამილი ხომ არასოდეს ტიროდა, იქნებ ეს ზღვის შეფეხები იყო?

ყველაზე უფრო ხშირად კი ყაჩაღთან მორკინალი წარმომიდგება ხოლმე შამილი, ქანცაწყვეტილი და გასისხლიანებული.

ჰაჯი-მურატთან ხან კარგად იყო შამილი, ხან ცუდად. რამდენი ლევენდა არსებობს მათზე.

შამილმა ჰაჯი-მურატი ნაიბად გამოაცხადა და ხაიდაქსა და ტაბასარანში გააგზავნა, რათა თავის მხარეზე გადმოებირებინა ისინი და ბრძო-

ლაში ჩაება. შამილი იმედოვნებდა, რომ ჰაჯი-მურატი ტკბილი სიტყვით მოახერხებდა ამას, მაგრამ ახალმა ნაიბმა ხაიდაკსა და ტაბასარანში მათრაზისა და ცეცხლის წესი შემოიღო. თუ ვინმე კანონს ახსენებდა, ჰაჯი-მურატი მუშტს უჩვენებდა და ამბობდა: „აი ჩემი კანონი, მე ხუნძახელი ჰაჯი-მურატი ვარ. მე ვარ თქვენი თავი და თავი კანონი“.

ჰაჯი-მურატის სიმკაცრემ შამილის ყურამდეც მიაღწია. შიკრიკი აფრინა და ნაიბი იხმო. დიდი ალაფით დაბრუნდა ჰაჯი-მურატი. მისი რაზმი ნახირს, ცხვრის ფარასა და ცხენების რემას მოერეკებოდა. თვითონ ჰაჯი-მურატს კი უნაგირზე მოტაცებული მშეთუნახავი გადაეწვინა. ლხინისა და დროს ტარებისათვის იყო მზად.

— ასალამ ალეიქუმ, იმამო! — ჩამოხტა ცხენიდან და მიესალმა ჰაჯი-მურატი.

— ვალეიქუმ სალამ, ნაიბო, მშვიდობა შენს დაბრუნებას. აბა, კარგი რა მოიტანე?

— ხელცარიელი არ მოვსულვარ, ვერცხლიც ბევრი მოვიტანე, ცხვარიც ბევრი მოვრეკე და ცხენიც. ხალიჩებიც მოგართვით. კარგ ხალიჩებს ქსოვენ ტაბასარანში.

— მშეთუნახავზე რას მეტყვი?

— მშეთუნახავი მოვიყვანე და მერე როგორი! შენ მოგიყვანე, იმამო!

ცოტა ხანს ერთმანეთს მისჩერებოდნენ თვალბეშში, მერე შამილმა თქვა:

— ერთი მითხარი, ეს მშეთუნახავი გამყვება ბრძოლაში? მე ცხვრები კი არა, ხალხი მინდა, ცხენები კი არა, — მხედრები მჭირდება. შენ მათ პირუტყვი წაართვი და ამით გული დაუკოდე, ზურგი აქცევი ჩვენგან. მათ ჩვენი დაპირილი და დახოცილი მებრძოლები უნდა შეეცვალოს. ახლა კი ვინდა შემიცვლის იმათ? ხაიდაკელები და ტაბასარანელები რომ გვერდით გვეოლოდნენ, განა ის დაგვემართებოდა, რაც სალათასა და გერგებელში მოგვივიდა? ან განა დასაშვებია, რომ დაღესტნელები ერთმანეთს ვაწიოკებდეთ?

— იმათ სხვა ენა არ ესმით, იმამო.

— შენ თვითონ გელაპარაკა იმათ ენაზე, მაშინ მათრაზი და ცეცხლი აღარ დაგვჭირდებოდა. განა ჩემი ნაიბები ყაჩაღები არიან?

— მე ხუნძახელი ჰაჯი-მურატი ვარ, იმამო!

— მე კი გიმრელი შამილი ვარ, ქებედ-მაჰმადი თელეტლეღია, ჰუსეინი კი ჩირკეიდანაა. მერე რა? ავახუნძები, ხინდალიალები, ყუმბიხები, ლეკები, ლაკები და შენგან გამარცხული ხაიდაკელები და ტაბასარანელები ყველანი დაღესტნის შვილები ვართ, ჩვენ ერთმანეთის უნდა გვესმოდეს. ჩვენ ხომ ერთი ხელის თითები ვართ. მუშტი რომ შეიკრას, ყველა თითი მაგრად უნდა მოიკეცოს. სიმამაცისათვის მადლობა მომიხსენებია,

ჰაჯი-მურატო, ყოველგვარი ჯილდოს ღირსი ხარ, ჩალმითაცა გაქვს თავი შექმული, მაგრამ ახლა კი ვერ მოგიწონებ საქციელს.

— როცა სხვები, ჩემსავით ჩალმიანები ძარცვავდნენ ხალხს, არაფერი ვითქვამს, იმამო, შე კი ერთი უბედურება დამატეხე თავს.

— ვიცი, ვისაც გულისხმობ: ახბერდილავს, ჩემს ვაჟს — ყაზი-მაჰმადსა და მეც. მაგრამ ახბერდილაემა მოზღოვში ჩვენი მტერი გაძარცვა; შე იმ ხანებს წავართვი ქონება, ვინც განგვიდგა და მტრად მოგვეკიდა. არა, ჰაჯი-მურატო, ნაიბისათვის მართო მამაცი გული და ბასრი ხანჯალი როდია საკმარისი, ჭკუაც უნდა უჭრიდეს.

ასეთი დავა ხშირად ჰქონიათ ჰაჯი-მურატსა და შამილს. ეს დავა თანდათან მწვეავდებოდა, თანდათან იძაბებოდა, ბოლოს მტრობაში გადაიზარდა და დააშორა კიდევ ისინი ერთმანეთს. ჰაჯი-მურატმა მიატოვა შამილი, სხვა მხარეს წავიდა და თავიც წააგო. მისი ტანი ნუხაშია დაკრძალული. მრავლისმეტყველი ამბავია: თავი მტერს დარჩა, გული კი — დაღესტანს. საოცარი ბედია!

### ჰაჯი-მურატის თავი

ფიქრში წარსულის დრო დგება ავი,  
უფრო ვუგდებ ბრძოლის ყიყინს და ხმაურს,  
ნაბღიანებმა მოჭრილი თავი  
ვადაატარეს აულდაულ.

კლდეზე აღესილ ხმლებს აელეებენ  
თეთრი იმამის მიურიდები,  
შიდის ლაშქარი, შიდის ხევებით  
ბედთან, ხიფათთან მოჭრილები.

ქბილებდაკრეკილ თავს ვეკითხები,  
ბედგადაწურვილს, უმოლოდინოს:  
„მოსილი იყავ ჩალმით, დიდებით,  
რა დაგმართნია, თავო ცოდვილო?“

წაილულულა: „ჩემზე ახია!“  
და მოუსველდა თვალთა უპენიც —  
სიხარბეა და სიამაყეა  
ჩემი წამხდენი და დამლუპველი.

შევცდი... საეჭვო გზა ავირჩიე,  
მხრებს შევატოვე ცოდვა მარადი,  
რას დავეძებდი ჩინს და ჯინჯილებს...  
არ შეპატია მთების დაღატი...“

ო, მთის შეილებო, მკვდრებიც, ცოცხლებიც,  
ჩვენი გმირობით, თუნდაც ბრალდებით,  
ამ სათაყვანო მთებს ვერ მოვწყდებით  
და მწვერვალებზე კვლავ ავშაოლდებით.



წაიყვანეს იმამი დალესტნიდან. დალესტანს სათოფურეებიანი ციხე-  
ები მოუშენეს გარშემო. ზარბაზნები და თოფები იჭვრიტებიან იქიდან,  
არ ისვრიან, მაგრამ თითქოს გაფრთხილებენ: „ჭკუით იყავით, მთიელე-  
ბო, წესიერად მოიქეცით“.

როდის შეგიზოცდება ჭრილობები, დალესტანო? ნუთუ ძვალი ხარ  
მხოლოდ, ვისთვისაც დღენი დაგ ომობენ, ან რა კლდეები გაქვს ასეთი!  
რამდენჯერ არ მოირწყა სისხლით და შაინც არ ჰყვავის ზედ ყვავილები.  
ან იქნებ შენი სისხლი ღვინოა, ასე რომ ეწაფებიან დამპყრობლები?

მთებში ჩამქდარი დალესტანი ჩანდა დილეგად,  
მწუხარე იყო კაციც, ჩიტიც, ბუჩქიც, ცხოველიც,  
მხოლოდ სიკვდილში გადიოდა საპყრობილედან  
ყველა ბილიცი და გზა ყოველი.

„ველურების მიწა“, — თქვა ერთმა გუბერნატორმა, დალესტნიდან  
რომ მიდიოდა.

„ისინი მიწაზე კი არა, უფსკრულში ცხოვრობენ“, — წერდა მეორე.

„ამ ველურებისთვის ის მიწაც მეტია, რომელიც აქვთ“, — ამტკიცებ-  
და მესამე.

შარადიული თოვლი ელავს დალესტნის მთებზე,  
შარადიული ლამის სიხნულე. —

თქვა ოდესღაც სულეიმან სტალსკიმ, მშობლიურ მიწას რომ უყურებდა.

„მას შემდეგ, რაც დალესტანი დილეგში გამოამწყვდიეს, წლის ყველა  
თვე ოცდათერთმეტ დღეს ითვლის“, — წერდა ოდესღაც მამაჩემი.

„მთებო, ჩვენ თქვენთან ერთად ვზივართ საპყრობილეში“, — თქვა  
ოდესღაც აბუთალიბმა.

„ასეთი მწუხარება ჯიხვსაც კი აღარდიანებს მთაში“, — მღეროდა  
ოდესღაც ანზილმარინი.

„ამ ქვეყანაზე ფიქრიც არა ღირს. ვინც მსუყე ხინკალს მიირთმევს,  
სახელიც იმას აქვს“, — ხელი ჩაიჭნია მაჰმუდმა.

„დიდები პატარებს თავში უბრაახუნებენ, პატარა მხოლოდ ზღაპარ-  
შია ბედნიერი“, — თქვა ბატირაიმ.

„ბედნიერებას ვერსად იპოვი“, — დაასკვნა ყუბაჩელმა ახმედ მუნ-  
გომ.

მაგრამ ირჩი კაზაკი წერდა: „დალესტნელი ვაჟკაცი ყველგან დალეს-  
ტნელ ვაჟკაცად უნდა დარჩეს“.

იგივე ბატონაი სიკვდილის წინ წერდა: „ღმერთმა ამოროს მამაცებს მხდალი შვილები“.

იმევე აბუთალიბმა თქვა: „ამქვეყნად სადაცაა მეხი დაიქუხებს. ნეტამც რაც შეიძლება ხმამალლა დაიქუხებდეს“.

გავიდა დრო და იქუხა მეხმა, იქუხა შორს. მისმა გრგვენვამ ერთბაშად როდი მოაღწია დაღესტნამდე, მაგრამ უკვე ყველაფერი ორად იყო გაყოფილი წითელი ხაზით: ისტორია, ბედი და სიცოცხლე თითოეული ადამიანისა, მთელი კაცობრიობისა, რისხვა და სიყვარული, ფიქრი და ოცნებები — ყველაფერი ორად გაიყო.

— დაიქუხა!..

— სად დაიქუხა?

— მთელ რუსეთში.

— რამ დაიქუხა?

— რევოლუციამ.

— ვისმა რევოლუციამ?

— მშრომელი ხალხის შვილების რევოლუციამ.

— მისი მიზანი?

— ვინც არარობა იყო, ყოვლისშემძლე გახდება.

— მისი ფერი?

— წითელი.

— მისი სიმღერები?

— „ეს არის ბრძოლა უკანასკნელი და გადამწყვეტი“.

— მისი ლაშქარი?

— ყველა მშვიერი და ჩაგრული, შრომის დიადი ლაშქარი.

— მისი ენა და ეროვნება?

— ყველა ენა და ყველა ეროვნება.

— მისი ბელადი?

— ლენინი.

— გვითარგმნეთ, რას ეუბნება რევოლუცია დაღესტნის მთიელებს? გმირებმა და მგოსნებმა დაღესტნის ყველა კილოკავზე გადათარგმნეს რევოლუციის ნათქვამი:

„საუკუნეების მანძილზე ჩაგრულ დაღესტნის ხალხო! ჩვენს სახლებში, ჩვენს მინდვრებში მთის დაგრეხილი ბილიკებით მოვიდა დიადი რევოლუცია. უსმინეთ მას, ჩადექით მის სამსახურში, იგი ისეთი სიტყვებით მოგმართავთ, ჯერ რომ არ გსმენიათ.“

— ძმებო, ახალი რუსეთი გიწვდით ხელს! მაგრად ჩამოართვით ხელი, ამაშია თქვენი ძალა და რწმენა.

— ხეობებისა და მთების შვილებო! გამოაღეთ ფანჯრები დიდი სამყაროს მხარეს. ახალი დღე კი არა, ახალი ცხოვრება იწყება. შეეგებეთ ამ ახალ ცხოვრებას.

— ახლა ვალდებული აღარ ხართ ქედი მოუხაროთ ძლიერთა. ამიერიდან თქვენს ცხენებზე უცხო ველარ ამხედრდება. ახლა თქვენი ცხენები — თქვენი ცხენებია, თქვენი ხანჯლები — თქვენი ხანჯლებია, თქვენი მინდვრები — თქვენი მინდვრებია, თქვენი თავისუფლება — თქვენი თავისუფლებაა“.

ასე თარგმნეს დალესტნის ხალხების ენაზე ავრორის ენა მახჩმა, ულლუმბი, ოსკარმა, ჯელალმა, ყაზი მაჰმადმა, მაჰმად-მირზამ, გარუნმა და რევოლუციის სხვა მიუზრიდებმა.

და შეეგება დალესტანი თავის ბედს. მთიელებმა იწამეს რევოლუციის ფერი და სიმღერები. რევოლუციის მტრები კი შეშინდნენ. მათთვის დაიქუხა ცამ, მიწა შეერყათ ფეხქვეშ, ზღვა აღუღდა მათ წინ, კლდეები ჩამოექცათ უკან, შეზანზარდა და დაინგრა ძველი სამყარო.

— გამოგვიწოდეთ ხელი, — იხვეწებოდნენ რევოლუციის მტრები, დალესტნის მეგობრებად რომ მოჰქონდათ თავი.

— თქვენ სისხლიანი ხელები გაქვთ.

— მოიცა, საით მიდიხარ, უკან მოიხედე, დალესტანო!

— უკან რას მოვეუხელო, რა დამრჩენია? სილატაკე, სიცრუე, სიბნელე და სისხლი.

— სად მიდიხარ, პატარა დალესტანო?

— დიადის საქებნელად.

— პატარა ნავს დაემსგავსებო ოკეანეში, დაიკარგები. უკვალოდ გაქრება შენი რჯული, შენი ადათები, შენი ფაფახი, შენი თავი და ტვინი, — იმუქრებოდნენ ისინი.

— ვიწრო ბილიკზე სიარულს მიხვეული ვარ და ნუთუ ფართო შარაზე მოვიტეხ ფეხს? რა ხანია ამ გზას ვეძებდი. ფიქრი ნუ გაქვთ, თმის ერთი ლერიც კი არ ჩამომვივარდება თავიდან.

— დალესტანი რჯულის უარმყოფელია, იღუპება, გადავარჩინოთ დალესტანი — ყრანტალებდნენ ყორნები, ყმუოდნენ მგლები. ყვიროდნენ, იმუქრებოდნენ, იხვეწებოდნენ, ხოცავდნენ ხალხს, იტყუებოდნენ. ვინ არ ესროლა ქვა ანთებულ ფარანს! ვინ არ შეეცადა ცეცხლში დაეწვა დიადი ხიდი. დროშას დროშა ცვლიდა, ყაჩაღს ყაჩაღი. როგორც ქურქს ზამთრის სუსხიან ღამეს, ისე ექაჩებოდნენ დალესტანს აქეთ-იქით, ანაკუწებდნენ. ის კი აწყვეტილი ჯიხვივით აწყდებოდა აქეთ-იქით. მშვიერი ნადირივით დაედევნენ უკან, ყველას თავისთვის უნდოდა, რომელი მონადირე აღარ ესროდა!

„მე იმამი დალესტნისა, ნაემუდინ გოცინსკი, ხალხმა ამირჩია ანდის ტბასთან. ჩემი ხმალი წითელი ნაჭრებით მორთულ ფაფახებს ეძებს“.

„მმანო მუსლიმანო! ეს მე აღემართე ისლამის მწვეანე დროშა, გამომყევით!“ — ომახიანად გაიძახოდა უზუნ პაჯი.

„სანამ უკანასკნელი ბოლშევიკის თავს არ წამოვაგებ სარზე და



დალესტინის ყველაზე მაღალ მთაზე არ გამოგვიძიავ, მანამ არ ელირსება ჩემს იარაღს ლურსმანზე ჩამოკიდება“, — ბობოქრობდა თავადი ნუნსტეკ ტარკოვსკი.

სწორედ იმ წელიწადს აიშენა ხუნძახში სასახლე მეფის არმიის პოლკოვნიკმა კაიტმაზ ალიხანოვმა; ერთი მთიელი წაიყვანა, სასახლე აჩვენა და კმაყოფილმა ჰკითხა:

— აბა, რას იტყვი, კარგი სასახლე მაქვს?

— მომაკვდავი კაცისთვის მეტისმეტად კარგიცაა, — უპასუხა მთიელმა.

— სასიკვდილო რა მჭირს?

— რევოლუცია.

— იმას ხუნძახში არ შემოვუშვებ, — თქვა პოლკოვნიკმა და თეთრონს მოახტა.

„მე სანდბეი ვარ, შამილის მკვიდრი შვილიშვილი. თურქეთის სულთანმა გამოგზავნა, რათა მისი ასკერების დახმარებით გავათავისუფლო დალესტანი“, — ასე განაცხადა კიდევ ერთმა გადამთიელმა, მის უკან კი თურქეთის ყოვლისშემძლე ფაშები და ბეგები იდგნენ.

— ჩვენ დალესტინის მეგობრები ვართ“, — გაჰყვიროდნენ ინტერვენტები და დალესტინის მიწაზე ბრიტანეთის დესანტი გადმოსხეს.

„დალესტანი ბაქოს ჰიშკარია და ამ ჰიშკარს მაგარ კლიტეს დავადებ“, — თავს იქებდა მეფის არმიის პოლკოვნიკი ბიჩერახოვი და პორტპეტროვსკი დაანგრია.

ბევრი დაუბატიყებელი სტუმარი ჰყავდა დალესტანს. ვისი ბინძური ხელი აღარ ფხრეწდა მის პერანგს, ვისმა დროშამ აღარ გაიფრიალა აქ, სადაურმა ქარმა არ გადაიქროლა, სადაური ტალღა არ დაიმსხვრა ქვებზე.

„თუ არ დაგვეძორჩილე, ზღვაში დაგახრჩობთ, დალესტანო!“ — იმუქრებოდნენ გადამთიელები.

იმ დროს მამაჩემი წერდა: „დალესტანი იმ ცხოველს ჰგავს, ყოველი მხრიდან ფრინველები რომ კორტნიან“.

იყო სროლა, ბუბუნებდა ცეცხლი, იღვრებოდა სისხლი, ბოლავდა კლდეები, იწვოდა პური, ოხრდებოდა აულები. ავადმყოფობა ცეცხლავდა ხალხს, ხელიდან ხელში გადადიოდა ციხეები. ოთხ წელიწადს გრძელდებოდა ყოველივე ეს.

„მინდორს ვყიდლით და ცხენს ვყიდულობდით, ძროხას ვყიდლით და ხმალს ვყიდულობდით“, — ამბობდნენ მთიელები მაშინ.

ჭიხინებდნენ უმხედროდ დარჩენილი ცხენები. ყვავები უკორტინდნენ ბრძოლის ველზე დაღუპულთ თავლებს.

მამაჩემი მაშინდელ დალესტანს იმ ქვას აღარებდა, ათასნაირმა მდი-

ნარემ რომ გადაუარა ზათქითა და გრიალით, დედაჩემი კი — აზვირთებულნი ნაკადების საპირისპიროდ მცურავ თევზს.

„რანაირი მეზურნე არ უნახავს ჩვენს ქვეყანას“ — იხსენებს აბუთალიბი (თვითონ პარტიზანული რაზმის მეზურნე იყო).

ახლა კალმით წერენ იმ ამბავს, იმ ისტორიას. მაშინ ხმლებით რომ დაიწერა. ახლა, იმ დღეებს რომ სწავლობენ, სასწოროზე წონიან დიდებასა და გმირობებს. გმირებს რომ აფასებენ, სწავლულები კამათობენ, ის კი არადა, შეიძლება ითქვას, ხელჩართული იბრძვიან კიდევც.

მაგრამ გმირებმა უკვე გადაიხადეს ომი და ჩემთვის, სიმართლე გითხრათ, მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იყო პირველი, ვინ მეორე და ვინ მესამე. მთავარი სხვა რამ იყო. რევოლუციამ ჩოხეს კალთას შეაწმინდა უკანასკნელი მტრის სისხლით დასვრილი ხანჯალი და ქარქაშში ჩააგო. და მთიელმა ამ ხანჯლიდან ნამგალი გამოკვერა, ხიშტი კლდის ქიმში ჩაარქო და გუთნის ტარს ჩაეჭიდა, თავისი მიწის ხენა დაიწყო, ჰამოს ძახილით გაირეკა წინ ხარები, საკუთარი მინდვრის თევით დატვირთა ურემი.

წითელი დროშა აღმართა დაღესტანმა მთის მწვერვალზე და უღვაშები გადაიგრია. ცრუ იმამის გოცინსკის ჩალმისაგან საფრთხობელა გააქეთა, თვით იმამი კი რევოლუციამ დაასამარა.

„თეთრმა მეფემ სიცოცხლე შეუნარჩუნა შამილს, თმის ერთი ღერიც კი არ შერხევია. მე რაღას შერჩით?“ — შესჩივლა გოცინსკიმ სასამართლოს. დაღესტანმა და რევოლუციამ კი ასე უპასუხეს: „შენნაირ კაცს შამილიც მოკვეთდა თავს. მოღალატის ადგილი მიწაშია და არა მიწაზეო, — ამბობდა შამილი“. დიახ, განაჩენი აღსრულდა და არც ერთი მთა არ შერხეულა, არავინ ატირებულა, არავის აღუმართავს მის საფლავზე ქვის სვეტი.

ცენტრის ტყეებში გარბოდა თავისი თეთრონით კაიტმაზ ალიხანოვი, ფეხდაფეხ მისდევდა ორივე ვაჟიშვილი, მაგრამ პარტიზანების ტყვიებს ვერ გაექცნენ. თავჩაქინდრული, კოჭლობით დაბრუნდა ხუნძახის ციხესიმაგრეში კაპიტნის თეთრი ტაიჭი.

— ცუდი გზით გატარეს შენმა პატრონებმა, — უთხრა საცოდავ პირუტყვს მუსლიმ ატაევმა.

დაღესტანიც ამ გზით უნდოდათ წაეყვანათ.

ბიჩერახოვსაც კუდით ქვა ასროლინეს. კასპიის ზღვის ტალღებში დაილუპნენ მისი დაქუცმაცებული რაზმები. „ამინ“, — თქვეს ტალღებმა და თავზე გადაეფოფრენ. „ამინ — დაიქუხეს მთებმა, — დაე, ჯოჯოხეთს შთავარდეს, ვინც მიწაზე ატრიალებდა ჯოჯოხეთს“.

სტამბოლში ბაზარში გავედი. გარშემო ხუნძები მეხვივნენ. ბრბოში ერთი მოხუცი დამანახეს, ხორბლისაგან დაცილილ ტომარას ჰგავდა.

— ეს ყაზინბეია.



- რომელი ყაზინბეი?
- სულთნის მეომრებით რომ მოვიდა დაღესტანში.
- ნუთუ კიდევ ცოცხალია?
- როგორც ხედავთ, სული ისევ უდგას.

ერთმანეთი გაგვაცნეს.

- დაღესტანი... ვიცი ეს ქვეყანა, — თქვა მიხრწნილმა ბერიკაცმა.
- თქვენც გიცნობენ დაღესტანში, — ვუპასუხე მე.
- ჰო, მე ვიყავი იქ.
- კიდევ მოხვალთ?
- არა, — მიპასუხა მან და თავისი დახლისაკენ გასწია.

ნუთუ აღარ ახსოვდა სტამბოლის ბაზრის ამ ვაჭრუქანას, როგორ დახოცა ყასუშგანის მინდორზე სამი უდანაშაულო მიწის მუშა? ნუთუ დაავიწყდა, როგორ გადაეშვა კლდიდან ახალგაზრდა მთიელი ქალი, მის იანიჩრებს რომ არ ჩავარდნოდა ხელში? ნუთუ არ ახსოვს, პატარა ბიჭმა ალუბლის კურკები რომ შეაფურთხა პირზე? ის მაინც ემახსოვრება, ქვედა საცვლის ამბრა რომ გარბოდა და მთიელმა ქალმა მიამახა:

„ეი, ფაფახი დაგავიწყდაო“.

გარბოდნენ დაღესტნიდან მძარცველები, გარბოდნენ ბრიტანეთის დესანტები, გარბოდა ყაზინბეი, გარბოდა შამილის შვილიშვილი საიდბეი.

- სად არის ახლა საიდბეი? — ვიკითხე სტამბოლში.
- საუღის არაბეთში წავიდა.
- რისთვის?
- სავაჭრო საქმეებისათვის, იქ ცოტა მიწა აქვს.

დაღესტანში არ გამოგვივიდათ ვაჭრობა, „ბაზარი დაკეტილია“, — გითხრათ რევოლუციამ, ვაჭრებო. სისხლიანი ცოცხით გახვეტა მან მთელი სიბინძურე მთიელთა მიწიდან. ახლა დაღესტნის „მფარველებისა“ და „მხსნელების“ მიხრწნილი სხეულებილა დაბობღავენ სადღაც უცხო ქვეყნებში.

რამდენიმე წლის წინათ ბეირუთში აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა კონფერენცია შედგა. ამ კონფერენციაზე მეც ვიყავი წარგზავნილი. ჩვენ გამოვდიოდით არა მარტო კონფერენციაზე, არამედ ყველგან, სადაც მიგვიწვევდნენ. ერთ-ერთ ასეთ საღამოზე მე ჩემს დაღესტანზე, მის ხალხზე და ზნე-ჩვეულებაზე ვისაუბრე, წავიკითხე დაღესტნელი პოეტების ლექსები, საკუთარიც. საღამოს დამთავრების შემდეგ კიბეზე ახალგაზრდა ლამაზმა ქალმა შემაჩერა:

— ბატონო გამზათოვ, ცოტა დროს ვერ დამითმობთ? შეიძლება გესაუბროთ?

ჩვენ ბეირუთის ბინდშეპარულ ქუჩებს გავუყვივით.

— მომიყვივით დაღესტანზე ყველაფერი, გთხოვთ, — მეუბნებოდა ჩემი მოულოდნელი თანამგზავრი.



— კი მაგრამ, მე ხომ მთელი საათი დაღესტანზე ვისაუბრე.

— კიდეც, კიდეც მიაშბეთ რამე.

— რა უფრო გაინტერესებთ?

— ყველაფერი. ყველაფერი, რაც დაღესტანს ეხება.

აღალბედზე მივსეირნობდით და ვუყვებოდით. ერთი ამბავი არ მქონდა დამთავრებული, ჩემი თანამგზავრი მთხოვდა:

— კიდეც, კიდეც მიაშბეთ.

მე ვყვებოდი და ვყვებოდი.

— წამიკითხეთ თქვენი ლექსები ხუნძურ ენაზე.

— თქვენ რომ ვერაფერს გაიგებთ?

— არა უშავს.

და მეც ვკითხულობდი ლექსებს. რას არ გააყვებთ კაცი, როცა ახალგაზრდა ლამაზი ქალი გთხოვს. თანაც მის ხმაში ისეთი გულწრფელი ინტერესი იგრძნობოდა დაღესტანისადმი, უარის თქმა შეუძლებელი იყო.

— ხუნძურ სიმღერას ვერ მიმღერებთ?

— ო, არა, სიმღერა არ მეხერხება.

„ცოტაც და ცეკვას მომთხოვს“, — ვფიქრობდი გულში.

— გინდათ მე გიმღერებთ?

— მაგ პატივს თუ დამდებთ...

ამ დროს უკვე მთვარის ქათქათა შუქით განათებულ მომწვანო ზღვასთან გავედით.

და აი, შორეულ ბეირუთში უცნობმა მზეთუნახავმა გაუგებარ ენაზე მიმღერა დაღესტნური სიმღერა „დალალაი“. მეორე სიმღერაც რომ იმღერა, მივხვდი, ყუმბიხურ ენაზე მღეროდა.

— საიდან იცით ყუმბიხური ენა? — გავიოცე მე.

— სამწუხაროდ, არ ვიცი.

— კი მაგრამ, რომ მღერით?..

— ეს სიმღერა პაპამ მასწავლა.

— როგორ, თქვენი პაპა დაღესტანში იყო?

— ჰო, იყო.

— დიდი ხანია?

— იცით, ჩემი პაპა ნუხბეკ ტარკოვსკია.

— პოლკოვნიკი? სად არის ახლა?

— თეირანში ცხოვრობდა, წელს გარდაიცვალა. მომაკვდავი წარამარა მთხოვდა, ეს სიმღერა მიმღერეო.

— რა შინაარსისაა ეს სიმღერა?

— გადამფრენ ფრინველებზეა... პაპამ ერთი დაღესტნური ცეკვაც მასწავლა, მიყურეთ! ქალი სავსე მთვარესავით გაიბადრა, ხელები მსუ-

ბუქად აიქნია და ისე ჩამოუარა წრეს, თითქოს გელი დაცურავსო ტბაზე.  
მერე ვთხოვე, ერთხელ კიდევ ემღერა გადამფრენ ფრინველებზე,  
სიტყვებიც მითარგმნა. სასტუმროში დაებრუნდი თუ არა, ზუნძურ ენაზე  
ჩაიწერე სიმღერა.

...პო, დაღესტანში გაზაფხული მოვიდა, მე კი ვფიქრობდი, რა საერთო აქვს თავად ნუხბეკ ტარკოვსკის ამ სიმღერასთან? რატომ ახსენდებოდა შაპის თეირანში მცხოვრებ პოლკოვნიკს წითელი მთების მზე. პოლკოვნიკს, ვინც რევოლუციისა და დაღესტნის შურისგებას გაეცა? როგორ უნდა მოსძალებოდა მას სამშობლოს სევდა?

ირანში გადახვეწილი ტარკოვსკი პირველად ასე ამბობდა: „რაც დაღესტანში დამემართა, ბედის შეცდომაა და მე დაებრუნდები იქ ამ შეცდომის გამოსასწორებლად“. სხვა ემიგრანტებთან ერთად ყოველდღე შოდიოდა კასპიის ზღვის სანაპიროზე, ახალი ამბები რომ გაეგო დაღესტნიდან. მაგრამ გემის ანძებზე მოტკაცუნე წითელ დროშებს ხედავდა ისევ და ისევ. შემოღგომით ჩრდილოეთიდან მოფრენილ ფრინველებს გასცქეროდა მისი ცოლი და ნაღვლიანად მღეროდა. გადამფრენი ფრინველების სიმღერას მღეროდა. პირველად თავად ტარკოვსკის არაფრად ეპიტნავებოდა ეს სიმღერა.

გადიოდა წლები, დაიზარდნენ ბავშვები. დაბერდა პოლკოვნიკი და მიხვდა, რომ სამუდამოდ დაშორდა დაღესტანს, მიხვდა სხვა იყო დაღესტნის ხვედრი, დაღესტანმა თვითონ აირჩია ერთადერთი და სწორი გზა. და მაშინ ღრმად მოხუცმა თავადმა თვითონ იმღერა გადამფრენ ფრინველებზე.

„დაღესტანი ვერ გაჰყვება იმას, ვინც თვითონ არ გაჰყვა დაღესტანს“, — ამბობდა მამა.

აბუთალიბი უმატებდა: „სხვის ცხენზე ამხედრებული მალე ჩამოვარდება ძირს. ჩვენი ხანჯლები სხვანაირ ტანსაცმელს არ უხდებან“.

სულეიმან სტალსკი წერდა:

„მე მიწაში ჩაფლულ სახნისს ვგავდი, საბჭოთა მთავრობამ ამომიღო და ავლაპლაპდი“.

მამა ამასაც ამბობდა:

— ჩვენ ყოველთვის მთიელები ვიყავით, მაგრამ მწვერვალზე მხოლოდ ახლა ავედით.

აბუთალიბმა დაუმატა:

— გამოდი, დაღესტანო, სარდაფიდან!

დედაჩემი აკვანს არწევდა და მღეროდა:

ძინე მშვიდად, ჩემო ბიჭო, მშვიდად იძინე.

სალ კლდეებს შორის სროლის ეჭო აღარ სისინებს.

— ყველაზე მოკლე თვე თებერვალია და ყველაზე მნიშვნელოვანი

კია, — ამბობდა აბუთალიბი, — თებერვალში ჩამოაგდეს მეფე, თებერვალში შეიქმნა წითელი არმია, თებერვალში მიიღო ლენინმა მთიელების დელეგაცია.

მაშინ შორეულ აულ რუგუჯაბში ქალებმა სიმღერა შეთხზეს ლენინზე:

ლენინ, ოქტომბრის ბელადო, შენი სახელი გრიალებს,  
მოხველ და ხალხად ჩავეთვალე, ცხოვრება გაგვიშინანე.  
მზედ ამოშუქლი ბელადო, ქვეყანა ახლად დაბადე,  
როგორც არწივმა ყორნები, ღრუბლები ისე დაშვანტე.

პატარა ერს დიდი ბედი აქვს. მღერიან ჩიტები. ეღერს რევოლუციის შვილების სიტყვები. ბავშვებიც კი ლაპარაკობენ მათზე, საფლავის ქვებზე კი იმათი სახელებია ამოკვეთილი. მაგრამ არიან გმირები, ვისი საფლავებიც უცნობია.

მიყვარს მყუდრო ღამით დაღესტნის დედაქალაქის ქუჩებში ხეტიალი. ქუჩების სახელებს რომ ვკითხულობ, ასე მგონია ისევ თათბირობენ რესპუბლიკის რეჟკომები. მახაჩ დახადაევი. მე მესმის მისი ხმა: „ჩვენ რევოლუციის მებრძოლები ვართ. ჩვენი ენა, ჩვენი სახელები, ჩვენი ხასიათები სხვადასხვაა, მაგრამ ყველას გვაქვს საერთო რამ — რევოლუციისა და დაღესტნის ერთგულება. არც ერთ ჩვენგანს არ დაენანება არც სისხლი და არც სიცოცხლე რევოლუციისათვის, დაღესტნისათვის“.

მახაჩი თავად ტარკოვსკის რაზმის ყაჩაღებმა მოკლეს.

ულლუბი ბუინაკსკი! მისი ხმაც მესმის: „ვიცი, მტრები სიცოცხლეს გამომასალმებენ, ისინი ჩემს მეგობრებსაც დახოცავენ, მაგრამ ერთ მუშტად შეკრულ ჩვენს თითებს ვერაა მტერი ვერ გახსნის. ეს მუშტი მძიმეა და ერთგული, რადგან დაღესტნის ჭირ-ვარამმა და რევოლუციის იდეებმა შეკრა. იცოდეთ, იგი ყელში წაეჭირება მჩაგვრელებს“.

ახალგაზრდა დაღესტნელი კომუნისტი, ოცდარვა წლის ულუბი დენიკინელებმა მოკლეს უდაბნოში. ახლა იქ ყაყაჩოები ჰყვავის.

მესმის ოსკარ ლეშჩინსკის, ყაზი მაჰმად აგასიევის, გარუნ სანდოვის, ალიბეკ ბაგატირევის, საფარ დუდაროვისა, სოლტან-საიდ ყაზბეკოვისა, მამა-შვილ ბატირ-მურზაელების, ომაროვ-ჩოხსკის ხმები...

ბევრია დაზოცილი, მაგრამ თვითულის სახელი ცეცხლია. ვარსკვლავი და სიმღერა. ისინი გმირებია, ჭაბუკებად რომ დარჩნენ მარად! ჩვენი დაღესტნელი ჩაპაევიები, შჩორსები და შაუმიანებია. ისინი ახტაში, აიაკაკას ხეობაში, ყასუმენტის წყაროსთან, ხუნძახის ციხესიმაგრის კედელთან, გადამწვარ ხასავაიურტსა თუ ძველ დერბენდთან დაეცნენ. არაკანსკის ხეობაში ქვა არ მოიძევება, დაღესტნელი კომისრების სისხლით რომ არ იყოს მორწყული. მოჩობის ქედზე დაუგეს ბაგატირევის რაზმს ხაფანგი. პორტ-პეტროვსკმა და ოთხივე ყოისუმ იხილეს თემირ-

ხან-შურის სისხლი. ყოისუმი ახლა ყვაველებს ყრიან დაღუპულია  
ხსოვნის აღსანიშნავად. ასი ათასი დაღესტნელი კომუნისტი და პარტიზა-  
ნი დაიღუპა, მაგრამ სამაგიეროდ სხვა ხალხებმა გაიცნეს დაღესტანი. მი-  
ლიონობით მეგობარმა გამოუწოდა წითელ დაღესტანს ხელი. როცა მე-  
გობრული ხელების სითბო შეიგრძნეს, „ახლა ჩვენ ცოტანი არა ვარ-  
თო“, — თქვეს დაღესტნელებმა.

ოში ადამიანებს არ შობს, მაგრამ რევოლუციური ბრძოლების ქარ-  
ციცხლში ახალი დაღესტანი იშვა.

1920 წლის 13 ნოემბერს მოწვეულ იქნა დაღესტნის ხალხების პირ-  
ველი საგანგებო ყრილობა. ყრილობაზე რსფსრ მთავრობის სახელით გა-  
მოვიდა სტალინი. მან დაღესტნის ავტონომია გამოაცხადა. ახალი სახე-  
ლი, ახალი გზა, ახალი ბედი... ეს თარიღი დაღესტნის კალენდარში წი-  
თელი ციფრითაა აღნიშნული.

მალე დაღესტნის ხალხმა საჩუქარი მიიღო, ლენინმა ფოტოსურათი  
გამოუგზავნა მათ წარწერით: „წითელ დაღესტანს“. ყუბაჩელმა ოქრო-  
მკედლებმა და უნცუკულელმა ხეზე ამოტვიფრვის ოსტატებმა არნახუ-  
ლი სილამაზის ჩარჩო გაუკეთეს სურათს. იმავე წელს მახაჩყალის პორ-  
ტიდან ახალი თბომავალი გავიდა — „წითელი დაღესტანი“. თვითონ და-  
ღესტანიც შორეულ ზღვაში გასულ დიდ გემს ჰგავდა.

„ცისკრის ვარსკვლავი“, — ასე უწოდეს პირველ დაღესტნურ ქურო-  
ხალს. დაღესტნისათვისაც გათენდა. გაიხსნა დიდი სამყაროს ფანჯრები.

სამოქალაქო ომის შიმშილღებში, როცა მთებში გოცინსკის რაზმები  
მბრძანებლობდნენ, მამაჩემმა წერილი მიიღო მედრესელი მეგობრისაგან.  
წერილში ყოფილი თანამოწაფე ნაჟმუდინ გოცინსკისა და მის რაზმებზე  
წერდა. წერილის ბოლოში მამამ წაიკითხა: „ნაჟმუდინი გემდურის. რო-  
გორც შევატყვე, ნაჟმუდინს უნდოდა ლექსით მიგემართა მთიელი ღარი-  
ბებისთვის და სიმართლე გეამბნა იმამზე. მე ვიდე თავს შენთან მოლაპა-  
რაკება და დავპირდი, რომ შენ ამას გააკეთებ. გეხვეწები, შეასრულე ჩე-  
მი თხოვნა“ და იმამის სურვილი. ნაჟმუდინი კლის შენს სი-  
ტყვას“.

მამამ უპასუხა: „რაკი ასეთი რამ გიტვირთია, კეთილი ინებე და ლექ-  
სიც შენ დაწერე ნაჟმუდინზე. მე კი მის წისკვილზე წყლის მიშვებას არ  
ვაპირებ. ვასალამ, ვაქალამ...“

იმ ხანებში ბოლშევიკმა მაჰმად-მირზა ხიზროევმა გამოიძახა მამა  
თემირ-ხან-შურში და გაზეთ „წითელ მთებში“ თანამშრომლობა შესთა-  
ვაზა. სწორედ ამ გაზეთში გამოქვეყნდა მამას ლექსი „ღარიბ მთიე-  
ლებს“.



მამა ახალ დალესტანზე წერდა, გაზეთ „წითელ მთებში“ თანამშრომლობდა. გადიოდა დრო. მაჰმად-მირზა ხიზროვეს გოგონა შეეძინა. სახელის შესარჩევად მამაჩემი იხმეს. მამამ მაღლა აიტაცა გოგონა და შესცაბა.

— ზაგრა.

ზაგრა დილის ვარსკვლავია.

გაჩნდნენ ახალი ვარსკვლავები. იზრდებოდნენ ბავშვები, დაღუპული გმირების სახელებს რომ ატარებდნენ. დიდ ავეანს დაემსგავსა დალესტანი.

კასპიის ტალღები უმღეროდნენ ნანას. დედასავით გადაეფარა დალესტანს უკიდევანო ქვეყანა.

დედაჩემი კი მერცხლებზე, ქვაში ამოხეთქილ ბალახზე, შემოდგომის ყვავილებზე მღეროდა. ამ იავნანებით გაიზარდა ჩვენს ოჯახში სამი ვაჟი და ერთი ქალიშვილი.

ისევ შეემატა დალესტანს ასი ათასი ქალ-ვაჟი. დაიზარდნენ მიწის მხვნელები, მენახირეები, მეთევზეები, ქვისმჭრელები, ჭედვის ოსტატები, აგრონომები, ექიმები, მასწავლებლები, ინჟინრები, პოეტები და არტიტები. ზღვაში გავიდნენ გემები, ცაში აიჭრნენ თვითმფრინავები, აჩახახდნენ ელნათურები.

— ახლა დიდი ქონების პატრონი ვარ, — თქვა სულეიმან სტალსკიმ.

— ახლა მარტო აულის კი არა, მთელი ქვეყნის წინაშე ვაგებ პასუხს, — თქვა ჰამზათმა.

— ჩემო სიმღერებო, გაფრინდით კრემლში, — აღტაცებით წამოიძახა აბუთალიბმა.

საბჭოეთის დიადი ქვეყანა ფესვმაგარი ხეა, დალესტანი — მისი ტოტი.

და აი, ამ ხის ამოსათხრელად, მისი ტოტების დასალეწავად დაგვეხსნენ თავს ფაშისტები.

იმ დღეს თავისი ჩვეულებრივი გზით უნდა წასულიყო ცხოვრება. ხუნძახში საკვირაო ბაზრობა იყო, ციხესიმაგრეში — სოფლის მეურნეობის მიღწევათა გამოფენა. ახალგაზრდების ჭგუფი უნაგირა მთის მწვერვალის დასალაშქრავად გაემართა. ხუნძური თეატრი მამაჩემის პიესის „უბედურებათა სკივრის“ დასადგმელად ემზადებოდა. საღამოს პრემიერა უნდა შემდგარიყო.

მაგრამ დილით ისეთი უბედურების სკივრი გაიხსნა, რომ ყველა უბედურება დაგვივიწყდა. იმ დილას ომი დაიწყო.

განუწყვეტელ ნაკადებად დაიძრნენ აულებიდან კაცებისა და ქაბუკების, გუშინდელი მშვიდობიანი მწყემსებისა და მიწის მუშების, ახლაკი სამშობლოს დამცველთა რაზმები. მოხუცები, ბავშვები და ქალები ბანებს მოსდებოდნენ და მიმავალთ გასცქეროდნენ. ისინი კი დიდი ხნით, ზოგიერთები სამუდამოდაც მიდიოდნენ. ყველგან ისმოდა:

— მშვიდობით, დედა!

— აბა, ყოჩაღად იყავი, მამა!

— მშვიდობით, დაღესტანო!

— გზა მშვიდობისა, შვილებო, გამარჯვებული დაგვიბრუნდით!

თითქოს მთები ზღვისგან განაცალკევდნენ, ერთმანეთის მიყოლებით მიდიან და მიდიან მატარებლები. მიდიან და თან მიჰყავთ დაღესტნის ახალგაზრდობა, მიაქვთ სილამაზე და ძალა. ეს ძალა ახლა სამშობლოს დასჭირდა.

— მშვიდობით, საცოლევ.

— მშვიდობით, ცოლო.

— გამარჯვებული დავბრუნდებით.

მიდიან მატარებლები, შეუჩერებლად მიდიან.

მშობლიური პედსასწავლებელი მახსენდება. რევოლუციისთვის დაღუპულთა სამომო საფლავზე დაღესტნის ცხენოსანთა პოლკი დგას მწყობრში. პოლკს წითელი პარტიზანი, სახელოვანი ყარა ყარავეი მეთაურობს. მკაცრად, ჩაფიქრებით იყურებიან მეზობლები. პოლკი ფიცსა დებს.

სიტყვას ამბობს ოთხმოცდაათი წლის მოხუცი:

— აფსუს, დღეს ოცდაათი წლის რომ არა ვარ, მაგრამ მაინც შემოძლია ჩემს სამ ვაჟიშვილთან ერთად საომრად წასვლა.

შემდეგ გამანადგურებლების ესკადრილია „დაღესტანი“, ტანკების კოლონა „შამილი“ და ჯავშნოსანი მატარებელი „დაღესტნის კომკავშირელი“ გამოჩნდა. მამები და შვილები გვერდიგვერდ იბრძვიან. ისევ შემოადგა დაღესტნის მთებს სიმამაცის შარავანდედი.

სამაჯურები, საყურეები, ქამრები, ბეჭდები, საქმროების, ქმრებისა და მამების საჩუქრები, ვერცხლი, ოქრო, ძვირფასი ქვები, დაღესტნის უძველესი ხელოვნების ნიმუშები დიდ ქვეყანას ჩააბარეს ჩვენმა ქალებმა გამარჯვების გამოსაქვედად.

და აი, ფრონტზე წავიდა დაღესტანი. დიდ ქვეყანასთან ერთად იბრძოდა იგი. სად არ ნახავდით დაღესტნელს, რომელ სამხედრო ნაწილში, მეზღვაურებთან, ფეხოსნებთან, ტანკისტებთან, მფრინავებთან, არტილერიისტებთან. არა, ვინდა არ იყო დაღესტნელი: მსროლელი, პილოტი, მეთაური, პარტიზანი. რომელი ფრონტიდან არ მოდიოდა პატარა დაღესტანში სამგლოვიარო ბარათები.

აულ ცადაში სამოცდაათი კომლია. ამდენივე ქაბუჯი წავიდა ფრონტზე. „ხშირად მესიზმრება ხოლმე, ვითომ ჩვენი ცადელი ბიჭები ქვემო მონღოლზე არიან თავშეყრილი“, — ამბობდა ხოლმე დედა. „ამ ვარსკვლავს ალბათ ჩვენი ცადელი ბიჭებიც უყურებენ სადმე ლენინგრადის ახლოს“, — იტყოდა ხოლმე დედაჩემი ზოგჯერ; მოკაშკაშე ვარსკვლავს რომ დაინახავდა ცაზე. ჩრდილოეთიდან გადამფრენი ფრინველები რომ მოფრინდებოდნენ, დედა ეკითხებოდა: „ჩვენი ცადელი ბიჭები არ გინახავთ?“

მთიელი ქალები წერილებს რომ კითხულობდნენ ან რადიოს უსმენდნენ, მათთვის გაუგებარსა და ძნელ სიტყვებს იზებობდნენ: ქერჩი, ბრესტი, კორსუნ-შევეჩენკოვსკი, პლოეშტი, კონსტანცა, მაინის ფრანკფურტი, ბრანდენბურგი. განსაკუთრებით ორი სახელი ერეოდათ ერთმანეთში მთიელ ქალებს: ბუქარესტი და ბუდაპეშტი, უკვირდათ, როგორ არის სხვადასხვა ქალაქებიო.

ჰო, სადღა არ იყვნენ ჩვენი ბიჭები! ორმოცდასამ წელში მე და მამა ქალაქ ბალაშოვში წავედით. იქ ჰოსპიტალში გარდაიცვალა ჩემი უფროსი ძმა. პატარა მდინარის პირას ვიპოვეთ მისი საფლავი. წარწერა წავიკითხეთ — „მაჰმად გამაშათოვი“. მამამ სასაფლაოზე რუსული არყის ხე დარგო. გაიზარდა ჩვენი ცადას სასაფლაო, გაიზარდა ჩვენი აული, — თქვა მამამ.

### ცადას სასაფლაო

აგერა, ცადას სასაფლაო წმიდათაწმიდა,  
სხედან ლოდები — ფრინველების თეთრი გუნდები.  
აი, დაებრუნდი, შინ დაებრუნდი შორეულ გზიდან,  
თქვენ კი აქვე ხართ, მაგრამ ვერა, ვერ დაბრუნდებით.

სახლიაკები მეცოტავა თვალში როგორღაც,  
ამიფართქალდა უცებ გული და ამიჩქარდა,  
ჩემო დისწულო, ჩემო კარგო, ცელქო გოგონა,  
ნეტა სადა ხარ, რატომ აღარ მხედებენ კიშკართან?

ახლა სადა ხარ, სად თამაშობ და სად ერთობი.  
წლები და წლები წერობის მიფრენენ გუნდად,  
შენი ტოლები დაქალდნენ და უკვე დედობენ,  
შენ კი მოწაფე და პაწაწა დარჩები მუდამ.

და მეჩვენება, როგორც ბედის ამო ზრუნვა,  
თითქოს საფლავზე დუდუკების ატირდა დასტა.  
ატირდა ზურნა, ბიასლანის ატირდა ზურნა  
აქვე, მისივე სამარის ქვესთან.

თითქო დღირა ააგდერა მისმა ყონალმა  
და ცეცვა-ცეკვით გაღმოველო მეზობლის ერდოს.  
მექორწილებს შეუძახა რიხით, ომახით,  
ისევე, როგორც ბიჭობაში იცოდა ერთ დროს.



მაგრამ რას ვამბობ...მღუმარებენ საფლავთა მკვიდრნი,  
ხმის ჩახლეჩამდე რომც ჩაპყვირო, ხმას არეინ გაგცემს,  
შეურჩევით (სამყოფელი ღარიბის, მდიდრის) —  
უქანასკნელი მუნჯი ქოხი ჩემს სახლიკაცებს.

იზრდები ცადას სასაფლაოე, ვაჰმე, იზრდები,  
ძვინტასი ძვლების გაჰექილი ხარ საბუღარი,  
ვერ დაგიმაღაე, რაც დრო გადის, სულ მესინზრები,  
ვინ იცის, ერთ დროს შენთან ეპოვო ნავსაყუღარი.

სადაც არ უნდა გვეძახოდნენ გზები ტიალნი,  
გზის დასასრულად მაინც ისევე შენ მეგულები.  
ეჰა, ბევრისთვის უღვთო იყო ბედის ტრიალი —  
ვერ დამარხულან შენს მიწაში ჩვენებურები.

ბასრი ხმალივით სად ჩაეგო თქვენი ცხოვრება,  
სად მოგეწიათ ბნელი ღამე ნაბრძოლ-ნაომართ,  
სად დაიკარგეთ, მეგობრებო, სიყრმის ტოლებო,  
სადა ხარ, ჩემო ძმადნაფიცო პაყი-მაგომა?

ამ უღმრთო ტკივილს, ამ საწუხარს ვერ იტყვის ენა,  
თქვენს სამარეებს აქ, ცადაში, ამაოდ ვეძებ.  
ო, ცადას წმინდა სასაფლაოე, საფლავნი შენნი  
დაგიფანტია სადღაც უცხო, შორეულ გზებზე.

თქვენი გმირობის მოწმე იყო მთელი ხმელეთი  
და ყველგან, სადაც სამშვიდობოს ტეხდით ყამირებს,  
თქვენს საფლავებთან გროვდებიან უცხოელები,  
მადლსა გწირავენ და გაყრიან უცხო ყვავილებს.

ომის დროს ჩვენი სოფლის საბჭოში დიდი რუკა ეკიდა. მაშინ ყველ-  
გან ასეთი რუკები იყო ჩამოკიდებული. ჩვეულებრივ ამ რუკებზე წითე-  
ლი დროშებით ფრონტის ხაზს აღნიშნავდნენ. ჩვენს რუკაზე კი წითელი  
დროშები იმ ადგილებზე ერქო, სადაც ცადელი ბიჭები დაეცნენ. ბევრი  
დროშა იყო რუკაზე, იმდენი, რამდენი დედის გულიც იყო აქ ქინძისთა-  
ვებით დაკოდილი. ჰო, არც ისე პატარა ვამოდგა ჩვენი ცადას სასაფლაო,  
პატარა არ აღმოჩნდა ჩვენი აული.

დამწუხრებული დედები მკითხავენთან დადიოდნენ. მკითხავები ანუ-  
გეშებდნენ ქალებს;

„აი, გზა, ეს ცეცხლია. დაგიბრუნდება შვილი. ისევ მშვიდობა იქნება  
ქვეყანაზე“. ეშმაკობდნენ მკითხავები, მაგრამ გამარჯვების საკითხში არ

შეცდნენ. რაიხსტაგის კედლებზე ათასნაირ წარწერებს შორის ზიშტით ამოკაწრული ასეთი წარწერაც არის: „ჩვენ დაღესტნიდან ვართ!“.

მოხუცები, ქალები და ბავშვები ისევ ბანებზე იდგნენ, ისევ შორს იტყირებოდნენ, მაგრამ ახლა კი არ აცილებდნენ, ელოდებოდნენ, თავიანთ არწივებს ეგებებოდნენ. მთის ბილიკებით მწკრივ-მწკრივად როდი ბრუნდებოდა ხალხი. წასვლით ერთად წავიდნენ, შინ კი თითო-თითოდ მოდიოდნენ. ზოგიერთ ქალს ჭრელი თავსაფრით აქვს თავი წაკრული, ზოგს კი შავი მოუხვევია. შინ დაბრუნებულებს სხვების დედები ეკითხებიან:

- ჩემი ომარი სადაა?
- ჩემი ალი არ გინახავს?
- მალე დაბრუნდება ჩემი მაჰმადი?

დედაჩემმაც შავი დაიხურა თავზე. აღარ დაბრუნდა მისი ორი შვილი მაჰმადი და ახილჩი, ჩემი ორი ძმა. დედაჩემის სიზმრებში ნანახი ბევრი ვაჟკაცი ვერ დაბრუნდა. ასი კაცი ველარ დაბრუნდა ჩვენს პატარა აულში. ასი ათასი ვაჟკაცი არ დაუბრუნდა დაღესტანს.

ვუყურებ რუკაზე ჩარჭობილ დროშებს და ჩემი თანამემამულეების სახელებს ვიხსენებ. ბარენცის ზღვაში ჩაიძირა მაჰმად გაჯიევი, სიმფეროპოლში დაიღუპა ტანკისტი მაჰმად ზაგიდ აბდულმანაფოვი, სტალინგრადში — ძეტყვიამფრქვევე ხანფაშა ნურადილოვი, ჩეჩენი, მაგრამ დაღესტნის შვილი. იტალიაში მეთაურობდა პარტიზანულ რაზმს და იქვე დაეცა მამაცი კამალოვი...

მთის ყოველ აულში დგას პირამიდისებური ძეგლები, ზედ კი სახელები, სახელები და სახელებია ამოკვეთილი. მხედარი ჩამოქვეითდება, როგორც კი ამ ძეგლებს მიუახლოვდება, ქვეითი — ქუდს მოიხდის.

მირაკრაკებენ მთებში დაღუპულთა სახელობის ნაკადულები. ნაპირზე მოხუცები სხედან, მათ ესმით წყაროების ენა. ყოველ ოჯახში იმათი სურათები ჰკიდია, ვინც ჭაბუკები და ლამაზები დარჩებიან მარად.

შორეული ძოგზაურობიდან რომ ვბრუნდები, ზოგიერთი დედა ფარული იმედით მეკითხება: „ჩემს შვილს ხომ არ შეხვედრიხარ სადმე?“ იმედითა და ტკივილით შეჰყურებენ ისინი წეროების ქარავანს. ვერც მე ვაშორებ მათ თვალს.

## წ ა რ ო ე ბ ი

ჩვენი ძმები და ამხანაგები,  
ვინც შეიწირა ომმა წყეულმა,  
ასე მგონია, რაღაც განგებით  
თეთრ წეროებად გადაქცეულან.

სულს რად გვიწევს მათი ყვილი,  
რატომ გვაკრთობს და გვანადვლიანებს?  
რას გვეძახიან გულისტკივილით  
ცოცხლად დარჩენილ აღამიანებს?



თბეს დაგვბრუნავენ ჟივილ-ხივილით,  
ნაცნობ სახელებს ვარჩევ, დიახაც,  
და ახლა ეხედები, მათი ყვილი  
დალესტნურ ენას რატომ მიაგავს.

წეროთა გუნდი ყივის და ყივის,  
ისინი მართლა ჩვენი ძმებია,  
ერთგან გამწყდარა მიჭრილი მწყერივე  
და ალბათ ჩემი შესაესებია.

დადგება დრო და ჟივილ-ხივილით  
წეროთა გუნდი მეც გამიტაცებს,  
მეც ჩამოგძახებთ ციდან ტირილით,  
ვისაც დაგტოვებთ დედამიწაზე.

მიტრინავენ წეროები, ბიბინებს ბალახი, ირწევა აკვნები. მე სამი გოგონა გამიზარდა აკვანმა. ვის ოთხი შვილი გაუჩნდა, ვის — ათი. ზოგს — თხუთმეტიც კი. ასი აკვანი დაირწა ცადაში, ასი ათასი — დალესტანში. გამრავლების მხრივ დალესტანს პირველი ადგილი უჭირავს რსფსრ-ში. უკვე მილიონ ნახევარი გავხდით. ჰოდა, რა თქმა უნდა, როცა ხალხი ბევრია, ქორწილებიც ბევრია. და რაც მეტი ქორწილია, მეტი აღამიანიცაა.

სამი რამ არ შეიძლება დაგვიანდეს, — ამბობენ მთიელები: მიცვალებულის დაკრძალვა, სტუმრის პატივისცემა და მოწიფული ქალის გათხოვება. და არც აგვიანებენ. აი, დასცხეს დოღს, აქყვიტინდა ზურნა და გაჩაღდა ქორწილი. ასწიეს პირველი ჭიქა და „ვაჟიშვილს ვისურვებთო“, თქვეს.

კიდევ სამი რამ უნდა შეასრულოს მთიელმა უცილობლად: ბოლომდე უნდა დაცალოს ყანწი, თვალის ჩინივით გაუფრთხილდეს სახელს და არ წახდეს განსაცდელის ქამს. განსაცდელი კი ცოტა როდი არგუნათ მთიელებს ბედმა. დიდხანს ბრუნავდა ბედის ცარგვალი დალესტნის თავზე რისხვით, მაგრამ გადაურჩა.

დედამიწაზე მაინც არ არის მშვიდობა. ხან აქ და ხან იქ ისევ გაისმის სროლა, სკდება ყუმბარები და, როგორც ყოველთვის, დედები გულში იკრავენ შვილებს.

ცაზე საწვიმარი ღრუბლები რომ გამოჩნდება, მიწის მუშა მინდვრისაკენ მიიჩქარის მოსავლის ასაღებად. ცა რომ საომრად მოიჭუფრება, ხალხი მშვიდობის დასაცავად დგება ფეხზე. დალესტანში ასე ამბობენ:

მარქენალ ხარს რქებს ახერხავენ, ავ ძალს ჯაჭვით აბამენო. ადამიანებისთვის რომ იყოს ასეთი წესი, ცხოვრება იოლი იქნებოდა. დიდ სამყაროზე ფიქრით ცხოვრობს ახლა პატარა დაღესტანი.

წინათ, სათარეშოდ რომ მიდიოდნენ, მთიელებს ყმაწვილი ჯიგიტები არ მიჰყავდათ თან, მაგრამ შამილმა ბრძანა: წავიყვანოთო. ნეკი პატარაა, მაგრამ უიმისოდ მუშტი ღონიერი ვერ იქნებაო.

დაე, დაღესტანიც ჩვენი ქვეყნის დიდი და მაგარი მუშტის ნეკი იყოს. მაშინ როგორც არ უნდა ეცადოს მტერი, ამ მუშტს ვერ გახსნის.

მუშტი მტრისთვის გვეკირდება, თორემ მეგობარს ფართო ხელისგულსაც ჩამოვადებთ მხარზე. ნეკი კი ხელისგულსაცა აქვს.

უცხო ქვეყანაში რომ ჩავდივარ, უწინარეს ყოვლისა პოეტებს ვეცნობი. სიმღერას სიმღერისა ესმის. თანამემამულეების გაცნობასაც ვცდილობ, თუკი არიან იქ. ცხადია, ისინი უცხოეთში სხვადასხვანაირნი არიან, მაგრამ როგორებიც არ უნდა იყვნენ, თანამემამულეებისადმი ქედმაღლობა ვერ ამიტანია. სად არ შევხვედრივარ მათ: თურქეთში, სირიაში, ფედერაციულ გერმანიაში... სადღა არა.

ზოგიერთმა დაღესტნელმა ჯერ კიდევ შამილის დროს მიატოვა სამშობლო, ოჯახი და ბედნიერების საძებნელად გაემგზავრა.

ზოგიერთებმა კი რევოლუციას ვერ გაუგეს, ან გაუგეს, მაგრამ შეეშინდათ მისი და გაიქცნენ. ზოგი კი თვით რევოლუციამ გააძევა. მაგრამ ყველაზე უფრო საცოდავნი და უვარგისნი ისინი არიან, ბოლო ომის დროს რომ უღალატეს სამშობლოს. რანაირი დაღესტნელი აღარ მინახავს! თურქეთში დაღესტნელების აული მოვინახულე.

— ჩვენცა გვაქვს აქ პატარა დაღესტანი, — მითხრეს იქაურებმა.

— არა ხართ მართალი, დაღესტანი მხოლოდ ერთია, ორი დაღესტნის არსებობა არ შეიძლება.

— შენი აზრით, მამ ჩვენ ვინა ვართ, სადაურები?

— მართლა ვინა ხართ და სადაურები?

— ჩვენ კარატიდან, ბატლუხიდან, ხუნძახიდან, აკუშიდან, ყუმუხიდან, ჩოხიდან და სოგრატილიდან ვართ. დაღესტნის სხვადასხვა აულებიდან ვართ, ისევე როგორც ისინი, აულის სასაფლაოზე რომ წევანან. ჩვენც პატარა დაღესტანი ვართ.

— თქვენ ერთ დროს იყავით დაღესტნელები, ზოგიერთებს ახლაც გინდათ იყოთ, მაგრამ იქნებ ესენიც დაღესტნელები არიან? — გოცინსკის, ალიხანოვისა და უზურ-ჰაჯის სურათებზე მივუთითე.

— აბა რა, ესენიც ჩვენებურები არიან, ჩვენს ენაზე ლაპარაკობდნენ.

— დაღესტანმა ვერ გაიგო მაგათი ენა. არც მაგათ ესმოდათ დაღესტნის ენა.

ყველას თავისებურად ესმის დაღესტნისა, ყველას თავისი დაღესტანი ჰყავს გულში.



მაგრამ ყველა თავის შვილად როდი მიაჩნია დალესტანს.

— ეინ მიაჩნია შვილად?

— ჩამოდით, სადაც ჩვენი შვილების აკვნები ირწევა.

— რას ამბობენ ჩვენზე დალესტანში?

— თქვენ ქვეები ხართ, კედლისთვის რომ ვერ გამოდქვით, როცა დალესტანი შენდებოდა; შემოდგომის ქართ წაღებული ფოთლები ხართ; ფანდურისათვის შეუწყობელი უცხო ლარები ხართ.

ასე ვესაუბრებოდი უცხოეთში გადახვეწილ თანამემამულეებს. მათ შორის მდიდრებიც არიან და ღარიბებიც, კეთილებიც და ბოროტებიც, პათოსნებც და ნამუსგარეცხილებიც, მოტყუებულნიც და მატყუარებიც. ჩემს პათვისაცემად ლეკურს ცეკვავენენ, მაგრამ დაირა უცხოური იყო. მილიონნახევარი ვართო, როცა ვამბობთ, ისინი სათვალავში არა გვყვანან.

სირიიდან რომ ვბრუნდებოდი, ერთი ხუნძი ქალი მეაჯებოდა, სალამი გადამეცა გერგებილში ჭერმის ხისთვის, ხელით შევხებოდი მას.

მექაში მოსალოცად წასული ავახუნძის ბავშვებმა მარმარილოს ზღვის სანაპიროზე გამომშვიდობებისას მითხრეს:

— ჩვენი მექა დალესტანია. ვისაც მექა მოუვლია, ჰაჯის ეძახიან; ახლა ჩვენთვის ისაა ჰაჯი, ვისაც დალესტანში ყოფნა ხედომია წილნდ.

ერთხელ მახაჩყალაში მესტუმრა ასეთი ჰაჯი. ორმოცი წელი არ ენახა სამშობლო.

— აბა, რას იტყვი, შეცვლილია დალესტანი? — ვკითხე მე.

— იქ ამას არ დამიჯერებენ, მაგრამ ერთს კი ვეტყვი იმათ, ცოცხლობს-მეთქი დალესტანი.

ცოცხლობს ჩემი დალესტანი! ცოცხლობს რესპუბლიკა! ცოცხლობს ხალხი, ენა, სახელები და ადათები.

აი, დალესტანის ბედი. ჩაღდება ქორწილები, ირწევა აკვნები, სვამენ სადღეგრძელოებს, მღერიან სიმღერებს.

## ს ი ტ ყ ვ ა

ხუნძური სიტყვა „მილატ“ ერსაც ნიშნავს და ზრუნვასაც. „ვინც თავის ერზე არ ზრუნავს, მით უმეტეს მთელ ქვეყანაზე ვერ იზრუნებს“, — ამბობდა მამაჩემი.

„განა უნდა იზრუნოს ერმა ისეთ კაცზე, ვინაც ერისთვის არ ზრუნავს?“ — კითხულობდა აბუთალიბი.

„ქათმების, ბატებისა და ვირთხების ერი არ გამიგონია, ადამიანებისთვის კი იგი აუცილებელია“, — ამბობდა დედაჩემი.

„შეიძლება იყოს ერთი ერი და ორი რესპუბლიკა ჰქონდეს, როგორც

ჩვენს მეზობელ ოსებს. შეიძლება ერთი რესპუბლიკა იყოს და ორმოც  
ეროვნებას მოიცავდეს“.

„ენებისა და ხალხების მთელი გორაა“, — ასე თქვა ჩვენზე ერთმანეთს  
მოგზაურმა.

„ათასთავიანი ურჩხულია“, — ამბობდნენ დალესტნის მტრები.

„დატოტვილი ხეა“, — ამბობდნენ დალესტნის კეთილმოსურნენი.

„სანთლით რომ ექებოთ, მთელი დედამიწის ზურგზე ვერ იპოვით  
ისეთ ქვეყანას, ასე ცოტა ხალხი და ამდენი ეროვნება რომ ცხოვრობ-  
დეს“, — ამბობდნენ მოგზაურები.

აბუთალიბი ხუმრობდა ხოლმე:

— ჩვენ ძალზე დავეხმარეთ ქართული კულტურის განვითარებას.

— რას ამბობ, ქართველებს ათასწლოვანი კულტურა აქვთ. ჯერ მარ-  
ტო შოთა რუსთაველი ცხოვრობდა რვაასი წლის წინათ. ჩვენ კი მხო-  
ლოდ გუშინ ვისწავლეთ წერა-კითხვა. რა ჩვენი დახმარება უნდა ქარ-  
თველებს?

— აი რა, ჩვენში ყველა აუღს თავისი ენა აქვს. ჩვენმა მეზობელმა  
ქართველებმა გადაწყვიტეს შეესწავლათ ეს ენები და ერთმანეთისთვის  
შეედარებინათ. ვინც შეისწავლა, წერილები და მეცნიერული წიგნები  
გამოაქვეყნა, მეცნიერების კანდიდატები და დოქტორები გახდნენ. აბა  
მარტო ერთი ენა ყოფილიყო დალესტანში..

დიახ, იწერება და დაიწერება ათასნაირი წიგნები დალესტნური ენე-  
ბის გრამატიკასა და სინტაქსზე, ფონეტიკასა და ლექსიკაზე. სამუშაო  
მართლაც იმდენია, რომ თქვენც გეყოფათ და თქვენს შვილებსაც, მეც-  
ნიერებო.

კამათობენ მეცნიერები: ზოგი ამბობს, ამდენი ენააო დალესტანში,  
ზოგი — იმდენიო, ზოგი — ასე და ასე წარმოიშვა ენები, ზოგი — ისეო.  
ბევრი რამ არის სადაო და საკამათო. მე კი ერთი რამ ვიცი: ჩვენში ერთი  
ურმით შეიძლება ხუთ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხმა იმგზავ-  
როს. გზაჯვარედინზე ხუთი ურემი რომ გაჩერდება; შეიძლება ოცდაათი  
ენაც გაიგონოს კაცმა.

უღუბი ბუინაკსის არალეგალური პარტიული ორგანიზაცია რომ  
დახვრიტეს (ექვსი კაცი), სიკვდილის წინ ხუთ ენაზე გაისმა მტრის  
კრულვა. უღუბი ბუინაკსი ყუმინი იყო.

საიდ აბდულგალიმოვი — ხუნძი.

აბდულ-ვაგაბ-გაჯიევი — დარგინელი.

მეჯიდ ალი-ოღლი — ყუმინი.

აბდურახმან ისმაილოვი — ლეკი.

ოსკარ ლეშჩინსკი — რუსი.

დალესტნელ მწერალ მაჰმად სულიმანოვს თხუთმეტი მოთხრობა აქვს

დაღესტნის თხუთმეტი სხვადასხვა ეროვნების თხუთმეტ მაჰმადზე მოთხოვნებსაც ასე ეწოდება: „თხუთმეტი მაჰმადი“.

რუსმა მწერალმა დიმიტრი ტრუნიოვმა დაწერა ნარკვევი კოლმეურ-ნობაზე, სადაც ოცდათორმეტი ეროვნების ხალხი შრომობს.

ეფენდი კაბიევს უბის წიგნაკში უწერია, როგორ გაემგზავრნენ მოსკოვში მწერლების პირველ ყრილობაზე ისა და კიდევ სამი დაღესტნელი მწერალი: სულეიმან სტალსკი, გამზათ ცადასი და აბდულა მაჰმადოვი. სამი დღე და ღამე იყვნენ ერთ კუბეში დაღესტნის ოთხი სახალხო პოეტი და ერთმანეთთან საუბარი არ შეეძლოთ. თითოეულმა მხოლოდ თავისი ენა იცოდა და ხელებითლა აგებინებდნენ ერთმანეთს.

თავის პარტიზანულ ცხოვრებას რომ გვიამბობს, აბუთალიბი იხსენებს: „ერთ ჯამ ქუმელს ოც ენაზე მოლაპარაკენი ვუსხედით გარშემო. ერთ ტომარა ფქვილს ოც ეროვნებაზე ანაწილებდნენ“.

ჩვენში ქვემო ჯუნტუგაი და ზემო ჯუნტუგაი არის. სამი კილომეტრით არიან დაშორებული ერთმანეთს. ქვემო ჯუნტუგაიში ყუმბისურ ენაზე ლაპარაკობენ, ზემო ჯუნტუგაიში კი — ხუნძურზე.

დარგინელები ამბობენ, მეგებში დარგინელები ცხოვრობენო, ხუნძები ამბობენ—ხუნძებიო. თვითონ მეგებელები რაღას ამბობენ? არც დარგინელები ვართ და არც ხუნძები, ჩვენ მეგებელები ვართ და ენაც მეგებური გვაქვსო. მეგებიდან შვიდ კილომეტრს გაივლი და ჩოხში მოხვდები. იქ მეგებური არ გამოგადგება, სულ სხვა ენაა საჭირო.

ამბობენ, იმიტომ იყო ყუბაჩელი ოქრომჭედლების ოსტატობის საიდუმლოება ამდენ ხანს ამოუხსნელი, რომ იმათი ენა არავინ იცოდაო. ზოგჯერ გინდა ვილაცას გაანდო საიდუმლო, მაგრამ როგორ?

ამბობენ, ერთხელ ხუნძახის ხანმა შიკრიკი გააგზავნა გიდატლში, უნდოდა გაეგო, რას ლაპარაკობდნენ ისინი გოდეკანსა და ბაზარში. შიკრიკი ვადაზე აღრე დაბრუნდა.

— ყველაფერი გაიგე?

— ვერაფერიც ვერ გავიგე.

— რატომ?

— თითოეული თავის ენაზე ლაპარაკობს. ჩვენთვის იმათი ენა გაუგებარია.

ერთი მთიელი ანდაში წავიდა ნაბდის საყიდლად. ერთი ნაბადი მოეწონა, ფასი იკითხა და ვაჭრობა დაიწყო. უცბად ანდიელები თავის ენაზე ალაპარაკდნენ.

მთიელმა თქვა:

— რაკი მე მყიდველი ვარ, ისეთ ენაზე ილაპარაკეთ, მეც რომ გავიგო.

— მასეთ ენაზე მაშინ ვილაპარაკებთ, ჩვენი ფასი კუბაში რომ დავიჭდება.



ერთ მთიელს ლამაზი გოგო შეუყვარდა და გადაწყვიტა სამი სანუკ-  
ვარი სიტყვა დაეწერა მისთვის: „მე შენ მიყვარხარ“, მაგრამ წერილით  
კი არ გაეგზავნა, არამედ ისეთ ადგილას წაეწერა, სადაც გოგო დადიოდა  
და მის აღსარებას წაიკითხავდა: ან წყაროსკენ მიმავალ ბილიკზე, ან ამ  
გოგოს სახლის კედელზე, ან თავის ფანდურზე. ეს არც ისე ძნელი რამ  
იყო, მაგრამ შეყვარებულს აზრად მოუვიდა ეს სამი სიტყვა დაღესტნის  
ყველა ენაზე დაეწერა. ამ მიზნით გამოვიდა შინიდან. ეგონა, ხელად  
მოვრჩებიო საქმეს, მაგრამ თურმე ყველა აულში სხვადასხვანაირად გა-  
მოთქვამენ ამ სიტყვებს.

დიე მუნ იოკულა (ხუნძური).

ზავ ვუნ ქიანდა (ლეკური).

ტუნ ინა ჩაი ბურა (ლაკური).

ხიუ ნაბ რიგულრა (დარგინული).

მენ სენი სიუმემენ (ყუმისხური).

უზუზ უვეუ კუნდუზუზ (ტაბასარანული).

მე ტუირე ხოსდენუმ (თათური).

ახლა ჩოხელები, ცუმადელები, ცუნტელები აიღეთ...

ამბობენ, ახლაც დაბლოტილობს ის შეყვარებული მთა-მთაო. დიდი  
ხანია, ის გოგო გათხოვდა, დაბერდა კიდევ, ჩვენი რაინდი კი ისევ წერს  
და წერს ამ სიტყვებს.

— როგორ არის თქვენებურად „მე შენ მიყვარხარ?“ — ჰკითხა მო-  
ხუცმა ერთ ახალგაზრდას.

ახალგაზრდამ გვერდით მდგომ გოგოს ხელი მოჰხვია და უთხრა:

— ჩვენებურად? აი, ასეა.

თვითეულ პაწია ჩიტს, თვითეულ ყვავილს და ნაკადულს ათობით სა-  
ხელი ჰქვია დაღესტანში.

კონსტიტუციის მიხედვით დაღესტანში რვა ძირითადი ეროვნებაა:  
ხუნძები, დარგინელები, ყუმისხები, ლეკები, ლაკები, თათები, ტაბასარა-  
ნელები, ნოღაელები.

ხუთი ალმანახი გამოდის ხუთ ენაზე — „დუსტავალი“ „დოსლუკი“,  
„ტალმაგდეში“, „გუდულჩი“, თუმცაღა ხუთივეს ერთი სახელწოდება  
აქვს — „მეგობრობა“.

ცხრა ენაზე იბეჭდება დაღესტანში წიგნები, მაგრამ არ იკითხავთ  
რამდენ ენაზე მღერიან? თითოეულ ხალიჩას თავისი ნაყში აქვს, თითოე-  
ულ ხმალს — თავისი წარწერა.

შაინც საიდან გაჩნდა ერთ ხელზე ამდენი თითი? საიდან გაჩნდა და-  
ღესტანში ამდენი ენა?

დაე, მეცნიერებამ ეს თავისებურად ახსნას, მაშაჩემი კი ასე ამბობდა:  
„დადიოდა დედამიწაზე ალაპის მოციქული ჯოხით ხელში და ხალხს  
ენას ურიგებდა ხურჯინიდან. ჩინელებთან იყო და ჩინური ენა მისცა,  
არაბეთში მოხვდა და არაბული ენა მისცა ხალხს. ბერძნებს — ბერძნუ-  
ლი, რუსებს — რუსული, ფრანგებს — ფრანგული. სხვადასხვანაირი  
ენები იყო, ზოგი მკლერი, ზოგი მკვანე, ზოგი კაზმული, ზოგი ნაზი და  
ზოგი კიდევ, ვინ იცის, როგორი. საჩუქრით გახარებული ხალხი მაშინვე  
იწყებდა ლაპარაკს. ენის წყალობით ადამიანებს უკეთესად ესმოდათ  
ერთმანეთის, ხალხს კი უკეთესად ესმოდა მეზობელი ხალხის.“

ჰოდა, აი ჩვენს დაღესტნამდეც მოაღწია ამ კაცმა თავისი ჯორით.  
სულ ახალი მიცემული ჰქონდა ქართველებისთვის ენა, რომელზეც შოთა  
რუსთაველი დაწერდა მერე თავის პოემას, სულ ახლა მისცა ოსებს ოსუ-  
რი ენა, რომელზეც კოსტა ხეთაგუროვი დაიწყებს წერას. და აი, ჩვენი  
რიგიც მოვიდა.

სწორედ იმ დღეს დაღესტნის მთებში ქარბუქი იყო. ხეობებიდან  
ახვეტილი თოვლი ცამდე ადიოდა, არც გზები ჩანდა და არც სახლები.  
მარტო ქარის სტვენა, ჩამომზღვლეული კლდეების გრუბუნე და ჩვენი  
ოთხი მდინარის, ოთხი ყოისუს ღრიალი ისმოდა. ენების დამრიგებლებს  
ულვაშები შეჰყინვოდათ უკვე.

— არა, ამ კლდეებზე ვერ ვიბლოტიალე, ისიც ამნაირ ამინდში.

ჩაპყო ხელი ხურჯინში და ორი მუჭა ენა ჩვენს მთებში გადააბნია.

— ვისაც რომელი გინდათ, ის ამოირჩიეთ, — დაიძახა მაცნემ და  
ალაპთან დაბრუნდა. ენები ქარბუქმა გაიტაცა და ხეობებსა და კლდეებს  
მოჰფინა. გამოვარდნენ სახლებიდან დაღესტნელები ოქროს წვიმის შე-  
საგებებლად, ათასი წლობით რომ ელოდნენ. ჯიკავ-ჯიკავით იტაცებდნენ  
უძვირფასეს მარცვლებს, ვისაც რა შეხვდებოდა. ყველამ მაშინ იშოვა  
შშობლიური ენა. გაიქცნენ მთიელები თავიანთი ნადავლით სახლებში და  
დაიწყეს ლოდინი, როდის ჩადგებოდა ქარბუქი.

დილით ადგნენ და რას ხედავენ: სადაა თოვლი, კაშკაშებს მზე, მაგ-  
რამ რა მზე, მთაა, მაგრამ რა მთა! ახლა უკვე სახელიც შეიძლება დაუ-  
ძახონ. ხედავენ ზღვას, ეს ახლა უკვე ზღვაა, ამასაც თავისი სახელი აქვს.  
რაც თვალში მოხვდათ, ყველაფერს თავისი სახელი გაუჩნდა. რა ბედნი-  
ერებაა, აი პური, აი დედა, აი კერა, აი შვილი, აი მეზობელი, აი ხალხი.  
გამოცვივდნენ გარეთ და ყველამ ერთად დაიძახა: „მთა“, მაგრამ ყველას  
სხვადასხვანაირად გამოუვიდა. დაიძახეს „ზღვა“ და ისიც სხვადასხვანა-  
ირად გამოუვიდათ. ასე წარმოიშენენ შემდეგში ხუნძები, ლეკები, დარ-  
გინელები, ყუმიხები, თათები, ლაკები, ყველას ერთად კი დღემდე და-  
ღესტანი ეწოდება. გამოეყვნენ ადამიანები ცხვრებს, მგლებს, ცხენებს,  
კუტკალიებს... ამბობენ, სულ ცოტა დააკლდა ცხენს ადამიანობამდეო.  
ღვთის მოციქულო, რატომ შეუშინდი მაშინ ქარბუქსა და ციცაბო

მთებს? რატომ გადმოგვიყარე ენები ბრმაღ? ეს რა გვიყავ! სულით, გულ-  
ლით, წესებითა და ადამიანით ახლო მდგომი, ერთნაირი ადამიანები  
დააშორიშორე, სხვადასხვა ენით განაცალკევე. თუმცა ამისთვისაც მად-  
ლობელი ვართ. ცუდი ენა არ არსებობს, სხვა მხრივ კი ჩვენ თვითონ  
მოვეუვლით როგორმე თავს. გამოვნახავთ ერთმანეთისკენ გზებს, ისე  
ვიზამთ, რომ სხვადასხვა ენა კი არ გვაშორებდეს ერთმანეთს, გვაერთი-  
ანებდეს.

გავიდა დრო და ვინღა არ დაგვესხა თავს: კოჭლი თემური, არაბები,  
ირანის შაჰი... ყველას თავისი ენა უნდოდა მოეხვია ჩვენთვის თავზე,  
მაგრამ ხელზე რომ გვეჭაჭგურებოდნენ, თითები არ მოგვეძრობია, ჩვენ  
ხეს ანჭლრევდნენ და ტოტები არ დაგვეტეხია.

„მშობელ მიწასავით უნდა გაფრთხილება ენას“, — თქვა შამილმა.

„სიტყვები ტყვიებსა ჰგავს, ტყუილუბრალოდ არ უნდა დახარჯო“, —  
დაუმატა ჰაჯი-მურატმა.

„როცა მამა კვდება, შვილებს სახლს, მინდორს, ხმალსა და ფანდურს  
უტოვებს, თაობა კი ენას უტოვებს შემდგომ თაობას. ვისაც ენა აქვს, ის  
სახლსაც აიშენებს, მინდორსაც მოხნავს, ხმალსაც გამოკვეთავს, ფან-  
დურსაც ააწყობს და დაუკრავს კიდეც“, — ასე ამბობდა მამა-  
ჩემი.

ჩემო მშობლიურ ენავ! არ ვიცი, კმაყოფილი ხარ თუ არა ჩემით,  
მე კი შენით ვამაყოფ, როგორც კრიალა წყარო მორაკრაკებს წიაღიდან  
მზისა და სიმწვანისაკენ, ისე მორაკრაკებენ მშობლიური ენის სიტყვები  
ჩემი გულიდან ყელისაკენ. ჩურჩულებს ბაგე, ჩემივე ჩურჩულს მივუგ-  
დებ ყურს, შენ გისმენ, ჩემო მშობლიურ ენავ, და ასე მგონია, მთის  
დაუღვგარი მდინარე შხუის და მიიკვლევს გზას ვიწროებში. მიყვარს  
წყლის შხუილი. ორი ხანჯლის ერთმანეთზე წკრიალიც მიყვარს.

და ეს ხმები ჩემი ენის ხმებია. სიყვარულის ჩურჩულიც მიყვარს.

მეძნელება, ჩემო ენავ, ყველას რომ გავაცნო შენი თავი. რა მდიდარი  
ხარ ბგერებით, და რა ძნელია არახუნძისთვის მათი წარმოთქმა, არადა,  
რა ტკბილად კი წარმოითქმება, როცა შეგიძლია. აი თუნდაც სულ მარ-  
ტივი რამ — ათამდე დათვლა: ცო, კიგო, ლაბგო, უნკიგო, შჩუგო,  
ანლგო, მიკიგო, იჩიგო, ანციგო. უცხოსგან ხუნძურად ათამდე სწორად  
დათვლას ვაქცავობას ვადარებ, აღიდებული მდინარის გადაცურვას რომ  
სჭირდება. ათამდე თუ დათვლი სწორად, ათის მერეც აღარ გავიჭირდება.  
მაშინ უკვე ცურვაც იცი. ჰოდა, გაბედულად გასწიე წინ.

სხვებზე რა უნდა გითხრათ, როცა ხუნძ ბავშვებსაც ეუბნებოდნენ  
მოხუცები, — აბა ზედიზედ სამჯერ შეუფერხებლად თქვი: „კიოდა  
გიორკ კივერკ კივაკვადანა“, რაც ნიშნავს „ბაყაყი წყალში ყიყინებს“.

სულ ოთხი სიტყვა და ბავშვები ზოგჯერ მთელი დღე ვვარჯიშობდით, სწრაფად და სწორად რომ გვეთქვა ეს წინადადება.

აბუთალიბმა იცოდა ხუნძური ენა. ერთხელ ვაეიშვილი გამოგზავნა ცადაში, იმასაც რომ ესწავლა ხუნძური. როცა ბიჭი უკან დაბრუნდა, აბუთალიბმა ჰკითხა:

- ვირზე იჯექი?
- ვიჯექი.
- ათამდე თვლა შეგიძლია?
- შემიძლია.

— აბა სამჯერ ზედისხედ მითხარი: „კიოდა გიორკ კივერკ კივაკა-დანა“.

შვილმა უთხრა.

— ოო, შემიძლია ვთქვა, რომ საკუთარ იდაყვზე კბენა შეგიძლია.

ასეთია კლდეებში შეყუყულები ჩვენი აულები ენა. არც ერთი ენის ანბანში არ აღმოჩნდა ასო, ჩვენი გამოთქმა რომ ჩაეწერათ — მქცნიერული ენით რომ ვთქვათ, ჩვენი ხორხისმიერი და ფშვინვიერი ბგერების ტრანსკრიფცია რომ მოეცა. ამიტომ, ჩვენი ანბანი რომ იქმნებოდა, რუსულ ასოებზე განსაკუთრებული ასოების დამატება გახდა საჭირო. ეს განსაკუთრებით თანხმობენებს ეხება.

აღბათ ამ ზედმეტი ასოების მიზეზია, რომ რუსულ ენაზე თარგმნილი ნებისმიერი წიგნი უფრო პატარად გამოიყურება. იგი შეიძლება მთელს შეადაროთ, სამთვიანი მუსულმანური მარხვა რომ შეუწახავს.

ვილაცამ შამილს ჰკითხა:

— რად უნდა დალესტანს ამდენი ეროვნება?

— ერთმა მეორე რომ იხსნას, გაჭირვებაში თუ ჩავარდა, ერთმა მეორეს რომ აუწყოს სიმღერა.

— მერე ყველანი გამოდიოდნენ ერთის დასახმარებლად?

— გამოდიოდნენ, არავინ არ რჩებოდა განზე.

— სიმღერაც ხმაშეწყობილი გამოდიოდა?

— ხმაშეწყობილი, ჩვენ ხომ ერთი სამშობლო გვაქვს.

ჰანგი ბევრია, მაგრამ ერთ სიმღერას ქმნის. ენასა და ენას შორის არის საზღვარი, გულებს შორის კი — არა. ცალკეულ აღამიანთა გმირობაც ხომ ერთ გმირობად იქცა ბოლოს და ბოლოს.

— მაინც არის თუ არა განსხვავება ეროვნებებს შორის?

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალზე ძნელია.

ამბობენ, ამდენი ეროვნება იმიტომ შეიქმნაო ჩვენში, რომ ერთნი იომებენ, მეორენი — იარაღს გამოაწრობენ, მესამენი — ცხვარს მომწყემსავენ, მეოთხენი მიწას მოხნავენ, მეხუთენი ბალებს გააშენებენ... მაგრამ ეს ზღაპარია. ყველა ერსა ჰყავს მებრძოლებიც, მკვდლებიც,



მწყემსებიც, მებაღეებიც, ყველასა ჰყავს გმირებიც, მომღერლებიცა და  
ოსტატებიც.

ხუნძები: შამილი, ჰაჯი-მურატი, ჰამზათი, მაჰმუდი, მახაჩი.

დარჯინელებია: ბატირაი, ბაგატირევი, ახმედი, მუნგი, რაბადან ნუ-  
როვი, ყარა ყარაევი.

ლექები: სულეიმანი, ემინი, ტაპირი, აგასიევი, ემიროვი.

ყუმინები: ირჩი კაზაკი, ალიმ-ფაშა, ულუბი, სულთან-საიდი, ზაინუ-  
ლაბიდი, ბატირმურზაევი, ნუხაი.

ლაკები: გარუნ საიდოვი, საიდ გაბიევი, ეფენდი კაბიევი, სურხაი და  
კიდევ ჩემი მეგობარი აბუთალიბი.

აქ მე მხოლოდ ის ეროვნებები ჩამოვთვალე, ვინც უცბად გამახსენ-  
და, ვინც პირველად მომაგონდა. თორემ ჩვენში ეროვნებანიც ბლომადაა  
და ნათელმოსილი სახელებიც.

ზოგზე ამბობენ, ქარაფშუტები არიანო, ზოგზე — წაისულელებენო,  
ზოგზე — ქურდებიანო, სხვები — მატყუარებიანო. ჩემი აზრით, ეს ცი-  
ლისწამებაა.

ყველა ხალხშია მალალი და დაბალი ადამიანი, ლამაზიც და მახინჯიც,  
ქურდიც და ცილისმწამებელიც. მაგრამ ესენი ერის სარეველები არიან  
და არა თვით ერი.

ერთი ჩემი მეგობარიც ასე ამბობდა:

— მე წამში შევატყობ კაცს, რა ეროვნებისაა.

— რანაირად?

— სულ უბრალოდ. დაღესტნის ერთი ეროვნების ხალხი (არ დავასა-  
ხელებ, რომელი), ჩამოვლენ თუ არა მახაჩყალაში, მაშინვე რესტორანსა  
და ლამაზ გოგოებს ეძებენ. ასეთი სამი კაცი მთელ სუფრა მოქეიფეებს  
უდრის. მეორე ეროვნების ხალხი (არც იმას დავასახელებ), მაშინვე კი-  
ნოში, თეატრსა და კონცერტზე გარბის. ასეთი სამი კაცი თუ შეგროვდა,  
უკვე ორკესტრია, ხუთი — ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი. მესამენი  
ბიბლიოთეკისკენ მიეშურებიან, — ინსტიტუტში მოწყობა, დისერტაცი-  
ის დაცვა უნდათ. სამი ასეთი კაცი სამეცნიერო საბჭოა, ხუთი — აკადე-  
მიის ფილიალი. მეოთხენი მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, როგორ იყიდონ  
მანქანა ან მძღოლებად მაინც მოეწყონ, უკიდურეს შემთხვევაში კი  
ავტოინსპექციაში შეყონ თავი. ასეთი სამი კაცი ავტობაზაა; ხუთი —  
ტაქს-მოტორის პარკი. მეხუთენი კი ყველაფერს რომელიმე არტელსა თუ  
მალაზიას, ბაზას, სასადილოს ან თუნდაც ფარდულს ამჯობინებენ. ასეთი  
სამი სადაც მოხვდება, უნივერსალია, ხუთი — საწარმოო კომბინატი.

მაგრამ ეს ყველაფერი ხომ ხუმრობითაა ნათქვამი. განა არის სადმე  
ისეთი ხალხი, სადაც მამაკაცებს ლამაზი ქალები არ უყვართ, ან რესტო-  
რანში ქეიფზე იტყვიან უარს?

ყველას თავისი თეატრი აქვს, თავისი ცეკვები და სიმღერები. ჩვენ

ყველა ეროვნებისათვის ერთი საერთო ანსამბლიც გვაქვს „ლეკური“  
ყველა ხალხში მოიძებნება „ვოლგის“ შექმნის მსურველები თუ მაღაზი-  
აში მუშაობის მოყვარულნი, მაგრამ ეს განა ეროვნული ხასიათია? აბუ-  
თალიბმა ერთი სენი დაასახელა, რომელიც ადრე არც სმენიათ დაღეს-  
ტანში — ეს ლოთობა გახლავთ.

აბუთალიბმა თქვა: „წინათ ჩვენს აულში ერთი ლოთი იყო და ამით  
იცნობდნენ მთელ ოლქში. ახლა კი ერთი ფხიზელია ჩვენს აულში და  
თითქოს საოცრება იყოს, საიდან არ მოდიან მის სანახავად“.

კიდევ ბევრ რასმე ჰყვება აბუთალიბი ლოთობის ამბავზე, მაგრამ  
ამას რომ გამოვეყიდოთ, შორს წაგვიყვანს და დაგვაიწყვდება, რაზე ვსა-  
უბრობდით. ჩვენ კი ვმსჯელობდით, როგორ განვასხვავოთ დაღესტნის  
ერთი ეროვნების წარმომადგენელი მეორისაგან. იქნებ ისევ ჩაცმულო-  
ბით? ან ფაფახი აქვს სხვანაირი ან სულ სხვანაირად იხურავს ამ ფაფახს?  
მაგრამ ახლა ხომ ყველა ერთნაირ პიჯაკს, შარვალს, ფეხსაცმელსა და  
ქუდს ატარებს? არა, ერთადერთი, რაც სხვადასხვა ეროვნების ხალხს  
განასხვავებს, ენაა. ის კი არადა, როცა რუსულად ლაპარაკობს ლეკი თუ  
თათი, ხუნძი თუ დარგინელი, მხოლოდ კილოთი, უფრო სწორად რუსუ-  
ლი ენის დამახინჯებითაც გააჩჩევთ ერთმანეთისგან ყუმბისა და ლაკს,  
ლეკსა და ყუმბისს.

მაგალითად, ხუნძები „ს“-თი დაწყებულ ყველა სიტყვას წინ „ი“-ს  
უმატებენ: „სტამბოლი“ — „ისტამბოლი“, „სტალსკი“ — „ისტალსკი“  
და სხვა.

თუ სიტყვის შუაში შეხვდათ, „ი“ იკარგება: „სბირ“ — ციმბირი,  
„ბელბერდა“ — ბელიბერდა.

„ტ“-ს შემდეგ თითქოს ისვენებენ: „ტ, ავარიშჩ“.

დარგინელები ხშირად „ო“-ს ნაცვლად „უ“-ს ხმარობენ: „პუჩტა“ —  
„почта“, „კუშკა“ — „кошка“. ასევე ხმარობენ „უ“-ს „ი“-ს ნაცვლად.  
ლაკები „ხ“-ს რბილად გამოთქვამენ: ხხულოქნიკ — ხულოქნიკის ნაც-  
ვლად. აბუთალიბი მაგალითად ასე იტყვის: „Хъапалиев. Хъузанган  
приехал“.

მოკლედ, ზოგი აგრძელებს ხმოვნებს, ზოგი ამოკლებს, ზოგი კვეცავს.  
ერთნი მეტისმეტად მკვახედ გამოთქვამენ ასოებს, მეორენი — მეტისმე-  
ტად რბილად. ბევრნი „ჟ“-ს ნაცვლად „პ“-ს წარმოთქვამენ.

ერთხელ აბუთალიბის თანდასწრებით ვლაპარაკობდით ჩვენს ენებზე.  
ჩემი თანამოსაუბრე ხან ერთი ენის გამოთქმებს ბაძავდა და ხან მეორის.  
აბუთალიბმა უსმინა, უსმინა, მერე შეაწყვეტინა და უთხრა:

— აბა, დაჩუმდი. შენ დიდხანს ილაქლაქე, ახლა მე მაცალე. ერთი  
კაცის ნაკლი მთელ ერს როდი უნდა მიაწერო. ტყე ერთი ხისგან კი არ  
შედგება, არც ასი ხეა ხოლმე ტყე. ჩვენი ენების საკითხი რთული საკი-  
თხია. ეს ისეთი კვანძია, სველი თოკით რომ გამოწასკვავ. ერთ დროს

საკითხი გადაჭრილად მიაჩნდათ, თუკი ჩათვლიდნენ. ვითომ ეს საკითხი არ არსებობდა. არ შეეხო, არ ილაპარაკო იმაზე, და საკითხიც გადაჭრილი იქნება! მაგრამ საკითხი ხომ არსებობს. ძველად ყველაზე ხშირად ეროვნული შუღლი იყო ხოლმე ომის მიზეზი.

ერთი პრესკონფერენცია მახსენდება, ეს მახაჩალაში იყო. ოცდაცხრა სხვადასხვა სახელმწიფოს წარმომადგენელი კორესპონდენტი ჩამოვიდა დაღესტანში. ჯერ აულები შემოიარეს, ელაპარაკნენ მთიელ ქალებსა და კაცებს, შემდეგ კი კონფერენციაზე მოიყარეს თავი. გაიტყა-ცუნეს ფოტოაპარატებმა და კინოკამერებმა. კორესპონდენტებმა თან-ქრებს წვერი წაუმახეს და სუფთა ქალაღდეები მოიმარჯვეს.

შემოგუსხედით ყველანი დიდ მაგიდას. ყველაზე უფროსი აბუთალი-ბი აღმოჩნდა. მასვე დავავალეთ პრესკონფერენციის გახსნა.

აბუთალიბმა დაიწყო:

— ქალბატონებო და ბატონებო, ამხანაგებო (ჩვენ ვასწავლეთ კონფერენცია ასე გაეხსნა, შემდეგ თვითონ იცოდა თავის საქმის), მოდი, ერთმანეთი გავიცნოთ. აი, ჩვენი სახლი, აი, ჩვენ და აი, ჩვენი გამოჩენილი პოეტები...

აბუთალიბმა კედელზე ჩამოკიდებული სურათებისაკენ მიუთითა. ბატირაი, კაზაკი, შაჰმუდი, სულეიმანი, ჯამშათი, ეფენდი დასცქეროდნენ სურათებიდან სტუმრებს.

რამდენიმე სიტყვით თქვა აბუთალიბმა, ვინ რომელ ეროვნებას ეკუთვნოდა, რა ენაზე წერდა, როგორ ცხოვრობდა, როგორი სახელი დატოვა. როცა აბუთალიბის სურათზე მიდგა ჯერი, არც შეცბუნებულა, ისე თქვა:

— ეს კი მე ვარ, ოღონდ კედლიდან ჩამოსული არ გეგონოთ ამ მაგიდასთან, პირიქით, ამ მაგიდის წყალობით მოგხვდი კედელზე.

ამის შემდეგ აბუთალიბმა იქ მსხდომი პოეტები წარუდგინა სტუმრებს და დაუმატა, იქნებ რომელიმე მათგანისთვისაც მოიძებნოს ადგილი ამ კედელზეო.

— გაიცანით: ახმედჰან აბუ-ბაქარი — ყუბაჩელი ოქრომჭედელი, დაღესტნის სახალხო მწერალი.

ფაზუ და მუსა — ცოლ-ქმარი. ორი მწერალი, ორი რომანისტი, ორი პოეტი, ორი დრამატურგი ერთი ოჯახიდან. ხან ერთად წერენ და ხან ცალ-ცალკე.

მუთალიბ მითაროვი — ტაბასარანელი პოეტი, ხუნძების სიძე.

შახემირ მურადოვი — „მშვიდობის მტრედი“. ლეკი პოეტი. დღენი-აღად მტრედებზე წერს.

უამიღინი — ჩვენი სატირიკოსი, ჩვენი მარჯ ტვენი და ამავე დროს ჩვენი ლიტფონდი.

ანვარი — დალესტნის სახალხო პოეტი, ხუთი ლიტერატურული აღმ-  
ნახის მთავარი რედაქტორი.

ტრუნოვი — დალესტანში მცხოვრები რუსი მწერალი.

ხიზგილ ავშალუმოვი — თათი მწერალი. მშობლიურსა და რუსულ  
ენაზე წერს.

აბუთალიბმა ფეხზე წამოაყენა: ბადავი, სულეიმანი, საშა გრაჩი, იბ-  
რაგიმი, ალირზა, მეჯიდი, აშულ რუტულსკი, გააცნო სტუმრებს ლიტერა-  
ტურული აღმანახების რედაქტორები და ბოლოს დასძინა:

— სტუმარ-მასპინძლობის წესი გვიკრძალავს, ვინაობა გამოვკითხოთ  
სტუმრებს...

მაშინვე წამოდგნენ სტუმრები და რიგრიგობით მოგვახსენეს, ვინ  
რომელი ქვეყნიდან და რომელი გაზეთიდან იყო წარმოგზავნილი.

შემდეგ, როგორც პრესკონფერენციის წესია, დაიწყო კითხვა-პასუ-  
ხები.

კითხვა: იმდენი ენა და იმდენი ეროვნებაა თქვენთან, პირდაპირ  
ბაბილონის გოდოლია; ნეტა როგორ აგებინებთ ერთმანეთს?

აბუთალიბი: სალაპარაკო ენა სხვადასხვანაირია, ენა, პირში  
რომ გვაქვს — ერთნაირი. ამას (აბუთალიბმა ხელი გულზე დაიდო) კარ-  
გად ესმის, ამათ კი (ახლა ყურები აიჭვინა) — ცუდად.

კითხვა: მე ბულგარეთის გაზეთის კორესპონდენტი ვარ, მაინტე-  
რესებს, არის თუ არა ისეთი მსგავსება დალესტნის სხვადასხვა ენებს შო-  
რის, როგორც, მაგალითად, ბულგარულ და რუსულ ენებშია?

აბუთალიბი: ბულგარული და რუსული ენები ღვიძლი ძმებია,  
ჩვენი ენები კი გარე ბიძაშვილებიც არ არიან, ერთნაირი სიტყვებიც კი  
არ მოეძებებათ. ჩვენს მწერლებს შორის რაღაც დაჯგუფება მაინც არის,  
ენებს შორის კი — არავითარი. თვითეული თავისთვის არის.

კითხვა: რომელ სხვა ენას ენათესავებიან თქვენი ენები, ენათა  
რომელ ჯგუფს განეკუთვნებიან?

აბუთალიბი: თათები ამბობენ, რომ ტაჯიკური ენა ესმით და  
ჰაფეზის წაკითხვა შეუძლიათ. მე კი ვეკითხები მათ: თუ საადისა და  
ხაიამის ენა გესმით, რატომ ისე ვერ წერთ, როგორც ისინი წერდნენ-  
მეთქი. წინათ, ნიშნობის დროს, საქმროს რომ აქებდნენ, ამბობდნენ, ყუ-  
მიხური ენა იცისო, მაშასადამე, საქმრო ზედმიწევნით მცოდნე გახ-  
ლავთო...

მართლაც, ყუმიხური ენა თუ იცი, თურქულსაც გაიგებ, აზერბაიჯან-  
ულსაც, თათრულსაც, ბალყარულსაც, ყაზახურსაც, ბაშკირულსაც და  
სხვა მონათესავე ენებსაც. პიქმეთს, ყაისინ ყულიევს და მუსტაია კარიმს  
წაიკითხავ. ჩემი ენა კი თვით ლაკების გარდა მხოლოდ მეცნიერებს  
ესმით, შრავალი წლის შრომა რომ მიუძღვნეს მას. ერთმა ცნობილმა

ლაკმა მსოფლიო შემოიარა, ეთიოპიაშიც კი იყო მინისტრად და ამტკიცებდა, არსად შემხვედრიაო ლაკურის მსგავსი ენა.

ო მ ა რ გ ა ჯ ი: ჩვენი ხუნძური ენაც არც ერთ ენას არა ჰგავს.

ა ბ უ თ ა ლ ი ბ ი: არც დარგინულის, ლეკურისა და ტაბასარანულის მსგავსი ენები მოიძვეება სადმე.

კ ი თ ხ ვ ა: როგორ შეისწავლეთ ერთმანეთისგან ასე განსხვავებული ენები?

ა ბ უ თ ა ლ ი ბ ი: თავის დროზე ბევრს დავეხეტებოდი დალესტანში. ხალხს სიმღერა სჭირდებოდა, მე კიდევ — პური. აულში რომ შეხვალ, თუ იმათი ენა არ იცი, ძალღუბიც კი უფრო გაავეებით გიღრენენ. გაჭირვებამ მასწავლა ჩვენი დალესტანური ენები.

კ ი თ ხ ვ ა: უფრო დაწვრილებით ვერ მოგვეთხრობთ ენებს შორის მსგავსებასა და განსხვავებაზე? ან როგორ მოხდა, რომ ასეთ პატარა ქვეყანაში ამდენი ერთმანეთისაგან განსხვავებული ენა არსებობს?

ა ბ უ თ ა ლ ი ბ ი: ჩვენი ენების მსგავსებასა და განსხვავებაზე მრავალი წიგნია დაწერილი. მე მეცნიერი არა ვარ, მაგრამ გიამბობთ ისე, როგორც წარმოდგენილი მაქვს. ერთნი მთაში ვართ დაბადებულნი, მეორენი დაბლობზე, ზოგი ცივ, ზოგი — თბილ ადგილას, ერთნი მდინარის პირას, მეორენი — ზღვისა. ერთნი იქ დაეიბადეთ, სადაც მინდორია, მაგრამ ხარი არ არის, მეორენი იქ — სადაც ხარია და მინდორი არ არის. ერთნი იქ დაეიბადეთ, სადაც ცეცხლია და წყალი არაა, მეორენი იქ, სადაც წყალია და ცეცხლი არაა. ზოგან ხორცი იშოვება, ზოგან — პური, ზოგან კიდევ — ხილი. სადაც ყველს ინახავდნენ, იქ ვირთხები გაჩნდნენ, სადაც ცხვარი ძოვს, იქ — მგლები. ახლა ისტორია, ომები, გეოგრაფია, სხვადასხვა მეზობლები, ბუნება.

სიტყვა ბუნებას ჩვენთან ორი მნიშვნელობა აქვს. ერთ შემთხვევაში მიწას, ბალახს, ხეებს, მთებს ნიშნავს, მეორეში — ადამიანის ხასიათს. სხვადასხვა ადგილებში ბუნების ნაირსახეობამ სხვადასხვა სახელები, წესები და ადათები წარმოშვა.

სხვადასხვა მხარეში სხვადასხვანაირად იხურავენ ფაფახს, სხვადასხვანაირად იცვამენ, სხვადასხვანაირად აშენებენ სახლებს. იავნანაც სხვადასხვანაირი აქვთ. მაჰმუდი ორსიმიან ფანდურზე ამღერებდა თავის სიმღერებს, ირჩი კაზაკის ფანდურს სამი სიმი ჰქონდა. ლეკი სულემან სტალსკი თარზე უკრავდა. ზოგიერთი საკრავის სიმებს თხის ნაწლავებისაგან აკეთებდნენ, ზოგისას — რკინისგან.

ხალხი ბევრია და ყველას თავ-თავისი ადათ-წესები აქვს, როგორც ყველგან და ყოველთვის. ბავშვი დაიბადება და ერთნი მონათლავენ, მეორენი წინდაცვეთენ, მესამენი დაბადების მოწმობას გაუმზადებენ. სრულწლოვანი გახდება და ახლა სხვა ადათები უნდა შეასრულოს. აი თუნდაც ქალის გარიგება. თუმცა გარიგებაც რა ხანია ადათად იქცა.

მინდოდა მეთქვა, ცოლს ითხოვს-მეთქი და ახალი ადათებიც იჩენს თან. მაგრამ დაღესტნურ ქორწილებზე რომ გიამბოთ, მთელი დღე არ გვეყოფა. ვისაც სურს, ვაჩუქებთ წიგნს „დაღესტნის ხალხების ადათ-წესები“. შინ რომ დაბრუნდებით, წაიკითხეთ.

კითხვა: ადათ-წესები სხვადასხვა გქონიათ, ენაც სხვადასხვა, მაშ რაღა გაახლოვებთ და განათესავენბთ?

აბუთალიბი: დაღესტანი.

კითხვა: დაღესტანი... ჩვენ გვითხრეს, ეს სიტყვა „მთების ქვეყანას“ ნიშნავსო, მაშასადამე, დაღესტანი მხოლოდ ადგილმდებარეობის სახელია.

აბუთალიბი: ადგილმდებარეობის კი არა. სამშობლოს, რესპუბლიკის სახელია. იგი ერთია ყველასთვის, ბარში თუ მთაში მცხოვრებთათვის. არა, დაღესტანი მარტო გეოგრაფიული ცნება როდია. მას თავისი სახე, თავისი სურვილები და ოცნებები აქვს. არსებობს საერთო ისტორია, საერთო ბედი, საერთო სიხარული და ვარამი. განა ერთი თითის სატყვიარს მეორე არ გრძნობს? ჩვენ ისეთი საერთო სიტყვებიცა გვაქვს, როგორიც არის ოქტომბერი, ლენინი, რუსეთი. ამ სიტყვებს თარგმნაც კი არ ჭირდება, ისედაც გასაგებია. ჩვენში ბევრი მწერალია და კამათიც ხშირადაა ხოლმე. ამ სამ სიტყვას კი კამათი არ ჭირდება. გასაგებია?

კითხვა: ეს გასაგებია, მაგრამ აი, რა მინდა გვითხოთ: დღეს ერთ გაზეთში წავეიკითხე ადალო ალიევის ლექსი. რუსულად უთარგმნია ანატოლი ზაიცევს. ქვემოთ მიწერილია, დაღესტნურიდან არის თარგმნილიო. ეს რომელი ენაღა?

აბუთალიბი: ეს ენა არც მე ვიცი. გუშინ ენახე ადალო ალიევი, ველაპარაკე. გუშინ ხუნძი იყო და არ ვიცი, რა დაემართა, ალბათ უბრალო შეცდომაა.

კითხვა: ჩვენთან, ამერიკაშიც ბევრი ეროვნება და ენაა, მაგრამ ძირითადი სახელმწიფო ენა ინგლისურია. ამ ენაზეა მთელი საქმეების წარმოება და დოკუმენტაცია. თქვენთან რომელია ასეთი ენა?

აბუთალიბი: თითოეულისათვის ძირითადი ენა მისი დედის ენაა. ვისაც თავისი მთები არ უყვარს, ის ვერც სხვის დაბლობებს შეიყვარებს. თუ შინ ვერ ნახე ბედნიერება, ქუჩაში ვერ იპოვი. ვისაც თავისი დედისთვის შეუფურთხებია, ის უცხო ქალსაც შეაფურთხებს. როცა კაცს უნდა მაგრად მოეჭიდოს ხმლის ვადას ან მეგობრის ხელს, მას ყველა თითი სჭირდება.

კითხვა: მე წავეიკითხე მუთალიბ მითაროვი პოემა, სადაც ამბობს, რომ არც ხუნძი ვარ, არც თათი და არც ტაბასარანელი, მე დაღესტნელი ვარო. ამაზე რას იტყვი?

აბუთალიბი: (თვალებით მითაროვი მოძებნა) მისმინე, მითარო-

ვო, შენ რომ არც ხუნძი ხარ, არც თათი, არც ყუმბიზი, არც ნოღაელი და არც ლეკი, დიდი ხანია ვიცოდი, მაგრამ ტაბასარანელი რომ არ ყოფილხარ, ეს კი პირველად მესმის. აბა ვინლა ხარ? შეიძლება ხვალ ისიც დაწერო — არც მუთალიბი ვარო და არც მითაროვიო. აი, მე, მაგალითად, აბუთალიბ გაფუროვი, უპირველეს ყოვლისა ლაკი ვარ, მერე დაღესტნელი და მერე საბჭოთა პოეტი. შეიძლება პირიქითაც ვთქვა, პირველ რიგში საბჭოთა პოეტი ვარ, ეცხოვრობ დაღესტნის რესპუბლიკაში, ეროვნებით ლაკი ვარ და ლაკურ ენაზე ვწერ. ესაა ჩემი სანუქვარი განძი. ვერც ერთ მათგანზე ვერ ვიტყვი უარს, მათი გულისთვის ცეცხლშიც ჩავეარდები.

კ ი თ ხ ვ ა: (კორესპონდენტი გღრ-იდან) აი, მე ხელთა მაქვს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ალიქიშიევის წიგნი „სიცოცხლის ხანგრძლივობა დაღესტანში“. აქ იგი ას წელს გადაცილებულ ადამიანებზე წერს და ამტკიცებს, სიცოცხლის ხანგრძლივობით დაღესტანს პირველი ადგილი უჭირავსო საბჭოთა კავშირში. იქვე დასძენს, ეროვნებები თანდათანობით უახლოვდებიან ერთმანეთს და შესაძლებელია დაღესტანში ერთი ეროვნება შეიქმნასო. თითქოს რამდენიმე წლის შემდეგ ხუნძიც, დარგინელიც და ნოღაელიც თავის თავს დაღესტნელად ჩათვლის. პასპორტშიც ასე ჩაიწერება. წავიკითხე აგრეთვე თქვენი ერთი მეცნიერის სტატიები, სადაც დასაბუთებულია, რომ თქვენი ლიტერატურა ეროვნულობის საზღვრებს ამსხვრევს და საერთო დაღესტნური ლიტერატურა ხდება. რაკილა მეცნიერების დოქტორები და კანდიდატები ასეთ საკითხებს აყენებენ თავიანთ წიგნებსა და სტატიებში, მაშასადამე, ეს მნიშვნელოვანი და დიდი საკითხები ყოფილა!

ა ბ უ თ ა ლ ი ბ ი: ამხანაგ ალიქიშიევს მეც ვიცნობ, ჩვენი რაიონიდანაა. ამ მეცნიერმა ბევრი მოხუცი მოინახულა და ესაუბრა, მაგრამ სხვადასხვა ეროვნებებიდან ერთი საერთო ერის წარმოქმნის იდეა კი არც ერთ დარბაისელ მსცოვანს არ მიუწოდებია. ეს მისი საკუთარი გონების ნაყოფია. ბევრი მინახავს ასეთი „მიჩურინელი“, თავის ლაბორატორიაში ისე რომ ატარებდა შეჭვარების ცდებს ენებზე, როგორც კურდღლებზე. დაღესტნის შვიდი სხვადასხვა ეროვნების თეატრის გაერთიანება უნდოდათ, ცდილობდნენ დაღესტნის ხუთი ნაციონალური გაზეთიდან ერთი გაზეთი შეექმნათ. უნდოდათ ჩვენი მწერალთა კავშირის მრავალრიცხოვანი სექციები ერთ სექციად გაერთიანებინათ. ეს კი დატოტვილი ხის სწორ ხედ გადატყვევას ნიშნავდა.

კ ი თ ხ ვ ა: მე ინდოეთის გაზეთის კორესპონდენტი ვახლავართ. ჩვენთანაც ძალზე ბევრი ენა არსებობს: ჰინდი, ურდუ, ბენგალური... ზოგიერთ ეროვნებას უნდოდა, რომ სწორედ მათი ენა გამხდარიყო სა-



ხელმწიფო ენა, ამიტომ ინდოეთში დავა და სისხლიანი შეტაკებებიც კი იყო ამის გამო. თქვენთანაც ხომ არ მომხდარა მსგავსი რამ?

ა ბ უ თ ა ლ ი ბ ი: ასეთი დავა ჩვენთანაც მოხდა ერთხელ ორ ბიჭს შორის. ორი ბიჭი, ხუნძი და ყუმბიხი, ერთი ვირით მიდიოდნენ. „ხია, ხია, ხიმა!“ ყვიროდა ხუნძი ბიჭი. „ეშ, ეშ, ეშექ!“ გაიძახოდა ყუმბიხი. ერთი და მეორეც „ვირს“ ნიშნავს. ბიჭებმა ისე იჩხუბეს, რომ ორივენი გადმოცვივდნენ ვირიდან და ორივენი უხიამოდ და უეშქოდ დარჩნენ. ჩემი აზრით, ეს ბავშვური ჩხუბი იყო. ჩვენს ენებს მგლებად ვერ გადავაქცევთ, ისინი ერთმანეთს არ უღრენენ და არ ჭამენ. ჩვენში ასე ამბობენ: „ოჯახის სულელი თავის მეზობლებს ლანძღავს, აულის სულელი მეზობელ აულებს ლანძღავს, ერის სულელი სხვა ქვეყნებსო“.

ვინც სხვა ენას ცუდად იხსენიებს, იმას ჩვენში კაცად არ თვლიან.

კ ი თ ხ ვ ა: მაშ თქვენ გინდათ თქვათ, რომ ამ საკითხის ირგვლივ თქვენში არც კამათი ყოფილა და არც გაუგებრობას ჰქონია ადგილი?

ა ბ უ თ ა ლ ი ბ ი: კამათი იყო, მაგრამ ჩვენს ენებს სერიოზულად არავინ დასხმია თავს. დაე, ყველამ იმ ენაზე წეროს, იკითხოს, იმღეროს. და ილაპარაკოს, რომელზეც უნდა. შეიძლება კამათობდე და ამტკიცებდე, რომ ეს ცუდია და ეს კარგი, ეს სწორია და ეს არასწორი, ეს ლამაზია და ეს მახინჯი, მაგრამ განა შეიძლება ენები და მთელი ხალხები თუ ეროვნებები ცუდნი იყვნენ? ასეთი კამათი რომ ყოფილიყო კიდევ, ვერც გამარჯვებული გამოვიდოდა ვინმე და ვერც დამარცხებული.

კ ი თ ხ ვ ა: მაინც განა უკეთესი არ იქნებოდა, რომ დალესტანში ერთი ერი და ერთი ენა იყოს?

ა ბ უ თ ა ლ ი ბ ი: ასე ბევრი ამბობს — „ოჰ, ნეტა ერთი ენა გვექონდესო“. კოჭლმა რაჟბადინმა საქართველოზე ერთ-ერთი ლაშქრობის დროს მეფე ერეკლეს უთხრა, ყველა უბედურება იმიტომ დაგვემართა, რომ ერთმანეთის ენა არ ვიცით. ჰაჯი-მურატი თავის იმამს ჰაიდაკ-ტაბასარანიდან სწერდა: ჩვენ ერთმანეთს ვერ გავუგეთო.

რა თქმა უნდა, კარგია, როცა ადამიანებს იოლად ესმით ერთმანეთის, მაგრამ, მე მგონი, არც ისაა ცუდი, ოჯახს ბევრი შვილი რომ ჰყავს. ოჯახმა ყველაზე უნდა იზრუნოს! იშვიათად თუ ნანობს რომელიმე მშობელი შვილთა სიმრავლეს.

ერთნი ამბობენ, ვის რაში სჭირდება ჩვენი ენა დერბენდს იქით, სულ ერთია, ვერავინ გაიგებსო.

მეორენი — რაში გამოვადგებაო ჩვენი ენა არაყინის უღელტეხილს იქით.

ჩვენი სიმღერები ზღვამდე ვერ მიაღწევსო, — ჩივიან მესამენი.

მაგრამ ისინი მეტისმეტად ჩქარობენ, მშობლიური ენა რომ არქივში ჩააბარონ.

კ ი თ ხ ვ ა: კონსოლიდაციაზე რას გვეტყვით?

ა ბ უ თ ა ლ ი ბ ი : კონსოლიდაცია იმ ადამიანებისათვის არის საჭირო, ვინც უცხოები არიან, ძმებისთვის კონსოლიდაცია სრულიად ზედმეტია.

კ ი თ ხ ვ ა : მაგრამ ძმა რომ ძმას დაელაპარაკოს, საერთო ენაა საჭირო.

ა ბ უ თ ა ლ ი ბ ი : ასეთი ენა გვაქვს.

კ ი თ ხ ვ ა : რომელი?

ა ბ უ თ ა ლ ი ბ ი : ის ენა, რომელზეც ახლა ვლაპარაკობთ — რუსული. ეს ენა ესმის ხუნძსაც, დარგინელსაც, ლეკსაც, ყუმიხსაც, ლაქსაც და თათსაც, ყველას ესმის. ჩვენც კარგად გვესმის ამათი (ლერმონტოვის, პუშკინის და ლენინის სურათებზე მიუთითა).

კ ი თ ხ ვ ა : მე წავიკითხე რასულ გამზათოვის ორტომეული. პირველ ტომში — „მშობლიური ენა“, ხუნძურ ენას ასხამს ქებას, მეორე ტომში კი ასეთივე სათაურის ლექსით რუსულ ენას აღიძებს. განა ცალი ხელით ორი კურდღლის დაჭერა შეიძლება? რომელ გამზათოვს დაეუჯეროთ, პირველს თუ მეორეს?

ა ბ უ თ ა ლ ი ბ ი : ამ კითხვაზე თვითონ რასულმა გიპასუხობთ.

რ ა ს უ ლ ი : მეც ასე მგონია, რომ ორ ცხენზე ერთდროულად ჯდომა არ შეიძლება, მაგრამ ორი ცხენის ერთ ურემში შებმა კი შეიძლება. დაე, ერთად გაწიონ უღელი. ორი ცხენი, ორი ენა ეწევა დალესტანს წინ. ერთი რუსული ენაა, მეორე კი — ჩვენი. ხუნძისათვის — ხუნძური, ლაქისთვის — ლაქური, ჩემთვის ჩემი მშობლიური ენაა ძვირფასი. ჩემთვის მეორე მშობლიური ენაც ძვირფასია, რომელმაც ამ მთებით, ამ ბილიკებით დიდსა და მდიდარ სამყაროში გამიყვანა. მშობლიურს მშობლიური უნდა ვუწოდო, სხვანაირად არ შემიძლია.

კ ი თ ხ ვ ა : მაშინ კიდევ ერთი რამ მინდა ვკითხო რასულ გამზათოვს. ის ერთ-ერთ ლექსში წერს: „თუ ჩემი ენა ხვალ უნდა მოკვდეს, მე რომ დღეს მოკვდებ, ის მიჩვენია“. თქვენში ამასაც ამბობენ, უფროსი რომ მოვა, უმცროსი ფეხზე უნდა ადგესო. აი, მოვიდა რუსული ენა, ხომ არ უნდა დაუთმოს მას ადგილი ადგილობრივმა ენებმა? თქვენებურად რომ ვთქვათ, ორი ფაფახის ერთდროულად ტარება არ შეიძლება, ან რატომ უნდა ჩაიდლოთ პირში ერთდროულად ორი სიგარეტი?

რ ა ს უ ლ ი : ენები არც ფაფახებია და არც სიგარეტები. ენა ენის მტერი არ არის. ერთი სიმღერა მეორეს როდი ჰკლავს. რაკი დალესტანში პუშკინი მოვიდა, განა მაჰმუდმა მშობლიური მხარე უნდა დატოვოს? ლერმონტოვი ბატრაის ვერ შეცვლის. მეგობარი ხელს რომ ჩამოგართმევს, შენი ხელი მის ხელში უფრო გათბება და გაღონიერდება, თორემ კი არ დაიკარგება. ენები სიგარეტები კი არა, ცხოვრების ლამპრებია. მე ორი ლამპარი მაქვს. ერთი მამაპაპისეული სახლის ფანჯრიდან მინათებდა გზას. იგი დედაჩემმა დაანთო, გზა რომ არ ამბნეოდა. ეს ლამ-

პარი თუ ჩამიქრა, ჩემი სიცოცხლეც ჩაქრება. ფიზიკურად რომც მოვკვდე, მაინც ბნელეთში ვიქნები. მეორე ლამპარი ჩემმა დიადმა სამშობლომ, რუსეთმა ამინთო, დიდი სამყაროსკენ მავალს რომ ოდა გზა. უიმისოდ ჩემი სიცოცხლე არარაობა იქნება.

ა ბ უ თ ა ლ ი ბ ი: ქვის აწევა ბეჭიდან ცალი ხელით უფრო ადვილია თუ მკერდიდან ორივე ხელით?

კ ი თ ხ ვ ა: მთიელები მაინც ტოვებენ ქოხებს, სადაც დედებმა დაუნთეს ლამპრები, და ბარში სახლდებიან, არა?

ა ბ უ თ ა ლ ი ბ ი: მაგრამ თან მიაქვთ თავიანთი ენა და სახელები. არც ფაფახის წაღება ავიწყდებათ და შინაც იგივე ლამპარი უნთიათ.

კ ი თ ხ ვ ა: იქ ჭაბუკები ხშირად სხვა ეროვნების ქალებს თხოვლობენ. რომელ ენაზე ილაპარაკებენ შემდეგში თვითონ ან იმათი შვილები?

ა ბ უ თ ა ლ ი ბ ი: ერთი ძველი მოთხრობა იციან ჩვენში. შეუყვარდა ახალგაზრდას სხვა ეროვნების გოგო და გადაწყვიტა ცოლად შეერთო. გოგომ უთხრა, ცოლად მაშინ წაწოგყვები, ას დაეალებას თუ შემისარულეზო. ვაჟმაც აღუთქვა. გოგომ ჯერ მოთხოვა პიტალო კლდეზე ადიო, მერე იქიდან ჩამოხტო. გადმოხტა ვაჟი და ფეხი იტყინა. ახლა ისე იარე, არ იკოკლოო, მოსთხოვა გოგომ. რა დავალებები აღარ მისცა ქალმა: ისე გადაცურე მდინარე, ხურჯინი არ დაგისეულდესო; ეს გაქუნებული ცხენი შეაჩერეო, ეს დააჩოქეო ცხენი. ის კი არადა, ვაშლი დიდო მკერდზე და ხმლით გააპეო... ოთხმოცდაცხრამეტი დავალება შეასრულა ჭაბუკმა, ერთიღა დარჩა. „ახლა კი შენი დედა, მამა და ენა დაივიწყეო“, — უთხრა გოგომ. მაშინ მოახტა ვაჟი ცხენს, მათრახი სწყვიტა და სამუდამოდ გასცილდა იქაურობას.

კ ი თ ხ ვ ა: ეს ლამაზი ზღაპარია, სინამდვილეში კი როგორაა საქმე?

ა ბ უ თ ა ლ ი ბ ი: სინამდვილეში, როცა ქალ-ვაჟი ოჯახს ქმნის, ბევრ მოვალეობას კისრულობენ, მაგრამ არც ერთი არ სთხოვს მეორეს, მშობლიური ენა დაივიწყეო. პირიქით, თითოეული ცდილობს მეორე ენა შეისწავლოს. ვწუხვართ, როცა შვილებმა მშობლების ენა არ იციან. მერე შვილებიც საყვედურობენ ამას მშობლებს. ცოდვია ასეთი ხალხი. სინამდვილე კი ეს გახლავთ: აი, ვსხედვართ თქვენ წინ, აი, ჩვენი ლექსები, მოთხრობები, ჩვენი წიგნები, აი, ჩვენი გაზეთები და ჟურნალები. ისინი სხვადასხვა ენაზე გამოდის, ყოველ წელს მეტი და მეტი. ვეებერთელა ქვეყანამ ხელი როდი ჰკრა ჩვენს ენებს. პირიქით, დააკანონა, განამტკიცა ისინი და ვარსკვლავებივით ააელვარა. „ვარსკვლავი ვარსკვლავს ესაუბრება“. ასე რომ არ იყოს, ვერაფერს გაიგებდით ჩვენზე, არ დაინტერესდებოდით ჩვენი, არც ეს შეხვედრა შედგებოდა. აი, როგორია სინამდვილე...

ისევ კითხვები და პასუხები, კითხვები და პასუხები. დრო რომ ყო-

ფილიყო, ალბათ ბოლო არ ექნებოდა ამ კითხვა-პასუხებს. ყველგან და ყოველთვის იყო და არის მსჯელობა ენებზე და ბოლო არ უჩანს...

— ეს პრესკონფერენცია ჩვენს გუნდურ შაირობას ჰგავს, ერთი კომუნიკაცია და მეორე პასუხობს. — თქვეა აბუთალიბმა, ძალიან რომ დაღალა მისთვის უჩვეულო შეკრებამ.

კითხვა ალაღბედზე ნასროლი ისარია, პასუხი — ნიშანში მოხვედრილი ისარი. კითხვა და პასუხი; კითხვის ნიშანი და ძახილის ნიშანი; კითხვა წარსულია, პასუხი — აწმყო.

ძველი დაღესტანი ქვანე ჩამომჯდარ მოხუც ქალს ჰგავდა, იგი კითხვის ნიშანი იყო. დღევანდელი დაღესტანი ძახილის ნიშანია, ქარქაშიდან ამოწვდილი და ზე აღმართული სმალია.

როცა რევოლუციამ დაღესტანამდე მოაღწია, ზოგიერთები დაფრთხნენ და ასე თქვეს, ჩვენი ენებიც დაიკარგება, ჩვენი ეროვნებაც და სახელებიც. შესედა მარუსიად გადაკეთდება და მუსა უასიადო. ამბობდნენ, კაცს დროც არ ექნება თავის ეროვნებასა და სადაურობაზე იფიქროსო, ყველას ერთ საბანს გადაახურავენო. ძლიერები თავისკენ მოქაჩავენ ამ საბანს, სუსტები კი გაიყინებიანო.

არ უსმინა დაღესტანმა ასეთებს. მთის მთავრობის წევრი გაიდარ ბაშატოვი საზღვარგარეთ რომ მიდიოდა, გემბანზე ავიდა და დაიძახა: „არ ირწმუნეთ ჩემი ნათქვამი და ნახეთ, რაც მოხდება“.

რაც შემდეგში მოხდა, ყველა ხედავს, წიგნებშიც წერია და მღერიან კიდევ. ვისაც ყურები აქვს, ესმის, ვისაც თვალები — ხედავს.

ერთ მთიელს საერთო საბნის შეეშინდა, დაღესტანი დატოვა და თურქეთს შიამურა. ორმოცდაათი წლის შემდეგ ჩამოვიდა, რომ ენახა, რა ხდებოდა ჩვენთან. მახაჩყალის დათვალიერება შემეთავაზე. ყოფილ პორტ-პეტროვსკს, რუსი მეფის სახელს რომ ატარებდა, ახლა დაღესტნელი რევოლუციონერის მახაჩის სახელი ჰქვია. სტუმარს დაღესტნის სახელოვანი შვილების: ბატირაის, ულუმბის, კაბიევის სახელობის ქუჩები ვუჩვენე. იგი დიდხანს უყურებდა სანაპიროს ბაღში აღმართულ სულეიმან სტალსკის ძეგლს ლენინის ქუჩაზე. მამაჩემის — ჰამზათ ცადასის ძეგლიც ნახა. თურმე ემიგრაციაში წასვლამდე იცნობდა მამაჩემს. სტუმარი მეცნიერებათა აკადემიის ფილიალის მეცნიერებმა მიიღეს. ისტორიის, ენისა და ლიტერატურის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებს ესაუბრა, ათვალიერებდა დაღესტნის ისტორიისა და ხელოვნების მუზეუმის დარბაზებს. იყო უნივერსიტეტში, სადაც თხუთმეტ სხვადასხვა ფაკულტეტზე მთიელი ქალები და ვაყები სწავლობენ. სალამოს ხუნძურ თეატრში წავედი; ხუნძი ავტორის პიესა ენახეთ ხუნძ ქალზე. ეს ჰაჯი ზალოვის პიესა იყო — „ანხილ მარინი“. როცა რსფსრ-ს სახალხო არტისტმა ფატიმათ ხიზროვეამ ძველი ხუნძური სიმღერა შეას-

რულა, ჩემმა სტუმარმა თავი ველარ შეიკავა და თვალები მოუცრემ-  
ლიანდა.

• დიდხანს იდგა იგი მოედანზე ლენინის ძეგლის წინ და მერე ჩაიღა-  
პარაჯა:

— სიზმარში ხომ არა ვარ?

— ეს სიზმარი ხუნძებს უამბეთ თურქეთში.

— არ დამიჯერებენ, ჩემი თვალით რომ არ მენახა, არც მე დავიჯე-  
რებდი.

აბუთალიბმა თქვა: „პირველად ლერწამი მოვჭერი, სტვირი გავაკეთე  
და ჩავბერე. ჩემი სტვირის ხმა აულმა გაიგონა, მერე ხის ტოტი მოვჭე-  
რი, დუღუკი გამოვთალე და სხვა სიმღერა დავეუკარი. ჩემი სიმღერა შო-  
რეულ მთებში გაიჭრა. ახლა ხე მოვჭერი, ზურნა გამოვთალე და ჩაებე-  
რე, მთელ დაღესტანს მოეფინა მისი ხმა. ბოლოს პატარა ფანქარი ავიღე  
და ლექსი დავეწერე. ის კი დაღესტნის საზღვრებს გასცდა“.

ამგვარად, კიდევ ერთხელ გიხდი მადლობას, ენათა გამრიგვე, სათი-  
თაოდ რომ არ ჩამოუარე მაშინ ჩვენს მთებს, ჩვენს აულებს, ჩვენს გუ-  
ლებს.

მადლობა ყველას, ვინც მშობლიურ ენაზე მღერის და ფიქრობს.

## ს ი მ ლ ე რ ა

„ბაკაან“ — ეს ხუნძური სიტყვა ჰანგსაც ნიშნავს და ადამიანის გუ-  
ნება-განწყობასაც, სამყაროს კეთილდღეობას. რაიმე ჰანგი მომასმენი-  
ნეო, ამბობენ და „ბაკაანს“ ხმარობენ, რა გუნება-განწყობაზე ხარო და  
ისევე „ბაკაანს“ ხმარობენ. ამგვარად, გუნება-განწყობა და სიმღერა ჩვენ-  
ში ერთ სიტყვაშია შერწყმული.

წარწერა ფანდურზე:

ხანჯლით დევგმირსაც აკუწავენ, თუ გაწყრა ღმერთი,

მაგრამ ფანდური თვითონ მკვდარსაც აღადგენს მკვდრეთით.

გაცხრილე სიტყვები, საუბარი და სიმღერა შეგრჩება. სიძულვილი,  
რისხვა, სიყვარული გაცხრილე და სიმღერა შეგრჩება. გაცხრილე შემ-  
თხვევები, საქმეები, ადამიანები, მთელი ცხოვრება გაცხრილე და სიმღე-  
რა დაგრჩება.

„განსაკუთრებით ერთი თავლინური სიმღერა აღელვებდა. სიტყვები  
ცოტა იყო ამ სიმღერაში, მაგრამ ნალვლიანი მინამღერი: „აი, დაი, დალა-  
ლი“ ღირდა ფასად. ეროშკამ სიმღერის სიტყვები თარგმნა: „ვაჟკაცმა  
ფარა გარეკა აულიდან მთაში. მოვიდნენ რუსები და ცეცხლს მისცეს

აული, კაცები დახოცეს და ქალები ტყვედ წაასხეს. ჩამოვიდა ვაჟკაცი მთიდან და სადღა აული! არც სახლი, არც კარი, აღარც დედა და აღარც ძმები. ერთადერთი ხელა გადარჩენილიყო. დაჯდა ვაჟკაცი ამ ხის ძირას და ატირდა. მეც შენსავით ეული ვარ, ხეო, აი, დაი, დალაღაი.. უკვე მღეროდა ვაჟკაცი“ (ლევ ტოლსტოი, „კაზაკები“).

...აი, დაი, დალა-ლაი, დალა, დალა, დულა-ლაი-დულაი! ო, მშობლი-ურთ სიმღერებო, მთის ნაღვლიანო სიმღერებო, როდის გაჩნდით? სად? როგორ? რადა ხართ ასე საოცარნი და მშვენიერნი?

წარწერა ფანდურზე:

ო, მელოდია ნუ გგონიათ სიმთა წკრიალი,  
ეს გული ფეთქავს, კაცის გული ნაპერწკლიანი.

წარწერა ხანჯალზე:

ვარ ორღესული და ღვთისგან მაქვს ორი უფლება:  
მტრის სიკვდილი და თავისუფლება.

წარწერა აკვანზე:

მთაში გაზრდილო ვაჟკაციო,  
ხარივით გიძოვია,  
ქუძუსთან ერთად აკვანში  
სიმღერაც გიწოვია.

წარწერა გზისპირა ქვაზე:

გზას და სიმღერას არა აქვს ბოლო,  
ორივე ვაჟკაცს შეჰფერის მხოლოდ.

წარწერა საფლავის ქვაზე:

იგი მღეროდა... სხვები უსმენდნენ,  
დღეს თვითონ უსმენს სხვათა სიმღერას.

ძველო და ახალო სიმღერებო... იავნანებო, მაყრულებო, საომარნო, გრძელო და მოკლე სიმღერებო, მხიარულნო და ნაღვლიანნო, სად აღარა გმღერიან. ვერცხლის ძაფზე ასხმული მძივებივითაა თქვენი სიტყვები, ლამაზი ქალის ცრემლებივით მოწანწკარებენ, გამოცდილი ხელით ნატყორცნი ისრებივით მიფრინავენ და ხვდებიან მიზანს. სიტყვები იგრაგნებიან და მთის ბილიკებივით იკარგებიან შორეთში, ქვეყნის კიდემდე რომ შეუძლიათ მიგიყვანონ.

სტრიქონებს შორის დარჩენილი სივრცე ქუჩას ჰგავს, სადაც შენი მიჯნურის სახლია; იგი მიჯნაა მამის ყანაში, იგი ეამსა ჰგავს, განთიადის და შებინდებისა, დღისა და ღამის ერთმანეთისგან გამყრელს. ზოგი სიმღერა ქაღალდზე წერია, ზოგი — არა, მაგრამ სულ ერთია, თუ სიმღერაა,

უნდა იმღერებოდეს. თუ არ იმღერება, ისეთი სიმღერა ფრინველმა,  
ფრენა რომ არ ძალუძს, გულია — რომ არ ცემს და არ ფეტქავს.

ჩვენთან, მთებში ამბობენ: როცა მწყემსები არ მღერიან, ცხვრები ბა-  
ლახის ძოვას თავს ანებებენო, სანაგიეროდ, როცა სიმღერა წკრიალებს,  
ამწყვანებულ მთებში თითო კრავებიც კი წიწკნიან ხასხასა ბალახს.

ერთმა ყონალმა მეორეს თხოვა, რაიმე თქვენებური მიმღერეო.  
სტუმარმა ან არ იცოდა, ან სიმღერა არ შეეძლო და თქვა: ჩვენ სიმღე-  
რები არ გვაქვსო.

— ეს თუ მართალია, მაშინ საკითხავია, თქვენ თვითონ ხართ თუ  
არა! უსიმღეროდ სად გაგონილა ხალხი არსებობდეს.

აი, დაი, დალალაი! დალა-დალა, დულა-ლაი! სიმღერა გასაღებია,  
ენის ნაკრძალ სკივრებს რომ აღებს. აი, დაი, დალა-ლაი! დალა-დალა-  
დულა-ლაი!

ახლა მოგიყვებით, როგორ გაჩნდა სიმღერა. დიდი ხანია ლექსი და-  
წერე ამაზე. აი ისიც:

### ხანჯალი და კუმუზი

ცხოვრობდა მთაში კაი ყმა,  
ფეხმარდი, როგორც კანჯარი,  
ერთი ლეღვის ხე გააჩნდა  
და ერთადერთი ხანჯალი.

თურმე ერთი თხაც ჰყოლია,  
ნისლივით კლდეზე გასული.  
ამ საწყალს შეეყვარებია.  
მდიდარი ხანის ასული.

ხანი ამ ამბის გამგონე  
თურმე სიცილით მომკვდარა.  
იმ ბიქს, ცარიელ-ტარიელს,  
სახლ-კარიც არა ჰქონდა რა.

ერთი ხისა და ერთი თხის  
და ერთი ხანჯლის პატრონი  
მე რაში გამომადგება —  
გამწყურალა მთების ბატონი.

ადგა და ქალი სხვას მისცა,  
მზესავით მანათობელი,  
ვინც იყო დიდი ცხვრის ფარის  
და დიდი ვანძის მფლობელი.

დაღონდა ბიჭი მიჯნური,  
გულზე დააჩნდა იარა,



ბატონით გამწარებულმა  
ხანჯალი დაატრიალა.

თხა დაკლა, მოჭრა ლედვის ხე,  
კუმუზის ვათლა ინება,  
თხის მოწყრილად ძარღვები  
კუმუზს გაუბა სიმებად.

აიღებდა და უკრავდა,  
აეღერდებოდა ოცნებით,  
იზადებოდა სიტყვები,  
როგორც ყურანის ლოცვები.

და სიყვარულზე სიმღერამ  
სასწაული ქნა ნამდვილად,  
მრისხანე ხანის ასულის  
გულიც კი მოინადირა.

ამ ამბავს მთებში მღერიან  
და გულზეც მოგეფონება,  
კუმუზს და ხანჯალს რომ თვლიან  
ვაჟკაცის ნამდვილ ქონებად.

კუმუზი და ხანჯალი, ბრძოლა და სიმღერა, სიყვარული და სიამამაცე ჩემი ხალხის ისტორიაა. ამ ორ ნივთს სცემენ ყველაზე უფრო დიდ პატივს მთიელები. კედლის ხალიჩებზე გერბივით გადაჯვარედინებული ჰკიდია ეს ორი განძი. პატივისცემით, ფრთხილად, სიყვარულით იღებენ მათ ხელში. თუ არ ჭირდებათ, ხელსაც არ ახლებენ. ხანჯალი თუ ჩამოგაქვს კედლიდან, რომელიმე უფროსი გეტყვის: „ფრთხილად, ფანდურის სიმი არ გაწყვიტო“. თუ ფანდურს ჩამოხსნი, გეტყვიან: „ფრთხილად, თითი არ გაიჭრა“. ხანჯალზე ფანდურია ამოტვიფრული, ფანდურზე ხანჯალია მიხატული. ქალწულის ვერცხლის გულქანდებზე, ვერცხლის ქამრებზეც ასევე ერთად ტვიფრავენ კუმუზსა და ხანჯალს. ომში რომ მიდიოდნენ, ხანჯალიც მიჰქონდათ და კუმუზიც. მოშიშვლებული და მოწყენილი რჩებოდა საპატიო კედელი ქონში.

— კი მაგრამ, ომში ფანდური რა საჭიროა?

— ოჰ, როგორც კი სიმებს ჩამოჰკრავ, მაშინვე გაჩნდება შენტან მამული, შშობლიური აული, დედისეული სახლი. კაცმაც ხომ სწორედ ამისთვის უნდა იბრძოლოს, ამისთვის გასწიროს თავი.

„აულები გიახლოვდება, როცა ხმლები წკრიალებენ“, — ამბობდნენ მამაცები, მაგრამ არაფერი ისე არ ამოკლებს გზას აულამდე, როგორც ფანდურის ქლერა.

აი, დაი, დალა-ლაი, დალა-დალა-დულაღაი“.

მაჰმუდი კარბატებში მღეროდა და მისი აული, მშობლიური მთები,  
მისი მარიამიც ახლოს ჰყავდა. შემდეგში ანდერძად დაავდო მაჰმუდმა:

საქონელი  
სამართალი

ძმებო, საფლავზე ქვების გროვა არ დამაყაროთ,  
არც მძიმე ბორცვად არ დამადგათ მიწა აყალო,  
ვაჰ, თუ სამარე ისე რივად ამომიქოლოთ,  
ჩემი აულის სიმღერები ვერ გავიგონო.

ძმებო, საფლავში ჩამატანოთ იქნებ ფანდური,  
დე, ბალახივით ამოვიდეს ჰანგი სხარტული.  
იქნებ ლამაზებს ჩემი თავი კვლავ შეეახსენო,  
გული დავწვა და სამუდამოდ არ მოვასვენო.

მაჰმუდს ასეც უთქვამს:

ფანდურს ჩამოეკრავ, ქედს იხრიან მაღალი მთები,  
შენ კი გულგრილი რატომა ხარ, მარიამ ჩემო?  
ფანდურის ხმაზე გველიც ცეკვავს ან ლოცვად ღგება,  
შენ კი გულგრილი რატომა ხარ, მარიამ ჩემო?

გინდათ იცოდეთ, საიდან გაჩნდა მთის სიმღერა?

ის დაიბადა ხალხის სულიდან  
და თარბებში გზა გაილაშქრა,  
იგი წინაპარს ერყოლად უვლიდა,  
სისხლად უღვლდა იგი წინაპარს.

ჩამოიწურა ვარსკვლავებიდან,  
როგორც კერიის ცეცხლი ბრიალა,  
ვიდრე ფანდურის ყელს დაეკიდა,  
ათასი გული გამოიარა.

სიმღერები მთის ნაკადულებია. სიმღერები მაცნენი გახლავთ ბრძო-  
ლის ველიდან, სიმღერები ყონალებია, მოულოდნელად რომ გვეწვევიან  
სტუმრად. ხელში აიღეთ ფანდური, ჩონგური, ჩანგი, სტვირი, ქამანჩა,  
ზურნა, დაირა, გარმონი, დაფდაფი. აიღეთ ათუნდაც უბრალო ტაშტი ან  
სპილენძის სინი. ტაში შემოჰკარით, ფეხები გაუსვ-გამოუსვით, ხმლების  
წკრიალს უსმინეთ, ყური მიუგდეთ, როგორ წკარუნებს სატრფოს ფან-  
ჯარაში ნასროლი კენჭი. მოისმინეთ და თვითონაც იმღერეთ ჩვენი სიმ-  
ღერები. ისინი მწუხარებისა და სიხარულის ელჩები არიან, სიმამაცისა  
და პატიოსნების პასპორტები, აზრებისა და საქმეების მოწმობები. ისინი  
ახალგაზრდებს ავაჟყავებენ და აბრძენებენ, ხნიერებსა და ბრძენებს  
ახალგაზრდავებენ. მხედარს მოსასმენად ჩამოაქვეითებენ, ფეხოსანს  
ცხენზე შესვამენ და ქარით გააქროლებენ.. მთვრალს გამოათხიზლე-  
ბენ და საკუთარ ბედზე ჩააფიქრებენ. ფხიზელს შეუპოვარს გახდიან და  
თათქოს ათრობენ. რანაირი სიმღერები არ არის ქვეყანაზე... დასვით

მთიელი თავის კერიასთან, ქაფქაფა ლუდით სავსე ყანწი მიაწოდეთ და სთხოვეთ იმღეროს. გათენებამდე იმღერებს, ოღონდ გულიანად სთხოვეთ და ისიც უთხარით, რა იმღეროს. სიყვარულზე გინდათ? კი, ბატონო.

პოი, დაი, დალაღი!  
პოი, სიყვარული ყაყაოს ფერია,  
შავ-შავი ხალები ყაყაოს ბევრი აქვს.  
პოი, სიყვარავ შავი ხალებია,  
ბოლომდე ვერავის გაგვიხარებია.  
თან მშვენიერია, როგორც ვარსკვლავი,  
თან საზარელია ჭრილობასავით.  
წვიმაა, თოვლია, მზეა თუ ცივა,  
კვირტი ფაჩუნობს თუ ფოთოლი ცვივა,  
ერთნაირად ეწვევა ლაჩარს და რაინდს,  
ხე სიყვარულისა ყვავილობს მაინც.

რა არის ქვეყნად ყველაზე უფრო ლამაზი?

— მთაში ამოსული ია.

— მთის იაზე უფრო ლამაზი რაა?

— სიყვარული.

— რა არის ქვეყნად ყველაზე უფრო ნათელი?

— მთებში ამობრწყინებული მზე.

— მთებში ამობრწყინებულ მზეზე ნათელი?

— სიყვარული.

— აი, დაი, დალაღი! ახლა რა გიმღეროთ კიდევ?

— სიყვარულზე გვიმღერე, იმათზე — ვინც სიყვარულის მსხვერპლნი გამხდარან.

— რომეო და ჯულიეტა, ტახირი და ზუხრა, ტრისტან და იზოლდა...

განა ჩვენთან, დაღესტანში კი ცოტანი იყვნენ ასეთნი? რამდენი გამიჯნურებული წყვილი არ არგუნა ერთმანეთს ბედმა, არ აუსრულათ ოცნებები, ვერ შეეწება ბაგე ბაგეს, ვერ ჩაეჭიდა ხელი ხელს. ბევრი ვაჟკაცი იმსხვერპლა ომმა, ბევრი კიდევ სიყვარულმა. სიყვარულის ცეცხლში იწვოდნენ, ციცაბო კლდეებიდან ხტებოდნენ, აღიდებულ მდინარეში გადაეშვებოდნენ ხოლმე. აი აზაინელი ქალწულისა და ყუმბიხელი ჭაბუკის სიყვარულის ამბავი. მათი სიყვარული მთელ დაღესტანშია ცნობილი, მე მხოლოდ ამ სიყვარულის დასასრულს გიამბობთ.

ყუმბიხელი ვაჟი აზაინში მოვიდა მიჯნურის სანახავად, ის კი არ გამოჩნდა და არა. ოთხი დღე და ღამე იცდიდა ვაჟი, მესხეთე დღეს შინ დაბრუნება გადაწყვიტა და ცხენს მოახტა.

ქვევით ჩაბედა — მიწა მშრალია,  
ცას მიაშტერდა სხივებზეელიანს,  
არ ჩანს ღრუბელი შავ-შავ ბელტებად,  
ჭაბუქს ნაბადი რად უსველდება?  
რას ხელავს — ბანზე მესელა ტირის,  
დამგვანებია შტირალა ტირიფს.

— ოთხი დღე გელო, სად დაიკარგე?  
რად ეფარები ციხესიმაგრეს?

— ვაიმე, მამამ კოშკში ჩამკეტა,  
ველარც გამოვალ აღბათ აქედან.  
ოთხ დღეს ეტიროდი გულმდღღარებით,  
ახლა გავტეხე კოშკის კარები.

აქ ვაჭრობაა, ბჭობა დიდია,  
ძვირფას ნივთივით ძმები მყიდიან.  
ვილაცა მდიდარს სურთ მიმათხოვონ,  
ჩემო მიჯნურო, არ მიმატოვე!

...მაგრამ ყუმუხელ ჭაბუქს დარჩენა აღარ უნდა.

— რას იტყვის ხალხი, მთელი სოფელი,  
ნათესაობა, მტერ-მეზობელი.

მთლად მომეწაჟლა ჯავრით გუნება,  
რალა ფასი აქვს შინ მიბრუნებას?  
გულს დაგიტოვებ შენივე ნებით.

— გულს ყორნებით დაფლეთენ ძმები.

— მაშ თვალებს, მწარე ცრემლებით ნამცერეცს,

— გამოწუნწინაინ, ვით ყურძნის მარცვლებს.

თუ მაინც მტოვებ, ფრთხილად იარე,

გადაიარე ფრთხილად მდინარე.

ცხენს-მოაძოვე მწვანე ბალახი.

წადი... მფარველად გყავდეს ალაპი!

იწვიმებს? — ჩემი ცრემლი იქნება,  
და თუ დაგათოვს — ჩემი ფიქრები.

სამჯერ გადაუჭირა მათრახი ცხენს ამაყმა ჭაბუქმა, სამჯერ მოიხედა უკან და გაშორდა აულს. გავიდა სამი კვირა, თოვლმა დაფარა მთები. საბრალო მესედამ უსიყვარულოდ გათხოვებას კლდიდან გადაჩეხვა არჩია. მამამ და ძმებმა ქარბუქში გამოაგდეს გარეთ ქედუხრელი ქალწული.

ასე მღეროდა იმ ღამეს მესედა:

მამას რომ ჰყავდეს ასი ასული,  
ყველას გაყიდის მაინც აესული.  
შვილის ქორწილში გაილეშება,  
აჩხრიალებს ოქროს პეშვებით.  
დაე, შეირთონ ძმებმა მდიდრები,  
ქონება კოცნონ ნამეყვიდრები.  
მე კი, ღარიბი, ბედს ვეწოდე, —

ეს თოვლი ვერცხლად გადიქეოდეს.  
ჩემო მიჯნურო, ავობს ზამთარი,  
მონახე მყუდრო თავშესაფარი.  
ჩაიხაფრება ღამით ქედები,  
წინ გასწი, უკან ნუ იხედები.



თითქოს გულმა უაზრა, თუ განწირული მიჯნურის კენესა გაიგონაო,  
გახვითქული ცხენით მოვარდა აზაინში ყუმუხელი ვაჟი. გულის გამგმი-  
რავე ამბავი რომ გაიგო, აღვირი მიაგდო და ცხენი გაუშვა, იარაღი შეი-  
ხსნა და ქვაზე დაამსხვრია. დაღუბული საცოლის მამასთან და ძმებთან  
მივიდა და უთხრა:

არ მინდა თქვენი აწიოკება,  
არც ქარქაშიდან ხმლის ამოღება,  
ფეხქვეშ დაგიგდებთ ჩემს სიამაყეს,  
ოღონდაც მისი სახე მანახეთ.

მათ შეისმინეს საქმროს მუდარა  
და გადახადეს ცხედარს სუდარა.  
ველარ გაუძლო ქაბუკმა სურვილს  
და განუტევა საბრალომ სული.

სიკვდილმა შეაერთა იმათი სულები, მხოლოდ სხეულები იყო ცალ-  
ცალკე. რა ექნათ, როგორ დაემარხათ? შეიკრიბა დიდი საბჭო. დაღეს-  
ტნის ყველა კუთხიდან შეგროვდნენ ბრძენი კაცები. სიტყვა თქვეს სიყ-  
ვარულის სახელგანთქმულმა წინასწარმეტყველებმა:

დარჩა მოგონებად, დარჩა სინანულად  
ორის ერთნაირი ხვედრი,  
ორი სხეული და ერთი სიყვარული,  
ორი სიცოცხლე და სიკვდილი ერთი.

ცალ-ცალკე დამარხვა ცოდვია ღმერთმანი,  
ნუღა დავაშორებთ განგების ნებით,  
ცოცხლები წამიერ დაშორდნენ ერთმანეთს  
და სამარადისოდ შეერთდნენ მკვდრები.

უნდა ერთ ნაბადში გავხვიოთ ერთავე,  
უნდა გაუუთხაროთ სამარე ერთი,  
მათ საფლავს მიჯნური ვარდებით მორთავენ,  
მათ სულს განანათლებს მოწყალე ღმერთი.

ყველაფერი ისე გააკეთეს, როგორც თქვეს. საფლავის ახლოს წითე-  
ლი ყვავილი ამოვიდა. თოვლი ვერ აშთობს მის ფურცლებს, მიეკარება  
თუ არა ყვავილს, იმწამსვე ღნება. ცეცხლივით ბრიალებს წითელი ყვა-  
ვილი. საფლავის ფერხითი წყარომ ამოხეთქა, პირს ისველებენ ადამია-  
ნები. აქეთ-იქით ორი ხე აიშოლტა. ზღაპარშიც ვერ შეხვდებოდა კაცი ასეთ

ლამაზ ხეებს. ცივი ქარი რომ დაუბერავს, ერთმანეთს შორდება მტარ ტოტები, თბილი ქარი დაუბერავს და — ისევ ერთდებიან, თითქოს ყუმუხელი ვაჟი და აზაინელი ქალიშვილი ეხვევიან ერთმანეთსო.

ალიზეც გიმღერებდით, მაგრამ ძალზე გრძელი სიმღერაა, ამიტომაც წელანდელივით ადგილ-ადგილ გიმღერებთ, ადგილ-ადგილ კი ჩემი სიტყვებით გაიმბობთ.

ცხოვრობდა ერთ აულში ალი. ჰყავდა ახალგაზრდა და ლამაზი ცოლი, მოხუცი დედა. ალი დიდი ხნით მიდიოდა ხოლმე მთაში, ცხვარს მირეკავდა.

ერთხელ ალისთან კაცი მივიდა და დედის დანაბარები გადასცა: ღატოვე ცხვარი და ჩქარა წამოდიო შინ.

ავი ფიქრები მოეძალა ალის. რაიმე უბედურება ხომ არ მოხდა, რისთვის მიბარებს? თუ უბედურებაა, ვისგან უნდა მოველოდე, თუ არა ახალგაზრდა ცოლისგან? რა ამბავიაო, ეკითხება ალი მოსულს, ის კი დუმს. მითხარო, ძალა დაატანა ალიმ, გაბრაზდა. ხანჯალიც კი იშიშვლა და აი რა გაიგო:

— სახლში ლამაზი ცოლი გყავს, ალი,  
და განა რამე შეგვიანებს,  
მაგრამ მითხარო, ო, ძმავო ალი,  
ღამით ფანჯარას რა აკრიალებს?

მალად ახალგაზრდა ცოლი გყავს, ალი,  
ქებული ჭკუით და ერთგულებით,  
მაგრამ მითხარო, ო, ძმავო ალი,  
რას ნიშნავს თოვლზე ნაფეხურები?

ღამით ქრის ქარი შარახვეტია  
და ფანჯარასთან ისმის ფაჩუნნი,  
არ ფიქრობ, რატომ არ უკეთია  
შენს ცოლს ბეჭედი და სამაჯური?

მოვარდა ალი აულში. დედაზე უმაღ ახალგაზრდა და ლამაზ ცოლთან შევარდა. ნაბადი და ფაფახი მოიხადე, ბუზას დაგალევინებო, შესთავაზა ცოლმა.

— ალი, ძვირფასო, შეჭამე რამე,  
არაყი მაინც ნახე გემოთი.

— თქვი, დედაკაცო, წუხელის ღამით  
ამ ჩემს ნაბადში ვის ეხვეოდი?

— ალი, ძვირფასო, ეპეებს შეეშვი,  
შენი ერთგული ვარ სამარემდის,

— თქვი, დედაკაცო, ცივ ღამეებში  
ამ ცეცხლა არაყს ვის აძალებდი?

ალიმ ხანჯალი იშიშვლა და ორჯერჩაასცა ცოლს.

— მშვიდობით, ვკედები, ალი, ძვირფასო,  
მოწყალე ღმერთს ვთხოვ, გაცოცხლოს დიდხანს.  
რატომ გამწირე, ალი, ძვირფასო,  
რა დაგრძავე, ეს მინც მითხარ?

ქალი დაწვენას ითხოვს საწოლზე,  
მთლად ჟერმიხდილი და გატანჯული.  
— თქვი, დედაკაცო, ვის უსახსოვრე  
ოქროს ბეჭედი და სამაჯური?

— ვახსენი ხეივრი, ალი, ძვირფასო,  
მოწმე სინდისის და ერთგულების,  
როცა არ მყაუხარ გვერდით, ძვირფასო,  
რა კირად მინდა სამაჯულები.

ახლა დედასთან შევარდა ალი:

— რატომ დამიბარე, რა მოხდა?

— მოეწყინა უშენოდ ცოლს, ბავშვებსაც, თანაც მეგონა, ცხვრის  
ხორცს ჩამოგვიტანდი; რახანია არ გვიქამია.

თავში იტაცა ხელები ალიმ და ისევ ცოლისკენ გაიქცა.

ვაფთორდა ალი, მოწყდა ხელები  
და აქვითინდა სასომიხდილი,  
ვაი, ძვირფასო, რა მეშველება,  
რატომ დამსაჯე შენი სიკედილით.

ბოძს მიეყუდა სახეგაშრალი:  
„ჩანს, ალბათ ჩემზე გამწყრალებ ღმერთი“.  
მერე ჩაიტა მკერდში ხანჯალი  
და მიესვენა მუხლის გვერდით.

ასე დამთავრდა ეს ამბავი. ორივენი ერთად დამარხეს. საფლავზე ორი  
ხე ამოვიდა.

კიდევ რაზე გიმღეროთ, ქამალილ ბაშირზე ხომ არა? ქამალილ ბაში-  
რი ვინ არის? ეს ჩვენი დაღესტნელი დონ ყუანია. ამბობენ, ისეთი გამ-  
კვირვალე კანი ჰქონდა, წყალს რომ სვამდა, ჩანდა, როგორ მირაკრა-  
კებდა სითხე ყელშიო. სწორედ ეს ყელი გამოღადრა მშობელმა მამამ.  
რატომ? ზედმეტად ლამაზი იყო და იმიტომ.

ქამალილ ბაშირი მოკვდა, მაგრამ სიყვარულზე ისევ ესე მღერიან,  
როგორც მღეროდნენ.

ბავშვი ჯერ ბკვანში წევს და სიყვარულის სიმღერებს იაენანად უმ-  
ღერიან.

ერთხელ კიდევ მინდა გაგახსენოთ ჩვენი უეშმაკო ხალხური თამა-  
შობა, „ბაქიდე რახინს“ რომ ეძახიან ჩვენში.



ეს არის შეჭიბრი, ვინ უფრო ენამახვილია, ვინ უფრო სწრაფად გამოძებნის საჭირო სიტყვას, ვინ გამოიჩენს მეტ გონივრულობას. დანესტრის ყველა აულში იციან ეს თამაში. ზამთრის გრძელ ღამეებში რომელიმე სახლში შეგროვდებიან ქალ-ვაჟები. არც არაყს სვამენ, არც ბანქოს აკლავენ თავს, არც მზესუმზირას აკნაწუნებენ, პოეზიით ერთობიან. რას იტყვიო, განა დიდებული არ არის?

საიდანღაც პატარა ჯოხი გამოჩნდება ყმაწვილი ქალის ხელში. იგი ტაბუკს შეახებს ამ ჯოხს და მიაძვლებს:

აიღე ჯოხი, ლამაზო ბიჭო,  
და გულის სწორი ამოირჩიე.

ვაჟი ამოირჩევს ვისმე, ის კი ტაბურეტზე ჩამოჯდება და იწყება შაირობა.

გოგო, ვისი ხარ, ლამაზო,  
კოკობო, გიშრისთმიანო,  
გოგოვ, ვისი ხარ, ლამაზო,  
ანდა რას გეძახიანო.

ყველანი ტაშს უკრავენ და მღერიან: „აი, დაი, დალალაი!“

რაც მქვიან ჩემი სახელი,  
სხვა ბიჭს ვუთხარი, შენ არა.  
ცოლად გაყოლის პირობა  
სხვა ბიჭს მივეცი, შენ არა.

ისევ ტაშს უკრავენ და მღერიან: „აი, დაი, დალალაი!“

ქალი ტაბურეტიდან დგება და ჯოხს ვაჟს შეახებს. ახლა ის იკავებს ქალის ადგილს და ახალი წყვილი იწყებს სიმღერას.

ქ ა ლ ი:

მაღალი მთები დათოვა,  
ქარიც დაღმურს ქარაფსა,  
საწყალი პატარა კრავი  
ვეღარ შოულობს ბალახსა.

გ ა ჟ ი:

სანამდე თოვლი დადნება,  
ბალახი მოვა მცირეო,  
პატარა კრავსა საწყალსა  
ეგ მკერდი მიუჩინეო.

„აი, დაი, დალალაი!“ გამოდის ახალი წყვილი.



ქ ა ლ ი :

სოფლის ბოლოში წყაროსთან  
გველეშაპი წევს შავიო,  
ვერაინ ვერ ეკარება,  
წყურელით კვდება კრავიო.

ვ ა ე ი :

რად ცრუობ, სოფლის წყაროზე  
გველეშაპი წევს შავიო,  
შენი თვალების წყაროზე  
სულს მოიბრუნებს კრავიო.

„აი, დაი, დალაღაი!“ გამოდის ახალი წყვილი.

ვ ა ე ი :

დაფარულა თოვლით ხევი,  
კირხლი ადევს გაღმა წყალსა,  
გოგო, ცოლად გამომყევი,  
აგიშენებ ახალ სახლსა.

ქ ა ლ ი :

ცოლი სხვაგან მოიძიე,  
აქ ნუ ატეხ კაკანსაო,  
დედლის ნაცვლად საქათმეში  
ვერ დაამწყვდევე კაკაბსაო.

„აი, დაი, დალაღაი!“ ყველანი ტაშს უკრავენ და იცინიან. ასე ატარებენ ზამთრის გრძელ ღამეებს.

დადესტნური სატრფიალო სიმღერები! სანამ ეს ვაჟი ეხვეწებოდა, ცოლად გამომყევიო, ქალი სხვებმა მოიტაცეს.

სანამ ქალს კრძალვით უკაკუნებდნენ კარებზე, სხვები ფანჯრიდან შეუცვივდნენ.

საუკუნეები გადის და სიმღერები ცოცხლობენ. სიმღერებს მომღერლები ქმნიან და მომღერლებს — სიმღერები.

განა უსიმღერო ქორწილი შეიძლება? განა ჩვეულებრივი დღე შეიძლება უსიმღეროდ დაღამდეს? განა რომელი კაცი გალევს მთელ ცხოვრებას უსიმღეროდ?!

ჩვენში ამბობენ, ვინც სიმღერა არ იცის, იმან სახლში კი არა, გომურში უნდა იცხოვროსო.

იმასაც ამბობენ, გოლიათიც რომ იყოს, თუ სიმღერა არ იცის, ქამრამდეც ვერ შეწვდებაო შეყვარებულ კაცს.

აი, რას მოგვითხრობენ მაჰმუდზე: პირველი მსოფლიო ომის დროს მაჰმუდი კარპატების ფრონტზე იყო დალესტნის ცხენოსან პოლკთან ერთად. იქ დაწერა თავისი შესანიშნავი პოემა „მარიამი“. ამ სიმღერას მღე-

როდნენ მაჰმუდის ფრონტელი მეგობრები შესვენების დროს. სიმღერის ისტორია კი ასეთია: მძიმე ბრძოლის შემდეგ რუსებმა ერთი სოფელი აიღეს და ავსტრიელები გააძევეს იქიდან. გაქცეულ მტერს დადევნებულმა მაჰმუდი ეკლესიის ახლოს აღმოჩნდა. ეკლესიიდან დამფრთხალი ავსტრიელი გამოვარდა, მაგრამ ცხენზე ამხედრებული გაცეცხლებული მთიელი რომ დაინახა, ისევ უკან სტუცა თავი. მაჰმუდს რამდენიმე დღის წინ ძმა დალუპვოდა და შურისძიება სწყუროდა. მაჰმუდი დაფიქრდა, მერე ცხენიდან ჩამოხტა, ხანჯალი იშიშვლა და ავსტრიელს გამოენთო, უნდა აეკუწა, მაგრამ ეკლესიაში შევიდა თუ არა, გაშეშდა. ავსტრიელი ღვთისმშობლის ხატის წინ დაჩოქილიყო და ლოკულობდა. დაღესტანში უბრალოდ დაჩოქილ კაცზე არ აღმართავენ ხელს და მით უმეტეს მლოცველზე. მაჰმუდი ხატის სილამაზემაც გააოცა. მან თავისი სატრფო დაინახა, თავისი მუი. მისი ნაღვლიანი თვალები, მისი ნაკვთები, მისი ტანსაცმელი. ხანჯალი გაუვარდა ხელიდან. არავინ იცის, როგორ ჰყვებოდა ავსტრიელი შემდეგში ამ ამბავს. ეს კია, რომ მთიელი მის გვერდით დაეცა მუხლებზე და ქრისტიანული ლოცვა აღავლინა. მოუქნელად იდებდა ხელებს შუბლზე, მხრებსა და მკერდზე. მაჰმუდს არ შეუშინებია, როდის გაქრა ავსტრიელი. გონს რომ მოეგო, თავისი ცნობილი ლექსი „მარიამი“ დაწერა. მისთვის მარიამი და მუი ერთ ხატებად იქცა. მარიამზე წერდა და მუიზე ფიქრობდა, მუიზე წერდა და მარიამზე ფიქრობდა.

მას შემდეგ მხოლოდ ერთი რამ სწამდა მაჰმუდს ქვეყანაზე — სიყვარული. სხვა სიმღერები უცხო იყო მისი სულისთვის. დაღესტნის მომღერალთა შორის არავინ ყოფილა ასეთი, მაჰმუდის ვნებათა ძალა ჰქონოდა, მისი სიმღერების სიღრმეს ჩასწვდომოდა. მაჰმუდი ვერც კი გრძნობდა, ლექსებს თუ წერდა, კი არ წერდა, ლექსებით ლაპარაკობდა, კი არ ლაპარაკობდა — მღეროდა. თითქოს სხვა ვიღაც წერდა და მღეროდა მის ნაცვლად. ყველა წარმატებას მუის და მუისადმი სიყვარულს მიაწერდა. მეგობარსაც კი არ უსმენდა, მუიზე თუ არ ესაუბრებოდა.

აი, რა მიაბზო მამამ მაჰმუდზე:

მაჰმუდთან ბევრნი მოდიოდნენ, მოდიოდნენ მხოლოდ მიჯნურნი, რომ გაეგოთ მისი სიტყვების ძალა და ეთხოვათ, ლექსები დაგვიწერეთ. მოდიოდა, ვისაც პირველად ეგრძნო სიყვარული და არ იცოდა, როგორ გაემხილა ქალისთვის. მოდიოდა ის, ვისი სატრფოც სხვას გაჰყოლოდა ცოლად და არ იცოდა, რა მოეხერხებინა გულს შემოწოლილი ნაღველისათვის. მოდიოდა, ვისაც ქმრის ერთგულ ქვრივზე დარჩენოდა თვალი და არ იცოდა, რით მოელობო მისი გული.

მოდიოდნენ მოტყუებულნი, ცალმხრივი სიყვარულით გულდათუთქულნი, სიყვარულით გზააბნეულნი, საყვარელ ქალთან დამღურებულნი, დაშორებული შეყვარებულები.

რამდენი ადამიანიცაა ქვეყანაზე, იმდენი შეყვარებულია. რამდენი

შეყვარებულიცაა, იმდენნაირი სიყვარულია, ორი ერთნაირი სიყვარულს არ არსებობს.

მაჰმუდი თითოეულისთვის შესაფერის ლექსს თხზავდა. ერთდებოდნენ შეყვარებულები, რიგდებოდნენ განაწყენებულები, გული უღებოდა მწუხარე ქვრივს, მამაცდებოდა ქაბუკი, დარცხვენილი იყვნენ მოლაღატენი, პატიების სურვილი უჩნდებოდათ მოტყუებულებს.

ერთხელ მაჰმუდს ჰკითხეს:

— როგორ წერ ისეთ ლექსებს, თითოეულის გულს რომ ესალბუნება?

— ყველა ადამიანის ბედი ერთი კაცის გულში შეიძლება მოთავსდეს. განა მე სხვებზე ვწერ ლექსებს? სხვის სიყვარულსა და სხვის ნაღველზე? არა, მე საკუთარ თავზე ვწერ. ღარიბი მენახშირის შეიღს ახალგაზრდობაში ბეთლელი მუი შემყვარდა. სხვას წაჰყვა მუი ცოლად და გული მოშიკლა. მერე ქმარი მოუკვდა, დაქვრივდა მუი. ძველებურად მიშფოთავდა სული... სიყვარულის ამბავი ჩემზე უკეთ ვინ იცის, სხვებზე რაღად უნდა ვწერო?

ამბობენ, მაჰმუდს მიცვალებულებისა და ომში დაღუპულთა პატრონებიც სთხოვდნენ ლექსის დაწერასო. თხოვდნენ დედები, დები, ცოლები, სატრფოები. მაჰმუდს კი ასეთი ლექსების წერა არ შეეძლო.

— როგორ დაეწერო ომზე მშვიდობიან აულში მცხოვრებმა, როცა ომშიც კი სიყვარულზე ვწერდი? — ეუბნებოდა მაჰმუდი ყველას.

მაგრამ მთიელები ამბობენ: „მშვიდობის სიმღერების ფასს ომის დროს გაიგებ“. ან კიდევ: „შენი სიყვარულის შემოწმება თუ გინდა, ომში წადი“.

ორი პირი აქვს ხანჯალს: ერთი სამშობლოს სიყვარულია, მეორე — მტრის სიძულვილი. ფანდურსაც ორი სიმი აქვს: ერთი სიყვარულზე მღერის, მეორე — სიძულვილზე.

მთიელზე ამბობენ: ცალ ხელზე საყვარელი ქალი უწევს, მეორეში კი ხანჯალი აქვს ჩაბლუჯულიო. ტყუილად კი არ მთავრდება ბევრი სიმღერა თუ ამბავი ხანჯლის ჩაცემით. ბევრი კიდევ ასე მთავრდება: მთიელს უნაგირზე ქალიშვილი შემოუსკუბებია და მშობლიურ აულში ბრუნდება.

მთებში ძველი სამარხების გათხრისას ხმლებსა და ხანჯლებს პოულობენ.

— რატომ ფანდურს არ პოულობენ?

— ფანდურებს არ მარხავენ. ფანდურებზე ცოცხლებმა უნდა იმღერონ დაღუპული გმირების სადიდებელი. დედაშიწაზე შეიძლება იარაღის სახსენებელი გაწყდეს, ერთი ხანჯალიც აღარ დარჩეს, სიმღერას კი ვერაფერი მოსპობს.

მამა ამბობდა: ჩვეულებრივი სტუმარი შენი ოჯახის სტუმარია.

მაგრამ სტუმარი, ვისაც სიმღერა და დაკვრა შეუძლია, მთელი აულის სტუმარიაო. მაჰმუდს გუბერნატორზე უკეთესად ხვდებოდნენ ყველგან. იქნებ იმიტომაც არ უყვარდათ გუბერნატორებს თავისუფალი მომღერლები.

მაშა გვიყვებოდა: დალესტანში ორი კაცი მოგზაურობდა. როცა შებინდდა, ერთმა უთხრა მეორეს:

— ხომ არ დაგვესვენა? მალე დალამდება. გატყობ, დაღლილიც ხარ და გცივა კიდევ. ბედზე აუღიცი მოჩანს, შევეუხვიოთ, ღამეს გაგვათევინებს ვინმე.

— მართლა დავიღალე და გავითოშე, მაგრამ ამ აულში მომცდელი არა ვარ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ უცხვირპირო აულია. ჯერ არავის სმენია, სიმღერა რომ ემღეროთ აქ.

შეიძლება ასეთი აული მართლა შეხვდათ მგზაურებს, მაგრამ საერთოდ დალესტანზე ვერვინ იტყვის: ეს ისეთი ქვეყანაა, სადაც სიმღერას ვერ გაიგონებს კაცი, ამიტომ მოდი და გვერდი ავუაროთო.

ბესტუევე-შარლინსკიმ თავის წიგნში დალესტანური სიმღერები შეიტანა და ბელინსკიმ აღნიშნა; ეს სიმღერები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თვით წიგნით. პუშკინსაც არ შერცხვებოდა, საკუთარ ლექსებად რომ ეღიარებინაო ისინი.

მთიელების სიმღერები მოისმინა ჰაბუემა ლერმონტოვმა თემირ-ხან-შურში. ჩვენი ენა არ ესმოდა ლერმონტოვს, მაგრამ სიმღერებით კიტებოდა.

პროფესორი უსლარი ამბობდა: გუნბური მელოდოები შესანიშნავი საჩუქარია კაცობრიობისთვისო.

ვინ მოგვცა ეს ჰანგები და სიმღერები? ვინ შეასწავლა მთიელებს ისინი? არწივები და ცხენები, ხმლები და ბალახი, ჩვილთა აკვნები, ოთხი მდინარე ყოისუ, კასპიის ტალღები, მაჰმუდის სატრფო მარიაში, დალესტანის მთელი ისტორია, უამრავი ენა — აი, ესაა დალესტანი.

ერთხელ აბუთალიბს ჰკითხეს:

— რამდენი პოეტია დალესტანში?

— სამ, ოთხ მილიონამდე მოიყრის თავს.

— რანაირად, როცა მილიონზე მეტი საერთოდ არა ვართ?

— თითოეულ კაცში სამი-ოთხი მგოსანი ზის, მაგრამ ყველა არ მღერის და ყოველთვის არ მღერის. ზოგიერთმა თვითონაც არ იცის ეს ამბავი.

— ყველაზე უკეთესი მგოსნები მაინც ვინ არიან?

— მჯობნის მჯობნი არ დაილევია, მაგრამ ერთს მაინც დავასახელებ.

— ვის?

- დალესტნის დედას. საერთოდ მთიელებს სამი სიმღერა აქვთ.
- რა სიმღერებია?
- ერთს მთიელი დედა უმღერის ვაჟიშვილს აკვანში.
- მეორე?
- მეორეს მთიელი დედა მღერის, ვაჟიშვილი რომ მოუკვდება.
- მესამე?
- მესამე ყველა დანარჩენი სიმღერაა.

ღიახ, დედა... ალაღ-მართალი, თუმცა, მიკერძოებული მოწმე აყვავებ-ბისა და ჭკნობის, შობისა და კვდომის, მოსვლისა და წასვლის; დედა, აკვანს რომ არწევს, და დედა, გულში რომ იკრავს სამუდამოდ განშორებულ ვაჟიშვილს.

აი, სილამაზე და სიმართლე, აი, ღირსება. ადამიანი ზოგი ცუდია და ზოგი — კარგი, სიმღერებიც ზოგი უკეთესია და ზოგი უარესი. მაგრამ დედა და დედის სიმღერა ყოველთვის მშვენიერია.

რა თქმა უნდა, ის სიმღერები აღარ მახსოვს, აკვანში რომ მიმღერო-და დედა, მაგრამ შემდეგში რომელ აულში არ მომისმენია საუცხოო სიმღერა, მათ შორის იავენანაც. აი, ერთი მათგანი:

იზარდე, ჩემო ბიჭუნა,  
გველოს ვაჟკაცის ქედით,  
მგელმა თუ ცხვარი მოგვტაცა,  
ქვა ასროლინე კედით.  
ისეთი გამოსულიყავ,  
ხალხი გეძახდეს ჯიგიტს,  
თუ ჯიქი მოგვიხტებოდეს,  
გეოტებინოს ჯიქიც.  
მთელი დალესტნის ლამაზებს  
თვალი ეპიროთ შენზე,  
იყავ მოხუცთა ჭომაგი  
და ქვრივ-ობლების შემწე.  
იზარდე, ჩემო ბიჭუნა  
და ასახელე მთები,  
აკვანი გეპატარაოს —  
ცას შეეხალე ფრთებით.  
შენს მშობელს გვერდში უღეპი  
ციხე-ბურჯივით მტკიცე,  
სხვის მშობელს გაახარებდე  
სახელოვანი სიძე.  
იყავი შენი ცოლისთვის  
სახელოვანი ქმარი,  
შენი ქვეყნისთვის —  
ფარი და ამოღებული ხმალი.

რა საოცარი რწმენაა! არ არსებობს დედა, სიმღერა რომ არ იყო-  
დეს, — ამბობდა მამაჩემი. არ არსებობს დედა, სულით პოეტი რომ არ  
იყოს.

გვალვიან ზაფხულში ეუფუნა წვიმა ხარ, ო, ჩემო ბიჭუნა,  
წვიმიან ამინდში მზესავით მინათებ, ო, ჩემო ბიჭუნა,  
თმები აბრეშუმისაო, თვალნი ბუდეშურისაო, ო, ჩემო ბიჭუნა,  
დედიკოს ფიჭრი ხარ, დედიკოს სიზმარი, ო, ჩემო ბიჭუნა.  
სკივრში რო ოქროა, ისიც კი შენა ხარ, ო, ჩემო ბიჭუნა,

პურის პაწია კვერი ხარ,  
მერე იქცევი ტყვიად,  
დრო უროსავით გაგკვერავს,  
კიუხებს დაფშენი ქვიანს.  
მარჯვედ ნასროლი ტყვიისებრ  
არ ასცილდები მიზანს,  
მონადიმე და მომლხენი,  
ნაღდი ჭიგიტი მთისა.  
ისეთ ბედაურს გამოზრდი,  
გული დაწყდება მრავალს,  
მისი ფლოქვების მტერი კი  
ცად ღრუბელივით ავა.

ვისაც დედის სიმღერა არ მოუსმენია, ობლად გაზრდილა, — ამბობ-  
და მამაჩემი. უდემამოს კი ობოლი არ ეთქმის, დაღესტნურ იანანას  
თუ უმღეროდნენ აკვანში ჩაკრულს. ვის უნდა ემღერა ჩვილისთვის, თუ  
არც დედა ჰყავდა და არც მამა? თვითონ დაღესტანი მღეროდა, ცად  
აწვდილი მთები მღეროდნენ, მთიდან დაქანებული მდინარეები მღე-  
როდნენ, მთიელები მღეროდნენ:

ხან მთვარეა, ხან ბეკეა,  
ჩემი გოგო, გოგუკელა,  
ხანაც აბრეშუმის ძაფი,  
ჩემი გოგო, გოგუკელა.

ლეკის ბიჭო, ვაყაცობის  
და სახელის მოუწყელად,  
ვერა, ცოლად ვერ გაგატან  
ჩემს პატარა გოგუკელას.

გაზაფხულის ყვავილია  
ჩემი გოგო, გოგუკელა.  
ბალახების ხალიჩაა,  
ჩემი გოგო, გოგუკელა.

დაღესტანის მთელ ცხვრის ფარებს  
მისი წარბი მირჩევნია,



ქვეყანაზე რაც ოქროა,  
მისი თმები მიტრუნენია.  
ყელზე ხალი რომ უტოკავს,  
მთელ ქვეყანას მიჩრევენია.



შემოგველოს მზე და მთვარე,  
მალა ცა და ძირს დენია,  
ჩემო გოგო, გოგუყელა,  
ჩემო ოქროს ჩიტუნია.

### სხვა დედა სხვანაირად მღერის:

ვინც კომბლით მოჰკლავს ჭიქს,  
მას მივითხოვებ ჩემს გოგონიას,  
ვინც მუშტით დაფშენის ამ კლდოვან ქარაფს,  
მას ცოლად შევერთავ ჩემს გოგონიას.  
ან ვინც მათრახით აიღებს ციხეს,  
ან ვინც მახელით გააპობს მთვარეს,  
ცას ვარსკვლავიანს ვინც ჩამოიდებს,  
ანდა ვინც ლავამს ამოდებს ქარებს,  
მას მივითხოვებ ჩემს გოგონიას.

### ან კიდევ ასეთი სიმღერა-დალოცვა:

ჭერ ყვავილი არ ყვავილობს, ისევ გრილა,  
ჩემი გოგო ყვავილივით ზღერაილა.  
ჩემს გოგონას ზედ მკერდზე აქვს დაკვალთული  
ნაწინავების ორად-ორი ნაკადული.  
სიცივეა, უკვე ბუხრებს ამაღებენ,  
ჩემს გოგოს კი მოუვიდა მაჭანკლები.  
დაღესტნელნო, როგორა ხართ პირობაზე,  
თაფლი კასრით მოიტანეთ ნიშნობაზე.  
ძღვენი უხვად მოიტანეთ საკადრისი  
და არავინ დაივიწყეთ მამამისი.  
მამ ისმინეთ სიტყვა არაქარავნული:  
ცხენის რემა მოურეკეთ არაბული.

### ასეთი იავნანური დალოცვაც იციან ჩვენში:

სანამ ჩიტი ივალობებს ალიონზე,  
ეს გოგონა ბალ-ბოსტანში დამილოცეთ.  
ანდა სანამ ტყის საათი დარეკავდეს,  
ჩემი გოგო მთაში ფარას გარეკავდეს.  
სანამ გარეთ ტკარცალი აქვთ ქალიშვილებს,  
ჩემი გოგო ვახშმის სუფრას გამიშლიდეს.

იავნანა რომ არ ყოფილიყო, მაშინ ალბათ სიმღერაც არ იქნებოდა  
დედაშიწის ზურგზე. ულიძლამო იქნებოდა ქვეყნად ცხოვრება, კანტი-

კუნტად თუ ჩაიდენდა ვინმე გმირობას, პოეზიის მაღლიც მოაკლდებოდა ცხოვრებას.

დედები პირველი პოეტები არიან. ისინი უთესავენ პოეზიის მარცვალს თავიანთ შვილებს სულში. ამ მარცვლებიდან იზრდება და იფურჩქნება შემდეგში ყვავილები. ყველაზე უფრო მძიმე და საშინელ წუთებში იხსენებენ მამაკაცები აკვანში მოსმენილ სიმღერებს.

„ალბათ დედაშენს იავნანა არ უმღერია შენტვის“, — უთხრა ჰაჯი-მურატმა ერთ მხდალ მეზობელს.

როცა თვითონ ჰაჯი-მურატი განუდგა შამილს და რუსების მხარეზე გადავიდა, შამილმა ზიზლით ისროლა: „დედის იავნანა დაავიწყდა, ალბათ“.

დედა კი ასე უმღეროდა აკვანში ჩაქრულს:

ისმინე, ჩემო ბიჭუნა,  
ერთი სიმღერა გმირზე,  
ისმინე, ჩემო იმედო,  
ვარდი გეფინოს პირზე.  
იგი მთას ხანჯლით ფატრავდა,  
უშიშარი და მშვიდი,  
საზღვარზე გადადიოდა,  
როგორც წყარო და ჩიტი.  
მთვარეს ნალივით ღუნავდა,  
მუხას მშვილდევით ხრიდა,  
ეს გმირი, ჩემო ბიჭუნა,  
იყო დაღესტნის მხრიდან.

დედა თავის მოღიშარ ბიჭს დასცქეროდა და სჯეროდა თავისი სიტყვების. არ იცოდა, რა განსაცდელი ელოდა მის ჰაჯი-მურატს. როცა გაიგო, ჰაჯი-მურატი მტრებს მიეკედლაო, სხვა სიმღერა იმღერა დედამ:

უფსკრულზე ბევრჯერ შეინავარდე,  
ხრამებზე გასდე ელვის ზიდები,  
მაგრამ ხრამიდან, დღეს რომ ჩავარდი,  
ველარასოდეს ვერ აფრინდები.  
მტერი ყიყინით ბევრჯერ აოტე,  
და წყალს მიჰქონდა მათი ქუდები,  
მაგრამ აულში ველარასოდეს,  
ველარასოდეს ვერ დაბრუნდები.  
წყალში ჩაყარე მშობლის ამაგი,  
თავმოწონება მთელი დაღესტნის,  
მტერმა დაგიგო რკინის ხაფანგი  
და ველარაფრით თავს ვერ დაიხსნა  
გძულდა იმამი ძმადშეფიცული,  
ასევე გძულდა მეფის ხუნდებიც,  
მაგრამ ეს მთებიც რომ მოიძულე,  
აქ ვერასოდეს ვერ დაბრუნდები.

შემდეგში ჰაჯი-მურატმა თავისიანებთან დაბრუნება სცადა, მაგრამ რუსებმა გაუგეს, გაქცეული მოჰკლეს და თავი მოჰკვეთეს. მაშინ კიდევ გაჩნდა დედის ერთი სიმღერა მთებში:

ეჰა, რა თავი! მაგრამ მოვეშვათ,  
წყველა ისედაც ბევრი რგებია.  
გაგვირგებია ხშირად ბრძოლებში  
და მისი თავი დაგვირგებია.

უთავო მხრები მიწაში ღებდა,  
მტერი კი მძლავრობს გუნების კართან.  
ახლა რომ თავზე გვენგრევა მთები,  
ჰაჯი-მურატის ბეჭები კრავდა.

სახელიც ქუხდა მთებზე, კორდებზე,  
მაგრამ უღროოდ დაკეცა ფრთები  
და მისი მრუდე გზაც გასწორდება  
მამულისათვის მოქნეულ ხმლებით.

დედის სიმღერა საწყისია, წყაროა ყველა ადამიანური სიმღერისა, პირველი ღიმილია და უკანასკნელი ცრემლი, აი, რა არის დედის სიმღერა.

სიმღერა გულში იბადება, გული ენას გადასცემს მას, ენა — ხალხის გულებს, ხალხის გულები კი საუკუნეებს.

ურიგო არ იქნება ზოგიერთ სიმღერაზე თუ გიამბობთ.

### შამილის დედის სიმღერა

„სიმღერაში ან სიცილი უნდა ეძიო ან ცრემლები. მთიელებს ახლა არც ერთი გვირგვინი და არც მეორე. ჩვენ ვიბრძვით. ვაქაცობას კი წუწუნნი და ცრემლი არ შეჰფერის, რა განსაცდელშიც არ უნდა იყოს იგი. სიმათლევ რომ ვთქვა, არც სასიხარულო გვაქვს რამე. ნალველითა და მწუხარებით გვაქვს ავსებული გული. გუშინ ახალგაზრდები დავსაჯე, მეჩეთის ახლოს რომ მღეროდნენ და ცეკვავდნენ. სულელები! ასეთი რამ კიდევ თუ გამეორდა, ისევ დავსჯი. ლექსები თუ გინდათ, ყურანი იკითხეთ. წინასწარმეტყველის ლექსები ილაღადეთ. მისი ლექსები ქააბის ალაყაფზეც კია ამოკვეთილი“.

ასე აკრძალა იმამმა შამილმა სიმღერა დაღესტანში. სიმღერისათვის ქალს ცოცხით წიკებლავდნენ, კაცს — მათრახით. ბრძანება ბრძანებაა და ცოტა მომღერალმა როდი იწენია მაშინ მათრახის გემო. მაგრამ ძალუძს ვინძეს სიმღერის დადუმება? მომღერლის გაჩუმება შეიძლება, სიმ-

დერის აკრძალვა კი — არა. ბევრი სამარის ქვა მინახავს განსვენებულთა საფლავებზე, მაგრამ აბა სიმღერის საფლავი თუ უნახავს ვინმეს?

ერთ-ერთი საფლავის ქვაზე ამოვიკითხე: „მოკვდა, კვდებიან, მოკვდებიან“. სიმღერაზე კი ასე შეიძლება ითქვას: „არ მოკვდარა, არ კვდება, არ მოკვდება“. როგორ არ კრძალავდნენ სიმღერას პანაგეატის დღეებში, სიმღერებმა კი არა მარტო გაუძლეს გასაჭირსა და ჩვენამდე მოაღწიეს, თითქოს ბედის დაცინვით დღეს „შამილის სიმღერებს“ უწოდებენ მათ.

ახლა შამილის დედის სიმღერაზე მინდა გვიამბოთ... იმ დღეებში მტერმა აული ახულგო დაიკავა. მრავალი გმირი წარმოშვა ამ ბრძოლამ, მაგრამ სამარეც იქვე პოვა ყველამ. დაჭრილებს სიკვდილი ერჩივნათ ტყვეობას და მდინარე ყოისუში ხტებოდნენ კლდიდან. ალყაშემორტყმულეებში შამილის დაც იყო ბავშვებიანად. ამ დროს მივიდა დაქანცული, დაჩეხილი იმამი მშობლიურ აულ გიმრში. ცხენიდან ჩამოხტომაც ვერ მოასწრო, სიმღერა, უფრო სწორად, ტირილი რომ შემოესმა:

მთებო, ხევებო, ხმა ამოიღეთ!  
ნუთუ არ გესმით ქალთა მოთქმანი?  
მტერს აულია ახულგოს ციხე  
არავენ დარჩა ამბის მომტანი.

სიმღერაში ჩამოთვლილი იყო დაღუპულ გმირთა სახელები. სიმღერის შემთხვევლი ყველას სთხოვდა, ძაძვებით შეიმოსეთო. ამბობდა, მთებში ყველა წყარო დაშრა ამ უბედურების გამგონეო. სიმღერა ალაჰს შესთხოვდა მთიელების შემწეობას, იმამის ჯანმრთელობას და მისი რვა წლის ჯამალუტდინის — თეთრი მეფის მძევლის სიცოცხლეს.

შამილი ქვაზე ჩამოჯდა, თითები ინით შეღებულ ხშირ წვერში ჩამალა, გამომცდელად მიმოიხედა და იკითხა:

— იუნუს, რამდენი სტრიქონია ამ სიმღერაში?

— ას ორი, იმამო.

— მონახე ამ სიმღერის შემთხვევლი და ასჯერ გადაუჭირე მათრახი, ორი დარტყმა მე შემინახე.

მიურიდმა მყისვე აიღო მათრახი.

— ვინ შეთხზა სიმღერა?

ყველანი დუმდნენ.

— ვინ შეთხზა-მეთქი სიმღერა?

იმამს წელში მოხრილი ნაღვლიანი დედა მიუახლოვდა, ხელში ცოცხი ეჭირა.

— ჩემო შვილო, ეს სიმღერა მე შევთხზე, ჩვენს სახლში დღეს გლოვაა. აჰა, ცოცხი და შეასრულე შენი ბრძანება.

იმამი ჩაფიქრდა, მერე დედას ცოხტი ჩამოართვა და კედელზე მი-  
ყულა.

— შენ შინ წადი, დედა.

დედამ შვილი შეათვალიერა და წავიდა. მოსახვევს მოეფარა თუ  
დედა, შამილმა ხმალი მოიხსნა, ქამარი შეიხსნა, ჩოხა გაიხადა:

— დედის გაროზგვა არ შეიძლება, მისი დანაშაული მე უნდა  
ვზლო, — წელამდე გაშიშვლებული მიწაზე გაწვა და მიურიდს უთხრა:—  
მათრახი რა უყავი, მოიტანე და შეასრულე, რასაც გეუბნები.

მიურიდი მერყეობდა. იმამმა წარბი შეიკრა. მიურიდმა კარგად იცო-  
და, რა მოჰყვებოდა ამას და იმამს წკებლა გადაუჭირა, მაგრამ ისე რბი-  
ლად, თითქოს კი არ სჯის, ეფერებო. შამილი წამოხტა და დაიყვირა:

— აბა, დაწეჭი ჩემ მაგივრად!

მიურიდი გაწვა. შამილმა მათრახი აიღო და მაგრად გადაუჭირა სამ-  
ჯერ. წითელი ნაწიბურები დააჩნდა მიურიდის ზურგს.

— მიხვდი, როგორ უნდა დარტყმა? აბა დაიწყე, წელანდელივით  
თავი არ აივლო.

ატყლაშუნდა მათრახი იმამის ზურგზე. მიურიდი თვლიდა:

— ოცდარვა, ოცდაცხრა...

— არა, ჯერ მხოლოდ ოცდაშვიდია, ნუ უმატებ.

მიურიდს წურწურით ჩამოსდიოდა ოფლი და მარცხენა სახელოთი  
იწმენდა. იმამის ზურგი გზებითა და ბილიკებით დასერილ ქედს თუ  
ცხენების რემით გადათქერილ ფერდობს დაემსგავსა.

როგორც იქნა, დამთავრდა წამება. გასავათებული მიურიდი გვერდ-  
ზე გადაგა. შამილმა ჩაიცვა, იარაღი აისხა და თქვა.

— მთიელებო, ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ, ლექსების თხზვისა და სიმ-  
ღერისათვის არა გვცალია, არც ზღაპრების მოყოლის დრო გვაქვს. დე,  
ჩვენმა მტრებმა იმღერონ სიმღერები ჩვენზე. ამას ჩვენი ხმლები ასწავ-  
ლიან მათ. მოიწმინდეთ ცრემლები და იარაღი ალესეთ. ახულგო დაგ-  
კარგეთ, მაგრამ დალესტანი ჯერ კიდევ ცოცხალია და არც ომი დამთავ-  
რებულა.

ამ დღის შემდეგ კიდევ ოცდახუთ წელიწადს იბრძოდა დალესტანი,  
ვინემ უკანასკნელი ბრძოლა არ დამთავრდა და გუნიბიც არ დაეცა.

გუნიბის გაალმასებული ბრძოლის დროს იმამი მეჩეთში ლოცუ-  
ლობდა.

— ასეთი უბედურება დალესტანს არ უნახავს! — თქვა შამილის  
უფროსმა ცოლმა ფატიმათმა.

— შენ ცდები, ფატიმათ, მანამდეც იწვნია დალესტანმა ერთი დიდი  
უბედურება.

— რომელი?

— როცა შენნაირი ცოლის პატრონმა შუანიათი მოვიყვანე ცო-

ლად, — გაიცინა იმამმა, გაიცინეს ქვე, მეჩეთში მწოლიარე დაპირილმა მიურიდებმა. თითქოს მთელმა დაღესტანმა გაიცინა, რაკი პირველად გაიგონა ამ ხნის განმავლობაში იმამის სიცილი.

შამილი იცინოდა დაღესტნისათვის ყველაზე მძიმე წუთებში, როცა ინგრეოდა ყოველივე, რაც შექმნა, რითაც ამყობდა. იცინოდა, როცა რამდენიმე საათის შემდეგ ტყვედ უნდა ჩავარდნილიყო.

უცბად შამილი გაჩუმდა, ღინჯი იერი მიიღო. სამივე ცოლი გვერდით მოისვა და სთხოვა:

— ის სიმღერა მიმღერეთ, განსვენებულმა დედაჩემმა რომ შეთხზა! ფატიმათმა, ნაპისათმა და შუაინათმა ერთად დაიწყეს:

მთებო, ხეებო, ხმა ამოიღეთ...

მიწყდა სიმღერა. ცაზე მთვარე ქათქათებდა. დანალღვლიანდა იმამი.

— ერთხელ კიდევ მიმღერეთ.

ისევ იმღერეს ფატიმათმა, ნაპისათმა და შუაინათმა. ახლა უფრო შორს გაიჭრა სიმღერა. იგი მთვარით განათებულ მოქუფრულ კლდეებს, მტირალა ტირიფებსა და გუნბის არყის ხეებსაც ესმოდათ.

— შესამედაც იმღერეთ! — დაიძახა შამილმა.

კიდევ უფრო შორს გაფრინდა სიმღერა. ახლა გუნბის ახლომანლო აღმოდებულ აულებსაც ესმოდათ იგი, დაღუმებულ აულებსაც შორეულ მთებში და სამარეში მწოლიარე მიურიდებსაც. მაგრამ აი, ირჩურაყა და ისევ გაისმა გრგვინვა ბრძოლის ველზე, ეს უკანასკნელი ბრძოლა იყო. როცა შეწყდა ქვემეხების ბათქი, სიმღერა აღარ ისმოდა.

იმამი საპატიო ტყვე გახდა; იარალი დაუბრუნეს, ცხენი მოჰგვარეს და ცოლები შეუნარჩუნეს, ოღონდ დაღესტანი არ დაუტოვეს — შორეული ჩრდილოეთისკენ გაუყენეს გზას. დაღესტნისაგან სიმღერალა დარჩა, დიდი ხნის წინათ რომ შეთხზა მოხუცმა დედამ. პირველად ამ სიმღერას სამივე ცოლი ერთად უმღეროდა საპატიო ტყვეს, შემდეგ ორი ცოლიღა დარჩა — ნაპისათი და შუაინათი. ბოლოს კი შორეული არაბეთის უდაბნოში მომაკვდავ შამილს უკანასკნელი ცოლი შუაინათი უმღეროდა უკანასკნელ სიმღერას.

მამაჩემი შუაინათზე ჰყვებოდა:

„შუაინათი ყველაზე ლამაზი ქალი იყო შამილის სახლში, მისი უკანასკნელი ცოლი და პირველი სიყვარული. იმამი, როგორც ყველა მთელი, ცოლს ჩვენი ადათის მიხედვით ირთავდა. ის კი... ის განგებამ უბოძა საჩუქრად. სიმამაცით ცნობილმა ნაიბმა ახვერდილ მაჰმადმა მოზდოკზე გაითარეშა და სომეხი ვაჭრის ულამაზესი ასული ანა მოიტაცა. ეს მოხდა ანას ქორწილამდე რამდენიმე დღით ადრე. მიურიდმა თავისი ნადავლი ნაბადში გახვეული მიუყვანა იმამს. როცა ნაბადი მოხსნეს, იმამს არაფერი დაუნახავს, გარდა დაღესტნის ცასავით უძირო ორი დიდ-

რონი ცისფერი თვალისა. ეს თვალეები უშიშრად და ჯიქურ შესცქეროდნენ შამილს, მის ქრომის წითელ ჩექმებს, მის იარაღს, წვერსა და თვალებს. ნორჩი სომეხი ქალწულის წინ იდგა კაცი, ვისაც არც ახალგაზრდა ეთქმოდა და არც ლამაზი, მაგრამ ვისი გარეგნობაც რაღაცით იზიდავდა და ხიბლავდა. მბრძანებლურ იერსა და ძალასთან ერთად სიკეთე და სინაზეც ეტყობოდა. მათი თვალეები ერთმანეთს შეხვდა. ბრძოლებში ნაცად მეომარს გული თითქოს გაუჩერდა. ამას ჩვეული არ იყო იმამი და შეერთა. მაშინვე გაისმა მისი მბრძანებლური ხმა:

— წადი და იქ მიიყვანე ეს ასული, საიდანაც მოგიყვანია!

— რატომ, იმამო, ამისთანა მზეთუნახავი...

— ეს მე ვიცი, რატომ. შენ კი ცხენი შეკაზმე.

— გამოსასყიდი რა ავილო?

— ისე დააბრუნებ, გამოსასყიდის გარეშე.

გაოცდა ახვერდილ მაჰმადი. არასოდეს დაუბრუნებია შამილს ტყვეები უსასყიდლოდ, მაგრამ სიტყვა ვერ შეუბრუნა, ტყვეს მიუბრუნდა და უთხრა:

— ახლა ისევ მშობლებთან წაგიყვან. ოჰ, რარიგ გაუხარდებათ?! უთხარი იმათ, რომ შამილი ყაჩაღი არ არის.

როცა ანას მიურიდის ნათქვამი უთარგმნეს, გაოცებული თვალეები შამილს მიანათა. ყველას ეგონა, ეს ბედნიერება არ სჯერაო ტყვე ქალს, და ისევ გაუმეორეს ნათქვამი:

— იმამი წუხს, ასე რომ მოხდა, და ყოველგვარი სასყიდლის გარეშე გაბრუნებს უკან.

მაშინ მზეთუნახავმა შამილს უთხრა:

— ჰოი, ბელადო დაღესტნისა, ჩემი მოტაცება არავის მოსვლია აზრად, მე თვითონ მოვედი შენთან, შენი ტყვე მინდოდა ვყოფილიყავი.

— რატომ, რისი გულისთვის?

— მინდოდა შენახა გმირი, ვისზეც მთელი კავკასია და მთელი ქვეყანა ლაპარაკობს. რაც გინდა მიყავ, ჩემს ტყვეობას კი არაფერზე არ გავცვლი, არსად არ წაველ აქედან.

— არა, უნდა წახვიდე.

— ამას მეუბნები შენ, შამილი, ვინც ყველას მამაცი ჰგონიხარ?

— ამას ალაჰი ამბობს.

— ღმერთი ვერ იტყოდა ამას.

— ჩემი ალაჰი და შენი ღმერთი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ.

— დღეიდან მე შენი ტყვე ვარ, შენი მონა. შენი ალაჰი დღეიდან ჩემი ღმერთიც იქნება. ჯერ კიდევ ბავშვობაში მესმოდა სიმღერები შენზე, ერთი მათგანი დავიმახსოვრე კიდევ. გულში ჩამრჩა ის სიმღერა.

სომეხმა ასულმა ყველასთვის გაუგებარ ენაზე წამოიწყო ლამაზი



სიმღერა. მაღალი მთებიდან მთვარემ ამოჰყო თავი, სომხეთის შვილი კისე მღეროდა და მღეროდა სიმღერას შამილზე.

შემოვიდა მიურიდი.

— ცხენი მზადაა, იმამო, წავეყვანო ქალი?

— დაეხსენ, მთელი მაგისი სიცოცხლეც რომ დასჭირდეს, ეს სიმღერა მაინც უნდა დაასრულოს.

რამდენიმე დღის შემდეგ დაღესტანში მითქმა-მოთქმა შეიქნა. კაცი კაცს უჩურობდა, აული აულს. თან კრიალოსანს მარცვლავდნენ და თან პუტუნობდნენ:

— გაიგე? შამილს კიდევ ერთი ცოლი მოუყვანია.

— მართლმორწმუნე იმამმა სომხის გოგო ითხოვა.

— იმამის ჩაღმას გაიური რეცხავს, ლოცვის მაგივრად მღერის.

ჭორი მართალი გამოდგა — იმამმა მესამე ცოლი შეირთო. ანამ მუსულმანური სარწმუნოება იწამა და სახელიც ხუნძური დაირქვა, შუაინათად იქცა და მთელი ქალივიდ წაიკრა თავი. იმამისთვის ყველაზე გემრიელი საჭმელი შუაინათის მიწოდებული კერძი იყო, ყველაზე რბილი ლოგინი შუაინათის ხელით გაშლილი ლოგინი, ყველაზე თბილი და ნათელი — შუაინათის ოთახი, ყველაზე ტკბილი — შუაინათის ხმა. სათნო, აღერსიანი და კეთილი გაუხდა იმამს გორიში ჰირისაზე. ბევრჯერ ჩამოვიდნენ შამილთან შუაინათის მშობლების გამოგზავნილი კაცები მოზდოკიდან. სთხოვდნენ, შუაინათი დაგვიბრუნეო, ყოველნაირ გამოსასყიდზე თანახმანი იყვენენ. შამილი შუაინათს ატყობინებდა მშობლების შემონათვალს, ის კი ყოველთვის ერთს პასუხობდა:

— შენ ჩემი ქმარი ხარ, იმამო, თუ გინდა თავი მომკვეთე, შინ კი არ დავბრუნდები.

გადასცემდა ხოლმე იმამი შუაინათის პასუხს მოზდოკიდან წარმოგზავნილებს. ერთხელ მოზდოკიდან შუაინათის ძმა ჩამოვიდა. იმამმა კარგად მიიღო იგი და დის ნახვის ნება დართო. ორი საათი დაყვეს ერთად და-ძმამ. ძმამ უამბო, რარიგ დამწუხრებული იყო მამა, როგორ ტიროდა დედა, რა ნეტარი ცხოვრება ელოდა შინ, როგორ უყვარდა იგი დღესაც მის გაუბედურებულ ჰაბუკ საქმროს.

ყველაფერი ამას იყო. შუაინათმა უარი თქვა. ხელცარიელი დაბრუნდა ძმა მოზდოკში.

პირველმა ცოლმა ფატიმათმა ხელსაყრელი დრო შეარჩია და იმამს ჰკადრა:

— იმამო, გარშემო სისხლი იღვრება, ხალხი იხოცება, შენ კი ამ დროს ლოცვასავით ისმენ შუაინათის სიმღერას. აკი აკრძალე სიმღერა დაღესტანში. აკი მშობელი დედის სიმღერის მოსმენაც არ ისურვე.

— ფატიმათ, შუაინათი იმ სიმღერებს მღერის, მტრები რომ მღერიან ჩვენზე. გულის ამაჩუყებელი სიმღერების ნება რომ დამერთო, ჩენი

მტრების ყურამდეც მიაღწევდა და, ვინ იცის, რას იფიქრებდნენ. მაშინ სირცხვილით თვალს ვერ გავუსწორებდი იმ დედებს, ვისი შვილებიც ჩემ გვერდით დაეცნენ ბრძოლის ველზე. მტრებმა კი იმდროს ჩვენზე, სიამოვნებით მოვისმენ და სხვებსაც მოვასმენინებ.

ის როდი აღარდებდა ფატიმათს, იმამი ახალგაზრდა ცოლის სიმღერებს ისმენსო. იმამი სხვა ცოლებისთვის ძველებურად ვეღარ იცლიდა და ეს იყო ფატიმათის საწუხარი. ამას მალე სხვა ამბავიც დაერთო.

ერთხელ იმამს შეატყობინეს, რომ თეთრი მეფე მზად იყო შუაინათში გაეცვალა მისი შვილი ჯამალუტდინი, ვინც იმ დროს პეტერბურგში კადეტთა კორპუსში სწავლობდა. გაუძნელდა შამილს, მაგრამ მაინც უარი თქვა. იმამმა ეს ამბავი არავის გაუმხილა, მაგრამ ხმამ ფატიმათის ყურამდეც მიაღწია. ერთხელ ფატიმათი თავის ახალგაზრდა მეტოქეს ეწვია:

— შუაინათ, სიტყვას მაძლევ, რომ ჩვენი საუბარი ალაჰის გარდა არავის ეცოდინება?

— სიტყვას გაძლევ.

— ჩემზე უკეთ შენ იცი, რომ ბოლო დროს შამილს ძილი გაუკრთა, წუხს და იტანჯება.

— ვხედავ, ფატიმათ, ვხედავ.

— მერე და არ იცი, რატომ?

— არა.

— მე კი ვიცი, მაგრამ მხოლოდ შენ შეგიძლია წამალი უშოვო და მოარჩინო.

— მითხარი, ფატიმათ, მითხარი, შემოგველე!

— ალბათ გსმენია ჯამალუტდინზე — ჩემსა და შამილის შვილზე, არა?

— როგორ არა.

— ჰოდა, მისი დაბრუნება შენზეა დამოკიდებული. ხომ გახსოვს დედაშენი, მეც დედა ვარ, შუაინათ. ათი წელია არ მინახავს შვილი, დამეხმარე, მე თუ არა, იმამს დაეხმარე!

— შამილის გულისთვის ყველაფერს გავაკეთებ.

— შენ თუ მშობლებს დაუბრუნდები, მეფე ჩვენ ჯამალუტდინს დაგვიბრუნებს. დამიბრუნე ჩემი ბიჭი, შუაინათ, ღმერთი გადავიხდის სამაგიეროს, გემუდარები.

— კარგი, ფატიმათ, ყველაფერს გავაკეთებ, ყველაფერს, — უთხრა შუაინათმა და გაეცალა.

თავის ოთახში შევიდა შუაინათი, ხალიჩაზე დაეცა და დიდხანს იქვითინა, მერე ნაღვლიანი სიმღერა წამოიწყო. მოვიდა შამილი:

— რა დაგემართა, შუაინათ?

— დედ-მამასთან გამიშვი, იმამო.

— რას ამბობ, განა შენ თვითონ არა თქვი უარი? ახლა კი მე აღარ შემიძლია შენი გაშვება.

— უნდა გამიშვა, შამილ! სხვა გზა არ არის.

— რა მოგივიდა, ავად ხომ არა ხარ?

— მე მინდა, რომ შენ ჯამალუტდინი ნახო.

— აი თურმე რა! არსადაც არ წახვალ, შუაინათი მირჩევნია, შვილი დაგკარგო, ვინემ ცოლის სანაცვლოდ დაეიბრუნო იგი. ის თუ ჩემი შვილია, თვითონ გამოიკვლიოს გზა დედისაკენ, მშობლიური ქვეყნისკენ. მე კი შენი გაკვალული გზით არ წავალ მისკენ. ისეთ გზას გამოვძებნი, ჩემთვისაც საკადრისი რომ იყოს და ჩემი შვილისთვისაც. აბა ერთი ცხენი მომიყვანე!

შუაინათმა ცხენი მოკვარა, ლურსმნიდან მათრახი ჩამოსხსნა და იმამს მიაწოდა.

ყველა ლაშქრობაში, ყველა მოგზაურობაში — დაღესტანსა თუ პეტერბურგში, კალუგასა თუ შორეული არაბეთის მიწაზე, სიკვდილამდე განუყრელად ახლდა თან შუაინათი შამილს. ახლაც ჰყვებიან ლეგენდებს ამ გასაოცარ ქალზე. ბოლოს და ბოლოს მისი წყალობით დაბრუნდა ჯამალუტდინი დაღესტანში, მაგრამ ამაზე ცალკე ვიამბობთ.

### ჯამალუტდინის სიძლერა

რვა წლის მძევალი ოცდართნი წლის ვაჟკაცად დაუბრუნდა დაღესტანს. რა ძალა, მოთმინება და ეშმაკობა არ დასჭირდა იმამს შვილის დასაბრუნებლად. ბევრი რუსი ტყვე აძლია შამილმა თეთრ მეფეს შვილის სახაცვლოდ, მაგრამ ვერა და ვერ დაიყოლია. ახალგაზრდა მთიელი პეტერბურგში სჭირდებოდა მეფეს. შვილს მოგიკლავო, ემუქრებოდა შამილს, თუ არ შეწყვეტო რუსეთთან უაზრო ბრძოლას. მუქარა ვერ აშინებდა იმამს. შვილის სახელით წერდნენ (შეიძლება თვითონ შვილიც წერდა), რომ მეფე ძლიერია და მისი დამარცხება შეუძლებელია, დაღესტანი კი სისხლისგან იცლება და წინააღმდეგობის გაწევას მხოლოდ ზიანი და მწუხარება მოაქვსო. ჯიუტ იმამს არაფრის გაგონება არ უნდოდა.

სწორედ იმ ხანებში ჰაჯი-მურატი რამდენიმე მიურიდის თანხლებით რუსების მხარეს გადავიდა, დედა, ცოლი და ვაჟიშვილი კი მთებში დატოვა. ცხადია, ისინი შამილს ჩაუვარდნენ ხელში.

„თუ არ დაბრუნდები, — წერდა შამილი ჰაჯი-მურატს, — შენს შვილს, ბულიჩს, თავს მოგკვეთ, შენს დედასა და ცოლს კი მეომრებს მივუგდებ ნამუსის ასახდელად“.

არც ჰაჯი-მურატი იყო გულხელდაკრეფილი, ისიც ეძებდა თავისი

ოჯახის გამოსახსნელად გზებს, რომ მერე თამამად შებრძოლებოდა ჯი-  
უტ იმამს. იმ ხანებში ასე ამბობდა ჰაჯი-მურატი: „თოკითა ვარ დაბმული  
და თოკის ბოლო კი შამილს უჭირავს“. არანაირ გამოსასყიდზე არ შეიძ-  
ლებოდა ლაპარაკი. ჰაჯი-მურატი ოჯახის გამოსხნას აპირებსო, რომ გაი-  
გო, შამილმა თქვა: „ყველა-ყველა და ჰაჯი-მურატი ჰკუაზეც შეშლი-  
ლო“.

მაგრამ თუ შამილს ჰაჯი-მურატისკენ მიმავალი თოკის ბოლო ეპყრა  
ხელთ, ჰაჯი-მურატს პირდაპირ შამილის გულისკენ მიმავალი უწვრილე-  
სი ძაფი ჰქონდა ხელზე დახვეული. ეს ძაფი ჯამალუტდინი იყო. ჰაჯი-  
მურატმა ვორონცოვს სთხოვა: „გაუშვას თეთრმა მეფემ ჯამალუტდინი  
მამამისთან, იქნებ ჩემი ახლობლები დამიბრუნოს სანაცვლოდ. სანამ  
ჩემი ოჯახი მის ხელთაა, შამილის წინააღმდეგ ომში წასვლა იგივეა, სა-  
კუთარი ხელით რომ გამოგჭრა ყელი დედასაც, ცოლსაც, შვილსაც და  
ყველა ნათესავს“. ვორონცოვმა მეფეს მოახსენა ჰაჯი-მურატის თხოვნა  
და გაცვლაზე დაითანხმა.

„დაგიბრუნებთ შვილს, ჰაჯი-მურატის ოჯახს თუ გამოუშვებ“, — მის-  
წერეს შამილს. გაწამდა შამილი, რა ერჩია, არ იცოდა. სამი ღამე არ უძი-  
ნია არც თვითონ, არც მის ოჯახს. მეოთხე დღეს ჰაჯი-მურატის შვილი  
ბულიჩი იხმო.

- შენ ჰაჯი-მურატის შვილი ხარ?
- დიახ, იმამო, ჰაჯი-მურატის შვილი ვარ.
- იცი, რა ჩაიდინა მამაშენმა?
- ვიცი, იმამო.
- მერე რას იტყვი ამაზე?
- რა უნდა ვთქვა, იმამო.
- ძალიან გინდა მისი ნახვა?
- ძალიან მინდა.
- მე გიშვებთ მამაშენთან შენც და თქვენს მთელ ოჯახსაც.
- მე ვერ წავალ მამაჩემთან, იმამო. ჩემი ადგილი დაღესტანშია, იქ  
კი დაღესტანი არ არის.
- უნდა წახვიდე, ბულიჩ, გიბრძანებ!
- არ წავალ, იმამო, მირჩევნია ახლავე გამათავო.
- გეტყობა, შენც მამაშენივით ქედუხრელი ხარ.
- ჩვენ ყველანი შენ წინაშე ვიხრით ქედს, იმამო, მაგრამ მამასთან  
წასვლას ნუ მომთხოვ. ომში წასვლა მიჯობს, სიცოცხლეს არ დავი-  
შურებ.

- მამის წინააღმდეგ იბრძოლებ?
  - მტრების წინააღმდეგ.
- იმ დღეს შამილმა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ხანჯალი აჩუქა  
ბულიჩს:

— ისე იხმარე, როგორც მამაშენი ხმარობდა, ოღონდ ყოველთვის  
გახსოვდეს, ვის უნდა ჩასცე.

არ გამოუვიდა პაჭი-მურატს ჩანაფიქრი — არ წავიდა ბულიჩი მამა-  
თან და არც ჭამალუტდინი დაუბრუნეს იმამს.

შამილი ახლა სხვა გზებს ეძებდა შვილის გამოსახსნელად. მან თავი-  
სი მეორე შვილი ყაზი-მაჰმადი გაგზავნა სათარეშოდ წინანდალში ქარ-  
თველი თავადის მამულში. ტყვედ ჩაიგდეს ქალბატონი ჭავჭავაძე, ქალ-  
ბატონი ორბელიანი და ფრანგი გუვერნანტი ქალი. ეკატერინე ჭავჭავაძე  
მიუბრუნებდა ხის ფულუროდან გამოათრიეს.

ახლა კი შეეძლო შამილს თვითონ ეკარნახა პირობები თეთრი მეფის-  
თვის. მეფე ხომ არაფერზე იტყოდა უარს თავადის ქალების გამოსახსნე-  
ლად. „თავადის ქალებს მხოლოდ ჩემს შვილში გავცვლი“, ასეთი იყო  
შამილის საბოლოო სიტყვა. და აი, ეს დღეც დადგა. წყალუხვი მდინარის  
ერთ მხარეს თავისუფლებას ელოდებიან მოტაცებული ქართველი თავა-  
დის ქალები. მეორე მხარეს იმამის ვაჟიშვილს რუსი მებრძოლები აცი-  
ლებენ. შამილმა ცხენი მიაგდო მდინარესთან, გადმა ნაპირზე ათეული-  
ერებს ხალხს, თავისი ჭამალუტდინი უნდა დაინახოს. რა ხანია არ უნა-  
ხავთ ერთმანეთი, იცნობენ კი ერთმანეთს?

იმამს რუსი ოფიცერი დაანახვეს, იგი სხვა ოფიცრებს ესაუბრებოდა,  
ჩხვეოდა მათ, ემშვიდობებოდა, მერე განზე გამდგარ ასულს მიუახლოვ-  
და და ხელზე ეამბორა. დროდადრო თეთრონზე ამხედრებულ შამისკენაც  
აპარებდა თვალს ჭამალუტდინი.

— ეს არის ჩემი შვილი? — იკითხა შამილმა ისე, რომ თვალი არ მო-  
უშორებია ოფიცრისთვის. ცდილობდა მისი არც ერთი მოძრაობა არ გა-  
მოპარვოდა.

— ჰო, ეგ არის ჭამალუტდინი.

— გაუტანეთ გადმა ნაპირზე ჩოხა და ჩვენი იარაღი, დღეიდან ის  
მეფის ოფიცერი კი არა, დაღესტნის მეომარია. ხოლო რაც აცვია, მდი-  
ნარეში გადაყარეთ. ასე ჩემთან არ მოვეუშვებ:

ჭამალუტდინმა იმამის სურვილი შეასრულა და ტანსაცმელი გამოიც-  
ვალა. ჩოხაზე მთიელის იარაღიც შემოირტყა, მაგრამ ფაფახმა და ჩოხამ  
ვერ გამოცვალა ჭამალუტდინი, თავი და გული იგივე დარჩა.

აი, როგორც იქნა, გადავიდა მდინარეზე ჭამალუტდინი და იმამს მიუ-  
ახლოვდა.

— შვილო, ჩემო ძვირფასო!

— მამა!

ჭამალუტდინს ცხენი მოჰგვარეს. მთელი გზა ვედენამდე მამა-შვილი  
გვერდიგვერდ მიდიოდა. ხანდახან შამილი ეკითხებოდა:

— გახსოვს, ჭამალუტდინ, ეს ადგილები? ხომ არ დაგავიწყდა ეს  
კლდეები? გახსოვს ჩვენი აული გიმრი? გახსოვს ახულგო?

— მე ხომ მაშინ ძალიან პატარა ვეყავი, მამა.

— შითხარი, ერთხელ მაინც თუ გილოცია დაღესტნისათვის. ჩვენი ლოცვები ხომ არ დაგვიწყნია, ლექსები თუ გახსოვს ყურანიდან?

— სადაც მე ვცხოვრობდი, ყურანი არ ჰქონდათ, — უხალისოდ სუხობდა ჯამალუტდინი.

— ნუთუ შენ ერთხელაც არ დაგიჩოქნია ყოვლისშემძლე ალაჰის წინაშე? არ დაგიცავს ჩვენი ადამი, არ შეგისრულებია ნამაზი?

— ჩვენ უნდა მოვილაპარაკოთ, მამა.

შამილმა მათრახი გადაუჭირა ცხენს.

მეორე დილით შამილმა შვილი იხმო:

— შეხე, ჯამალუტდინ, როგორ ამოდის მზე მთებიდან, ხომ ლამაზია?

— ლამაზია, მამა.

— შზადა ხარ სიცოცხლე გასწირო ამ მთებისთვის, ამ მზისთვის?

— ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ, მამა.

— კი, ბატონო, დაიწყე.

— მამა, მეფე მდიდარი და ძლიერია. რას ვიცავთ, რისთვის ვიბრძვით, ამ ღარიბი მთების, ამ სიღატაკისა და უმეცრებისათვის? რუსეთს დიდი ლიტერატურა აქვს, დიდი მუსიკა და ენა. დაღესტანი მოიგებს, რუსეთს თუ შეუერთდება. დროა, თვალი გავუხსწოროთ სიმაართეს, დავყაროთ იარაღი და ჭრილობები მოვიშუშოთ. დამიჯერე, მამა, შენზე ნაკლებად არ მიყვარს დაღესტანი...

— ჯამალუტდინ!..

— ერთი აულიც არ არის დაღესტანში ისეთი, ერთხელ მაინც არ გადაეწვათ, კლდე არ არის, ჭრილობა არ აჩნდეს, ქვა არ არის, სისხლით არ იყოს მორწყული.

— გატყობ, შენ არც სურვილი გაქვს და არც შეგიძლია ამ დაჭრილი კლდეების დაცვა.

— მამა!

— მე შენი მამა არა ვარ, არც შენ ყოფილხარ ჩემი შვილი. შენი სიტყვები რომ მოისმინონ, მკედრები ამოხტებიან საფლავეებიდან, მაგრამ მე, ცოცხალმა, რა ვქნა ამის გამგონემ? ხედავ როგორ მოიქუფრნენ კლდეები?

შამილმა თავისი ოჯახი და ერთგულები მოიხმო.

— ხალხნო, მინდა ვიამბოთ, რას ამბობს ჩემი შვილი... ის ამბობს, თეთრი მეფე ძლიერია, მეფის სახელმწიფო დიდია და ჩვენი ბრძოლა ამაოა. ამბობს, დროა დავყაროთ იარაღი და მორჩილად მოვიხაროთ ქედი მეფის წინაშე. ვინც ამის თქმას კი არადა, გაფიქრებას გაბედავდა, ერთი წუთითაც არ გავაჩერებდი დაღესტანში. დღეს კი ეს სიტყვები ჩემს ოჯახში მესმის და ისიც ვისგან? ჩემი შვილისგან. რა ვუყოთ იმ

კაცს, ვინც მეფემ გამომიგზავნა დაღესტნისა და ჩემს შესარცხვენად? კარგად იცით, რამდენჯერ დაუჩხვლეტია მტრის ხიშტებს დაღესტანი და ჩემი გულმკერდიც, ახლა კი ჩემი გამოკვერილი ხიშტი აულესია მეფეს და შიგ გულში მიყრის. რა ვქნა, როგორ მოვიქცე?

დამწუხრებული უსმენდნენ ნათესავეები იმამს. მარტო დედამ ვერ დაიჯერა და ვერა ეს ამბავი.

შამილი ჯამალუტდინს მიუბრუნდა.

— ეი, შენ, მთების მტერო, ისეთ ადგილას იცხოვრე, შენი ხმა რომ არ მომწვდეს. შენ აღარც მამა გყავს და აღარც დაღესტანი. მე ქართველი თავადის ქალები გავცვალე შენში, შენ კი რა მოგიხერხო, ვისში გავცვალა?

— რაც გინდა ის მიყავ, მამაჩემო, თუ გინდ მომკალი, ოღონდ ბოლომდე მომისმინე.

— საკმარისია, მე ყოველთვის ალაპს უუსმენდი, მაგრამ ახლა არც მისი მოსმენა მინდა. ის მეუბნება — „მოკვალ მტერი“, მე კი ვპასუხობ — „ეს მტერი კი არა, გზააბნეული შვილია“. ვეუბნები, რომ არ შემოძლია საკუთარი თითის მოკვეთა. ჰოდა, იცოცხლე, ოღონდ ეგ ხანჯალი შეიხსენი, იარაღი მხოლოდ იმან უნდა ატაროს, ვისაც ბრძოლა სწადია.

შამილმა შორეულ აულში გადაასახლა შვილი. მოწყვეტილი ფოთოლივით ცხოვრობდა იქ ჯამალუტდინი. დარღმა, ცუდმა საჭმელმა და შეუჩვეველმა ჰაერმა დაავადა იგი და ჭლექი შეჰყარა. იმამი იბრძოდა, შვილს კი უფრო და უფრო უჭირდა სუნთქვა. ჯამალუტდინი განწირული იყო. ამ დროს იმამის ფარულად ფატიმათი მოვიდა შვილთან. დედამ პურის ცომისგან გამომცხვარი სათამაშოები მოუტანა: ხანჯალი, არწივი, ხმალი. მერე ეზოდან წივა შემოიტანა და ცეცხლი გააჩალა. გაათხო პურის სათამაშოები, კალთით მოაცილა ნაცარი, ერთი ცალი დაამტვრია და პატარა ბავშვივით მიაწოდა ჯამალუტდინს.

— როცა დედას რძე აქვს გამშრალი, ცდილობს ჯიხვის რძეს შეაჩვიოს ჩვილი, — თქვა ფატიმათმა.

ჯამალუტდინი გაოცებული თვალეზით მისჩერებოდა დედას, თითქოს ახლა დაინახაო პირველად. უცბად გაახსენდა ახალგაზრდა და ლამაზი დედა. სწორედ ასეთ პურებს აჭმევდა ხოლმე ბავშვობაში, ცხენის მოყვანილობის აკვანში ჩაქრულს უმღეროდა დედა ძუ ლომის რძით გაზრდილ ჰაბუჯზე. თავქვეშ ხის პატრა ხანჯალი ეღო.

— დედა! — დაიყვირა ჯამალუტდინმა, როგორც ბავშვობაში იცოდა ხოლმე.

— ჯამალ, ჩემო ბიჭო, დამიბრუნდი! — შესძახა ფატიმათმა.

ჯამალუტდინმა იცნო ავადმყოფი შვილის სარეცელზე გადამხობილი დედა, ისევე რომ უმღეროდა ნანას, როგორც მისი ცხოვრების აისზე.

იმამი, ვისაც შვილმა ვერ გაუგო, თავის მიუჩრდილებთან ერთად



სადღაც შორს იბრძოდა. ფატიმათი კი გამოსათხოვარ სიმღერას უმღე-  
როდა მომაკვდავ პირშოს.

ჯამალუტდინს ეჩვენებოდა, რომ სადღაც ახლოს კლდეებში მდინარე  
კენსოდა, კართან ხმელ თივაზე მწოლარე ზბოს ლანდავდა.

თავისი სახლი გაახსენდა ვიმრში, მამა და თავისი პირველი ცხენი.  
დედა მხარაულ დინგირ-დანგარჩუზე უმღეროდა, წვიმის ნაკადს რომ  
აჰყოლოდა ზეცაში.

- საით მიდხარ, დინგირ-დანგარჩუ?
- ტყეში, — პასუხობს დინგირ-დანგარჩუ.
- ტყეში რა გინდა, დინგირ-დანგარჩუ?
- ხეებს ვჭრი, — ამბობს დინგირ-დანგარჩუ.
- ხეებს რატომ ჭრი, დინგირ-დანგარჩუ?
- ქოხს დავდგამ, — ამბობს დინგირ-დანგარჩუ.
- ქოხი რად გინდა, დინგირ-დანგარჩუ?
- ქალს ვითხოვ, — ამბობს დინგირ-დანგარჩუ.
- ქალი რად გინდა, დინგირ-დანგარჩუ?
- შვილები მინდა, დინგირ-დანგარჩუ.
- შვილები რისთვის, დინგირ-დანგარჩუ?
- მამულისათვის, — ამბობს დანგარჩუ.

ჯამალუტდინს მშობლიური მთები დაუდგა თვალწინ. თოვლი დნება  
და ქვებს მოაგრიალებს ნიაღვრები. ქედებზე ღრუბლები მიცოცავენ.  
უცხო ქვეყანაში დაევიწყებული დაღესტანი შემოეჯარა ირგვლივ ჯამა-  
ლუტდინს. დედა კი ისევ მღეროდა და მღეროდა. ეს ის სიმღერები იყო,  
ვაჟიშვილის დაბადების დროსაც რომ იმღერება და მისი სიკვდილის  
დროსაც. შვილების მერე სიმღერები დარჩებაო მათზე, მღეროდა დედა.  
დედა შამილზე მღეროდა, ჰაჯი-მურატზე, ყაზი-მაჰმადზე, გამზათ-ბეკ-  
ზე, მამაც ხონძარზე, პარტუ-ფატიმათზე, ნადირ-შაჰის განადგურებაზე,  
იმათზე, ვინც ლაშქრობიდან ვერ დაბრუნდა. კერძაზე ცეცხლი ინაგ-  
ლებოდა, დაღესტანი კი ომის ხანძარში გიზგიზებდა. ეს ორივე ცეცხლი  
ისარკებოდა ახლა ჯამალუტდინის თვალებში. გაიღვიძა, იფეთქა შვილის  
სიყვარულმა დაღესტნისადმი. იგი მოუწოდებდა, მამის გვერდით დამ-  
დგარიყო ჯამალუტდინი.

— დედა, მე მხოლოდ ახლა დავბრუნდი დაღესტანში, მხოლოდ ახ-  
ლა შევხვდი მამაჩემს. მომიტანე იარაღი, მე შამილის შვილი ვარ და კე-  
რიის პირას არ უნდა მოგვკვდე. იქ გამიშვიტ, სადაც სროლაა.

'დიახ, დედის სიმღერამ შესძლო ის, რის წინაშეც უძლური აღმოჩნდა  
ყურანიც და მამის ბრძანებაც.

მაგრამ ეს წამიერი აფეთქება იყო. დედის სიმღერამ ვერ დააღუმა  
სხვა სიმღერები ჯამალუტდინის გულში. მას არ შეეძლო დაევიწყებინა  
პეტერბურგი, სადაც გაიზარდა. უცხო ენაზე უკითხავდა იგი დაღესტნელ  
მთიელებს გაუგებარ სტრიქონებს:

Люблю тебя, Петра творенье,  
 Люблю твой строгий, стройный вид,  
 Невы державное течение,  
 Береговой ее гранит,  
 Твоих оград узор чугунный,  
 Твоих задумчивых ночей  
 Прозрачный сумрак, блеск безлуный,  
 Когда я в комнате моей  
 Пишу, читаю без лампы  
 И ясны спящие громады  
 Пустынных улиц, и светла  
 Адмиралтейская игла...



უცნაურად ეღერდა ეს სიტყვები მაღალმთიანი აულის გაბოლილ ქოხში. ჯამალუტდინს ესიზმრებოდა ხოლმე, ვითომ ისევ კადეტთა კორპუსში იყო და ზაფხულის ბაღთან ქართველ მზეთუნახავ ნინოს ხედებოდა...

ორი არწივი ჩაბუდებულიყო ჯამალუტდინის სხეულში და შუაზე უგლეჯდნენ გულს. ორი სიმღერა წკრიალებდა მის სულში. ახლა შორსაა საყვარელი ნინო. დიდი მდინარე ჩაუდით შუაში. ფოსტაც ვერ მიდი-მოდის ამ მდინარეზე. ამ მდინარეში დაიხრჩო რუსი ოფიცერი — დაღესტნის იმამის ვაჟიშვილი. მდინარემ წაიღო ყველა მისი ოცნება და მათ შორის ერთი უმთავრესი. ჯამალუტდინის სანუკვარი ოცნება იყო ხიდი აეგო ამ უზარმაზარ მდინარეზე, შეეერთებინა ორი ნაპირი, ომის მრისხანებისა და უაზრო ხოცვა-ჟლეტის ნაცვლად მეგობრობა დაესადგურებინა. ჯამალუტდინს ესმოდა იმ სიმღერების, მთაში რომ მღეროდნენ, ესმოდა დედის სიმღერები, მაგრამ პუშკინის სიმღერებიც ესმოდა. ორი სიმღერა შერწყმულიყო მის გულში. ოჰ, ამას რომ მიმხვდარიყო მამა, ამას რომ მიმხვდარიყვნენ ყველანი... ან თვით სიმღერებს რომ გაეგოთ ერთმანეთისთვის და შეყვარებოდათ ერთმანეთი!..

მაგრამ სიმღერები ხმლებს ჩამოგავდნენ. ნაპერწკლებს ისროდნენ ერთმანეთთან შეტაკებისას. სისხლისგან იცლებოდა დაღესტანი და სისხლზე მღეროდა, მამაცებზე მღეროდა, ყორნებისაგან ამოკორტნილ თვალებზე, ცხენების ფთქვენაზე, ხანჯლის წკრიალზე, შინ უმხედროდ მობრუნებულ ბედაურზე მღეროდა, ვისი პატრონიც ბრძოლის ველზე დაცემულა.

მაშინ კი, როდესაც სიმღერებს ერთმანეთის ესმოდათ, როცა გაღმა ნაპირის ხალხს გამოღმა ნაპირის სიმღერები ესმოდა, სროლა წყდებოდა, აღარ ისმოდა ხანჯლების წკრიალი, აღარ იღვრებოდა სისხლი, ძირს ეშვებოდა შურისსაძიებლად აღმართული ხელი და გულში ბოროტების ნაცვლად სიყვარული ისადგურებდა.

მდინარე ვალერიკთან ბრძოლაში დაჭრილი მიუხრდი მოლა-მაჰმადი რუსებს ჩაუვარდა ტყვედ; აულში დაღუპული ეგონათ იგი და გამოიტი-

რეს. ერთი თვის შემდეგ კი ცოცხალი და ჯანმრთელი დაბრუნდა შინ.  
გოცებულები ხალხი ეკითხებოდა, როგორ მოახერხეთ შინ დაბრუნება.

ამან გააბრაზა მიუჩრიდი და თქვა:

— არ იფიქროთ, რომ მოლა-მაჰმადს სიცრუითა და მლიქვნელობით მოეხერხებინოს დაბრუნება. მე მშიშარა არ ვახლავარბ.

— რას ამბობ, ვიცით, რომ მამაცი მიუჩრიდი ხარ და ალბათ ხშირად ვაიკაფე გზა.

— არა, ხმალი არ მქონია და რომც მქონოდა, ვერ მიშველიდა.

— მაშინ როგორ დაიხსენი თავი?

— სარდაფში ჩამავდეს და კარზე ბოქლომი დაადეს.

— მერე, როგორ გრძნობდი იქ თავს?

— ხაფანგში გაბმული ჯიხვივით. მაგრამ სწორედ ამ სარდაფში გამახსენდა უცებ სიმღერა ალიზე, ვერაგმა ძმებმა ციკაბო კლდეზე რომ მიატოვეს. ჰოდა, ვიმღერე ეს სიმღერა. მერე სხვა სიმღერებშიც მივაყოლე. იმ ფრთოსნებზე ვმღეროდი, გაზაფხულზე რომ გვეწვევიან ხოლმე, წეროებზე, შემოდგომაზე რომ გვემშვიდობებიან, ვმღეროდი ხელმოცარული მონადირისგან ცხრა გზის დაქრილ ირემზე, შემოდგომასა თუ ზამთარზე. ისეთი სიმღერები ვიმღერე, კაციშვილს რომ არ ემღერა ჯერ. სამი დღე სიმღერის მეტი არაფერი მიკეთებია. გუშაგები არ მიშლიდნენ. სიმღერა მაინც სიმღერაა, თუნდაც მისი სიტყვები არ გესმოდეს. სიმღერას ყველა უსმენს. ჰოდა, ერთხელ გუშაგებთან ოფიცერი მოვიდა. ვიფიქრე, ჩემი აღსასრული დადგა-მეთქი. ოფიცერს ერთი კაცი ახლდა: ჩვენი ენა ესმოდა. „ოფიცერს სურს გაიგოს რაზე მღერის, რას ეხება შენი სიმღერა. ერთხელ კიდევ გვიმღერე“, — მითხრა იმ კაცმა. მე ცეცხლ-მოღებულ დაღესტანზე ვიმღერე. კიდევ იმღერეო, მითხრეს. ახლა საწყალ დედაჩემზე და ჩემს საყვარელ ცოლზე ვიმღერე. ოფიცერი მისმენდა და მთებისკენ იტკირებოდა. მთები კი ღრუბლებში გახვეულიყო. ოფიცერმა გუშაგებს უთხრა, ეს კაცი გაუშვიეთო. იმ კაცმა კი, ჩვენი ენა რომ იცოდა, მითხრა: „ოფიცერი განთავისუფლებს. ძალიან მოეწონა შენი სიმღერები და ამიტომ სამშობლოში გიშვებს“. ამის შემდეგ ხშირად მიფიქრია, რა იქნება დაღესტანში მღეროდეს-მეთქი მუდამ სისხლის ღვრის ნაცვლად?

შამილმა კი შინ დაბრუნებულ მიუჩრიდს უთხრა:

— კი მაგრამ, მე ხომ აკრძალე სიმღერა, რატომ მღეროდი?

— შენ დაღესტანში აკრძალე სიმღერა, იმამო, იქ ხომ არ ავიკრძალავს.

— მომწონს შენი პასუხი, — უთხრა შამილმა და ცოტა ხნის დაფიქრების შემდეგ თქვა, — შეგიძლია შენთვის იმღერო, მოლა-მაჰმადო.

ამის მერე ხალხი მოლა-მაჰმადს სიმღერით გადარჩენილ მაჰმადს უწოდებდა.

სიმღერა იყო საჭირო დაღესტნის გადასარჩენად, მაგრამ განა ყველა ისე გაიგებდა მას, როგორც იმ ოფიცერმა გაიგო? ნეტავ ვინ იყო ის ოფიცერი, ვინ იცის, იქნებ პორუჩიკი ლერმონტოვი იყო, ისიც რომ მდინარე ვალერიკთან იბრძოდა მაშინ.

ერთ ამბავსაც მოგიყვებით. თემირ-ხან-შურზე თავდასხმიდან გამარჯვებული ბრუნდებოდა შინ ჰაჯი-მურატი თავის რაზმთან ერთად. უცბად ტყეში გზის მახლობლად ორ რუს ჯარისკაცს მოჰკრა თვალი. ისინი მშვიდად ისხდნენ ცეცხლის პირას და მღეროდნენ. ერთ-ერთ მებრძოლს, ცოტა რომ გაეგებოდა რუსული, ჰაჯი-მურატმა ჰკითხა:

— რაზე მღერიან?

— დედაზე, სატრფოზე, შორეული სამშობლოს წვიმებზე.

დიდხანს ისმენდა ჰაჯი-მურატი რუსების სიმღერას და ბოლოს ჩუმად თქვა:

— ესენი მტრები არ არიან, თავი დაანებეთ, იმღერონ სიმღერა დედაზე.

ასე ააცილა სიმღერამ ტყვია ადამიანებს. რამდენი ასეთი ტყვია იქნებოდა აცდენილი, ერთმანეთისა რომ ესმოდეთ ადამიანებს.

მესამე შემთხვევა. დაღესტნის რევკომმა მახაჩმა ხუნძახის პარტიზანებთან ცნობილი პოეტი მაჰმუდი გააგზავნა მეტად საყურადღებო ბარათით და თან დააბარა:

— ხანჯლით კი არა, ფანდურით გაიკაფე გზა.

აულ ცადანიხში მაჰმუდი შეიპყრეს და ორმოში ჩააგდეს, მახაჩის წერილიც აღმოუჩინეს და, ცხადია, დახვრეტა არ ასცდებოდა. იქდა მაჰმუდი ორმოში და მღეროდა სიყვარულზე. მთელი აული მოაწყდა სიმღერის მოსასმენად, ის კი არადა, სხვა აულეებიდანაც მოვიდა ხალხი. მაშინ კი დაფიქრდა ნაჟმუდინ გოცინსკი: „დღეს რომ ეს მომღერალი მოვკლა, ხვალ ყველა მთიელი ზურგს შემაქცევს“, და გაანთავისუფლეს პოეტი.

ირჩი კახაკი ამბობდა, ციმბირში გადასახლებულს დარდი მომიღებდა ბოლოს, ჩემი სიმღერები რომ არ ყოფილიყვნენ ჩემთან ერთადო.

ბევრი ასეთი ამბავია და უნდა დავუჯეროთ მათ. ბევრს შეუწარჩუნა სიმღერამ სიცოცხლე, ბევრი ფეხოსანი მხედრად აქცია. ცოტა მხდალს როდი დავიწყნია შიში მამაცებზე სიმღერის მოსმენის შემდეგ.

ეს ამბავი კი აბუთალიბისგან მოვისმინე:

ინლოეთიდან დაბრუნებულს აბუთალიბი ბევრს მეკითხებოდა ამ ქვეყანაზე. მეც ვუამბობდი, როგორ უკრავდნენ სალამურებზე გველებს მოძხუსხველი ფაკირები, ბალერინებივით რომ აცეკვებდნენ კობრას.

— ეს არ მიკვირს, — მითხრა აბუთალიბმა, — ჩვენი ჩობნები რომ უკრავენ, ჯიხვები ცეკვავენ ციკაბო კლდეებზე. ჩემი თვალით მინახავს, როგორ მოდიოდნენ სიმღერის ხმაზე ყველაზე უფრო მფრთხალი ირმები. ჩემი თვალით მინახავს, ჯამბაზებივით რომ ბუქნავდნენ დათვები ზურნის ქყვიტინზე, — აბუთალიბი გაჩუმდა და ცოტა ხნის შემდეგ გამოტყდა: — მუსიკა მეც დამხმარებია ცხოვრებაში. შენ ალბათ იცი, რომ ყველაზე მეტად ზურნა მიყვარს. შორს მიდის მისი ხმა. ისაა ქეობის, სტუმრის წვევისა თუ ქორწილის მაუწყებელი. თუ ვინმემ ხალიჩაზე სძლია მეტოქეს, ან დოღში თუ ისახელა ვინმემ თავი, ისევ და ისევ ზურნაა ამ სასიხარულო ამბის მაცნე დაღესტანში. ის ყველა მუსიკალური საკრავების თამადაა. იმიტომაც მიყვარს ზურნა, რომ ის მაქმევდა ჩემს სიყმაწვილეში პურს. ახლა მოგიყვები, რა გადამხდა ერთხელ თავს:

— მაშინ ახალგაზრდა ვიყავი. ვიღაცამ შორეულ აულში მიმიწვია ქორწილზე. ზამთარი იყო, ბარდნიდა. გზა ისე იყო დახლართული, როგორც ციფრები ორი, სამი, ხუთი თუ რვაა. დავიღალე და დასასვენებლად ქვაზე ჩამოვჯექი. აულამდე გზის გალევას კიდევ მთელი ჭისა თუთუნი დაჭირდებოდა. უცბად მოსახვევში ეყვნების უღარუნი გაისმა და გზაზე ფაეტონმა ამოყო თავი. შიგ სამი კაცი იჯდა, მადლარნი, მთვრალნი და მხიარულნი. მდიდრები იყვნენ. ცხენებიდან ერთი შექარივით თეთრი იყო, მეორე ყორანივით შავი, მარტო თეთრი ვარსკვლავი უმშვენებდა შუბლს. „ასალამ ალეიქუმ“. — „ვისალამ ალეიქუმ“. გავიგე, ისინიც იმ ქორწილში მიდიოდნენ, და ვთხოვე, მეც წამიყვანეთ-მეთქი. იმათ კი, როგორც ახლა უღირსმა მძღოლებმა იციან, უარი მითხრეს და სიცილიც დამაყარეს: „არა უშავს, მეორე ქორწილს ჩაუსწრებ აულში, ეს ქორწილი კი უშენოდაც იოლად ჩატარდება“.

დაღლილმა და განაწყენებულმა ამოვიღე ჩემი ზურნა და ჩაებერე. ასე გემრიელად არასოდეს დამიკრავს და სასწაულიც მოხდა. ზურნის ხმა რომ შეესმათ, ცხენები გაშეშდნენ. მგზავრები ცხარობდნენ, მათრახებს უტყლაშუნებდნენ, მაგრამ ამოდ, ცხენები ადგილიდან არ იძვროდნენ, ეტყობა, ჩემი დაკვრა მოეწონათ. პატრონებზე უფრო მეტი აღამიანობა ცხენებს აღმოაჩნდათ. დიდხანს გაგრძელდა ჩვენი დავა, ცხენები ჩემს მხარეზე იყვნენ და პატრონები იძულებული გახდნენ ფაეტონში ჩავესვი. ასე მიშველა ჩემმა ზურნამ. მე ხომ სიმღერებმა გამომიყვანა სარდაფიდან პატივისა და დაფასების დიდ გზაზე.

მე ასეთი შეკითხვა მივეცი აბუთალიბს:

— აი, შენ ზურნაზეც უკრავ, სალამურზეც და რა ვიცი, რაღაზე არა.

მარტო დაკვრა კი არაა, საკრავის გამოთლაც შეგიძლია. ჰოდა, გამომგზავნი, რატომ ვიოლინოზე ვერ უკრავ, მთიელებს ხომ ძლიერ უყვართ ეს საკრავი?

— გიამბო, რატომ არ ვუკრავ ვიოლინოზე? მომისმინე. ახალგაზრდობაში ვიოლინოზეც ვუკრავდი. ერთხელ ჩვენს ლაკურ აულში საცოდავი, ჩამოძინძილი ხუნძი მოვიდა. თანასოფლელი მოეკლა და გამოეძეგებინათ. გამოძეგებულს ყოველთვის აულის ბოლოს მიუჩენენ ხოლმე ბინას. არც ხალხი დადის მასთან და არც ის ეკარება ხალხს. რაკი ცოტა გამეგებოდა ხუნძური ენა, ათასში ერთხელ მივდიოდი მასთან. ერთხელ ჩემი ვიოლინოთი ვეწვიე. საღამო იყო, შუაღამოს მივდიოდა და ჩაფერფლილ ჩალას უჩიჩინებდა ქვაბის ქვეშ. ქვაბშიც ასეთივე ჩალა თუხთუხებდა. მე ვიოლინოზე დაკვრა დავიწყე. საწყალი ხუნძი კი ცეცხლს ჩასჩერებოდა და მდუმარედ მისმენდა. მერე მოულოდნელად ჩემი ვიოლინო აიღო ხელში, შეათვალიერა, შეატრიალ-შემოატრიალა, ააწყო და დაიწყო დაკვრა. ჰო, ჰო, როგორ უკრავდა, რასულ, ჩემს ცხოვრებაში ვერ დავივიწყებ იმ დაკვრას. იფერფლებოდა კერაზე ჩალა. ხანდახან ამრიალდებოდა და ჩახჩახა სინათლე თვალებში გვანათებდა, თვალები კი დროდადრო ცრემლით გვეცებოდა. მე ხუნძს დავუტოვე ვიოლინო და შინ წამოვედი. მეორე დღეს გავემგზავრე, მისი აულიც მოეძებნე და მისი მოსისხლეებიც. მივიყვანე ისინი გაძეგებულის ქოხთან. დღეს ჩემს ქოხში აღამებდნენ, ღამეს კი მოკვეთილის ქოხთან ვათენებდით და ვისმენდით, როგორ უკრავდა იგი ვიოლინოზე. ასე გრძელდებოდა სამი ღამე. მეოთხე ღამეს მოსისხლეებმა ხელი აიღეს შურისძიებაზე. „დაბრუნდი აულში, გვიპატიებია დანაშაული“, — ასე უთხრეს თანასოფლელს. გამომშვიდობებისას ხუნძი ვიოლინოს მიბრუნებდა, მაგრამ არ გამოვართვი: „სულ ერთია, შენსავით ვერასოდეს დავუკრავ, შენზე უარესად კი აღარ ღირს დაკვრა, ამიტომ ვიოლინოც აღარ მჭირდება“. — ვუპასუხე მე. მას მერე ვიოლინო ხელში აღარ ამიღია. იმ მუსიკას კი, მოსისხლეები რომ შეარბია, ჩემს სიცოცხლეში ვერ დავივიწყებ. ხშირად მიფიქრია: რა იქნება, ყველას მოასმენინო ასეთი დაკვრა, მაშინ კაციშვილი არც ჩაიდენდა ბოროტებასა და არც მტრობა იქნებოდა-მეთქი ქვეყანაზე.

ახლა ორ ბატარა ამბავს მოგიყვებით მამაჩემზე.

ერთმა გოციტლელმა, სახელად შავი რომ ერქვა, ხუნძახში სამიკიტნო გახსნა, მამაჩემი მიიწვია და უთხრა:

— შენ მთებში სახელგანთქმული კაცი ხარ. რა იქნება, სიმღერა და მიწერო ჩემს სამიკიტნოზე და სახელი გაუთქვა, გასამრჯელოზე არ გალაპარაკებ.

მამამ მართლა დაწერა ლექსი გოციტელის სამიკიტნოზე და სახე-  
ლიც გაუგდო, როგორც უვარგისსა და ბინძურს. ამის მეტე თითით უჩვე-  
ნებდნენ ხოლმე სამიკიტნოსა და მიკიტანზე და ამბობდნენ: „აი, ვინ  
შეამკო ჩვენმა ჰამზათმა“.

მიკიტანმა ლექსის ამბავი რომ გაიგო, აწრიალდა, უნაგირიანი ცხენი  
შესთავაზა მამაჩემს, ოღონდ მაგ ლექსს ნუ გაახმაურებო. მაგრამ სიტყ-  
ვა ერთ უღელტეხილს თუ გადასცდა, ველარაფერი შეაჩერებს, მთელ  
ძთებს შემოივლის. მამაჩემის სიმღერა უხეირო მიკიტანზე მალე ყველა  
აულში იცოდნენ, დღესაც მღერიან. ჰაჯის კი რაღა დარჩენოდა, ადგა და  
დაკეტა სამიკიტნო.

ერთხელ სახლიდან ცხვრის დაშაშხული ნეკნები მოგვპარეს. იმათ  
რაღას ვიპოვიდით, მაგრამ აულში ხმა გავრცელდა, ჰამზათმა სიმღერა  
დაწერაო ქურღზე. იმავე დღეს ვიღაცამ ჩვენს აივანზე შემოაგდო და-  
შაშხული ნეკნები. მამაჩემს კი აზრადაც არ მოსვლია ამ სიმღერის და-  
წერა.

ახლად შეუღლებულნი ზოგჯერ კინკლაობენ ხოლმე. ასეთ დროს მე-  
გობრები, უმეტესად ქმრის მეგობრები მოდიან და იმათი ფანჯრის წინ  
ჩონგურზე უკრავენ. მუსიკის ჰანგები მოჩხუბარ ცოლ-ქმარს ამოშმი-  
ნებს.

მეც მყავდა კარგი მეგობარი — ფოტოგრაფი და მუსიკოსი ამინ ჩუ-  
ტოევი. ჩემი ქორწინების პირველ ხანებში მასაც ხშირად უხდებოდა  
ჩემი ფანჯრების წინ დაკვრა.

ამინ ჩუტოევი, რატომ არ აიღებ შენს ვიოლინოს და არ დაუკრავ  
მსოფლიოს ფანჯრების წინ, რომ დაშოშმინდეს და მოწესრიგდეს ჩვენი  
საუკუნის სადავო საკითხები?

ჩიკაგოში ერთ-ერთ შეხვედრაზე ცხარედ შევეკამათე ერთ ჩემს ამე-  
რიკელ კოლეგას. ჩვენი მორიგება თითქოს არაფერს შეეძლო, მაგრამ  
ამერიკელმა თავისი ძმის ლექსები წააკითხა, უკანასკნელი ომის დროს  
რომ დაღუბვოდა გერმანიაში. მე კიდე ჩემი ძმის ლექსები წაგვკითხე,  
ისიც სწორედ მაშინ დაიღუბა და სწორედ გერმანიაში. ჩვენმა ჩხუბმა  
ჭირბ მოგვამათ, გკითხულობდით და ვისმენდით მხოლოდ ლექსებს. სხვა-  
გვარად იქნება საქმე, ხშირად რომ ვისხენებდეთ ომში დაღუბულთ, ხში-  
რად რომ ვიშველიებდეთ ლექსებსა და სიმღერებს!

ჩემი წინაპრები ხშირად ილაშქრებდნენ მეზობელ საქართველოზე.  
ერთ-ერთი ასეთი ლაშქრობის დროს ტყვედ ჩაიგდეს და მთებში წამო-  
იყვანეს ახალგაზრდა გურამიშვილი, მომავალი ქართველი კლასიკოსი.

აულ უნცუკულში, ორმოში ჩაგდებული საბრალო ტყვე ქართულ  
სიმღერებს მღეროდა, იქვე დაიწყო ლექსების თხზვა. უნცუკულიდან



რუსეთს მოახერხა გურამიშვილმა გაქცევა, შემდეგ კი უკრაინაში გადავიდა.

მე ვიყავი თბილისში ამ შესანიშნავი პოეტის იუბილეზე, სიტყვაც მომცეს. ხუმრობით შევნიშნე, რომ საქართველო ჩვენ უნდა გვიმადლოდეს შესანიშნავ პოეტს — დავით გურამიშვილს. ჩვენ რომ არ მოგვეტაცებინა იგი და ორმოში არ ჩაგვეგდო, შეიძლება ლექსების წერა არ დაეწყო, ვერც რუსეთში მოხვედრილიყო და ვერც უკრაინაში, სხვანაირად აეწყობოდა მისი ცხოვრება. მერე კი დავესძინე: „ჩემმა წინაპრებმა არ იცოდნენ, ახალგაზრდა თავადი გურამიშვილი პოეტი თუ იყო, თორემ არ მოიტაცებდნენ. მაგრამ ასეა თუ ისე, თუ წინათ გურამიშვილი იყო დაღესტნელების ტყვე, ახლა დაღესტნელები არიან მისი პოეზიით დატყვევებულნი. ხედავთ, როგორ შეიცვალა დრო?“

ახლა ახალ სიმღერებს მღერაიან, მაგრამ არც ძველი დაგვივიწყნია. დაღესტნის ხალხი ამ ძვირფას საუნჯეს ყველას უნაწილებს.

შკაცრია მთების ბუნება. ძველ დროში უამრავი ბავშვი იღუპებოდა აქ, მაგრამ ვინც გადარჩებოდა, ას წელზე მეტს ცოცხლობდა.

არც ყველა სიმღერა გადარჩენილა, მაგრამ რომელიც გადაარჩა, საუკუნეებს გაუძღვება.

რატომღაც ბიჭები უფრო იხოცებოდნენ, გოგოები უფრო ამტანები. სიცოცხლისუნარიანები იყვნენ.

სიმღერებიც ასეა. მამაკაცური, ჯიგიტური, საბრძოლო, საღაშქრო სიმღერები, სიმღერები ხმლით კაფეაზე, საფლავეებზე, შურისგებაზე, სისხლზე, სიმამაცეზე რატომღაც უფრო ნაკლებად რჩება ხსოვნაში, ვიდრე სატრფიალო სიმღერები.

მაგრამ ყველა ძველი სიმღერა თითქოს წინასიტყვაობაა დაღესტნის ახალი მუსიკისა. ახალი სიმებია დაქიმული ძველ ფანდურზე. და აი, მთიელი ქალების მოქნილი თითები დასრიალებენ ფორტეპიანოს თეთრსა და შავ კლავიშებზე.

მე იმ სახლში დავიბადე და გავიზარდე, სადაც სიმღერა მეფობდა. გაუბედავად ავიღე ხელში ფანქარი, მეშინოდა პოეზიას ვზიარებოდი, არადა, სხვაგვარად არ შემეძლო. ძნელი იყო ჩემი მდგომარეობა. ვის რაში სჭირდებოდა ჰამზათ ცადასის მერე რასულ ცადასი? ერთი აულიდან, ერთი ოჯახიდან, ერთი დაღესტნიდან?

სადაც არ უნდა წავეიდე, სადაც არ უნდა შევხვედე ხალხს, ახლაც კი, როცა ჭაღარა შომეძალა, ასე ამბობენ: „ახლა სიტყვა ეძლევა ჰამზათის შვილს — რასულს“. იოლი საქმე არაა ჰამზათის შვილობა, მაგრამ თავისთავად ვიყო მინდა.

ერთხელ მთიან რაიონში გავემგზავრე. რამდენიმე აული მოვიარე, ერთი აული ცუმადალა დამრჩა. შორიდან დავლანდე აულის ბოლოში თავმოყრილი ხალხი, ზურნას უკრავდნენ, სიმღერაც გავიგონე. ვილაცას

ელოდებოდნენ. სხვა არაეინ იყო და, ალბათ მე მხედებიან-მეთქი, ვიფიქრე. მესიამოვნა და მეუხერხულა კიდევ, თითქოს ჭერ არ მქონდა დამსახურებული ასეთი შეხვედრა. მივეთხოვდი, მანქანიდან გადმოვედებოდი.

— სად არის მოხუცი პამზათი? — კითხულობს ხალხი.

— პამზათი მახაჩყალაშია, ის არც აპირებდა ჩამოსვლას, სამაგიეროდ მე ჩამოვედი, პამზათის შვილი რასული.

— ჩვენ კი გვითხრეს, პამზათი ჩამოვაო.

ხალხმა დაშლა დაიწყო. რამდენიმე ახალგაზრდალა დარჩა ჩემ გარშემო. დავიწყეთ სიმღერა. დიდხანს ვმღეროდით. ხალხური სიმღერებიც ვიმღერეთ, მამაჩემის სიმღერებიც და ერთი ჩემი სიმღერაც.

ჩემი სიმღერა პატარა ბიჭს ჰგავდა, კიბეზე რომ მიჰყვება უკან მამას. ბიჭს მათრახი უჭირავს, მამას კი უნაგირი მიაქვს.

ჩვენებურო ფანდურო, რაც უფრო მემატება ხანი, რაც უფრო უკეთ ვეცნობი ცხოვრებას, ხალხს, ქვეყანას, მით უფრო მეშინია შენი ხელში აღება. შენს სიმებს ათასეული წლები ჰქმავდა და აწყობდა. ათასობით მომღერალმა ავახშიანა ჯაღოსნურად. როცა შენს აწყობაზე მიდგება საქმე, გული მიჩერდება. იმ წუთას სიმი რომ გაწყდეს, ალბათ გულიც გამისკდება. არადა, რა ადვილად შეიძლება გაწყდეს სიმი. ეს კი სიმღერის მოკვლას ნიშნავს.

მაგრამ რაც არ უნდა მოხდეს, ხელში უნდა ავიღო. უნდა ავაწყო და ჩემი სიმღერა დაგაკრევიანო, თუნდაც დაიკარგოს იგი, აჯობოს დალესტნის სხვა სიმღერებმა. ჩემი ხმა ხომ ძველი მომღერლების ხმას ვერ შეედრება, ჰო, ჩვენი სიმღერები ახლა სხვანაირია.

— ნუთუ მამზადის მერე აღარავის შეყვარებია ვინმე, რატომღაც აღარ ისმის სატრფიალო სიმღერები.

— შეყვარებით კი შეყვარებია, მაგრამ სიმღერები რა საჭიროა. მუის არ სჭირდება არც სერენადები და არც მოტაცება, მუი თვითონ მოდის.

— ნუთუ შამილის შემდეგ გადაშენდნენ მამაცები? რაღაც არ ისმის სიმღერები მამაც ადამიანებზე და გმირულ ბრძოლებზე.

— მამაცები ალბათ ისევ არიან, მაგრამ რა საჭიროა ახლა საბრძოლო სიმღერები, როცა ხმლებსაც კი მშვიდობა სწყურიათ?

მერე რა, ჩემი ხმა დალესტნის სხვა ხმებში თუ დაიკარგება. მოვლენ სხვები და ჩემს დაწყებულ სიმღერას დაამთავრებენ. სიბერე ცხოვრების ბევრ სიხარულზე უარს ათქმევინებს ადამიანს, ართმევს ძალას, თვალის ჩინს, ყურთა სმენას, ბინდის ფარდით განაშორებს სამყაროს. ღვინიანი ჭიქის დაჭერაც კი აღარ ძალუძთ ხელებს.

მე კი არ მეშინია სიბერის. ყველაფერი რომ წამართვას, სიმღერას მაინც ვერ წამართმევს. ის ვერ წამართმევს ჩემს მამზადს, ბატირაის, პუშკინს, ჰაინეს, ბლოკს, ვერც ერთ დიდ მომღერალს ვერ წამართმევს სიბერე, მათ რიცხვში ისეთ მომღერალს, როგორიც დალესტანია. სანამ

დალესტანია, არც ისე ცუდადაა საქმე, თუ დალესტანი იქნება, არც ჩვენ დავიკარგებით.

ერთ აულში გოგო-ბიჭებმა თამაში იციან, რასაც ასე შეიძლება ვთქვათ: „ვინც ეძებს, ის იპოვის, ვინც იპოვის, ის მიიღებს“. ერთხელ მეც ვმონაწილეობდი ამ თამაშში.

ბიჭს მეორე ოთახში აგზავნიან, რომ არ დაინახოს, სად იმალება გოგო. ის კი არადა, თვალებსაც უხვევინ. მერე ბიჭი შემოდის და ეძებს გოგოს. დანარჩენი ბავშვები ერთად მღერიან: „აი, დაი, დალალი“. თუ ბიჭი სხვაგან ეძებს, ნაღვლიან სიმღერას მღერიან, სწორ გზას თუ დაადგა, ცოცხალ და მხიარულ სიმღერას იწყებენ. როცა ბიჭი გოგოს იპოვის, ბავშვები ტაშს უკრავენ და გაიძახიან, ერთად იცეკვეთო. ასე ეხმარება სიმღერა თვალახვეულ ბიჭს სასურველ მიზანს მიაღწიოს.

მე იმ ოჯახში დავიბადე, სადაც ყველა მღეროდა. იმ დალესტანში, იმ რუსეთში, იმ სამყაროში, სადაც მეფობს სიმღერა. მე სიმღერის ძალაც ვიცი და სიმღერის ფასიც. დალესტანს სიმღერები რომ არ ჰქონოდა, ისე ვერაინ გაიცნობდა, როგორც დღეს იცნობენ. გზააბნეულ ჯიხვივით იქნებოდა დალესტანი. დაგრებილი მთის ბილიკებით დიდ სამყაროში გამოგვიყვანა სიმღერამ, მეგობრები შეგვიძინა. „სიმღერე სიმღერა და გეტყვი, ვინა ხარ შენ“, — ასე შეცვალა აბუთალიბმა ცნობილი ანდაზა. დალესტანი მღეროდა თავის სიმღერებს და ქვეყანამ გაუფო მას.

## წიგნი

სიტყვა „ტიეხი“ ხუნძურ ენაზე ცხვრის ტყავსაც ნიშნავს და წიგნსაც ამბობენ: „ყველა უნდა გაუფრთხილდეს თავსა და ამ თავზე დახურულ ფაფახს“. ფაფახი კი, როგორც მოგეხსენებათ, ცხვრის ტყავისაგანაა შეკერილი. მთიელის თავი კი ის ერთადერთი დაუწერელი წიგნი იყო, ასეული წლების მანძილზე რომ ინახავდა ჩვენს ენას, ჩვენს ისტორიას, ჩვენს მოთხრობებს, ზღაპრებს, თქმულებებს, ადათებს, ყველაფერს, რაიც ხალხს მოუფიქრებია. ცხვრის ტყავი საუკუნეების მანძილზე იფარავდა, ათბობდა, იცავდა ამ დაუწერელ წიგნს დალესტანზე. ბევრი რამ გადაიჩა და ჩვენამდე მოაღწია, ბევრი რამ სამუდამოდ დაიკარგა.

ამ წიგნის ზოგიერთი გვერდი ომში დაცემული გამირებივით დაიღუპა (ფაფახი უძლურია ტყვიასა და ხმალთან), ზოგიერთი კი იმ უბედურ მგზავრებივით, ვხა რომ არგვიათ ქარბუქში და ძალაგამოცლილნი უფსკრულში გადაჩეხილან, ან ზვავს დაუტანია ან კიდევ ყაჩაღის დანის წერა გამხდარან.

ამბობენ: „რაც დავიწყებულა თუ დაკარგულა, ყველაზე დიდებულა

და უკეთესი იყოო“. მართლაც, ლექსის კითხვისას რომელიმე სტრიქონი რომ დაგაგიწყდება, ის გგონია ყველაზე ნაღდი.

ძროხა რომ გადაიჩეხება, მე რე ამბობენ, ყველაზე მეტს იწვევს და თანაც ძალზე ნოყიერი რქე ჰქონდაო.

მაჰმუდის მამამ თავისი პოეტი შვილის მთელი ზანდუჯი ლექსები დაწვა. ეგონა, ლექსები მიღუბავსო გზაადენილ შვილს. ახლა ყველა იმას ამბობს, იმ ზანდუჯში იყოო მაჰმუდის საუკეთესო ლექსები.

ბატირის არასოდეს უმღერია თავისი სიმღერა ორჯერ. ხშირად ქორწილში მღეროდა, სადაც გამომთვრალ სტუმრებში დამმასოვრებელი არავინ იყო მისი სიმღერებისა. ახლა ამტკიცებენ, სწორედ ის სიმღერები იყოო საუკეთესონი.

ბევრი სიმღერა იმღერა ირჩი კაზაკმა შამხალის კარზე, მაგრამ თითო-ოროლა სიმღერამ თუ გადმოაღწია შამხალის სასახლის ზღუდეს და ხალხთან მივიდა. თვითონ ირჩი კაზაკი ამბობდა: „რამდენიც გინდა იმღერე, როგორც ვირს, ისე გაეგება სიმღერისა შამხალს“.

ამბობენ, ირჩი კაზაკის ის დაკარგული სიმღერები მის ყველა სიმღერას სჯობდაო.

დამწვარი ფანდურების ხმას ჩვენამდე არ მოუღწევია. არც მდინარეში გადაყრილი ჩონგურების ჰანგები შემოგვრჩენია. ყველა დაღუპულსა და დაკარგულზე ვდარდობ დღეს.

მაგრამ როცა ვკითხულობ და ვისმენ იმას, რაც შემოგვრჩენია, გული სიხარულით მეგსება. და იმ საწყალი მთიელების გულს ეუმაღლი, რომ შემოინახეს და ჩვენამდე მოიტანეს ფასდაუღებელი, დაუწერელი წიგნები.

ეს მოთხრობები, ზღაპრები. და სიმღერები თითქოს ეუბნებიან კალმით ნაწერსა თუ დაბეჭდილ წიგნებს: „რა გაჭირვება არ გადაგვხდენია თავს ასეული წლების მანძილზე, რას არ გავუძელით და მაინც მოვაღწიეთ თქვენამდე, თუმცა დაუწერელნი ვიყავით. თქვენ კი, ასე ლამაზად გამოცემულნი, ნეტავ მომავალ თაობებამდე მაინც მიაღწევთ? ვნახოთ, რომელი უფრო საიმედო წიგნსაცავია: ბიბლიოთეკები და წიგნის საწყობები თუ ადამიანის გონება“.

ბევრი რამ ეძლევა დავიწყებას. ასეული სტრიქონებიდან შეიძლება ერთი გადარჩეს, მაგრამ თუ გადარჩა, უკვე საუკუნეებს გაუძლებს.

უკვე ვთქვი, რომ წინათ ბევრი ჩვილი ბავშვი იღუპებოდა-მეთქი. იმამი დაჭრილებს უბრძანებდა, მდინარეში გადახტითო, რადგან ხეიბრები ბრძოლაში აღარ გამოდგებოდნენ, ჭამა კი კვლავ სჭირდებოდათ.

ახლა სხვა დროა; ბავშვებს ზრუნვა და ექიმის თვალყური არ აკლია, დაჭრილებს ჭრილობებს უხვევენ, უფეხობებს პროთეზებს უკეთებენ. ეს ცვლილებები კაცთმოყვარეობად უნდა მივიჩნიოთ. რაკი ადამიანებს ეხება, მაგრამ ასევე ხომ არ ვზრუნავთ ხეიბარ აზრებზე, უღონო ლექსებზე, უსიცოცხლო გრძნობებზე და თბიქმის მკვდრად შობილ სიმღე-

რებზე? ყველაფერი წიგნშია, ყველაფერი ქალღმერთი დაწერილი  
ბიბლიოთეკაში ინახება.

„ნათქვამი მიდის, დაწერილი რჩება“, — ასე ამბობდნენ წინათ. ბი-  
რიკით არ მოხდეს!

ისე არ გამიგოთ, თითქოს წიგნისა და დაწერლობის მაგინებელი  
ვიყო. ესენი მზეს მოჰკავეს, ხეობები რომ გააშუქა, გაჰფანტა სიბნელე,  
უეცობა და ჩამორჩენილობა.

დედა მიყვებოდა ხოლმე ზღაპარს მელიასა და ჩიტზე. აი, ეს ზღა-  
პარიც:

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ჩიტი. ცხოვრობდა იგი ერთ ხეზე.  
მკვიდრი და თბილი ბუდე ჰქონდა და ზრდიდა შიგ თავის ბარტყებს.  
ცხოვრობდა ჩიტი ბედნიერად, მაგრამ ერთხელ მოცუნცულდა მელია,  
დაჯდა ხის ძირას და დაიწყო სიმღერა:

ეს კლდეები ჩემია,  
ეს მინდორიც ჩემია,  
შენ კი, ჩემო ჩიტუნია,  
რატყუ დავიჩემებია,

მოფრინილხარ და ჩემს ხეზე  
ბუდე ავიშენებია.  
ერთი ბარტყი გადმომიგდე,  
თორე ვიზამ ჩემსასა,

ხეს მოვჭრი და წამოვაქცევ  
და სუყველას შეგსანსლავთ.

მშობლიური ხე, ბუდე და სხვა ბარტყები რომ გადაერჩინა, აილო  
ჩიტმა და გადაუგდო მელას ერთი ბარტყი.

მეორე დღეს ისევ მოვიდა მელა და ისევ დაიწყო სიმღერა. მეორე  
ბარტყიც გაწირა დედამ. ველარ ასწრებდა ჩიტი ბარტყების გამოტირე-  
ბას, ყოველ დღე — თითო ბარტყი. გაიგეს მისი უბედურება სხვა ჩი-  
ტებმა და მოფრინდნენ. დაუწყეს გამოკითხვა, რა ამბავიაო. უამბო სუ-  
ლელმა ჩიტმა თავისი გასაჭირი. ჰკვიანმა ჩიტებმა სიმღერით უთხრეს  
სათქმელი:

თვითონა ხარ დამნაშავე,  
ჩიტუნია საწყალო,  
მელამ ბარტყებისაგან  
როგორ უნდა გაგცალოს.

იქნებ ფიქრობ, ხეს მოჭრიდა  
იმ ბუთქურა კუდითა,  
ან შენს ბარტყებს კუდითვე  
გადმოსვამდა ბუდიდან.

ან კულის მეტს რას მოიტანს  
იმ უბადრუკ სოროდან...  
ამის შემდეგ ჩიტუნია  
ბედნიერად ცხოვრობდა.



მელამ კი არაფერი იცოდა და ისევ მოვიდა ბაჭიბუჭით. იმუჭრებოდა და ისევ მოითხოვდა ბარტყს. ისევ დაიწყო სიმღერა — მოგჭრი ხეს და ყველა ბარტყს გადაესანსლავო. წინათ თუ აკანკალებდა, ახლა სასაცილოდ არ ეყო ჩიტს მელას სიტყვები და ასე უპასუხა:

ჰე, მელიავ, რას გვაშინებ  
მაგ კუღით და ლოჯებით,  
ხეს გარშემო რატომ უვლი,  
თუ ბიჭი ხარ, მოჭერი.  
იქნებ კიბით ამოხვიდე,  
ბუღეს კუღით გამოჰგვიდე.

წალასლასდა მელა უბურმარილოდ და ის დღე და ის დღე, აღარც გამოჩენილა. ჩიტი კი ახლაც ცოცხალია, ჩექს და ზრდის ბარტყებს, ბარტყები კი ჭიკჭიკებენ. რამდენი ბარტყი დალუბა დალესტანმა თავისი ჩამორჩენილობით, უმეცრებითა და სიბნელით. გინდა საკუთარი თავისა და გინდ სხვისა შესაცნობად წიგნია საჭირო. უწიგნო ხალხი თვალეზანვეული კაცივითაა — ქვეყანას ვერ ხედავს. უწიგნო ხალხი კაცსა ჰგავს, სარკე რომ არა აქვს და ვერასოდეს დაინახავს საკუთარ თავს.

„ჩამორჩენილი და ბნელი მთიელები“, — ასე წერდნენ ჩვენზე დალესტანში ნამყოფი მოგზაურები. ეს სიტყვები ქედმაღლობითა და სიბოროტით როდი იყო ნათქვამი. ეს სიმატლე იყო. „ისინი დიდი ბავშვები არიან“, — დაწერა ჩვენზე ერთმა უცხოელმა.

„იმად ცოდნა არა აქვთ და უნდა ვისარგებლოთ ამით“, — ამბობდნენ ჩვენი მტრები.

„ამ ხალხს საომარი ხელოვნება რომ შეესწავლა, ველარავინ გაბედავდა მათზე ხელის აღმართვას“, — ამბობდა ერთი მხედართმთავარი.

„ახლანდელი ცოდნა ჰაჯი-მურატის სიმამაცეს ან მაჰმუდის ნიჭს რომ შემატებოდა?!“ — ამბობენ მთიელები.

— რატომ შევჩერდით, იმამო? — ჰკითხა ერთხელ ჰაჯი-მურატმა შაჰილს, — მკერდში გული გვიდუღს და ხელში — ბასრი ხანჯალი. რალას ვუცდით, წავიდეთ და გზა გავიკაფოთ.

— მოიცა, ნუ ჩქარობ, ჰაჯი-მურატ, ჩქარი მდინარეები ზღვამდე ვერ აღწევენ. წიგნს დავეკითხები, ენახოთ, რას გვირჩევს, დიდი ჭკვიანი რამაა წიგნი.

— იქნებ მართლა ჭკვიანია ეგ შენი წიგნი, იმამო, მაგრამ ახლა ჩვენ სიმამაცე გვჭირდება, სიმამაცე კი ხმლების წვერსა და ცხენის ზურგზე ბუღობს.

— მაშაყი წიგნებიც არსებობენ.

წიგნი... ასოები, სტრიქონები, გვერდები, შეხედავ და თითქოს უბრალო ქალაღდისაა, მაგრამ იგი სიტყვის მუსიკაა, აელერებული ენა და აზრი. წიგნი ეს მე ვარ — ვინც დაეწერე იგი, სხვებიც — ვისზეც დაეწერე, ისინიც, ვინც თავის თავზე დაწერა. წიგნი ცხელი ზაფხულია და ზამთრის ქარბუქია, გუშინდელი მოვლენები, დღევანდელი ოცნებები და ხვალინდელი საქმეებია.

ქვეყნის ისტორია ადამიანის ბედით ორად უნდა გაიყოს — წიგნის შექმნამდე და წიგნის შექმნის შემდეგ. პირველი ხანა უკუნია, მეორე — ნათელი დღე. პირველი ვიწრო და ბნელი ხეობაა, მეორე — ფართოდ გაშლილი ველი ან მთის მწვერვალი.

„ალბათ უმეცრება დანაშაულია, რაკი ასე დიდხანს და დაუზოგავად გვსჯის ამისათვის ისტორია“, — ამბობდა მამაჩემი. ორი ხანა—ხანა წიგნისა და ხანა უწიგნო... ახლა უკვე აღრე მოღდის წიგნი ადამიანთან ანბანის სახით, მაშინ როცა იგი ახლად იღგამს ფეხს. დაღესტანთან კი ათასი წლების მერე შოვიდა წიგნი. გვიან, ძალზე გვიან ისწავლა დაღესტანმა წერა-კითხვა. აღრე, საუკუნეების მანძილზე ცა იყო დაღესტნელებისთვის ფურცელი და ვარსკვლავები — ასოები. მოქუფრული ღრუბლები სამელნეები იყო და წვიმა — მელანი; მიწა ქალაღდი იყო, ბალახები და ყვავილები კი — ასოები.

შშის წითელი სხივები ფანქრები იყო, ისინი წერდნენ კლდეებზე შეცდომებით სავსე ჩვენს ისტორიას.

შაშაყაციის სხეული სამელნე იყო, სისხლი — მელანი, ბალიში — ფურცელი და იწერებოდა ტანჯვის წიგნი, მაგრამ ვინ იყო წამკითხველი! მთიელი ქალები სხვას არ უჩვენებდნენ ცრემლს.

წიგნი, დამწერლობა... აი, ორი განძი, რისი მოცემაც დააეიწყდა მაშინ ენების დამრიგებელს.

წიგნები სახლის გამოღებული ფანჯრებია, ჩვენ კი ამოქოღილ კედლებშუა ვისხედით. ფანჯრებიდან ზღვის სივრცეების ტალღებზე მოქანავე საოცარი გემების დანახვა შეიძლებოდა. ჩვენ კი გამოსაზამთრებლად დარჩენილ ფრინველებს ვგავდით, გათოშილები ფანჯარას რომ უკაკუნებენ ნისკარტს და სითბოს თხოულობენ.

მთიელების დაფიცებული, წყურვილით დახეთქილი ტუჩები... შშიერი, ანთებული თვალეები...

— ჩვენ რომ ქალაღდისა და ფანქრის ხმარება გვეოდნოდა, ასე ხშირ-ხშირად აღარ ვისმარდით ხანჯალს.

არასღროს დაგვიხანებია ხმლის შებმა, ცხენის შეკაზმვა, უნაგირზე მოვლება და ბრძოლის ველზე გასვლა. იქ არც კოჭლები გვეყოღია, არც ყრუები და არც ბრმები. ამ საწყალობლად პაწია ასოების შესწავლა კი



ასე საოცრად დაგვაგვიანდა. ერთი კი ცხადია, ვისი აზრებიც მოიკოჭ-  
ლებს, იმას უნცუკულის ხელჯოხიც ვერას უშველის.

ათას ხუთასი წლის წინათ, სახელოვან სომეხ მეომარ მესროფ მაშ-  
ტოცს აზრად მოუვიდა, დამწერლობა იარაღზე უფრო ძლიერიაო, და  
სომხური ანბანი შექმნა.

მე მატენდარანში ვიყავი, სადაც უძველესი ხელნაწერები ინახება.  
ვიდექი და ნაღვლიანად ვფიქრობდი დაღესტანზე, მთელი ათასი  
წელი რომ გამოჩნა და არც წიგნი ჰქონდა და არც დამწერლობა. დროის  
ცხრილში გაიარა ისტორიამ და კვალიც კი არ დარჩენილა მისგან. მხო-  
ლოდ ბუნდოვანი, ზოგჯერ ნაკლებად სარწმუნო გადმორცემები და სიმ-  
ღერები თუ შემოგვჩნა, ბავიდან ბავებზე, გულიდან გულში რომ გადა-  
დიოდნენ და ისე მოიწევდნენ ჩვენკენ.

წარსულში ბევრი რამ არი  
დიდებით დასადაფნავი;  
პატარას დედამ შიამბო  
ერთი ჭაბუკის ამბავი.

უშიში იყო, ფიცხელი,  
სახელიც დიდი გაითქვა  
და ყველა აღიარებდა  
მთელი დაღესტნის რაინდად.

იგი დაღესტნის ბატონმა  
თავისთან მიიპატიჟა  
და ისე გაუმასპინძლდა,  
როგორც შეჰყურის ფადიშაჰს.

მერე მსახურებს უბრძანა:  
რაც საჭურჭლეა, დახსენით,  
დახსენით ზანდუკ-სკიერები,  
თვალ-მარგალიტით სავსენი.

ცისარტყელებად დახვავდა  
ფარჩეულო და ნოხები,  
რა გინდა, სულო და გულო,  
ყველაფერს ვერც კი მოჰყვები.

ბატონმა სტუმარს მიმართა:  
— აი, ამ დოვლათ-განძიდან,  
არ მოგერიდოს, ყმაწვილო,  
ამოიჩიე, რაც გინდა.

ჭაბუკმა თავი დახარა  
და წარბი გახსნა შეკრული:



— ბატონო, ცხენი მიბოძეთ  
და გაბასრული ლეკური.

კარგია ოქრო და ვერცხლი,  
ნუშე გამწყრომია ბატონი,  
მაგრამ განძს თვითონ იშოვის  
კაი ხმალ-ცხენის პატრონი.

ჰეი, გულადო მხედარო,  
სულ ფათერაკში იქნები,  
ცხენი და ხმალი ირჩიე,  
არად ჩააგდე წიგნები.

ო, წინაპარო ჭიგიტო,  
ბევრი შეგხვდებოდა ვარამი,  
რომ საგზლად არ გაიყოლე  
ეტრატები და ყალამი.

მეომარს ალლომ ვიმტყუნა,  
შემოგაჩეჩა აღვირი,  
უფრო მეტს წიგნი მოგვეცემდა,  
ვიდრე ცხენი და მახვილი.

სიტყვა ვინც მარჯვედ იხმარა,  
გზა უფრო გაუკაფია,  
ის ყველა ხმალზე ბასრია  
და ყველა ცხენზე სწრაფია.

სიტყვით ახსნილა ყოველი,  
თვითონ საწუთროს იგაიცი,  
შენ კი ასი წლით დაგვწიე,  
აი, რა საქმე გვიყავი!

შენც, დადესტანო, ბალღს გავხარ,  
წიგნებს რომ არ იკარებდა,  
შორ გზაზე დაგვიანებულს,  
ატუზულს სკოლის კარებთან.

მთაგრეხილს იქით, ჩვენ მეზობლად საქართველოა. მრავალი საუკუნის წინათ შოთა რუსთაველმა შექმნა და ქართველებს მიუძღვნა თავისი უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“. დიდხანს ეძებდნენ მის საფლავს, მთელი აღმოსავლეთი შემოიარეს, „არსად არ არის მისი საფლავი, მაგრამ სამაგიეროდ მისი გული ფეთქავს ყველგან“, — თქვა ერთმა ქალმა.

კაცობრიობა კითხულობს მოთხრობას კავკასიის კლდეზე მიჭაჭვეულ პრომეთეოსზე.

ათასეული წლები აფრქვევენ ცრემლს არაბების ლექსებზე.

ათასეული წლების უკან პალმის ფოთლებზე წერდნენ ინდუსები თა-  
ვიანთ აღმოჩენილ ჭეშმარიტებებსა თუ შეცდომებს. აცახცახებული თი-  
თებით ვეხებოდით ამ ფოთლებს და თვალთან მიმჭონდა.

ახლა სინატიფით აღსავსე სამსტრიქონიანი იაპონური პოეზია!... ან  
ჩინეთის წარსული, სადაც თითოეული ასოს, უფრო სწორად თითოეული  
ნიშნის მიღმა მთელი ცნება რომ იფარება!

ირანის შაჰები ცეცხლითა და მახვილით კი არა, ფირდოუსის სიბრ-  
ძნით, ჰაფეზის სიყვარულით, საადის ვაჟკაცობითა და ავიცენას აზრე-  
ბით რომ მოსულიყვენ დაღესტანში, უკანმოუხედავად გაქცევა აღარ  
დასჭირდებოდათ.

ნიშაპურში ომარ ხაიამის საფლავი ვინახულე და იქვე გავიფიქრე:  
„ჩემო მეგობარო ხაიამ, მაშინ შაჰთან ერთად რომ მოსულიყავი დაღეს-  
ტანში, რა სიხარულით შეგეგებებოდა მთიელი ხალხი“.

უკვე აღგებრა იქმნებოდა და ჩვენ თვლაც არ ვიცოდით. უდიდესი  
პოემები იწერებოდა და ჩვენ „დედასაც“ ვერ ვწერდით.

ჩვენ ჯერ რუს ჯარისკაცებს გავეცანით და შემდეგ რუს პოეტებს.

მთიელებს პუშკინი და ლერმონტოვი რომ ჰქონოდათ წაკითხული,  
ვინ იცის, იქნებ თვით ისტორიაც სულ სხვა გზით წასულიყო.

როცა ერთ მთიელს ხმამაღლა წაუკითხეს ტოლსტოის „ჰაჯი-მურა-  
ტი“, თქვა: „ასეთი გონივრული წიგნის დაწერა მხოლოდ ღმერთს შეუძ-  
ლია ალბათ“.

ყველაფერი გვქონდა, რაც წიგნს სჭირდება: მგზნებარე სიყვარული,  
მამაცი გმირები, ტრაგედიები, მკაცრი ბუნება, თვითონ წიგნი არ გვქონ-  
და მხოლოდ.

რა არ გვანახე, წუთისოფელო,  
შენს მწარე სვე-ბედს ვინ არ ემონა,  
მრავალი გვყავდა ალბათ ოტელო  
და, რა თქმა უნდა, მთის დეზდემონა.

ოფელები და ჰამლეტები  
არ დაღვევია ქედებს გოლიათს,  
მაგრამ მწვერვალი შემოქმედების —  
შექსპირი მაინც არა გვყოლია.

მთაში მდინარე მღერის ყოველი,  
სხივი და ჩიტი სტვენს უთენია,  
მაგრამ არც ბახი, არც ბეთჰოვენი  
ამ ქედებს ჯერაც არ მოვლენიათ.

იყო საბრალო მიჯნურთა კვდომა  
და მოსისხლეთა ქვითინიც იღვა,



ყუმუხის ახლოს თემურის ურდოებთან ბრძოლის შემდეგ ნადავლს რომ აგროვებდნენ, მთიელები ერთ-ერთი მოკლულის ჯიბეში წიგნს წააწყდნენ. ფურცლავდნენ წიგნს და ასოებს აკვირდებოდნენ, მაგრამ კაცი არ იყო წამკითხველი. გაბრაზებულმა მთიელებმა გადაწყვიტეს, ნაკუწებად ექციათ, დაეწვათ და ქარისთვის გაეტანებინათ, მაგრამ ჰკვიანმა და გაბედულმა პარტუ-ფატიმათმა თქვა:

— ხელში ჩაგდებულ იარაღთან ერთად ამ წიგნსაც გაუფრთხილდით.

— რაში გვჭირდება, სულ ერთია, ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ წაიკითხავს.

— ჩვენ თუ არა, ჩვენი შვილები და შვილიშვილები წაიკითხავენ. ვინ იცის, იქნებ შიგ ჩვენი ბედი სწერია.

სურაკატ ტინუსინსკის მებრძოლებს ერთმა არაბმა ტყვემ ცხენიც მისცა, ფარიც და იარაღიც, უბეში დამალული წიგნის მიცემა კი არ უნდოდა. სურაკატმა ცხენიც დაუბრუნა და იარაღიც ტყვეს, წიგნის ჩამორთმევა კი ბრძანა. მან თქვა:

— ცხენები და ხმლები არ გვაკლია, წიგნი კი ერთიც არა გვაქვს, შენ კი ამის მოცემა გენანება.

გაუკვირდათ მებრძოლებს და ჰკითხეს მხედართმთავარს:

— კი მაგრამ, რად გვინდა წიგნი, როცა წაკითხვა კი არა, ისიც არ ვიცით, როგორ დავიჭიროთ ხელში. განა ჰკვიანურია ცხენისა და იარაღის ნაცვლად მისი ჩამორთმევა?

— მოვა დრო და წავიკითხავთ ამ წიგნს. მოვა დრო და წიგნი იქნება მთიელისთვის ჩოხაც, ფაფახიც, ცხენიც და ხანჯალიც.

დადესტანზე გალაშქრებულ ირანის შაჰს საქმე ცუდად რომ წაუვიდა, მიწაში ჩაძარხა განძეულობა, რაც სულ თან დაჰქონდა ხოლმე. ორმოს ქვა დაადეს, ქვაზე ნალი ამოჰკვეთეს. მოწმენი დახოცა შაჰმა, მაგრამ მურთაზილ-ხანმა მაინც მიაგნო ამ ორმოს და ოქრო-ვერცხლითა და ძვირფასი ქვებით სავსე სკივრები იგდო ხელთ. ოც ჯორს აჰკიდეს ძარცვა-გლეჯით დაგროვილი შაჰის ავლადიდება. უამრავ განძეულობას შორის რამდენიმე სპარსული წიგნიც იყო. განძი რომ გადაათვალიერა, მურთაზილ-ხანის მამამ, უხელო სურხატმა თქვა:

— ძვირფასი საუნჯისთვის მიგიკვლევია, შვილო ჩემო. გინდა მეომრებს გაუნაწილე იგი და გინდა გაყიდე, სულ ერთია, მაინც განიავდება ბოლოს. მაგრამ ასი წლის შემდეგაც იბოვნიან მთიელები ამ წიგნებში

დამალულ მარგალიტებს. ნუ გასცემ ამ წიგნებს, ისინი ყველა განძზე უფრო ძვირფასია.

საქართველოს  
საბავშვო ლიტერატურის  
სამსახური

შამილს ჰყავდა მდივანი მაჰმად ტაჰირ ალ-ყარახი. იმამი არასოდეს გზავნიდა მას იქ, სადაც საშიში იყო. მაჰმად ტაჰირს არ მოსწონდა ეს და ერთხელ ჰკადრა შამილს:

— იქნებ არ მენდობი, იმამო, გამიშვი ბრძოლის ველზე.

— ყველა რომ დაიხოცოს, შენ ცოცხალი უნდა გადაარჩე. ხმლიანი მებრძოლის შეცვლა ყველას შეუძლია, მემატინანისა კი — არა. შენი საქმე ჩვენს ბრძოლებზე წიგნის წერაა.

მაჰმად ტაჰირი მოკვდა და გაუსრულებელი დარჩა წიგნი, მაგრამ შეიღმა დაამთავრა მამის დაწყებული შრომა. „იმამის ხმლის ელვარება ზოგიერთ ბრძოლაში“, ასე ეწოდება ამ წიგნს.

თვითონ შამილს დიდი ბიბლიოთეკა ჰქონდა, ოცდახუთი წელი ათი ჯორკიდულით გადაჰქონდა ერთი ადგილიდან მეორეზე, უიმისოდ სიცოცხლე არ შეეძლო. გუნების მთაზე ტყვედ რომ ჩაბარდა, შამილმა ითხოვა, წიგნები და ხმალი დაეტოვებინათ მისთვის. კალუგაში დაბინავებული, სულ წიგნებს თხოულობდა. „ბევრი ბრძოლა წაგებულა ხმლის მიზეზით, წიგნების მიზეზით კი — არც ერთი“, — ამბობდა შამილი.

რუსეთიდან დაბრუნებულ ჯამალუტდინს მამამ მთიელთა ტანსაცმლის ჩაცმა უბრძანა, მის წიგნებს კი არ შეხებია. ვინც ვიარაურობს წიგნების მდინარეში გადაყრას მოითხოვდა, შამილი ასე პასუხობდა: „ეს წიგნები ტყვიებს არ გვიშენდნენ ჩვენს მიწა-წყალზე, ჩვენი აულები არ გადაუწვავთ და ხალხი არ გაუქლექიათ. ვინც შეურაცხყოფას მიიყენებს წიგნს, თვითონ იქნება წიგნისგან შეურაცხყოფილი“.

ნეტა ვიცოდე, რა წიგნები ჩამოიტანა მაშინ ჯამალუტდინმა პეტერბურგიდან!

თავისი დამწერლობა არ ჰქონდათ და ზოგჯერ სხვის ენაზე წერდნენ დალესტენელები ზოგიერთ სიტყვას. ეს იყო წარწერები აკვანზე, ხანჯალზე, ქერის ფიცრებზე, საფლავის ქვებზე. წარწერები არაბულ, თურქულ, ფარსულ და ქართულ ენებზე. ბევრია ეს წარწერა, ყველას რა მოუყარის თავს! მშობლიურ ენაზე კი ვერაფერს წააწყდებით. წერა რომ არ იცოდნენ, მთიელები ხელის მოწერის ნაცვლად ცხენს, ჩიტებს, მთებს ხატავდნენ. ზოგიერთი საფლავის ქვის წარწერის თარგმნა შეიძლება:

„აქ განისვენებს ქალი, სახელად ბუგ-ბაი, რომელმაც იცხოვრა რამდენ ხანსაც სურდა და აღესრულა ორასი წლის“. „აქ განისვენებს კუბაალი, ვინც სამასი წლისა დაეცა აჯარხნოს ბრძოლაში“.

ხამცეცა წარწერები და ცალკეული სიტყვებია მრავალტომიანი ისტორიის ნაცვლად.

ლიტერატურის ინსტიტუტში ძველი საბერძნეთის ისტორიას კეთილი, ჭაღარა მოხუცი სერგეი რადციგი გვასწავლიდა. მთელი ანტიკური ტექსტები ზეპირად იცოდა. ძველ ბერძნულ ენაზე გვიკითხავდა მოზრდილ ნაწყვეტებს, საოცრად უყვარდა ძველი ბერძნები და გვიამბობდა, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა ამ ხალხმა მასზე. ისე კითხულობდა ძველ ტექსტებს, თითქოს ავტორები უსმენდნენ და ეშინოდა, არ შეემშალოსო. ფანატიკოსი მუსულმანივით იყო, ყურანის ლექსების არევისა რომ ეშინია. ეგონა, ყველაფერი კარგად ვიცოდით, რაზეც გვესაუბრებოდა. ვერც კი წარმოედგინა, „ოღისეა“ და „ილიადა“ თუ არ ეცოდინებოდა ვინმეს. ეგონა, ომიდან სულ ახლახან დაბრუნებული ბიჭები ოთხი წლის განმავლობაში ჰომეროსის, ესქილეს და ევრიპიდეს სწავლის მეტს არაფერს აკეთებდნენ.

ერთხელ რომ ნახა, რა ცოტა რამ იცოდნენ ბიჭებმა, კინალამ ატირდა. განსაკუთრებით მე გავაოცე. სხვებმა ცოტა რამ მიანიც იცოდნენ. ჰომეროსი რომ მკითხა, მე სულემან სტალსკიზე დავეუწყე საუბარი. გავიხსენე, რომ მაქსიმ გორკიმ „მეოცე საუკუნის ჰომეროსი“ უწოდა მას. სიბრაღულით შემომხედა პროფესორმა და მკითხა:

— ნეტავი სად გაიზარდე, რომ ჰომეროსი არ გაგიგონია?

დაღესტანში გავიზარდე, ვუპასუხე, სადაც დიდი ხანი არ არის, რაც წიგნი გაჩნდა-მეთქი. ჩემი დანაშაული რომ მიმეჩქმალა, ყოველგვარი სირცხვილის გარეშე ვუწოდე ჩემს თავს ველური მთიელი.

მაშინ პროფესორმა დაუვიწყარი სიტყვები მითხრა:

— „ოღისეა“ თუ არ წაგიკითხავს, ველურ მთიელობამდე ბევრი გაკლია. უბრალოდ ველური და ბარბაროსი ყოფილხარ.

ახლა საბერძნეთში ან იტალიაში რომ მიხდება ყოფნა, ხშირად ვიხსენებ ჩემს პროფესორსა და მის ნათქვამს, მის დამოკიდებულებას ძველი ლიტერატურისადმი.

მაგრამ საიდან უნდა მცოდნოდა ჰომეროსი, სოფოკლე, არისტოტელე, ჰესიოდე, როცა ძლივძლივობით ვლაპარაკობდი და ვკითხულობდი რუსულად.

მსოფლიოს ბევრი საუნჯე იყო დაღესტნისათვის მიუწვდომელი.

მე უკვე გიამბეთ, როგორ ტიროდა მაქსაკოვა, ჩვენს მომღერალ ტატიმ მურადოვს რომ უსმენდა. მურადოვი მაშინ უკვე სამოცს იყო მიახლოებული და არავითარი განათლება არ ჰქონდა მიღებული. ყველას ეგონა, მაქსაკოვა მომღერლის ხმამ ააღელვაო, მაგრამ მან თქვა:

— მე სიბრაღული მატირებს, რა ჯადოსნური ხმაა. მას მსოფლიოს გაოცება შეეძლო, თავის დროზე მასწავლებლები რომ ჰყოლოდა, ახლა კი ველარაფერს უშველი.

ხშირად მახსენდება ეს სიტყვები, როცა დაღესტნის ბედზე ვფიქრობ. ეს მარტო ტატიმის ბედზე როდია ნათქვამი. განა ცოტა მომღერალი,

გეომარი, მხატვარი თუ მოჭიდავე ჩავიდა მიწაში ისე, რომ საქვეყნოდ არ გაუმქლავდნენ თავისი ნიჭი? უცნობია მათი სახელები. ვინ იცის, იქნებ ჩვენც გვყავდნენ შალიაპინები და პოდღუნები! ალბათ ვერავინ დაამარცხებდა ოსმან აბდურახმანოვს — ჩვენს პერკულესს, მის ღონეს ტექნიკა და ოსტატობა რომ მიმატებოდა, მაგრამ მასწავლებლები არ ჰყავდა. არ გვქონდა კონსერვატორია, თეატრები, ინსტიტუტები, აკადემია, ის კი არადა, სკოლებიც არ გვქონდა.

ჩვენი წარსული, ჩვენი ლხინი თუ განსაცდელი წიგნებში არსად არ წერია, თქმულებად დაქრის, მაგრამ ძველ ამბებს, წინაპრების ხმლებით დაწერილს, დღეს მე ვაგრძელებ მახვილივით წამახულ ფანქრით.

ფანქრის დაჭერა, ასობის წერა არ იცოდნენ მთიელებმა, მტერს ბრანწს უჩვენებდნენ ზაპოროჟიელებივით ან რაღაც ამის მსგავსს ხატავდნენ და უგზავნიდნენ.

„დაუწერელ, უმღერალ სიმღერასავით დევს ეს ქვეყანა სკივრში. ვინ ამოღებს, ვინ დაწერს და ვინ იმღერებს?“ — ამბობდნენ დაღესტანზე. ასობი და სიტყვები იმ კლიტის გასაღებია, რითაც ეს სკივრია ჩაკეტილი. ვის ხელთაა დაღესტნის საუკუნოვანი, მძიმე კლიტის გასაღები?

ბევრი მისულა ამ კლიტესთან, ზოგჯერ გაულიათ კიდევ, სკივრის თავი რომ აეწიათ და შიგ ჩაეხედათ. თვითონ დაღესტნელებს ჯერ კალამიც არ ჰქონდათ ხელთ აღებული, ბევრი სტუმარი, მოგზაური და მკვლევარი კი არაბულ, სპარსულ, თურქულ, ბერძნულ, ქართულ, სომხურ, ფრანგულ თუ რუსულ ენებზე წერდა დაღესტნის შესახებ.

ძველისძველ ბიბლიოთეკებში ვეძებ, დაღესტანო, შენს სახელს და ვპოულობ კიდევ სხვადასხვა ენაზე დაწერილს. იხსენებენ დერბენდს, კუბაჩს, ჩირკეისა და ხუნძახს. მადლობა მოგზაურებს, მართალია, მთელ შენს სიღრმესა და სიმართლეს ვერ ჩაწვდნენ, მაგრამ მაინც პირველებმა გაიტანეს შენი სახელი მთებს მიღმა.

შემდეგში კი პუშკინმა და ლერმონტოვმა თქვეს თავისი სიტყვა.

В полдневный жар в долине Дагестана  
С свинцом в груди лежал недвижим я...

საოცარი სტრიქონებია. ბესტუჟევ-მარლინსკიმ კი თავისი „ამალათ-ბეგი“ დაწერა. დერბენდის სასაფლაოზე დღესაცაა ქვა, თავის საცოლეს რომ დაადო მან გულზე. ალექსანდრე დიუმაც იყო დაღესტანში, პოლუე-ჟაევიც — პოემების „ერპელისა“ და „ჩირ-იურტის“ ავტორი. ყველა თავისებურად წერდა შენზე, დაღესტანო, მაგრამ არცინ ჩაგწვდომია ლერმონტოვივითა და მოხუცი ტოლსტოივით ღრმად. ამ შენი მომღერლების წინაშე ეხრი ჭალარაშერთულ თავს და ისე ვკითხულობ ამ წიგნებს, როგორც მუსულმანი — ყურანს. ის დღე დიდი სიხარულის დღეა ჩვენ-



ში, ვაეიშვილს სახელს რომ არქმევენ. ასეთ დღედ უნდა ჩაითვალოს ის დღეც, მშობლიურ ენაზე პირველად რომ დაწერეს შენზე შენმა შვილებმა, დაღესტანო. მასხოვს, რა შეცდომა დაეუშვი, დაფასთან რომ გამოყვანა ჩემმა პირველმა მასწავლებელმა ვერა ვასილენამ და შენი სახელის დაწერა მთხოვა. „დაგესტან“, დავწერე მე. ვერა ვასილენამ ამიხსნა, დაღესტანი კუთვნილებითი სახელია და დიდი ასოთი იწერებაო. ავდექი და ასე დავწერე „Дагестан“, მეგონა, დიდი „Д“-ც იყო საჭირო და პატარაც. მესამედ კი სწორად დავწერე შენი სახელი „Дагестан“. შენც ასე ხომ არ გასწავლიდნენ, დაღესტანო, საკუთარი სახელის წერას, ასე ხომ არ გასწავლიდნენ საკუთარ თავზე საუბარს? ბევრჯერ მოგიხდა ყველაფრის თავიდან დაწყება. ირჩევდი ასოებს, ანბანს, წერდი არაბული, ლათინური, რუსული ასოებით, უშვებდი უამრავ შეცდომას, იმიტომ რომ პატარა ასოთი წერდი იმას, რაც დიდი ასოთი უნდა დაგეწერა. მხოლოდ მესამედ ისწავლე, ჩემო დაღესტანო, სწორად წერა. აი, დაღესტნის პირველი წიგნების, ჟურნალებისა და გაზეთების სახელწოდებები: „დილის ვარსკვლავი“, „ახალი სხივი“, „წითელი მთიელი“, „ჭეიროანი“, „მთის ანდაზები“, „ყუმბისური ზღაპრები“, „ლაკური ჰანგები“, „დარგინული მოთხრობები“, „ლექური ლექსები“, „საბჭოთა დაღესტანი“—და ყოველივე ეს მშობლიურ ენაზე! ეს მხოლოდ სახელები კი არაა, ეს ფრთებიცა.

1921 წელს დაღესტნის დელეგაციასთან საუბრის შემდეგ ლენინმა სამი ყველაზე უფრო საჭირო რამ გააგზავნა დაღესტანში: პური, ქსოვილი და სასტამბო ნიშნები. დაღესტანს ცხენი და ხანჯალი ჰქონდა, ლენინმა პურთან ერთად წიგნიც მისცა მას. რევოლუციამ დაარწია დაღესტნის აკვანი. დაღესტანმა ზღვა დაინახა, საკუთარი თავი დაინახა, თავისი წარსული და მომავალი დაინახა და თვითონვე დაიწყო თავის თავზე წერა.

სულეიმან სტალსკიმ სთხოვა ერთხელ მაქსიმ გორკის: „ორივენი მოხუცები ვართ, ცხოვრება გავლიეთ და სამყარო შევიცანით. ორივეს წიგნები გვაქვს. მაგრამ შენ ქალაქზე წერ, ნასწავლი ხარ. მე კი ვმღერბი, იმიტომ რომ წერა არ ვიცი. ჩვენ დაღესტანსა და რუსეთს ვანსახიერებთ. რუსეთი განათლებული ქვეყანაა, დაღესტანში უმრავლესობამ ჯერაც არ იცის თავისი სახელის დაწერა და ხელის მოწერის ნაცვლად თითის ანაბეჭდს სვამს. არ შეგიძლია განათლებული მწერლების ბრიგადა რომ გამოგვიგზავნო, ჩვენზე, დაღესტნელებზე რომ უამბონ მთელ ქვეყანას?“ სულეიმან სტალსკისა და გორკის საუბარს ეფენდი კაპიევი თარგმნიდა. გორკი დაპირდა სულეიმანს, თხოვნას შეგისრულებო, მერე კაპიევზე მიუთითა და უთხრა: ახლა დაღესტანში განათლებული, ნიჭიერი ახალგაზრდობა აღიზარდა, უკეთესია დაღესტნელებმა თვითონ დაწერონ დაღესტნის მიწაზე, რადგან, როგორც თქვენში ამბობენ: „სახლის ამბავი ყველაზე უკეთესად მისმა კედლებმა იციან“. ახალგაზრდა თაობა, რო-

მელზეც გორკი ამბობდა, ახლა უკვე ჰარმაგია. მათ ბევრი დაწერეს და-  
 ლესტანზე და კვლავაც დაწერენ. წინათ მამები ხმალსა და ფანდურს  
 უტოვებდნენ შვილებს მემკვიდრეობად, ახლა კი — კალამსა და წიგნს.  
 ერთი დღეც არაა დალესტანში, ვაეი რომ არ იბადებოდეს, ერთი დღე  
 არაა, წიგნი რომ არ გამოდიოდეს. ყველა თავის დალესტანზე წერს. ორ-  
 მოცდაათ წელზე მეტს წერდა მამაჩემი და მაინც არ ეყო სიცოცხლე.  
 ახლა მე ვწერ, მაგრამ ვერც მე მოვასწრებ ყველაფრის დაწერას, რაც  
 მსურს. ამიტომაც, რომ ხანჯლის ნაცვლად სუფთა რვეულსა და კალამს  
 ვუდებთ ბავშვებს სასთუმალს ქვეშ. მამაჩემისა და ჩემი დალესტანი  
 ერთია, მაგრამ როგორი სხვადასხვანაირია იგი ჩვენი კალმების ენაზე!  
 თითოეულს თავისი ხელწერა, თავისი ასოები, თავისი ჰანგი აქვს. ასე მი-  
 გორავს ეს ურემი თავის გრძელ გზაზე და იცვლის და იცვლის მეურმე-  
 ებს. მამაჩემი მეუბნებოდა: „წერე ის, რაც იცი და რაც შეგიძლია, ხოლო  
 რაც არ იცი, სხვის წიგნებში ამოიკითხე“.

### წიგნი

წიგნს უერთგულე, გიყვარდეს წიგნი,  
 სიბრძნესთან ბჭობა და მუსაიფი.  
 არ გიღალატებს არასდროს იგი,  
 მდიდარი იყავ თუნდა ღარიბი.

იყავ ბეჯითი და მუყაითი,  
 ცოდნის — ღეთაებრივ განძის მფლობელი,  
 წიგნის ფურცლები სანთლად აინთე  
 და გაინათე წუთისოფელი.

შეჰყევი ცოდნის მაღალ ქიუხებს,  
 ამალდეს სული ვარსკვლავთ ხომლამდი,  
 მოირთვლიანე მისი სიუხვე,  
 აივსე მისი ზვავით, დოვლათით.

მაშ წიგნის ფასი იცოდე, შვილო,  
 მოიმკე, სიბრძნე რაც უთესია,  
 ის გაზიარებს ღეთაებრივ მირონს:  
 ცოდნას, სიკეთეს და პოეზიას.

ახალგაზრდა პოეტები რომ მოდიოდნენ მამაჩემთან და ლექსები  
 მოჰქოხდათ, მამა უწინარეს ყოვლისა ხელწერას დააკვირდებოდა, იმი-  
 ტომ, რომ „როგორი ხნულიცაა, ყანის პატრონიც ისეთია“. შემდეგ შეც-  
 დომებს გაასწორებდა, სასვენ ნიშნებს დასვამდა. თავს ისე აქნევდა,  
 თითქოს ამბობდა, სწორად წერა ისწავლეთო. ზოგიერთები მორიდებუ-  
 ლად შენიშნავდნენ: არც „XX საუკუნის. პომეროსი“ იყო ნასწავლიო.  
 „მე კი არ ვიცოდი!“ — პასუხობდა მამა ამ ახალგაზრდა „პომეროსს“.

ასეთი ჰომეროსები ახლაც ბევრია დაღესტანში. უბრალო გრამატიკული  
შეცდომაც კი აღიზიანებდა მამას. უამრავი შეცდომით დაბეჭდილი  
თავისი ლექსი რომ წაიკითხა გაზეთში, მამამ ასეთი ლექსი დაწერა:

გავისტუმრე ჩემი ლექსი  
დაღესტანის აღლუმზე,  
დავლოცე და, როგორც წესი,  
ყვავილებით დავხუნძლე.

და რას ვხედავ, როცა დილით  
გადავშალე გაზეთი,  
ჩემი ლექსი დაბეჭდილი  
ვენახს ჰგავდა დასეტყვილს.

სულ მიკიბულ-მოკიბული,  
არც კი გაითვალემა,  
იქნებ მასზე მთიულური  
დაუარეს მთვრალემა.

ანდა გზაზე დახვდნენ მტრები  
ტანადსა და სახიერს,  
კობტა ჩოხა-ახალუხი  
ტანზე შემოახიეს.

ჩემი ლექსი კვიცსაც ჰგავდა  
ძუა-ფაფარ-ქოჩორით.  
გაკრიჭეს და ველარც ვიცან,  
დამიმგვანეს ჩოჩორიქს.

სადედოფლო ცხენი მყავდა,  
უცებ გამიპაიკეს...  
სწორი გითხრათ, ვერაფერი,  
ვერაფერი გავიგე

ასე უღვთოთ ვინ გაწირა,  
ხელი ვინ მოუსწრაფა,  
ისე ხავის, როგორც კლდის ქვეშ  
მოყოლილი მუსტაფა.

ზოგჯერ პირში თქმა ჯობია  
ხოტბით შესმულ ფილას,  
მაშ ეს ლექსიც თქვენს გაზეთში  
დამიბეჭდეთ მთლიანად.

ყველა თავისებურად ჰყავდა წარმოდგენილი მამაჩემი, ვინც კი  
იცნობდა მას. მამაჩემი ხნავდა და თიბავდა კიდევ, ურემსაც ტვირთავდა  
თივით და ცხენსაც აპურებდა, ცხენითაც დადიოდა, მაგრამ მე ყოველ-

თვის წიგნით ხელში მახსენდება იგი. სტუმართმოყვარე იყო მამაჩემი, მაგრამ ყოველთვის წუხდა, ვინმეს სტუმრობა კითხვას თუ შეაწყვეტინებდა. გეგონებოდა, ლოცვას დაანებებინესო თავი. მამა რომ კითხულობდა, დედა ფეხის წვერებზე დადიოდა, წარამარა თითს იღებდა ტუჩებზე და ჩურჩულით გველაპარაკებოდა:

— ნუ ხმაურობთ, მამა მუშაობს.

დედამ კარგად იცოდა, რომ კითხვა მწერლისთვის მუშაობაა.

ხანდახან გაბედავდა და მამასთან შეიხედავდა ხოლმე: ხომ არაფერი გჭირდება, მელანი ხომ არ გაგითავდაო. დედა ყოველთვის ფხიზლად ადევნებდა თვალს მამას სამელნეს, მელანი არ ამოშრესო.

ერთი-ორი დღე თუ იყო მამას ცხოვრებაში ბედნიერი, წიგნების წყალობით იყო. მწუხარება თუ ჰქონდა, ისიც თავისი თუ სხვისი წიგნების წყალობით ჰქონდა. რაც არ უნდა ეთხოვათ, უარს არავის ეტყოდა, უარის თქმა დიდ ცოდვად მიაჩნდა, მაგრამ მართლა ცუდ დღეში იყო, როცა საყვარელ წიგნს სთხოვდა ვინმე. წიგნი უკვე სხვას ეჭირა ხელში და მამაჩემი მაინც მისკენ იწვდიდა ხელებს. როცა წიგნის დაბრუნებას დაუგვიანებდნენ, მამა ასე მიწერდა:

„ძალიან მომენატრა ჩემი მეგობარი, თქვენ რომ გაიყოლიეთ ამას წინათ. აღარ აპირებს დაბრუნებას?“

მამაჩემი შვიდი დღის ერთადერთი ძმა იყო (ერთადერთი ფაფახი ოჯახში). ადრე დაობლებულიყვნენ ბავშვები. მშობლიური აულიც ადრე მიატოვა მამაჩემმა. მეურვედ დამდგარმა ბიძამ სხვა აულში გააგზავნა, მედრესში — დიდ აულს დიდი ჰკუა აქვსო. მის მერე აულიდან აულში დაეხეტებოდა მამა და ხურჯინს არ იხსნიდა მხრიდან, სადაც მთელი მისი ავლა-დიდება იყო — ცალ თვალში წიგნები და ცალში მოხალული ფქვილი. უნდა ითქვას, რომ მართლა გამდიდრებული დაბრუნდა მამაჩემი — ცოდნით გამდიდრდა მოგზაურობის დროს. აულის გოდეკანზე ასე ეუბნებოდნენ მამაჩემს: შენს ნიჭსა და ცოდნას ერთად თუ შეაბამ ურემში, შორს წახვალო. არც შემცდარან. სახელოვანი კაცი გახდა მამა. მისი ბევრი სტრიქონი ანდაზად იქცა.

მამა ბევრს წერდა დიდებისთვისაც და პატარებისთვისაც, მათთვის, ვინც მოდიოდა ამქვეყნად და ვინც მიდიოდა ამ ქვეყნიდან. ის წერდა ლექსებს, პოემებს, პიესებს, იგავეებს, ზღაპრებს. წერა მშვიდი, აუჩქარებელი იცოდა, ენაც ასეთი ჰქონდა, ასეთი იყო თავადაც. ახალგაზრდობაში ხშირად სთხოვდნენ ხოლმე საბუთების გადაწერას. მამა არაბული, ლათინური და რუსული ასოებით წერდა. წერდა მარჯვნიდან მარცხნივ და მარცხნიდან მარჯვნივ.

— რატომ წერ მარცხნიდან მარჯვნივ?

— მარცხნივაა გული და შთაგონება. რაც ძვირფასია, იმას მარცხნივ ვიხუტებთ ხოლმე, მკერდში.

— მარჯვნიდან მარცხნივ რაღად წერ?

— მარჯვნივ კი ადამიანის ძალაა, მისი მარჯვენა ხელი, მიზანსაც მარჯვენა თვალი სჭირდება.

ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობა იყო. მაგრამ სხვადასხვა ანბანის შესწავლა არ იყო ხუმრობა საქმე. ლექსებს კი მამა ყოველთვის მშობლიურ ენაზე — ხუნძურზე წერდა. ზოგიერთი ლექსი არაბულადაც აქვს დაწერილი, ეს უმეტესად ისეთი ლექსებია, ოჯახის წევრებს რომ არ უნდა წაეკითხათ. ასეთი ლექსი ძალზე ცოტა აქვს ჰამზათს. იგი გადაჭრით წინააღმდეგი იყო ასეთი ლექსებისა. „ისეთი ლექსები არ უნდა დაწერო, დედას, ქალიშვილსა და დას რომ ვერ წაუკითხო. მე არც ის ფილმები მეხატება გულზე, თექვსმეტ წლამდე ბავშვები რომ არ დაიშვებიან“.

მამა ყველაზე ხშირად არაბულ ანბანს ხმარობდა. ასოების მოხატულობა მოსწონდა, ლამაზი ეჩვენებოდა. დაუდევრად ნაწერს ვერ იტანდა. ერთხელ ძველი ამხანაგისაგან არაბული ანბანით ულაზათოდ დაწერილი ბარათი მიიღო და დასცინა კიდევ თავის ლექსში:

ერთ-ერთი ასო დაირას ჰგავს, მუშტით ჩახეულს,  
ეჟენის მაგიერ რიყის ქვები ჰკილია თითქოს.  
მეორე ქოსს ჰგავს, სახურავაბდილს,  
სადაც შიშველი დედაბოძი ძლავს იჭერს კედლებს.  
სხვა ასო კიდევ თითქოს კლდეებს დაუტანია,  
საწყალმა როგორ აიტანოს ამდენი შვაივი?  
ერთს კი ფაფაზი ზედ წარბებზე ჩამოაფხატე,  
დავიზინია მთელი გვერდი ერთი სტრიქონით.  
ნეტა ვიცოდე, კალმით წერდი თუ კატის ბრჭყალით?  
ზოგან სიტყვები, ხეებს ჰგვანან ან ეკალ-ბარდებს,  
გვერდი კი ტყეს ჰგავს, გრიგალისგან ტოტებდაღეწილს.  
ანდა იფიქრებ, ტყის მჭრელებმა გაკაფეს ახო.  
სად, სად ისწავლე ასე წერა?... საოცარია...

ამ ლექსმა თავის დროზე ბევრი გაანაწყენა, — ზოგიერთები იმიტომ, რომ სწორად ვერ გაიგეს მამაჩემის ლექსი, ზოგიერთები კი იმიტომ, რომ დიხაც კარგად გაიგეს. ზოგიერთს ეგონა, ჰამზათი უშნოდ დაწერილ არაბულ ასოებს კი არა, საერთოდ არაბულ ანბანს დასცინისო. მამაჩემს კი აზრადაც არ მოსვლია ანბანის გაკრიტიკება. ჰამზათი იმათ ბოსტნებში ისროდა ქვებს, ვისაც ამ ბოსტნის მოვლის თავი არ ჰქონდა. საერთოდ მამაჩემს არც ერთ ანბანზე არ უთქვამს ცუდი, ანბანის დამმხინჯებლებს კი არ ზოგავდა.

„მართალია, არაბები თავს ესხმოდნენ დაღესტანს, მაგრამ ეს არც არაბული დამწერლობის ბრალი იყო და არც წიგნებისა“, — ამბობდა მამა. ხშირად ნასადილევს ჩვენი სახლის სახურავზე იკრიბებოდნენ ხოლმე მეზობლები; მამა საოცარ მოთხრობებსა და ლექსებს უკითხავდა მათ. შეწყობილად ეღერდა მრავალზომიანი არაბული ლექსის მუსიკა.

მამამ რუსული ენა არ იცოდა და არაბულ ენაზე კითხულობდა ჩე-  
ხოვს, ტოლსტოის, რომენ როლანს. მთიელებს მაშინ არც ერთ ამ მწე-  
რალზე არ ჰქონდათ წარმოდგენა.

ყველაზე მეტად ჩეხოვი უყვარდა მამას, განსაკუთრებით მოთხრო-  
ბა „ქამელეონი“ მოსწონდა.

საერთოდ არაბული ენა ძალზე გავრცელებული იყო. ზოგიერთები  
იმიტომ წერდნენ არაბულად, რომ დალესტანს თავისი დამწერლობა არ  
ჰქონდა, ზოგიერთები კი იმიტომ, რომ არაბულ ენას მშობლიურზე უფ-  
რო მდიდარ, ხატოვან ენად თვლიდნენ. არაბულ ენაზე იწერებოდა ყვე-  
ლა ოფიციალური ქაღალდი თუ საბუთი. ყველა საფლავის ქვეს არაბუ-  
ლით აჩუქებდნენ. მამა კარგად კითხულობდა ამ წარწერებს და  
გვიხსნიდა კიდევ.

შემდეგ დადგა დრო და არაბული ენა ბურჯუაზიულ გადმონაშთად  
გამოაცხადეს. დაზარალდა ის, ვინც არაბულ ენაზე წერდა და კითხუ-  
ლობდა, დაზარალდა წიგნები. განადგურდა დალესტანის განმანათლებ-  
ლების ალიბეკ ტახო-გოდისა და ჯელალ ქორქი მასოვის რუდუნებით  
შექმნილი ბიბლიოთეკები. ჯელალი სორბონაში სწავლობდა, თორმეტი  
ენა იცოდა, ანატოლ ფრანსის მეგობარი იყო. მთის აულებში აგროვებ-  
და იგი ძველ წიგნებს. იარალს, ცხენს, ძროხას, მოგვიანებით მუჭა  
ფქვილსა და ბამბაზიის ნაჭრებს იძლეოდა წიგნების სანაცვლოდ. ბევრი  
ხელნაწერიც დაიკარგა. ეს აუნაზღაურებელი, მძიმე დანაკარგია.

მრავალტანჯულო წიგნო დალესტანისავე, სხვადასხვა ხელით, სხვადა-  
სხვა ანბანით, სხვადასხვა ენაზე გწერდნენ შენ. გწერდნენ იმიტომ, რომ  
სხვაგვარად არ შეეძლოთ. გწერდნენ უახგაროდ, არცინ მოითხოვდა გა-  
სამრჯელოსა და ჰონორარს. და ეს წიგნი რევოლუციამ გამოსცა.

გამოვიდა გაზეთი „წითელი მთები“, შემდეგში ხან „მთიელი“ რომ  
ერქვა და ხან „ბოლშევიკი მთიელი“. ამ გაზეთში გამოქვეყნდა პირვე-  
ლად მამაჩემის ლექსები. მრავალი წლის განმავლობაში თანამშრომ-  
ლობდა ამ გაზეთში მამა და მდივნადაც მუშაობდა. მაშინ მიკვირდა, რა  
სწრაფად ასწრებდა გაზეთი ლექსების ბეჭდვას. ან როგორ არ გამკვირ-  
ვებოდა! გუშინ რომ ჩემ თვალწინ წერდა მამა, დღეს იმ ლექსებს გაზეთ-  
ში ვკითხულობდი. შემდეგ ამ ლექსებმა წიგნებში მოიყარა თავი. ოთხმა  
მძიმე ტომმა დაიტია მამას მთელი ცხოვრება და შრომა.

სიკვდილითაც თავის კაბინეტში მოკვდა მამა, წიგნებისა და კალმე-  
ბის, ფანქრებისა და დაწერილი თუ დაუწერიელი ფურცლების ახლოს.  
რას ვიზამთ, სხვები შეავსებენ ამ ფურცლებს. დალესტანი სწავლობს,  
დალესტანი კითხულობს, დალესტანი წერს.

ახლა მოგიყვებით, როგორ ვსწავლობდი მე, უფრო სწორად, რო-  
გორ მასწავლიდნენ.

მაშინ ხუთი წლის ვიყავი. მთელი დალესტანი მერხებს მიუჯდა. ერთი-

მეორის მიყოლებით იხსნებოდა სკოლები, სასწავლებლები, ტექნიკუმები. სწავლობდა მოხუცი და ბავშვი, ქალი და კაცი. ბრძოლა გაჩაღდა წერა-კითხვის უტოდინარობასთან, ეწყობოდა კულტლაშქრობები. მას სოვს პირველი ანბანი და რვეულები, მამამ რომ მიყიდა. აულ-აულ დადიოდა მამა და ხალხს სწავლისკენ მოუწოდებდა.

გაჩნდა ახალი დამწერლობა. მამა მხურვალედ მიესალმა მას. ჰამზათი ყოველთვის წუხდა, რომ დამწერლობის უქონლობის გამო დაღესტანი მოწყვეტილი იყო რუსეთის დიდ კულტურას.

იგი ამბობდა: დაღესტანი „ჩვენი დიადი ქვეყნის ნაწილია, იგი აუცილებლად უნდა იცნობდეს ამ ქვეყანას, იცნობდეს მთელ კაცობრიობას, უნდა შეეძლოს მისი ცხოვრების წიგნის წაკითხვა, უნდა არჩევდეს მის ხელწერას“.

„ახალი გზა“, „ახალი შუქი“, „ახალი ადამიანები“ — აი, იმ დროის ლოზუნგები. დროის ამ მოწოდების შესახვედრად მამამ თავისი შეილება იც გაგვაგზავნა. უჭირდა ამ სიახლეს გზის გაკაფვა, იყვნენ ადამიანები, ქვებს რომ უშენდნენ მას. ბევრი ფანჯარა ჩაულეწეს ახალ სკოლებს. სწავლა-განათლების მტრები გაიძახოდნენ: „რა ქვეყანაა ის, სადაც მწყემსი წიგნს კითხულობს და მეწისქვილე გაკვეთილს სწავლობს. ერთი ცხვარს უნდა მწყემსავდეს და მეორე უნდა ფქვავდეს“. უარესიც ხდებოდა. მახსოვს, მასწავლებლისთვის დამიზნებული ტყვია კედელზე დაკიდებულ რუკას მოხვდა. ისიც მახსოვს, რა თქვა მამამ მაშინ: „კინაღამ მთელი მსოფლიო გახვრიტა ამ ყაჩაღმა ერთი გასროლით“.

პირველ წლებში ბევრ აულში ცდილობდნენ შეეთავსებინათ ახალი სწავლება რელიგიურთან. ხანდახან ისე აირეოდა ყველაფერი, ვერ გაიგებდი, სად იყო ბაზარი და სად მალაზია, სად — ალი და სად — ომარი. ჩემი ძმები კომუნისტური ახალგაზრდობის სკოლებში დადიოდნენ. მე კი ძალიანაც მშურდა იმათი, მაგრამ ჯერ შევიდი წლისა არ ვიყავი და მოუთმენლად ველოდი მათ დაბრუნებას სკოლიდან.

იმ ხანებში ჩვენს აულში გაიხსნა სკოლა იმათთვის, ვისაც ხუნძახში არ უნდოდა ბავშვების გაგზავნა სასწავლებლად. ეს სკოლა ნახევრად რელიგიური იყო და „ჰასანის სკოლა“ ერქვა.

ჰასანი კეთილი, მაგრამ უცნაური კაცი იყო. უცნაური იმიტომ, რომ სჯეროდა ძველისა და ახლის შეთავსება. როგორ ახერხებდა ამას, ღმერთმა იცის. ერთ აულში იგი კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი იყო, მეორეში კი — მოლა. რით დამთავრდა ეს, ძნელი მისახვედრი არ ვახლავთ. როგორც მოლა, კომკავშირიდან გარიცხეს და, როგორც კომკავშირელი, მეჩეთს ჩამოაშორეს. სამოქალაქო ომის დროს ჰასანი წითელი პარტიზანი იყო. ღვთის ნებით ჩემი პირველი მასწავლებელიც ჰასანი იყო. პირველ მასწავლებელზე დაწვრილებით მოყოლა ცოდვად არ ჩა-



მეთვლება, ამიტომ სამ პატარა სასაცილო ამბავს ვიამბობთ, უფრო უკეთ რომ წარმოიდგინოთ ეს კაცი.

### ჰასანი და ტყვე

პარტიზანებმა ტყვედ ჩაიგდეს კონტრრევოლუციონერი ჯარისკაცი. ის შტაბში უნდა გაეგზავნათ, მუსლიმ ატაევთან. ეს საქმე ჰასანს მიანდეს. პირველად ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ აი, ნამაზის დრო დადგა. ჰასანი წყაროსთან გაჩერდა და ლოცვა დაიწყო, ტყვე კი იქვე ქვაზე ჩამოსვა. ტყვემ ხელების შეხსნა სთხოვა, მეც მიინდა ნამაზი შეეასრულო. ჰასანმა გაიოცა.

— შენ რაში გჭირდება ლოცვა, შენ ხომ თეთრი ხარ, რამდენიც არ უნდა ილოცო, სულ ერთია, მაინც ჯოჯოხეთში მოხვდები.

— კი, მაგრამ, მე ხომ მაინც მუსულმანი ვარ. მუსლიმ ატაევი კი არ დამინდობს, მაშინვე კედელზე მიმაყენებს. უკანასკნელად მაინც ვილოცო კაცმა.

ჰასანმა ხელები შეუხსნა ტყვეს, თან უთხრა:

— აი, ხედავ, შენ საბჭოთა მთაერობას აგინებდი, ალაჰის რწმენას გვიშლისო. ვინ გიშლის, მიდი და, რამდენიც გენებოს, იმდენი ილოცე.

ჰასანი ისე გაერთო ლოცვაში, რომ ტყვე სულ დაავიწყდა. როცა მიიხედ-მოიხედა, ტყვე არსად ჩანდა, გაქცეულიყო. მაშინ გაცეცხლებულმა ჰასანმა დაიძახა:

— ალაჰსა და რევოლუციას ვფიცავ, რომ გიპოვი და დაგიჭერ!

მართლაც დაიჭირა ის ტყვე ჰასანმა და დანიშნულ ადგილასაც მიიყვანა.

### ლოცვა და სივლარა

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ჰასანი სასოფლო საბჭოს მდივნად მუშაობდა. სოფლის საბჭოს ბეჭედი ამასობაში ისე გაცვდა, რომ აღარაფერი ემჩნეოდა — ჰასანი ყველა ქალაქს დაუზოგავად ურტყამდა ბეჭედს.

თუ რაიმე სერიოზული საკითხი წამოიჭრებოდა, ჰასანი ამბობდა:

— მოლასა და რაიონის აღმასკომს უნდა დავეკითხო.

სხვათა შორის, ჰასანი ცდილობდა დასვენების დღე კვირიდან პარაკევს გადაეტანა, რამაზანის დღეს. დაუღალავად ეწეოდა ხალხში საბჭოთა ხელისუფლების დადგენილებების პროპაგანდას და ამავე დროს სამოქალაქო ომის დროს დაზიანებული მეჩეთის შეკეთებას ცდილობდა. მეჩეთი შეაკეთეს და გახსნის დღეც დანიშნეს. სწორედ ამ დროს რაიონ-

ში დიდი კულტბრიგადა ჩამოვიდა: მწერლები, მხატვრები, მსახიობები, მომღერლები, მუსიკოსები. რაიონიდან მთელი ბრიგადა აულში გააგზავნეს, სადაც საზეიმოდ უნდა გახსნილიყო მეჩეთი.

სტუმრებს დიდებულად შეხვდნენ აულში. აჩვენეს დოღი, ჭიდაობა, მამლების ჩხუბი. არც სტუმრები დარჩნენ ვალში: წაიკითხეს ლექცია, ისაუბრეს სამეურნეო ამოცანებზე, ჩაატარეს კონცერტი.

შუა კონცერტის დროს მინარეთზე მუეძინი ავიდა და მართლმორწმუნე მუსულმანებს სალამოს ლოცვისკენ მოუწოდა. მაშინ ჰასანი წამოდგა და სტუმრებს სიტყვით მიმართა:

— დიდი მადლობა, პატრივი რომ გვეცით და ღირსშესანიშნავ დღეს— ჩვენი მეჩეთის გახსნის დღეს გვეწვიეთ, კონცერტისათვისაც მადლობას მოგახსენებთ. ახლა კი ჩვენ სალოცავად წავალთ. გნებავთ, განაგრძეთ კონცერტი, გნებავთ, დაგველოდეთ და, გნებავთ, ჩვენთან ერთად წამოდით.

ხალხის ნაწილი მეჩეთში წავიდა, ნაწილი კონცერტის მოსასმენად დარჩა, ზოგი კი დაბნეული იდგა და არ იცოდა, რა ექნა. სტუმრებიც დაიბნეხ. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ სახურავზე, სცენის მაგივრობას რომ სწევდა, ცნობილი მომღერლები გამოვიდნენ: არაშილელი ომარი, გაზი-მაჰმადი და კაგერელი მომღერალი ფატიმათი. ორი ფაფახი და ერთი თავსაფარი, ორი ფანდური და ერთი დაირა. და ახალმა სიმღერამ მთებს გადაუფრინა, ისინი მღეროდნენ ლენინზე, წითელ ვარსკვლავზე, წითელ დაღესტანზე. მღეროდნენ და ხან მალლა სწევდნენ დაირასა და ფანდურს, ხან გულში იკრავდნენ.

ამ სიმღერამ ზოგი მლოცველი მეჩეთიდან ქუჩაში გამოიყვანა, ზოგი კი, პირიქით, მეჩეთში შევიდა.

ამ გასართობ ამბავს დღესაც იხსენებენ ჰასანის აულში.

იმ კულტბრიგადაში იყო მამაჩემიც, ჰაძხათ ცადასი, წინ, უნაგირზე კი მე გყავდი შემოსკუბებული. მაშინ მე არაფერი გამეგებოდა. გამომშვიდობებისას სტუმრებმა პატეფონი და რეპროდუქტორი აჩუქეს აულს.

### ჰასანი და რეპროდუქტორი

არ ვიცი, ვისი განკარგულებით იყო, შესაძლოა ალბათ თვით ჰასანისა, ეს კია, სტუმრების ნაჩუქარი რეპროდუქტორი მეჩეთის ახლოს ტეფეფონის ბოძზე დაკიდეს. ახლა დილიდან საღამომდე ისმოდა რადიოს ხმა. რეპროდუქტორი ხან პიონერული საყვირების ხმას აფრქვევდა გარშემო, ხანაც მღეროდა, ხან უკრავდა, ხან ლაპარაკობდა და ხანაც უბრალოდ ხრიწინებდა და ტკაცუნობდა.

ზოგჯერ მეჩეთის მინარეთზე შენდგარი მუეძინისა და რადიოს ხმა ერთმანეთს უერთდებოდა და მაშინ ეშმაკიც ვერაფერს გაიგებდა.

ერთხელ მუეძინი რომ უნდა გამოსულიყო მინარეთზე, რადიოს ხმა ჩაუწყდა. ვილაცას მავთული გადაეჭრა ბოძზე. როგორც კი მართლ-მორწმუნეებმა ლოცვა დაამთავრეს, ჰასანი ბოძზე აცოცდა, მავთული შეაერთა და რადიოც ისევ ალაპარაკდა.

მეორე დღეს ლოცვის წინ ისევ გაჩერდა რადიო. ლოცვის მერე ისევ დაპირდა ჰასანს ბოძზე აცოცება.

ეს ამბავი ბევრჯერ გამეორდა. ყველას უკვირდა, რატომ არ დაუღა-რაჯდა ჰასანი „დივერსანტს“.

როგორ გაოცდნენ აულის მცხოვრებნი, როცა გაიგეს, რომ რადიოს ხაზს თურმე თვითონ ჰასანი აზიანებდა ყოველთვის.

ჰასანის გულში ორი ძალა ებრძოდა ერთმანეთს: ლოცვა და სიმღერა. ჰასანს მათი შერიგება ეწადა. მისი აზრით ყურანი და საბჭოთა ხელი-სუფლების ცხოვრების წესები ერთმანეთს უნდა დაახლოებოდა. ის ჯერ მეჩეთში წერდა ჯვარს ახალგაზრდებს და მერე სოფლის საბჭოში მიჰყავდა ხელის მოსაწერად.

ჰასანს ბუნების შესწავლის საკუთარი ხერხი ჰქონდა. გაჩერდებოდა და ხან ვარსკვლავს უყურებდა და ხან კლდეს. საათი საათს მიჰყვებოდა, ჰასანი კი იდგა და იდგა ასე. თუ რაიმე გადაუდებელი საქმე ჰქონდა, მაშინ ცოლს ან ჩვენ — ბიჭებს გვტოვებდა თავის ადგილას.

სკოლაში ციური სხეულების მოძრაობას გვიხსნიდა. ბევრს გვიამბობდა მიწისძვრებზე, მთვარისა და მზის დაბნელებაზე, მიქცევა-მოქცევაზე, გვიამბობდა საინტერესოდ და მიკვირს, რატომ არაფერი დამამახსოვრდა მისი ნაამბობიდან.

მისი პროგრამა ჭრელი იყო, ერთად გვასწავლიდა არაბულს, რუსულსა და ლათინურს.

ფირფიცარზე ვეებერთელა არაბულ ასოებს მიწერდა და მეუბნებოდა:

— ისწავლე ეს ასოები. მამაშენი მთელი სიცოცხლე ამ ასოებით კითხულობდა და წერდა.

შემდეგ ასეთსავე დიდ რუსულ ასოებს დაწერდა და მეტყობდა:

— მამაშენმა იმ ასაკში ისწავლა ეს ასოები, სათვალეს რომ ატარებენ. შენც ისწავლე, გამოგადგება.

ზოგჯერ რომელიმე ტექსტს მოგვცემდა ხოლმე ჰასანი შესასწავლად, თვითონ კი მეჩეთში მიდიოდა სალოცავად.

როცა არაბულ წერას გვასწავლიდა, ჯოხი ეჭირა და ხელზე გვირტყამდა, თუკი შეგვცდებოდა რამე ან დაუდევრობას გამოვიჩენდით.

როცა რუსულ ანბანზე მიღებოდა საქმე, ჰასანი სახაზავს მოიმარჯვებდა ხელში. ასე რომ, ხან ჭოხი გვხვდებოდა და ხან სახაზავი. მე კი აი, რისთვის მსჯიდა ხოლმე: ჩვენი სახლი მეჩეთის გვერდით იდგა. სახლსა და მეჩეთს შორის ერთი ნაბიჯის ოდენა გასასვლელი იყო. მე ჩვენი სახლის სახურავიდან მეჩეთის სახურავზე ვხტებოდი. ამისთვის გამლახა ჰასანმა. შემდეგ მეჩეთი დახურეს და რაღაც სასოფლო კლუბის მსგავსი ჩამოაყალიბეს. მე ისევ ძველებურად განვაგრძობდი აქეთ-იქით ხტომას. ჰასანმა ისევ დამსაჯა.

მამამ მოიწონა ჰასანის საქციელი და მითხრა:

— კალია კი არა ხარ, რომ ხტუნაობ, მიწაზე სიარული ისწავლე.

მერე კი შვიდი წელი შემისრულდა და ჩემი ხტუნვაც თავისთავად შეწყდა — ხუნძახის ციხესიმაგრეში დავიწყე სწავლა.

ვერავენ მოასწრო ჰასანის სკოლის დამთავრება; იგი დახურეს. ჰასანმა კოლმეურნეობის ფერმაში დაიწყო მუშაობა, სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გააგზავნეს და იქიდან გამოფენის მედალიც ჩამოიტანა. ორი სხვა მედალი კი ჰასანმა ფრონტზე მიიღო. ომის დამთავრების შემდეგ იგი გვიამბობდა:

— მთელი ომის განმავლობაში, სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, არც ერთი ნამაზი არ გამომიტოვებია. ასე რომ არა, რა დამამბრუნებდა უცნებელსა და ჯანმრთელს.

მოკლედ რომ ვთქვათ, იგი ისევ იმ ჰასანად დარჩა. ახლა ის ავარიელ სურაკატ ხანის ისტორიისათვის აგროვებს ცნობებს. ის ძველებურად კეთილი და პატიოსანი, თუმცა უცნაური კაცი კია.

აულში როცა ვარ, ყოველთვის შევეუვლი ხოლმე, პატივს ვცემ, როგორც ჩემს პირველ მასწავლებელს.

მეორე მასწავლებელიც მახსოვს, უკვე ჩვეულებრივ სკოლაში. იგი ყოველთვის ზღაპრებს გვიყვებოდა თავის თავზე. ახლა ვხვდები, რომ ის კემშარიტი ხუნძი მიუნჰაუზენი იყო. ყოველ გაკვეთილს ასე იწყებდა ხოლმე:

— აბა, ბავშვებო, მოგიყვით ერთი ამბავი ჩემი ცხოვრებიდან?

— მოგიყვით! — ერთად ვყვიროდით ჩვენ.

— ერთხელ ხუნძურ ყოისუზე გადავდიოდი ბონდის ხილით. ვხედავ, ჩემკენ უზარმაზარი დათვი მოდის. გზის აქცევა არ შეიძლება. არადა, არც დათვი მითმობს გზას და არც მე ვუთმობ დათვს გზას. შუა ხილზე ვეძგერეთ ერთმანეთს, მისთანა ძლიერ დათვს კი თავის დღეში არ შევხვედრივარ. ვიმარჯვე მაინც, ვტაცე დათვს ხელი ქეჩოში და წყალში გადავუძახე.

ჩვენ პირდაღებული ვუსმენდით მასწავლებლის ზღაპრებს.

— წინა კვირას კი მინდორში წავედი და არხენად დავიწყე ჩემი ყანის ხენა. ხარები ღონიერი მყავს, მაგრამ უცბად დადგნენ და უღელი

ალარ გაწიეს. რა მოხდა-მეთქი, გავიხედე და რას ვხედავ: კავს მკლავის სიმსხო ცხრა გველი შემოხვევია. ორი სადაცაა ხელებზე მწვდება. დავაძვრე ნაგანი და ყველა გავწყვიტე. იმდენი სისხლი დაიღვარა, მთელი მინდორი მოირწყო. მშვიდად დავამთავრე ხენა და შინ წამოვედი. ოღონდ ესაა, ხანდახან შიში მიტანს, ვაითუ, პურის ნაცვლად გველები ამოვიდეს-მეთქი.

გინდათ მოგიყვეთ, როგორ მოვიტაცე ცოლი? იმ ხანებში ცუნტინის ტყეებში ყაჩაღებს ვიჭერდი. ერთი ყველაზე საშიში ყაჩაღის სახლში მივედი. თვითონ კი მოასწრო გაქცევა, მაგრამ მთვარესავით ლამაზი ქალი დარჩა შინ. მე იმას შევხედე და იმან მე შემომხედა. მოკლედ, ერთმანეთი შეგვიყვარდა. დავავლე ხელი, გადავაწვინე უნაგირზე და გავქუსლე. უცბად გავიხედე და რას ვხედავ, ორმოცი საშინელი ყაჩაღი არ მომდევს უკან! პირში ხანჯლები გაურჭვიათ, ცალ ხელში ხმალი უჭირავთ და ცალში ნაგანი. მოვტრიალდი, დავუმიხინე და ყველა სათითაოდ გავავორე. ეს ამბავი ყველამ იცის დაღესტანში.

ერთხელ გაკვეთილზე მე და ბასირი ვლაპარაკობდით. მასწავლებელმა გამიძახა და მკაცრად მკითხა:

— რატომ იქცევი ცუდად, რას ელაპარაკებოდი მთელი საათი ბასირს?

— ვკამათობდით, ბასირი ამბობს თქვენზე, მაშინ რვა გველი მოკლავ მინდორში, მე კი ვეუბნები, თვრამეტი მოკლა-მეთქი.

უთხარი ბასირს, რომ შენა ხარ სწორი და არა ის.

მას აქეთ ყოველთვის უყვირდა დედას და მამას, რომ გაკვეთილებს არ ვსწავლობდი და შინ მაინც კარგი ნიშნები მომქონდა.

კეთილი კაცი იყო ჩემი მასწავლებელი, მაგრამ დიდხანს ვერ ჩერდებოდა ერთ ადგილას. ხან მიყრუებულ აულებში აგზავნიდნენ ხოლმე, ხან სილუხში, ხან არადერიხში, მაგრამ იქაც ვერ ძლებდა დიდხანს.

ამას წინათ მწერალთა კავშირში მოვიდა ჩემთან და მთხოვა, რაიმე სამუშაო მიშოვნეო.

რა გეხერხება-მეთქი, ვკითხე.

— ომზე შემიძლია მოგონებების დაწერა. ყველა მარშალი ხომ ჩემი ამხანაგი იყო, ის კი არადა, ზოგიერთი მათგანი სიკვდილსაც გადავარჩინე.

ბევრი მასწავლებელი მყავდა, მაგრამ ჩემს ნამდვილ პირველ მასწავლებლად მაინც ვერა ვასილევნას ვთვლი. ამ კეთილმა რუსმა ქალმა მაზიარა რუსული ენის სილამაზესა და რუსული ლიტერატურის დიდებულებას.

ხუნძური პედაგოგიური სასწავლებლის მასწავლებლებო, მოსკოვის ლიტერატურის ინსტიტუტის პროფესორებო!

მანსურ გაიბარბეკოვო და პოსპელოვო, მაჰმად გაიდაროვო და გა-

ლიცკო, შამბინაგო, რადციგო, ასმუსო, ფოხტო, ბონდო, რეფორმატსკა, ვასილ სეშიონოვიჩ სილორინო... მე, ცხადია, ცუდად ვპასუხობდით გამოცდებზე, რადგან ჯერ კიდევ კარგად ვერ ვლაპარაკობდი რუსულად, მაგრამ ასე მგონია, თითქოს გამოცდები არ დამემთავრებინოს. ზოგჯერ მესიზმრება, თითქოს ისევ ვაბარებ ძნელ გამოცდებს, ვიჭრები და პირველ კურსზე მტოვებენ.

ცხადში კი, როცა ჩემი ახალი წიგნი გამოდის, ვიმედოვნებ, იქნებ ჩემს რომელიმე მასწავლებელს ჩაუვარდეს იგი ხელთ და წაიკითხოს. ეს კი უფრო მაშინებს, ვიდრე ენათმცოდნეობისა თუ ძველი ბერძნული ლიტერატურის გამოცდა. ვაითუ ჩემი წიგნი არც დაამთავრონ, ისე გადაღონ გვერდზე და თქვან: „ცუდად დაუწერია რასულს, ეტყობა, აჩქარებულა“. აი ეს არის ჩემი ყველაზე უფრო ძნელი გამოცდა.

შენც სხვადასხვა მასწავლებლები გყავდა, დალესტანო, შენი პასანები და შენი ძიუნჰაუნენები. ზოგიერთს თვითონ არ სჯეროდა, რასაც გასწავლიდა, ზოგი გატყუებდა, ზოგი ცდებოდა. მაგრამ აი მოვიდა დიდი და სამართლიანი, ვაეკაცური და კეთილი მასწავლებელი. ეს მასწავლებელი რუსეთი, საბჭოთა ხელისუფლება, რევოლუცია იყო, ახალი ცხოვრება, ახალი სკოლა, ახალი წიგნი.

წინათ მთელ აულში მხოლოდ მოლას შეეძლო წერილისა და წიგნის წაკითხვა. ახლა კი ყველა კითხულობს მოლას გარდა.

დიდი ბედის გამოდგა პატარა ხალხი. კვლავ იწერება ამბავი დალესტანზე, არც ვათავდება იგი. მე ბედნიერი ვიქნები, ამ ოქროს წიგნში ერთი ფურცელი მაინც თუ იქნება ჩემი დაწერილი. მე ვმღერი ჩემს სიმღერას, მიიღე იგი, დალესტანო!

შენი მადლია, რაც გამაჩნია,  
შენი სიკეთით ვარ დალოცვილი  
და ყველა ჯილდოს, ყველა ხვაშიადს.  
ყელზე დაგვიდებ ავგაროზივით.

მოგიძღვნი ლექსებს და ნათლის სვეტად  
თავს დაგადგება სიტყვის ვარაყი,  
ოღონდ მაჩუქე ნაბადი ტყეთა  
და თოვლიანი მთების ფაფახი.

მორჩა და გათავდა. ჩვენი განშორების დროც მოვიდა. როგორც იტყვიან, ისევ შეგვახვედრებს ღმერთი ერთმანეთს.

ეს წიგნი სხვადასხვა ადგილას დაიწერა — ცადაში, მოსკოვში, მახაჩყალასა და დილიქანში. როდის დავიწყე წერა, არ მახსოვს, დამთავრებით კი 1970 წლის 25 სექტემბერს დავამთავრე.

ვასილამ, ვაქალამ.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წიგნი პირველი	5
წიგნი მეორე	189



РАСУЛ ГАМЗАТОВ

Мой Дагестан

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»  
Тбилиси, Марджанишвили, 5  
1982



კოლეგიის რედაქტორი დ. იუკურიძე  
რედაქტორი ე. ბეწუკელი  
მხატვარი გ. კასრაძე  
მხატვრული რედაქტორი თ. გორალევიჩი  
ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზაია  
კორექტორი ე. ევანია  
გამომწვევი მ. წიგწივაძე

ს. ბ 2153

გადაეცა წარმოებას 28/III-80 წ. ხელმოწერილია დსა-  
ბეჭდად 23/II-81 წ. საბეჭდი ქალაქი № 2 პირობითი  
ნაბეჭდი თაბახი 21,75 სააღრ.-საგამომც. თაბახი 20,34  
ტირაჟი 25.000 შეკვ. № 2004  
ფახი 1 მან. 40 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი. მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა  
და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტე-  
ტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის წიგნის ფაბ-  
რიკა, მეგობრობის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе,  
Государственного комитета Грузинской ССР по  
делам издательств, полиграфии и книжной тор-  
говли, пр. Дружбы 7.

11/15/15



